ჯონ ალტერი

დავიბადეთ ადამიანად

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჯონ ჰილტონი

დაკარგული სამოთხე

დაბრუნებული სამოთხე

თარგმანი ინგლისურიდან

ვ ა ხ ტ ა ნ გ

ჭ ე ლ ი ძ ი ს ა

ს ა ს ხ ე ლ გ ა მ ი
19 · თბილისი · 56

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დაკარგული ნაგოთხი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

წიგნი პირველი

შინაარსი

პირველ წიგნში მოკლედ არის გადმოცემული მთავარი თემა — ურჩობა ადამიანისა, რის გამოც მან **დაკარგა** მისთვის საცხოვრებლად მინიჭებული სამოთხე. შემდეგ ნაჩვენებია ადამიანის დაცემის მიზეზი — სატანა, ან უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, გველის სხეულში გახვეული სატანა, რომელიც ღმერთის წინააღმდეგ ამხედრებისა და ანგელოზთა ურიცხვი დასების გადაბირებისათვის, ღვთისავე ნებით, ზეციდან გააძევეს და ქვესკნელში ჩააგდეს, თავის ბანდასთან ერთად. მაგრამ ამ ამბებს დაწვრილებით არ განიხილავს პოემა, ის სწრაფად შედის მოვლენათა სიღრმეში, აგვიწერს სატანასა და მის თანამგზობარ ანგელოზებს, რომლებიც ამჟამად ჯოჯოხეთში არიან ჩაყრილნი. მაგრამ ჯოჯოხეთი დედამიწის ცენტრში კი არ არის წარმოდგენილი, — რადგან, **იგულისხმება**, **რომ** ზეცა **და** მიწა ჯერ არც კი იყო გაჩენილი, და ამიტომ, რაღა თქმა უნდა, განკიცხულიც არ იქნებოდა, — ჯოჯოხეთი წარმოდგენილია წყვდიადით მოცულ ადგილას, რასაც, უმჯობესი იქნება, ქაოსს თუ შევარქმევთ. აქ მეხთტეხისაგან დალეწილი და დარეტიანებული სატანა და მისი ანგელოზები ტბაში ყრია. სატანა თანდათანობით გამოერკვევა და თავის გვერდით გათხლარშულ სულს მიმართავს, რომელიც ღირსებითა და სიდიადით სატანის შემდეგ პირველი ანგელოზია. ისინი თავიანთ სასტიკ დამარცხებაზე მსჯელობენ; სატანა გამოაღვიძებს თავის დასებს, რომლებიც ისევ დარეტიანებულნი ყრია ცეცხლში. ანგელოზები წამოიშლებიან. **აღწერილია** ანგელოზთა რიცხვი, საომარი განლაგება, ჩამოთვლილია მათი მთავარი წინამძღოლები, რომლებსაც შემდეგ, ქანაანსა და მის მეზობელ ქვეყნებში, თაყვანსა სცემ**დნენ**, როგორც კერპებს. სატანა სიტყვით მიმართავს მათ, ანუგეშებს, იმედს უღვიძებს, ზეცას კვლავ დავიბრუნებთო; ლაპარაკობს ახალ ქვეყანასა და ახალ ქმნილებაზე, რომელიც, ძველი წინასწარმეტყველებისა თუ ზეცაში გავრცელებული ხმების მიხედვით, იმ ახალ ქვეყანაზე უნდა შეიქმნას. — საქმე ის არის, რომ ძველ სამღვდლო მამათა გადმოცემით, ანგელოზები ხილულ ქმნილებათა წარმოშობამდეც **არსებობდნენ**. — ამ წინასწარმეტყველების შესამოწმებლადა და **შესაფერი** გაეაწყვეტილების მისაღებად იგი მოუწოდებს დიდი საბჭო შეიკრიბოს. მისი თანამგზობარები მიიღებენ ამ წინადადებას. ეცეს **აღმართავენ** პანდემონიუმს — სატანის **სასახლეს**. **ოავადნი ჯოჯოხეთისა სათათბიროდ** დასხდებიან.

კაცთ მოდგმის პირველ ურჩობაზე, აკრძალულ ხეზე,
რომლის ნაყოფმა შხამიანმა, მაკვდინებელმა,
ჩვენ მოგვიტანა სიკვდილი და ვაება ქვეყნად,
თვითონ ედემის დაკარგვაზე, რომელიც შემდეგ
დიდმა ზეკაცმა დაგვიბრუნა სასუფეველით, —
იმღერე მუზავ, ზეციურო. აკი ოდესღაც
იდუჰალებით მოცულს ქორბსა, თუ სინას მთაზე
მწყემსს შთააგონე, რომ ემღერა რჩეულ ხალხისთვის,
როგორ წარმოსდგა ქაოსისგან ზეცა და მიწა.*
იქნებ გიტაცებს უფრო მეტად სიონის თხემი,
ან ნაკადული სილოამი, სწრაფად მჩქეფარი,

2. ჯონ მილტონი.

ეროვ. ბიბლიოთეკა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უფლის ტახტს გვერდით ჩამდინარე. მაშინ იქიდან
შენ გამამხნევე, რომ ვიმღერო უფრო თამამად,
რომ მაღლა-მაღლა მიიწევდეს ჩემი სიმღერა
თავზე მოექცეს აონიის უმაღლეს მწვერვალს,
და ის ღაღადვყო, რაზედაც ჯერ არ უმღერიათ.
უპირველესად შენ მოგმართავ, წმიდაო სულო,
ვისაც ტაძრებზე უფრო გხიბლავს გული სპეტაკი;
შენ შთამაგონე, კარგად უწყი შენ ყველაფერი:
დასაბამითვე, ამ უძირო, ფართო უფსკრულზე
მტრედივით გქონდა გადაშლილი ძლიერი ფრთები
და გამოჩეკე ქვეყანაზე ყველა სულდგმული;
თუ ბნელი იყოს ჩემში რამე — შუქი მოჰფინე,
დაცემულ მნახო — აღმადგინე და გამამხნევე,
მომეცი ძალა, ამ სიმღერის სიმაღლეს მივწვდე,
შეძლება მომეც(„, დავამტკიცო განგების მადლი
და ღმერთის გზები, კურთხეული, ვაჩვენო კაცთა.
რადგან ვერც ზეცა, ვერც უფსკრული ჯოჯოხეთისა
თვალთაგან შენთა ვერაფერსაც ვერ დაჰფარავენ,
ჯერ ეს მაუწყე, ჯერ ეს მარქვი, წინაპრებს ჩვენსას,
ცისგან კურთხეულთ, ამაღლებულთ და ბედნიერთა,
მბრძანებელთ მთელი ზესკნელისას, რად მოაუიქრდათ,
თავის შემოქმედს მოსწყვეტოდნენ და განდგომოდნენ?
ან ვინ აცთუნა. ვერაგობა ვინ შთააგონა?
ეს ჯოჯოხეთის გველი იყო. გველმა მზაკვრულად,
აღტაცებულმა შურითა და გაბოროტებით,
პირველი დედა შეაცდინა კაცთა მოდგმისა
და აჯანყებულ ანგელოზთა დასებთან ერთად,
თავგასულობის გამო ზეცით ქვედამხობილმა,
იმავ დასების მხარდაჭერის იმედით სცადა
კვლავ უფრო მეტად განდიდება და აღზევება,
რათა დიდება მოეხვიჭნა სხვებზე მაღალი
და უზენაესს ძლიერებით გატოლებოდა.
ზვიადი ზრახვით უფლის ტახტსა და სასუფეველს
მან გაუმართა ბიწიერი ომი ზეცაში.
მაგრამ ამაოდ, ძლიერებამ ზენაარისამ
მყისვე გახვია ცეცხლის ალში და ეთერიდან
წვითა და ნგრევით ქვეჩასტყორცნა უძირო უფსკრულს,
რომ გდებულიყო ბორკილებში და ცეცხლში მარად,
ბრძოლაში უფლის თავხედურად გამოწვევისთვის.
ცხრაგზის მოზომა მოკვდავთათვის სივრცემ დღე-ღამე,
ის კი თავისი საშინელი, პირქუში ლაშქრით,
დამარცხებული და ნაგვემი, თუმც კვლავ ცოცხალი,
იკლაკნებოდა საცოდავად ცეცხლის უფსკრულში.
ბედისწერა კი უფრო მწარე ტანჯვას უმზადებს:
მარტოდენ ფიქრიც დაკარგული ბედნიერების,
და მარადიულ წამებისა მას სულს უწეწავს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მიმოიხედა განწირულმა სატანამ ირგვლივ, —
(ნაღველი, შიში, სიამაყე გაუტეხელი,
და მძულვარება მის თვალებში გამოსჭვიოდა), —
და სადამდისაც ანგელოზის თვალი მიწვდება,
მან განიცადა ველური და პირქუში სივრცე,
შიშისმომგვრელი საპყრობილე, ყოველისმხრიდან
ალმოდებული, როგორც დიდი გუზგუზა ბრძმედი.
არ ანათებდა იგი ცეცხლი, მხოლოდ სიბნელეს,
მხოლოდ სამეფოს ვაებისას ხდიდა ხილულსა;
იქ მოსვენება ვერასოდეს დაისადგურებს
და თვით იმედიც, რაც საერთოდ ყველასთან მიდის,
უცხოა მათთვის და მარადჟამს მიუწვდომელი.
მხოლოდ წამება სუფევს იქა, განუწყვეტელი,
და დაუშრეტელ, მარად მხრჩოლავ გოგირდისაგან
მძვინვარე ცეცხლის ნიალვარი მოედინება.
მართლმსაჯულებამ განუმზადა ამბოხებულებს
ეს სამყოფელი — საპყრობილე ბნელით მოცული,
ღმერთს და ცის ნათელს მოწყვეტილი, მოკილებული
სამჯერ იმაზე უფრო მეტად, ვიდრე პოლუსი
დაშორებული არის ქვეყნის შუაგულიდან.
ო, ვით არ ჰგავდა ეს მაღალ ცას, მათ ძველ სამყოფელს!
აქ გრიგალის და ქარიშხლოვან ცეცხლის წარღვნაში
ჩაფლულნი იყვნენ მისი ძველი თანამგმობარნი.
სატანამ იქვე მოფართხალე სული შენიშნა,
რომელიც შემდეგ, უფრო გვიან, ცნობილი გახდა
პალესტინაში, და ბელზებელს* იძახდა ყველა.
ეს ბელზებელი ძალითა და დანაშაულით
მეორე იყო; უმთავრესმა მტერმა ღმერთისამ, —
ცაშიაც ასე სატანადვე* სახელდებულმა, —
მძიმე სიჩუმე დაარღვია, შიშისმომგვრელი,
და მას მიმართა გულისმომცემ სიტყვებით ასე:

„ნუთუ ეს შენ ხარ? მაგრამ ჰოი. აწ დამხობილი,
ვით აღარ ჰგავხარ იმა ნათელს, სხივმომფინარეს,
რაც ელვარებით ანგელოზთა გუნდებს ჩრდილავდა
სინათლის ნეტარ სამყაროში. და თუ ოდესღაც
ჩვენ გვაერთებდა ერთი ფიქრი, მიზანი, სწრაფვა,
თუ ერთი გვქონდა დიდებული ბრძოლების რწმენა,
განწირულების მძიმე ხვედრი გვაერთებს ახლა.
რა სიმაღლიდან შთავარდნილხარ უფსკრულში, ხედავ?!
რა ძლიერება ჰქონებია მეხთ-ტეხას ღვთისას!
ან ვინ იცნობდა მის საშინელ ძალას აქამდე!
მაგრამ ვერც იგი, რაიც დღემდე მან მოგვივლინა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვერც იმის შიში, რომ ყოვლისმძლე, გამარჯვებული,
გაბოროტებით კვლავაც ახალ რისხვას დაგვატეხს,
გულში სინანულს ვერ აღმიძრავს და ვერ შემიცვლის, —
(თუმც გარეგნული ბრწყინვალებით ასე შევცვლილვარ), —
მტკიცე რწმენასა და სიძულვილს, რამაც მე აღმძრა
ყოვლისშეძლესთან საბრძოლველად. ამავე რწმენით
ფიცხელ ბრძოლაში ანგელოზთა ჯარი მოზღვავდა,
რომელთაც დაჰგმეს ღვთის სამეფო და მე მომეძხრნენ;
მის დიად ძალას მამაცურად წინააღუდგნენ
და ბრძოლის ცეცხლით შეურყიეს ზეცაში ტახტი.
ომი წავაგეთ? რაა მერე, ამითი მაინც
არ დაკარგულა ყველაფერი, რადგან კვლავ შეგვრჩა
უდრეკი ნება და წყურვილი შურისგებისა,
დაუშრეტელი სიძულვილი და მამაცობა;
არ ვართ ჩვეულნი დათმობასა და მორჩილებას!
ვერა, დიდებას ვერასოდეს ვერ გამომტაცებს
ვერც ძლიერებით, ვერცა რისხვით! თავი დავხარო
და მოწყალება გამოვთხოვო მუხლმოდრეკილმა?
რად გავალმერთო მისი ძალა, როცა თვითონვე,
ჯერ კიდევ გუშინ, ჩემი რისხვით შეშფოთებული,
თრთოდა ციური სასუფევლის დაკარგვის შიშით!
ეს იქნებოდა დამცირება უკიდურესი,
ეს იქნებოდა შერცხვენა და თავლაფის დასხმა,
დამარცხებაზეც უარესი. და ბედისწერით
რაკი ღვთიური არსი ჩვენი უძლეველია,
რაკი კვლავ შეგვრჩა ძლიერება და ამ ბრძოლებმა
გამოცდილება კიდევ უფრო შეგვმატა ახლა,
ჩვენ კვლავაც ძალგვიძს ან პირდაპირ, ან ვერაგობით,
უფრორე მეტის წარმატებით და მეტის რწმენით
სამარადჟამო, ულმობელი ომი გავმართოთ
ჩვენს ძლიერ მტერთან, რომელიც ჯერ ისევ ზეიმობს
და აღმატებულ სიხარულით, სულ მარტოდმარტო
განაგებს ზეცის სასუფეველს, როგორც ტირანი".

თქვა მოღალატე ანგელოზმა, თუმც ქედმაღლურად
და მედიდურად, მაგრამ მაინც ტანჯვით, წამებით.
მისმა ძამაცმა თანამოძმემ მიუგო ასე:

„ჰოი, თავადო, წინამძღვარო მძლავრთა თავადთა,
რომელთაც გუნდი სერაფიმთა, შენის, სარდლობით,
ბრძოლად წარძართეს და უშიშრად, შეუპოვრობით,
რისხვას უქადდნენ ცის მეუფეს, დაუსაბამოს;
სურდათ გამოცდა, რა ამაგრებს სიმაღლეს ღვთისას:
ძალა, იღბალი, ბედისწერა, თუ რამ შემთხვევა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ახლა კი ვნანობ, ახლა ვხედავ ჩვენს სივაგლახეს;
ამ მწარე ხვედრმა — დამარცხებამ შესაზარელმა —
დაგვაკარგვინა ცის სამეფო და ეს მხედრობა
საზარის ნგრევით ჩამოსტყორცნა შავბნელ უფსკრულში.
ჩვენ ყველა ისე დავიღუპეთ, როგორც ზეციურ
სულთა და ღმერთთა, ყოვლისშემძლეთ, ძალუძთ დაღუპვა:
თუმცა დიდება ჩვენი დაჭკნა, და ნეტარება
ამ უსასრულო სივალალემ შთანთქა მთლიანად,
სული და ფიქრი მაინც ველარ დაიმორჩილა,
და ბრძოლის ძალაც მალე უკან დაგვიბრუნდება.
მაგრამ ვაითუ, ამას ვშიშობ, ჩვენმა დამპყრობმა, —
(მეტი რა გზა მაქვს, მზად ვარ ყოვლისშემძლედ ვიწამო, —
სხვას ვის შეეძლო გაეტეხა სიმტკიცე ჩვენი?) —
სული და ძალა მხოლოდ მისთვის შეგვინარჩუნა,
რომ მეტი ტანჯვა განვიცადოთ, მეტი წამება,
რომ შურისგების ჟინი უფრო ხარბად მოიკლას,
და ომის წესით, დამარცხებულთ, მონებად შთენილთ,
აქ ჯოჯოხეთის შუაგულში შთამოვარდნილებს,
ცეცხლში და კუპრში მისთვის მეტი შრომა შეგვეძლოს,
რომ ყველა სურვილს ვუსრულებდეთ წყვდიად უფსკრულში!
მაშ თუხდაც შეგვრჩეს ძლიერება და უკვდავება,
რა ბედენაა, რაღად გვინდა? — მხოლოდ იმიტომ,
რომ ავიტანოთ ეს სასჯელი, მარადიული?"

ფიცხლავ მთავარმა ღვთისმგმობელმა მას უპასუხა:
„ო, დაცემულო ქერუბიმო, სისუსტე მუდამ
შესაბრალია, მოქმედებდე, გინდა წკალობდე.
მაგრამ გახსოვდეს, კეთილს როდი ვემსახურებით,
მხოლოდ ბოროტი მოქმედება მოგვფენს სიამეს, —
და სწორედ ამით არა ვაკავართ, ამითვე ვებრძვით
უმაღლეს ნებას ჩვენი მტრისას. მაგრამ როდესაც
ის შეეცდება ბოროტისგან შექმნას კეთილი,
ჩვენი ვალია გავამეფოთ კვლავ ბოროტება.
თუ ამას ხშირად მოვახერხებთ, ეჭვი არა მაქვს,
ის დამწუხრდება, დაფიქრდება და შემდეგ იქნებ
ავაღებინოთ განზრახვაზეც ხელი იოლად.
აბა შეხედე: მეუფემან, განრისხებულმან,
თვის თანაშემწეთ, ჩვენზე შურის მაძიებელთა,
უკან მიუხმო, ზეცის ბჭესთან. გოგირდის სეტყვა,
რომელიც ზეცით დამხობილებს რისხვად დაკვატყდა,
უკვე მიწყნარდა; ხედავ, დაცხრა ცეცხლის ტალღებიც;
წითელი ელვით ფრთებშესხმული, მარად მძვინვარე
ქუხილი ცისა აწ უფსკრულში აღარ მქუხარებს,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ალბათ მეუფეს მშვილდ-ისრები გამოელია!
ნულარ გავუშვებთ ხელსაყრელ დროს, მტრისგან ბოძებულს,
და ნურც ვიკითხავთ, რისთვის სჩადის ამას უუალი —
ზიზღით დაგვცინის, თუ მოიკლა ჟინი მტრობისა.
საშინელ მინდორს ხომ უყურებ, უკაცურს, ველურს,
ვაებისა და მარტოობის მიმე სამყოფელს,
როგორ წყვდიადით მოცულია! — მხოლოდ აქა-იქ
პირქუშად ბჟუტავს უფერული რაღაც ნათელი.
იქითკენ უნდა გავემართოთ, იქ მოვასვენოთ
სხეული ჩვენი დაქანცული ცეცხლის ყარღვნისგან,
(ასეთ ქვესკნელში დასვენება თუ მოხერხდება), —
იქ შევაგროვოთ ჩვენი ჯარი, მყარედ გვემული,
მოვითათბიროთ: ბტერს ყველაზე მოხერხებულად
საიდან უნდა შევუტიოთ, როგორ ვეომოთ,
ჩვენი ზარალი რა გზით უნდა შევიბსუბუქოთ,
და თავი როგორ დავაღწიოთ ამ სივალალეს.
ვნახოთ, იმედი რა სიმხნეს და ძალას შეგვმატებს,
ან სად მიგვიყვანს საბოლოოდ გახწირულება“.

სატანამ თავის თანამოძმეს ასე მიმართა.
ცეცხლის ტალღებში თავი ოდნავ წამოეწია,
თვალნი აფრქვევდნენ ნაპერწკლებსა, — მთელი სხეულით
მძვინვარე ცეცხლის ნიაღვარში გაშხლართულიყო;
ახოვანება სატანისა მოგაგონებდათ
ზღაპრულ ტიტანებს, გოლიათებს, შვილებს მიწისას,
რომელთაც ომი გაუმართეს მძლე იუპიტერს*;
მოგაგონებდათ ბრიარეოსს*, ანუ თვით ტიფონს*,
რომელსაც მღვიმე ძველი ტარსოს* მახლობლად ჰქონდა;
ლევიათანსაც* ჰგავდა იგი, ზღვის მხეცს, საშინელს,
უდიდეს ურჩხულს, ღვთის გაჩენილ ურჩხულთა შორის;
მეზღვაურების გადმოცემით ამ ურჩხულს ერთხელ
ნორვეგიასთან ახლოს, ზღვაში როცა ეძინა,
მიადგა თურმე, სიბნელეში, შეუმჩნეველად,
პატარა ნავი, ხომალდის მარცხს გადარჩენილი;
მეხავემ იგი მიიჩნია კუნძულად მაშინ
და ხავის ღუზა მას ჩაურჭო ქიცვიან კანში.
სანატრელ დილის მოლოდინში, მშფოთვარე ღამე,
მოფარებულმა ქარს და ავდარს, იქ გაატარა.

სატანაც ასე თვალუწვდენლად გაშხლართულიყო.
მძვინვარე ცეცხლით ალბოდებულ ტბას მიჯაჭვული
ვერ ადგებოდა, თავსაც ოდნავ ვერ წამოსწევდა,
მაგრამ ძალამა მბრძანებელმა ინება ასე
და გზა გაუხსნა მის შავ ფიქრებს, წყვდიად განზრახვას,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რათა მის მძიმე დანაშაულს, კიდევ ახალი,
კიდევ სასტიკი შეჩვენება დამატებოდა,
რათა სხვებისთვის ბოროტის და ავის მოსურნეს,
თავათ ეხახა, და საშინელ ბოლმას დაეხრჩო,
რომ ადამიანს, მოტყუებულს მისგან ბზაკვრულად,
ღმერთი მხოლოდღა ყალობას და კეთილს უჩვენებს,
მას კი ვალალ ხვედრს, სივაგლახეს გაუსამკეცებს,
დაატეხს რისხვას, შურისგებას და შეჩვენებას.

უცებ სატანა ცეცხლის ტბიდან წამოიწია
და აღიმართა გოლიათი ტანით სივრცეში;
ცეცხლის ენები უკუიქცხენ და მის ხაოლზე
გულისამზრზენი, საზარელი უფსკრული გაჩნდა.
ფრთები გაშალა მყის სატანამ და აღმაფრენით
შეჰყვა ბინდისგან ჩაბნელებულ ჰაერის ფენებს,
(პირველად იგრძნო ეს სიმძიმე ეთერმა ბაბილ);
ის გაემართა ხმელეთისკენ, თუკი გვაქვს ნება,
ცეცხლმოკიდებულ ნაპირზე ვთქვათ ხმელეთიაო,
(ისევე, როგორც ტბა შევარქვით ცეცხლის ნიაღვარს).
ელფერი ჰქონდა იმა ხმელეთს ისეთი, თითქოს
წიაღის გრიგალს მოეგლიჯოს პელორასაგან*
და ვეება მთა იმ სიმორეს გადაესროლოს,
ან მგრგვინავ ეტნას* მთელი გვერდი ჩამოგლეჯოდეს
და გაშიშვლებულს იმის წიაღს, ქარიშხლის ძალით
გიზგიზა ცეცხლი გასჩენოდეს, გადაეტრუსოს,
და მყრალი კვამლის ბუღს მოეცვას იქაურობა.
ამგვარ ნაპირზე მოასვეხა წყეული ფეხი.
მას მიჰყვა მალე მისი ძველი თანამგზობარიც,
და ორივენი ზეიმობდნეხ, მედიდურობდნენ,
რომ ცეცხლის წარღვნას სტიგიისას თვით გაეცალნენ,
ღმერთების დარად, საკუთარის ძლიერებითა
და არა თვითონ ზენაარის ნება-სურვილით.

„ნუთუ ამ მხარემ, ამ ჰაერმა, ამ ნიადაგმა
უნდა შესცვალოს ზეცის წმიდა სასუფეველი;
ნუთუ ამ პირქუშ სიბნელეზე უნდა გავცვალოთ
ცის ელვარება“, — თქვა გვემულმა არქანგელოზმა, —
„დე ასე იყოს, რაკი თვითონ იგი განაგებს,
ვიხაც ხელთ იგდო მბრძანებლობა, ხელისუფლება.
რაც შორს ვიქხებით იმისაგან, მით უკეთესი.
ერთნაირი ვართ გონებრივად, მან ძლიერებით
გვაჯობა მხოლოდ, გაბატონდა თავის ტოლებზე.
სამარადჟამო ნეტარების მიწავ, მშვიდობით!
მოგესალმებით, ჯურღმულებო ჯოჯოხეთისა!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სალამი თქვენდა, ჯოჯოებო საშინელების!
ჰე, ჯოჯოხეთო, მიეგებე შენს ახალ ბატონს,
მის სულს ვერ მოდრეკს ვერც დრო-ჟამი, ვერცა გარემო,
თვითონვე ძალუძს ფიქრით შექმნას თვის სამყოფელი:
ნათელი ზეცა ჯოჯოხეთად გადააქციოს,
ხოლო ჯოჯოხეთს მისცეს ზეცის ნეტარი სახე.
ხომ სულერთია, სად ვიქნებით, თუკი სულყველგან
ამგვარი ყოფნა გვიწერია: — მდაბალი ვიყოთ
იმაზე, ვინაც მეხის ძალით განდიდებულა.
თავისუფლებას მაინც არვინ წარგვტაცებს აქა:
ისე სიოუხვით შეუმკია ღმერთს ჯოჯოხეთი,
რომ ჩვენი აღარ 'მე'მურდება, აღარ განგვდევნის.
ამიერიდან ძალგვიძს აქვე ვიმეფოთ ᲫᲨვიდად,
და თუ ვიმეფებთ — სულერთია, ვიყოთ ჯოჯოხეთს,
რადგან სახელი ღირსეული მაინც გვექნება;
ცა'ში მონობას — ჯოჯოხეთში მეფობა მიჯობს.
რალას ვაყოვნებთ, რად არ ვუხმობთ ერთგულ მეგობართ,
რომელთაც ჩვენი შავი ბედი გაინაწილეს
და ახლა ᲬᲕანან დავიᲬყების ტბაში მდუმარედ!
რად არ ვეძახით, რად არ მოგვყავს, რომ ყველა მათგანს
გავუზიაროთ ეს ბედკრული თავშესაფარი!
იქნება ძალა ᲫᲝვიკრიბოთ, კვლავ ვცადოთ ბედი,
რათა ზეცაში მოვიპოვოთ მცირე სიკეთე,
ან ჯოჯოხეთში იქნებ მაინც დავკარგოთ რამე".

ეს თქვა სატანამ. ბელზებელმა მიუგო ასე:
„ᲑრᲬყინვალე დასთა, მეომᲫართა დიდო სარდალო,
რომლის დაᲫლევა უზენაესს შეეძლო მხოლოდ,
ერთხელაც კიდევ რომᲫ ასმინო იმათ შენი ხმა —
'Ძენი ხᲫა, Ძათთვის განსაცდელში იმედის Წყარო,
რომელიც ხშირად Ბრძოლის ველზე გაუგონიათ,
ხან Ძეტად მᲫიმე, სავალალო დაᲫარცხᲔᲑის დროს,
ხან ᲫეტᲔᲕის დროს, ვით ხიშახი გაᲫარჯვებისა, —
გამხნევდებიან, აღსდგებიან, გულსმოიცეᲫენ,
თუმცაღა ახლა განᲬიოულნი, გა'შეშებულნი,
ქვედაᲫხობილან ცეცხლის ტბა'Ძი, — ვით ჩვენ ვიყავით
აᲫ ცოტა ხნის წინ; — ეს არც ისე გასაკვირია,
რადგან თვალუᲬვდენ სიმაღლიდან Ძირს ჩამოცვივდნენ".

ბელზებელს სიტყვის დამთავრება არც კი აცალა,
ნაპირისაკენ გაემართა მთავარი ᲫᲢერი;
სატანას ᲫხრეᲑზე თვით ეთერში მტკიცედ ნაწრთობი,
ვეებერთელა, მᲫიმე, მრგვალი ფარი მოედო,
სფერა იᲫიაი მთვარეს ჰგავდა, რომელსაც ჭოგრით

www.PDF.ChiaturaINFO.GE



www.PDF.ChiaturaINFO.GE

სახელგანთქმული ტოსკანელი* საღამოობით
ვალდარნოს, ანუ ფიეზოლის* მწვერვალებიდან
უჭვრეტს, რომ ნახოს იმ ლაქებით დასერილ ბურთზე
ახალი მთები, ქვეყნები და მდინარეები;
ხელთ შუბი ეპყრა, და იმ შუბთან თვით უმაღლესი
ნორვეგიული ხაძვის ხეც კი, რომელსაც მუდამ
საადმირალო გემის ანძად ხმაროობენ ხოლმე,
გეგონებოდათ პაწაწინა კვერთხი, ან წკეპლა;
სატანა ამ შუბს იმარჯვებდა და გაჭირვებით
მიაბიჯებდა ცეცხლმოდებულ თიხხარზე მძიმედ.
როგორ არ ჰგავდა ეს ძძიძე გზა ლაჟვარდს ზეციასას!
ცეცხლოვან თაღქვეშ, იმ საშინელ პაპანებაში,
თძეხით, წვალებით, გადალახა ზღვა მოგიზგიზე,
მიადგა ნაპირს, ფეხი შედგა, და გადასძახა
ანგელოზების ლეგიონებს, ისე გაწოლილთ,
როგორც ფოთლები შემოდგომით ეტრურიაში*,
თვალუწვდენ მაღლარს მოწყვეტილხი, ფენებ-ფენებად
ვალომბროზიის ნაკადულებს ზედ აფენიათ;
ვით ხშირი ლელი, გაძლილ ზღვაში ტალღებს გაეკრა, —
როს ორიონმა* ქარიშხლებით ააბობოქრა
ზღვა მეწამული, — და მღელვარე ტალღებმა ზღვისამ
შთანთქეს ბუზირის* და ძეძფისის* მთელი მხედრობა,
როცა ისინი, ძძულვარებით აღტყინებულნი,
ერეკებოდნენ გოძეხელებს შეუიარაღებლად,
ხოლო ლტოლვილნი, სამშვიდობო ხაპირზე მდგარნი,
გადაჰყურებდხეხ ძოფარფატე გვამებს მხედართა
და იძათ ეტლებს — ტალღებისგან დაშლილ-დალეწილთ.
ასე მთელი ტბა დაეფარათ განწირულთ, გვემულთ,
და თავის კრულ ბედს იგონებდნენ, გაოგხებულნი.
მაშინ სატანამ ძათ ‘ძესძახა ისეთი რიხით,
რომ ჯოჯოხეთის ჯურღმულებმა დაიზანზარეს:

„დიდნო მხედარნო, მბრძანებელნო, ხელისუფალნო,
ყვავილნო ზეცის, ერთ დროს თქვეხის, აწ დაკარგულის,
ხუთუ ასეთი გაოგხება ‘შეგფერით უკვდავთ?!
იქნებ ფიცხელი ოძის შეიდეგ, დამაძვალებმა,
განსასვენებლად ეს ადგილი აძოირჩიეთ,
და გარინდებით ძიძიხებულთ ეგებ გგონიათ,
რომ ბინა გიდევთ ისევ ზეცის სასუფეველში?!
ანდა, იქნეია, ევეგანრთხბულნი, დაოსებულნი,
მასა სცემთ თაყვაის — თქვეხს მძლეველს და დამპყრობელს **თქვენსას!**
იგი ჩვეხ ახლაც გვითვალთვალებს, დაგვცქერის ციდან,
დაუძლურებულ ქერუბიმებს და სერაფიმებს,
რომელთა აბჯარ-საჭურველი და მძლე ალმები,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნაკუწ-ნაკუწად დამსხვრეული და დაგლეჯილი,
მიმობნეულა აქეთ-იქით; ზეცის ბჭეთაგან
იგი მარდ მდევრებს გამოგზავნის ჩვენს დასალაშქრად
და ჩვენს თავს ბედკრულს, დამცირებულს, გააქელვინებს,
ან მეხთ ისრებით სამუდამოდ მიგვაკრავს უფსკრულს.
გამოიღვიძეთ, გამოფხიზლდით, ადექით ფიცხლავ,
თორემ, იცოდეთ, აქ დარჩებით საძარადჟამოდ!"

რა მოისმინეს, დაირცხვინეს, დაეყრდნენ ფრთებსა
და როგორც გუშაგს, წაძინებულს, თავს წაადგება
თავის ძრისხანე მბრძანებელი, — ისინიც სწრაფად
ზეწამოვარდნენ, აფუსფუსდნენ, ძილმორეულნი.
თითქოსდა კარგად ვერც კი გრძნობდნენ თვის სივალალეს,
და არც თუ ღიდად აწუხებდათ მწვავე ტკივილი;
მაგრამ სატანის დაძახილზე მყის გამოფხიზლდნენ
და უთვალავი ანგელოზი მას დამორჩილდა.
როგორაც ერთხელ, ეგვიპტისთვის შავბნელ დღეებში*,
ამრამის 'ძვილმა* 'მეარხია ძლიერი კვერთხი
და მოუწოდა აღმოსავლით, კალიის გუნდებს
გამოჰყოლოდნენ დასავლეთით მომქროლ ქარიშხალს,
რომ იმ უწმინდურ საბრძანებელს ფარაონისას*
და თვითონ ნილოსს კუპრის ღრუბლად გადაჰფენოდნენ,
ისე ურიცხვი ჩანდნენ ახლა ბოროტნი სულნი,
ქვესკნელის თაღქვე'მ საცოდავად მოფარფატენი,
და ყოველისმხრივ მძვინვარ ცეცხლით გარეშოცულნი.

მაგრამ ჰა, შუბი ზეაღმართა დიდმა სულთანმა,
ანიშნა, მყისვე დაძრულიყო მინდვრისკენ ყველა;
ისინიც გაჰყვხენ გოგირდის ქვით მოფენილ გზასა,
და მალე მთელი ის მინდორი აივსო ლაშქრით.
ხალხთა სიმრავლე ამდაგვარი თვით ჩრდილოეთსაც
არ გაუშვია რაინსა და დუნაისაკენ,
როდესაც მისი ბარბაროსი შთამომავლები*
წარღვნად მოედვნენ მაშინ სამხრეთს — გიბრალტარიდან
მთელს ვრცელ მიწაზე — თვით ლიბიის უდაბნოშდისინ*.
ცალკეულ დასებს გამოეყვნენ წინამძღოლები
და გამალებით გაეშურნენ დიდი სარდლისკენ.
ღვთიური სახით, ძიხვრა-მოხვრით, სიდარბაისლით
და ძლიერებით კაცთ ნაშიერს აღემატოდნენ, —
აკი ოდესღაც ჰქონდათ კიდეც ზეცაში ტახტი,
თუმცა იქ ახლა იმათ აღარ მოიხსენებენ,
გაჰქრნენ, ცხოვრების წიგნიდანაც სულ ამოშალეს,
ღალატის გამო გაცამტვერდა მათი დიდება.
ვერც ევას მოდგმა გაიგებდა იმათ სახელებს,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მაგრამ, როდესაც მაღალმა და სულგრძელმა ღმერთმა,
ადამიანთა ეოთგულების გამოსაცდელად,
ქვეყნად დაუშვა ეს სულები, — იმათ ბზაკვრობით,
ბოღალატურის სიყალბითა და ცბიერებით,
ადამიანთა უმეტესი ნაწილი გახრწნეს,
დააგმობინეს ძეცოქმედი, უფალი ღმერთი,
თავს ჩაუნერგეს ცხოველური ურწმუნოება
და წითელ-ყვითლად ბოლოქყვიალე, ოქროთ ნალესი
ეშმაკის სული თვის ღვთაებად მიიღებინეს.
სახელწოდება მათ სხვადასხვა მიიღეს მაშინ
და სხვადასხვაგვარ კერპსა სცემენ თაყვანს წარმართნი.

მაუწყე, მუზავ, რა სახელი რქმევია იმათ!
ან იმ ცეცხლოვან სარეცელზე მძინარეთაგან,
თავიანთ დიდი მბრძანებელის მოწოდებაზე,
ვინ აღსდგა პირველ, ღირსეულად, ვინ უკანასკნელ?

განმარტოებით, ნაპირზე მდგომ სატანისაკენ
ყველა ცალ-ცალკე გაემართა, ღირსების კვალად,
ბრბო კი, უბრალო ანგელოზთა, შორს იდგა მათგან.
უპირველესნი იმათ ძორის იყვნენ ისიხი,
რომელთაც თავი დააღწიეს წყვდიად ჯოჯოხეთს
და ნადავლისთვის სათარეშოდ ძოედვხენ ძიწას.
თავისი ბილწი ბომონები იქ აღაშენეს,
სად აღმართული იყო ღმერთის წმიდა ტაძრები,
და ხალხიც ირგვლივ თაყვანს სცემდა, ვით ნამდვილს ღმერთსა.
არც იეღოვას ჭექა-ქუხილს არ ძეეპუენ;
დიახ, გაბედეს და ღვთის წმიდა საკურთხეველში,
აღმართეს თვისი საძულველი, საზარი კერპი,
შებღალეს წმიდა მსახურება, დარბაისლური,
სიბნელით თვისით შეურაცხყვეს ნათელი ღვთისა.

უპირველესად იყო მოლოქ*, საზარი მეფე,
მსხვერპლთა სისხლსა და დედათ ცრემლში ამოლუმპული.
ამ ბილწი კერპის საამებლად შვილთ ცეცხლში ნთქავდნენ,
და დოლ-დაფდაფის ყურისწამღებ გრუხუნ-გრიალში
მშობლებს ღრიალი ბავშვებისა აღარ ესმოდათ.
თაყვანსა სცემდნენ მას რაბაში ამონიტები*,
უხვი წყლით მორწყულ აგრიბის* და ბასანის* ველზე,
მას მსახურებდნენ თვით არნონის* მდინარებამდეც;
მაინც ვერ გაძღა ხარბი გული და ცბიერებით
უბრძნესი მეფე სოლომონიც* გადაიბირა;
ერთ მომცრო მთაზე, ღმერთის ტაძრის პირდაპირ სწორედ
მეფემ ბომონი აღაშენა. ფრიად მაღალი,
და ის გორაკი სამუდამოდ შებღალა ამით;
ჭალაც მიუძღვნა მას, მშვენიერ ჰინომის ველზე

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და ჯოჯოხეთის დარს — იმ ჭალას ასეც შეარქვეს:
ტოფეტი, ანუ შავწყვდიადი გეენის ჭალა.
მეორე წარსდგა ქამოს*, — რისხვა მოაბის ძეთა;
თაყვანსა სცემდნეხ მას ნებოდან აროერამდე,
ხოლო სამხრეთით აბარიმის უდაბნოშიაც,
ჰერონაიმში, ესებონში, სეონის მხარეს,
ვაზით დაფარულ, ყვავილოვან სიბმას ველებზე,
ელეალშიაც*, ასფალტის ტბის ნაპირებამდე.
იმას პეორსაც უწოდებდნეხ, ოდეს ისრაელთ,
ნილოსის მხრიდან გამგზავრებულთ, მან სატიანში
გაიძვერობით თვისი რჯული ძიალებინა.
ძვირად დაუჯდათ ეს შეცდომა ისრაელთ შემდეგ,
როს ავხორცული ორგიები მან შორს წარმართა,
იმ სამარცხვინო, ცთუნების მთას მიუახლოვდა
და კაცთა სისხლით გაუმაძღარ მოლოქს მიადგა.
ერთად გამეფდა გარყვნილება და ბოროტება.
მაგრამ კეთილმა იოსიამ ისინი ბოლოს
გამოაძევა და ორივე ჯოჯოხეთს მისცა.
შემდეგ წინ წარსდგნენ ის სულები, რომელთაც მუდამ,
ძველი ევფრატის ნაპირიდან ეგვიპტისა და
სირიის გამყოფ მდინარემდე, ბოიხსენებდნენ
ერთი სახელით — ბაალიმი და ასტაროთი;
ბაალიმს კაცებს უწოდებდნენ, ასტაროთს — ქალებს,
რადგან მსუბუქი არის მუდამ არსი სულების,
ჰაეროვანი და ციური, და შეუძლიათ
ხან კაცად იქცხენ, ხანაც ქალად, ხან კი ორივედ.
სხეული მათი როდი არის დამძიმებული
სახსრებით, ხორცით, ანუ ძვლების რამე სიმძიმით.
და სულერთია, როგორც უნდა გამოგვეცხადონ,
დიდად თუ მცირედ, წყვდიადით თუ ხათლით მოსილნი,
განზრახვას თვისას ავნი სულნი შეასრულებენ:
ჩვენ ალგვანთებენ ხან ტრფიალით, ხან ძულვარებით.
მათი მიზეზით, არაერთგზის, ისრაელებმა
დაჰგმეს თავისი სასიცოცხლო ძალა ცხოველი,
ჭეშმარიტების საკურთხეველს ზურგი აქციეს
და ცხოველური ღმერთების წინ დახარეს თავი.
იმიტომაა, რომ ბრძოლებში შუბებით გვემულთ,
მტრების წინაშე ხშირად ქედი მოუდრეკიათ.

შემდეგ მხლებლებით მიეახლა მას ასტორეთი*,
თავს ჯილად ედგა მოელვარე ნახევარმთვარე;
ფინიკიაში ცის დედოფალს ასტარტს* ეძახდნენ,
რომლის ბრჭყვიალა კერპთან ღამით სიდონელ ქალწულთ,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

აღმოხდომიათ ბევრი ლოცვა-საგალობელი.
ასევე ნაზად უმღეროდნენ მას სიონშიაც,
შებღალულ მთაზე. აქ ტაძარი აუგო იმას
დედათმოყვარე დიდმა მეფემ, გულით დიადმა,
მაგრამ წარმართი ქალებისგან მოტყუებულმა,
რომელიც შემდეგ თვით დაემხო კერპთა წინაშე*.

მას მიჰყვა თამუზ*. სისხლმჩქეფარე ჭრილობა მისი
სირიელ ქალწულთ ლიბიაში მიიზიდავდა
და მის ვალალ ბედს ყოველ ზაფხულს, ყოველ ცისმარე,
ნაზად უმღერდნენ სატრფიალო საგალობელსა;
ადონისი კი, მშობლიური ნაპირებიდან
მეწამულ ტალღებს ზღვისკენ დინჯად მიაგორებდა;
ეს სისხლი იყო თამუზისი — გადმომჩქეფარე
მის მარადიულ, განუკურნავ ჭრილობებიდან.
ესე ზღაპარი სატრფიალო, ამათგან შემდეგ
სიონელ დედათ გადაიღეს გულმხურვალებით;
ხოლო რაოდენ შმაგი იყო ეს აღტყინება,
ეზეკიელმა თვით იხილა საკურთხეველში,
სადაც უგნური ურჯულონი თაყვანსა სცემდნენ
გამდგარ იუდას. თამუზს მიჰყვა სული, რომელიც
ერთხელ მდუღარედ დასტიროდა საკურთხეველ'ში
ტყვე ხატის მიერ მოსრნილს თავის სახიერებას:
თავი და ხელი მოემტვრიათ ამ კერპისათვის
და იქვე ბჭესთან დაეყარათ, ხოლო იმისი
თაყვანისმცემნი შეერცხვინათ, გაწბილებულნი;
დაგონი ერქვა — ის ურჩხული იყო ზღვებისა,
წელზევით კაცი, წელქვეით კი — ნამდვილი თევზი,
და მაინც მაღლა აღემართათ მისი სამსხვერპლო
ძველად აზოტში, თაყვანს სცემდნენ პალესტინაშიც,
გათში, ასკალონს, აკარონში, და ღაზას იქით.
მას მიჰყვა რემან*, რომლის ტურფა საბრძანებელი
იყო დამასკო — გადაშლილი თვალისმომჭრელად
ფარფარ-აბანას ნაყოფიერ ნაპირთა გასწვრივ.
მანაც შებღალა ღმერთის წმიდა სასუფეველი:
დაჰკარგა მონა კეთროვანი, მაგრამ სანაცვლოდ
თავისი რჯული მეფე აჰაზს მიაღებინა.
პირველად მეფე გაშმაგებით ებრძოდა ამ კერპს,
მერე კი თვითვე მოჰყვა იმის ავ ცთუნებაში,
წმიდა ტაძარი დაანგრია, გააცამტვერა
და კერპს, სირიულს, აუშენა ბილწი ბომონი,
სადაც მიჰყავდათ დასაწვავად მსხვერპლი ყოველი,
და სადაც კერპებს — იმის ძველ მტრებს, სცემდნენ თაყვანსა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შემდეგ წინ წარსდგნენ ძველთაგანვე სახელგანთქმულნი:
ოზირის, ოროს და იზიდა*, მხლებლებთან ერთად.
ურჩხულსა ჰგავდნენ, მიხვრა-მოხვრით, მოყვანილობით,
მათ ჯადოსნობით მოახერხეს და ცრუმორწმუნე
ეგვიპტის ქურუმთ შთააგონეს, რომ იმათ ღმერთებს
ადამიანის სახე არ დევთ, მხეცის სახე აქვთ;
ისრაელთ მოდგმაც ვერ გაექცა იმა ცთუნებას
და შეგროვებულ ოქროსაგან, იმათ ქორებში
თავის მხსნელად და სათაყვანოდ — ხბო გამოკვეთეს.
ხოლო მეფემან, უკანონომ*, ისრაელთ ცოდვა
გაორკეცა, როცა ღმერთად და შემოქმედად,
თვით იეღოვას სახედ მაშინ ხარი დასახა
და ბომონიც კი აუშენა ბეთილს და დანში.
უფალმა გზად რომ გაიარა, ერთბაშად მოსრნა
პირველშობილი და ყოველი კიკინა ღმერთი.
სულ ბოლოს წარსდგა ბელიარი, ბოროტი სული;
იგი დაცემულ სულთა შორის ყველაზე მეტად
იყო გახრწნილი, ბოროტება სიამეს ჰფენდა.
არ იდგა მისთვის ქვეყანაზე არსად ბომონი,
და არც სამსხვერპლო მისთვის არსად კვამლს არ უშვებდა.
მაგრამ ვერავინ დაასწრებდა ღმერთის ტაძრების
და საკურთხევლის შეგინება-დამცირებასა.
მღვდელმსახურთ უმგვან უღმერთობას შთააგონებდა;
ასევე უყო ელიას შვილთ. ღვთის ტაძარს მისებრ
ვინ აავსებდა ავხორცობით და ბოროტებით?
ის პარპაშებდა პალატებში, სასახლეებში,
გაჩირაღდნებულ ქალაქებშიც, სად ღრიანცელი
ცამდე აღმართულ კოშკებს სწვდება და სადაც ბუდობს
მანკიერება ყოველგვარი და გარყვნილება.
და როცა ღამე ჩააბნელებს ქალაქის ქუჩებს,
შვილნი იმისი, გაბერილნი ღვინით, სილირფით,
დაძრწიან ხოლმე ქუჩა-ქუჩა. ამის მოწმეა
სოდომ-ქალაქი და ის ღამეც იქ, გაბაონში,
როცა ოჯახმა ღვიძლი დედა გასწირა თვისი,
რათა უარეს შერცხვენისგან დაეხსნა თავი.
ყველა ესენი ღირსებითა და ძლიერებით
პირველნი იყვნენ. ძნელი არის, მე ვერ ჩამოვთვლი
იმა დანარჩენ ანგელოზთა ურიცხვ სახელებს,
თუმცა დიდება ზოგიერთთა შორს გავარდნილა;
იყვნენ ღმერთები იონიის, რომელთაც უწინ
თაყვანსა სცემდნენ იოანეს* შთამომავალნი,
თუმც უფრო გვიან სცნეს ღმერთებად, ვიდრე იმათი
მშობლები დიდად საამაყო — ზეცა და მიწა;
იმათგან ზეცის პირველი ძე იყო ტიტანი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შთამომავლობით განტოტვილი, ფესვებგადგმული,
ვისაც სატურნმა ჩამოართვა მემკვიდრეობა,
ხოლო სატურნსა ძემან მისმა, ძლიერმა ზევსმა
წარსტაცა ტახტი და თვითონვე იწყო მეფობა.
თაყვანსა სცემდნენ ჯერ იდაზე, შემდეგ კრეტაზე*,
მერე მიადგნენ ოლიმპის ცივ, თოვლიან მწვერვალს
და ის მიიღეს ზეცად (ცისა და მიწის შუა).
დელფოსის მთაზეც გაბატონდნენ, დოდონაშიაც*,
და მთელ დორიულ მიწა-წყალზე გაშალეს ზღვარი.
დანარჩენები მოხუც სატურნს გაჰყვნენ, გადასჭრეს
ადრიატიკი, ჰესპერიდის მინდვრებს მიადგნენ,
და კელტებისკენ შეჰყვნენ, ზემო კუნძულებისკენ*.
    იმათთან ერთად სხვა სულების დასიც მოჯარდა,
და რა იხილეს წინამძღოლი ქედმოუხრელი,
რა დაინახეს ყველაფერი არ დაკარგულა, —
სასოწარკვეთით თავდახრილებს, ცრემლმორეულებს,
თვალში იმედის ნაპერწკალი აუელვარდათ.
სატანას სახე შეუფაკლდა სირცხვილისაგან,
მაგრამ ჩვეული სიამაყით წამოიმართა
და გულზვიადის, ქედმაღლურის უხვსიტყვაობით
მან გულგატეხილთ ვაჟკაცური სული შთაბერა,
მოხერხებულად გაუფანტა შიშის ღრუბელი.
მერე კი ბრძანა, ბუკისა და წინწილ-საყვირის
საბრძოლო ხმებში მძლე ალამი ზეაღემართათ.
    მყის გოლიათმა ქერუბიმმა აზაზიელმა
მედროშის საქმე, საამაყო, თავად იკისრა.
ძვირფასი თვლებით მოელვარე, მოოქროვილი
და სერაფიმთა გამარჯვების გამომხატველი
სამეფო დროშა გაშალა და მეტეორივით
სულ მაღლა, ქართა სამეფოში ააფრიალა.
აბჯართ ელარუნის მედიდურმა, მრისხანე ხმებმა,
შეერთებულმა ანგელოზთა მძლე ყიჟინასთან,
შეაზანზარა ჯოჯოხეთის ქვესკნელის თაღი
და შეაძრწუნა ქაოსის და ღამის სამეფო.
ერთი წამიც და, უკუნეთი ჯოჯოხეთისა
ათიათასმა ბაირაღმა ააფერადა,
შუბის ტყე დადგა, აელვარდენ მუზარადები
და უთვალავი ფარის წყება წამოიმართა.
მერე გუნდ-გუნდად დაწყობილნი, მწყობრის ნაბიჯით
წინ გაემართნენ დორიულის საყვირებისა
და უფრო ნაზის სალამურის ხმაზე ისინი.
ეს ხმა ძველ გმირებს, საბრძოლველად გამზადებულებს,
უსპეტაკებდა სულს და გრძნობებს და აღაგზნებდა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

არა მხეცური გახელებით, — ის უნერგავდა
უდრეკ სიმტკიცეს, მამაცობას; დაავიწყებდა
სიკვდილის შიშს და სამარცხვინო უკუქცევასა.
ტკბილხმოვანება იმავ ჰანგთა მოკვდავს და უკვდავს
გაუფანტავდა მოუსვენარ ფიქრებს, ტკივილებს,
შიშს, წყენას, ეჭვებს, წამებას და მძიმე სატანჯველს...

ასე, ერთნაირ ფიქრებითა და ერთის ძალით,
ნელის ნაბიჯით, მდუმარებით გზას განაგრძობდნენ,
და ცეცხლმოდებულ მიწაზე სვლით განცდილ ტკივილებს
სალამურების ტკბილი ჰანგი უმსუბუქებდათ.
რა გაიარეს მცირე რამ გზა, ხელახლა შედგნენ
და სატანის წინ, უძველესი მხედრობის გვარად,
აელვარებულ იარაღით აღჭურვილები,
მომარჯვებულის შუბითა და ფარხმალით ხელში,
მწყობრში განლაგდნენ, გადასჭიმეს მრისხანე ფრონტი,
უხმოდ ელოდნენ დიდი სარდლის განკარგულებას.
სატანამ მყისვე გადაავლო თვალი ამ ლაშქარს,
კარგად გაზომა ყველა მწყობრი, აღჭურვილობა,
მათი ღვთიური აღნაგობა, ახოვანება.
ბოლოს კი დინჯად დაითვალა ლაშქრის სიმრავლე.
გული აევსო სიამაყით, უცებ გამხნევდა!
არვის ენახა, ღვთის გაჩენილს, მსგავსი მხედრობა,
მათთან ყოველი, დარაზმული ქვეყნად ლაშქარი,
წეროსთან მებრძოლ პიგმეებად გეჩვენებოდათ;
ვერც გოლიათი ფლეგრელები* შეედრებოდნენ,
ვერცა გმირები თებესი და ილიონისა,
ბრძოლებში მუდამ ღმერთებისგან გულმოცემულნი,
ვერც თუ მხედრობა ართურისა, ხშირად ნაქები,
სხვა ბრიტანელი რაინდებიც, არმორიკებიც,
სხვაცა მრავალი, ქრისტიანნი და ურჯულონი,
შეჯიდებულნი დამასკოსა, ასპრამონტოში,
მონტალბანსა თუ მაროკოში და ტრაპიზონში*,
ვერცა ლაშქარი აფრიკიდან წარმოგზავნილი
ბისერტას მიერ, როს კარლოსი თავის მხედრობით,
ბრძოლების შემდეგ, განადგურდა ფონტარაბიას.
მთელი ლაშქარი, უბადლო და ძლევამოსილი,
უხმოდ უჭვრეტდა შეუპოვარ, მრისხანე სარდალს.
ისიც ამაყი, ახოვანი, სწორუპოვარი
აღმართულიყო მებრძოლთ შორის მაღალ კოშკივით.
ჯერ ელვარება სულ მთლიანად არ ჩაქრობოდა,
კვლავ შერჩენოდა სახე მთავარანგელოზისა,
თუმც რამდენადმე მის დიდებას ჩრდილი ებურა;

www.PDF.ChiaturaINFO.GE



www.PDF.ChiaturaINFO.GE

მზეც ასეთია ამოსვლის დროს, სხივმოკვეცილი,
როს ჰორიზონტზე გამოჩნდება, ნისლმობურული,
ან როცა მთვარე ეფარება დაბნელების ჟამს:
ქვეყნის ნახევარს მაშინ მკრთალი შუქი ანათებს
და მომავალი განკითხვის დღე აძრწოლებთ მეფეთ.
სატანაც მაშინ იმ მზეს ჰგავდა, ჩრდილი ებურა,
მაგრამ ყველაზე მოელვარე ის იყო მაინც.
სახეზე კვლავაც აჩნდა მეხის ნაიარევი
და ზრუნვისაგან მის ღაწვებსაც მიხდოდა ფერი.
მაგრამ შუბლს ქვემოთ, მამაცობის გამომხატველი
და დაუცხრომელ შურისგების მკაცრი ნიშანი,
კვლავ მრისხანებით ელვარებდნენ მისი თვალები.
ამ მკაცრ მზერაში იგრძნობოდა ღრმა თანაგრძნობაც
და სინანულიც, როს ხედავდა თანამგმობართა,
ან, სჯობს ასე ვთქვათ, მიმდევრებსა, ოდესღაც ნეტართ,
აწ კი განწირულთ სამუდამო სატანჯველისთვის;
მის გამო სულთა მილიონებს წარსტაცეს ზეცა
და მარადიულ სასუფეველს ჩამოაშორეს.
დიდებამჭკნარნი, მაინც მისი ერთგული დარჩნენ!
ასევე დგანან ზეცის ცეცხლით დალახვრულები
მუხები ტყეში, ან ნაძვები მთის მწვერვალებზე:
ძირს გადამწვარა ყველაფერი, იმათ კი მაინც,
არ დაუხრიათ დამეხილი კენწეროები.

რაკი შეატყვეს, სარდალს ჩვენთვის სიტყვის თქმა სურსო,
მხედრობა მყისვე, მწკრივში ორ ფრთად განლაგებული,
მას და მის მთავართ ნახევარწრედ გარსშემოერტყა.
სმენად გადიქცნენ. — სამჯერ სცადა სიტყვა დაეძრა,
მაგრამ სამჯერვე მას ცრემლებმა არ დააცალეს,
და თუმცა რისხვით იყო გზნებულ, მაინც ქვითინი
წასკდა, ტიროდა — ვით ანგელოზს ძალუძს ტირილი.
ბოლოს, სიტყვები, როგორც იქნა, ჩააწნა ოხვრას
და გზა გაეხსნა იმის სათქმელს, ასე დაიწყო:

„უკვდავ სულების უთვალავო, მძლავრო მხედრობავ,
ძლევამოსილნო! მხოლოდ ღმერთმა გძლიათ თქვენ ერთხელ,
მაგრამ მაშინაც სამარცხვინოდ არ დაცემულხართ;
წილად გხვდათ მეტად მწარე ბედი, ამას ღაღადებს
ესე ადგილიც, ეს ცვლილებაც, რისი თქმაც მიჭირს.
თუმც რა გონებას — წარსულის და მომავლის მჭვრეტელს,
რა ღრმა ცოდნას და დაკვირვებას შეეძლო ეგრძნო,
რომ შეერთებულ ღმერთთა ძალას, მრისხანე ლაშქარს,
ასე ქედმაღალს, დამარცხება ხვდებოდა წილად.
ან, დამარცხების შემდეგ, თუნდაც, ვინ დაიჯერებს,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რომ ამ ძლიერთა ლეგიონთა, რომელთა წასვლამ
სულმთლად დასცალა ცის სამეფო, ისევ არ ძალუძთ
აღდგნენ, ამხედრდნენ, დაიბრუნონ სასუფეველი!
დე, დამიმოწმონ ზეცის მკვიდრთა: არც ცუდი რჩევით,
არც სამარცხვინო შიშითა და უკანდახევით,
ჩვენი იმედი, ჩემდა თავად, არ დამიღუპავს!
მან შესძლო მხოლოდ, ცის მეუფემ, — რომლისაც ტახტი
გამაგრებულა ძველთაგანვე, — ძველი სახელით,
გამოცდილებით, ცბიერებით, ძალის დაფარვით,
ვეცთუნებიეთ ბრძოლისათვის, და დაგვცა კიდეც.
ახლა ხომ ვიცნობთ იმის ძალას და ჩვენს ძალასაც:
ნუ გამოვიწვევთ კვლავ საომრად, ნურც შევშინდებით,
თუ ის პირველი გამოგვიწვევს. სჯობს ვიმოქმედოთ,
ფარულად, ჩუმად. რასაც ბრძოლით ვერ მივაღწიეთ,
ის მოვიპოვოთ ცბიერებით, გაიძვერობით.
დე ჩვენგან მიხვდეს: მხოლოდ ღონით ძლეული მტერი,
ძლეული არის სანახევროდ. სივრცეს კვლავ ძალუძს, —
შექმნას ახალი რამ სამყარო. ზეცაში უკვე
დიდი ხანია ხმები დადის დაბეჯითებით,
რომ განუზრახავს უფალს შექმნას ახალი არსი, —
მისთვის ისევე საყვარელი, ვით ზეცის შვილნი, —
და დაასახლოს ახლად შექმნილ იმ სამყაროზე.
ჩვენც იქით უნდა გავემართოთ, თუნდაც უბრალოდ
იმ ახალ მოდგმის სანახავად, ... ან სხვაგან სადმე.
ველარ იხილოს ჯოჯოხეთის უფსკრულმა მეტად,
ციურნი სულნი დაცემულნი ასე მონურად,
ველარც ამ ჯანღმა ვერ დაგვფაროს სამარადჟამოდ!
ჩემი ფიქრები თქვენთან ბჭობით უნდა მომწიფდეს.
მორჩა მშვიდობა! ვინ იფიქრებს დამორჩილებას?
ომი! აწ, ომი! ან აშკარა, ანდა ფარული!"

თქვა ეს სატანამ. მისი სიტყვის დადასტურებად
უცებ იელვა მილიონმა მახვილმა ერთად
და ჯოჯოხეთის ჯურღმულები გააცისკროვნა;
სასტიკი რისხვით თვით უმაღლესს ემუქრებოდნენ,
ხმალს მედგრად სცემდნენ წკრიალა ფარს, და ეს ჟღარუნი,
როგორც საბრძოლო გამოწვევა, — ზეცას სწვდებოდა.

იქვე მახლობლად ბორცვი იყო შემაღლებული,
რომლის პირქუში მწვერვალიდან კვამლი ბოლავდა,
ხოლო ფერდობებს მოლაპლაპე ქერქი ეფინა —
ჩანდა, ფოლადის და გოგირდის საბადო იყო.
ვით მესანგრენი, ბარ-წერაქვით აღჭურვილები,
მეფის მხედრობას გაუსწრებენ სანგრის საჭრელად,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ან მიწაყრილის დასაზვინად, — ისევე ახლაც
ფრთოსან მებრძოლთა ერთმა გუნდმა იქით გასწია.
წინ მიუძღოდა მამონ*, — მამონ, მდაბალი სული;
ცაშიაც მისი ფიქრი, მზერა მიპყრობილ იყო
მუდამჟამ დაბლა. ფეხით თელილ ოქროს უმზერდა
და ცის სიმდიდრით იყო უფრო გატაცებული,
ხოლო ცის ხილვა სანეტარო და ღვთაებრივი
არად მიაჩნდა. მან პირველმა, ადამიანებს
ასწავლა ძარცვა წიაღების და ბილწი ხელით
მშობელი მიწის გულის ჩიჩქნა იმ განძისათვის,
რომელიც ჯობდა ყოფილიყო იქ დამალული.
მალე ამ ხროვამ მთის კალთასაც გაუჭრა მკერდი,
ამოუჩიჩქნა, ოქროს ჩონჩხი ამოაცალა, —
ნუ გიკვირთ, ოქროს ჯოჯოხეთში რა უნდოდაო, —
ყველაზე მეტად მას შეჰფერის ძვირფასი შხამი.

დაე, იხილოს, ვინც ტრაბახობს მოკვდავთა საქმით,
ვინც გატაცებით ბაბილონის ზღაპრებსა ჰყვება,
ვისაც მემფისელ მეფეების ღვაწლი იტაცებს,
რომ მოკვდავების გოლიათურ, ქებულ ქმნილებებს,
უთვალავ ხელის ნაჩუქურთმევს, ოსტატთა ნაღვაწს,
ასეულ წლობით ჭაპან-წყვეტით ნაამაგარსა,
განდევნილ სულთა წამიერი საქმე დაჩრდილავს.
იქვე, მინდორში ერთმა ჯგუფმა დადგა ქოხები,
ქოხებქვეშ, არხში, ცეცხლის ღვარი ედინებოდა,
მახლობელ ტბიდან მომდინარე; მეორე ჯგუფი
გასაოცარის ხელოვნებით ადნობდა ფოლადს
და ყველა სახეს სულ ცალ-ცალკე ახარისხებდა;
ამასობაში, ამ ფოლადის გამოსაკვეთად,
მესამე ჯგუფმა ჭა გათხარა სხვადასხვა ფორმის
და იმ თუხთუხა ქოხებიდან გადმონადენი
მდნარი ოქროთი ივსებოდა ეს ორმოები;
ვით ორლანოში — ერთი მხრიდან ჩაჰბერავს კაცი
და სხვადასხვა მილს ააჟღერებს სხვადასხვა ხმაზე.

ტკბილი ჰანგების და გალობის საამურ ხმებში,
უმალვე ორთქლის სიმსუბუქით აიჭრა ცაში
უზარმაზარი რამ შენობა, როგორც ტაძარი.
გარს შემორტყმოდა მომხიბლავი პილიასტრები
და თან სვეტები დორიული, ოქროთ ნაჭედი;
არ დავიწყნოდათ საგანგებოდ ნაჩუქურთმევი,
არცა ოქროსი ლავგარდანი, არც ოქროს ქობი,
და სახურავიც მტკიცედ ნაჭედ ოქროსი ჰქონდა.
ბრწყინვალებითა და დიადი მომხიბლაობით

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ამ დიად ტაძარს ოდნავაც ვერ შეედრებოდა
ვერც ბაბილონის, ვერც ქაიროს სრასასახლენი,
აშენებულნი სერაპისის, ბელოს* სახელზე,
ანუ მემფისელ მეფეთათვის,—როცა ეგვიპტე
ფუფუნებაში ძველ ასურეთს ეჯიბრებოდა.

იდგა ტაძარი, მედიდურად ამაღლებული.
უეცრად ფართოდ გადაიხსნენ ბრინჯაოს კარნი
და ხილულ გახდა გადაშლილი, ვრცელი დარბაზი;
ქვეშ იატაკი—გლუვი, სწორი, გუმბათიდანაც
უხილავ ძალით დაშვებული უთვალავ მწკრივად,
ასფალტისა და ნავთის ზეთით გაჩაღებული,
ვარსკვლავებივით მოციმციმე ლამპართ კრებული.
როგორც ზეცაში—კაშკაშებდა აქ ყველაფერი.
შეიჭრა გუნდი აღტაცებულ ანგელოზების:
ვინ ტაძარს აქებს, ვინ ადიდებს ხუროთმოძღვარსა.
მისი ხელობა ზეცაშიაც ბევრი უხილავთ—
მან ააშენა კოშკმაღალი სასახლეები,
სადაც თვით დიდი და მაღალი მეუფის ნებით,
ლაღად მეფობდნენ კურთხეული ანგელოზები
და განაგებდნენ დიდებულად თავიანთ დასებს.
მისი სახელი ელადაშიც არ იყო უცხო,
ავზონიაში* მულციბერი* შეარქვეს იმას
და შეთხზეს მითი, თითქოს ზევსმა, განრისხებულმა
ის გადმოსტყორცნა ციდან, ბროლის ქონგურებიდან;
თითქოს ზაფხულში, დილიდანვე გადმოსროლილი,
ძირს ეშვებოდა შუადღემდე, შებინდებამდე,
და მზის ჩასვლისას, ვით ვარსკვლავი, ცას მოწყვეტილი,
იგი დაეცა ეგეოსის ზღვაში, ლემნოსზე*.
მაგრამ მცდარია ეს თქმულება. სინამდვილეში,
სხვა ამბოხებულ ანგელოზთა დასებთან ერთად,
ის უფრო ადრე ჩამოვარდა; ველარ უშველა
ვერცა ხელობამ, რომ კოშკები ეგო ზეცაში,
ვერც ვერაფერმა მანქანებმა ველარ უშველეს,
და თავისივე ოსტატებით, ის თავდაყირა
ძირს ჩამოვარდა, ჯოჯოხეთში სამოღვაწეოდ.

ამასობაში მაცნეებმა, ფრთაშესხმულებმა,
დიადი სარდლის ბრძანებითა და დავალებით,
საყვირის ხმებით, საშინელი ზეიმ-ზარებით,
აუწყეს დასებს, რომ მყისავე პანდემონიუმს,*—
სატანისა და მის მთავართა საბრძანებელში,—
გაიმართება საზეიმო ბჭობა სულების.
თითო დასიდან მოუხმობდნენ თითო მეთაურს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და გაეშურნენ მხლებლებითურთ ასნი, ათასნი...
გაივსო ყველა შესასვლელი, ფართო თაღები,
აღარც კარებში იყო ტევა, აღარც დარბაზში,
რომელიც გაშლილ მინდორს ჰგავდა, საასპარეზოს, —
სადაც გმირები აღჭურვილნი, ამხედრებულნი,
სულთანის ტახტთან შეებმიან ურთერთს ბრძოლაში,
ანუ ერთმანეთს შუბის მარდად ტყორცნაში ცდიან. —
ტევა არ იყო არც მიწაზე, არცა ჰაერში,
სადაც უწყვეტლივ გაისმოდა ფრთების ტლაშუნი.
ვით გაზაფხულზე, როდესაც მზე ტავრს* გადმოხედავს,
მოეფინება გუნდ-გუნდებად ფუტკარი მინდორს,
და თავს დაჰფრენენ დილის ცვარით დანამულ ყვავილს;
ან როცა სანთლით ნაგლეს ფიჭას მიუსხდებიან;
და ბჭობენ დღიურ საქმეებზე, თავის ყოფაზე, —
ისე სულებიც დას-დასებად დაზუზუნებდნენ.

მაგრამ უეცრად... ო, იხილეთ საკვირველება!
მისცეს ნიშანი, და უმალვე ეს გოლიათნი,
რომლებიც მიწის დევებსაც კი აღემატოდნენ,
ჯუჯა კაცებად გადაიქცნენ, ერთად შეჯგუფდნენ,
მყის დაემსგავსნენ ინდოეთში მცხოვრებ პიგმეებს;
ელფებსაც ჰგავდნენ, რომელთა ლხინს, დიდსა ღრეობას,
ტყის განაპირად, თუ მდინარის მახლობლად სადმე,
დაგვიანებით მომავალი გლეხი შეჰყურებს,
ან ეჩვენება შევყურებო. მთვარე კი ამ დროს
ზემოდან დინჯად უჭვრეტს ამას და ფერმიხდილი,
ნელი გოგმანით დედამიწას უახლოვდება.
ჭინკების ცეკვა, მხიარული სიცილ-კისკისი
და საამური მუსიკის ხმა გლეხს სმენას უტკბობს,
გული შიშით და სიხარულით შეეკუმშება...
ასე, ვეება, გოლიათი სულები უცებ
სულ პაწაწინა და ნამცეცა სულებად იქცნენ,
დასხდნენ ხალვათად ჯოჯოხეთის ამ დიდ დარბაზში.
იმათგან ცოტა მოშორებით ოქროს ტახტებზე,
თავის ჩვეული სიდიადით, ახოვანებით,
ათასნი დიდნი ქერუბიმნი, წარჩინებულნი,
ნახევარ ღმერთნი, სვიანნი და დიდნი სარდალნი,
წრედ დამსხდარიყვნენ საიდუმლო დიდი ბჭობისთვის.
წამით სიჩუმე ჩამოვარდა, მერე გაისმა
ხმა მოწოდების და დიადი კრება დაიწყო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

წიგნი მეოთხე

შინაარსი

დაიწყება თუ არა თათბირი, სატანა საკითხსა სვამს — ზეცის სასუფეველის დასაბრუნებლად საჭიროა თუ არა გავბედოთ და თავგანწირვით ვიბრძოლოთო. ზოგი მომხრეა ბრძოლისა, ზოგი — წინააღმდეგი. მიიღებენ მესამე მოსაზრებას, რაც ადრეც ახსენა სატანამ: შეამოწმონ ჭეშმარიტება ზეცაში ფართოდ გახმაურებული წინასწარმეტყველებისა—ახალი ქვეყნისა და იმ ახალი ქმნილების შესახებ, რომელიც მათივე ბადალი, ან ოდნავ მათზე უფრო დაბლა მდგომი უნდა იყოს, და რომელიც იმ დროისათვის ალბათ უკვე შექმნილი იქნებოდა. ყოყმანი იმაზე, თუ ეს ძნელი საქმე ვის დაავალონ, გამოსარკვევად ვინ გაგზავნონ. მათი ბელადი სატანა თვითონვე იკისრებს გამგზავრებას. ამ განცხადებას დიდი პატივისცემითა და მოწონებით შეხვდნენ. ბჭობა დამთავრდა. სატანის დაბრუნებამდე, ანგელოზები თავიანთ გზასა და თავიანთ საქმეს დაადგებიან, ვისაც რა უნდა, იმას აკეთებს. სატანა ჯოჯოხეთის კარებისაკენ გაემართება. კარები დაკეტილია და აქეთ-იქით გუშაგები უდგანან. გუშაგები ბოლოს გაუხსნიან კარებს. ჯოჯოხეთსა და ზეცას შორის გამოჩნდება ვეებერთელა უფსკრული. მოთხრობილია რა ვაი-ვაგლახით გადალახავს უფსკრულს სატანა, რომელსაც ამ უფსკრულის მბრძანებელი ქაოსი მიასწავლის გზას ახალი ქვეყნისაკენ.

განცალკევებულ, შემაღლებულ სამეფო ტახტზე, —
რომლის მდიდრული მორთულობა ჩრდილს აყენებდა
ორმუსისა* და ინდოეთის განთქმულ სიმდიდრეს,
და აღმოსავლეთს დიდებულსა, სადაც მეფეებს
თავზე აფრქვევენ ოქროებსა და მარგალიტებს, —
აღზევებული, მედიდური სატანა იჯდა.
ჯერ განწირული, მერე ისე ამაღლებული,
რომ ამ სიმაღლეს ოცნებაშიც ვერ მიწვდებოდა,
უძღები სული ახლა უფრო მაღლა მიიწევს,
რომ ფუჭი ომი გაუმართოს ზეცაში ღმერთსა.
ეტყობა ჭკუა ვერ ასწავლა გამოცდილებამ
და ზვიადური ოცნებანი ასე გამოთქვა:

„ხელისუფალნო, ღვთაებანო, დიდნო მთავარნო,
არსად არ არის ისე ღრმა და ბნელი უფსკრული,
რაც უკვდავ ძალებს, თუნდაც გვემულთ, შთანთქავდეს სულმთლად.
მე არ ვთმობ ზეცას. უფსკრულიდან ამაღლებულნი
უფრო ძლიერნი გამოვჩნდებით, უფრო საშიშნი,
და გულმოცემულთ ვეღარაფერს დაგვაკლებს ბედი.
ზეცის ურყევმა კანონებმა მე დამაკისრეს
ვიყო ბელადი, — თქვენ თვითონაც ასე ინებეთ,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მეც ბრძოლით, რჩევით დავიმკვიდრე წინამძღვარობა.
ამ დამარცხებით ჩემი ტახტი უფრო განმტკიცდა,
ეს თქვენ ინებეთ, — შურიც გულში არვის აღეძვრის:
ზეცაში მყოფსა ბედნიერსა, დიდებით ქებულს
ხელქვეითებში ძალუძს შურის გრძნობა აღაგზნოს,
მაგრამ ასეთი განდიდება ვის შეშურდება,
როს მაღლა მყოფი მეხს პირველი შეუშვერს თავსა
და თქვენ გიფარავს? როცა იგი სამარადჟამოდ
განწირულია ტანჯვისა და წამებისათვის?!
სადაც არ არის სიკეთე და ბედნიერება,
იქ არასოდეს არ იქნება ბრძოლა-ცილობაც.
ვინ მოისურვებს ჯოჯოხეთში წინამძღვარობას?
ან ვინ იქნება ისე ხარბი, პატივმოყვარე,
რომ არ დასჯერდეს მცირე ტკივილს, მცირე სატანჯველს
და უფრო დიდი წამებისთვის უწევდეს გული!
მაშ ამან უფრო შეგვაერთოს, შეგვამჭიდროვოს,
და ერთგულებით, მოუდრეკი ერთსულოვნებით
კვლავ აღვიდგინოთ დაკარგული სასუფეველი.
აქ ჩვენ გვექნება, — ნეტარების დასამკვიდრებლად, —
მეტი სიმტკიცე, ვიდრე გვქონდა ზეცაში ნეტართ.
ახლა შევყრილვართ, ბრძოლის გეგმა ერთად განვსაჯოთ:
ომი აშკარა, თუ ფარული და ვერაგული?
თუ ვინმეს ძალუძს რჩევა მოგვცეს, — თქვას, ნებას ვაძლევ".

თქვა მან. — უმალვე წარსდგა მოლოქ, გვირგვინოსანი,
უძლიერესი და მძვინვარე სული ზეცისა,
განწირულებით კიდევ უფრო გააფთრებული.
მას ძლიერებით უფლის ტოლად მოჰქონდა თავი
და სხვაგვარ ყოფას, ის ერჩივნა არც ყოფილიყო.
ამიტომ შიში უცხო იყო მოლოქისათვის,
და არც ჯოჯოხეთს, აღარც უფალს ეპუებოდა.
მან შეკრებილებს მოახსენა ასეთი რჩევა:

„აშკარა ომი! ცბიერებით ვერ დავიკვეხნი,
არ ვარ ჩვეული, და თუ ვინმეს სურს ვერაგობა,
დე როგორც სურდეს, ოღონდ სხვა დროს — არა ამჟამად!
ვიდრემდე ჩვენ აქ დავაწყობდეთ ვერაგულ გეგმებს,
მილიონები — საბრძოლველად ამხედრებულნი
და გალაშქრების, ბრძოლის ნიშნის მომლოდინენი —
აქ უნდა ისხდნენ? ვით ლტოლვილნი, დამარცხებულნი,
ტყვეების მსგავსად ზოზინებდნენ იმის დილეგში,
ვინც სწორედ ჩვენი დაყოვნების წყალობით მეფობს?!
არა, ისა სჯობს ჯოჯოხეთის ცეცხლით და რისხვით
აღჭურვილები მივესიოთ ცის მაღალ კოშკებს:

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტანჯვა — საშინელ იარაღად გადავაქციოთ
და მისი ძალა თვითონ მტანჯველს განვაცდევინოთ;
მისი მძვინვარე, შემაზრზენი მეხის პასუხად,
ჩვენ ჯოჯოხეთის მეხთატეხა მოვასმენინოთ;
ელვის წილ — შავი ცეცხლის ღვარი და მრისხანება
გადავანთხიოთ მის ანგელოზთ; და უფლის ტახტი
გავხვიოთ შავი ცეცხლისა და გოგირდის ალში,
რომელიც თვითვე მოიგონა ჩვენს საწამებლად.
იქნებ მტრის ძლევა, გადალახვა ციცაბო კლდისა
და გაშლილი ფრთით აღმაფრენა გგონიათ ძნელი?!
თუ არ ჩაფლულხართ დავიწყების ტბაში მთლიანად,
მაშინ დაფიქრდით: ჩვენ ზეფრენით მაღლა მივიწევთ,
რომ აღვიდგინოთ დაკარგული სასუფეველი, —
ჩვენი სტიქია თავიდანვე აღმაფრენაა,
ქვეფრენა, მარცხი ჩვენს ბუნებას არც კი შეჰფერის.
ნუთუ არ გახსოვთ, როცა მტერმა, გააფთრებულმა,
ზურგი მოგვტეხა, დაგვამცირა, ქვეჩამოგვრეკა, —
როგორი ტანჯვით, ტკივილებით, ვაი-ვაგლახით
ვიძირებოდით ჯოჯოხეთის ღრმა ჯურღმულებში?!
აღმა ფრენა კი სულ ადვილი იქნება ჩვენთვის.
ეგება შიშობთ — მტრის ხელახლა გამძვინვარებით
და საბრძოლველად გამოწვევით, ჩვენ უარესი
საშინელება და რისხვა თავს არ დაგვატეხონ;
მაგრამ აქ მყოფებს უარესის შიში გვექნება?!
ან ჯოჯოხეთზე უარესი რა უნდა იყოს?
აქ უნდა ვეგდოთ, მოკლებულნი ძველ ნეტარებას,
და ამ საზარელ ჯურღმულებში ვაი ვიძახოთ,
დაუშრეტელი ცეცხლის ალში უნდა ვეწამოთ
და მისი რისხვის უიმედო მონები მარად
უნდა ველოდოთ მათრახებს და ულმობელ დასჯას!
ამაზე უფრო საშინელი ტანჯვა-წამება
გაგვანადგურებს ჩვენ მთლიანად, მოგვსპობს, გაგვაქრობს.
მაშ რალას ვშიშობთ? რას ვყოყმანობთ — ყოვლად ძლიერი
ამაზე უფრო მეტად აღარ განვარისხოთო?
განრისხებული, იგი სულმთლად აღგვგვის, გაგვაქრობს,
არარაობად გვაქცევს ყველას, — მით უკეთესი:
მარად წამებას მთლად მოსპობა არა სჯობს განა?!
მაგრამ თუ მართლაც არსი ჩვენი ღვთაებრივია,
უკვდავნი თუ ვართ — მაშინ, აბა, რის გვეშინია!
ჩვენ ერთხელ უკვე დავამტკიცეთ, რომ ძალა შეგვწევს
შევაზანზაროთ ცის სამეფო. — დე, განუწყვეტლივ,
ჩვენი მხედრობის შეჭრის შიშით ძრწოდნენ ზეცაში!
რა ვქნათ, რომ ღვთის ტახტს მიუვალს ხდის, ამაგრებს ბედი:
თუ გაშარჯვებას ვერ მივაღწევთ — შურს ხომ ვიძიებთ!"

www.PDF.ChiaturaINFO.GE

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რა დაამთავრა — მოიღრუბლა, კოპები შეჭკრა,
შურისგებით და ბრძოლის ჟინით აენთო თვალნი...
ღმერთების გარდა, ყველას შიშით შეაძრწუნებდა.
იქითა მხრიდან ბელიარი წამოდგა მაშინ,
შესახედავად უფრო სათნო და გულმოწყალე,
ყველაზე მეტად მშვენიერი ბოროტ სულთაგან,
თითქოს დიდსა და ქველ საქმისთვის გაჩენილაო,
მაგრამ ნამდვილად იყო ყალბი, გამოფშუტული;
ტკბილმოუბრობდა და მანანას აფრქვევდა ენით,
ყოვლად სანუკვარს უხამს რამედ მოგაჩვენებდათ,
გონივრულ აზრსა და ბრძნულ რჩევას გააყალბებდა,
რადგანაც მუდამ მოქმედებდა ქვენა ფიქრებით;
მანკიერებას ის მისდევდა გულის წადილით,
სათნო საქმეში კი ზანტი და მშიშარა იყო.
სმენას მუდამჟამ სასიამო სიტყვით ატკბობდა;
ახლაც წამოდგა და დაიწყო მთამაგონებლად:

„მეც ვიქნებოდი, დიდებულნო, მომხრე ომისა, —
რადგანაც მტერი მეც როდი მძულს თქვენზე ნაკლებად, —
მაგრამ მთავარი მიზეზები, რისთვისაც ახლა
დაცემულ სულებს მყის საომრად მოგვიწოდებენ,
არ მიმაჩნია გონივრულად, წინაგრძნობა მაქვს,
რომ ამ ბრძოლაში შევეყრებით კვლავ ბოროტებას.
ომებში ჩვენზე უფრო მეტად გამობრძმედილი
თვითონვე შიშობს: რჩევას გვაძლევს და თან ყოყმანობს,
გმირობის წყაროდ მიაჩნია განწირულება,
და საშინელი შურისგების შემდეგ, ის არჩევს
მოვისპოთ, გავწყდეთ, თითქოს მიზნად ეს დაესახოს.
მაგრამ ჯერ ვნახოთ, მოვახერხებთ შურისძიებას?
აბჯარასხმული გუშაგები იცავენ ზეცას,
რომლებიც ხშირად უფსკრულებშიც ჩამოვლენ ხოლმე,
დასცემენ ბანაკს, ჩაშავებულ ფრთებს ფართოდ შლიან,
და ღამის ვრცეულ სამეფოში დაფარფატებენ.
თუნდ მოვახერხოთ, ძალადობით გზა გავიკაფოთ,
და მარად წმიდა ცის ნათელის დასაბნელებლად
თან გავიყოლოთ ჯოჯოხეთის ყოველი მკვიდრი,
ჩვენ დიადი მტრის უმწიკვლო ტახტს მაინც ვერ შევძრავთ.
შეუბღალავი, შეურყვნელი ეთერი ცისა
არ მიიკარებს არავითარ მანკიერებას,
ჯოჯოხეთის ცეცხლს ძირს ჩამოყრის, გამარჯვებული,
და საბოლოოდ დაგვემსხვრევა ყველა იმედი.
ჩვენ აქ გვირჩევენ ყოვლისშემძლე გავაგულისოთ,
რომ შემდეგ მთელი მრისხანება თავს დაგვატეხოს
და ერთიანად მოგვსპოს, მოგვსრნას, განწირულები.
ხსნას — საბოლოო მოსპობაში ხედავენ მხოლოდ!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მეტად ვალალი ხსნა იქნება! ვინ ჩვენთაგანი,
თუნდ აუტანელ ტკივილებსაც ის განიცდიდეს, —
მოისურვებდა ცნობიერი ყოფა დაეგმო,
დაეგმო აზრი, რომელიც სჭვრეტს მარადისობას,
და მოკლებული მოძრაობას, ცნობიერებას,
ჩაკარგულიყო ბნელი ღამის ვრცელულ საშოში?!
თუნდაც ეს ჩვენთვის სასურველი სიკეთე იყოს,
განრისხებულ მტერს ძალუძს მოგვცეს ესე სიკეთე?
ან მოისურვებს? საეჭვოა რომ ეს შეიძლოს,
ხოლო თვითონ რომ არ ისურვებს — ეს აშკარაა.
ასეთი ბრძენი, რისხვას აბა როგორ გამოლევს?
მტრებს აბა როგორ შეუსრულებს გულის საწადელს?
რად მოსპობს უცებ, როცა რისხვას დაზოგვით ხმაროობს,
რათა გვაწამოს უსასრულოდ! „რად ვაყოვნებთო“, —
გვეკითხებიან ჩვენ აშკარა ომის მომხრენი, —
„სამარადჟამო სატანჯველით დასჯილ ანგელოზთ
რისიღა შიში უნდა გვქონდეს? რაც არ უნდა ვქნათ,
უფრო უარესს სხვას რას უნდა მოველოდეთო?“
მაშ ერთად ყოფნა, ერთად ბჭობა, აღჭურვილობა,
ყველაზე უფრო საშინელი სატანჯველია?
როს კისრისტეხით ჩამოვეშვით სასუფევლიდან,
მძვინვარე მეხით დევნილნი და განწირულები,
თავშესაფარად ხომ ჯურღმულებს ვეძებდით მაშინ,
თითქოს ჭრილობებს ჯოჯოხეთში მოვიშუშებდით!
დაბორკილები მოგიზგიზე ტბაში ვეყარეთ!
აი, ის მართლაც უარესი ყოფის დღე იყო!
იმ სუნთქვამ, რამაც საშინელი ცეცხლი აღაგზნო,
ვაითუ ახლა, გაღვივებით, შვიდჯერაც მეტად
წამოუბეროს და ჩაგვძიროს ცეცხლის უფსკრულში;
მიძინებულმა შურისგებამ, ვაითუ კვლავაც
ცეცხლის მარჯვენა ზეალმართოს ჩვენს საწამებლად;
ვაითუ, უცებ გადაიხსნას ზეცის კარები,
ქვესკნელის თაღზე გადმოეშვას ცეცხლის ჩანჩქერი
და თავს დაგვატყდეს ძრწოლვის მომგვრელ საშინელებით!
ვიდრე დიდებულ ომისათვის აქ ვემზადებით,
ვინ იცის, იქნებ დატრიალდეს ცეცხლის გრიგალი,
გვაბორიალოს, გადაგვტყორცნოს და მიგვაჯაჭვოს
პიტალო კლდეებს, ან შეგვბორკოს და სამუდამოდ
იმ მოთუხთუხე ოკეანის ფსკერზე ჩაგვყაროს,
რათა ვეყაროთ მარადიულ ოხვრა-კვნესაში,
სულშეხუთულნი, წამებულნი, უიმედონი,
სამარადჟამოდ მოკლებულნი გულმოწყალებას.
აი, ეს მართლაც უარესი ყოფა იქნება!
ომს — თუნდ აშკარას, თუნდა ფარულს — მე არ ვემხრობი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვინ რას გააწყობს გინდა ძალით, გინდ ცბიერებით,
ანდა ვინ შესძლებს გაცურებას ზენაარისას?
ის თვალს გადაჰკრავს და ყველაფერს შეიცნობს მყისვე,
ახლაც გვიცქერს და ეცინება ჩვენს ფაციფუცზე.
ყოვლისშემძლეა და ადვილად გაგვიმკლავდება,
ბრძენიც არის, რომ ჩაგვიშალოს ყველა ხრიკები.
იქნება მკითხონ, მაშ მარადჟამს ასე დავრჩეთო,
სულ ასე ვიყოთ, გათელილნი, დამცირებულნი?
მოვითმინოთო ბორკილი და ტანჯვა-წამება?
უარეს ყოფას, მე ვფიქრობ, რომ ისევ ესა სჯობს.
გარდუვალია ბედისწერა და უნდა მივჰყვეთ,
გამარჯვებული უფლის ნებას დავემორჩილოთ,
ხომ ერთნაირად შეგვწევს ძალა ტანჯვა-ბრძოლისთვის
და არც კანონი უსამართლოდ არ მოგვპყრობია:
ვიდრე დიდი მტრის წინააღმდეგ ავმხედრდებოდით,
უნდა გვცოდნოდა ეს წინასწარ, თუ ჭკუა გვქონდა,
და ომის ბედი საყოყმანოდ არ გაგვეხადა.
დავცინი მებრძოლს, ვინაც შუბით გულმოცემული
თავგანწირული ებრძვის მტერსა, მაგრამ თუ უცებ
უმტყუნა შუბმა, — საცოდავად მოიკრუნჩხება
და ძრწოლვით ელის გამარჯვებულ მტრის განჩინებას:
შეურაცხყოფას, გაძევებას, ბორკილებს, ტანჯვას,
თუმცა ეს ბოლო წინასწარვე უნდა სცოდნოდა.
ჩვენც ეს ბედი გვხვდა, – თუ მორჩილად მოვითმენთ ამას,
იქნებ უმაღლეს მტერს დაუცხრეს ოდესმე რისხვა,
გადაგვავიწყოს ამ სიშორეს გადმოკარგულნი.
ნუ გავაცხარებთ და ეს ტანჯვა გვაკმაროს იქნებ.
თუკი ხელახლა არ დაჰბერავს, არ გააღვივებს, —
ეს ბობოქარი ცეცხლის ალიც გამონელდება;
ამ დამლუპველ ორთქლს დავძლევთ ჩვენი წმიდა ბუნებით,
ან შევეჩვევით და თანდათან ვერაფერს ვიგრძნობთ,
ვეღარც საშინელ სიცხესა და ვერც მწვავე ტკივილს,
შიშიც გაჰქრება და სინათლედ იქცევა ბნელი.
ანუ ვინ იცის, რა ცვლილებებს, როგორ იმედებს
მოგვიახლოვებს უსასრულო დინება დღეთა;
ბედნიერები ვიყავით და გავუბედურდით,
მაგრამ მთლიანად განწირულნი მაინც არა ვართ,
თუ თავს ხელახლა არ ავუტეხთ უბედურებას“,

გონიერების სამოსელით შემოსა სიტყვა
და იქადაგა სამარცხვინო უმოქმედობა:
არა მშვიდობა — უქნარობა და მორჩილება.
მაშინ მამონი წამოდგა და ასე დაიწყო:

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„ჩვენ ომის მიზნად დაგვისახავს ღმერთის დამხობა,
(თუ კი გადავწყვეტთ და საომრად თუ ავმხედრდებით), —
ანდა აღდგენა დაკარგული უფლებებისა.
ღმერთის ტახტიდან ჩამოგდებას კი მაშინ შევძლებთ,
თუ ბედისწერა მოგვანიჭებს მარჯვე შემთხვევას,
და ბრძოლის ბედის გადამწყვეტი იქნება ქაოს.
პირველის იმედს, რა თქმა უნდა, ვერ ვიქონიებთ,
ხოლო ამიტომ მეორესაც ამაოდ ველით:
თუ ზენაარი არ დავამხეთ, არ დავამარცხეთ,
სასუფეველში რაღა ადგილს უნდა ველოდეთ?!
ვთქვათ, ჩვენ შევპირდეთ მორჩილებას და ისიც მოლბეს,
გადმოგვაფრქვიოს შეწყალება, — მაშინ ზეცაში
რა თვალით უნდა შევყურებდეთ, ქედმოდრეკილნი,
მკაცრი კანონით შეზღუდულნი?! წკრიალა ჰიმნით
უნდა ვაქებდეთ იმის ტახტსა, და განუწყვეტლივ,
ნაძალადევად, ალილუით მას ვადიდებდეთ;
ამ დროს კი ჩვენი საძულველი უფალი ღმერთი
უნდა ჯდეს ტახტზე მედიდურად, და ტახტის ირგვლივ
ჩვენგან მონურად მირთმეული ვარდ-ყვავილებით
უნდა აფრქვევდეს ამბროზიის საამო სურნელს.
აი, რა ხვედრი გველის ცაში, რა სიხარული!
ო, რა მძიმეა, სამუდამოდ მას სცემდე თაყვანს,
მას ადიდებდე, ვინაც შენთვის საძულველია?!
ნუ, ნულარ ვცდილობთ შეუძლებელს, ნულარ ვისწრაფით,
ნურც მოწყალებას გამოველით, — თუმც ცისკენ ვილტვით,
მაგრამ მაინც ხომ ეს ბრწყინვალე მონობა არის.
სჯობს, რომ ჩვენგანვე მოველოდეთ სიკეთეს ჩვენსას!
ჩვენთვის ვიქნებით თავისუფლად, სხვას არას ვკითხავთ;
ყმის მსუბუქ უღელს, გვიჯობს მძიმე თავისუფლება;
როცა არარას გადავაქცევთ ჩვენ დიად საქმედ,
მავნესგან შევქმნით სასარგებლოს, ცუდისგან — კეთილს,
აგერა, ჩვენი სიდიადე სად გამოჩნდება!
საცა არ უნდა გადაგვაგდონ, რა სატანჯველშიც,
თმენით და შრომით დავიამებთ მძიმე ტკივილებს.
ამ ჩაბნელებულ ჯურღმულების შიში გვაქვს, განა?
მაგრამ თვით ზეცის მბრძანებელიც, უფალი ღმერთი
ხშირად ბნელსა და სქელ ღრუბლებში განცხრომას არჩევს,
და ამით მისი ელვარება როდი ბნელდება,
როცა სიბნელის საბურველში გაახვევს ტახტსა;
ამ დროს მძვინვარებს ცაში რისხვით ჭექა-ქუხილი,
სასუფეველიც ემსგავსება მაშინ ჯოჯოხეთს;
თუკი ღმერთს ძალუძს ჩვენებრ ბნელი შემოიხვიოს,
როცა ვისურვებთ — ჩვენც გვექნება მისი ნათელი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

აქ ჩაფლულია ბევრი ოქრო და მარგალიტი,
არც ჩვენ გვაკლია მოხერხება და ოსტატობა,
რომ შევქმნათ მისგან დიდებული სანახაობა.
ამაზე მეტი, ან ზეცაში რა უნდა ვნახოთ?
თანდათანობით შევეჩვევით ამ წამებასაც,
და რამდენადაც მძვინვარეა ამჟამად ცეცხლი,
ტკბილი გახდება ის იმდენად; ჩვენც შევიცვლებით,
შევეგუებით და ტკივილებს ველარც კი ვიგრძნობთ.
მაშ, ყველაფერი მოგვიწოდებს მშვიდობისაკენ,
ჩვენთვის წესრიგი დავამყაროთ, მოვითათბიროთ:
როგორ სჯობია ავიცილოთ უბედურება.
ნუ დავივიწყებთ რა ვიყავით, ანუ რანი ვართ,
ომს კი დავეხსნათ, ჩემი რჩევა ასეთი არის“.

ჯერ სიტყვა არც კი გაეწყვიტა, რომ მთელს დარბაზში
ატყდა ჩოჩქოლი, — თითქოს კლდეებს ღრმა ნაპრალებში
შემოენახოთ ქარიშხალის მძვინვარე გრგვინვა,
რომელმაც ღამით ზღვა აშალა, ააბობოქრა,
დილით კი თითქოს ნანას უმღერს, ხმაჩახრინწული,
კლდოვან უბეში გამორიყულ გემის მეზღვაურთ; —
მამონის სიტყვა — მოწოდება მშვიდობისაკენ —
სიხარულით და ტაშისცემით მიიღო ყველამ;
ხელახლა ბრძოლას — ჯოჯოხეთი ერჩივნათ ისევ,
რადგან მიქელის მრისხანე ხმლის და მეხთა ტეხის
შიში და ძრწოლა ჯერაც კიდევ არ გაჰქრობოდათ.
სურდათ ქვესკნელში საკუთარი სამეფოს შექმნა,
რომელიც შემდეგ, ჟამთა სვლაში განდიდდებოდა,
და სასუფეველს გაუწევდა მეტოქეობას!

ეს რა შენიშნა ბელზებელმა, წამოდგა ქუშად,
და აღიმართა სახელმწიფოს საყრდენ სვეტივით.
შუბლზე ღარებად აღბეჭდოდა ზრუნვა და ფიქრი,
თვალით კი მეფის შორსმჭვრეტელურ რჩევას აფრქვევდა
იდგა, ვით ბრძენი, ატლანტივით* მხრებგადაშლილი;
(ამ მხრებით დიდი სახელმწიფოს ზიდვა შეეძლო).
უცებ გარინდდა ყველაფერი, ვით შუა ღამით,
ან ვით მცხუნვარე შუადღისას, და აი, რა თქვა:

„ხელისუფალნო, ხელმწიფენო, ცის ნაშიერნო,
ჰაეროვანო არსებანო! იქნება ჯობდეს,
გამოგიცვალოთ საპატიო სახელწოდება
და ჯოჯოხეთის თავადებად მოგიხსენიოთ.
აკი ყველანი გაგიტაცათ ერთმა სურვილმა —
აქავე დავრჩეთ და ახალი სამეფო შევქმნათ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ამას ვოცნებობთ, და ეტყობა, გადაგვავიწყდა,
რომ ცის მეუფემ მოგვიჩინა აქ საპყრობილე,
რატომ გგონიათ ეს ადგილი თავშესაფარი?!
თითქოს შეგვეძლოს მის ძლიერ ხელს აქ დავემალოთ
და გავეცალოთ ზეცის მაღალ მართლმსაჯულებას,
თითქოს შეგვეძლოს შეთქმულება მოვუწყოთ იმას!
არა, თუმც ასე შორს ვართ ციდან გადმოსროლილნი,
ჩვენ მონებივით ლაგამი გვაქვს ამოდებული,
და ტყვედქმნილები იმის სასტიკ კანონს ვმორჩილებთ.
მე დამერწმუნეთ: ზეცაშიაც, ჯურღმულებშიაც,
ის არის მეფე — პირველი და უკანასკნელი;
თავის სამეფოს ერთ ნაგლეჯსაც არ დაგვანებებს, —
ღმერთის უფლება განვრცობილა თვით ქვესკნელშიაც
და რკინის კვერთხით მას უპყრია ეს ჯოჯოხეთი,
ისევე, როგორც ოქროს კვერთხით განაგებს ზეცას.
რაღას ვუზივართ, რაღას ვმსჯელობთ — ომი თუ ზავი?
აკი ვიომეთ და გაგვტეხეს განუკურნებლად!
ზავს ვინ გვაღირსებს, ან ამაოდ რაღას ვეძიებთ?!
დამონებულებს სცემენ მხოლოდ მკაცრ ტყვეობაში
და ისე სჯიან, ვით ისურვებს დამმონებელი.
ის დაგვრჩენია გვძულდეს მხოლოდ, ვგმობდეთ მარადის,
და შურისგებით, ნელით, მაგრამ დაუცხრომელით,
იმას ვცდილობდეთ, ჩავამწაროთ დამპყრობელს ჩვენსას
ეს გამარჯვების სიტკბოება, რასაც ის ჰპოებს
ჩვენი წამებით, — დე, ძალიან ნუ გავახარებთ.
ამის შემთხვევა მოგვეცემა საკმაოდ ხშირად,
მაშ რაღად გვინდა სახიფათო ლაშქრობა ცაში;
მის მაღალ კედლებს ვერ შეაკრთობს ჯიქურ მისევა,
ვერც ალყა, ვერცა უეცარი მიხტომა ჩვენი.
იქნება სხვა გზა გამოვნახოთ, უფრო იოლი?!
ზეცის უძველეს გადმოცემას თუ ვერწმუნებით
და თუ არ ცდება მისი წინასწარმეტყველება,
იქვე, ზეცაში, უნდა იყოს ერთი ქვეყანა
სანატრელი და ბედნიერი ადგილი თურმე,
სადაც ახალი არსი ცხოვრობს — ადამიანი,
ჩვენივე მსგავსი, ჩვენზე მცირე — ძალით, ღირსებით,
მაგრამ უფლისთვის საყვარელი ყველაზე მეტად;
ასეთი არის ღმერთის ნება, — მან ეს სურვილი
სულებს უბრძანა, — შეჰკრა კიდეც ისეთი ფიცით,
რომ ზეცის ბჭეებს სულ ზანზარი დააწყებინა.
იქით მივმართოთ ჩვენი ფიქრი და შევისწავლოთ,
რას წარმოადგენს ეს ახალი ცის ბინადარი,
რა ბუნება აქვს, რა სახე დევს, რა ძალა შესწევს,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ანდა სისუსტეს რაში იჩენს; როგორ აჯობებს:
ძალით მივუხტეთ, თუ მივუდგეთ მას ცბიერებით.
ზეცის გზა ჩვენთვის დახშულია, თვით ზენაარი
ტახტზე ზის მშვიდად, ძლიერებით გულმოცემული;
ის ქვეყანა კი მდებარეობს ცის განაპირას
და მისადგომად ადვილია; დაცვა ქვეყნისა
თვით ახლად შექმნილ მობინადრეს აქვს მინდობილი.
უცებ მიხტომით, წარმატებას, მე ვფიქრობ, ვპოვებთ;
მოვსრნათ ყოველი ჯოჯოხეთის მძვინვარე ცეცხლით,
ანუ წარვსტაცოთ ის ქვეყანა და ჩვენ დავმკვიდრდეთ,
ხოლო ეს ჯუჯა არსებანი ქვედავირეკოთ,
როგორც ჩვენ თვითონ ჩამოგვრეკა ღმერთმა ზეციდან.
თუ ვერ ჩამოვრეკთ, — შევაცდინოთ, გადმოვიბიროთ,
მტრად გავუხადოთ შემოქმედი, რომ სინანულით
თვითონვე მოსრნას თავისივე შექმნილი არსი.
ეს უდიდესი შურისგება იქნება მართლაც,
ღმერთს ჩააშხამებს გამარჯვების დიდ სიხარულსა
და შემდეგ მისი დამწუხრებით ჩვენ გავიხარებთ;
ნახავს უფალი, საყვარელი შვილები მისი,
უფსკრულში, ჩვენებრ თავდაყირა, ვით ჩაცვივიან,
ვით დასწყევლიან თავიანთ სუსტ, მერყევ ბუნებას
და უკვე დამჭკნარ ნეტარებას, უდროოდ დამჭკნარს.
სთქვით, ღირს მიღება ამ რჩევისა, თუ ბნელში ვისხდეთ
და ვიოცნებოთ არარსებულ სახელმწიფოზე?!"

ასე წარმოთქვა ბელზებელმა ბოროტი რჩევა,
სატანას მიერ გამოთქმული თავდაპირველად;
თუ არ მას — ბუდეს ყოველგვარი ბოროტებისას,
ეს ბილწი ფიქრი სხვას ვის უნდა მოსვლოდა აბა:
ჩვენი დიადი შემოქმედის დასამცირებლად
სულმთლად მოსპობა, ამოძირკვა კაცთა მოდგმისა,
და დედამიწის ჯოჯოხეთში გათქვეფა, გახრწნა!
მაგრამ იმათი სიავე და გაიძვერობა
ღმერთს კიდევ უფრო აღამაღლებს და განადიდებს!
ამ თავხედობამ მთელი დასი აღაფრთოვანა
და სიხარულით გაუბრწყინდა ყველას თვალები.
ერთხმად მიიღეს, მოუწონეს, გაიზიარეს.
და ბელზებელმაც თვისი სიტყვა ასე განაგრძო:

„ღმერთთა კრებულო, თქვენ მშვენივრად განსაჯეთ ახლა,
ეს გრძელი დავა ჩინებულად დააგვირგვინეთ,
და გადაწყვიტეთ დიდი საქმე, ბქვენებრ დიადი,
რომლის წყალობით ბედის ჯადო იქნებ გავტეხოთ
და უფსკრულიდან ერთხელ კიდევ მაღლა ავფრინდეთ,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მივუახლოვდეთ ჩვენს წინანდელს სასუფეველსა;
იქ კი, სინათლის სიახლოვით, იქნებ ვიხელთოთ
და მეზობლების შემწეობით ზეცაში მოვხვდეთ.
ან კეთილსამყოფ ადგილს მაინც ხომ გამოვნახავთ,
სადაც ნათელი მაღალ ცისა შემოანათებს,
ალმოსავლეთის სიკაშკაშე გაჰფანტავს ბნელსა,
და სასიამო, ნელი სიო, ცით მონაბერი,
ჩვენ დაგვიამებს ცეცხლის მწვავე ნაიარევსა.
ახალი ქვეყნის საძიებლად თავდაპირველად
ვინ გავაგზავნოთ? ძალა ვის აქვს, ვინ გადალახავს
უსასრულოს და ბნელით მოცულ უძირო უფსკრულს,
იმ უკუნეთში ვინ გაიკვლევს გზას, ძნელად სავლელს,
ანუ ვინ გაშლის დაუღალავ, ჰაეროვან ფრთებს,
უსაზღვრო სივრცეს ვინ გასცურავს, ვინ მიადგება
იმ ნეტარ კუნძულს? რა სიქველე, რა ძლიერება,
რა მოხერხება დასჭირდება, რომ გაარღვიოს
მცველ ანგელოზთა გუნდ-დასებით შეკრული გზები?!
დიდი სიფრთხილე დასჭირდება და ჩვენც ასევე
უნდა სიფრთხილით შევარჩიოთ შიკრიკი ჩვენი,
რადგან იმედი მას გაჰყვება, უკანასკნელი".

თქვა და ჩამოჯდა. მერე ირგვლივ მიმოიხედა,
ელოდა, აბა ვინ გამოვა წინააღმდეგი,
ან სახიფათო შიკრიკობას ვინ იკისრებსო.
მაგრამ სულყველა ღრმა ფიქრებში ზომავდა საფრთხეს,
იჯდა მდუმარედ და გვერდით მჯდომ მეზობლის თვალში
საკუთარ ძრწოლას კითხულობდა. არვინ ალმოჩნდა,
ღმერთთან ჰიდილში სახელგანთქმულ რჩეულთა შორის,
ისეთი ვინმე გულოვანი, რომ გაებედა
და თვითონ, მარტო, სახიფათო გზას გასდგომოდა.
მაშინ სატანა თანამგმობართ გასცდა დიდებით,
უზენაესი სიდიადის თვითშეგრძნებითა
და ხელმწიფური სიზვიადით, ასე დაიწყო:

„ცისნაშიერნო, ჰაეროვან სივრცეთ მპყრობელნო,
ვხედავ, მოგიცვათ ღრმა დუმილმა, დიდმა ეჭვებმა
და არა შიშმა. სწორიც არის: ჯოჯოხეთიდან
გრძელი და ძნელი სავალია სინათლისაკენ,
ციხე მტკიცეა; გარს გვარტყია ცხრა კედლად მდგარი
მძვინვარე ცეცხლი, — ლამისაა გვშთანთქას მთლიანად;
ცეცხლმოდებული ადამატის მტკიცე კარები
ჯიუტადა დგას და ყოველგვარ გასასვლელს გვიხშობს.
კარებს გასცდები, — თუკი გასცდა ვინმე საერთოდ, —
და მაშინათვე ბნელი ღამე შეგხვდება ქუშად —

www.PDF.ChiaturaINFO.GE

პირდაღებული უძირო და უსულო სივრცე,
რაიც გიქადის გადაყლაპვას, ჩაძირვას, სიკვდილს.
თუ გაექცევი და მიაღწევ ქვეყანას უცნობს,
იქაც რა გელის? — განსაცდელი ახალ-ახალი...
მაგრამ ულირსი ვიქნებოდი ჩემი ტახტისა,
შარავანდმოსილ ხელმწიფური სიდიადისა,
ძლიერებისა, თუკი ჩვენი საერთო საქმე,
თქვენგან განსჯილი, — თუმცა ძნელი და სახიფათო, —
მე შემაკრთობდა და უარსაც მათქმევინებდა!
თუკი მივიღე ეს მაღალი ხელისუფლება,
და ხელმწიფებას, პატივსადებს, უარს არა ვჰყოფ,
რად დავემალო საპატიო და საშიშ საქმეს,
ხელმწიფისათვის შესაფერისს და წილხდომილსა?!
რაც უფრო მაღლა აზიდულა ხელმწიფის ტახტი,
მისი ხვედრია უფრო მეტი საშიშროება!
ძალნო ძლიერნო, მოვლენილნო რისხვად ზეცისა,
მაგრამ ამჟამად დაცემულნო, დაიშალენით!
ეცადეთ, რომ შინ, — ვიდრე შინად გვაქვს ეს ადგილი, —
შეიმსუბუქოთ გაჭირვება, და ჯოჯოხეთში
ყოფნა როგორმე მოსათმენი გახადოთ თქვენთვის.
ან იმკურნალეთ, ან მიმართეთ რაიმე ჯადოს
და დაიამეთ ტკივილები, ეძიეთ შვება,
და თავი მაინც მოატყუეთ ამ ჯოჯოხეთში;
იყავით ფხიზლად, მარადფხიზელ მტერს უთვალთვალეთ,
ვიდრე მოვივლი მე ბნელსა და უცხო ნაპირებს,
რათა ყველასთვის მოვიპოვო თავისუფლება.
ამ ძნელ საქმეში მე არავის ვიახლებ თანა“.

თქვა და წამოდგა, ხმაც კი არვის გააღებინა.
კარგად მოიქცა, თორემ სხვები, მოთავეები,
დარწმუნებულნი, რომ მათს შველას უარსა ჰყოფენ,
წამოდგებოდნენ, ვითომ სცდიდნენ მეტოქეობას,
რათა იაფად დარქმეოდათ გმირის სახელი,
რაიც მას უნდა მოეხვეჭა საფრთხეში ყოფნით.
მაგრამ იმ საშიშ მგზავრობაზე უფრორე მეტად
მათ შიში ჰქონდათ წინამძღოლის განრისხებისა.
მყისვე ლაშქარი აიშალა, — და ეს ხმაური
ისე გაისმა, ვით ქუხილის ხმა შორეული.
თავი დახარეს მის წინაშე მონური კრძალვით
და თაყვანი სცეს, როგორც მაღალს მბრძანებელს ცისას.
ქება-დიდებაც არ მოაკლეს, რომ მოძმეთათვის
არ დაერიდა ის საფრთხეში თავის ჩაგდებას.
(თვით წყეულ სულთაც სათნოება არ დაუკარგავთ,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ცუდნი კაცნი კი მცირე საქმეს გააკეთებენ
და მოჰყვებიან კვეხნა-ტრაბახს, რომ დაიმკვიდრონ
დიდება ქვეყნად — თითქოს მართლაც რამე შეექმნათ.)
დამთავრდა სულთა საეჭვო და შავბნელი კრება.
და ახლა ბელადს, სწორუპოვარს, შესციცინებდნენ,
ისევე, — როცა ჩრდილოეთის ქარს სძინავს მშვიდად,
ბნელი ღრუბელი გაშორდება მთების მწვერვალებს,
მიიწევს მაღლა, გადაეკვრის მცინარე ზეცას,
და თალხით მოსილ დედამიწას ქუშად, მრისხანედ
დაემუქრება თოვლითა და დიდი ნიაღვრით, —
მაგრამ უეცრად საღამო ჟამს მზე მხიარული
გამოსათხოვრად ალერსიან სხივს სტყორცნის მიწას,
გამოცოცხლდება მაშინათვე მთელი მიდამო,
ფრინველთ გალობა განახლდება წინანდებურად,
ნახირი ბღავის სიხარულით გალაღებული,
და მხიარული ჟრიამული მოიცავს ველებს.
ჰოი, შერცხვენა ადამიანს! ბოროტ სულებსაც
ერთმანეთ შორის თანხმობა აქვთ გაუტეხელი,
გონიერთაგან, მხოლოდ კაცთა არ აქვთ თანხმობა,
თუმც ზეციური შეწყალების იმედი მოსავთ.
მშვიდობისაკენ მოუწოდებს მაღალი ღმერთი,
ისინი მტრობას და სიძულვილს ამჯობინებენ, —
თითქოს არ ჰყავდეთ სულ სხვა მტრები — ქვესკნელის მკვიდრნი,
რომელნიც დღე-ღამ ოცნებობენ მათს მოსპობაზე, —
და იმის ნაცვლად, რომ შეთანხმდნენ და შეკავშირდნენ,
იბრძვიან მარად, წყეულ ომებს გააჩაღებენ,
ჟლეტენ ერთმანეთს და უდაბნოდ აქცევენ მიწას.
სტიგიის* კრება დაიშალა, და ჯოჯოხეთის
დიდნი მთავარნი გამოვიდნენ ჩვეულის წესით.
შუაში ედგათ წინამძღოლი, ყოვლად ძლიერი,
როგორც მეტოქე, ერთადერთი, ზენაარისა,
უფლისვე დარი, დიდებული, დიდად მორჭმული
და ჯოჯოხეთის მბრძანებელი — მრისხანე, ქუში.
წრედ შემორტყმოდნენ ცეცხლოვანი სერაფიმები,
ელვარე დროშით და ბრწყინვალე აღჭურვილობით.
საყვირის ხმებით გაჰყვიროდნენ კიდით-კიდემდე,
ამცნობდნენ ყველას დიდი კრების განჩინებასა.
ოთხ მარდ ქერუბიმს მიაქროლებს ოთხ მხარეს ქარი,
ვერცხლის წკრიალა საყვირები, შეუსვენებლივ
იმეორებენ მაცნეების მოტანილ ამბავს.
გაიგო ყველამ ღრმა ქვესკნელის ვრცელ უფსკრულებში
და ჯოჯოხეთის ბინადარნი, გახარებულნი,
სმენის დამხშობი შეძახილით ეგებებიან.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ერთბაშად რაღაც შვება იგრძნეს, ფუჭი იმედით
დაშორდნენ ურთერთს, თავთავის გზას დაადგა ყველა.
ზოგიერთ მათგანს გზას უჩვენებს მწუხარე რჩევა,
ზოგი იქ მიდის, საითკენაც გული მიუწევს.
უნდათ თავიდან მოიშორონ მტანჯველი ფიქრი,
და ვიდრე მათი წინამძღოლი დაბრუნდებოდეს,
შეიმსუბუქონ მომქანცველი დროის სიმძიმე.
ურთერთს სირბილსა და ფრენაში ეჯიბრებიან,
როგორც პითიას ვრცელ მინდვრებზე მორბენალები,
ან ოლიმპიურ თამაშობის მონაწილენი;
ზოგი ცეცხლოვან რაშს აოკებს, სხვები მგზნებარედ
მიაქროლებენ მიზნისაკენ ბორბლიან ეტლებს,
ზოგნი კი მწყობრში დას-დასებად ჩამწკრივებულან,
როგორც ქედმაღალ ქალაქების გასაფრთხილებლად
და დასათრგუნად ბედისწერა სასწაულს ახდენს:
მშფოთვარე ცაზე გამოჩნდება მძვინვარე ომი,
მძიმე ღრუბლებში გახვეული ჯარები დგანან,
ჰაეროვანი რაინდები გამოხტებიან,
მოიმარჯვებენ შუბებს ხელში, და შემდეგ როცა
ორი ლაშქარი ეკვეთება ერთიმეორეს,
ცის მაღალ თაღებს მყისვე ცეცხლი წაეკიდება;
ზოგნი ტიფონის საშინელი გამძვინვარებით
ამსხვრევდნენ, გლეჯდნენ სალ კლდეებსა და მთის მწვერვალებს,
დანავარდობდნენ, გრიგალებზე ამხედრებულნი,
და ჯოჯოხეთიც ვერ იტანდა ამ ველურ გრგვინვას;
ასევე იყო ალკიდესი, როდესაც იგი
თესალიიდან შინ დაბრუნდა, გამარჯვებული,
როცა მიართვეს მოწამლული წამოსასხამი
და ტკივილებით შეძრწუნებულ-გაცოფებულმა,
თესალიაში სულ დაგლიჯა ფიჭვის ხეები,
და ეტას მთიდან ევბეიში ჩააგდო ლიქას*.
სხვები, უფრორე გულმშვიდნი, და გულლმობიერნი,
მყუდრო მინდორზე განმარტოვდნენ და უთვალავი
ჩანგის სიმებზე ხმაშეწყობით გალობდნენ ტკბილად,
გაიხსენებდნენ თავისივე მამაცურ ბრძოლებს,
მოსთქვამდნენ მწარედ სავალალო დამარცხებაზე,
ბედს უჩიოდნენ — თავისუფალ სათნოებაზე
ძალმომრეობამ და შემთხვევამ გაიმარჯვაო.
თუმცა თვისივე წარსულ ყოფას განადიდებდნენ,
ისე ტკბილად და საამურად ჟღერდა სიმღერა, --
(ან უკვდავ სულებს ვით შეჰფერით სხვაგვარად მღერა?)
რომ მიიზიდეს ჯოჯოხეთის ყოველი არსი.
გარსშემოერტყნენ და უსმენდნენ აღფრთოვანებით.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ზოგიერთები ცალკე ისხდნენ, ტკბილმოუბრობდნენ, —
რადგანაც გრძნობებს დაამშვიდებს ტკბილი მუსიკა,
ხოლო გონებას აჯადოებს მჭევრმეტყველება. —
ამოერჩიათ მოშორებით მყუდრო გორაკი
და დიდს ფიქრებზე, ამაღლებულ აზრებზე ბჭობდნენ:
განსაჯეს ბედი, წინათგრძნობა, განგება, ნება,
შემეცნება და ნებისყოფის თავისუფლება...
ველარ მოაბეს მაინც ბოლო, სულ აირივნენ
და გაიხლართნენ ღრმა აზრების ლაბირინთებში.
ბევრი იმსჯელეს სიკეთეზე, ბოროტებაზე,
კეთილ სვეზე და სავალალო უბედობაზე,
უგრძხობლობაზე და ვნებაზე, გატაცებაზე,
შერცხვენაზე და დიდებაზე... სულ ფუჭი იყო
მათი სიბრძნეც და მათი ყალბი ფილოსოფიაც.
მაგრამ სიამეს მაინც გვრიდა, მომჯადოებელს
და მცირე რამ ხნით უამებდა ტკივილებს, ტანჯვას,
გაუღვიძებდა ცრუ იმედებს, და სნეულ გულებს
შემოარტყამდა მოთმინების ჯიუტ სიმაგრეს,
ვით რკინის პერანგს, სამკეცად და სამმაგად ნაქსოვს.

უკანასკნელი დიდი ჯგუფი, მწყობრში ჩამდგარი,
მიისწრაფოდა მამაცურის თავგამეტებით,
რათა მოევლო ჯოჯოხეთი კიდით კიდემდე
და მოენახა მყუდრო კუთხე, შვების მომცემი.
ოთხად გაიყვნენ და ცალ-ცალკე დაადგნენ ოთხ გზას,
შეჰყვნენ ქვესკნელის ოთხ მდინარეს, რომელთ დინება,
რომელთ ტალღები, დამღუპველი, ცეცხლის ტბას ერთვის:
სტიქსს — ზიზღისა და მაკვდინებელ მტრობის მდინარეს;
შავტალღებიან ღრმა აქერონს — სევდის მდინარეს;
სინანულისა და წუხილის მდინარეს — კოკიტს
და მძვინვარების ცეცხლმოდებულს — სასტიკ ფლეგეთონს
ამათგან კარგა მოშორებით მიიზლაზნება,
მრავალ შტოების ლაბირინთით გადასერილი,
დუნე და წყნარი, დავიწყების მდინარე ლეთი.
ვინც კი იგემებს იმის წყალსა, მყის დაივიწყებს
თავის წინანდელს ყოფასა და მდგომარეობას.
სიხარულსა და მწუხარებას, სიამეს, ტანჯვას.

ლეთის გადაღმა გაყინული, ბნელით მოცული
და უდაბური ხმელეთია გადაჭიმული,
სადაც მარადჟამს გრიგალი და ნამქერი დაძრწის,
მოცვივა სეტყვა, მარად მკვრივი, გაუდნობელი
და იზვინება, — მოგვაგონებს სასახლის ნანგრევს.
ირგვლივ ყინული და მაღალი თოვლია მხოლოდ,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რომელიც სილრმით ჰგავს სერბონის უძირო ჭაობს,
დამიატსა და კასიუსის შორის რომ იდო,
სადაც ლაშქარი ათასობით ილუპებოდა.
თაკარა ჰაერს იქ ყინვა სწვავს გამძვინვარებით,
თვითონ ყინულიც, იქ ცეცხლივით მწველია მუდამ.
და ფორიებიც, აღჭურვილნი ჰარპიას კლანჭით,
იქ მიათრევენ ბედუკულმართ მსჯავრდადებულებს,
რათა სასჯელის შენაცვლებით, ცვალებადობით,
უფრო მძიმე და საშინელი ტანჯვა აგემონ:
მძვინვარე ცეცხლის საწოლიდან მცირე რამ ჟამით
ყინულის მაგარ სარეცელზე გადაისვრიან,
რომ ცეცხლში ორთქლად და ჰაერად ქცეული არსი
ახლა გაჰყინონ, გაამაგრონ, უმოძრაო ჰყონ,
და როგორც სვეტი, ერთ ადგილზე დაარჭონ იგი, —
მერე კი უმალ ისევ ცეცხლში გადაისროლონ.

ამ ადგილებში ტრიალებენ, დაწანწალებენ,
უნდათ ლეთს მისწვდნენ, — მაგრამ ტანჯვა უძლიერდებათ
იღწვიან, რათა დაეწაფონ წყალს, მაცთუნებელს,
იგემონ თუნდა ერთი წვეთი — და გააყოლონ
სატანჯველი და მწუხარება ტკბილ დავიწყებას.
თითქოს აქვეა ეს ნაპირიც, თითქოს ელირსათ...
მაგრამ სასტიკი ბედისწერა წინაღუდგებათ,
მედუზა იცავს ამ მდინარეს, გამძვინვარებით,
და თვითონ წყალიც უკუგარბის, როგორც კი იგრძნობს
მოკვდავი არსის სიახლოვეს; როგორაც ერთხელ
ის გაურბოდა პირგამოშშრალ ბედკრულ ტანტალეს *.

ასე დაძრწიან უბედურნი და განწირულნი,
გაფითრებიათ სახე შიშით, თვალებშიც — შიში,
და მხოლოდ თავის სივაგლახეს ხედავენ ყველგან.
არსად აღმოჩნდა მათთვის შვება და მოსვენება.
მოვლეს ველები, საშიშარი, ბნელით მოცული,
ბევრჯერ მიადგნენ ვაების და სევდის სამეფოს,
ხან ცეცხლის მთაზე შედგეს ფეხი, ხან ყინვის მთაზე,
გადაიარეს, გადალახეს ტბები, ხრამები,
ღრმა ჭანჭრობები, კლდე-ღრეები და ფლატეები...
ყველგან სიკვდილის ჩრდილი სუფევს, — ღმერთს, განრისხებულს
წყევლით და კრულვით შეუქმნია სიკვდილის მხარე,
სადაცა მხოლოდ ბოროტება ჰპოებს სიკეთეს,
სიცოცხლე კვდება და მარტოდენ სიკვდილი ცოცხლობს;
სადაც ბუნება ბადებს მხოლოდ ახმახ ურჩხულებს,
შემაძრწუნებელთ, მანკიერებს და გარეწარებს,
ვისი სიგლახე ენითაც კი ვერ გამოითქმის,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ზღაპრებშიაც კი ვერ შეხვდებით მათზე უარესს,
შიშიც ვერაფერს წარმოიდგენს უფრო საშინელს, —
გორგონი, ჰიდრა და ქიმერა შესაზარელი.

ამასობაში, ღვთის და კაცის მტერი — სატანა,
მაღალი მიზნით და ფიქრებით გამხნევებული,
სწრაფად მიფრინავს ჯოჯოხეთის კარებისაკენ.
ხანდახან მარცხნით გადიხრება, ხანაც ხელმარჯვნივ,
ხან დაეშვება — და ფრთას გაჰკრავს უფსკრულის ძირსა,
ხან აფრინდება — ცის ცეცხლოვან თაღს მიადგება...
და ისე მოსჩანს მოფარფატე სული შორიდან,
როგორც ღრუბლებით დაბურული ხომალდი ზღვაში,
რომლითაც ვაჭრებს მიაქვთ უცხო სანელებელი,
ბენგალიიდან, ტიდორიდან თუ ტერნატიდან*,
ეთიოპიის ზღვაში გავლით პოლუსისაკენ.
ქარი უბერავს — მიაცურებს გემს ღამით ნელა.

ჰა, ჯოჯოხეთის საშინელი მიჯნაც გამოჩნდა,
ამაღლებული გალავანით, შიშისმომგვრელით,
სამკეცად ნაჭედ ცხრა კარიბჭით გამაგრებული:
სამი სპილენძის, სამი რკინის, სამიც ალმასის, —
მიუვალია ის კარები, ირგვლივ წრიულად
ცეცხლი ედება, მაგრამ კარებს არა სწვავს ცეცხლი.
კარებთან იჯდა, აქეთ-იქით, ორი ურჩხული:
ერთი ურჩხული მშვენიერ ქალს ჰგავდა წელამდე,
ხოლო წელსქვევით, კუდი ება ვეება გველის,
დაქერცლილი და მაკვდინებელ ნესტარიანი;
მას ჯოჯოხეთის ქოფაკები შემოხვეოდნენ
და ცერბერივით, განუწყვეტლივ, ყეფდნენ და ყეფდნენ,
შემაძრწუნებლად რეკდა მათი ყეფა-ღმუილი;
ხან თავის ნებით, ხანაც კიდევ რომ დაფრთხებოდნენ,
მყისვე საშოში იმა ურჩხულს შეუძვრებოდნენ
და განაგრძობდნენ ყეფასა და საშინელ ყმუილს.
ამათზე უფრო საზარელი არც კი ყოფილა
მძვინვარე სკილა, მობანავე გადაშლილ ზღვაში,
რომელიცა ჰყოფს კალაბრიას ტრინაკრიიდან;
არც ღამის ქაჯი არ ყოფილა მათებრ მახინჯი,
რომელიც მოჰქრის იდუმალად ჰაერში კენტად,
რომ აღგზნებულმა ყმაწვილების სისხლის სურნელით,
ახლა იცეკვოს ლაპლანდიელ კუდიანებთან*,
მთვარე კი ამ დროს ჩაბნელდება მათი ჯადოთი.
მეორე არსი, — თუ კი ძალგვიძს არსი ვუწოდოთ,
ისეთ რაიმეს, რასაც არ აქვს გამოკვეთილი
არცა სხეული, არც სახსარი, არც ერთი ნაკვთი,
და მხოლოდ ჩრდილს ჰგავს უსახურსა და უსხეულოს, —

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იდგა თავისთვის, ღამესავით ჩაშავებული,
მძვინვარე, როგორც აღგზნებული ათი ფურია,
ჯოჯოხეთივით მრისხანე და ძრწოლვის მომგვრელი; —
იდგა ასე და ზუფანს სწრაფად ატრიალებდა,
თავის მაგიერ, თითქოს მეფის გვირგვინი ედგა.
მიუახლოვდა სატანა და ურჩხულიც მყისვე,
ზეწამოიჭრა, მიაშურა სწრაფი ნაბიჯით, —
მიგრიალებდა და ჯოჯოხეთს აზანზარებდა.
მაგრამ უშიშარ ეშმაკს აბა რა შეაშინებს,
განჰკვირდა მხოლოდ, რა იხილა. ცოცხალ არსთაგან
მას თვით ღვთისა და ღვთის ძის გარდა ვერვინ შეაკრთობს,
და ამათ გარდა, სხვა არაფრად არ მიაჩნია.
ახლაც მან ზიზღით გადახედა და ასე უთხრა:
„ნეტა ვინა ხარ, სით მოსულხარ, უგვანო არსო,
ან როგორ ბედავ, თუმც ქუში და საშინელი ხარ,
რომ ამ საზარი და მახინჯი სხეულით ახლა,
წინაალმიდგე და შემიკრა გზა კარებისკენ?!
მაგრამ იცოდე, არც კი გკითხავ ისე გავივლი!
ჩამოდექ, ანდა გამოსცადე შენი სიბრიყვე.
მაშინ მიხვდები, რომ ქვესკნელის ბილწმა ქმნილებამ
ველარ გაბედოს შებრძოლება ზეციურ არსთან!“
მაშინ ურჩხულმა განრისხებით ეს უპასუხა:

„ნუთუ ეს შენ ხარ, მოღალატე არქანგელოზი,
ვინაც პირველად დაარღვიე მშვიდობა ცაში,
გასტეხე ფიცი, იმა დრომდე გაუტეხელი,
ზეცის მკვიდრთაგან მესამედი გადაიბირე
და თავგასული, დიდი ლაშქრით მიუხტი უფალს,
რისთვისაც შენც და ის მხედრობაც ქვეჩამოგრეკეს,
რომ მარადიულ წამებაში გალიოთ დღენი?!
ახლა მოსულხარ ბინადარი ჯოჯოხეთისა
და თავი მოგაქვს, თითქოს იყო ციური არსი!
იმასაც ბედავ, ზიზღით ომში გამომიწვიო,
აქ, ჩემს საკუთარ სამეფოში... დიახ, გამწარდი;
ეს მე ვარ — შენი მბრძანებელი, შენი ხელმწიფე!
გასწი, გაბრუნდი, სასჯელს ვერსად ვერ გაექცევი,
მოიშველიე ფრთებიც, რათა ჩქარა გამშორდე,
თორემ მათრახით აგაჭრელებ, ან ამ ზუფანით,
ისე გაწამებ, რომ მსგავსი რამ არ განგეცადოს“.

თქვა ეს ურჩხულმა, საზარელმა, და ამ მუქარით
იგი ათკეცად საშიში და საზარი გახდა.
აქეთ სატანა — გამწყრალი, და განრისხებული,
იდგა უშიშრად, ცეცხლს აფრქვევდა, როგორც კომეტი,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რაიც ანათებს მთელს არქტიკას და საშიშარის
კუდის შერხევით ქვეყნად აფრქვევს ომსა და შავ ჭირს;
ერთმანეთს თავში უმიზნებენ გამგმირავ შუბებს,
და აღარ უნდათ, რომ მეორედ დარტყმა დასჭირდეთ.
უბღვერენ ურთერთს, როგორც ორი შავი ღრუბელი,
ცის ყუმბარებით დატვირთული, კასპიის თავზე
დგება პირისპირ, ვიდრე ქარი არ მისცემს ნიშანს,
არ დაუბერავს და ერთმანეთს არ შეაჯახებს.
ისე უბღვერდა ორი მძლავრი მეტოქე ურთერთს,
რომ ჩამობნელდა ჯოჯოხეთის საბრძანებელი.
ასე ძლიერი ორი დიდი მტერი ერთმანეთს,
მარტოდენ ერთხელ შეხვდა კიდევ, სხვა დროს აღარა.
იქ მოხდებოდა უდიდესი საშინელება,
ეს შეტაკება შეარყევდა ჯოჯოხეთს სულმთლად,
მაგრამ უეცრად ჭიშკრის მცველი, გველის ხატება,
ვისაც ხელთ ეპყრა გასაღები, საბედისწერო,
ზეწამოიჭრა და ღრიალით შუაში ჩადგა:

„შესდექი, მამავ, ერთადერთი ძე გინდა მოჰკლა?
ანუ შენ, ძეო, რა სიგიჟემ მოგიცვა ასე,
რომ სასიკვდილო ზუფანს ახლა მამას უღერებ?!
ვისი გულისთვის იცი მაინც? იმისთვის, ვინაც
ზეცაში მშვიდად განისვენებს და შენ დაგცინის.
იმან გიბრძანა შეასრულო სასჯელი მძიმე,
სასჯელი, რასაც ის ეძახის მართლმსაჯულებას,
მაგრამ ნამდვილად ეს იმისი რისხვაა მხოლოდ.
დადგება დღე და თქვენ ორივეს ეს რისხვა მოგსპობთ“.

თქვა ეს და მყისვე ჯოჯოხეთის ჭირიც დამშვიდდა,
ხოლო სატანა, მიუბრუნდა გველის მსგავს ურჩხულს:
„მე ისეთგვარად გამაშეშა შენმა კივილმა,
და ისე უცხოდ მომეჩვენა სიტყვები შენი,
რომ მარდი ხელი მომიდუნდა, თორემ აქამდე
განზრახვას ჩემსას გაჩვენებდი ნამდვილი საქმით.
მარქვი ვინა ხარ, ორ-სახებავ, გაორებულო,
აქ, ჯოჯოხეთის ველზე ახლა პირველად გხედავ,
მამის სახელი რად შემარქვი, ან ამ საშინელ
მოჩვენებაზე რატომ ამბობ ძეაო შენი?
ვერა გცნობილობ, არც მინახავს მე არასოდეს
თქვენზე უფრორე საზარელი სანახაობა“.

ასე მიუგო მას ქვესკნელის მეკარემ მაშინ:
„მაშ დამივიწყე?! და მახინჯიც კი გეჩვენები?
აკი ოდესღაც, ცაში ტურფა მშვენება ვიყავ,

www.PDF.ChiaturaINFO.GE



www.PDF.ChiaturaINFO.GE

როს ერთად გყავდა შეკრებილი სერაფიმები
და იმ თავხედურ შეთქმულებას უწყობდი უფალს;
გახსოვს, საზარმა ტკივილებმა მოგიცვეს უცებ,
თვალთ დაგიბნელდა, გონებასაც ლიბრი გადეკრა,
მერე თავიდან ცეცხლის ალმა იფეთქა მძლავრად,
ფართოდ გადიხსნა ცალი მხარე და ამოვვარდი
თვალად და ტანად მომხიბლავი, ღვთიური არსი,
შენივე მსგავსი, მთელი ზეცის ნათლის მომფენი.
მხედრობა ცისა განცვიფრებამ მოიცვა მაშინ,
დაფრთხნენ და მყისვე უკუიქცნენ თავდაპირველად.
მიწოდეს „ც ო დ ვ ა“, მიმიჩნიეს ბოროტ არსებად,
მაგრამ თანდათან შემეჩვივნენ, ჩემი მშვენებით
ყველაზე უფრო საშინელი მტერიც შევიტკბე.
შენ, მით უმეტეს, ჩემს სახეში რა განიცადე
ხატება შენი, საკუთარი, — მყის შემიყვარე,
სხვების მალულად ნეტარება ვიგემეთ ერთად,
და ჩამესახა მე საშოში მზარდი სიმძიმე.
ამასობაში, გამძვინვარდა ზეცაში ომი,
სასუფეველი გადაიქცა ბრძოლის არენად,
მტერს, ყოვლად ძლიერს, გამარჯვება ხვდა სასახელო,
ჩვენს მხედრობას კი — დამარცხება, განადგურება;
ქვეჩამოგვყარეს, დაგვირეკეს სასუფევლიდან,
და ამ უფსკრულში მოგვცეს ბინა — მეცა და სხვებსაც.
შემომაჩეჩეს ხელში მაშინ ეს გასაღები,
მიბრძანეს, მუდამ დაკეტილი გქონდესო კარი,
რათა არავინ არ გაბედოს გარეთ გაპარვა.
ვიჯექ მოწყენით, მაგრამ დიდხანს აღარ დამცალდა,
მუცელში შენი ჩანასახი სულ იზრდებოდა,
უეცრად რაღაც უჩვეულოდ მომწყდა საშოში,
მშობიაობის საშინელი ტკივილი ვიგრძენ,
და როგორც იყო, ეს საზარი და უბუნებო,
არსი, შენგანვე ჩასახული, წყეული ძალით
გამოხტა გარეთ, დამაგლიჯა მთლად შიგნეული,
გულისწამღები ტკივილებით სულ დამანგრია,
და წელს ქვემორე შემეცვალა სხეული ასე.
ჩემი მტერი კი, ჩემს მიერვე დაბადებული,
არხევდა ხელში ამა ზუფანს, საბედისწეროს,
და სპობდა ყოველს, რასაც იმით შეეხებოდა.
მე გავეცალე და შევძახე: „ჰოი, ს ი კ ვ დ ი ლ ი!“
უცებ შეტოკდა ჯოჯოხეთი ამ დაძახილზე,
პირი დააღო ყველა მღვიმემ, ამოიოხრა,
და ყველამ ერთად დაიგრგვინა: „ჰოი ს ი კ ვ დ ი ლ ი!“
მე გავიქეცი, — დამედევნა, მაგრამ შევატყე,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რისხვაზე უფრო იგი ვნებით იყო გზნებული,
მომწვდა მალიად, ხელში მიგდო დამფრთხალი დედა,
მომეტლაშუნა, საზარელად გადამეხვია
და ეს საზარი მყეფარები გამაჩენინა,
რომლებიც ყეფენ, როგორც ხედავ, შეუსვენებლივ,
მივლიან ირგვლივ, განუწყვეტლივ ისახებიან,
და, ჩემდა ჭირად, განუწყვეტლივ იბადებიან.
მოისურვებენ — შეძვრებიან მყისვე საშოში,
ყეფენ, ყმუიან, გაცოფებით ღეჭენ შიგნეულს,
რადგანაც მხოლოდ ჩემი საშო მათ ასაზრდოებს;
მოისურვებენ — ისევ გარეთ გამოხტებიან,
დაძრწიან ირგვლივ, მომიცავენ საზარი შიშით,
რათა შვება და მოსვენება ვეროდეს ვპოვო.
მარად შევცქერი ძესა და მტერს, საშინელ სიკვდილს,
რომელიც, აგერ, ჩემს პირდაპირ წამოყუტულა;
მომისევს ხოლმე გაცოფებით ამ ბილწ ქოფაკებს,
და თავის მშობელს, უმაძღარი, ჩამყლაპავს კიდეც,
რადგანაც ვერსად ვერა ჰპოებს იგი სხვა ნადავლს,
მაგრამ იცის, რომ ღვთის განგებით თან გადამყვება:
ყველს მწარე ლუკმად დავადგები, შხამად და გესლად.
შენ კი, ო, მამავ, გაგაფრთხილებ, უნდა გაშორდე,
ამ მაკვდინებელ ზუფანს ჩქარა ჩამოეცალო;
ნუ დაენდობი, ფუჭი არის იმის იმედი,
რომ ცაში ნაწრთობ საჭურველით ხარ აღჭურვილი
და ყველასაგან უვნები და მიუკარები:
ზენაარს გარდა, წინ ვერავინ ვერ დაუდგება“.

დადუმდა იგი, და ციური სულიც დამშვიდდა,
ხმა დაირბილა და ალეგორიით მიმართა ურჩხულს:
„ასულო ჩემო, რაკი შამად მიმიღე ახლა
და მშვენიერი ჩემი ვაჟიც რაკი გამაცან, —
ნაყოფი ცაში მიღებული ტკბილნეტარების,
ოდესღაც ტკბილის, სანუკვარის, მაგრამ ამჟამად,
არნახული და უცნაური მარცხის შედეგად,
მოსაგონადაც მწარისა და სევდის მომგვრელის, —
მტრად არ მოვსულვარ, ეს იცოდე! მე მივისწრაფი,
რომ შენც, ამასაც, სხვასაც ყველას, ზეციურ სულებს,
ციდან სამართლის დაცვის გამო ჩამორეკილებს,
თავისუფლება მოგიპოვოთ, დაგიხსნათ ყველა
ამ წამებისგან, ამ შემაზრზენ ბნელეთისაგან.
მათ წარმომგზავნეს მარტოდმარტო, მათ დამავალეს,
რომ გადავლახო უძირო და ფართო უფსკრული,
გადავიარო სივრცეები ვეებერთელა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვნახო სამყარო, თვით ზეცასთან ახლომდებარე,
ახლადშექმნილი, მრგვალი, ვრცელი და სანეტარო,
რომლის შესახებ წინათაც კი ბევრი გვსმენია;
ის, გადმოცემით, უნდა იყოს უკვე შექმნილი.
ამბობენ, ღმერთმა ის ქვეყანა დაასახლაო
განებივრებულ არსებებით, ახლადშექმნილით,
რომლებიც ცაში ჩვენს ძველ ადგილს დაიმკვიდრებენ.
თუმც მოშორებით მიუჩინა ბინა იმ არსთა,
რომ მეტისმეტი გამრავლებით, ძალთა მძლავრობით
ცაში ახალმა აჯანყებამ აღარ იფეთქოს.
ახლა ვისწრაფი, რომ შევიცნო: მართლაც ასეა
თუ ესეც ერთი საიდუმლო ფანდია უფლის.
როგორც გავიგებ, მაშინათვე დაგიბრუნდებით,
წაგიყვანთ ორთავ — შენ და სიკვდილს — იმ ნეტარ მხარეს,
იქნებით შვებით, უხილავად იფრენთ სივრცეში,
ტკბილსურნელება ჰაერისა სიამეს მოგფენთ,
საკვებს უზომოდ მოიპოვებთ, განუსაზღვრელად,
და ყველაფერი იქ იქნება თქვენი საკბილო“.

იგი გაჩუმდა. გაიხარა ორივემ დიდად.
ბილწი სიკვდილი დაიჭყანა შესაზარელად
და ღიმილისგან დაიბრიცა, როცა გაიგო,
რომ მწარე შიმშილს მოთოკავდა და გაძღებოდა;
სავსე მუცელის წარმოდგენით ტკბებოდა უკვე.
იმის ბოროტმა დედამ ასე მიმართა მამას:

„განგების ძალით, ზეცის მაღალ მეუფის ნებით,
მე ჩამაბარეს გასაღები ჯოჯოხეთისა,
და ამიკრძალეს ადამატის კარები გავხსნა.
შეუპოვარი, ხელში ზუფანმომარჯვებული,
ყველას დამძლევი — ეს სიკვდილიც აქ დგას გუშაგად.
მაგრამ რას ვაქნევ მის ბრძანებას, ვისაც მე ვძულვარ,
ვინც ჩამომაგდო უძირო და შავბნელ ჯურღმულში,
ცაში ნაშობი ზეცის მკვიდრი აქ მიმაჯაჭვა,
და შემაზრზენი სამსახური ვინც დამაკისრა,
რათა ვეწამო და ვიტანჯო დაუსრულებლად,
სულ შიშში ვიყო, ეს ყმუილი გულს მიწვრილებდეს,
და მიჯიჯგნიდნენ შიგნეულსა ჩემივ ნაშობნი!
მამავ, გამჩენო და სიცოცხლის მომნიჭებელო,
თუ კი შენ არა, ვილას უნდა დავემორჩილო?
თუ კი შენ არა, ვილას უნდა მივჰყვე კვალდაკვალ?
შენა მპირდები სინათლის და შვების ქვეყანას,
სადაც განცხრომით ყოფნა მელის, ღმერთების გვერდით,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვით ძვირფას ასულს და საყვარელს შეჰფერის შენსას,
უნდა ვიმეფო შენს მხარდამხარ სამარადჟამოდ“.

თქვა და მაშინვე გასაღები, საბედისწერო, —
ჩვენთვის ვაის და მწუხარების მომნიჭებელი,
მოიხსნა წელზე; მყის გაცურდა გველური კუდით
და კარებისკენ გაემართა, ასწია ფარდა,
რასაც სტიგიის ყველა მკვიდრიც კი ვერ დასძრავდა;
მერე მოარგო გასაღები, გადააბრუნა
და ურდულები, რკინისა და ქვისგან ნაჭედი,
მყის ჩამოცვივდა; უეცარი შეზანზარებით
გადიხსნა კარი ჯოჯოხეთის; მეხის გრიალმა,
შეაზანზარა უფსკრულები ერებუსისა*.

გახსნა კარები, მაგრამ დახშვა მას აღარ ძალუძს,
და ისე ფართოდ გადაშლილი დარჩა ჭიშკარი,
რომ მთელს მხედრობას, გაშლილ დროშის ქვეშ დარაზმულებს,
ამხედრებულებს ცხენებზედა, ეტლებში მსხდომთა,
შეეძლოთ გასვლა, დას-დასებად ჩამწკრივებულებს.
იმ კარებიდან, ვით ბრძმედიდან, ავარდა მაღლა
კვამლის ბოლქვი და მეწამული ალი ცეცხლისა.
სატანისა და ურჩხულების წინაშე უცებ
გადაიშალა საიდუმლო ძველი უფსკრულის:
ბნელი, უსაზღვრო ოკეანე, ისე გაშლილი,
რომ სივრცე, ზღვარი, სიღრმე, სიგრძე, სიგანე, ზომა,
დრო და მანძილი არ გააჩნდა, იკარგებოდა;
სადაც ბუნების წინაპარნი — ღამე და ქაოს
მუდმივ ომსა და ფიცხელ ბრძოლას აწარმოებენ,
და სადაც მეფობს სამუდამოდ არევდარევა.
ოთხი ძლიერი მეტოქე აქ ებრძვის ერთმანეთს,
რომ დაიმკვიდროს ბატონობა მარადიული:
სინესტე, მშრალი, სიცივე და სიცხე მხუთავი, —
მოჰყავთ ბრძოლაში ატომები ახალ-ახალი,
დაჯგუფებულნი წარმოშობის მიხედვით ყველა,
ზოგნი მსუბუქად აღჭურვილნი, ზოგნი კი მძიმედ;
ზოგნი ფიცხელნი, ზოგნი რბილნი, მარდნი და ზანტნი,
ამხედრებულნი ომის მძვინვარ ქარიშხალებზე;
მოჯარებულან უთვალავნი, როგორც მცხუნვარე
კირენისა თუ ბარკის* გასწვრივ ფრქვეული ქვიშა.
ვინც მეტს მიიმხრობს — ბრძოლის ბედიც მისკენ იხრება.
მსაჯულადა ზის, გამარჯვებას სჯის თვით ქაოსი
და მისი მსჯავრით ომი უფრო ფიცხელი ხდება,
ხოლო მეორე გამგებელი არის შემთხვევა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ამ ველურ უფსკრულს, — თვით ბუნების, საშოს თუ საფლავს,
სადაც არ არის არც ნაპირი, არც ზღვა, არც ცეცხლი,
არცა ჰაერი, და მხოლოდღა ჩანასახივით,
არეულია ერთმანეთში ყველა ესენი,
ურთერთსა მტრობენ და ფიცხელი ომი აქვთ მარად,
ვიდრე ძლიერი შემოქმედი არ მოისურვებს
და ამ ბნელიდან ახალ ქვეყნებს ვიდრე არ შექმნის, —
ამ ველურ უფსკრულს, გადაჰხედა ბოროტმა სულმა.
დგას ჯოჯოხეთის მიჯნაზე და ჩაფიქრებული,
თავის მგზავრობის გეგმებს აწყობს, რადგანაც მის წინ
გადაშლილია არც თუ ვიწრო გადასასვლელი.
სმენას უხშობდა საშინელი ხმები გრგვინვისა,
და თუ დიდს რასმე შევადარებთ მსგავსს, მაგრამ მცირეს,
მაშინ ეს ხმები თითქოს იყო ბელონას* გრგვინვა,
როდესაც მისი ზარბაზანი დიდ ქალაქს ანგრევს;
ანუ, თითქოსდა, ზეცა პირქვე დამხობილიყოს
და ღერძისაგან მოეგლიჯოთ ცის ძალებს მიწა.

ბოლოს გაშალა აფრის მსგავსი ძლიერი ფრთები.
ზიზღმორეული მოსწყდა მიწას, შეჰყვა შავს კვამლსა,
მოახტა ღრუბლებს გაბედულად, წინ გაემართა;
მაგრამ უმტყუნა ღრუბლის ტახტმა, გამოეცალა,
და მყის სივრცეში დაეკიდა მთავარი მტერი.
ამაო იყო ყოველი ცდა, ფრთების ტლაშუნი:
დაეშვა თავქვე, ჩაიარა კარგა მანძილი
და აქამომდეც იქნებოდა თავდალმა მსრბოლი,
რომ, სავალალოდ, ქვესკნელიდან მომქროლსა ღრუბელს,
გამძვინვარებულს ცეცხლითა და მწველი გოგირდით,
არ აეტყორცნა მთელის ძალით იმავ მანძილზე.

მაგრამ ეს ცეცხლი გაანელა თითქოს ჭაობმა —
არ იყო არც ზღვა და არც მშრალი ხმელეთი იყო, —
შესდგა ფეხი და ძლივსძლივობით მიიკვლევს სავალს:
ხან ფრენით მიდის, ხანაც ფეხით ეყრდნობა გზასა,
გამოიყენა ნიჩბებიცა და იალქანიც.
და ისე, როგორც უდაბნოში გრიფონი ერთხელ
გორაკებისა და ჭაობის გასწვრივ მისდევდა
არიმასპებსა, რომელთაც მას ოქრო მოჰპარეს*, —
მიდის სატანაც, გზას მიაპობს გრიფონის მსგავსად,
ჰკვეთს კლდეებს, ჭაობს, ღარტაფებსა, მთებსა და ველებს,
მიიწევს თავით, ხელებითა, ფრთებით, ფეხებით,
მისცურავს, მიდის, ყვინთავს, ძვრება, მიცოცავს, მიჰქრის.

ბოლოს მოესმა სიბნელიდან ველური ხმები,
რაღაც ნარევი, საშინელი, სმენის დამხშობი;

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და მყის იქითკენ გაემართა უშიშრად იგი.
უნდა გაიგოს, რა სულია, ან რა ძალაა,
რა ცხოვრობს იქა, ხმაურიანს და ბნელს უფსკრულში,—
სურს გამოჰკითხოს მოკლე გზები სინათლისაკენ.
ნახა: უფსკრულზე ტახტი ქაოსს გადაუშლია
და გვერდით უზის მოზიარე მისი ტახტისა,
ყოველ შექმნილზე უხუცესი, შავბნელი ღამე.
მათგან მახლობლად ჰორკოსი და აიდი* დგანან,
იქით კი მუდამ საშინელი დემაგორგონი.

სატანამ ასე გაბედულად შესძახა იმათ:
„ძალნო და სულნო უფსკრულისა — ქაოსს და ღამეევ,
მე აქ მოვედი არა როგორც მზვერავი ვინმე,
თქვენი მიზნის და საიდუმლოს გამომკვლეველი,—
აქეთ გზა მქონდა და შემთხვევით გამოვიარე.
დავეხეტები ამ ბნელეთის უდაბნოებში,
და ვსერავ თქვენს ვრცელს საბრძანებელს, მარტოდშთენილი,
ნახევრად თავგზააბნეული და უმეგზურო;
მარჯვე ბილიკი მინდა ვნახო, ნათელისაკენ,
გავსცდე ამ ბნელეთს და მივადგე სინათლის საზღვარს;
უნდა მოვნახო ის ადგილი, რაიც უფალმა,
ცოტა ხნის წინათ თქვენ წარგტაცათ და მიითვისა,—
იქით მივიღწვი, გამიკვლიეთ, მასწავლეთ გზები.
სამაგიეროდ, არა მცირედს ჯილდოს მოგიზღავთ:
თქვენი სამკვიდროს მიმთვისებელს თუკი განვდევნი,
კვლავ დაგიბრუნებთ ძველ სამყოფელს, ბნელს გავამეფებ,
და ძველი ღამის დროშას ისევ მედგრად აღვმართავ.
სიკეთე — თქვენა, მე კი — მხოლოდ შურისძიება!“

ასე მიმართა მათ სატანამ, ძველმა ანარქმა
დალმიჭა სახე და მიუგო ენის ბორძიკით:

„მე კარგად გიცნობ, მოგზაურო, ვიცი, ვინცა ხარ,
ძლიერო სულო, ანგელოზებს მეთაურობდი,
შენ აამხედრე უფლის მიმართ სულნი ზეცისა
და იმ ბრძოლაში დაგამარცხეს, გაგაცამტვერეს.
ვიცი, გიხილეთ, გავიგონე ზრიალ-გრიალი:
ნაცემ-ნაგვემი, დანგრეული და დალეწილი
თქვენი მხედრობა უთვალავი, ამ ბნელ უფსკრულში
ვით ჩაივლიდა ისე უხმოდ, არ შემენიშნა,
როცა განიხსნა ზეცის კარნი და მილიონნი,
ცის ანგელოზნი, დაგედევნენ ქვედამხობილებს.
მე აქა ვდგავარ და სამეფოს საზღვრებს ვდარაჯობ,
თუმც სადარაჯო ბევრი აღარც კი დამრჩენია:—
თქვენმა ქიშპობამ შეარყია ღამის სამეფო:

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თქვენს საპყრობილედ, ჯერ იყო და, ვრცლადა და ფართოდ
გადაიშალა ჯოჯოხეთი, ქვემოთ, უფსკრულში,
ახლა კი ზემოთ, სწორედ თავზე ჩემი ქვეყნისა,
იმ მხარეს, სითაც დაირეკეს თქვენი მხედრობა,
ოქროს ჯაჭვებზე დაეკიდა ჯერ სულ ახალი
სამყარო ერთი — ხმობილი ცად და დედამიწად.
იქ თუ მიდიხარ, შენ შორი გზა არც დაგრჩენია,
მაგრამ მით უფრო ახლო არის საშიშროება.
წა, გაემგზავრე, გაეშურე. — ნგრევა, დალეწვა
და ძარცვა-გლეჯა არის ჩემთვის სარფის მომცემი".

დადუმდა იგი, და სატანამ არც უპასუხა,
მეტად აღარც კი დააყოვნა: გახარებული,
რომ ზღვა-უფსკრულის სანაპირო უკვე გამოჩნდა,
ახალი ძალით აგზნებული, გულმოცემული,
შეხტა სივრცეში, დაემსგავსა ცეცხლის პირამიდს,
ბუნების ძალთა ურთერთ ბრძოლით გარემოცულმა,
გზა გაიკვლია მიზნისაკენ შეუპოვრადა.
მას მეტი საფრთხე მოელოდა ყოველ ნაბიჯზე,
ვიდრემდის არგოს*, როდესაც მან ბოსფორის ზღვაში
თითქმის ერთმანეთს მიჯახებულ ორ კლდეთა შუა
გზა გაიკვლია და გასცურა; არც თუ ოდისევსს
ამაზე მეტი განსაცდელი არ დასდგომია,
როდესაც იმან დამტვრეული ნავის ფიცრებით
შემოუარა ქარიბდას და ღელვას გადურჩა.

ასე, ამგვარად, მაშინ დიდის ვაი-ვაგლახით
და გაჭირვებით გადიარა სატანამ ის გზა, —
მაგრამ დაეცა შემდეგ მოდგმა ადამიანთა,
და ის სავალიც შეიცვალა გასაკვირველად.

ზეცის სურვილით, — სიკვდილი და საზარი ცოდვა
კვალდაკვალ გაჰყვენ მყის სატანას; იმ ბნელს უფსკრულზე
ფართო და გრძელი გზა გაჭიმეს, კარგად სავალი:
თუხთუხა უფსკრულს გადაადგეს ვრცელული ხიდი
ჯოჯოხეთიდან ამ ჩვენს ბედკრულს ქვეყნის კიდემდე, —
და ბოროტ სულებს ქვეყნად მოსვლა გაუადვილეს.
დადიან ხიდზე მანკიერი სულები მიწყივ,
რათა აცთუნონ და დასაჯონ მოკვდავნი კაცნი,
მხოლოდ ღვთის რჩეულთ დაიფარავს წყალობა ცისა.

მაგრამ ჰა, შორით აღმობრწყინდა წმიდა სინათლე,
ცის კედლებს მოწყდა და წიაღში ბნელი ღამისა
შუქმომფინარე განთიადმა სტყორცნა სხივები.
ბუნების ვრცელი სამფლობელო იწყება აქა,
აქ ჰკარგავს ძალას და აქედან გარბის ქაოსი,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

როგორაც მტერი, ნაგვემი და დამარცხებული,
აქვე ნელდება მისი მტრული აურზაურიც.
    სატანას უკვე დიდი ჯაფა აქ აღარ ადგას,
შვებით მიჰყვება წყნარს დინებას, ხალვათად ცურავს,
და ქარიშხალით დალეწილი ხომალდის მსგავსად,
ნავსადგურისკენ ეშურება გალაღებული,
თუმც იალქნები და ანძები არ შერჩენია.
გადაუშლია ფართოდ ფრთები იმ დიდ სივრცეში,
სჭვრეტს შორიდანვე ზეცის ნათელს, ვრცელს სამფლობელოს,
ოღონდ ვერ არჩევს ოთხკუთხია თუ მრგვალი, ფორმით.
სჭვრეტს აფალის კოშკს, საფირონის მაღალ ქონგურებს...
ოდესღაც მისი სამფლობელო აქ იყო სწორედ!
და იქვე ახლოს, ოქროს ჯაჭვით გადმოკიდული,
სულ უმცირესი, სულ პატარა ვარსკვლავის ხელა,
სჩანს ეს ქვეყანაც, გვერდზე მთვარით დამშვენებული.
    შურისძიებით, ბოროტებით გულგავსებულმა,
იმ წყეულ საათს, იმ წყეულმა, იქით გასწია.

www.PDF.ChiaturaINFO.GE



www.PDF.ChiaturaINFO.GE

წიგნი მესამე

შინაარსი

სატანა ახლადშექმნილ ქვეყნისკენ მიფრინავს; ღმერთი დაინახავს მას და თავის ძესაც დაანახვებს, რომელიც მარჯვნით უზის. ღმერთი წინასწარმეტყველებს, სატანა თავის გულისწადილს შეისრულებს და ადამიანს აცთუნებსო. შემდეგ იგი განმარტავს, რომ მისი სამართლიანობა და სიბრძნე ძალდატანებას არ გულისხმობს, რომ ადამიანი თავისუფლია და საკმაო ძალაც შესწევს, მაცთუნებელს წინააღუდგეს. მიუხედავად ამისა, ღმერთი თავის განზრახვას აცხადებს, რომ შეიწყალებს ადამიანს, რამდენადაც იგი საკუთარი ბოროტებით კი არ დაეცემა, სატანის მსგავსად, არამედ სატანა აცთუნებს. ძე ღვთისა ხოტბას შეასხამს მამას იმ გულმოწყალების გამო, რაც მან ადამიანის მიმართ უნდა გამოიჩინოს. ამის შემდეგ ღმერთი აცხადებს, ადამიანი ისე ვერ ეღირსება შეწყალებას, თუ ღვთაებრივი სამართლიანობა არ შესრულდა, რადგან მან ღმერთთან გატოლება მოინდომა და ამით შებღალა დიდება უფლისა; ამიტომ მთელი მისი შთამომავლობა სასიკვდილოდ არის განწირული და ვერაფერიც უშველის, თუ არ გამოჩნდა ვინმე ისეთი ღირსეული, ვინაც მის დანაშაულს არ გამოისყიდის და სასჯელს თავისთავზე არ მიიღებსო. ძე ღვთისა ხალისით კისრულობს გამოისყიდოს ადამიანის ცოდვა. მამა დაიანხმდება და უბრძანებს ძეს ადამიანის ხორცი შეისხას; მერე მის სახელს ზეცაში და მიწაზე ყველაზე მაღალ ქებას მიუძღვნის; უბრძანებს ანგელოზებს თაყვანი სცენ მას. ანგელოზები დაემორჩილებიან და ერთხმად უმღერენ დიდების საგალობელს ჩანგზე მამასა და ძეს. ამასობაში სატანა ამ ქვეყნის დასალიერს, ერთ-ერთ ამოზნექილ უდაბურ ადგილას დაეშვება; ხეტიალის შემდეგ იგი მიადგება ერთ ადგილს, რომელსაც ერთ დროს ამაოების კარიბჭეს ეძახდნენ; ამას მისდევს იმის აღწერა, თუ ვინ და რა მიფრინდება იქა. შემდეგ სატანა მიადგება ზეცის კარებს. აღწერილია ზეცაში ასასვლელი კიბე და წყლები, რომლებიც ცის ირგვლივ ედინებიან. სატანა მზის სფერისკენ მიფრინავს და იქა ხვდება იმ მხარის მბრძანებელს ურიელს, მაგრამ ვიდრე მას გამოელაპარაკებოდეს, უბრალო ანგელოზის სახეს მიიღებს: თავს ისე მოაჩვენებს, თითქოს ძალიან გულით უნდოდეს ნახვა ახალი ქვეყნისა, აგრეთვე ადამიანისა, რომელიც ღმერთმა ამ ახალ ქვეყანაზე დაასახლა; ურიელს გამოჰკითხავს ადამიანის საცხოვრებელ ადგილს და როცა მიასწავლიან, იგი ნიფატის მწვერვალზე დაეშვება.

დიდება ზეცის პირველშობილს, წმიდა სინათლეს,
მარადიული შუქის ბადალს უმრეტელ ნათელს;
თუკი მაქვს ნება, შენც გიწოდო მარადიული.
თვითონ ღმერთიც ხომ სინათლეა და განისვენებს
ის მიუწვდომელ სინათლეში, ის შენში ცოცხლობს!
ეთერის წმიდა ნაკადული ხომ არ შეგარქვა?
არავინ უწყის, თუ საიდან მომდინარეობ;
თვით ზეცაზედაც, თვითონ მზეზე ადრე შექმნილხარ,
ღმერთმა გიბრძანა და ქვეყანას, ახლად გაჩენილს,
წარმოქმნილს წყლისგან, უფსკრულისგან, წყვდიადისაგან,
განუსაზღვრელის, უსახურის სივრცეებისგან,
შენ თვალისმომჭრელ საბურველად შემოეხვიე.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მე კვლავაც შენკენ გაბედულად მოვფრინავ ახლა,
გამოვექეცი ბნელითმოცულ სტიგიის წყლებსა,
ბევრი ვიფრინე სიბნელეში, უკუნ წყვდიადში,
ვუმღერე ღამეს მარადიულს, ვუმღერე ქაოსს,
არა ის ჰანგი, ორთეოსი რომ მღერდა ერთხელ:
თვითონვე მუზამ, ზეციურმა, შემმატა ძალა
და გაბედულად დავფრინავდი აღმა თუ დაღმა
ბნელს უფსკრულებში და ვეება სივრცეში მარტოდ.
ჰა, დაგიბრუნდი უვნებელი, ისევ შენთან ვარ,
და ისევა ვგრძნობ მაცოცხლებელ სინათლის ძალას.
მაგრამ ჩემს თვალებს შენ ვეროდეს დაუბრუნდები;
თავის ბუდეში ტრიალებენ ახლა ისინი,
უნდათ იხილონ შენი სხივი და განთიადი,
მაგრამ ამაოდ! გადაჰკვრიათ სიბნელის ლიბრი!
მაინც დავჰყვები მუზას ყველგან, და ქებას ვასხამ
კეკლუც გაზაფხულს, მზით დაფერილ გორაკებს, ჭალებს...
ყველაზე ხშირად შენ გეწვევი, სიონის მთაო,
ვნახავ შენს ფერხთით ჩამდინარე ნაკადულს ღამით,
ლაღი ბუტბუტით რომ მიცურავს ყვავილთა შორის.
მახსოვს ორი სხვა მომღერალიც — ჩემებრ ბედკრულნი.
ნეტავ, დიდებაც მე იმათი გავიზიარო!
ბრმა თამირისი და ასევე ბრმა მეონიდეს;
მახსოვს ფინეესიც, ტირეზიაც, მისანნი ძველნი.
მე ოცნებებით ვასაზრდოებ სიმღერას ჩემსას;
როგორც ბულბული ფხიზლობს მარად, ბნელში გვიგალობს,
და ღამის ჩრდილში შემოგვესმის სიმღერა მისი.
მიდიან დღენი, ზამთარს მოსდევს კვლავ გაზაფხული,
ჩემთვის კი არა, დღე აროდეს გამითენდება!
ველარ ვიხილო ტკბილი დილის მოახლოება;
ველარც საღამო სანუკვარი; ნახირი, მწყემსი,
ვერც გაზაფხულის ყვავილები, ზაფხულის ვარდი,
ვერ განვიცადო ღვთაებრივი მშვენიერება!
შემომხვევია გარს ღრუბლები, მარადი ბნელი
მისპობს ყოველგვარ ნეტარებას, ადამიანურს.
და ცოდნის წიგნი, ეს ბუნების შეცნობის წყარო,
ჩემთვის ჩაშავდა, დაიხურა და წაიშალა,
გზა სიბრძნისაკენ — შესავალში გადამეღობა.
მით უფრო ძლიერ, ღვთაებრივო სინათლის წყაროვ,
მე შინაგანად განმანათლე, სულიერ ძალებს
შუქი მოჰფინე, ჩამისახე თვალები სულში,
გაჰფანტე სულმთლად, გადასწმინდე მისგან ბურუსი,
რომ ყველაფერი დავინახო, ვიუბნო ყველა,
რასაც ვერა სჭვრეტს ვერასოდეს მოკვდავის თვალი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ყოველ სიმაღლეს აღმატებულ ტახტზე მჯდომარემ
ყოვლადძლიერმა, ზეცის წმიდა სასუფევლიდან
თვალი ქვეყანას გადაავლო, რათა ეხილა
თვისი ნაღვაწი და ნაღვაწი მისთა შექმნილთა.
ვით ვარსკვლავების ურიცხვი და ბრწყინვალე გუნდი,
გამოუთქმელი ნეტარებით შუქმოფენილნი,
გუნდად ეხვია მას რჩეულნი წმიდანნი ცისა.
მისი დიდების სხივოსანი გამომხატველი
ძე ერთადერთი ტახტის მარჯვნივ ჩამომჯდარიყო.

პირველი მზერა ადამიანს მიაპყრო ღმერთმა,
ედემის ბაღში დამკვიდრებულს ჩვენს ორ წინაპარს.
მარტოდმარტონი, ნეტარებით გარემოცულნი
კრეფდნენ ისინი უკვდავების მომცემსა ნაყოფს,
დაუშრეტელი სიხარულის, ბედნიერების
და ჭეშმარიტი სიყვარულის მომნიჭებელსა.
შემდეგ ჯოჯოხეთს გადახედა და ბნელს უფსკრულში,
რაიც ჯოჯოხეთს გარს არტყია, მან თვალი მოჰკრა
სატანას, ღამის სამეფოდან გამომგზავრებულს,
ცის გალავანთან მოფარფატეს, რომელსაც ახლა
მოღლილი ფრთები ჩამოეშვა და მოუთმენლად
მყარ ნიადაგზე დამკვიდრებას ეშურებოდა.
უფალი მაღლით ყველაფერს ჭვრეტს: ჩვენს წარსულს, აწმყოს,
მომავალს ჩვენსას. ახლაც თვალი ჰკიდა სატანას
და ძეს ერთადერთს ეს აუწყა წინასწარჭვრეტით:

„ჰე, ძეო ჩემო, ერთადერთო, აბა შეხედე
რა გაშმაგებით ეშურება აქეთკენ მტერი!
ველარაფერმა შეაჩერა: ველარც სასჯელმა,
ვერც ჯოჯოხეთის ურდულებმა, ვერც ბორკილებმა,
ველარც უფსკრულმა, საშინელმა, ვეებერთელამ.
მაგრამ ისეა შურისგების ჟინით გზნებული,
რომ უბედობა მას თვითონვე თავს დაატყდება!
ჯერ დაამსხვრია ბორკილები, დაბრკოლებები,
და ფრთებგაშლილი მონავარდობს ახლა ზეცისკენ,
აქეთ მოფრინავს სინათლისკენ, ცდილობს შეიჭრას
იმ ახლად შექმნილ ქვეყანაში — ადამიანთან,
რომ მოსპოს იგი, ან, — რაც კიდევ უარესია, —
გაიძვერული და მზაკვრული რაიმე ხერხით
ჭეშმარიტების გზას მოსწყვიტოს, აცთუნოს, გახრწნას.
და გახრწნის კიდეც! იმის ლაქუცს, გაიძვერულსა,
ადამიანი ყურს მიუპყრობს, გადამიდგება,
ადვილად დაგმობს იმ ერთადერთს აღთქმას თავისას,
მისი ჩემდამი მორჩილების ერთადერთ ნიშანს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ადამიანი დაეცემა და მასთან ერთად
ცის სასუფეველს დაუკარგავს შთამომავლობას.
ვინ არის მერე დამნაშავე? თვითვე უგნური.
უმადურს — ჩემგან ყველაფერი გააჩნდა სრულად,
სამართლიანი შევქმენ იგი და უცოდველი,
მივეცი ძალა, რათა ბოროტს წინააღუდგეს,
მაგრამ დაცემას თუ ისურვებს — არც ამას ვუშლი.
ასეთი შევქმენ ყველა სული, ციურნი ძალნი —
დაცემულებიც და ბოროტზე გამარჯვებულნიც:
ვისაცა სურდა გამაგრება, ის ზეცას დარჩა,
ვისაც დაცემა მოესურვა — დაეცა კიდეც.
თავისუფალი არჩევანი რომ არ ჰქონოდათ,
მაშინ ჭეშმარიტ ერთგულებას ვით მაჩვენებდნენ?
თუკი მონური იძულებით იმოქმედებდნენ,
არა სურვილით — მე შექებას ვით მივუზღავდი?
ან მორჩილება ასეთი რა სიამეს მომგვრის,
როდესაც ნება და გონება ფუჭია, უქმი,
თავისუფლებას მოკლებული და განძარცული.
მაშინ ისინი მორჩილებენ საჭიროებას,
და მე რას ვაქნევ ასეთნაირ მორჩილებასა!
როგორც ჯერ იყო, სწორედ ისე შევქმენ ისინი;
ვერ გაჰკიცხავენ ამის გამო თავის შემოქმედს,
ვერც ბედისწერას ვერ დაგმობენ და ვერც შექმნის დღეს,
თითქოს მათს სურვილს განაგებდეს განგება, ბედი;
თითქოს წინასწარ განვჭვრიტე და ვბრძანე მე ასე:
ჩემი ბრძანებით კი არ აღსდგენ — თავად აჯანყდნენ.
და თუმც წინასწარ ვგრძნობდი ამას, განა რითიმე
ხელი შევუწყე მე მათს ამბოხს, — თუნდ არ მცოდნოდა
ისინი მაინც აღსდგებოდნენ, აჯანყდებოდნენ.
არც განგებისგან არ ყოფილან წაქეზებულნი,
არცა მქონია მე წინასწარ განზრახვა მსგავსი;
თავად შესცოდეს, ყველაფერი მათ ეკისრებათ,
თვითვე განსაჯეს, არჩევანიც მათ გააკეთეს.
დასაბამითვე მივანიჭე თავისუფლება,
და ბოლომდისაც დარჩებიან თავისუფალნი,
თუ კი თავად არ დაიდებენ მონობის ბორკილს.
ან ასე რომ არ ყოფილიყო, მაშინ ხომ უნდა
ძირფესვიანად შემეცვალა მათი ბუნება,
მარადიული და ურყევი კანონი ჩემი,
რომლის ძალითაც მათ ვანიჭებ თავისუფლებას,
უნდა მომესპო, შემეცვალა და წარმეტაცა.
დაცემას ახლა უმადლოდენ საკუთარ თავსა.
პირველმგმობარნი საკუთარმა ზრახვებმა დასცეს,
თვითვე აცთუნეს თვისი თავი, გახრწნეს და გარყვნეს;
ადამიანი დაეცემა მათი ცთუნებით,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მოტყუებული იმ პირველთა გაიძვერობით.
სწორედ ამიტომ მოწყალებას მიიღებს იგი,
ხოლო პირველნი მას ვეროდეს ელირსებიან.
მოეფინება ცას და მიწას სამარადჟამოდ
მოწყალება და სამართალი, ორივე ერთად;
მთელს სამყაროში განევრცობა ჩემი დიდებაც,
მაგრამ წყალობა იელვარებს ყველაზე მეტად".

ვიდრე შვილს ასე მიმართავდა უფალი ღმერთი,
ცას მოეფინა ამბროზიას ამო სურნელი,
ნეტარნი სულნი გამოუთქმელ ლხენით აღივსნენ,
ხოლო ამ რჩეულ სულთა შორის თვითონ ძე ღვთისა
სიდიადით და ელვარებით განირჩეოდა;
მამის ნათელი ახლა მასაც დაადგა თავსა:
დაუშრეტელი სიყვარულით, გულმოწყალებით,
წმიდა ღვთაებრივ თანაგრძნობით აღენთო სახე,
და ეს განცდები თავის მამას ასე გაანდო:

„ო, მამავ ჩემო, შენს უმაღლეს მსჯავრში რა ტკბილად
გაისმა სიტყვა — ადამიანს შეწყალებაო!
ამიერიდან ღაღადყოფენ დიდებას შენსას
ზეცა და მიწაც, — უთვალავი ხმები გიმღერენ
ნეტარ სიმღერას, შეგასხამენ ქებათა-ქებას,
და შენს წმიდა ტახტს სამუდამოდ კურთხეულჰყოფენ.
მაგრამ სულ უნდა დაიღუპოს ადამიანი?
ნუთუ იმსხვერპლებს მას ცთუნება გაიძვერული,
და, შენს უმრწემეს, სულ ბოლოდროს შექმნილ არსებას,
რომელიც ასე საყვარელი გახდა ყველასთვის,
ბოლოს მოუღებს საკუთარი უგუნურება?
არა, შენს სახელს სრულებითაც ეგ არ შეჰფერის,
უნდა დაჰგმო და მოიშორო ასეთი ფიქრი,
აკი ყველასთვის ხარ მსაჯული, სამართლიანი!
ნუთუ ვერაგი შეასრულებს თავის ბილწ ზრახვებს
და შენი საქმე, მადლმოსილი, დაიღუპება?
ნუთუ მისწვდება მტერი თავის ბოროტ საწადელს,
სიკეთეს შენსას არად აქცევს, გააცამტვერებს,
და მედიდურად გაბრუნდება ქვესკნელისაკენ,
საცა მას, თუმცა, ტანჯვა ელის, სამარადჟამო,
მაგრამ შურს მაინც ხომ იძიებს და თან წარიტანს
მისგანვე გახრწნილს კაცთა მოდგმას ჯოჯოხეთისკენ!
ნუთუ გასწირავ, მისი ჯიბრით გაანადგურებ
შენივ დიდების მოსახვეჭად შექმნილს არსებას?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მაშინ შენს სახელს, დიადსა და სიკეთით განთქმულს,
უნდობლობის და ურწმუნობის ჩრდილი დაბურავს“.

ძეს ღვთისას დიდმა შემოქმედმა ასე მიუგო:
„ჩემო მთავარო სიხარულო, ო, ჩემო პირმშო,
ჩემო სიტყვაო, ჩემო სიბრძნევ და ძლიერებავ,
რაც შენ იუბნე, მეც ყველაფერს ასევე ვფიქრობ,
ჩემი განზრახვაც, მარადისი, სწორედ ეგ არის!
სავსებით როდი გამიწირავს ადამიანი;
ვისაც ექნება ხსნის სურვილი — ის გადარჩება,
მაგრამ სურვილი მარტოოდენ კი არ დაიხსნის,
მე თვითონ უნდა მივანიჭო იმას წყალობა;
კვალად აღვუდგენ მე დაცემულს ძველ ძლიერებას,
რასაც დაჰკარგავს იმ უხამსი ცოდვებისათვის.
იგი კვლავ შესძლებს, ჩემი ძალით გულმოცემული,
ფეხზე დადგომას და საზარი მტრის დამარცხებას.
მაგრამ მსურს თვისი უმწეობა თვითვე შეიგნოს,
იგრძნოს, იცოდეს, რომ მხოლოდ მე, — არა სხვა ვინმე, —
ვანიჭებ იმას სანეტარო თავისუფლებას.
მსურს, ზოგიერთი სხვებისაგან გამოვარჩიო
და უფრო მაღლა ვიყოლიო წყალობის ფრთებქვეშ;
დანარჩენებსაც ხმას მივაწვდენ და მოვუწოდებ,
მოინანიონ შეცოდება, მუდამ ცდილობდნენ
მოულბონ გული განრისხებულს იმათზედ ღმერთსა
და სინანულით მოწყალება გამოითხოვონ.
წყვდიადით მოცულს მათს გონებას — სინათლეს მოვფენ,
გულს — ქვადა ქცეულს, მე მოვულბობ, რათა ილოცონ,
მოინანიონ და მორჩილნი იყვნენ მარადჟამს.
ჭეშმარიტ ლოცვა-ვედრებაზე და სინანულზე
სმენას არ დავხშავ, არ დავხუჭავ არასდროს თვალებს;
გულში, წინამძღვრად და ჩემს მომართ შუამავალად,
მე შთავუსახლებ იმათ სინდისს. თუ გაჰყვებიან, —
გზა ცხოვრებისა მათ ექნებათ განათებული
და მოთმინებით მიიღებენ ჭეშმარიტ ხსნასა;
ვინც დაგმობს, ანუ შეიზიზღებს ამ მოთმინებას,
ვერ ეღირსება ვერასოდეს წყალობას იგი:
გულქვას უფრორე გაუქვავდეს გული თავისი,
ბრმას კიდევ მეტად გადაეკრას სიბნელის ლიბრი,
რომ იბორძიკონ და უძირო უფსკრულს შთავარდნენ;
ყველამ მიიღოს მოწყალება, ამათ კი — არა!
კიდევ გეტყვი შენ: ამ ურჩობით ადამიანი
არღვევს აგრეთვე ერთგულებას, ცოდავს ღვთის მიმართ,
ღმერთს ეჯიბრება და ამიტომ ყველაფერს კარგავს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მაშ რალა დარჩა ამ ღალატის გამოსასყიდად?
აღარაფერი — ადამიანს და მოდგმას მისას,
ამიერიდან უწერია სიკვდილი ყველას.
ან სამართალი უნდა მოკვდეს, ან იგი თვითონ,
ანუ გამოჩნდეს უნდა ვინმე თავგანწირული,
ადამიანის ყველა ცოდვა თვითონ იკისროს
და გახდეს მსხვერპლი. სიკვდილის წილ — საკვდილი ყველას.
ძალნო ციურნო, მსგავს სიყვარულს განიცდის ვინმე?
აბა, რომელი თქვენთაგანი შეეწირება
და მოკვდავ კაცის მძიმე ცოდვას გამოისყიდის?
რომელი იხსნის სამართალით უსამართლოსა?
აქვს ცაში ვინმეს ასე დიდი გულმოწყალება?"

ბრძანა უფალმა, მაგრამ გუნდი ანგელოზების
თითქოს დამუნჯდა — მყის სიჩუმე გამეფდა ცაში.
არ გამოუჩნდა ადამიანს ქომაგი, მცველი,
მით უფრო ვერვინ ვერ გაბედა თავზე მიეღო
მაკვდინებელი ცოდვა კაცთა. და მთელი მოდგმა
დასაღუპავად განწირული შეიქმნებოდა,
მრისხანე ბედი ჯოჯოხეთში გადაისროდა,
მაგრამ ძემ ღვთისამ, ღვთაებრივი მადლით მოსილმა,
და ღვთაებრივი სიყვარულის გამომხატველმა,
კაცთა ქომაგად კვლავაც ასე მიმართა უფალს:

„გარდუვალია, მამაჩემო, სიტყვები შენი:
ადამიანმა მოწყალება უნდა მიიღოს.
შენს შექმნილ ყველა ქმნილებასთან წყალობა მიჰქრის
მოულოდნელად, უთხოვნელად და უკითხავად,
ანგელოზებიც ვერა ფრენენ იმისებრ მარდად, —
და ნუთუ ახლა გზას კაცისკენ ველარ გაიგნებს?
ბედი კაცისა — არ სჭირდება წყალობას თხოვნა:
მძიმე ცოდვებით დაღუპული და დაკარგული
ადამიანი ვით შეძლებდა ხვეწნა-მუდარას,
მოკვდინებული, უთვისტომო, მსხვერპლად თავის წილ
ვის მოძებნიდა? მომაპყარი, უფალო, თვალი!
მის სიცოცხლის წილ — ჰა, მიიღე სიცოცხლე ჩემი;
ნულარას ერჩი, მე ჩამთვალე ადამიანად
და გულისწყრომა მის მაგივრად მე დამატეხე.
კაცთა გულისთვის მზად ვარ, დავთმო სასუფეველი,
დავთმო დიდება, ზეციური, შენი ზიარი,
და მოვკვდე კიდეც დამშვიდებულ-მოსვენებული.
დაე, სიკვდილმა მთელი რისხვა ჩემკენ მომართოს,
იმის ბრჭყალებში დადხანს მაინც არ ვეწამები, —
აკი სიცოცხლე მარადისი შენ მომანიჭე,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შენით ვიცოცხლებ, — და თუმც სიკვდილს დავემონები,
იგი წარმტაცებს მხოლოდ იმას, რაც მოკვდავი მაქვს;
ჩემს ვალს მოვიხდი — ხოლო შემდეგ ბილწ სამარეში
აღარ დამტოვებ, გამომიხსნი გახრწნილებიდან,
არ გააწამებ ჩემს სპეტაკ სულს იმ სატანჯველში.
ისევ აღვსდგები, სასახელოდ გამარჯვებული,
და მტერს, ნადავლით თავგასულსა, წარვტაცებ ნადავლს.
თვითონვე სიკვდილს — სასიკვდილოდ გავგმირავ ფიცხლავ,
შხამიან ნესტარს წავართმევ და სამარადჟამოდ
გავტეხ დიდებაართმეულსა და დამცირებულს.
ამოვალ ცაში, გადმოვსერავ ვეება სივრცეს
და ტყვედ დავირეკ მთელს ჯოჯოხეთს, წყვდიადის ძალებს.
სიამეს მოგფენს ამის ხილვა, გადმოიხედავ
და სიხარულით გამიღიმებ. შევმუსრავ მტრებსა,
სიკვდილის ჩონჩხით გაუმაძღარ საფლავს განვაძღებ,
ვათავისუფლებ ტყვეობაში დატანჯულ სულებს
და გამარჯვებით შუქმოსილი, ცას მონატრული,
ურიცხვ სულებით ავმაღლდები ზეცის ბჭეებში.
მაშინ შუბლიდან გადაიყრი შენ რისხვის ლრუბელს,
და სანეტარო დამშვიდებით გამოაშუქებ.
სამარადჟამოდ მოისპობა რისხვა, ქიშპობა
და სადაც მიხვალ, იქ სიხარულს მიუტან ყველას“.

დადუმდა ძე ღვთის, მაგრამ მისი მშვიდი თვალები
კვლავ განაგრძობდნენ მეტყველებას; მათში ელავდა
მოკვდავთა დიდი სიყვარული, — ამ გრძნობას მხოლოდ
შვილის მორჩილი სიყვარული აღემატოდა.
და როგორც მსხვერპლი, შესაწირად გამზადებული,
დიდი მამისგან მოელოდა ახლა თანხმობას.
ზეცის ძალები აღტაცებამ მოიცვა უცებ,
უკვირდათ, ნეტა რა ხდებაო, ეს რას ნიშნავსო!
მაშინ უფალმა, ყოველისშემძლემ, ასე მიუგო:

„ჩემო ნუგეშო, ერთადერთო, ცათა და ქვეყნად
მხოლოდ შენ ერთმა მოუპოვე ხსნა და მშვიდობა
გასაწირავად გამზადებულ ადამიანებს.
შენც უწყი, როგორ მიყვარს ჩემი შექმნილნი არსნი:
ადამიანიც, თუმცა სხვებზე გვიან შევქმენი,
სხვებზე ნაკლებად როდი მიყვარს — ახლაც მზადა ვარ,
რომ მთელი მოდგმის დასახსნელად ჩემს სასუფეველს
და ჩემს მარჯვენას მოგაშორო მცირედი ხნითა.
რაკი მხოლოდ შენ ძალგიძს იხსნა ადამიანი,
ბუნება შენი შეუხამე იმის ბუნებას,
და კაცთა შორის შენც გახდები კაცთ ნათესავი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დრო მოვა, როცა შეგესხმება იმათებრ ხორცი,
გშობს ღვთაებრივად ქვეყანაზე ერთი ქალწული,
ძე ადამისა დაიმკვიდრებ ადამის ადგილს,
და შეიქმნები წინამძღვარი ადამიანთა.
ადამმა დასცა კაცთა მოდგმა — შენ მათ აღადგენ,
შენს ახალ ფესვზე ახალ ძალით აღმოაცენებ,
ხოლო უშენოდ ველარავინ აღორძინდება;
ის შეცოდებით ცოდვილს გახდის მთელს თავის მოდგმას,
შენ — გამოიხსნი, ვინც კი დაჰგმობს თვისთა საქმეთა —
ბოროტეულსაც და კეთილსაც, ვინც შენთან მოვა,
შენით იცოცხლებს და სიცოცხლეს შენგან მიიღებს.
ადამიანი, უმაღლესი სამართლის ძალით,
შეეწირება ადამიანს; ის სამსჯავროში
წარსდგება კიდეც, მოკვდება და მკვდრეთით აღსდგება:
ძვირფას სიცოცხლეს მოძმეთათვის გასწირავს იგი,
გამოისყიდის მათ ცოდვებს და მათაც აღადგენს.
ამრიგად, წმიდა სიყვარული, ციური გრძნობა,
გააცამტვერებს ჯოჯოხეთის ბოროტ სიძულვილს:
თავის განწირვით და სიკვდილით სხვასაც დაიხსნის;
რა ძვირი ხდება იმის დახსნა, რაც ჯოჯოხეთმა
ასე იოლად დაანგრია; კვლავაც დაუნგრევს
იმათ, მიღებას წყალობისას ვინც არ ისურვებს.
დაბლა ჩადიხარ, უნდა გახდე ადამიანი,
მაგრამ ამითი შენს ბუნებას როდი ამდაბლებ,
რადგან ღვთის ტოლი, ნეტარების ტახტზე ასული,
სიამტკბილობის მიღებაშიც ღვთის მოზიარე, —
სთმობ აქ ყველაფერს, რომ ქვეყანა გადაარჩინო,
ამით კი უფრო იმსახურებ სახელს ძე ღვთისას,
და ამ სიქველით კიდევ უფრო მეტად მაღლდები,
ვიდრე მაღალი წარმოშობით და სიდიადით;
შენში დიდებას — სიყვარულის გრძნობამ დასძლია;
ამ თავმდაბლობით — ცათ ამაღლებ ადამიანსაც.
კვლავ აქ იქნები ხორცშესხმული, სასუფეველში,
როგორც მეუფე სამყაროსი, მიროინცხებული,
როგორც ძე ღვთისა, თვითონ ღმერთი, და ძე კაცისა.
ხელისუფლებას შენ გაბარებ, იმეფე მარად,
უზენაესი შეიქნები, დაგიმორჩილებ
მორჭმულ თავადებს, ციურ ძალებს, ტახტის მფლობელებს;
ყველა მუხლს მოდრეკს შენს წინაშე, თავს მდაბლად დახრის —
ცის, დედამიწის, ჯოჯოხეთის მკვიდრი ყოველი.
როდესაც ცაში გამოჩნდები, დიდებით სრულით,
წარგზავნი მაცნედ ყოველ მხარეს არქანგელოზებს
და იმ საშინელს სამსჯავროზე მოუხმობ ყველას, —

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სადაც შენს შემდეგ უმაღლესი ტახტი მას ედგა,
და კაცთ სახსნელად, სასიკვდილოდ გასწირა თავი.
ო, სიყვარულო, უმაღლესო, უმაგალითოვ,
მარტო ღვთაება თუ მისწვდება ასეთ სიყვარულს!
დიდება შენდა, ძეო ღვთისა, კაცთა დამხსნელო!
აწ შენ იქნები ჩემი ქების უშრეტი წყარო,
შენზე სიმღერა არაოდეს არ მომწყინდება,
ქებას მოგიძღვნის ჩემი ქნარი შენ და შენს მამას!
ისხდნენ ზეცაში, ვარსკვლავების ზემოთ ისინი,
და სიმღერებში ატარებდნენ ჟამს სანეტაროს.
სატანა ამ დროს ჩამოეშვა დედამიწაზე,
დაეხეტება ბნელ ბურუსში, რაიც იფარავს
ამ მრგვალი სფერას შიდა ქვეყნებს, ნათლით მოსილებს,
ძველი ღამისა და ქაოსის შესევისაგან.
როცა შორს იყო, დედამიწა მრგვალი ეჩვენა,
ახლა უსაზღვრო ხმელეთი სჩანს, გადაჭიმული,
ბნელი, უდაბნო, მიუვალი, ველური სივრცე.
ზემოდან უბღვერს, უვარსკვლავო, პირქუში ღამე,
ირგვლივ კი მარად ბობოქარი ქაოსი უტევს.
მხოლოდღა ერთგან, ზეცის მხარეს, თუმც მოშორებით,
ნათელი მოსჩანს, და იქ ქარიც ისე არ ღმუის.
დაძრწის სატანა ამ გადაშლილ უდაბნოებში.
და როგორც ორბი, აფრენილი იმაუს* მთიდან, —
(რისი მწვერვალიც, თოვლიანი, ზღუდედ ედება
საძარცვავად და სათარეშოდ გამოსულ თათრებს), —
ველარ ჩაიგდებს მსხვერპლს ადვილად და დამშეული
გადინავარდებს განგისა და ჰიდასპისაკენ*,
მიჰქრის, მიფრინავს ბატკნისა და თიკნების ნდომით
მთებისკენ, საცა აძოვებენ მწყემსები ფარას,
გზად მიადგება სერიკანის* უდაბნო ველებს,
სადაც ჩინელნი ლერწმის ურმებს დაატარებენ
და მოხდენილად შლიან ხოლმე ქარზე იალქნებს...
ისე სატანაც ამ ზღვასავით გაშლილ ხმელეთზე
დაძრწის და ეძებს, მარტოდმარტო, თავის საკბილოს;
მარტოა... მაშინ სულიერი არ ჰაჰანებდა,
არცა უსულო არაფერი არ იყო ირგვლივ.
მხოლოდღა შემდეგ, როგორც ორთქლი ჰაეროვანი,
დედამიწიდან გამოცოცდა ყოველი არსი,
გარდამავალი და ამაო. მაშინ მოიცვა
კაცთა ცხოვრება ცოდვებმა და ამაოებამ;
ყოველი საქმე ფუჭი არის, ფუჭია ისიც,
ვინც დიდებას და უკვდავებას ამ საქმით ელის
და ნეტარებას ვინც დაეძებს წუთისოფელში;

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვიხაც ღვაწლისთვის ელოდება კაცთაგან ქებას
და ჰპოებს კიდეც მისაგებელს — ფუჭს იმგვარივეს,
ცრურწმენისა და ცრუპატივის ამაო ნაყოფს.
ბუნების ზრომა უსრული, და უმთავრებელი:
უდღეურები, ურჩხულები და მახინჯები,
აქ არეულან, უდაბნოში ეხეტებიან
და აქ ელიან საბოლოო განადგურებას —
არა მთვარეზე, როგორაც ეს ზოგს ეჩვენება*.
ვერცხლის ველებზე ბინადრობენ აქ წმიდანები,
საშუალონი — ანგელოზთა და კაცთა შორის.
აქვე მოვიდა დევკაცების მოდგმა პირველი,
ზეცის ძეთა და დედამიწის ასულთა შორის
ბილწი აღრევით ჩასახული, დაბადებული,
რომელთა ღვაწლიც ფუჭი არის, თუმც შექებულე.
ამათ ააგეს ბაბილონთან, სენამის ველზე,
კოშკი მაღალი და უნდოდათ კვლავაც აეგოთ,
თუმცა ასევე უსარგებლო და ფუჭი მხოლოდ.
სხვები ცალ-ცალკე გამოვიდნენ: ჯერ ემპედოკლე,
რომელსაც სურდა გამხდარიყო მაღალი ღმერთი,
მაგრამ, ბედკრული, ეტნას ცეცხლში კი გაეხვია;
კლეომბროტოსი — ამას სურდა შთავარდნილიყო
ელიზიუმში პლატონისა, — და ზღვაში ჩახტა*.
სხვებიც მრავალნი შეშლილები, უდღეურები,
რეგვენები და განდეგილი ბერებიც ბევრი, —
თეთრი სამოსით, შავ სამოსით, რუხი სამოსით*
მთელის თავისი პრანჭვითა და ამაოებით...
აქვე დაძრწიან, გოლგოთაზე, მწირმლოცველები
და აქ ეძებენ იმას, მკვდარსა, ვინც ცაში სუფევს.
სხვებიც, — სამოთხის მოსურნენი, ვინც სიკვდილის წინ
დომინიკელთა, ფრანცისკელთა სამოსს ისხამენ,
და, გადაცმულებს, იმედი აქვთ სამოთხეს მოხვდნენ;
გამოივლიან შვიდ პლანეტას*, მყარ ბროლის სფერას,
რომელიც თურმე მოძრავ სფერას აწონასწორებს;
ზეცის კარებთან ელოდება მათ წმიდა პეტრე,
ხელში უპყრია გასაღები, — ფეხს გადასდგამენ,
გადააბიჯონ უნდა ზღურბლზე, მაგრამ უეცრად
წამოუბერავს საიდანღაც მძვინვარე ქარი
და ცხრამთას იქით გადატყორცნის იმ უბედურებს.
ფარფატებს ქარში კუნკულები, ყაბალახები,
ანაფორები... თვით ბერებიც ბორიალობენ,
და ნაფლეთებად მოქცევიათ ტანთშესამოსი;
ბულები, პაპის შეწყალების წმიდა ფურცლები,
და მიტევების ქაღალდები ქარში თამაშობს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

წაიღებს ქარი, გაიტაცებს ამ ქვეყნის მიღმა,
ვრცლად გადაჭიმულ სამყოფელში, რომელს უხმობენ —
ბრიყვთა სამოთხეს*; ის ბევრისთვის არ იყო უცხო,
ახლა კი არვინ სახლობს იქა, ცარიელია.
დიდხანს დაძრწოდა მტერი ქუშად ამ ბნელს სფერაზე,
ბოლოს კი ერთგან შეამჩნია მკრთალი ციაგი
და მაშინათვე გაეშურა იმ სინათლისკენ.
ჯერ შორიდანვე გაარჩია დიდი შენობა,
საფეხურებით ზეცის ბჭემდე ამაღლებული,
მეფის სასახლის საკადრისი ძვირფასი ჭიშკრით
დამშვენებული, მოჭედილი ოქრო-ალმასით;
აღმოსავლური მარგალიტით ელავდა კარი;
მსგავსს ვერაფერსაც ვერ იხილავს თვალი ამ ქვეყნად,
და ვერც ყალამი ვერ მოხატავს ისეთს ვერაფერს.
იმგვარი კიბე იაკობმა იხილა ერთხელ,
როს ანგელოზთა მოელვარე დამცველი დასი
საფეხურებზე ადიოდა — ჩამოდიოდა.
ეს იყო ღამით, დააღწია თავი მან ესავს
პადან-არამში მიირბინა, ლუზისის ველზე,
დაწვა მინდორზე ღია ცისქვეშ და მიიძინა,
რა გაიღვიძა, დაიძახა: „ჰა, ბჭე ზეცისა!"
ამ კიბეს ჰქონდა იდუმალი დანიშნულება,
და ერთ ადგილზე გამუდმებით არ ჩერდებოდა.
ზოგჯერ ზეცაში ავიდოდა შეუმჩნეველად
და მის ადგილას გაჩნდებოდა ზღვა იასპისა,
ანუ თხევადი მარგალიტის. როდესაც ვინმეს
მოუნდებოდა ცაში ასვლა, — ტბას მოელვარეს,
ანგელოზების დახმარებით, გადმოცურავდა,
ან ცეცხლის რაში ომის ეტლით გააქროლებდა...
ნეტავი რისთვის გადმოუშვეს ეს კიბე მაშინ:
გაიძვერა მტრის საცთუნებლად და მისაზიდად,
თუ იმისათვის, რომ დაკარგვა სასუფევლისა
უფრო მწუხარედ, უფრო მწარედ მას განეცადა!..
ქვემოთ, სამოთხის სანეტარო კარის პირდაპირ,
დედამიწისკენ ფართო შარა მიიმართოდა,
თვითონ იმ გზაზეც უფრო ვრცელი, რომელიც შემდეგ
სიონზე გავლით მიდიოდა აღთქმულ ქვეყნისკენ;
სწორედ იმავ გზით ძლიერ ხშირად ანგელოზები,
მეუფის ნებით, ეწვეოდნენ ხოლმე ხალხს, ნეტარს,
თვითონ უფალიც სიყვარულით გადმოხედავდა
და იხილავდა ბედნიერ ტომს პანეასიდან,
თვით იორდანეს სათავიდან, — იმ ბარსაბამდე,
სად წმიდა მიწა ჰყოფს ეგვიპტეს არაბეთისგან, —

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ეს შარაც ასე ფართოდ და ვრცლად გადაშლილიყო
და ემიჯნოდა ბნელს, როგორც ზღვას მიჯნავს ნაპირი.

იდგა სატანა ოქროს კიბის ძირში მდუმარედ,
და გაკვირვებით გაჰყურებდა გაშლილ სამყაროს, —
როგორც მზვერავი, უგზო-უკვლოდ, უდაბნოებში,
ღამით საშიშარ ხეტიალის შემდეგ უეცრად,
განთიადისას გადახედავს მთის მწვერვალიდან
და დაინახავს მის წინაშე ფართოდ გადაშლილს
უცხო ქვეყანას, მშვენიერსა და სანეტაროს,
ან ქალაქს, მდიდრულს, დამშვენებულს კოშკ-გუმბათებით,
რომელსაც დილის მზე ოქროსფრად ააფერადებს...
იდგა მდუმარედ და თუმც ზეცა ნანახი ჰქონდა,
მაინც უკვირდა გულღრძო მტერსა; შურმა დააღრჩო,
რა დაინახა ეს წალკოტი, ტურფა ქვეყანა.
მიმოიხილა ყველა კუთხე, — ის მაღლა იდგა,
და იმ მაღალი თაღებიდან გადაჰყურებდა, —
აღმოსავლიდან თვალი ჰკიდა ვერძის ვარსკვლავებს,
რომელსაც მოჰყავს ანდრომედა ატლანტის ზღვიდან*,
და იმ სიშორით მთელს ჰორიზონტს შემოატარებს.
ნახა ყოველი, პოლუსიდან თვით პოლუსამდე,
და ერთი წუთიც ამის შემდეგ არ დააყოვნა,
გაფრინდა სწრაფად უახლოეს პლანეტისაკენ.
ლაღად მიცურავს მარმარივით წმიდა ჰაერში,
ფრენით ჩაუვლის აურაცხელ ვარსკვლავთა კრებულს,
რომლებიც მართლაც ვარსკვლავივით ელავენ შორით,
მაგრამ ქვეყნები აღმოჩნდება ახლოს რომ მიხვალ,
ან კუნძულები, ჰესპერიდის ბაღების* მსგავსი,
დიდად ნეტარნი და ქებულნი ძველი დროიდან,
დამშვენებულნი აყვავებულ ჭალა-მინდვრებით;
სამგზის ნეტარი კუნძულები!.. მაგრამ სატანას
არც უფიქრია, რომ გაეგო — იქ ვინ ცხოვრობდა.
მას იზიდავდა ზეცასავით შუქმომფინარე,
და ყველაფერზე მაღლა მდგომი მზე, ოქროსფერი.
მისცურავს მისკენ გამალებით, სერავს წყნარ ზეცას,
მაგრამ ძნელია გამორკვევა, — დიდი მნათობი
სად მდებარეობს: აღმა, დაღმა, ცენტრში, ნაპირას?!
მოშორებია ვარსკვლავების უთვალავ გუნდებს,
აურჩევია საპატიო მანძილი მათგან,
და ხელმწიფური ელვარებით აფრქვევს სინათლეს.
ვარსკვლავნი ირგვლივ ტრიალებენ, ფერხულს უვლიან
და ამ ფერხულით გამოჰყოფენ დღეს, თვეს, წელიწადს;
ბრუნავენ, თუ მზის მაგნიტური სხივი აბრუნებთ,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რომელიც ყველგან ეფინება, ათბობს სამყაროს,
გაჰკვეთს სიღრმეებს და საამურ სითბოს მიაფრქვევს,
მიწის უხილავ წიაღსაც კი მოჰფენს სიკეთეს,
ისეთ საოცარ და ღვთაებრივ ადგილზე სუფევს.
შესდგა სატანა. ლაქასავით მიეკრა სფერას.
ჯერ ვარსკვლავთმრიცხველთ არც უხილავთ, თავისი ჭოგრით,
მზით გაბრწყინებულ სამყაროში ასეთი ლაქა.
იგი ადგილი თვალისმომჭრელ ნათელს აფრქვევდა,
ქვეყნად ვერც ლითონს შეადარებ, ვერც ქვას — ვერაფერს;
ყოველ წერტილში ერთფერ სხივებს არ გამოსცემდა,
ისე კი, ყველგან ელვარებდა, ვით ცეცხლში რკინა.
თუ ლითონს რასმე შეავადარებთ: ზოგან ოქროსფრად,
ზოგან კი წმინდა ვერცხლისფერით ის ანათებდა;
ქვას თუ ვადარებთ, იგი ჰგავდა — ლალს და ოქროქვას,
ბეჟმენდსაც ჰგავდა, იაგუნდსაც, სხვა თორმეტ ქვასაც,
რომლებიც არდაგს უმშვენებდნენ ძველად აარონს*;
იმ ქვასაც ჰგავდა, ამაოდ რომ ეძებდნენ ქვეყნად
ფილოსოფოსნი, თუმცა შესძლეს და მოახერხეს
რომ დაეჭირათ და შეეკრათ ფრთოსანი ჰერმეს;
გამოიტყუეს ზღვის სიღრმიდან იმათ პროტეევსიც*,
ზარფუშში კარგად გაცხრილეს და გაასუფთავეს,
კვლავ დაუბრუნეს ელვარება, თვალისმომჭრელი.
მაშ რაღა არის საკვირველი თუ იმ სფერაზე
მინდორ-ველები ელიქსირის სუნთქვით სუნთქავენ,
თუ კალაპოტში ედინება ოქროს მდინარე, —
როცა მთავარი ქიმიკოსი, მზე შორეული,
სხივების ფრქვევით სიკეთეს და სიქველეს თესავს,
და მიწიერის სიბნელიდან იგი წარმოქმნის
დიდად საამურს, აურაცხელ სანუკვარ საგნებს,
მრავალფერადსა და იშვიათ სანახაობას.
სულს, ბოროტეულს, ეს სიახლე როდი აკვირვებს,
მან მედიდურად მიმოავლო თვალი გარემოს, —
მიმართა მზერა ყოველის მხრით, გაშლილ ველებზე;
ყველგან წვდებოდა თვალი მისი, ხელს არ უშლიდა
ჩრდილიც კი მცირე, — მზის ნათელი ადგა ყველაფერს, —
ვით ეკვატორზე შუადღისას მზე სხივებს ისვრის
ზეცის გულიდან სწორი ხაზით დედამიწისკენ
და იმ დროს ჩრდილი ქვეყნად არსად წარმოიქმნება. —
ჰაერი ასე გამჭვირვალე არსად ყოფილა
და შორეული საგნებიც კი კარგად მოსჩანდა.
უცებ სატანამ ანგელოზი შენიშნა შორით,
რომელიც ერთხელ იოანემ იხილა მზეზე;
ზურგშექცეული იდგა ახლა ეს ანგელოზი,
მაგრამ ჩვეული ელვარებით ელავდა მაინც.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

www.PDF.ChiaturaINFO.GE

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავს მზის სხივების ოქროსფერი ტიარა ედგა
და გაშლილ ფრთებზე კულულები ეფინა, რბილი.
ეტყობა, დიდი საქმე ჰქონდა მას მინდობილი,
ანდა მოეცვა მძიმე ფიქრებს და ღრმა ოცნებას.
ბოროტმა სულმა გაიხარა, იმედმა გაჰკრა,
რომ ანგელოზი ასწავლიდა გზას სამოთხისკენ,
ადამიანის კურთხეული სამყოფელისკენ,
სადაც მგზავრობას იგი თვისას დაასრულებდა,
ხოლო ჩვენთვის კი მწუხარება დაიწყებოდა.
ჯერ გარეგნობა შეიცვალა, — ნამდვილი სახე
ხელს შეუშლიდა, ან უქადდა განადგურებას, —
იქცა პატარა ქერუბიმად და ისე მარჯვედ
მან მოახერხა შეცვლილიყო, რომ ქორფა სახით
ასხივოსნებდა ციურ ღიმილს, მთელი სხეულით
თითქოსდა ნაზი, უცოდველი, უმწიკვლო იყო;
თმების ტალღები მას ღაწვებზე უთამაშებდა,
და ჭრელი ფრთები ელვარებდნენ ოქროს წინწკლებით;
ვით მგზავრს შეჰფერის, აიკეცა სამოსის კალთა
და გზას გაუდგა ღირსეულად, ვერცხლის არგანით.
მალე შენიშნა ანგელოზმა. მან შორიდანვე
იგრძნო ფეხის ხმა, მოაბრუნა ნათელი სახე,
და სატანამაც ურიელი შეიცნო მყისვე,
ზეცის მთავარი ანგელოზი, ერთ-ერთი სული
იმ შვიდთაგანი, ვინც მარადჟამს ღვთის ტახტთან დგანან
და მოელიან ღვთის ბრძანებას. მათ უწოდებენ
თვალებს უფლისას, — ტრიალებენ მარდად ზეცაში
და ქვეყანაზეც მოაქვთ ჩვენთან ნება ღმერთისა.
ყველგან დაჰქრიან — წყალზე, ხმელზე, — ზღვაზე, მიწაზე.
ასე მიმართა მას სატანამ: „ჰოი, ურიელ,
შენა ხარ ერთი შვიდთაგანი, ვინაც ზეცაში
დგახართ ღვთის ტახტთან, ნათლმოსილნი, დიდებასრულნი
და უფლის სურვილს პირველნი თქვენ აცნობთ მის შექმნილთ,
ახლაც აქ დგახარ, უმაღლესი ნება-სურვილით
და ვით ღვთის თვალი, ახალ შექმნილ ქვეყანას უჭვრეტ.
ენით უთქმელი სურვილით, — რომ ახლოს შევიცნო
ვნახო მე უფლის საოცარი ნამოღვაწარი,
უპირველესად კი ვიხილო ადამიანი,
მისი მთავარი სიყვარული, მისი ნუგეში,
ვისაც მიუძღვნა ზენაარმა ამდენი ღვაწლი, —
ქერუბიმთ დასებს დავშორდი და მარტო დავეშვი;
ახლა მაუწყე, სერაფიმო, ნათლითმოსილო,
ამ მოელვარე სფერებიდან, ადამიანი
რომელ ელვარე სფერაზეა დამკვიდრებული,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იქნება ერთგან არც კი ჰქონდეს მუდმივი ბინა
და მონაცვლებით ბინადრობდეს ყველა სფერაზე.
მინდა ვიხილო, იდუმალად შევავლო თვალი,
ანუ აშკარად გავიხარო იმათი ხილვით,
ვისაც დიადმა შემოქმედმა უძღვნა ქვეყნები
და ღვთაებრივი მოწყალება გადმოაფრქვია.
ქება შევასხათ სამყაროის დიად შემომქმედს,
რომელმაც, მტერნი, თავხედურად აღზევებულნი,
ქვეგადასტყორცნა ჯოჯოხეთის ღრმა უფსკრულებში,
და მათ ადგილას, უფრო კარგად რომ ემსახურონ,
შექმნა ნეტარი, ბედნიერი მოდგმა კაცისა.
ყოვლად ბრძნულია ზენაარის ყველა ნაბიჯი".

ასე ტყუოდა მოღალატე, და ვერ შეიცნეს,
რადგან არც კაცსა, არც ანგელოზს არ ძალუძს მიხვდეს
ფარისევლობას, — ცბიერება შეუცნობია:
დაძრწის ღვთის ნებით, უხილავად, ცათა და ქვეყნად
და მხოლოდ ღმერთი, ერთადერთი, შეიცნობს იმას.
თუმც სიბრძნე ფხიზლობს, ეჭვსა სძინავს სიბრძნის კარებთან
და გუშაგობას გადულოცავს უბრალოებას,
ხოლო სიკეთე ბოროტებას ვერც კი შეამჩნევს,
თუ თვალსაჩინოდ არ იხილა ეს ბოროტება.
ასე მოტყუვდა ურიელიც, მზის მბრძანებელი,
ცის სულთა შორის გამჭრიახი ყველაზე მეტად, —
მან გაიძვერა და გარეწარ სულს, ბოროტეულს,
ასეთი წმინდა და მართალი სიტყვები უთხრა:

„შენი განზრახვა, მშვენიერო ცის ანგელოზო —
ახლოს შეიცნო, განიცადო ღმერთის ნაღვაწი,
რათა ადიდო ყოველივეს დამფუძნებელი,
სულაც არ არის დასატუქსი და გასაკიცხი,
პირიქით, უფრო ქების ღირსი ხარ ამისათვის.
სასუფევლიდან წამოსულხარ შენ მარტოდმარტო,
რათა საკუთარ თვალით ნახო ის ყოველივე,
რაზედაც ცაში ბევრი რამე მოგისმენია.
ჭეშმარიტად რომ საოცარი სანახავია,
სიამოვნების, ნეტარების მომნიჭებელი,
მართლაც ღირსია, მუდამ ტკბილად მოვიგონებდეთ.
მაგრამ ვის ძალუძს განიცადოს მთელი სიკეთე,
შეიცნოს სიბრძნე ამ სიკეთის დამფუძნებელი,
როცა მიზეზი მათი შექმნის დაფარულია.
მე თვითონ ვნახე: ზენაარის ნება-სურვილით,
სულ უფორმო და უსახური თხიერი მასა,
რომლისგან შემდეგ წარმოიქმნა სამყარო ესე,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

როგორ გაცივდა, ჩამოიქნა. ა რ ე ვ-დ ა რ ე ვ ა მ
რა გაიგონა ღვთის ბრძანება, დაცხრა ზრიალი
და განუსაზღვრელს ვრცეულობას ზღვარი დაედო.
ბრძანა მეორედ, — და სიბნელე მთლად განიფანტა,
გაჩნდა სინათლე, ნგრევის ნაცვლად წესრიგი დადგა.
მრისხანე ძალნი სტიქიისა გამოეშურნენ,
უმალვე გაჩნდა — მიწა, ცეცხლი, წყალი, ჰაერი;
ზეაიწია ცის ეთერის ნივთიერება,
მიიღო ფორმა მრავალგვარი, მრავალფერადი,
და აურაცხელ ვარსკვლავებად გამოიჭედა;
ხომ ხედავ კიდეც, ამ სივრცეში როგორ დაჰქრიან.
ყველას თავისი ადგილი აქვს, თავის გზით დადის.
სხვა ნაწილი კი ეთერისა ამ ვრცელ სამყაროს
შემორტყმული აქვს მთელს მანძილზე წრიულ გალავნად.
აბა ჩახედე ქვემოთ სფერას, როგორ ელვარებს,
ჩვენკენ მოქცეულ ზედაპირით; თუმცა ეს მხოლოდ
ანარეკლია სინათლისა, — ეს არის სწორედ
თვით დედამიწა, იქ ბინადრობს ადამიანი.
და ეს სინათლე დღეა მისთვის, — უსინათლოდ კი,
როგორც ამჟამად სფერას იქით, იმ ნახევარზე,
აქეთაც ღამე იქნებოდა. შეხედე მთვარეს, —
იმ ნათელ ვარსკვლავს, ჩვენს პირდაპირ, მთვარეს უხმობენ, —
ყოველთვიურად შემოუვლის ის დედამიწას,
ზოგჯერ კლებულობს, ზოგჯერ კიდევ პირსავსე ხდება,
სესხულობს ნათელს და სამგვარად შეიცვლის სახეს,
მკრთალი სინათლით ღამეს დევნის მიწის პირიდან.
აი, სამოთხეც, იქ ბინადრობს ადამი სწორედ
და ის მაღალი ტალავარი საჩრდილობლად აქვს.
გზას თვით გაიგნებ, — მე კი ჩემს გზას უნდა დავადგე".

თქვა და გაბრუნდა, სატანამ კი თავი დახარა, —
რადგან ზეცაში წარჩინებულ ანგელოზთ მუდამ
თავს მოწიწებით დაუხრიან და თაყვანს სცემენ, —
მერე მიბრუნდა, ჩამოეშვა დედამიწისკენ
და გაეშურა გამარჯვების მტკიცე იმედით.
მიფრინავს ციდან, ჰაეროვან წრეებსა ხაზავს
და ნიფატამდე იგი აღარც შეჩერებულა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

წ ი გ ნ ი მ ე ო თ ხ ე

შინაარსი

სატანა მოუახლოვდება ედემს, სადაც მან უნდა შეასრულოს თავისი ბოროტული ზრახვა, მიმართული ღვთისა და ადამიანის წინააღმდეგ. ზრახვა რომლის განხორციელება მან მარტოდმარტო იკისრა. მაგრამ საგონებელში ჩავარდება, შიში, შური და საშინელი განწირულება მოიცავს. ბოლოს და ბოლოს, ბოროტება კვლავ გაამაგრებს მას და სამოთხისკენ გაემართება. აღწერილია სამოთხის მდებარეობა და საერთო ხედი. სატანა ზღუდეს გადაევლება, ყვავად იქცევა და სამოთხის დასათვალიერებლად, ბაღში ყველაზე მაღალ ხეზე — სიცოცხლის ხეზე შემოჯდება. ამას მოსდევს სამოთხის ბაღის აღწერა; სატანა პირველად დაინახავს ადამსა და ევას და მათი მშვენიერებისა და ნეტარების ხილვაზე, გაკვირვებული დარჩება, მაგრამ გადაწყვეტილებას მათი დაცემის შესახებ მაინც არ შეიცვლის. იგი ყურს მიუგდებს ადამიანების საუბარს და გაიგებს, რომ მათ სიკვდილის მუქარით აკრძალული აქვთ ცოდნის ხიდან ხილის მოწყვეტა და ჭამა. სატანა ადამიანის ცთუნების გეგმას სწორედ ამაზე აფუძნებს: გადაწყვეტა როგორმე დაარღვევინოს მათ უფლის ნება. შემდეგ ცოტა ხნით მიატოვებს მათ, რათა სხვა საშუალებებითაც გაიგოს მათი მდგომარეობის ამბავი. ამასობაში ურიელი მზის სხივს ჩამოჰყვება და სამოთხის კარებთან გუშაგად მდგომ გაბრიელს გააფრთხილებს, ჯოჯოხეთიდან ბოროტი სული გამოქცეულა და კეთილი ანგელოზის გარეგნობა მიუღია. შუადღისას ჩვმს სამფლობელოში ჩამოიარა და სამოთხისკენ გამოემართაო: მან სატანა იცნო მთაზე გაშმაგებული მოძრაობით. გაბრიელი აღუთქვამს, გათენებამდე ვიპოვნიო. მოსაღამოვდა, ადამ და ევა მოსასვენებლად წასვლას გადაწყვეტენ. აღწერილია მათი ფანჩატური, მწუხრის ლოცვა. გაბრიელი ღამის გუშაგ-ანგელოზთა გუნდს გამოიყვანს, რათა სამოთხეს შემოუაროს ირგვლივ. ორ ძლიერ ანგელოზს ადამის ფანჩატურისკენ წარგზავნის, რათა ბოროტმა სულმა ადამსა და ევას ძილის დროს ვნება არ მიაყენოს. ისინი სატანას ნახავენ ევას სასთუმალთან — მაცთუნებელ სიტყვებს ეჩურჩულება ძილში. დაიჭერენ და გაბრიელს მიჰგვრიან. გაბრიელის შეკითხვებზე იგი ზიზღით უპასუხებს და შესაბრძოლებლად ემზადება, მაგრამ ცაზე რაღაც ნიშანს დაინახავს, დაფრთხება და სამოთხიდან გარბის.

ოი, წინასწარ, — ვით გვაუწყებს აპოკალიპსი, —
რატომ მაშინაც არ გაისმა ხმა ზეცით მჭექი
ოდეს დრაკონი, ხელმეორედ დამარცხებული,
დაბლა დაეშვა, აღვსებული შურისძიებით;
„ვაება მიწის მოსახლეთა!“ რად არ გაისმა,
უწინაპარესთ რომ სიფრთხილე ეგრძნოთ წინასწარ,
რომ მიმხვდარიყვნენ ფარული მტრის მიახლოებას
და ბედნიერად ასცდენოდენ სიკვდილის მახეს.
აწ გვიანლაა, რისხვით სავსე მიდის სატანა,
მაცთუნებელი, ბრალმდებელი ადამიანთა,
მიდის უცოდველ და უსასო ადამიანზე
იძიოს შური ყველაფრისთვის, რაც დაუკარგავს
პირველ ბრძოლებში და ჯოჯოხეთს გადატყორცნითა,
მაგრამ უშიშარს, შეუპოვარს, რაღაც აძრწუნებს,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მიზანთან ახლოს სიხარული როდი ეწევა;
სუნთქვა, ბნელქუში, გვერდს უგზნებს და უფორიაქებს,
(ვით ეშმაკური იარაღი უკუიბრუნებს),
შიშით და ეჭვით აღევსება ტანჯული სული,
და ჯოჯოხეთი გადეშლება თვით არსებაში;
მარად თან დააქვს ჯოჯოხეთი და ჯოჯოხეთში
დაიარება. ის ჯოჯოხეთს ვერ გასცილდება,
ვით საკუთარ თავს, თუნდ ადგილი გამოიცვალოს.
უიმედობა გაულვიძებს სინდისის ქენჯნას,
აუშლის მწარე მოგონებებს: რა იყო წინათ,
რა არის ახლა, ანუ მერე... საშინელება!
საშინელს ჩადის, საშინელი ტანჯვაც მოჰყვება.
ზოგჯერ გახედავს წინ გადაშლილ მშვენიერ ედემს,
მიაპყრობს თვალთა, სევდით სავსეს; ზოგჯერაც ზეცას
და ბრწყინვალე მზეს, ცის შუაგულს რომ მოჰქცევია.
და მღელვარებით, ოხვრით, შემდეგ ასე დაიწყებს:
„ო, საოცრებავ, ო, ბრწყინვალე გვირგვინოსანო,
დიდ ელვარებით ვარსკვლავებს რომ უქრობ სინათლეს,
და სამკვიდროდან გადმოჰყურებ, ვითარცა ღმერთი
ახალ ქვეყანას; მე შენ გიხმობ არა სიამით,
ო, არა, მზეო, მინდა გითხრა, — მძულს შენი სხივი,
რადგან აღმიძრავს მოგონებას, თუ როგორ ერთხელ
აღზევებული შენზედ მაღლა — ძირს დავენარცხე;
როგორ ვებრძოდი, ტოლუსწორო, ზეცის მეუფეს,
და მან, ზვიადმან, როგორ მტყორცნა ზეციდან დაბლა.
რადა? კარგისთვის მე არ უნდა მიმეზღო ავი!
მან ამამაღლა! სამსახურიც არ იყო ძნელი,
რა ძნელი იყო, რომ გამეგო წყალობის ფასი
და ჯილდოსათვის მეც მადლობა გადამეხადა?!
მისი სიკეთე ჩემში მხოლოდ ბოროტს იწვევდა,
აღარ მინდოდა მორჩილება და ამაღლებულს,
მსურდა რომ კიდევ ამეწია ერთი ნაბიჯით,
და ჩემს მოკეთეს, ჩემს მბრძანებელს თავმოვქცეოდი.
ასე ერთ დაკვრით მოვიხსნიდი კალდებულებებს,
ესდენ მძიმე ტვირთს მარადიულ მორჩილებისა.
მე დავივიწყე, რომ ერთგულად ის მექცეოდა,
რომ ერთგულისთვის ერთგულება უნდა მიმეზღო.
ვილას მიუზღავს სიკეთისთვის მერე სიკეთე,
თუ ტვირთს მოიხსნის, თუ მიაღწევს თავისუფლებას?!
ო, რად არ ვიშვი მე მორჩილ და მშვიდ ანგელოზად?
რა ბედნიერი ვიქნებოდი! მორჩილ სიხარულს
გაზვიადება როდი ძალუძს. ო, რატომ არა?!
შეიძლებოდა ბატონობა სხვას განეზრახა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სხვას წამოეწყო შეთქმულება, მე ჩავეთრიე.
მაგრამ ცთუნებამ ვერვინ სძლია, ვერ შეარხია.
შენ გაგაჩნია წყურვილი ხსნის? და ძალაც ხსნისა?
— ჰო, გაგაჩნია! რაღა გინდა, ბრალს ვიღასა სდებ?
ზეცა სიყვარულს ერთნაირად რად ანაწილებს?
    წყეულიმც იყოს, წყეულ იყოს მის სიყვარული!
ვით სიძულვილი, სიყვარულიც მისი ერთგვარად
მარადიული ურვით მავსებს და მავალალებს.
არა, თვითონ შენ წყეულიყავ! იბრძოდი მისთვის,
თავისუფლება მოგეპოვა, და მოიპოვე
ის, რაც ესოდენ სინანულით გავსებს ამჟამად.
მე უბედური! სად წავიდე, როგორ გავექცე
უსაზღვრო რისხვას, უსასრულო უიმედობას?
რა წყალს მივეცე? სადაც წავალ ჯოჯოხეთია,
მე თვითონა ვარ ჯოჯოხეთი, ჩემშივე არის
ესეოდენ ღრმა, ასე ვრცელი შიში და ძრწოლა,
რომ ჯოჯოხეთი, სად მე ვსუნთქავ, ზენაარსა ჰგავს.
ნუთუ არ არის რაიმ შვება ან შეღავათი,
ნუთუ არ ძალმიძს სინანულით გამოვისყიდო,
ნუთუ მუდარით ვერ მივიღებ მე მიტევებას?!
ვერა! მარტოდენ მორჩილება! ო, მორჩილება, —
მარტო ეს სიტყვა სირცხვილით მწვავს იმათ წინაშე,
ვინც ჩემთან ერთად ძირს დაეცნენ, ვინც მე მოვხიბლე
დაპირებებით, ქადილითა და — მორჩილება,
ო, სასირცხვილო მორჩილება შეგვრჩა გზად ხსნისა.
ვაიმე, ვაი! მცირედ გრძნობენ, როგორ განვიცდი
მაღალი ფიქრი რომ განქარდა ასე ამაოდ,
როგორა მტანჯავს, როგორ მქენჯნის და მდაღავს მწარედ:
ჩემს სამეუფო ჯოჯოხეთში ტახტზე მჯდომარეს,
გვირგვინმოსილსა თაყვანებით რომ მადიდებენ,
რამდენსაც უფრო მაღზევებენ, უფრო ვეცემი.
მე დიადი ვარ მარტოოდენ უბედურებით
და ჯოჯოხეთის თაყვანება ვერ დამამშვიდებს.
მაგრამ აი, ვთქვათ, მივაღწიე მონანიებით
და მიფერებით ჩემს ადრინდელ მდგომარეობას, —
განა მაშინვე არ აღიძვრის მაღალი ფიქრი,
შმაგი სურვილი ზედგომის და ბატონობისა?!
არ გამჟღავნდება ყალბი სახე, მიცემულ ფიცის,
არ მემწვავება ფიცი ფუჭი, ბოროტეული?!
არ შეიძლება თანხმობა და სიამტკბილობა,
სად სიძულვილის ფესვებია გამჯდარი ღრმადა.
მეტი სიმწვავე, უფრო დიდი დაცემა ჩემი
თან მოჰყვებოდა მორიგებას ჩემს მოძულესთან,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

წამით თანხმობა შემომძენდა ორმაგ ტკივილებს,
ეს კარგად იცის ჩემ დამსჯელმაც, ისევე არ სურს
რომ მომიტეკოს, როგორაც მე — რომ შევურიგდე.
აქ აღარ არის იმედი რამ! აი, მან შექმნა
ადამიანი და იმისთვის ესე ქვეყანა,
ჩვენ განდევნილთა და დასჯილთა სამაგიეროდ.
ო, მაშ, მშვიდობით, იმედო და შიშო, მშვიდობით;
მონანიებავ, შენც მშვიდობით! დავკარგე კარგი, —
ამიერიდან ჩემი კარგი — ბოროტებაა,
ამით სამყაროს მე გავუყოფ ზეცის მფლობელსა.
ალბათ მერგება ნახევარზე მეტი სამეფოდ,
ახალ ქვეყანას მე ვიუფლებ, მე ვისაკუთრებ
ადამიანი ყოველივეს გაიგებს მალე“.

ამას ამბობდა სატანა და ყოველი განცდა
მალმალ ელავდა მის სახეზე; უცვლიდა იერს
უიმედობა, რისხვა, შური და სიძულვილი;
ყოველივე ეს წარამარა უმღვრევდა სახეს
და ამჟღავნებდა მაცთურობის სულისკვეთებას.
ციური აზრით წმიდა არის გულის ღრმა გმირვა.
მიხვდა სატანა, რაოდენად თავს ამჟღავნებდა
და სცადა ღელვა დაეფარა მოხერხებითა.
მისი თვისება პირველთაგან სწორედ ეს იყო:
წმიდა იერში გაეხვია ყალბი, ბოროტი.
მაგრამ იმდენი მოხერხება მაინც არ ჰქონდა,
რომ შეეცდინა არიელი, ერთხელ დაცდილი.
და არიელი მის გზა-სავალს თვალს ადევნებდა.
იხილა იგი ასურეთის მთაზე შემდგარი,
რაღაც უსახოთ, რაც კეთილ სულს არა სჩვევია.
კარგად ამჩნევდა მის სასტიკ და დაუმცხრალ რხევას,
ხოლო სატანას უხილავი ეგონა თავი.

აჰა, სატანა ეშურება, მიაღწევს ედემს,
თვალს გადაავლებს გასაოცარ სამოთხის ბაღნარს,
სად ველი ბრწყინავს და ზიმზიმებს ნაირფერადა.
ბორცვი აღვსილა იქ მრავალგვარ ველურ ბუჩქებით,
ღვივის, ღაღანებს, გასავლელად მეტად ძნელია;
გადატყორცნილან თვალუწვდენნი, ხენი მაღალნი,
კედრს, ნაძვსა და ფიჭვს ჩრდილები გრძლად დაუფენიათ.
პალმა გაშლილა, განტოტილა, ჩრდილი ჩრდილს გასდევს,
ბაღნარსა ეშხით აღუვსია სანახაობა.
ხის კენწეროთა უფრო მაღლა, უფრო ზვიადად,
აღმართულია თვით სამოთხის მწვანე კედელი.
აი, აქედან გადაშლია კაცთა წინაპარს

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მერე შეერთდნენ წყაროები, დაეშვნენ ქვევით
და ბნელ ხვრელიდან მომდინარე წყალს შეუერთდნენ.
ოთხ შტოდ განშტოვდა ამის შემდეგ დიდი მდინარე*,
და ყოველი შტო ედინება სხვადასხვა მხარეს,
სხვადასხვა განთქმულ სამეფოში. სად — აღარ მოვთვლი.
ეს კი უნდა ვთქვა, თუ კი მეყო ხელოვანება,
ვით ედინება საფირონის წმინდა არხებში,
აღმოსავლეთის ოქროსა და მარგალიტებზე
ნაკადულები, — ვით ასხურებს ნექტარს, საამოს,
ვით მიაკითხავს, ინახულებს ყოველ მცენარეს
და ვით მოუკლავს სამოთხეში ყვავილებს წყურვილს.
არა წარმტაცმა ხელოვნებამ აღმოაცენა
ეს ყვავილები, — თვით ბუნებამ შექმნა ისინი,
მიმოაფრქვია უხვად მთებსა, მინდორ-ველებზე...
იქაც, სად მდელოს მზე დილისა ესალბუნება,
და იქაც, საცა ხეთა ჩრდილი აბნელებს ველებს.
რა სანეტარო სანახავი იყო ეს კუთხე,
მყუდრო, სოფლური ადგილებით დამშვენებული:
ჭალას ხეები სურნელოვან ბალზამს აფრქვევდნენ,
დახუნძლულიყვნენ, დაეხარათ ტოტები დაბლა
და ოქროთნაფერ ტკბილი ხილით ხიბლავდნენ მზერას.
თუ ჰესპერიდის არაკები დასაჯერია,
მაშინ სწორედ აქ იქნებოდა მისი წალკოტიც.
მდელოებსა და კორდებს შორის, გაშლილ ველებზე
ნახირი ძოვდა ქორფა ბალახს, იქვე მახლობლად
პალმის ხეებით დაფარული ბექობი იყო;
წყაროთ ნაპკურებ მინდორს მრავლად გამოეფინა
სხვადასხვა ფერის ყვავილები, ვარდი უეკლო.
ახლა სხვა მხარეს... მოჩრდილებულ გამოქვაბულსა
თუ საამოდ გრილ მღვიმეებზე გადმოეშალათ
ვაზებს ყლორტები და მტევნები წითლად ღუოდნენ,
გორაკებიდან ნაკადულნი მობუტბუტებდნენ,
ედინებოდა ზოგი კენტად, ზოგიც ერთვოდა
ტვიის ბუჩქებით დამშვენებულს ტბას მოკამკამეს,
და ბროლის ტბაში ეს ნაპირიც ჩახატულიყო.
ჩიტნი გუნდ-გუნდად ჟღურტულებდნენ, დანავარდობდნენ;
ჰქროდა ნიავი, გაზაფხულის, ანცი ნიავი,
ველ-მინდვრებისა და ჭალების სურნელის მფრქვევი,
და მოსახსახე ფოთლებს ნაზად აშრიალებდა.
იქვე გრაცია და ჰოური, თვით პანთან* ერთად,
ჩარეულიყვნენ გაზაფხულის წარმტაც ფერხულში.
ასეთი ტურფა არ ყოფილა არც ენას* მდელო,
სადაც ყვავილებს, თვით ყვავილზე უფრო კეკლუცი
პროსერეპინა წყვეტდა ერთხელ, მაგრამ უეცრად

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თვითვე მოსწყვიტა მოღუშულმა პლუტონმა* იგი
და დაამწუხრა დიდათ ცერერ, რომელმაც შემდეგ
მთელი დუნია მოიარა მის საძებნელად;
ვერც მშვენიერი ჭალა დაფნის, ორონტის ახლოს,
და ვერცა წყარო კასტალისა*, შთამგონებელი,
ედემის წალკოტს ვერაფრით ვერ შეედრებოდა;
ვერცა კუნძული ნისიასი, რომელსაც ირგვლივ
სარტყლად არტყია მთელს სივრცეზე მდინარე ტრიტონ;
ამა კუნძულზე, ერთხელ, ძველად, მოხუც ქამოსმა, —
(ამონს უხმობდნენ წარმართები, ზევსს — ლიბიელნი)
ავს დედინაცვალს დაუმალა მოხერხებულად
ამალთეა და ღაჟღაჟა ძე — ჭაბუკი ბახუს;*
აბისინიის სამეფოც ვერ შეედრებოდა,
ამარას მთასთან გადაშლილი, ეთიოპიას,
ელვარე კლდესთან, თვით ნილოსის სათავეებთან,
სადამდეც მთელი დღის სავალი გზა არის ძნელი.
ზოგი ამტკიცებს, თითქოს იყოს იგი სამოთხე,
მაგრამ ნამდვილად ძლიერ შორს დევს ასურეთიდან..
სატანამ ირგვლივ უსიამოდ მოავლო თვალი
მეტად საამო და სანუკვარ სანახაობას,
უთვალავ ცოცხალს ქმნილებებსა, ახალს და უცხოს.
მათ შორის ორი ჩანდა სხვებზე კეთილშობილი,
სხვებზე მაღალი, თვალტანადი, მხრებგამართული,
ტიტველნი სულმთლად, ბუნებრივის კდემით მოსილნი...
იქ, ეტყობოდა, ყველაფერი მათ ეკუთვნოდა,
და იყვნენ კიდეც ამის ღირსნი, რადგან თვალებით
ასხივოსნებდნენ შემოქმედის დიდებულ სახეს,
სიბრძნეს, სიმართლეს, სათნოებას და მკაცრ სიწმიდეს,
მკაცრსა, — და მაინც სავსეს ბალღურ უზრუნველობით;
ესე სიმკაცრე ადამიანს იცავს მას შემდგომ.
არ ჩანდნენ მაინც თანასწორნი: სქესით ისინი
არ იყვნენ ერთნი, — კაცი ჩანდა მხნე და მამაცი,
ქალი კი ნაზი მიხვრა-მოხვრით ხიბლავდა მზერას;
კაცი შექმნილი იყო ღვთისთვის მხოლოდდამხოლოდ,
და ქალიც, კაცში ჩასახული, ღმერთს ეკუთვნოდა.
მაღალი, ფართო და ნათელ› შუბლი კაცისა,
ამაყი მზერა — ამჟღავნებდა ნების სიმტკიცეს;
ორი კულული, მომხიბლავი, სუმბულის ფერი,
მას ჩამოშლოდა და მხარბეჭზე ჩამოჰფენოდა.
ქალს კი ოქროს თმა, მოელვარე, უსამკაულო,
ნაზი სიანცით ჩამოშლილი, წელამდე სცემდა,
ვით მოსასხამი, კოხტა ტანზე შემოხვეოდა.
ქალის არსება ამჟღავნებდა სრულს მორჩილებას,
ოღონდ თვითონაც მოითხოვდა სათნო მოპყრობას.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მის მორჩილებას უპასუხებს კაცი ალერსით.
სიმორცხვით, კდემით უთმობს ქალი, მაგრამ ამასთან
სიყვარულითა და ანცობით ურჩობას უწევს.
არ უფარავდათ არაფერი სასირცხო ადგილს,
არც კი იცოდნენ ცოდვიანი სირცხვილი მაშინ;
სირცხვილი მხოლოდ თვით ბუნების სიწმიდეს ბღალავს,
პატიოსნებას ბილწავს და ხდის უპატიოსნოდ...
ჰოი, სირცხვილო, საშინელო, ცოდვით ნაშობო,
როგორ წაბილწე, შეაწუხე კაცობრიობა,
წარსტაცე კაცსა ჭეშმარიტი ბედნიერება,
გამოაცალე უცოდველი უბრალოება
და გარეგნული, ჩვენებითი სიწმიდე მიეც!
იყვნენ ტიტველნი, დადიოდნენ და არ რცხვენოდათ,
არ გაურბოდნენ არც ანგელოზს და არცა უფალს,
რადგანაც გული წმიდა ჰქონდათ, ცუდს არ ფიქრობდნენ,
და მიდიოდნენ უცოდველად, ხელჩაჭდობილნი.
ასეთი ტურფა, მომხიბლავი წყვილი მას შემდეგ
სიყვარულს ქვეყნად არასოდეს არ შეუყრია.
ღვთის შექმნილ კაცთა შორის ყველას სჯობდა ადამი
და ასულთაგან ევა იყო გამორჩეული.
მიადგნენ ბუჩქებს, მობუტბუტეს და მოშრიალეს,
შევიდნენ ჩრდილში და ანკარა წყაროსთან დასხდნენ.
ბაღში მსუბუქი, სასურველი შრომის შედეგად,
უფრო საამოდ უგრილებდათ სახეს ნიავი,
და, უმისოდაც მოსვენებულთ, შვებას ჰმატებდათ,
სამხარსაც ახლა მადიანად შეექცეოდნენ,
და უფრო ტკბილი გამხდარიყო წყურვილის მოკვლაც.
ისხდნენ განცხრომით ხავერდოვან მდელოზე, მყუდროდ,
წყაროს ნაპირას, ყვავილებში სულმთლად ჩაფლულნი,
ბუჩქებს თავაზით დაეხარათ მათთვის რტოები
და სთავაზობდნენ ნექტარივით საამო ნაყოფს;
შეექცეოდნენ მადიანად გემრიელ სამხარს,
მოსწყურდებოდათ — წყალს ლეჯათი ეწაფებოდნენ;
მუსაიფობდნენ ტკბილად, ურთერთს შესციცინებდნენ
და ვით ბედნიერ ჭაბუკ ცოლქმარს შეეფერება,
განმარტოებულთ ყველასაგან, ანცობდნენ ლაღად.
ირგვლივ დახტოდა, კუნტრუშობდა ყოველი მხეცი,
რაც კი მიწაზე გაჩენილა, და რაც მას აქეთ
ველურად ქმნილა — გავარდნილა ნადავლისათვის
ტყე-ღრეებსა და მღვიმეებში, უდაბნოებში.
იქ ლომი თიკანს მიჰპარვია და ატატებულს
თავის თათებში ანანავებს; მის წინ დახტიან
ვეფხვი და ჯიქი, ავაზა და ბაჯბაჯა დათვი,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ზორზოხი სპილო ხორთუმსა გრეხს და მხეცებს ართობს;
აგერ ცბიერი გველი ხლართავს და კლაკნის კუდსა,
საბედისწერო ვერაგობას აჩვენებს ყველას;
სხვა მხეცნიც იქვე ბალახებში იწვნენ და ზანტად
იცოხნებოდნენ. მზე კი უკვე გადახრილიყო
და ისწრაფოდა ოკეანის კუნძულებისკენ,
გამოჩნდა კიდეც შორს ვარსკვლავი — მაცნე მწუხრისა.
სატანა იდგა გაუნძრეველად, გაშტერებული,
ბოლოს, მწუხარედ ეს აღმოხდა დამჭვუნვარებულს:

„ო, ჯოჯოხეთო! ეს რა ნახა ჩემმა თვალებმა!
ჩვენს სანეტარო სამყოფელში ვინ შთაასახლეს
ვინ აღამაღლეს ასე ძლიერ, — სულ სხვა არსება,
სხვა ბუნებისა, მიწიერი, მოკვდავი არსი,
თუმც ზეცის ნათელ სულებისგან მცირედ მდაბალი.
ვუჭვრეტ და მიკვირს, შემიძლია შევიტრფო კიდეც
ისე მკაფიოდ გამოსჭვივის ღვთაება მათში,
ისეთი მადლი მიუცხია მაღალ შემოქმედს.
ო, ტკბილო წყვილო, თქვენ ჯერ აბა რას წარმოიდგენთ,
მწარე ცვლილება რარიგ ჩქარა გიახლოვდებათ;
იგი გაგიქრობთ სიამესა და სიტკბოებას,
და მწუხარებას მოგანიჭებთ სამაგიეროდ.
ხოლო მით უფრო საშინელი იქნება ჭმუნვა,
რაც უფრო მეტად გიგემნიათ ეს სიტკბოება.
ბედნიერი ხართ, მაგრამ დიდხანს აღარ შეგრჩებათ,
რადგანაც სუსტი საფარი აქვს თქვენს ნეტარებას,
ცუდი ღობე აქვს შემორტყმული თქვენს სასუფეველს,
ვერ დააკავებს მტერს ჩემნაირს. აჰა, მოვედი.
მაგრამ წინასწარ თქვენი მტრობა არ განმიზრახავს,
მზადა ვარ კიდეც შეგიბრალოთ, უთვისტომონი,
თუმც შებრალება მე საერთოდ არა მჩვევია!
მე მოსურნე ვარ თქვენი ძმობის, თქვენთან კავშირის,
მწადიან მარად ერთად ვიყოთ, თქვენთან ვიცხოვრო,
ანდა წაგასხათ და ქვესკნელში ჩემთან გამყოფოთ.
თქვენს ტურფა ედემს ჩემი ბინა ვერ შეედრება
და ვერ იცხოვრებთ ჩემთან შვებით, მაინც მიიღეთ,
რადგანაც ისიც შემოქმედის ნაღვაწი არის:
მან მე გადმომცა, მე კი მზად ვარ აწ თქვენთვის დავთმო.
თქვენს მისაღებად ჯოჯოხეთის კარებს გახსნიან,
მოგეგებებათ ხელმწიფენი, სახელგანთქმულნი;
ასეთი ვიწრო არ გეგონოთ ის ჯოჯოხეთი —
მრავალრიცხოვან მოდგმას თქვენსას კარგად დაიტევს.
არ მოგეწონოთ ის ადგილი — მას დაუმადლეთ,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვინც მაიძულებს შური ახლა თქვენზე ვიძიო,
თქვენზე, რომელთაც არ მიგიძღვით ცოდვა ჩემს მიმართ,
ვიძიო შური მის მაგივრად, ვინც მე გამწირა.
და თუნდ მომილბოს გული თქვენმა უცოდველობამ,
საერთო საქმე, სამართალი, ღირსება ჩვენი,
მაინც მავალებს ჩვენს სამეფოს გაფართოებას
და შურისგებით ამ ახალი ქვეყნის დაპყრობას.
ეს რომ არ იყოს, მოვლბებოდი, თუმც წყეული ვარ“.

ასე უბნობდა ჩვენი მტერი და ბოროტ საქმეს,
მტარვალთა მსგავსად, ამართლებდა მოვალეობით.
შემდეგ დაეშვა, ჩამოცურდა მაღალი ხიდან,
და შეერია მოკუნტრუშე ნახირს და მხეცებს;
აგერ, მიიღებს ის ოთხფეხა თიკანის სახეს,
კვლავ შეიცვლება — სხვა ცხოველად გადაიქცევა,
რომ უფრო მარჯვედ მიეახლოს განწირულს მსხვერპლსა,
შეუმჩნეველი დარჩეს თვითონ და კარგად ჩაწვდეს, —
ან მოქმედებით, ან საუბრით, — არსებას კაცთა.
ერთბაშად ლომად გადაიქცა: მათ შორიახლოს
დაიარება მედიდურად თვალის ბრიალით;
შემდეგ მიიღო ვეფხვის სახე, რომელმაც თითქოს
ორ მოკუნტრუშე ირემს ჰკიდა შორიდან თვალი,
განერთხო მიწას, უთვალთვალებს სულმოუთქმელად,
შემდეგ ადგება და სიფრთხილით გადაინაცვლებს,
რომ უფრო მარჯვედ ჩასაფრდეს და შეიპყროს ორივ.
უცებ ადამმა, კაცთა შორის უპირველესმა,
დიაცთა შორის უპირველესს — ევას მიმართა.
სატანა მყისვე გაილურსა და სმენად იქცა:

„ო, ერთადერთო მოზიარევ ამ ნეტარების,
თვით ნეტარებავ ერთადერთო, უძვირფასესო!
ძალა დიადი, რამაც შეგვქმნა და გაგვაჩინა,
რამაც გვიბოძა ეს ვრცელი და წმიდა სამყარო,
განუსაზღვრელად კეთილია; იგი სიკეთეს
ასევე უხვად და უსაზღვროდ ჩვენ მოგვანიჭებს.
მიწისაგან შეგვქმნა, შთაგვასახლა სასუფეველში,
მაგრამ ასეთი პატივი რით დავიმსახურეთ,
ან რა სჭირდება, რით მივუზღავთ სამაგიეროს!
უფალი ჩვენი არ მოითხოვს ჩვენგან არაფერს,
გვიბრძანებს მხოლოდ შევუსრულოთ ერთი წადილი,
ერთი იოლი დავალება, სხვა არაფერი:
ტკბილი ნაყოფით დახუნძლულსა ხეხილთა შორის,
რაც სამოთხეში უხვადა გვაქვს მონიჭებული,
ერთი ნაყოფი არ ვიგემოთ, ერთი ხის ხილი, —

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ხე ცნობადისა, სიცოცხლის ხის გვერდით მდებარე.
ხედავ, სიკვდილი სიცოცხლესთან რარიგ ახლოა!
საშინელი რამ კი იქნება, ალბათ სიკვდილი!
აკი ღაღადჰყო ერთხელ ღმერთმა, გემახსოვრება:
მოკვდესო იგი, ვინც იგემებს ნაყოფს ამ ხისას.
მრავალ ნიშანთა შორის, რითაც ჩვენ გვენიჭება
ძალაუფლება, ბატონობა მთელს დუნიაზე —
ცად, ზღვად და ქვეყნად — ღვთის გაჩენილ ყოველსა არსზე —
ესე ნიშანი, ერთადერთი, იმას გვავალებს,
რომ ვმორჩილებდეთ ჩვენს მამასა და ჩვენს შემოქმედს.
ნუ გვეჩვენება დიდად — ერთი მცირე აკრძალვა,
რადგან მას გარდა, სულ ჩვენია, რასაც ვინებებთ,
განუსაზღვრელის სიტკბოებით ვილხენთ და ვხარობთ.
ვადიდოთ დიდი შემოქმედი, ქება შევასხათ,
განუსაზღვრელი მადლი ვუძღვნათ გულუხვობისთვის,
თანაც განვაგრძოთ ჩვენი შრომა, სასიამოვნო,
გავსხლათ ხეები და ყვავილებს წყალი ვაპკუროთ,
მძიმე შრომაც კი, შენთან თუ ვარ, საამურია“.

ასე მიუგო მაშინ ევამ: „ჩემო ძვირფასო,
შენთვის და შენგან გაჩენილი ვარ ქვეყანაზე,
შენი ვარ — ხორცი ხორცთაგანი, უშენოდ აბა
რა ვიქნებოდი, შენ ხარ ჩემი თავი, მეგზური.
რაცა სთქვი — ყველა მართალი და ჭეშმარიტია.
გვმართებს, ვადიდოთ შემოქმედი, მადლი მივუძღვნათ.
მე, მითუმეტეს, განუზომლად ბედნიერი ვარ,
რადგან მეუღლე მყავს ღირსებით აღმატებული,
შენ კი მეუღლე შესაფერი ვერ მოგინახავს.
მომაგონდება ხშირად ის დღე, როცა პირველად
გამოვიღვიძე; — ყვავილებზე ვიწექი ჩრდილში,
ველარ გამეგო, ვინ ვიყავი, სითგან მოსული.
იქვე მახლობლად, მოჩუხჩუხე კლდიდანა წყარო,
ლაღი რაკრაკით ეშვებოდა ქვემოთ გადაშლილ
ცის კამარისებრ უძრავსა და ანკარა ტბაში;
გავსწიე ტბისკენ, ჯერ სრულიად გამოუცდელმა,
გავწექ ბალახით ამწვანებულ ნაპირზე იქვე,
ჩავხედე წყალსა და მეორე ცა მომეჩვენა.
რომ დავიხარე, ტბის სიღრმიდან, იქითა მხრიდან,
ჩემებრ დახრილი რამ არსება მომშტერებოდა.
წამოვდექ უცებ და, შევნიშნე, ისიც წამოდგა.
მაგრამ მეამა მისი ხილვა — კვლავ დავიხარე;
მასაც ეამა, — დაიხარა მყისავე ისიც
და სიყვარულით მომანათა იმანაც თვალი.
ახლაც იქავე ვიქნებოდი მიშტერებული,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფუჭი ოცნებით მოცული და აღელვებული,
მაგრამ უეცრად ხმა გაისმა გაფრთხილებისა:
„ვის ეძებ მანდა, მშვენიერო, ტურფა ქმნილებავ,
„ვისაც მანდ ეძებ, და ვერ ნახე — ეს თვითონვე ხარ;
„ჩრდილია შენი, თან მოგყვა და უკანვე გაგყვა;
„მე გამომყევი, ისეთ არსთან მიგიყვან ახლა,
„არც ჩრდილი იყოს, არც ჩაგიკრას მოჩვენებითა.
„შენ იმისივე მსგავსება ხარ, მისი ხატება,
„იქნები მასთან განუყრელად, იბედნიერებ,
„მიუძღვნი იმას შენივე მსგავს მრავალთა არსთა
„და შეგერქმევა ყაცთა მოდგმის დედა პირველი“.
რა უნდა მექნა, იმ უხილავ მეგზურს გავჰყევი;
შორიდან მოგკარ თვალი მაშინ, მართლაც მშვენიერს,
მაღალს და ტანადს. — ნეკერჩხალის ძირში იდექი;
მაგრამ, სინაზით, სიტურფით და მომხიბლაობით;
ის წყლის ჩვენება, თითქოს, უფრო საამო იყო!
გავბრუნდი უკან, მაგრამ მყისვე შენ მომაძახე:
„საით მიდიხარ, ტურფა ევა, მობრუნდი ჩქარა;
„მას გაურბიხარ, რომელმაც შენ სიცოცხლე გიძღვნა?
„შენა ხარ ჩემი, მშვენიერო, ხორცი და ძვალი,
„მე მოგანიჭე არსებობა, გვერდი გავიპე,
„და შენ დაგითმე, გულთან ახლოს, სიცოცხლის წყარო,
„რომ ჩემთან იყო განუყრელად, ნუგეშად ჩემდა;
„შენში ვეძიებ მე სულს ჩემსას და შენ გთვლი ახლა
„ჩემი სიცოცხლის მოზიარედ, თანამეცხედრედ.
ეს სთქვი და მყისვე ჩემი ხელი აიღე ნაზად,
მეც გამოგყევი და მას შემდეგ უკვე შევიგნე,
რომ სიბრძნე, მადლი ვაჟკაცისა, — თვით მშვენებაა,
და ყოველივე სილამაზეს აღემატება“.

ასე უბნობდა წინაპარი ჩვენთა დედათა,
თვალნი აფრქვევდნენ ალერსს, კდემას და მორჩილებას,
გადახვეოდა უპირველეს წინაპართ მამას
და ოქროს თმებით დაბურული, შიშველი მკერდით
თავის მეუღლეს მიყრდნობოდა ვაჟკაცურ მკერდზე.
ქალის სიტურფე და წარმტაცი მის მორჩილება
ქმარს უწმიდესი სიყვარულის სიამეს ჰფენდა,
ილიმებოდა ნეტარებით და შეჰყურებდა,
როგორც უღიმის იუნონოს იუპიტერი
და ღრუბლებს ბერავს, რომ მაისის შხაპუნა წვიმა,
გადმოაპკუროს გაზაფხულის ქორფა ყვავილებს;
შემდეგ ტუჩები დაუკოცნა წმიდა ამბორით.
სატანა შურით გაიბერა, გვერდზე მიბრუნდა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE



www.PDF.ChiaturaINFO.GE

მაგრამ ბოროტი ეჭვით მაინც ცერად უცქერდა.
მერე თავისთვის, გამწარებით ჩაიდუდღუნა:

„ჰოი, საზარო, დამტანჯველო სანახაობავ,
ეს ორი არსი, ნეტარებით მოსილ ედემში
უნდა სტკბებოდეს, აქ ერთმანეთს გადახვეულნი,
მათ — სიხარული და სიამე აღმატებული,
მე კი — გამწირეს, ჯოჯოხეთის ცეცხლში ჩამტყორცნეს,
წარმტაცეს ტკბილი სიხარული და სიყვარული;
და დაუშრეტი, მარად მწველი სურვილი, ჟინი, —
სხვა გასაჭირზე და ტანჯვაზე არა ნაკლები, —
მაწამებს, მტანჯავს, მოუკლავი წყურვილის ტანჯვით.
მაგრამ ჯობს, მათი ნაუბარი არ დავივიწყო:
როგორც შევიტყე, ყველაფერი მათ არ ეკუთვნით,
საბედისწერო ხე ყოფილა ერთი — ცოდნის ხე
და აუკრძალავს უფალს მათთვის იმ ხის ნაყოფი.
ცოდნის აკრძალვა?! საოცრება, უგუნურება!
რათ უნდა შურდეს ღმერთს იმათთვის ცოდნის მიცემა?
ცოდნისთვის იგი სიკვდილით სჯის? ცოდნა — ცოდვაა?!
მაშ უვიცები უნდა იყვნენ, რომ უერთგულონ?!
ნუთუ ეს არის ჭეშმარიტი ბედნიერება?
ერთგულებას და მორჩილებას ამითი ნერგავს?
ო, მშვენიერი საფუძველი ჰქონია მაშინ,
ამ საფუძველზე აშენდება იმათი ნგრევა!
ახლა აღვაგზნებ მეტის ცოდნის სურვილით იმათ,
შთავაგონებ, რომ წინაღუდგნენ უფლის ბრძანებას,
შურიან ღმერთის გამოგონილს მხოლოდ იმიტომ,
რომ თვისზე დაბლა იყოლიოს ცოდნა-გაგებით,
არ აღამაღლოს და თვით ღმერთებს არ გაუტოლოს.
აღვაგზნებ. ნაყოფს იგემებენ და მოკვდებიან!
ამაზე კარგი ბოლო აბა რა უნდა იყოს?!
ჯერ კი ჯობს კარგად მოვიარო ესე წალკოტი,
ყოველი ყურე შევისწავლო, გამოვიკვლიო.
იქნება ბედზე ზეციურ არსს გადავეყარო,
წყაროს ნაპირას, ანუ ჩრდილ-ჩრდილ მოხეტიალეს,
დავცინცლავ მასაც დაწვრილებით ცნობებს ამათზე...
მაშ ჯერ იცოცხლეთ, ისიამეთ, ნეტარო წყვილო,
დასტკბით, ვიდრემდე ხელმეორედ დავბრუნდებოდე;
მოკლე სიამეს გრძელი ჭმუნვა მოჰყვება მალე“.

თქვა ეს და ზიზღით, მედიდურად გაშორდა უმალ,
თუმც კი სიფრთხილით მიძვრებოდა, მიიძურწოდა.
მოვლო ტყეები, გორაკები, მინდორ-ველები.
ამასობაში მზე მიადგა იმ საზღვრის ხაზსა,
სად მიწასა და ოკეანეს ეკვრება ზეცა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დაეშვა ქვევით, და სამოთხის აღმოსავლეთ კარს
დასავლეთიდან გაუსწორა საღამოს სხივნი.
ესე კლდე იყო ალაბასტრის, ცაში აჭრილი,
და ერთ-ერთ მხარეს მიჰყვებოდა დედამიწიდან
დაკლაკნილი და ძნელსავალი წავარნა გრძელი.
სხვა მხრებიდან კი მიუვალი ციცაბო იყო.
ამ ცათაწვდენილ სვეტებს შორის ჩამომჯდარიყო
არქანგელოზი გაბრიელი, მცველთა უფროსი;
იქვე მახლობლად ვარჯიშობდნენ ცის ნორჩნი სულნი,
აბჯარმოხსნილნი, ეწრთობოდნენ გმირულ თამაშით,
ხოლო ციური საჭურველი მახლობლად ეწყო:
მუზარადები, ფარ-ხმალი და შუბ-მახვილები,
მოჭედილები ოქროთი და მბრწყინავ ალმასით.
იქით მიჰქროდა ურიელი და მზის სხივებში
ის ოქროსფერად ელვარებდა, მიჰქროდა ისე,
როგორც ვარსკვლავი, მოწყვეტილი, შემოდგომის ჟამს,
როცა ჰაერი ცეცხლის ორთქლით გაჟღენთილია;
მეზღვაურები შეხედავენ მაშინ ამ ვარსკვლავს
და მიხვდებიან სითგან მოჰქრის მძვინვარე ქარი.

მიიჭრა მსწრაფლად ურიელი და მყის დაიწყო:
„გაბრიელ, ბედმა მოგანიჭა პატივი დიდი,
იდგე გუშაგად, უთვალთვალო გაფაციცებით,
რომ ავი სული არ შეიჭრას სასუფეველში.
დღეს შუადღისას ანგელოზი მოიჭრა ჩემთან,
დიდად მოსურნე, ვით შევატყე, კარგად გაეცნო
ყოვლადძლიერის ნაღვაწევი ახალ-ახალი,
განსაკუთრებით, ღვთის ხატება — ადამიანი.
გზა მივასწავლე და მაშინვე ის გაეშურა;
მეც გავაყოლე თვალი იმის სვლას, ჰაეროვანს,
და როს ედემის ჩრდილოეთით მთაზე დაეშვა,
ნათელი ცისა გადეყარა სახიდან ფიცხლავ,
ბოროტეული ბნელი ზრახვა გამოეხატა.
კვლავ შევყურებდი, მაგრამ ჩრდილში თვალს მიეფარა.
ვაი თუ, სული, განდევნილი, გაკადნიერდა
და ქვესკნელიდან წამოვიდა, რათა ხელახლა
შფოთი ასტეხოს. — შენა გმართებს მისი მოძებნა“.
იმას ფრთოსანმა მეომარმა ასე მიუგო:
„მე არც კი მიკვირს, ურიელ, რომ მახვილი თვალით
შორს დაინახო, მზეში, შენი საგუშაგოდან.
ისეთი არვინ არ გამოვა ამ კარებიდან
კარგად ნაცნობი ყველასათვის არ იყოს ცაში;
დღეს კი არავინ გამოსულა შუადღის მერე.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მაგრამ თუ მართლა, როგორც ამბობ, ბოროტმა სულმა
შესძლო, რომ მიწის ზღუდეები გადმოელახა,
შენც კარგად უწყი, ძნელი არის ნივთიერ ზღუდით
გზა გადულობო ჰაეროვან და ციურ სულებს.
მაგრამ იცოდე, აქ თუ დადის ამჟამად იგი,
როგორი სახეც არ მიიღოს, რადაც არ იქცეს,
გათენებამდე მოვახერხებ იმის მოძებნას“.

ასე შეჰპირდა გაბრიელი, ხოლო ურიელ
მყის საგუშაგოს დაუბრუნდა, ნათელ მზის სხივით,
რომელმაც ცერად დააქანა, ჩამავალ მზისკენ, —
უკვე გასცილდა მზე აზორის კუნძულებს ახლა,
ანუ პირველმა დიდებულმა სფერამ იჩქარა
გასაოცარის სიჩქარითა და გასცდა საზღვარს,
ან ნაკლებ სწრაფმა დედამიწამ აღმოსავლეთით
გზა მოკლედ მოსჭრა და დასტოვა იგი ქვემორე,
სადაც ოქროსფერ და მეწამულ სხივების ყალმით
მის ტახტთან იგი ღრუბლებს ქარგავს, დასავლეთ მხარეს.
ამასობაში იქ ჩამოწვა საღამო წყნარი,
თალხი სამოსი მოახვია დაისმა საგნებს;
ირგვლივ გამეფდა საოცარი სიჩუმე, სრული,
მხეცებმა ბუნაგს მიაშურეს, ჩიტებმა — ბუდეს,
მხოლოდღა ერთი მგალობელი — ბულბული ფხიზლობს
და სიყვარულის საგალობელს აჟღერებს ღამით.
ზეცა აენთო მოცქრიალე მნათობთა ჯარით;
ჯერ ჰესპერუსი წინამძღოლობს ვარსკვლავთა კრებულს,
მაგრამ აღმოხდა დიდებული მანათობელიც,
ღრუბელთა შორის გამოსცურა ცის დედოფალმა,
მოიხსნა ბადე და ღამეულ სიბნელეს მყისვე
გადააფარა ვერცხლისფერი წამოსასხამი.

მაშინ ადამმა ევას უთხრა: „ჩემო მეუღლევ,
ღამე ჩამოწვა, მოისვენა ყველა სულდგმულმა,
დროა, ჩვენც მათებრ მოვასვენოთ სხეული ჩვენი;
ღმერთმა დღისა და ღამის სახით ჩვენ დაგვიწესა
შრომა და შემდეგ დასვენება, ჰა, ძილის ნამი
ტკბილად დააწვა ჩვენს წამწამებს, ძილი გვერევა;
სხვა ქმნილებანი არ შრომობენ, უქმად დაძრწიან
და მოსვენებაც იმათ ჩვენებრ როდი სჭირდებათ.
ადამიანს კი მართებს შრომა, ყოველდღიური:
გონებრივიც და ფიზიკურიც — სხეულებრივი.
სწორედ ამითი ის ღირსებით დგას სხვებზე მაღლა
და გზებს იმისას, ყოველ საქმეს, მფარველობს ზეცა;
სხვა ცხოველები ისე უქმად დაყიალობენ,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და ღმერთიც იმათ არ მფარველობს, არ მოიკითხავს.
ხვალ დილით ადრე, განთიადის სხივი ვიდრემდე
ნათელს მოჰფენდეს აღმოსავლეთს, ჩვენ უნდა ავდგეთ,
და კვლავ განვაგრძოთ ჩვენი შრომა, სასიამოვნო,
უნდა ყვავილთა ტალავარი გავსხლათ, გავკაფოთ
და შემოვბელოთ მცენარეთა მწვანე შუაგი,
სადაც შუადღით თავს ვაფარებთ მცხუნვარე მზესა;
ტოტები ძალზე წამოზრდიათ, წამოშვერიათ,
და დაგვცინიან — ისე ცუდათ ვაპოხიერებთ;
ვერც კი აუვალთ, იმოდენა სამუშაოა,
თანაც ყვავილი მცენარეთა, სამყეს ნაყოფი,
ჩამოცვენილან, დაგროვილან, გზა დაუფარავთ;
თუ არ გავწმინდეთ, თავისუფლად ველარ გავივლით.
ახლა კი მოდი, დავისვენოთ, როგრც წესია“.

ევამ, შემკულმა სილამაზით, ქმარს უპასუხა:
„ჩემო შემქმნელო, მბრძანებელო, რასაც მიბრძანებ,
იმას უსიტყვოდ შევასრულებ, ღმერთსაც ასე სურს:
შენი კანონი ღმერთი არის, ჩემი კი — შენ ხარ;
ქალს მეტი ცოდნა არ სჭირდება, ეს თუ კი იცის
დიდებაც არის მისთვის ეს და ბედნიერებაც.
როდესაც შენთან ვმუსაიფობ, მე მავიწყდება
დროც, ჟამთა სვლაც... და მუდამ ასე ბედნიერი ვარ.
სიამესა მგვრის დილის სიო, ამოსვლა მზისა,
ფრინველთ ჟღურტული, მომხიბლავი, განთიადისას,
დილის სხივებით მოქარგული ბუნების ხილვა,
მზით დაფერილი ყვავილები, ხეხილი, მდელო,
ცის ნამის ბრწყინვა ბალახსა და მცენარეებზე,
შხაპუნა წვიმით გაფუებულ მიწის სურნელი,
წყნარი საღამოს სიტკბოება, შვების მომცემი,
მყუდრო ღამეცა და ბულბულის ამო გალობა,
პირბადრი მთვარე, ცის ძვირფასი მარგალიტები;
მაგრამ ვერც დილის ცელქი სიო, ვერც მზის ამოსვლა,
ვერცა ფრინველთა მომხიბლავი ჟღურტული დილით,
ვერც მზით დაფერილ-მოქარგული ბუნების ხილვა,
ვერც დილის ნამით გაბრწყინება ბალახებისა,
ვერცა შხაპუნით გაფუებულ მიწის სურნელი,
ვერცა საღამო, ტკბილი, წყნარი, — ვერც მყუდრო ღამე,
ვერცა ბულბულის ტკბილ-გალობა, ამოდსასმენი,
ვერც მთვარის შუქზე სიარული, ვერც ვარსკვლავები...
შენ თუ არ მყავხარ, მე სიამეს ვერა-რა მომფენს.
მაგრამ მნათობნი მთელი ღამე რატომ ელავენ?
ვის უნათებენ ამ ბრწყინვალე ციაგ-კაშკაშით,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

აკი სუყველას დაუხუჭა ძილმა თვალები?!“
ჩვენმა საერთო წინაპარმა ეს უპასუხა:

„ასულო ღვთისა და კაცისა, ძვირფასო ევა,
საღამოიდან მეორე დღის გათენებამდე
ირგვლივ უვლიან დედამიწას, კიდით კიდემდე,
რათა სინათლე მოუმზადონ, შუქი მოჰფინონ,
თუმცა კი ხალხი ჯერ არ არის შექმნილი არსად.
რომ ასე არა, კვლავ სიბნელე გამეფდებოდა
და მოაშთობდა ბუნებაში სიცოცხლეს სულმთლად.
ეს მნათობები განა მარტო სინათლეს ფენენ, —
ათბობენ კიდეც, აღაგზნებენ, აცხოველებენ
და ყოველ არსზე მოქმედებენ მრავალნაირად:
ნაზად აწრთობენ, ზრდიან, წრთვნიან, ასაზრდოებენ,
და იმის უნარს ანიჭებენ, რომ მათ მიიღონ
და შეიწოვონ მზის სხივები ყოვლისშემძლები.
მაშ, უქმად როდი ანათებენ ის მნათობები!
არც ის იფიქრო: „არ იყოსო ადამიანი,
ვინ იხილავდა ამ მნათობებს, ანუ შემოქმედს
ქება-დიდებას ვინ უძღვნიდა?!“ დედამიწაზე
მილიონობით მიმოდიან ციურნი არსნი,
მაშინც, როს ვფხიზლობთ და მაშინაც, როდესაც გვძინავს.
დადიან ასე უხილავად და დიდ შემოქმედს
ქებას უძღვნიან განუწყვეტლივ, დღისით და ღამით.
აკი გვსმენია შუალამით დაბურულ ტყიდან,
ან კლდეებიდან მოვარდნილი გამოძახილი —
საგალობელი შემოქმედის სადიდებელად,
ზოგჯერ ერთი ხმით, ხანაც გუნდად ხმაშეწყობილი.
გუშაგობის დროს, ან ღამეულ შემოვლის ჟამსა
ხშირად ისინი დას-დასებად მღერიან ტკბილად,
ხმას შეუწყობენ ცითმობერილ ჩანგის ტკბილ ჟღერას,
და ფიქრებს ჩვენსას თვით ცათამდე აღამაღლებენ“.

ასეთი ტკბილი მუსაიფით, ხელჩაჭდობილნი,
მიადგნენ თავის სანეტარო ფანჩატურს წყნარად.
ადგილი ესე შემოქმედმა ამოარჩია,
როცა კაცთათვის იგი საგნებს ქმნიდა, აჩენდა.
დაფნა და ტვია სახურავად ჰქონდა იმ თალარს,
მტკიცედ ჩაწნული სურნელოვან, გამძლე ფოთლებში:
თალართან ახლოს იზრდებოდა ნაზი აკანტი
და კედლად ერტყა, ირგვლივ, მწვანე მაღალი ბუჩქნი,
მრავალნაირი ყვავილებით მიმოხატულნი:
შროშანით, ვარდით, ზამბახითა და ჩიტისთვალით;
ფერხთით ეფინა იაკინთი, ია და კროკო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სხვა ქმნილებანი ტალავარში ვერ შებედავდნენ —
ვერც მხეცი, ვერცა მატლი, მწერი, ვერცა ფრინველი,
მოკრძალებული შიში ჰქონდათ ადამიანის.
ასეთგვარ მყუდრო, მოჩრდილებულ, წმინდა თალარში,
ზღაპრებშიაც კი არ ეძინათ პინს და სილვანუსს,
არც დევნილ ფაუნს*, არც ფერიებს. ევამ მოაწყო
ტკბილსურნელოვან ბალახებით და ყვავილებით
იქ საქორწინო სარეცელი, უპირველესი.
ციური გუნდი უგალობდა მათ ჰიმენეას;
მაშინ მიჰგვარა ანგელოზმა ქორწინებისა
წინაპარს ჩვენსას მშვენიერი, ტიტველი ევა,
თვით პანდორაზეც უფრო ტურფა და მიმზიდველი,
ვისაც ღმერთებმა ყოველგვარი ნიჭი მიუძღვნეს...
ვაგლახ, მსგავსება სამწუხაროც იყო მათ შორის;
როცა ჰერმესმა იაფეტის უგუნურ ძესთან
ტურფა პანდორა მიიყვანა, — მნახველი ყველა
უცებ მოხიბლა იმის თვალთა მშვენიერებამ,
რომ იუპიტერს წმინდა ცეცხლის მოპარვისათვის
შური ეძია, საშინელი, პრომეთეოსზე*...

ამასობაში მიეახლენ თვის საჩრდილობელს,
დადგნენ კარებთან, მოტრიალდნენ და ღია ცის ქვეშ
ქება მიუძღვნეს, თაყვანი სცეს უფალსა ღმერთსა,
რომელმაც შექმნა ცა, ჰაერი, მიწა, ქვეყანა,
სასუფეველი, რასაც ახლა თვით შესცქეროდნენ,
კაშკაშა მთვარე და ვარსკვლავთა გუნდი ელვარე.
„შენ შექმენ ღამე, შემოქმედო ყოვლადძლიერო,
შექმენი დღეცა და შრომაში გავლიეთ ეს დღე,
ჩვენ ერთად ვიღწვით ნეტარებით, ერთურთ შეწევნით,
და ერთმანეთის სიყვარულით, რაც გვირგვინია
ჩვენი ყოველი სიამის და ბედნიერების.
შენ მოგვანიჭე სამყოფელი ფართო და ვრცელი,
ბარაქითა და მრავალგვარი ნაყოფით სავსე,
ვერ ავუდივართ ამ სიუხვეს — მიწაზე ცვივა.
მაგრამ შეგვპირდი აკი ერთხელ, რომ დედამიწას
დავასახლებთ თქვენი მოდგმით, შთამომავლობით,
რომლებიც, ჩვენებრ, განუსაზღვრელს სიკეთეს შენსას
ქებას უძღვნიან. თაყვანსა გცემთ დღისით მღვიძარნი,
მაშინც, როს შენგან მონიჭებულს ძილს მივეცემით“.
ღაღადჰყვეს ესე ერთსულოვნად, სხვა რაიმ წესი,
წმინდა თაყვანის გარდა, იმათ არ უხმარიათ,
ღმერთსაც ხომ მხოლოდ წრფელი, წმინდა თაყვანი მოსწონს!
შემდეგ შევიდნენ იმ თალარში. ფუჭი სამოსის

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტანთგახდა ჩვენებრ იმათ როდი დასჭირვებიათ.
პირდაპირ დაწვნენ სარეცელზე, ერთურთის გვერდით;
ადამი, ალბათ, წუთითაც არ მოშორებია
თავის მეუღლეს მშვენიერსა. ევაც თავის მხრით,
არ უარჰყოფდა ცოლ-ქმრულ ტრფობის იდუმალ წესებს...
    დაე იყბედონ, რამდენიც სურთ, ფარისევლებმა,
განსაჯონ თუნდაც სიწმინდე და უცოდველობა.
ისინი გმობენ, აცხადებენ უწმინდურებად,
რასაცა ღმერთი უცოდველად და წმიდად სახავს,
უკრძალავს ზოგსა, დანარჩენთ კი ნებას უბოძებს.
უფალი ჩვენი — გამრავლდითო ჩვენ მოგვიწოდებს,
თავშეკავებას ვინაც გვირჩევს, მას მოსპობა სურს,
იგი მტერია ღმერთისა და ადამიანის.
დიდება ცოლქმრულს სიყვარულსა და ქორწინებას!
სხვა ყველაფერი საერთოა სასუფეველში,
მხოლოდღა ერთი, საიდუმლო კანონი ესე, —
ნამდვილი წყარო კაცთა მოდგმის გამრავლებისა, —
არის კერძო და პიროვნული. შენი წყალობით
ადამიანებს ავხორცული სიძვა მოშორდათ
და ქვეყანაზე მხოლოდ ცხოველთ და მხეცებს შერჩათ.
შენ დაამკვიდრე გონივრული და წესიერი,
წმიდა, ერთგული, სანუკვარი ურთიერთობა,
მშობლიური და ძმური გრძნობა ჩვენ შენგან ვიცით.
ნუმც გამეკიცხო, ნუმც ჩაგთვალო მე ცოდვიანად,
წმიდა ადგილის უღირსად და შეუფერებლად,
შენ ოჯახური სიტკბოების უშრეტო წყარო,
ვისაც მუდამჟამ უბღალავი გაქვს სარეცელი;
ოქროს ისრები სიყვარულსა შენთან აქვს მხოლოდ,
შენთან ანათებს მისი შუქი მარადიული,
მეწამულ ფრთებსაც სატრფიალოდ ის შენთანა შლის,
შენთან ხელმწიფობს და განცხრომას შენთან ეძლევა.
არა ღიმილი როსკიპისა, ნაძალადევი,
უსიყვარულო, უსიცოცხლო, უსიხარულო,
შენაძენი და თითებიდან გამოწოვილი;
არცა ტრფიალი სასახლური, პრანჭვით და გრეხით,
ბილწსა ცეკვებში გათქვეფილი, ღამის ბალებში;
არც სერენადა, როცა ზვიადს მშვენიერებას
უმღერს მიჯნური, დამშეული, შუაღამისას,
თუმცა კი სჯობდა დაეთმო და ხიზღით გასცლოდა...
    არა, ბულბულის სასიამო ნანინას ხმებში
ადამს და ევას, ჩახუტებულთ, ტკბილადა სძინავთ,
ტიტველ სხეულზე, ყვავილების სახურავიდან,
ეფრქვევათ უხვად სურნელოვან ვარდის ფურცლები,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

(დილა კვლავ ახალ კოკრებს გაშლის სამაგიეროდ).
იძინეთ მშვიდად, კურთხეულო ცოლქმარო! ვაგლახ,
უნეტარესნი იქნებოდით, რომ არ დაგეწყოთ
უფრო მაღალი ნეტარების ძიება ქვეყნად,
და შეგეგნოთ, რომ მეტის ცოდნა არ გჭირდებოდათ!

აჰა, თავისი ჩრდილიანი კონუსით, ღამემ
მოვლო ამ ქვეყნის ნახევარი, მთვარის თაღის ქვეშ;
სპილოს ძვლის თეთრი კარებიდან ჩვეულსა საათს
გამოემართნენ ქერუბინნი, ღამის გუშაგნი,
და მხედრულ მწყობრით ჩამომწკრივდნენ აბჯარასხმულნი.
თვის თანაშემწეს გაბრიელმა ასე მიმართა:
„აბა, უზიელ, ნახევარსა ამ მხედრობისას
შენ წაუძეხი, და სამხრეთით შემოიარეთ,
სხვებს მე წავიყვან და მოვივლით ჩრდილოეთიდან,
ხოლო შევხვდებით ჩვენ ერთმანეთს დასავლეთ მხარეს“.
და გაჰქრნენ მყისვე, როგორც ცეცხლის ალი მგზნებარე,
ერთნი, ვით ფარი, მეორენი — შუბის სადარად.
თავის რაზმიდან ორი სული, მძლავრი და მარჯვე,
ცალკე გაიხმო გაბრიელმა და გააფრთხილა:
„ითურიელ და ზეფონ, სწრაფად უნდა დაძებნოთ
ყველა კუნჭული ამ ბაღისა; განსაკუთრებით
თვალი ადევნეთ თალარს ტურფა ქმნილებებისას,
რომელთაც ალბათ უკვე სძინავთ გულდამშვიდებით.
დღეს საღამოზე, მზის ჩასვლისას შემატყობინეს,
რომ აქ უნახავთ, — აბა ამას ვინ იფიქრებდა, —
ბოროტი სული, ქვესკნელიდან გამოპარული,
ეჭვი არ არის რამე ავი, ბილწი განზრახვით.
როგორც კი ნახოთ, შეიპყარით და აქ მომგვარეთ“.

თქვა და გაუძღვა რაზმს თავისას, სხივმომფინარეს,
რომელმაც მთვარის სიკაშკაშეც კი ჩააბნელა.
ხოლო ის ორი გამოეყო მთავარ მხედრობას
და თალარისკენ გაეშურნენ ეშმას საძებრად.
ნახეს იქ კიდეც, ჩაცუცქული გომბეშოსავით,
მიკრუნჩხულიყო ევას ყურთან და მას ცდილობდა,
რომ ჯოჯოხეთის ხერხებით და გაიძვერობით,
დაეპყრო ქალის წარმოსახვის ორგანოები,
აღეგზნო მისთვის სიზმრები და მოჩვენებები;
ან შთაენერგა გესლი, შხამი და შეებღალა
წმიდა სისხლიდან აორთქლილი სასტიკი ორთქლი,
ვით მდინარიდან წამოშლილი ნისლი მსუბუქი;
მიეცა ფუჭი სურვილები, ფუჭი განზრახვა
და ზვიადურის მანჭვა-გრეხით დიდად ნაბერი

www.PDF.ChiaturaINFO.GE



www.PDF.ChiaturaINFO.GE

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ამაო ფიქრი, იმედები, და ოცნებანი.
ითურიელი უცებ შუბით შეეხო ფრთხილად,—
ციური არსის შეხებას კი ვერ დაუდგება
ვერავითარი სიყალბე და გაიძვეროობა,
გატყდება მყისვე და მიიღებს თვის ნამდვილ სახეს.
წამოხტა ეშმა გაკვირვებით, რომ იქ მიაგნეს.
ვით ნაპერწკალი ააფეთქებს დენთის სარდაფებს,
რომელიც ომის მოლოდინში გამოუვსიათ,
ისევე სწრაფად თავის სახით წამოხტა ეშმა.
ანგელოზები შეკრთნენ უცებ და დაიხიეს,
ისე ანაზდი იყო ხილვა ქვესკნელის მეფის.
მაგრამ მალევე მას უშიშრად შეეხმიანენ:
„ეს ვინ მოსულა აჯანყებულ სულთა დასიდან,
ვინ გამოიქცა ჯოჯოხეთის საპყრობილიდან?
როგორაც მტერი, გამომძვრალხარ, სახეშეცვლილი
და ამ მძინარეთ სასთუმალთან უზიხარ, უცქერ?!“
„მაშ ველარა მცნობთ? — თქვა სატანამ, ზიზღით გზნებულმა, —
ველარ მიცანით? დრო იყო, თავს არც გიტოლებდით,
ამოფრენასაც ვერ ბედავდით ჩემს სიმაღლეზე;
თუ მართლა არ მცნობთ, ჩანს მდაბალნი ყოფილხართ თვითონ,
და თუ მიცანით, რალას მკითხავთ, შორით რად უვლით
და რად არ იტყვით მოსვლის მიზეზს, ასევე ფუჭსა?“
ზიზღით თქმულ სიტყვებს უპასუხა ზეფონმა ზიზღით:
„ტყუილად ფიქრობ, ანგელოზო, ამბოხებულო,
რომ ისეთივე იყო ახლაც, რაც ცაში იყავ,
და გამოცნობა შენი ასე ადვილი იყოს.
ის სიდიადე და სიწმიდე, რაც ცაში გქონდა,
მყის ჩამოგშორდა, როგორც გახდი სული ბოროტი,
ახლა შენივე ცოდვებს ჰგავხარ, შენივ სამყოფელს —
ბნელს, ჩაშავებულს, საშინელს და შემაძრწუნებელს.
მაგრამ წამოდი, მას მიუგე, მას მოახსენე,
შენს შესაპყრობად ვინც მოგვგზავნა, მას ევალება
ამ წალკოტისა და ამ არსთა დაცვა და მოვლა“.
ასე უბნობდა ქერუბინი. მკაცრმა გაკიცხვამ,
იმის ჭაბუკურ მშვენებასთან შეერთებულმა,
გასტეხა უცებ ავი სული; იდგა შემცბარი,
ხედავდა, გრძნობდა ის სიკეთის მომხიბლაობას,
გრძნობდა და ახლა დაკარგულ ცას უფრო გლოვობდა;
განსაკუთრებით ნაღვლობდა, რომ შეცვლილი ნახეს,
ძველ ელვარებას მოკლებული და განძარცული.
მაინც უშიშრად და გულადად აჩვენა თავი:
„თუკი ბრძოლაა, მე უკეთესს შეეჭიდები,
თქვენს აქ მომგზავნელს, არა შიკრიკთ. — ან ყველას ერთად!
ამით მეტს სახელს მოვიხვეჭ, ან ცოტას დავკარგავ“.
მაშინ ზეფონმა უპასუხა მას გაბედულად:

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„შენმა სიმხდალემ აგვაშორა იმის გამოცდას,
თუ მცირე, სუსტი, როგორ დასცემს შენებრ ცოდვიანს,
რომელიც სწორედ ცოდვის გამო უღონოდ ქმნილა“.
სდუმდა სატანა, მრისხანებით გულგავსებული.
შემდეგ კი აღვირამოდებულ რაშის მაგვარად,
რომელიც მიდის მედიდურად, ლაგამის კვნეტით,
იგი თან გაჰყვა ქედმაღლურად ღამის გუშაგებს.
არც უფიქრია შებრძოლება, ანდა გაქცევა,
რადგან ღვთის გარდა, არავისი შიში არ ჰქონდა.

ჰა მიეახლენ დასავლეთით დანიშნულ ადგილს,
საცა ერთმანეთს ორი რაზმი უნდა შეჰყროდა,
იდგა მხედრობა და ელოდა ახალ ბრძანებას.
მაშინ შესძახა გაბრიელმა ომახიანად:
„მე უკვე მესმის, მეგობრებო, ჩქარი ფეხის ხმა,
ღამის ბინდ-ბუნდში ვარჩევ კიდეც ორივე გუშაგს,
რომელთაც მოსდევს კიდევ ერთი მეფური არსი,
თუმცა დამჭკნარი, ბრწყინვალებაგახუნებული.
მიხვრა-მოხვრაზე ვცნობ — ქვესკნელის მბრძანებელია,
და უბრძოლველად არ აპირებს, ეტყობა, გაცლას.
მოემზადენით, როგორც ვხედავ, ბრძოლაში გვიწვევს“.

ეს თქვა და უმალ მიეახლენ ანგელოზები,
მოკლედ მოუთხრეს — ვინ მოჰგვარეს, სად დაიჭირეს,
რას აკეთებდა, როგორ იჯდა, რა სახე ჰქონდა.
თვალი მრისხანედ შეანათა მას გაბრიელმა.
„რად გადმოლახე ჯოჯოხეთის ზღუდე, სატანა,
სადაც ცოდვების გამო იყავ შენ შთავარდნილი?
სხვებს რად აწუხებ, ვინც ცოდვაში შენ არ მოგბაძეს,
რომელთაც ჰყოფნით ძალაცა და იმის უფლებაც,
რომ შეგეკითხონ: აქ შემოსვლა როგორ გაბედე,
რად უფრთხობ ძილს და მოსვენებას მათ, ვისაც ღმერთმა
ნეტარებისთვის აქ მოუწყო სასუფეველი?“
ზიზღით შეჰმუხნა შუბლი ეშმამ და უპასუხა:

„გაბრიელ, ცაში შენ სუყველას ბრძენი ეგონე,
მეც ბრძნადა გთვლიდი, მაგრამ ახლა ეჭვი აღმეძრა.
აბა, ვის უყვარს, რა ქმნილებას, ტანჯვა-ტკივილი?
გზას თუ იპოვნის, ვინ არ წავა ჯოჯოხეთიდან,
თუნდ სამუდამოდ იქ ცხოვრება ჰქონდეს მისჯილი?
ეჭვი არ არის, შენ თვითონაც გაიქცეოდი,
გაეცლებოდი გაბედულად ტანჯვის სამყოფელს,
შორს წახვიდოდი, ტანჯვის წილ რომ შვება მიგეღო,
და შეგეცვალა მწუხარება ბედნიერებით.
მეც მიტომ მოველ ამ ადგილას. შენ ვერ გამიგებ,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რადგან სიკეთის მეტი დღემდე არ-რა გინახავს.
მიტომაც მკიცხავ, უფლის ნებას რად გადადიო?
თუ განუზრახავს ბნელ დილეგში ვყავდეთ მარადჟამს,
მაშინ კარები გაამაგროს რკინის საკვალთით.
აჰა, პასუხიც შენს კითხვაზე. სხვა მართალი თქვეს:
ვით მოგახსენეს, სწორედ ისე შემიპყრეს ამათ.
მაგრამ არც ვნებას ნიშნავს ესა, არც ბოროტებას“.
თქვა მან ეს ზიზღით. ანგელოზმა, აბჯარასხმულმა,
ასევე ზიზღით და დაცინვით მიუგო იმას:

„ვაგლახ, რომ ზეცა გამოაკლდა ასეთ ბრძენ მსაჯულს,
იმ დროის შემდეგ, რაც სატანა დასცეს, ჩასტყორცნეს,
თავის სულელურ მოქმედების გამო ქვესკნელში!
ახლა მოსულა დილეგიდან გამოპარული
და აქ ორჭოფობს — ბრძნად ჩასთვალოს, თუ უგუნურად,
ვინც იმას ჰკითხავს, გამოპარვა ვით გაჰბედეო!
ბრძნულადაც კი თვლის წამებიდან თავის დაღწევას,
და უნებართვოდ გამოპარვას ჯოჯოხეთიდან.
კვლავაც განსაჯე, როგორც გსურდეს, თავხედო სულო,
ვიდრემდის რისხვა, გამოპარვით გამოწვეული,
შვიდჯერაც მეტად გაიზრდება და შენი სიბრძნე
ისევ ქვესკნელში დაგაბრუნებს. მაშინ მიხვდები,
რომ ღმერთის რისხვას, განუსაზღვრელს და უსასრულოს,
ვერავითარი ტკივილები ვერ შეედრება.
მაგრამ მარტოკა რად მოსულხარ? ჯოჯოხეთიდან
სხვებიც რატომ არ გამოიქცნენ? იქნებ ტკივილებს
ისინი ნაკლებ განიცდიან? ანუ იქნება
ტანჯვის მოთმენა სხვებზე უფრო შენ გიძნელდება?
ჰოი, მამაცო მეთაურო, წამებისაგან
თავის დამღწევო შენ პირველო, მოძმეთათვისაც
გეთქვა მიზეზი ქვესკნელიდან გამოპარვისა,
მაშინ, უთუოდ, მარტო ერთი არ მოხვიდოდი“.
სატანა უფრო მოიღუშა და უპასუხა:

„არც ტკივილების მომთმენი ვარ სხვებზე ნაკლებად,
არცა წამებას ქვესკნელიდან არ გავქცევივარ.
თვითონვე უწყი, როგორ მედგრად გებრძოდი ცაში,
მაგრამ უეცრად მოგეშველა მგრგვინავი მეხი
და გაგიმაგრა შუბი, რისიც მე იმა დრომდე
შიში არ მქონდა. განუსჯელი სიტყვები შენი,
კვლავაც მიმტკიცებს, თუ რაოდენ უმეცარი ხარ,
როგორ არ გესმის, რომ წინამძღოლს, ერთგულს და მართალს,
ვინაც მარცხი და განსაცდელი გამოიარა,
ნება არა აქვს გაბედოს და ლაშქარს წაუძღვეს,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თუ საშიშარი ადგილები თვით არ დაზვერა.
მიტომაც მარტომ გადმოვლახე ბნელი უფსკრული,
უნდა ვიხილო ეს სამყარო ახლადშექმნილი,
რის შესახებაც ჯოჯოხეთშიც ბევრი გვსმენია.
იქნებ აქ ვნახო უკეთესი თავშესაფარი,
და დავამკვიდრო ნაწამები მხედრობა ჩემი
ან აქ, მიწაზე, ან არადა ჰაერში, ზემოთ,
თუნდაც ამისთვის ერთხელ კიდევ მომიხდეს ბრძოლა,
შენი ბრჭყვიალა რაზმით თუკი გაბედავ შებმას,
რომელიც მხოლოდ იმისთვის თუ გამოგადგება,
რომ ცაში ღვთის ტახტს უგალობოს ქების სიმღერა,
ანუ მონურად ძრწოდეს ყველგან — არა ბრძოლისთვის.“
მყის მეომარმა ანგელოზმა ეს უპასუხა:

„ჯერ თქმა, მერე კი უარყოფა მყისვე თქმულისა,
ბრძნულად მიჩნევა ჯერ იმის, რომ ტანჯვას გაექეცი,
მერე კი უცებ ამ დაზვერვის მომიზეზება,
არა წინამძღოლს — მატყუარას შეჰფერის მხოლოდ.
თანაც თავს ერთგულს რომ უწოდებს! ოი, შერცხვენა,
ოი, წაბილწვა წმიდა სიტყვის! ვის უერთგულე?
ამბოხებულ ბრბოს? ეშმაკების უმგვანსა ლაშქარს?
ეს იყო შენი ერთგულება-წესიერება,
ფიცი სამხედრო მორჩილების, რაიც გასტეხე
და გადუდექი უფლის ძალას, ყველასთვის წმიდას!
ჰოი, ვერაგო, გაიძვერა, ფარისეველო,
თავისუფლების მფარველად რომ გვაჩვენებ თავსა, —
შენებრ მონურად ცის მეუფეს ვინ ეგებოდა,
ვინ ლაქუცობდა, მდაბლა ხოხვით თაყვანს ვინ სცემდა?!
ამ დროს კი თურმე ოცნებობდი ის ჩამოგეგდო
და ტახტი მისი შენ დაგეპყრო. წა, გამეცალე!
სითაც მოსულხარ, იქ დაბრუნდი! ამ ერთ საათში,
კიდევ თუ შეგხვდი, ახლო-მახლო, ამ წმინდა ადგილს,
მაშინ წაგათრევ ქვესკნელში და ბორკილს დაგადებ,
მიგაკრავ ისე, ვერ წამოდგე და ვეღარ გახსნა
ქვესკნელის კარი — შენთვის მეტად სუსტად ნაჭედი“.

ასე მრისხანედ დაემუქრა, მაგრამ მუქარას,
ბოღმით გზნებული სატანა არ ეპუებოდა.
ეს უპასუხა: „ქედმაღალო მცველანგელოზო,
ბორკილით მაშინ დამემუქრე, როცა შემიპყრო.
ხოლო მანამდე ჩემი მძლავრი მკლავებისაგან
შენ უმძიმეს ტვირთს მოელოდე, თუმცა მეუფეს
ფრთებით ატარებ და უღელში გაბმული სულნი
მის ეტლს აქროლებთ ვარსკვლავებით მოკირწყლულ გზაზე“.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ამასობაში ანგელოზთა ელვარე რაზმი,
ვით ცეცხლი, წითლად შეიფერა; შემოირკალა
როგორც ახალი მთვარე ცაში და სატანას წინ
შუბმოღერებით აღიმართნენ განრისხებულნი.
ასე ხშირია, ასე სქელი ცერერას ყანა,
დამწიფებული მოსამკელად და თავთავები
საითაც ქარი დაუბერავს — იქით იხრება.
შეხედავს ყანას ფრთხილი გლეხი და შიში გაჰკრავს:
ვაჰ თუ კალოზე იმედები სულ გაუცრუვდეს
და ხორბლის ნაცვლად ბზე მიიღოს, გალეწვის შემდეგ.
იქით სატანა საბრძოლველად შემართულიყო,
მთელი ძალღონე მოეკრიბა და მხრებგაშლილი
უძრავად იდგა, ვით ატლასი და ტენერიფი.
თავი ზეცაში მიებჯინა და მუზარადზე
ეჯდა ფრთოსანი, საოცარი საშინელება,
ხელში კი ეპყრა შუბისა თუ ფარის მსგავსი რამ.
ვინ იცის, იმათ შეჭიდებას რა მოჰყვებოდა,
დაიმსხვრეოდა არა მარტო სასუფეველი,
ვარსკვლავიანი ცის თაღიც კი დაინგრეოდა,
ბუნების ძალნი ერთმანეთში აირეოდნენ
და ნაკუწ-ნაკუწ იქცეოდა მთელი სამყარო,
მაგრამ უფალმა წინასწარვე განჭვრიტა ესა
და რომ დაეცხრო საშინელი ჭიდილი მათი,
ზეციდან სწრაფად გადმოუშვა ოქროს სასწორი, —
ახლაც იხილავთ მას ასტრას და ღრიანკალს შორის, —
ყველაფერს შექმნილს ამ სასწორზე სწონიდა ღმერთი,
აქ აიწონა ჰაერიც და ეს მრგვალი მიწაც,
წონასწორობა რომ ჰქონოდათ მათ შესაფერი;
აქ აიწონა ყველა ბრძოლა, ყველა სამეფო.
ახლაც შედეგი ამ ბრძოლისა მან აქ ასწონა
ერთ თვალზე გაცლა — მეორეზე ჭიდილი დასდო.
ჭიდილმა სწრაფად აიწია, გაცლამ დასძლია.
ეს რა შენიშნა გაბრიელმა, ეშმაკს მიმართა:
„ჩვენ ერთმანეთის ძლიერებას ვიცნობთ, სატანა,
ესეც ვიცით, რომ საკუთარი არ არის იგი,
არამედ მაღლით, ზეციდან გვაქვს მონიჭებული,
და იარაღით აქ ტრაბახი სისულელეა,
მასზე მეტს ვერას გააკეთებ, რაც თვით ღმერთსა სურს!
მეც ასე, თუმცა ორჯერ მეტად ძლიერი გავხდი,
რომ ტალახივით გაგსრისო და გაგაცამტვერო.
თუ არა გჯერა, ცას შეხედე, აჰა ნიშანი,
ხედავ შენს წონას რა მსუბუქი, რა ფარფატაა,
და რა ულონო შეიქნები, თუ შემეჭიდე“.
სატანამ ცაში აიხედა და რა იხილა
მაღლა ასული მისი ხვედრი თვალი სასწორის,
აღარა თქვა რა, გატრიალდა, ზუზუნით გაჰქრა,
და მასთან ერთად აიკრიფა ღამის ბინდ-ბუნდიც.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

წ ი გ ნ ი მ ე ხ უ თ ე

შინაარსი

თენდება. ევა ადამს უამბობს, თუ როგორ არ მოასვენეს ძილში სიზმრებმა. ადამს არ მოსწონს ეს სიზმარი, მაგრამ მაინც ამშვიდებს ევას. მინდორში გავლენ სამუშაოდ. აღწერილია მათი დილის საგალობელი. თავის გამართლების მიზეზი რომ მოუსპოს ადამიანს, ღმერთი მათთან გზავნის რაფაელს, რათა კიდევ ერთხელ მოაგონოს ღვთის მორჩილება, აგრეთვე გააფრთხილოს, რომ მტერი ნოახლოებულია; განუმარტოს მათ, ვინ არის ეს მტერი, რად გადაუდგა ღმერთს, და სხვა ასეთი რამეები, რისი ცოდნაც ადამიანისათვის საჭიროა. რაფაელი სამოთხეში დაეშვება; აღწერილია მისი გარეგნობა. ფანჩატურის წინ მჯდომი ადამი, შორს შენიშნავს რაფაელს და შესაგებებლად გაემართება; ფანჩატურში შეიყვანს და ევას მიერ დაკრეფილ საუკეთესო ხილით გაუმასპინძლდება. მათი საუბარი. რაფაელი ღმერთის დავალებას ასრულებს, ადამს მისივე მდგომარეობასა და მტრის მოახლოების ამბავს უამბობს. ადამის თხოვნით, მოყვება, თუ ვინ არის ეს მტერი, რამ გააბედინა — ღმერთს გადასდგომოდა, როგორ გადაწყვიტა ამბოხების მოწყობა, როგორ წაიყვანა თავისი დასები ჩრდილოეთისკენ და როგორ გადაიბირა იქ ღმერთის წინააღმდეგ საბრძოლველად. მხოლოდ ერთი — აბდიილი ვერ შეაცდინა, რომელმაც პირველად წინააღმდეგობა გაუწია სატანას, მაგრამ რაკი ვერ გადაათქმევინა მთავარ მტერს გადაწყვეტილება, მიატოვა.

ჰა, განთიადი ვარდისფერი ნაბიჯით, თვისით,
მიუახლოვდა აღმოსავლეთს, და დედამიწას
უხვად აფრქვია მოელვარე მარგალიტები.
ადამს ჩვეულ დროს გაეღვიძა. ძილი ყოველთვის
მას ჰაერივით მსუბუქი და ფხიზელი ჰქონდა.
ნისლმობურული ნაკადული და ფოთოლთ ჩქამი,
როგორც ავრორას ჰაეროვან მარაოს გაშლა,
ანუ რტოებზე ფრინველების ჭიკჭიკი დილით,
იმას მაშინვე აფხიზლებდა. დიდად განჰკვირდა,
როდესაც ნახა შეფაკლული, თმებაწეწილი
და მძიმე ძილში მოუსვენრად მბორგავი ევა.
მკლავსდაყრდნობილი და ნახევრად ზეწამომდგარი,
იგი ალერსით, სიყვარულით ცოლს დააცქერდა
და განიცადა სილამაზე, რომელიც მუდამ
ძილშიც, ფხიზლადაც მომხიბლავი და ტკბილი იყო.
ხელი შეახო მერე ფრთხილად და იმ სინაზით,
რითაც ზეფირი მცენარეებს ესალბუნება,
მან წასჩურჩულა: „გაიღვიძე, ჩემო მეუღლევ,
ჩემო სიცოცხლევ, სულ ბოლო დროს აღმოჩენილო,
უკანასკნელო და ძვირფასო ცის საჩუქარო,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჩემთვის მარადჟამ მშვენიერო, გამოიღვიძე.
დილა ელვარებს, მწვანე მდელოც ჩვენ გველოდება.
დროს ნუ დავკარგავთ, და ვიხილოთ ჩვენს დარგულ ნერგებს
ყლორტები როგორ ეზრდებიან, როგორ იშლება
ლიმონის ჭალა, ანუ ნამი როგორ იფრქვევა
სურნელოვანის ბუჩქებიდან, ანუ ბუნება
ვით აფერადებს არემარეს. ვნახოთ, ფუტკარი
ყვავილის გვირგვინს როგორ ეკვრის და ნექტარსა სწოვს".

ჩურჩულმა ევა გააღვიძა. დაფეთებულმა
ადამს შეხედა, ჩაეკონა და ასე უთხრა:
„ჩემო დიდებავ, ჩემო კარგო, სულის სიმშვიდეს
მე მარტოოდენ შენთან ვპოვებ. ო, მიხარია,
რომ კვლავ შევყურებ შენს სახესა და დილის ნათელს.
ასეთი ღამე ჯერ არ მახსოვს, წუხელ სიზმარში, —
თუკი სიზმარი იყო მართლა, რაც ძილში ვნახე, —
ძველებურად კი არ მეზმანა წინანდელი დღე,
ან მომავალი დღის საქმენი, არც შენი სახე;
რაღაც მშფოთვარე, აწეწილი სიზმარი იყო,
ამ აბორგებულ ღამემდისინ უცნობი ჩემთვის.
თითქოს ვიღაცამ წამჩურჩულა ტკბილი ხმით ყურში,
თან გამომყეო. შენ მეგონე თავდაპირველად.
მითხრა: წამოდექ, რასა გძინავს ამ ნეტარ ღამეს?
ირგვლივ საამო სიგრილე და მყუდროებაა,
ხედავ, ბულბულიც ფხიზლობს ახლა ტკბილმოუბარი
და სიყვარულის საგალობლით არღვევს სიჩუმეს.
პირსავსე მთვარე საამურად ელვარებს ცაში
და ღამის ჩრდილებს ნათელსა ჰფენს, ამშვენიერებს.
მაგრამ ფუჭია ყველაფერი. ამ სილამაზეს
არვინ განიცდის, რადგან სძინავს ყველაფერს ირგვლივ,
მარტო ცა ფხიზლობს, გაუღია ურიცხვი თვალი
და მხოლოდ შენ გჭვრეტს, შენ — ბუნების სათაყვანებელს,
რადგან სიამეს ჰფენს ყველაფერს შენი დანახვა.
„მეც წამოვდექი ამ ძახილზე, რაკი ვერ გნახე
შენს საძებნელად გავემართე, ბევრი ვიარე,
ნაცნობი გზებით მარტოდმარტო ვხეტიალობდი,
მერე ანაზდად მივადექი ჩვენთვის აკრძალულს
ხეს ცნობადისას ბოროტისა და კეთილისა,
უფრო ბრწყინვალე მომეჩვენა იგი ხე ღამით.
გაკვირვებული შევყურებდი. იქვე უეცრად
ვიღაც შევნიშნე. ფრთებითა და მოყვანილობით
ზეცის მკვიდრს ჰგავდა, ჩვენთვის ნაცნობს, ნამნაპკურები
თმები იმისი ამბროზიის სურნელს აფრქვევდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ისიც მდუმარედ შეჰყურებდა ცოდნის ხეს მაშინ.
მერე დაიწყო: ო, მცენარეო, ნათელმოსილო,
დამძიმებულო ნაყოფითა. ნუთუ არავინ,
არცა უფალი, აღარც კაცი არ მოისურვებს
შეგიმსუბუქოს ტვირთი, შენი სიტკბო იგემოს?
ან ნუთუ ცოდნა ამნაირად დასაგმობია?
თუ არა შური, რა გვიკრძალავს გემო გავსინჯოთ?
დე, ამიკრძალოს, ვისაც სურდეს; ვერვინ დამიშლის
დავსტკბე სიკეთით, რასაც ასე უხვად გვთავაზობ.
„თქვა, მყის მოსწყვიტა გაბედულად და გემო ნახა.
ამგვარ თავხედურ სიტყვებსა და მოქმედებაზე
მე შიშის ჟრჟოლამ ამიტანა. ის კვლავ ილხენდა:
„ჰოი, ნაყოფო, ღვთაებრივო, ისეც ტკბილი ხარ,
მაგრამ აკრძალულს კიდევ უფრო მეტი გაქვს სიტკბო.
მარტო უფლის ხარ, ძალგიძს კაცი ღმერთად აქციო
და მიტომაც ხარ აკრძალული, მაგრამ ეს მიკვირს:
რატომ არ უნდა გადაიქცეს მოკვდავი ღმერთად!
ამით სიკეთე განევრცობა და შემოქმედსაც
არაფერს ავნებს — განდიდდება იგი უფრორე.
მო, ბედნიერო ქმნილებაო; ანგელოზივით
ნათელმოსილო ევა, მოდი, ჰა, შენი წილი.
ბედნიერი ხარ, ძალგიძს უფრო გაბედნიერდე,
მაგრამ ამაზე ღირსეული ველარ გახდები.
აჰა, იგემე ეს ნაყოფი და დღეის წაღმა
ღმერთების შორის, შეხც ქალღმერთი, იქნები ერთი,
მიწას მოწყდები, ხან ჩვენსაკით ჰაერში იფრენ,
ხან ცაში ახვალ, ხარ კიდევაც ამისი ღირსი,
იქ დაინახავ, რა ცხოვრებით ცხოვრობენ ღმერთნი
და იმ ცხოვრებას შენ თვითონაც ეზიარები.
„მომიახლოვდა, როგორც კი თქვა, და მოწყვეტილი
ხილის ნაჭერი ტუჩს მომადო. ამო სურნელმა
ისე აღმიძრა ჭამის ნდომა, რომ მეც ვიგემე.
მყისვე გავფრინდით ორივენი ღრუბლებისაკენ,
ვხედავდი მიწას გადაჭიმულს ვეება სივრცედ,
სანახაობას მრავალფერადს, მრავალსახიერს.
გაოგნებულმან ამ ცვლილებით და აღმაფრენით,
უცებ ვიგრძენი, რომ მეგზური დამშორებოდა,
თითქოს დავეშვი, ჩავიძირე... გამომეღვიძა!
ო, რა შვებას ვგრძნობ, რომ სიზმარი ყოფილა მხოლოდ!“

რა დაასრულა წინა ღამის სიზმარი ევამ,
ადამმა სევდით უპასუხა: „ჩემო ხატებავ,
საუკეთესო ნახევარო ჩემი არსების,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შენმა მშფოთვარე, აწეწილმა ღამის ფიქრებმა
მეც დამაღონეს, — როდი მომწონს შენი სიზმარი.
მე იმას ვშიშობ, ავმა სულმა თუ შთაგაგონა.
შენ უბიწო ხარ, ბოროტს ახლოს არ მიიკარებ,
მაგრამ მდაბალი ნიჭიც ბევრი არის ჩვენს სულში,
ისინი ყველა მორჩილებენ გონებას, მთავარს.
შემდეგ კი მოდის წარმოსახვა. ყველა იმისგან,
რასაც აღვიქვამთ ხუთი გრძნობით — ეს წარმოსახვა
ჩვენ ჰაეროვან სახეებს და ოცნებას გვიქმნის.
გონება ამათ ან ცალ-ცალკე, ან ერთად შერწყმულს,
იმის მიხედვით — ჩვენ თვითონვე როგორ მივიღებთ,
იმად გარდაქმნის, რასაც აზრს ან ცოდნას ვეძახით.
როცა ბუნება მიიძინებს, ჩვენი გონებაც
თვის სამყოფელში იკეტება. მყის წარმოსახვა
იხელთებს დროსა და გონების წაბაძულობით
ამოქმედდება. მაგრამ ხშირად ის ვერ ახერხებს
საგანს სახე ან ფორმა მისცეს. შეუსაბამო
საქმეებსა და სიტყვებს გვაძლევს. დიდი ხნის ამბავს
დაუკავშირებს უმიზეზოდ ახლახან მომხდარს.
ყველაზე მეტად ეს სიზმარში მოხდება ხოლმე.
შენი სიზმარიც ჩვენს წუხანდელ საუბარსა ჰგავს,
ოღონდ ეს უფრო უცნაური და უმსგავსია.
ნუ დაღონდები, ხშირად ხდება, ბოროტი ფიქრი
ეწვევა ხოლმე ღმერთსაც, კაცსაც, მაგრამ უკანვე
გაწბილებული გაბრუნდება, კვალსაც ვერ ტოვებს.
ეს იმედს მაძლევს, რამაც ძილში შენ შეგაშფოთა
ფხიზელი იმას დაჰგმობ, გულშიც არ გაიკარებ,
აბა, გამხნევდი, ნუ დაღონდი, ნუ მოიღრუბლე,
შენ ხომ ყოველთვის მხიარული სახე გაქვს ხოლმე,
როცა პირველად გაუღიმებს ქვეყანას დილა.
ახლა გავსწიოთ სამუშაოდ ჭალებისაკენ
ყვავილებსა და შადრევნებში. ყვავილებს გული
გადაუშლიათ მომხიბლავად და სურნელება
წუხანდელს აქეთ მხოლოდ შენთვის შემოუნახავთ".

ადამი ასე ამხნევებდა ტურფა მეუღლეს,
ისიც დამშვიდდა, მაგრამ მაინც თვალთაგან მოწყდა
ფაქიზი ცრემლი. ევამ მყისვე თმით მოიწმინდა.
ორი ძვირფასი მარგალიტი თვალს კვლავ მოადგა,
როგორც ნიშანი ღვთაებრივი, სინდისის ქენჯნის,
და მწუხარება უნებური შეცოდებისა,
მაგრამ ადამმა არ აცალა მოწყვეტილიყვნენ:
წმინდა ამბორით ამოაშრო ბროლის ცრემლები.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

როცა დამშვიდდნენ, მიატოვეს თვის სამყოფელი —
ჩამობურული ჭერი ხეთა—და გამოვიდნენ,
გადაეშალათ დიდებული სანახაობა:
ამომავალი მზე ბორბლებით დასტრიალებდა
ოკეანისა სანაპიროს და დედამიწას
ნამით ნაპკურებ, მოელვარე სხივებს ესროდა;
აღმოსავლეთით ათასფერად გადაიშალა,
ნეტარი ბაღი ედემისა და სამოთხისა.
მდაბლად დახარეს თავი მაშინ და წესისამებრ
ღვთის სადიდებლად ლოცვას მოჰყვნენ; ყოველ განთიადს
ცოლ-ქმარი მუდამ სხვადასხვაგვარ ლოცვით ხვდებოდა.
აღფრთოვანებით შეასხამდნენ ქება-დიდებას
შემოქმედს თვისას და გალობდნენ ისე ტკბილ ხმაზე,
ხან სიმღერითა და ხან კიდევ წყნარი ღიღინით,
რომ ბარბითსა და ჩანგზე ამო სასმენი იყვნენ:

„ყველა სიკეთის შემოქმედო, ყოვლის შემძლეო,
ჰა, დიდებული და ბრწყინვალე ნაღვაწი შენი!
ამ ზესთბუნებრივ, მშვენიერი ქვეყნის შემქმნელი,
ენით უთქმელი საოცრება იქნები თვითონ!
შენ ცათა შინა განისვენებ, ჩვენ ვერც კი გხედავთ,
მხოლოდ შენს შექმნილ საქმეებში ვჭვრეტთ სახეს შენსას.
მაინცა ვგრძნობთ, რომ შენს სიკეთეს ფიქრი ვერ წვდება,
და, რომ ღვთაებრივ ძალასა ფლობ. სინათლის შვილნო,
ო, ანგელოზნო სთქვით, თქვენ ძალგიძთ ყველაზე უკეთ,
თქვენ ხომ მუდამდღე მას შეჰყურებთ და დღენიადაგ
ტკბილი სიმღერით და საამო საგალობელით
გარშემო უვლით მხიარულად ტახტს ზენარისას;
ყველა ქმნილება მიწიერი თუ ზეციერი
ერთად შეჰყარეთ, რომ შეასხან ქება მას, მხოლოს,
მას, პირველს, შუას, უკანასკნელს, დაუსაბამოს;
ვარსკვლავთა შორის უკეთესო, უელვარესო,
ღამის მნათობთა გუნდის წევრო უკანასკნელო,
შენ განთიადის მშვენიერო წინამორბედო,
რომელიც დილას, მოცინარეს თავს ჯილად შვენი,
გათენებამდე, ამ ნეტარ ჟამს ადიდე იგი.
ჰე, შენცა მზეო, სამყაროის თვალო და სულო,
შენც აღიარე მისი ძალა, ადიდე იგი, —
შენი მარადი მოძრაობის ყოველ დროს და ჟამს,
ამოსვლის დროსა, ნაშუადღევს ცის შუაგულში,
ქება შეასხი მაშინაც, როს ჩაესვენები.
შენცა, მთვარეო, რომელიც ხან მზეს ეგებები,
ხანაც კი მიფრენ ვარსკვლავებთან, იმათ სფერაში;
თქვენცა, ელვარე ზეცის ხუთო ცთომილო ცეცხლო,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტკბილი გალობით საიდუმლოდ რომ ცეკვავთ მუდამ,
თქვენც ღაღადჰყავით მის დიდების საგალობელი,
ვინაც გამოჰყო წყვდიადისგან ჩვენთვის ნათელი.
შენცა, ჰაერო, და თქვენც ძალნო სტიქიონისა,
დედაბუნების საშოსაგან პირველშობილნო,
დაუსრულებლად მორბენალნო მიჩნეულ წრეში,
თქვენ ყოველივეს და ყველაფრის გამომკვებავნო,
ახალი ქება მიუძღვენით ჩვენს დიდ შემოქმედს.
მთიდან თუ ტბიდან ანაორთქლო ნისლო, ბურუსო,
ვიდრე მზე ოქროდ შეგიფერავთ მატყლოვან სამოსს,
სადიდებელად ქვეყნის დიდი შემოქმედისა,
თუნდა მოქარგეთ უფერული ზეცა ღრუბლებით,
თუნდა მწყურვალი დედამიწა დანამეთ წვიმით,
გინდ მაღლა ზეცას, გინდა დაბლა, ადიდეთ იგი.
მის სადიდებლად ჰოი, ქარნო, ოთხი მხრით მქროლნო,
თუნდა ძლიერად, თუნდ ნიავის ძალით დაჰბერეთ,
ნაძვნო, კედარნო, ყველა ჯურის მცენარეებო,
ზვირთებრ არხიეთ კენწერონი, მის სადიდებლად;
თქვენ მდინარენო, მორაკრაკე ნაკადულებო,
ამო ბუტბუტით მას შეასხით ქება-დიდება;
არსნო ყოველნო, ქვეყნისანო, ერთხმად დასძახეთ,
და თქვენც ფრინველნო, ზეცის ბჭეს რომ შემღერით ხოლმე,
მისი დიდება ფრთით და მღერით წაიღეთ მაღლა;
წყალში მძრომელნო, ქვეყანაზე ამაყად მვლელნო
და თქვენც მცოცავნო დაბლა მიწას, დამემოწმენით,
რომ ყოველ ცისკარს, მწუხრის ჟამსა, მინდვრად თუ მთებში,
მდინარის პირად და დაბურულ ხეთა ჩრდილებში,
მე დროს არ ვკარგავ და ვიგალობ მის სადიდებლად!
მთელი სამყაროს მბრძანებელო, დიდება შენდა!
გვეყავ მეოხედ, მოგვანიჭე კვლავაც კეთილი,
მაგრამ თუ ღამით ავმა სულმა რამ შთაგვაგონა,
ისე გაჰფანტე, ვით ნათელი გაჰფანტავს ბნელსა".

ილოცეს ასე სასოებით და იმათ გულში
მალე სიმშვიდემ, სანატრელმა, დაისადგურა.
მერე ტკბილსა და ნამნაპკურებ ყვავილებს შორის
მინდვრებისაკენ გაეშურენ სამუშაოზე.
აგერ ნაყოფით დახუნძლულსა მცენარეს ფართოდ
გადაეშალა, დაეხარა დიდი ტოტები,
საჭირო იყო ხელი იმათ შესაკებლად;
იქ, ვაზი მჭიდროდ მიამაგრეს კანაფით ჭიგოს...
შრომაში გართულთ სიბრალულით მიაპყრო თვალი
ზეცის მაღალმა მბრძანებელმა. შემდეგ მოუხმო
თვისთან რაფაელს, ამ ანგელოზს დიდად გულკეთილს,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რომელმაც ერთხელ ტობიასთან* წასვლა ინება
და აქორწინა იგი შვიდგზის გათხოვილ ქალთან.
უთხრა: „რაფაელ, ალბათ უკვე გაიგონებდი,
ჯოჯოხეთიდან ბნელ უფსკრულით გამოქცეულმა
სატანამ როგორ შეაშფოთა ჩვენი სამოთხე,
როგორ წაართვა მოსვენება ორ ადამიანს,
და როგორ უნდა სულმთლად მოსპოს მოდგმა კაცისა.
უნდა წახვიდე, ნახევარი დღე დაჰყო მათთან
და ვით მეგობარს მეგობარი, ადამს ეუბნო.
შრომით მაშვრალი, სიცხისაგან შეწუხებული,
მოსასვენებლად, ან საუზმით დასანაყრებლად,
ჩრდილქვეშ იქნება ახლა სადმე შეფარებული.
ასე უთხარი, დაარწმუნე, რომ ნეტარება,
ბედნიერება მის ხელთ არის, მის სურვილზეა,
მის ნებაზეა თავისუფლად და ესეც უთხარ,
რომ ნება მისი, თუმცა კია თავისუფალი,
მაგრამ მერყევი არის თანაც და ცვალებადი.
წა, შთააგონე, ფრთხილად იყოს, თავისი თავი
ნუ ეგონება უშიშარი და უზრუნველი.
უთხარ, რა საფრთხეც ემუქრება, ვინ ემუქრება,
უთხარ, რომ მტერი, დამხობილი, ამჟამად ცდილობს
ბედნიერება სხვასაც ბევრსა დააკარგვინოს.
ძალდატანებით? არა, ძალით ვერას გახდება,
მოტყუილებით და ცთუნებით მოქმედებს იგი.
ახლავ უთხარი, რომ თვალბედით ცთუნების შემდეგ,
არა თქვას, თითქოს არ იცოდა, არ მოელოდა,
ანუ წინასწარ არ ყოფილა გაფრთხილებული“.

ღალადჰყო ესე მეუფემან, დაუსაბამომ
და ამ სიტყვებით შეასრულა მართლმსაჯულება.
წმიდა ფრთოსანმა ერთი წუთიც არ დააყოვნა
მყისავე მოსწყდა, — რა მიიღო უფლის ბრძანება, —
ჩამომწკრივებულ ანგელოზთა უთვალავ დასებს,
საცა ის იდგა ბრწყინვალედ ფრთებჩამოშვებული,
და გაეშურა; ანგელოზნი ორად გაიყვნენ
და გზა გაუხსნეს მთელს მანძილზე სასუფეველში.
აჰა, მიადგა ზეცის კარებს. კარები იგი,
თითქოს ღვთაებრივ ოქრომჭედლის ნაჭედიაო,
ოქროს ანჯამით იყო კოხტად ჩამოკიდული
და თავისთავად გადაეხსნა მიმავალს ფიცხლავ.
გზაში იმისთვის არცა ღრუბელს და არცა ვარსკვლავს
არ შეუშლია არსად ხელი. ქვემოთ ხედავდა
თუმცა პატარას, მაგრამ მაინც სხვა სფერებივით
გასხივოსნებულ დედამიწას — წალკოტს უფლისას

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და მაღალ თხემებს, კედარებით მოგვირგვინებულთ.
გალილეოც კი, თვის ჭოგრიტით, ისე მკაფიოდ
ვერ გაარჩევდა მთოვარეზე ხმელეთს და ქვეყნებს;
ვერც მეზღვაური, ციკლადების შორის მცურავი,
ვერ იხილავდა შორს ნისლოვან დელოსს და სამოსს...
ჰა, მიჰქრის იგი, მარდადა ჰკვეთს ვეება სივრცეს,
ცის სამყაროებს ჩაუქროლებს მედგარი ფრთებით,
ხან ამხედრდება პოლიარულ ქარიშხალებზე,
ხან საკუთარი ფრთების ქარით მიაპობს ჰაერს.
რა მიაღწია არწივების ფრენის არენას,
გაკვირვებულნი შეჰყურებდნენ სხვა ფრინველები:
ფენიქსსა ჰგავდა იმათ შორის, განცალკევებულს.
თითქოს მიფრენსო ახლა იგი ეგვიპტისაკენ,
რომ მზის ტაძარში მოასვენოს ცხედარი თვისი.
აგერ დაეშვა სამოთხეში, აღმოსავლეთით
ციცაბო კლდეზე, და მიიღო თავისი სახე—
მყის გადაიქცა ქერუბინად, მის ტანს, ღვთაებრივს,
საჩრდილობელად სამი წყვილი ფრთა მოებურა.
პირველი ჰქონდა გამობმული ფართო მხარბეჭზე
და მკერდს სამეფო მანტიისებრ ეფინებოდა;
მეორე წყვილი, ვით სარტყელი ოქროსფერადი,
და ვარსკვლავებით მოჭედილი — წელს შემორტყმოდა;
ლაჟვარდის ფერად მოელვარე მესამე წყვილი
ფეხს მოსდებოდა, ქუსლებამდე ჩაშვებულიყო, —
და ჯაჭვის პერანგს ჩამოგავდა ფრთა თვითეული.
იდგა მაიას მემკვიდრისებრ. მერე შეირხა
და მყისვე, ირგვლივ, დააფრქვია ამო სურნელი.
დარაჯად მდგომთა ანგელოზთა მყისვე შეიცნეს
და მოწიწებით, — ისე როგორც ეკადრებოდა
მის მაღალ სახელს, პატივსადებს, და შიკრიკს ღვთისას, —
ისინი წარსდგნენ მის წინაშე. თითქოს შეიგრძნეს,
რომ ღირსეული დავალება ჰქონდა უფლისგან.
ანგელოზების ელვარ კარვებს მან ჩაუარა,
მიადგა მინდორს სანეტაროს, ჭალებს ტვიისას,
აკაციის და ნარდის ამო, ქორფა ყვავილებს.
ირგვლივ ყოველგან იფრქვეოდა ტკბილსურნელება,
ჭაბუკ ბუნებას ყმაწვილური ხელგაშლილობით,
დიდ ხელოვნებით, ღვთაებრივი წარმოსახვებით
მიმოეფრქვია განუზომლად ყოველი სიკეთე,
განუსაზღვრელი სიტკბოება და ნეტარება.

თავის თალარის საგრილობელს შეფარებულმა
ადამმა შორით ჰკიდა თვალი მომავალ ფრთოსანს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბზე, შუბის ტარზე ზეაღსული, მცხუნვარე სხივებს
მწვავედ აჭერდა დედამიწას, უთბობდა წიაღს,
ზედმეტი იყო ადამისთვის ასეთი სითბო.
ევა შინ სადილს ამზადებდა მადის აღმძვრელი
ტკბილი ხილისგან. სამწყურვალოდ ყურძნის წვენისგან
და მარწყვისაგან აზავებდა საამო სასმელს.

ასე მიმართა მას ადამმა: „აქ მოდი ჩქარა,
გამოეშურე, ევა, აქეთ და შენი მზერა
შენ მიაპყარი აღმოსავლეთს, იქ, იმ, ხეებში;
ხომ ხედავ ჩვენკენ რა ბრწყინვალე არსება მოდის,
ამ შუადღისას ეს მეორედ დილის მოსვლას ჰგავს.
ალბათ ზეციდან მოაქვს ჩვენთვის რამე ბრძანება
და დღეს, იქნება, გავხდეთ ღირსი მისი სტუმრობის;
ახლა შინ შედი, მოამზადე, რაც გაგაჩნია,
ზეციურ სტუმარს ღირსეულად უნდა დავუხვდეთ,
უნდა მისგანვე ბოძებული მივართვათ ახლა;
ის უხვად გვაძლევს, ჩვენც ასევე გულუხვი ვიყოთ.
ხედავ, ბუნება რა მრავალფრად შემკული არის,
რაც მეტს განვტვირთავთ, უფრო უხვად მოისხამს ნაყოფს.
ეს კი გვასწავლის, რომ დაზოგვა არა გვჭირდება“.

ევამ მიუგო: „ჩემო ადამ, თიხით ნაძერწო
და ღმერთისაგან სუნთქვის უნარ მონიჭებულო,
დიდი მარაგი რისთვის გვინდა, მცირეც გვეყოფა,
რადგან ბუნება მუდამ მწიფე ნაყოფს გვთავაზობს,
წლის ყოველ დროსა და ყოველ ჟამს, განუწყვეტლადა,
მხოლოდ ზოგიერთ ხილსა მატებს შენახვა სიტკბოს;
გავეშურები, ყველა ხიდან, ყველა ტოტიდან,
ჩამოვწყვეტ ნაყოფს — მწიფეს, წვნიანს და საგანგებოს;
ჩვენი სტუმარი ანგელოზი თვითონვე მიხვდეს,
რომ ღმერთმა ჩვენაც — დედამიწის მკვიდრებსაც ისე
უხვად გვიბოძა ყველაფერი, ვით ზეცის სულებს“.

თქვა და გაბრუნდა, გამალებით შეუდგა საქმეს,
სურს კარგად დახვდეს, შეარჩიოს მრავალნაირი
ტკბილი ნაყოფი და იმგვარად მიართვას სტუმარს,
ისეთნაირად შეაზავოს და შეარჩიოს,
რომ ერთმა ხილმა არ წაართვას მეორეს გემო,
და შესთავაზოს სტუმარს ყველა თავისი რიგით.
ჩამოუარა ყველა ხეებს, ამოარჩია,
რასაც კი ჩვენი დედამიწა, დედა ყოველთა,
ზრდის ყველა კუთხეს — აღმოსავლეთ ინდოეთშიაც,
დასავლეთშიაც, პონტოსთანაც, იმ კუნძულზედაც,
სადაცა ერთხელ მბრძანებლობდა მეფე ალკინოს...

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ყოველი ხილი შეარჩია: თხელკანიანი,
სქელკანიანი, ზოგიც მცირე ნაჭუჭიანი...
შეაგროვა და მაგიდაზე გაშალა უხვად.
მერე მაჭარი გამოწურა ყურძნისგან ევამ,
ხოლო მარწყვისგან საამურად ტკბილი სასმელი.
სუფთა ჭურჭელიც მზადა ჰქონდა სასმელისათვის,
დაბოლოს ახლადდაკრეფილი, სურნელოვანი,
ვარდები ირგვლივ მიმოფანტა, მიმოაფრქვია.

ჩვენი დიადი წინაპარი, ამასობაში,
ღვთისდარი სტუმრის შესახვედრად მიემართება.
არ მიჰყვებიან თან მხლებლები, მარტოკა მიდის
და ღირსეულად, ჩინებულად უჭირავს თავი,
მეფისწულზედაც ღირსეულად, ვისაც მდიდრულად
მოკაზმული და მოსაწყენი ამალა ახლავს,
რომელთ ბრჭყვიალა, თვალისმომჭრელ ოქროს და ვერცხლსა
შესცქერის ხალხი გაშტერებით, პირდაღებული.
მიუახლოვდა კიდეც იგი და არა შიშით,
არამედ დიდის მოწიწებით, თაყვანისცემით
დახარა თავი და ციურ არსს ეს მოახსენა:

„მკვიდრო ზეცისავ, — ზეცის გარდა ვის შეიძლება
ასე ბრწყინვალე, დიდებული მკვიდრი რომ ჰყავდეს, —
რაკი ინებე და დაეშვი მაღლა ტახტიდან,
რაკი ღირსჰყავი ეს ნეტარი სასუფეველი,
დაგვდე პატივი ჩვენ ორს მხოლოდ, რომელთაც ღვთისგან
ნაბოძები გვაქვს სამყოფელი ფართო და ვრცელი,
და მზე ვიდრემდე დასავლეთით გადიხრებოდეს,
სულისშემხუთი სიცხე ვიდრე შენელდებოდეს,
აქ მოისვენე, ტალავარის გრილოში, ჩვენთან
და ჩვენი ბაღის უკეთესი ხილი იგემე“.

მას ანგელოზმა უპასუხა ალერსიანად:
„ადამ, მეც მისთვის მოვდიოდი. შენ თვითონვე ხარ
შექმნილი ისე, სამყოფელიც გაქვს სანეტარო
და შეგიძლია ზეცის მკვიდრნი მიიპატიჟო.
აბა, გამიძეხ ტალავარში, იქ მოვიჩრდილოთ
რადგანაც არსად, საღამომდე, არ ვეშურები“.
აჰა, მიადგნენ ხეთა კარავს, ვარდებით შემკულს
და სურნელოვანს — თვით პომონის* სახლისა სადარს.
ევას კი, თვითონ, სამკაული არა ჰქონია,
მაგრამ სიტურფით დაჩრდილავდა ფერიას ტყისას,
და იმ სამ ტიტველ ქალღმერთზედაც, — იდას მთაზე რომ
ეჯიბრებოდნენ ერთმანეთსა, — მშვენიერ იყო.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იდგა და ზეცის ღვთაებრივსა სტუმარს ელოდა.
მას, გულით სპეტაკს, სამოსელი არ სჭირდებოდა,
არცა ფიქრები უხერხული არ აწითლებდა.
და მიესალმა ანგელოზი წმიდა სალამით,
რაიცა შემდეგ კიდევ დიდხანს იხმარებოდა
მეორე ევას — მარიამის სადიდებელად:

„სალამს მოგიძღვნი შენ — დედაო ადამიანთა,
საშომან შენმან ქვეყანაზე ადამის მოდგმა
ამ ღვთის ბოძებულ ხილზე უფრო მეტად ამრავლოს“!
შემომაღლებულ კორდზე ჰქონდათ გაშლილი სუფრა,
რომელსაც ირგვლივ ხავსის რბილი სკამები ერტყა;
მწვანე სუფრაზე შემოდგომის სიუხვე ჩანდა,
თუმც გაზაფხულსაც ედო წილი ამ სიუხვეში.
ტკბილი და დინჯი საუბარით გაერთნენ ერთხანს,
(შიში არ ჰქონდათ, რომ სადილი გაცივდებოდა)
შემდეგ კი ჩვენმა წინაპარმა ასე მიმართა:

„მკვიდრო ზეცისავ, გემო ნახე ამ უხვი ხილის,
რასაცა ჩვენი დიდი ძიძის ნება-სურვილით,
ვისგანაც მოდის ყოვლი მადლი, ყოვლი სიკეთე,
მიწა გვაწოდებს საკვებად და სასიამტკბილოდ.
ციურ სულს იქნებ აგრერიგად არც კი გეამოს,
მაგრამ ღმერთი ხომ ყველა სულდგმულს ამას უბოძებს!“
ასე მიუგო ანგელოზმა: „ადამიანიც
ნაწილობრივად თვითონვეა ციური სული,
და რასაც ღმერთი, — დიდება მას სამარადჟამო! —
უბოძებს იმას — ანგელოზთაც ძალუძთ იგემონ.
სჭირდებათ კიდეც ანგელოზებს კვება თქვენგვარად.
ორივ ქმნილებას აქვთ მდაბალი ნიჭი და გრძნობა:
სმენა, შეხება, ყნოსვა, გემო და მხედველობა;
ციური სულიც, უსხეულო, თქვენივე მსგავსად
შეიწოვს საკვებს, მოინელებს, დაამუშავებს
და ამის შემდეგ გადიქცევა კვლავ ჰაეროვნად.
უნდა იცოდე: რაც შექმნილა და გაჩენილა,
ყველას სჭირდება გამოკვება. უფრო უხეში
ნივთიერება—ასაზრდოებს მასზე უწმინდესს.
მიწა ზღვას კვებავს, ზღვა და მიწა ერთად — ჰაერსა,
ჰაერი კვებავს, თავისი მხრით, ზეციურ მნათობთ,
უპირველესად კი მთოვარეს — სხვებზე დაბლა მყოფს.
აკი სჩანს კიდეც მასზე ლაქა — ეს ორთქლი არის
დაუწმენდავი, მთვარის მიერ ჯერ შეუწოვი;
მთვარეცა კვებავს მასზე ზემოთ მდებარე მნათობთ
და ორთქლსა გზავნის ნესტიანი ხმელეთისაგან.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მზე ერთნაირად უნაწილებს სინათლეს ყველას
და იღებს კიდეც ყველასაგან სამაგიეროდ
საკვებს — აორთქლილს სინესტესა; საღამოობით
ოკეანეში ჩაეშვება და მასთან ვახშმობს.
ზეცაში ხენი — სიცოცხლისა მომნიჭებელნი,
ნაყოფს ისხამენ ამბროზიას სურნელის მფრქვეველს,
იქ ვაზიც ხარობს სანუკვარი, ნექტარის წყარო;
და ყოველ დილას ბუჩქებიდან უხვად ვაგროვებთ
თაფლივით ტკბილსა, ცვარს საამოს, ხოლო მიწაზე
მარგალიტივით მიმოფრქვეულ მანანას ვპოვებთ.
ღმერთს თქვენთვის უხვად მოუცია მადლი თავისი,
ისე ახალი და მრავალი სიამ-სიკეთე,
რომ ეს ადგილი ზეცასაც არ დაუვარდება;
შენ ფიქრი ნუ გაქვს, დაგეწვევით სიამოვნებით“.

მოუსხდნენ სუფრას, მორთმეულ ხილს შეექცევიან,
და ანგელოზიც მოჩვენებით როდი ჭამს საჭმელს, —
როგორაც ამას ამტკიცებენ ღვთისმეტყველები, —
ჭამს მადიანად, ვით ნამდვილად მოშიებული;
სული ადვილად შეიწოვს და ინელებს საკვებს.
არც არის ესე საკვირველი, თუ გავიხსენებთ
რომ ალქიმიკოსს მეტად მდარე ლითონისაგან,
ჭვარტლის ცეცხლზედა დნობით ძალუძს ოქრო მიიღოს,
ანუ ამტკიცებს, მივიღებო აუცილებლად.
სუფრის თადარიგს განაგებდა ტიტველი ევა,
ფიალებს ტკბილი, სასიამო წვენით ავსებდა.
უმანკოებავ, უბიწობავ, სამოთხის ღირსო!
მაშინ კი მართლაც მიტევება შეიძლებოდა,
ღვთის ძე ტრფობით თუ აღეგზნოდა ამის ხილვაზე,
მაგრამ იმათთვის უცხო იყო ავხორცი ტრფობაც,
და მწველი ეჭვიც — ჯოჯოხეთი მიჯნურებისა.

როცა დანაყრდნენ ზომიერად საჭმელ-სასმელით,
ადამს უეცრად დაებადა ასეთი აზრი:
ხელსაყრელი დრო არ გაეშვა, ცის ბინადრისთვის
გამოეკითხა ზოგი რამე ზეცის შესახებ,
გაეგო ყოფა ზეციური არსებებისა,
რომლებიც ასე მაღლა იდგნენ თვითონ ადამზე,
რომელთა სახე ღვთაებრივ შუქს ასხივოსნებდა
და ადამიანს — ძალით დიდად აღემატოდა.
მსახურს ზეცისას მან მიმართა მორიდებულად:

„მაღალი ღმერთის მეზობელო, ახლა კი ვნახე,
მოკვდავთა მიმართ რა მოწყალე ყოფილხარ თურმე,
რომ მობრძანებით ღირს ჰყავ ესე დაბალი ჭერი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და ქვეყნიური ჩვენი ხილიც იხილე ახლა,
ისე ხალისით, დაუზარლად, თითქოს ზეცაშიც
ამაზე უკეთ ლხინს ვერავინ გაგიმართავდა.
მაგრამ ნეტავი ერთმანეთს ვით შეედრებიან?“

მაშინ ფრთოსანმა ანგელოზმა მიუგო ადამს:
„ო, ადამ, ერთ არს შემოქმედი, ყოვლადძლიერი,
და ყველაფერი იმისაგან მომდინარეობს,
მერე კი მასვე უბრუნდება, თუ არ გადაცდა
და კეთილისგან ბოროტისკენ არ გადიხარა;
ყველა უნაკლოდ, სრულყოფილად არის შექმნილი
და საწყისად აქვს ყველას ერთი ნივთიერება,
მაგრამ სხვადასხვა ფორმისაა სუყველაფერი
და არსებითაც ერთურთისგან განსხვავდებიან.
რაც უფრო წმიდა, დახვეწილი, სულიერია,
მით უფრო ახლო დგას უფალთან ყოველი არსი,
ან მიისწრაფის მისკენ თავის ქმედითს სფეროში;
და სხეულს ძალუძს მისწვდეს კიდეც სულიერ ყოფას
უნარისა და თანდაყოლილ ნიჭის მიხედვით.
ფესვებს მოებმის მწვანე ღერო, უფრო მსუბუქი,
ღეროს — ფოთლები, კიდევ უფრო ჰაეროვანი,
ფოთლებს — ყვავილი, სრულყოფილი, სურნელოვანი;
ყვავილთან ერთად ადამიანს კვებავს ნაყოფი
და სასიცოცხლო ძალას აძლევს, ამაგრებს სხეულს,
ანიჭებს არსთა გაგების და შეგრძნების უნარს.
აქედანვე აქვს მიღებული გონება სულსა,
ხოლო გონება არის მისივ ყოფიერება,
და ორი სახით გვევლინება გონება მუდამ:
ხან მსჯელობითად, ხანაც კიდევ ალღოდ, შეგრძნებად.
მსჯელობითს უფრო თქვენ მიმართავთ, მეორეს — ჩვენა:
განსხვავებაა იმათ შორის ხარისხობრივი,
არსებითად კი ორივენი ერთნაირია.
მაშ, მეტად ნულარ გაიკვირვებ, რომ თქვენსა საკვებს,
ღმერთის ბოძებულს,—მეც თქვენებრ ვჭამ, თქვენებრ შევიწოვ.
შესაძლო არის, დადგეს დრო და ადამიანმა
გაიზიაროს ანგელოზთა მსუბუქი კერძი,
და არც ეჩვენოს მსუბუქად და შეუფერებლად.
იქნება, სწორედ ამ საკვების საშუალებით
არსება თქვენი ჰაეროვან სულად გადიქცეს,
მოებას ფრთები ჟამთა სვლაში, თანდათანობით,
და ზეაიჭრას, იქ იცხოვროს ეთერში ლაღად,
ან როგორც არჩევს — ხან აქ, ხანაც სასუფეველში.
ეს კი მოხდება, თუ დარჩებით მორჩილნი მუდამ,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და მის ჭეშმარიტს სიყვარულსა შეინარჩუნებთ,
ვინაც თქვენ შეგქმნათ. ჯერჯერობით აქვე იყავით,
დასტკბით, იხარეთ, განიცადეთ ყოვლი სიკეთე
ამ ნეტარ ადგილს, — მანამ მეტის ძალა არ შეგწევთ“.

ადამიანთა წინაპარმა ეს უპასუხა:
„მფარველო სულო, მწყალობელო სტუმარო ჩვენო,
შენ ჩინებულად მოგვიხაზე გზები ცოდნისა,
გვაჩვენე კიბე ბუნებისა, რომლითაც ძალგვიძს,
საფეხურებით, ნელ-ნელა სვლით ღმერთთან ზეაღსვლა.
მაგრამ მაუწყე, რად გვაფრთხილებ მორჩილნი ვიყოთ?
შეგვიძლია კი მის ნებას არ დავემორჩილოთ,
ანუ გულიდან ამოვგლიჯოთ მის სიყვარული,
ვინაც თიხისგან გაგვაჩინა და მოგვანიჭა
უნეტარესი სამყოფელი, შემკული ისე,
როგორც ისურვებს კაცის ფიქრი, კაცის ოცნება?!“
მას უპასუხა ანგელოზმა: „ძევ ცის და მიწის,
ყური დამიგდე, ნეტარებას ღმერთს უმადლოდე,
ხოლო კვლავაც თუ არ დაჰკარგავ ამ ნეტარებას,
მადლობა უთხარ საკუთარ თავს, შენს მორჩილებას.
გახსოვდეს ესე, ჩემი რჩევა და გაფრთხილება.
ღმერთმა შენ შეგქმნა სრულყოფილი — არა ურყევი;
უნაკლო შეგქმნა, მაგრამ ამის შენარჩუნება
შენს ნებაზეა, შენს უნარზე დამყარებული.
ნება, სურვილი შენი არის თავისუფალი,
მას არ განაგებს ბედისწერა გაუტეხავი,
და არცა მწარე გაჭირვებით შებოჭილ არ ხარ.
ნებისმიერი მორჩილება სურს ჩვენი უფალს,
ძალდატანებას ის არცა ცნობს და არც მიიღებს.
როგორ გამოცდი შებორკილ გულს ერთგულებაში,
როგორ შეატყობ—ნებით უყვარს თუ დაძალებით?!
ან როგორ უნდა შეიყვაროს გულმა, რომელიც
წინასწარ არის ბედისწერით შემზადებული
და ნება არ აქვს თავისუფალ არჩევანისა?!
მეც, ჩემდა თავად, და ყოველი ციური სული,
რომლებიც ღმერთის ტახტთანა ვართ სასუფეველში,
ბედნიერებას ვინარჩუნებთ მხოლოდ მანამდე,
ვიდრე, თქვენს მსგავსად, მორჩილებას შევინარჩუნებთ.
სხვა რამ პირობა არ არსებობს. ჩვენ მას ვმსახურებთ
ჩვენივე ნებით, რადგან გვიყვარს ჩვენივე ნებით
და სიყვარულის არჩევანიც ჩვენს ნებაზეა.
ამის მიხედვით, ან მტკიცედ ვართ, ან დავეცემით.
დაეცნენ კიდეც ზოგნი სულნი სწორედ იმიტომ,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რომ დაარღვიეს მორჩილება ზენაარისა,
ზეცით დაეშვნენ და ჩაცვივდნენ ღრმა ჯოჯოხეთში.
ჰოი დაცემავ, საშინელო, ამ სიმაღლიდან,
ნეტარებიდან — ჯურღმულებში მწუხარებისა!“

მაშინ მიმართა ჩვენმა დიდმა, მთავარმა მამამ:
„ჩემო მოძღვარო, ღვთაებრივო დამრიგებელო,
მე გულისყურით მოვისმინე შენი სიტყვები,
რომელთაც მეტი სიტკბოება განმაცდევინეს,
ვიდრემდის სულთა მწუხრის ჟამის საგალობელმა.
ვიცოდი კიდეც, რომ უფალმა ჩვენ გაგვაჩინა
სურვილითა და მოქმედებით თავისუფალი;
მაგრამ მუდამ ჟამს მჯეროდა და ახლაც კი მჯერა,
რომ შემოქმედის სიყვარულს ჩვენ არ დავივიწყებთ,
და მორჩილებაც სამუდამოდ გვექნება მისი,
რომლის ბრძანებაც მუდამ არის სამართლიანი.
მაგრამ აწ შენმა ნაუბარმა აღმიძრა ეჭვი,
ზეცაში მომხდარ ამბებზე რომ ამბობდი ახლა;
მსურს მოვისმინო, თუკი დიდად არ დაიზარებ,
მთელი ამბავი, დაწვრილებით, რაც მოხდა ცაში...
ალბათ უცხო და უცნაური ამბავი არის,
გულისყურით და მდუმარებით მოსმენის ღირსი.
წინ გრძელი დღე გვაქვს, მზე ახლახან გასცდა შუა ხაზს
და ეს-ეს არის გადაეშვა დასავლეთისკენ.“

სთხოვა ადამმა. რაფაელი მცირედ დაფიქრდა,
ბოლოს დათანხმდა და დაიწყო მან დამშვიდებით:
„დიდ საქმესა მთხოვ, ჰე პირველო კაცთ წინაპარო,
მეტად მძიმესა და მწუხარე ამბავის თხრობას,
აბა, მოკვდავებს როგორ უნდა გავაგებინო
უხილავ სულთა საიმარი შემართებანი?
როგორ მოგითხრო აბა ისე, არც დამენანოს
განადგურება უთვალავი ანგელოზების,
რომლებიც სრულის ელვარებით ბრწყინავდნენ ცაში,
ვიდრე გასტეხდნენ მორჩილებას და ღვთის სიყვარულს?!
როგორ ვამხილო საიდუმლო სხვა სამყაროსი,
ალბათ არც არის გამჟღავნება კანონიერი?!
მაგრამ შენივე სიკეთისთვის მაინც გაგიმხელ.
ადამიანურ გაგებაზე მაღლა რაცა დგას,
შევეცდები რომ გაგიმარტო, გავამარტივო,
სულთა საქმენი ნივთიერად წარმოგიდგინო
და ამით უკეთ მიგახვედრო ნამდვილი არსი.
მაგრამ, იქნება, დედამიწა ჩრდილია ზეცის,
და ბევრი რამე უფრო მეტად წააგავს ერთურთს,
ვიდრე თქვენ ამას აქამომდე გაიფიქრებდით!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„ქვეყანა ესე არც კი იყო მაშინ შექმნილი
და საცა ახლა ცა ტრიალებს, სადაც ეს მიწა
მიჩნეულია სამყაროის ცენტრად და გულად,
ყველგან პირქუში და მძვინვარე ქაოს მეფობდა.
ერთ დღეს, უეცრად, — მაშინაც კი მარადისობის
მთელი ძრაობა იყოფოდა, იზომებოდა
წარსულად, აწმყოდ და მომავლად, — ერთ ასეთ დღესა,
რაც ზეცის დიდმა წელიწადმა თან მოიტანა,
გაისმა დიდი მოწოდების ხმები, მჭექარი,
და ზეცის ყოველ კუთხიდანა წარმოვლენილნი,
აურაცხელნი ანგელოზნი წარსდგნენ ღვთის ტახტთან;
იდგნენ დასებად, წინამძღოლი თან ახლდა ყველას,
და ათასობით მოელვარე ბაირაღები,
დროშა ურიცხვი, ფრიალებდა ამაყად ცაში,
ამა დროშებით სულთა დასებს განასხვავებდნენ,
ხარისხისა და სიდიადის მიხედვით ყველას.
მათზევე იყო გამოხატულ-გამოსახული
წმიდა საქმენი გმირობის და სიყვარულისა.
გარშემორტყმოდნენ წრე-წრეებად უფალსა ღმერთსა,
დაუსაბამოს, ყოვლადძლიერს, რომელს ნეტარი
ძე თვისი გვერდით მოჯდომოდა. და მაღალ მთიდან,
რომლის მწვერვალი ელვარებით უხილავ იყო,
გაისმა დიდი შემოქმედის ხმა ჩვენდა მიმართ:
„მე მომისმინეთ, ანგელოზნო, სინათლის შვილნო,
„დიდნო თავადნო, ტახტოსანნო, ხელისუფალნო,
„დაიმახსოვრეთ ეს ბრძანება მარად უცვლელი.
„დღეს შევქმენ არსი — და შევარქვი ძე ერთადერთი,
„რომელსაც ახლა თქვენ ჰვრეტთ ჩემგან მარჯვნით მჯდომარეს;
„ამ წმიდა მთაზე მირონსა ვცხებ ხელმწიფებისთვის,
„ამიერიდან ის იქნება მოთავე თქვენი,
„აღთქმა მივეცი ჩემივე თავს, რომ ცაში ყველამ
„მოსდრიკოს მუხლნი მის წინაშე, მიიღოს უფლად.
„იგი იქნება ჩემი შემწე, ჩემი შემცვლელი,
„და მისი დიდი ნების ძალით გაერთიანდით,
„ვით ერთი სული — ნეტარებით იქნებით მაშინ.
„ვინც მას შეჰკადრებს ურჩობას — ის მე მეურჩება,
„ის წმიდა კავშირს გასტეხს ჩვენსას და მიერითგან,
„მოსწყდება ღმერთსა, ნეტარებას ველარ იხილავს,
„ჩაიტყორცნება ბნელით მოცულ უფსკრულში მყისვე,
„და სამუდამოდ იქ დარჩება, იმ ჯურღმულებში“.
„ღაღადჰყო ღმერთმა, მოეფინა ყველას სიამე;
ეს მოჩვენებით, — ნამდვილად კი ბევრს არ ეამა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იმ დღეს, როგორაც ზეიმის დღეს შეჰფერის ხოლმე,
წმიდა მთის ირგვლივ გაიმართა ცეკვა-სიმღერა,
ცეკვავდნენ, ხტოდნენ მისტიური ცეკვით ისინი,
პლანეტებისა და ვარსკვლავთა სრიალის გვარად.
მათი ძრაობა ისე არის გადახლართული,
არეული და გადაწნული ერთურთში ისე,
კაცს ეგონება უწესრიგოდ სრიალებენო,
მაგრამ რამდენად უწესრიგოდ ის გვეჩვენება,
მით უფრო მეტი წესრიგია მათ ძრაობაში.
თან ღვთაებრივი ჰანგი ისე საამოდ ჟღერდა,
რომ ღმერთის სმენაც კი დაატკბო... და ჰა, საღამოც
მოგვიახლოვდა. — ზეცაშიც გვაქვს დილა-საღამო
მხოლოდდამხოლოდ სასიამო ცვლილებისათვის,
საჭიროება კი ამისი სულაც არ არის, —
თავი ანება ყველამ ცეკვას, ვახშამს მიუსხდნენ.
სუყველგან სუფრა გაიშალა, საცა წრედ იდგნენ;
აივსო ტაბლა ანგელოზთა ხორაგეულით.
მარგალიტისა, ალმასის და ოქროს თასებში
ამოდ ჩხრიალებს ალისფერი ნექტარი წმიდა
და ციურ ვაზის საამური ნაწური ტკბილი.
სხდნენ ყვავილებზე, ყვავილებით დამშვენებულნი,
სვამდნენ და ჭამდნენ, ერთობაში ტკბებოდნენ ლაღად
და ნეტარებას, უკვდავებას ეწაფებოდნენ;
გულუხვი ღმერთი, ვინაც თავის მადლიან ხელით
ყოვლი სიკეთე დააფრქვია, პირდაპირ იჯდა
და ჩვენს სიხარულს სიხარულით უჭვრეტდა ისიც.
ამასობაში, ამბროზიას სურნელით, ღამე
დაბლა დაეშვა ზენაარის იმ მაღალ მთიდან,
სადითაც მუდამ სინათლე და სიბნელე მოდის.
ფერი იცვალა ნათელმა ცამ — ოდნავ გამუქდა
(ამაზე უფრო ბნელი ღამე არ იცის ცაში);
და ვარდისფერმა ნამმა ცისამ ძილი მოჰგვარა
ღვთის გარდა ყველას, რადგან ღმერთი სულ მუდამ ფხიზლობს.
ფართოდ გადაშლილ ვრცელს მინდორზე, რაიც სიდიდით
აღემატოდა ამ მრგვალს მიწას, პირდაპირ გაშლილს, —
(ასე ვრცელია დიდი ღმერთის საბრძანებელი), —
გაფანტულიყო ანგელოზთა ურიცხვი დასი
და გუნდ-გუნდებად, რაზმ-რაზმებად მოეკალათნათ.
მრავლადა დასცეს ბანაკები, სხვადასხვა ადგილს,
სიცოცხლის ხეთა შორის იმათ. მთელი მინდორი
გავსებულიყო ტალავრებით, საჩრდილობლებით,
ეძინათ მშვიდად და ნიავი მათ აგრილებდა;
მხოლოდ იმ სულებს არ ეძინათ, რომლებიც ღამით

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტკბილად გალობდნენ უფლის ტახტთან, მორიგეობით...
„და არ ეძინა სატანასაც, მისი სახელი
ახლა ეს არის — სხვა სახელი ერქვა ზეცაში,
მაგრამ არავინ იხსენიებს ძველი სახელით;
თუკი არ ჩავთვლით უპირველეს არქანგელოზად,
პირველთაგანი მაინც იყო პირველთა შორის,
ძლევამოსილი, უფლებებით ამაღლებული,
მაგრამ აღვსილი მწარე შურით ღვთის ძისა მიმართ,
რომელიც იმ დღეს განადიდა უფალმა მამამ
და მირონცხებულ მბრძანებელად გამოაცხადა.
ამის ატანა ველარ შესძლო ზვიადმა სულმა,
დამცირებულად იგრძნო თავი და შერცხვენილად,
აღაგზნო მწარე ბოროტებამ და სიძულვილმა,
და შუაღამით ჩამოწოლილ მყუდროებაში,
როს ყველას ძილი და განცხრომა მოჰფინა ღამემ,
მან გადაწყვიტა აყრილიყო მთელის მხედრობით
და ურჩად, ზიზღით, ქედმაღლურად გასცლოდა ღვთის ტახტს.
გამოაღვიძა ქვეშევრდომი სული, მაღალი,
და ზრახვა თვისი საიდუმლოდ გაუზიარა:
„ჩემო ძვირფასო მეგობარო, რა მშვიდად გძინავს!
„ვით დაგიხუჭა ძილმა თვალი? თუ დაივიწყე
„უფლისა ბაგეს რა ბრძანება მოსწყდა ახლახან?!
„აკი გიყვარდა მუდამ ჩემთვის ფიქრთა განდობა,
„და მეც ჩემს ზრახვებს ყოველთვის შენ გიზიარებდი.
„ღვიძილში მუდამ ერთი პირი გვქონდა ორივეს,
„და ნუთუ ახლა ძილსა ძალუძს გაგვყაროს ერთურთს?!
„ხედავ, ახალი კანონები გამოგვიცხადეს,
„ახალი წესი ახალ აზრებს აღძრავს ყოველთვის,
„ჩვენგან მოითხოვს განსჯასა და აწონ-დაწონას!
„მაგრამ აქ განსჯა სახიფათო იქნება ჩვენთვის.
„ჩვენი დასების მეთაურნი შეჰკრიბე ფიცხლავ
„და განუცხადე ეს ბრძანება: ვიდრემდის დილა
„ღამის საბურველს გაჰფანტავდეს, გავეშურები,
„და გამყვეს ყველა ჩემ დროშის ქვეშ ვინც დარაზმულა,
„ჩრდილოეთისკენ, სამშობლოში, სადაც ჩვენ ვმეფობთ,
„რათა იქ კარგად მოვემზადოთ, კარგად განვსაჯოთ
„და ღირსეულად შევხვდეთ დიადს მესიას, უფალს;
„მივიღოთ მისი ბრძანებები ახალ-ახალი.
„მას განუზრახავს სწრაფად მოვლოს მთელი სამეფო
„და კანონები საზეიმო გამოგვიცხადოს“.
ასე იუბნა მოღალატე არქანგელოზმა
და მიმნდობელი სული თვისკენ გადაიბირა.
მოუხმო მანაც სათითაოდ ქვეშევრდომ ძალებს

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და განუცხადა, როგორც ჰქონდა დავალებული,
რომ წინამძღოლის ბრძანებით და ნებასურვილით,
ვიდრემდე ღამე მოიხსნიდეს ჩრდილის საბურველს,
დიდი ალამი ქვეშევრდომთა უნდა დაიძრას.
აცნობა კიდეც ამ ბრძანების მიზეზი ყველას
და შეეცადა გადაკრული სიტყვებით იგი,
ეჭვი აღეძრა, ერთგულება გამოეცადა,
მთლად შეერყია ყველასათვის პატიოსნება.
დაემორჩილა ყველა უხმოდ ბელადის ნებას,
რადგან სახელი მისი იყო ქებული დიდად,
და ზეცაშიაც მას მაღალი ადგილი ეპყრა.
ვით ვარსკვლავთ კრებულს მიიზიდავს ცისკრის ვარსკვლავი,
ისევე სახე მისი ყველას მიიზიდავდა,
ახლაც თან გაჰყვა მესამედი ზეციურ ძალთა.
მაგრამ ღვთის თვალებს არაფერი დაემალება,
ულრმეს ფიქრებსაც ჩაწვდება ის და გამოიცნობს;
ახლაც თხვისი წმიდა მთიდან, — სადაცა ენთო
ოქროს სანთლები ყოველღამით ზენაარისთვის,—
მან თვალი ჰკიდა, იმ სანთლების დაუხმარებლად,
როგორ აღმოსკდა ამბოხება; ისიც შენიშნა,
ვინ აამხედრა დილის შვილთა ურიცხვი ჯარი,
მისი ბრძანების წინააღმდეგ ვინ მოუწოდა;
ჩაეცინა და ძეს ერთადერთს ასე მიმართა:
„ო, ძეო ჩემო, მე შენში ვეძებ დიდებას ჩემსას,
„შენ ხარ მემკვიდრე მთელი ჩემი ძლიერებისა,
„და მოახლოვდა კიდეც ის დრო, როდესაც უნდა
„მედგრად დავიცვათ ჩვენ ჩვენივე ყოვლისშემძლობა,
„გამოვიყენოთ მთელი ძალა, რაც გაგვაჩნია,
„შევინარჩუნოთ ღვთაებრივი ხელისუფლება.
„ისეთი მტერი აღზევდება ჩვენს წინააღმდეგ,
„ვისაც სწადიან ტახტი თვისი—ჩვენს გაუტოლოს,
„ფართოდ გადაშლილ ჩრდილოეთის მფლობელი არის,
„მაგრამ ამასაც არ სჯერდება, — სურს ბრძოლის ველზე
„მან გამოსცადოს ჩვენი ძალა, ჩვენი უფლება;
„ჩვენც მოვიფიქროთ ბრძოლის გეგმა და მტერს თავგასულს,
„ფიცხლად მივუხტეთ მთელი ჩვენი შთენილი ლაშქრით,
„მოუმზადებლად არ დავუხვდეთ და არ დავკარგოთ
„მაღალი ტახტი, ეს დიდება და ეს მთა წმიდა.“
მას ღვთაებრივის ელვარებით შუქმოფენილმა
ძემან მიუგო დამშვიდებით, წყნარად და ნათლად:
„მამავ ძლიერო, მართალი ხარ, მტრებს რომ დასცინი,
„მშვიდი ღიმილით შესცქერ იმათს ფუჭ ზრახვებს, ფუჭ ჯანყს,
„რომლებიც მხოლოდ ჩემს დიდებას განამტკიცებენ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„ნახონ ცის ძალნი, ახლა ჩემთვის გადმოცემულნი,
„რომ დავამსხვრიო, მოვსრნა მათი თავგასულობა,
„და თვითვე მიხვდნენ, თუ არ ძალმიძს ალაგმვა ურჩთა,
„ანუ ვყოფილვარ ცაში მართლაც უკანასკნელი“.
ამას უბნობდა ძე უფლისა. სატანა ამ დროს
ურიცხვი ლაშქრით შორს გასცლოდა იქაურობას
და მალი ფრთებით მიფრინავდა ჩრდილოეთისკენ.
ლაშქართ სიმრავლე — ვით ვარსკვლავნი ღამის ან ცისკრის,
ანუ ცის ნამი დაფრქვეული ვარდ-ყვავილებზე,
დილის მზის სხივით შეფერილი მარგალიტებად!
მათ ჩაუქროლეს სამეფოებს, სამფლობელოებს,
სად მბრძანებლობენ სერაფიმნი, დიდნი თავადნი.
შენი მამული — იმ სამეფოთ თუ შევადარებთ, —
უფრო მცირეა, ჩემო ადამ, ვიდრე ეს ბაღი
მთელს დედამიწას — ხმელეთს და ზღვებს რომ შევადაროთ,
და დედამიწა ჩვენ ბრტყელ სივრცედ წარმოვიდგინოთ.
ბოლოს შევიდნენ ჩრდილოეთის სამფლობელოში,
მაღალსა მთაზე ჰქონდა ტახტი თვითონ სატანას, —
და აღიმართა თავის ტახტზე, ვით მთა მეორე,
შორით მბრწყინავი და ელვარე, ირგვლივ კი მასთან
აღმართულიყვნენ ალმასისგან გამოკვეთილნი
პირამიდები და კოშკები, ოქროს კლდეები.
ასეთი იყო ეს სასახლე ლიუციფერის.
სასახლე ერქვა — თუკი ვთარგმნით კაცთა ენაზე,
შემდეგ კი მალე დიდი ღმერთის წაბაძულობით,
(აკი ცდილობდა ღმერთს ყველაფრით გასტოლებოდა)
მსგავსად იმ მთისა, სად მესია გამოაცხადეს,
ამ მთას სატანამ შეარქვა მთა საკრებულოსი,
რადგანაც მთელი თავისი ბრბო მან აქ შეკრიბა.
თავი ეჭირა, თითქოს სურდა განსჯა იმისი,
როგორ მოეწყოთ მათ შეხვედრა დიად მეფესთან,
რომელიც უნდა მოსულიყო ამათთან მალე,
ცილისწამება ვერაგული იმან დაჰფარა
მოჩვენებითი სიმართლით, და ასე დაიწყო:
„დიდნო თავადნო, ტახტოსანნო, ხელისუფალნო,
„თუკი დღეიდან ეს დიადი ღირსება თქვენი
„ლიტონ სახელად და სიტყვებად არ გადაიქცა,
„რადგანაც მთელი უფლებები და ძლიერება
„ახალ ბრძანებით გადაეცა სულ სხვას, მეორეს,
„ვინც მიროინცხებულ ხელმწიფედ ჩვენ მოგვევლინა.
„სწორედ მის გამო ვამოვფრინდით ამ შუალამით
„და შევიკრიბეთ დაშურებით, რათა განვსაჯოთ,
„მოვითათბიროთ, როგორ შევხვდეთ, რა საგანგებო

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„პატივისცემით და ღირსებით მივიღოთ იგი;
„ის კი მოდის, რომ ვით მეუფემ, ჩვენგან მიიღოს
„მუხლმოდრეკილი მორჩილება, ჩვენთვის ჯერ უცხო.
„ერთს ვმორჩილებდით და საზარი იყო ქედმოხრა,
„ახლა ორკეცად საზარია — ორს ვმორჩილებდეთ:
„მას მხოლოსა და მის ხატებას, დღეს მიროონცხებულს.
„მაგრამ იქნება უკეთესი რჩევა მივიღოთ,
„რაიც გვასწავლის ეს ულელი ვით გადავაგდოთ?
„თუ ქედის მოხრას და მუხლებზე ხოხვას აირჩევთ?
„არა, თქვენ ამას არ ჩაიდენთ, თუკი გრძნობთ მართლა,
„და თუ თვითონვე კარგად გახსოვთ, რომ ცის მკვიდრნი ხართ,
„დღემდე მონურსა მორჩილებას შეუჩვეველნი,
„რა ვუყოთ, თუკი წარჩინებით ერთნი არა ხართ,
„თავისუფლება ხომ სუყველას ერთნაირად გაქვთ!
„წარჩინება და ღირსებანი მას როდი ებრძვის,
„პირიქით კარგად ეგუება თავისუფლებას.
„მაშ ვინ გაბედავს ან გონებით, ანდა უფლებით
„თავისი თავი მბრძანებელად გამოაცხადოს
„უფლებით თავის ტოლებზე და თანასწორებზე?!
„იქნებ ძალით და ბრწყინვალეებით ვერ გავუტოლდეთ,
„თავისუფლებით კი იმისი თანასწორნი ვართ!
„წეს-კანონები რატომ უნდა იხმაროს ჩვენზე,
„უიმისოდაც ხომ არაფერს ჩვენ არა ვცოდავთ?!
„მით უფრო არ გვსურს მბრძანებელი, სხვის განდიდება,
„ეს შეურაცხყოფს წარჩინებულს წოდებას ჩვენსას —
„ჩვენ გამგებლებად გავჩენილვართ — არა მონებად“.
„ეს თავხედური სიტყვა ყველამ მას მოუსმინა
და არც არავინ შეესიტყვა, მაგრამ უეცრად
ღმერთის ყველაზე გატაცებით თაყვანისმცემი,
და ღვთის კანონთა მორჩილი და შემსრულებელი,
ზეწამოვარდა აბდიილი, გაცეცხლებული:
„ჰოი, სიტყვებო, თავხედურო, ყალბო, ღვთისმგმობო!..
„ვინ მოელოდა ამ სიტყვების მოსმენას ცაში,
„მეტადრე შენგან, უმადურო, ვინაც დიდებით
„შენს თავადებზე უფრო მაღლა აღზევებულხარ?!
„ან როგორ ბედავ, უწმინდურო, ავყიაობით
„ღმერთის ბრძანება გაჰკიცხო, შენ, სამართლიანი,
„რომელიც მანვე გაგვიცხადა და ფიცით შეჰკრა —
„რომ ძე იმისი, ერთადერთი, იმეფებს ჩვენზე,
„რომ ზეცის მკვიდრნი მორჩილებით მუხლს მოუდრეკენ,
„და ამ თაყვანით მის მეფობას აღიარებენ!
„უსამართლობად მიგაჩნია თავისუფლების
„შეზღუდვა რაიმ კანონებით, და გამეფება
„ერთისა — მისივ თანასწორზე, რომლის ხელშიაც
„თავმოყრილია უფლებები დაუძლეველი.
„შენ უნდა მისცე კანონები უფალსა ღმერთსა?
„ან ეპაექრო, თუ რას ნიშნავს თავისუფლება?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„გაეპაექრო მას, ვინც შეგქმნა შენ ასეთგვარი,
„ვინაც ჩამოქნა ზეცის ძალნი, როგორც ენება
„და ყველა მათგანს მიუჩინა თვისი საზღვარი!
„მისი სიკეთე ჩვენ თვითონვე გამოგვიცდია,
„ვიცით, ვით ზრუნავს ჩვენს დიდება-წარმატებაზე,
„ჩვენს დამცირებას ფიქრადაც კი არ გაიკარებს,
„პირიქით, ცდილობს აგვამაღლოს, უფრო ნეტარგვყოს,
„მიტომ ახლოს მდგომ მეფის ხელში მან შეგვაერთა.
„ვთქვათ, გამეფება უფლებებით თანატოლებზე
„მართლაც არ იყოს მართებული. მაგრამ შენ, განა, —
„(თუმც კი დიდი ხარ, დიდებითა აღმატებული), —
„გინდ ანგელოზთა მთელი დასი, ერთად შერწყმული,
„გაუტოლდებით ძეს უფლისას, რომლის ხელითაც
„უფალმა მამამ შექმნა მთელი დიდი სამყარო
„და შენაც შეგქმნა?! ზეცის სულებს, თვისივე შექმნილთ,
„მისცა ბრწყინვალე წოდებანი, განასხივოსნა,
„შეამკო ყველა დიდებისა გვირგვინებითა
„და მიუბოძა სახელები: დიდნი თავადნი,
„ხელისუფალნი, ტახტოსანნი, ციურნი ძალნი.
„მეფობით იგი ამ დიდებას კი არ გვიბნელებს,
„კიდევაც უფრო გვიცისკროვნებს, რადგან თვითონვე
„ჩვენი ბელადი ამავე დროს წევრია ჩვენი.
„მისი კანონი ჩვენც გვეკუთვნის, და თაყვანს თუ ვცემთ,
„ჩვენვე, უკანვე გვიბრუნდება ეს განდიდება.
„კმარა, შესწყვიტე! ბილწ სიტყვებით სხვებს ნუ აცთუნებ,
„და ვიდრე დროა, დაეშურე, მონანიებით
„შენ განრისხებულ უფლისაგან და ღვთის ძისაგან
„გამოითხოვო პატიება და მიტევება“.
„ამას ამბობდა, გაფიცხებით, მგზნებარე სული,
მაგრამ არავინ დაეთანხმა — უდროდ მიიღეს,
ნაჩქარევად და უცნაურად. მაშინ მიუგო
გახარებულმა მოღალატემ უფრო ზვიადად:
„შექმნილნი ვართო, ამბობ შენა? და მერე ვისგან?
„არა უფლისგან, — მამა ღმერთმა ძეს დაავალა?
„უცნაურია, და პირველად მესმის ეს შენგან.
„იქნება გვითხრა, ეს მოძღვრება საიდან მოდის!
„ან ვინ დაესწრო, ვინ იხილა ნეტა ეს შექმნა?
„შენ თვითონ გახსოვს, შემოქმედმა ვით გაგაჩინა?
„ჩვენ კი არ გვახსოვს ის დრო, ვიდრე შევიქნებოდით,
„არც ვიცით, თუკი არსებობდა ვინმე ჩვენამდე,
„ჩვენ თავისთავად ჩავისახეთ და ავღორძინდით,
„საკუთარივე მაცოცხლებელ ძალის შეწევნით,
„როდესაც ბედმა თვის მგზავრობის წრე შემოხაზა
„და მოამწიფა დაბადება ზეფისის ძეთა,
„ზეცის მცხოვრებთა. ძალა ჩვენი ჩვენგანვე მოდის;

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თვითონ მოჰქონდა ეს ამბავი, აქ კი სცოდნიათ.
გახარებული შეერია მეგობარ მებრძოლთ,
მათაც მიიღეს სიხარულის ყიჟინით იგი,
რომ აწ დაცემულ, ამბოხებულ ანგელოზთაგან
ეს ერთი მაინც არ გატყდა და ცაში დაბრუნდა.
მყის წარადგინეს წმინდა მთაზე, ზენარის ტახტთან,
და მოოქროვილ ღრუბლებიდან მოესმა მშვიდად:
„მსახურო ღვთისა, შენი ქცევა ქების ღირსია!
„შენ გაიმარჯვე იმ ბრძოლაში; განდგომილ ბრბოში
„შენ ერთადერთმა დაიცავი ჭეშმარიტება,
„სიტყვით აჯობე მათ საომარ აღჭურვილობას;
„გამოესარჩლე სიმართლეს და მათგან მიიღე
„საერთო კიცხვა — უფრო მძიმე ძალადობაზე.
„გწადდა მართალი ყოფილიყავ მეუფის თვალში,
„თუმც მეგობრებმა შენ გაგკიცხეს და შეგაჩვენეს;
„არაფერია, გამარჯვება მაინც შენ გერგო:
„გაჰყვები ლაშქარს მეგობართა და მტრებთან მიხვალ
„მეტის დიდებით შუქმოსილი, ვიდრე განშორდი.
„დაიმორჩილებთ ძალით იმათ, რომელთ უარჰყვეს
„ცის კანონები, გონივრული, სამართლიანი,
„და მეფედ თვისად არ მი ღეს დიდი მესია,
„რომელიც სრულის უფლებებით ხელმწიფებს ახლა.
„წადი მიქაელ, წინამძღოლო ჩვენის მხედრობის,
„და შენც, გაბრიელ, ძლიერებით სახელგანთქმულო.
„წარმართეთ ბრძოლად ძენი ჩემნი, დაუძლეველნი,
„წმიდა ლაშქარის ათასები, მილიონები,
„აღჭურვილები, საბრძოლველად გამზადებულნი,
„და რიცხვით ტოლნი იმ განდგომილ უღვთო ბრბოისა'
„მხედრობა მტრისა მოსპეთ ცეცხლით, შეუბრალებლად,
„განდევნეთ ღმერთის სანეტარო სასუფევლიდან,
„ცის ბჭეებამდე დაირეკეთ და ქვეჩასტყორცნეთ
„სასჯელის ადგილს, ტარტარუსის შავბნელ უფსკრულში,
„რომელსაც უკვე გაუხსნია ცეცხლის ქაოსი
„და ელოდება განდგომილებს, რომ შთანთქას სულმთლად“.
„ასე უბნობდა დიდი ღმერთი; ამასობაში
შემოეხვია მთას ღრუბლები და ჩააბნელა,
კვამლი ბოლქვებად მიიწევდა და ცეცხლის ალი
ამოდიოდა, ვით ნიშანი განრისხებისა.
არანაკლები მრისხანებით გაიზრიალა
ზევიდან ხმებმა ზეციური საყვირებისა;
მოწოდებაზე ცის ძალები მწკრივში მოეწყვნენ
და გაემართა უძლეველი მხედრობა მყისვე.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„მიდის ლაშქარი, ნათლმოსილი, უხმოდ და წყნარად,
ტკბილი მუსიკით, ტკბილ ჰანგებით შთაგონებული,
და აღგზნებული დიდ, საგმირო საქმეებისთვის;
წინ მიუძღვიან ბელადები, უფლისვე დარნი,
მიდიან ღმერთის და მესიას დასაცავადა.
იმათი მწყობრი არაფერს არ დაურღვევია:
არცა მთას, არც ტყეს, არც მდინარეს, არცა წავარნებს,
ისინი მაღლა მიდიოდნენ და მათს მსვლელობას
წყნარი ნიავი ხელს უწყობდა, ძალას მატებდა.
როგორაც ერთხელ ზენაარის მოწოდებაზე,
განლაგებულნი ერთ მწკრივადა, ფრთების ტლაშუნით
შენთან მოფრინდა ყველა ჯიში ფრინველებისა,
რათა მიგეცა ყველასათვის თვისი სახელი, —
ასე ვიდოდა ეს ლაშქარიც ცის გაშლილ გზებზე;
გადაიარეს ბევრი მხარე, ფართო და ვრცელი,
ათჯერაც ვრცელი, ათჯერ დიდი დედამიწაზე.
ბოლოს გამოჩნდა ჩრდილოეთით, შორს, ჰორიზონტზე
ცეცხლის ხაზივით გაჭიმული კიდით-კიდემდე
მხედრობა მტრისა; მიეახლენ და დაინახეს
ზეაღმართული, ჯაგარივით ყალყზე შემდგარი
ურიცხვი შუბი, მუზარადი, ფარი ბევრგვარი,
მეტად თავხედურ ნიშნებითა მიმოხატული;
სატანას რაზმი ისწრაფოდა გამძვინვარებით,
რათა იმ დღესვე, ან ბრძოლებით, ან ცბიერებით
ხელში ჩაეგდოთ მთა უფლისა და ღმერთის ტახტზე
წამოეჭიმათ თავგასული მოშურნე ღვთისა.
მაგრამ ეს ზრახვა გაუცუდდათ დასაწყისშივე!
„ჯერ უცნაურად მოგვეჩვენა ანგელოზთ ომი
და შეტაკება ურთიერთთან გამძვინვარებით,
რადგანაც ცაში შევხვედრივართ ერთმანეთს ხშირად,
ნეტარების და სიხარულის ლხინში ვყოფილვართ,
და ვით შეჰფერის დიდი მამის ღირსეულ შვილებს,
საგალობელი გვიმღერია უფლისთვის ერთად...
„მაგრამ ჰა, უცებ საომარი ყიჟინა დასცეს,
და ღრიანცელმა მყის დათრგუნა მშვიდი ფიქრები.
ლაშქრის შუაში, ზენარივით ამაღლებული,
და ღვთაებრივის სიდიადით უფლის მბაძავი,
წამომჯდარიყო მოლალატე ალმოხვეული,
ოქროს ფარებით და სულებით გარემოცული.
უცებ ჩამოხდა დიდებული ტახტიდან იგი,
რადგან რაზმები მიეახლენ ერთმანეთს უკვე,
შუაში დარჩა ვიწრო ზოლი, საშიში ზოლი...
იდგა პირისპირ ორი რაზმი, შიშისმომგვრელი,
გადაჭიმული თვალუწვდენელ, ფართო სივრცეზე.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სატანამ ლაშქარს, საშინელი შეჭიდების წინ,
ჩამოუარა მედიდურად და ქედმაღლურად, —
აღჭურვილ იყო ალმასის და ოქროს აბჯარით.
უძლიერესთა შორის მდგომმა, დიდ საქმეთათვის
მოწოდებულმა აბდიილმა ვერ აიტანა
თავგასულობა სატანისა და უშიშარმა
ასე დაიწყო თავის გულში მსჯელობა იმან:
„ო, ზეცავ, მაინც შერჩენია ხატება ღვთისა,
„თუმცა სიმართლე-ერთგულება სულ აღარ შერჩა.
„ნუთუ ძალას და მოხერხებას აღარ დაჰკარგავს,
„ვინაც დაჰკარგა თვისი მადლი და სათნოება?
„ანუ უმწეო — გამოიჩენს გულოვანებას?
„ისეთი მხნე და უძლეველი ჩანს გარეგნულად!..
„ყოვლადძლიერის შეწევნითა გულმოცემული,
„მაინც გამოვცდი იმის ძალას; ხომ გამოვცადე
„გონება მისი — და აღმოჩნდა ყალბი და ფუჭი;
„ჭეშმარიტება ვინც დაიცვა და გაიმარჯვა,
„იგი ღირსია ბრძოლაშიაც გამარჯვებისა,
„თუმცა ეს ბრძოლა უმსგავსი და ცხოველურია,
„რადგანაც უნდა შეეჭიდოს გონება — ძალას.
„მაინც ის არის მართებული — გონებამ სძლიოს“.
„წინ გამოვიდა ამ ფიქრებით მოცული სული,
თანამებრძოლებს გამოეყო და შუა გზაზე
თავის მამაც მტერს შეეფეთა. ვერაგი მტერი
მყისვე გაცეცხლდა. აბდიილი ბრძოლაში იწვევს:
„გზები შეგიკრეს, ყოყლოჩინავ? აკი ფიქრობდი
„და ოცნებობდი მიგეღწია უფლის ტახტისთვის,
„რომელიც სულმთლად დაუცველი გეგულებოდა;
„გეგონა შენი ძალისა და სიტყვების შიშით
„მიატოვებდნენ მას ყველანი. ო, უგუნურო!
„არც გიფიქრია, რომ ფუჭია ღმერთთან ჭიდილი;
„მას ძალა შესწევს პაწაწინა საგნებისაგან,
„შენი სიბრიყვის დასათრგუნად, დაუსრულებლად
„შექმნას ლაშქარი ძლიერი და ახალ-ახალი!
„ის ყოვლისშემძლე ხელით თვისით მოგსპობს, გაგაქრობს
„და შენი ჯარით ქვეჩაგტყორცნის წყვდიად უფსკრულში.
„ნუთუ ვერ ხედავ, გადაგიდგნენ შენი მხედრებიც:
„ზოგს ერთგულება აღმოაჩნდა, ღმერთსა სცემს თაყვანს,
„თუმცა ეს მაშინ ვერ შენიშნე, როცა მთელს ჯარში
„მე ერთსა მთვლიდი — ცთომილადა და განდგომილად.
„ხომ კარგად ხედავ, რაოდენი მომხრე მყოლია?!
„გონს მოდი, თუმც კი გვიანაა! გონს მოდი, მიხვდი —
„შენი ლაშქარი დასაღუპად განწირულია“.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„სატანამ ცერად გადახედა და ზიზღით უთხრა:
„ვაი, ბედშავო! კარგ დროს შემხვდი შურისსაგებად,
„ამბოხო სულო, შენ გეძებდი უპირველესად,
„რათა მომეზღა საკადრისი სამაგიერო,
„შენზე მეცადა ეს მარჯვენა, ბრძოლად რომ იწვევ;
„შენ ითავხედე — წინალუდექ ღმერთების კრებულს,
„რომელთა მთელი მესამედი შეკრებილ იყო,
„რათა ღვთიური უფლებები დაეკანონათ.
„ვიდრე ღვთაებრივ ძლიერებას გრძნობენ ისინი,
„არ მიიღებენ ყოვლისშემძლე ღმერთად არავის.
„კარგად მოიქეც, რომ სახელის მოსახვეჭელად
„სხვებს დაასწარ და გამოხვედი — მეც ისე გაგბდღვნი,
„რომ სხვებიც კარგად ჩაუფიქრდნენ შენს მოქმედებას.
„ჯერ კი ვაყოვნებ — უპასუხოდ არ მსურს დაგტოვო,
„რომ აღარ მოჰყვე შემდეგ ქადილს — დავამუნჯეო.
„მუდამ მეგონა, ზეცის სულებს თავისუფლება
„მიაჩნდათ ისე სანუკვარად, როგორც თვით ზეცა;
„ახლა ვნახე, რომ, სიზარმაცით, უმრავლესობა
„ირჩევს მონობას და ლხინის დროს მშვიდად გალობას;
„აი სწორედ ეს მგალობლები შენ აამხედრე.
„უნდა შეებას აწ მონობას თავისუფლება,
„დღესვე ვიხილავთ ვინ დასძლევს და ვინ გაიმარჯვებს!“.
„განრისხებულმა აბდიილმა მოკლედ მოუჭრა:
„კვლავაცა სცოდავ, განდგომილო, — და არც ექნება
„შენს ცოდვებს ბოლო, რაკი ასცდა სიმართლის გზასა.
„ან სადაური მონობაა, მას ვმსახურებდეთ,
„ვის სამსახურიც ღმერთმა ბრძანა, ანუ ბუნებამ;
„ჩვენ ერთნაირად მოგვიწოდებს ბუნებაც, ღმერთიც,
„მას ვმსახურებდეთ, ვინც ყველაზე ღირსეულია
„და ქვეშევრდომებს ყველაფერით აღემატება.
„მონა ისაა, ვინც უგუნურს ემსახურება,
„ან ღირსეულის წინააღმდეგ აღზევებულსა;
„ვინც შენ გმსახურებს — აი მართლაც ისაა მონა,
„შენ თვითონვე ხარ საკუთარი ვნებების მონა;
„თავისუფალი არა ხარ შენ, თუმცა თავხედობ
„და ღვთის მსახურებს უხამსად და უმგვანად ლანძღავ.
„წადი, იმეფე ჯოჯოხეთში, იქ იპარპაშე;
„მე კი დამეხსენ — ვემსახურო ზეცაში ღმერთსა,
„ვიყო ნეტარი, სამუდამოდ დავემორჩილო
„იმის ბრძანებებს, ვინც ყველაზე ღირსეულია.
„ტახტს ნუ მოელი ჯოჯოხეთში, ბორკილს ელოდე.
„ახლა მიიღე მაგ ბილწ თავზე სალამი ჩემგან“.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„თქვა და მსუბუქად ზეიმმართა მახვილი თვისი,
მერე დაუშვა გრიგალივით მის ზვიად თავზე,
ვერც თვალით, ვერცა მოძრაობით, ვერც სწრაფი ფიქრით;
და, მითუმეტეს, ვერც თავისი ფარით, სატანამ
ვერ შესძლო დარტყმა აეცდინა. ათი ნაბიჯით
მან უკან-უკან დაიხია, მერე დაეშვა,
მოხარა მუხლი და დაეყრდნო ვეება შუბზე.
სწორედ ასევე ეშვება მთა ნაძვნარიანი,
ჩამოგლეჯილი ქარიშხლის, ან ნიაღვრის ძალით.
უცებ გაშტერდნენ და გაცოფდნენ ამბოხებულნი,
რა დაინახეს ასეთ დღეში ყველას მძლეველი,
ხოლო ჩვენებმა სიხარულის ყიჟინა დასცეს,
რადგან ენიშნათ გამარჯვება. ომი სწყუროდათ.
მისცა ნიშანი მიქაელმა, დაეკრათ ბუკი,
და მთელს ზეცაში დაიგრგვინა ომის ნაღარამ.
ერთგულთა დასთა მყის ოსანა შესძახეს უფალს,
არც მტრის ჯარები დარჩენილან გახევებულნი,
იმათაც მჭიდროდ შეჰკრეს თვისი პირქუში რაზმი
და გამძვინვარდა ცაში ომის მრისხანე ქარი,
არ განეცადა ჯერ ასეთი ხმაური ზეცას:
აბჯართა მსხვრევა, მახვილების ძგერება ზუჩზე
და გაცოფებულ ეტლებისა ქროლვა ველური
შემაძრწუნებელ, შიშისმომგვრელ ზრიალს იწვევდა.
ელვის ისრები მიმოჰქროდნენ სისინით ცაში
და ცეცხლის თაღად ედგმებოდნენ მებრძოლებს თავზე.
ამგვარად, ცეცხლის სახურავქვეშ ორი მხედრობა
ეკვეთა ერთურთს შემაძრწენი გაცოფებითა,
ცა შეზანზარდა, — მაშინ მიწაც რომ ყოფილიყო,
ზრიალი ესე შეარყევდა დედამიწასაც.
ან კი რა არის საკვირველი, როცა ერთმანეთს
მილიონობით ანგელოზნი ეჭიდებიან,
და თვით უმცირეს ანგელოზსაც როცა მორჩილებს
სტიქიის ძალნი და ყოველი ძალა ქვეყნისა.
ასეთი ბრძოლა დაანგრევდა ნეტარ სამკვიდროს,
და სულმთლად თუ არ გააქრობდა — მოსრნიდა მაინც,
მაგრამ მეუფემ, ყოვლისშემძლემ, მზერა თავისი
მიაპყრო ქვემოთ მებრძოლ ლაშქრებს, აწონდაწონა:
რაზმი ყოველი აურაცხელ ლაშქარს უდრიდა,
და თვითეული მეომარი ერთ მთლიან რაზმსა.
ყველა რაზმს ჰყავდა წინამძღოლი, მაგრამ მებრძოლნი
თვითონვე ჰგვანდნენ წინამძღოლებს, თავათ იცოდნენ
დრო მიხდომისა, შეჩერების, უკან დახევის,
ანუ სით უნდა წარემართათ ომის ქარცეცხლი,
როდის შეეკრათ, გაეშალათ მწყობრი თავისი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უკან დახევა და გაქცევა არც უფიქრიათ,
არცა არავის შესტყობია შიში, სიმხდალე;
ყველა თავის მკლავს ეყრდნობოდა, თითქოსდა ბედი
გამარჯვებისა მხოლოდ მისით გადაწყდებოდა.
სამარადისო მამაცობის სახელს იხვეჭდნენ,
განუსაზღვრელი იყო რიცხვი გმირულ საქმეთა.
ეს ომი მეტად დიდი იყო და მრავალგვარი:
ხან ფეხზე მდგარნი ერთმანეთსა ეკვეთებოდნენ,
ხანაც ჰაერში ზეაჭრილნი დაგრიალებდნენ,
და მაშინ ზეცას მწველი ცეცხლი ეკიდებოდა.
დიდხანს თანაბრად ქანაობდა ომის სასწორი,
ბოლოს სატანამ, — ის გმირულად, მედგრად იბრძოდა,
მაინც ვერ შეხვდა ღირსეული მეტოქე იმ დღეს —
თვალი ჰკრა ერთგან ერთ სერაფიმს, დარტყმებით ნაგვემს,
მყის იქით ეცა და ეხილა, თვით მიქაელი
ბასრი მახვილით როგორ ჩეხდა მებრძოლთა დასებს:
ორივე ხელით აღემართა ვეება ხმალი
იქნევდა მარჯვედ აქეთ-იქით და ყოველ დარტყმით
სპობდა ყველაფერს ახლომახლო, ანადგურებდა.
ამ საშინელი დარტყმებისა ასაცილებლად,
სატანამ უცებ მოიმარჯვა ვეება ფარი,
კლდესავით მკვრივი ადამატით ათკეც ნაჭედი.
რა მიეახლა, მყის დიადმა არქანგელოზმა
თავი ანება დარტყმებსა და ხმლისა ძგერებას,
გულს მოეფონა, რომ ძმათა ომს, ცის მკვიდრთა შორის,
მოეღებოდა ამით ბოლო, და მთავარს მტერსა
ტყვედ წაიყვანდა, წაათრევდა ბორკილდადებულს.
მან ანთებული სახე თვისი მტერს შეანათა
შეუბღვირა და განრისხებით მიმართა ასე:
„შენა ხარ წყარო ბოროტების, რომელსაც ცაში
„შენს განდგომამდე არვინ ცნობდა; ახლა ხომ ხედავ,
„რა უხვადა გვაქვს! შენგანა გვჭირს ეს ბილწი მტრობა,
„ბილწი, საზარი ყველასათვის, მაგრამ მით უფრო
„მძიმე შენთვის და ყველა შენი მიმდევარისთვის.
„რად შეაძრწუნე სანეტარო სასუფეველი,
„რად მოგვივლინე საშინელი უბედურება,
„ყველასთვის უცხო, შენს ვერაგულ ამბოხებამდე?!
„როგორ გაჟღინთე ბოროტებით ურიცხვნი სულნი,
„დღემდე ერთგულნი და სპეტაკნი — აწ განდგომილნი?!
„ტყუილად ფიქრობ შეაშფოთო წმიდად შთენილნი;
„ზეცის ბჭეთაგან გავარდები, განიდევნები, —
„ცა — ნეტარების სამყოფელი, როდი მოითმენს
„შემაძრწუნებელ ომებსა და ძალმომრეობას!
„წა... ბოროტებაც გაიყოლე, შენი პირმშოა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და დაემუქრა, გაგათრევო ეტლის ბორბლებით,
არც მოერიდა წმიდა მამის ლანძღვა-გინებას...
დასცა მოლოქი, დაუმსხვრია მას საჭურველი,
და გააქცია ტკივილებით აბღავლებული.
ორივე ფრთიდან ურიელი და რაფაელი
გამოედევნენ იმ თავგასულ ამბოხებულებს,
რომელნიც ჯაჭვის პერანგებით, ახოვანებით,
იმგვარად იყვნენ გაბღენძილნი, გულმოცემულნი,
რომ თვით დიდებულ უფლის ტოლად მოჰქონდათ თავი, —
არც იკადრებდნენ, უფრო მცირედ ეხსენებინათ, —
გასტეხეს მაინც, გააქციეს, ჭკუა ასწავლეს,
დასჭრეს ორივე — ადრამელუქს და ასმადაის...
არც აბდიილი მდგარა უქმად, უღვთო ბრბო მანაც
არ შეიბრალა და ორკეცი ძალით და დარტყმით
მოსპო, დათუთქა არიელი და არიოქი,
გააცამტვერა რამიილი, ცეცხლი შეუნთო...
„კიდევ შემეძლო ათასები ჩამომეთვალა
და მათ სახელებს სამუდამოდ შეინახავდით,
მაგრამ რჩეულნი ანგელოზნი როდი ცდილობენ
მოკვდავთა შორის დაიმკვიდრონ ქება-დიდება, —
ისიც ეყოფათ, რომ ზეცაში მათ ადიდებენ.
თვით მტრებსაც, ძლიერთ და ბრძოლაში შემმართებელთა,
შეეძლოთ მათებრ ყოფილიყვნენ დიდებასრულნი,
მაგრამ სასჯელი დაუნიშნეს საბედისწერო,
და უსახელოდ ამოშალეს ზეცის წიგნიდან.
ახია მათზე, დე მიეცნენ ბნელ დავიწყებას,
რადგან თუ ძალას, სიმართლე და ჭეშმარიტება
არ ახლავს თანა — ის არ არის მაშინ საქები,
გასაკიცხია, დასაგმობი და შესარცხვენი!
იგი დიდება აღარ არის — ცრუ დიდებაა,
მაძიებლობა დიდებისა, თავლაფისდასხმა.
და ამიტომაც — სამუდამო დუმილი მათზე!..
„მტერთაგან ბევრი ძალოვანი დაეცა უკვე,
თავგზა აებნათ, აირია ველი ბრძოლისა,
მიწა საჭურვლის ნამსხვრევებით მოფენილია,
ბრძოლის ეტლები დამსხვრეულან, მიმოფანტულან,
მეეტლეებიც ჩალეწილან თავის ეტლებთან,
და იქვე ყრია გაქაფული ცეცხლის მერნები.
ვინც ფეხზე დარჩა — უკან იხევს გაწამებული,
თავს ძლივსღა იცავს გატეხილი ლაშქარი მტრისა;
პირველად იგრძნეს იმათ შიში და ტკივილები,
მირბიან თავგზააბნეულნი, თავლაფდასხმულნი.
ურჩობის ცოდვამ მოუვლინათ ეს შავბნელი დღე,
თორემ ტკივილებს, შიშს, გაქცევას — არც კი იცნობდნენ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„წმიდა სულების ურღვეველი ლაშქარი კვლავაც
მტკიცედ მიიწევს, უვნებელი, გაუტეხავი.
ასე მაღალი გამარჯვება საშიშარ მტერზე
მათ მოუვლინა ერთგულებამ, უცოდველობამ;
იბრძოდნენ მედგრად, არც კი გრძნობდნენ დაქანცულობას,
არ აწუხებდათ არც ჭრილობის მწვავე ტკივილი,
თუმცა დროდადრო მტრის დარტყმები მათაც ხვდებოდათ.
„ჩამოწვა ღამე, ზეცას ბინდი ჩამოაფარა,
და მოუტანა სასიამო ზავი მებრძოლებს,
ომის საზარი ზრიალი და ალიაქოთი
შესცვალა მშვიდმა მყუდროებამ. ბნელს შეეფარა
ორივ მხედრობა — გამარჯვებულ-დამარცხებული.
მიქაელმა და იმისმა მძლე ანგელოზებმა
დასცეს ბანაკი ბრძოლის ველზე. ბანაკის ირგვლივ
ჩამოამწკრივეს გუშაგებად ანგელოზები.
ხოლო სატანა და იმისი თანამგმობარნი
გაუჩინარდნენ მოშორებით ღამის წყვდიადში,
არც უფიქრიათ მოსვენება. სატანამ ფიცხლავ
ბჭობა გამართა, დაიბარა დიდნი თავადნი
და სიბნელეში შეუპოვრად მიმართა ასე:
„დღეს განსაცდელი გამოსცადეთ, ძვირფასნო ჩემნო,
„და ბრძოლის ველზე დაიმტკიცეთ უძლეველობა.
„ღირსნი ყოფილხართ არა მარტო თავისუფლების, —
„მეტად მცირეა ეს მიზანი, — ღირსნი ხართ თურმე
„ხელისუფლების, პატივისა და დიდებისა!
„ამ მერყევ ომში თქვენ მთელი დღე მედგრად იდექით,
„ასევე მედგრად შეგიძლიათ რომ ხვალაც დადგეთ!
„უფალმა ღმერთმა წარმოგზავნა ჩვენზე სალაშქროდ
„უძლიერესნი ძალნი ცისა, მის ახლოს მყოფნი;
„ეგონა ამით გაგვტეხდა და დაგვიმონებდა,
„მაგრამ არ გავტყდით. როგორც ხედავთ, ამიერიდან
„ეჭვის შეტანა ძალგვიძს იმის ძლიერებაში,
„თუმცა აქამდე ყოვლის მცოდნედ მიგვაჩნდა ყველას.
„მართალი არის, უფრო ცუდად აღჭურვილებმა
„ჩვენ განვიცადეთ ტკივილი და მარცხი მცირედი,
„აქამდის უცხო, მაგრამ ერთხელ რაკი ვიგემეთ
„ისევე ჩქარა შევისწავლეთ მის შეზიზღებაც,
„რადგანაც მივხვდით, რომ ციური არსება ჩვენი
„უვნებელია, სასიკვდილოდ არ დაიჭრება,
„და თუმცა ძალუძთ მოგვაყენონ მწარე ჭრილობა,
„საკუთარივე ენერგიით მყის ვიკურნებით.
„მაშ, მოვუნახოთ წამალი ამ ბოროტებასაც.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„იქნებ შევძლოთ და მომავალი შეჭიდებისთვის
„უფრორე მარჯვე საჭურველი გამოვიყენოთ,
„რაც ჩვენ მოგვივლენს გამარჯვებას, მტერს — დამარცხებას;
„ან მოვსპოთ ყოვლი განსხვავება იარაღისა,
„ამით გვჯობნიან ჩვენ ისინი, სხვა მხრივ ტოლნი ვართ!..
„თუ სხვა დაფარულ მიზეზებით გვაჯობეს იმათ,
„რაკი გონება, აზროვნება კვლავაც საღი გვაქვს,
„განვსაჯოთ, ვძებნოთ, გავარკვიოთ ეს მიზეზებიც“.
„დაჯდა სატანა და მეორე — წამოდგა ნისროქ,
სატანას შემდეგ, განდგომილთგან, უპირველესი,
გამოქცეული ბრძოლიდანა, განაწამები,
მთლად დალეწილი და საჭურველშემოცვეთილი.
ის მოიღრუბლა და პასუხად ეს მოახსენა:
„ჰოი, დამხსნელო სამარცხვინო მონობისაგან,
„მომნიჭებელო სანეტარო თავისუფლების,
„რითაც გავხდებით ღმერთის დარნი კვლავინდებურად;
„თვითონ ღმერთსაც კი ასე ბრძოლა გაუძნელდება —
„როდესაც მტერი შენზე უკეთ აღჭურვილია,
„შენ გტკივა, ის კი არც იჭრება, არც სტკივა რამე!..
„ასე, ერთიან მოვისპობით, გავნადგურდებით,
„რაღას გვიშველის ძლიერება და შემართება,
„რაღას გვიშველის გულოვნება, თუკი ტკივილი
„შეჰკრავს, შებორკავს უძლიერეს მებრძოლის მკლავსაც?!
„დავთმოთ ყოველი ნეტარება — ეს ადვილია
„და არ მოვყვებით მასზე წუწუნს. მაგრამ ტკივილი —
„ეს არის სრული და უსაზღვრო უბედურება,
„ყოველ ბოროტზე უარესი ბოროტებაა,
„მას ვერ გაუძლებს მოთმინება ვერავითარი...
„ვინც მოიგონებს იმგვარ ხერხსა, რითაც მტერს, ძლიერს,
„ჩვენგან უვნებელს, მიუკარებს, შევუტევთ, მოვსრნით,
„ან ისეთს რასმე, რითაც მათებრ დავიცავთ თავსა,
„იგი ღირსია გაუტოლდეს დიდებით ჩვენს მხსნელს“.
„მშვიდად შეხედა მას სატანამ და უპასუხა:
„მიგნებულია ის, რასაც შენ გამარჯვებისთვის
„აკუთვნებ მთავარ მნიშვნელობას, მე მივაგენი.
„ვინ ჩვენთაგანი, — ვინც კი უჭვრეტს ამ ბრწყინავ ეთერს,
„ფართოდ გადაშლილს ხმელეთს ცისას, ელვარე ველებს,
„დამშვენებულებს სურნელოვან ვარდ-ყვავილებით,
„მცენარეებით, ხილით, ოქროთ, ძვირფასი ქვებით...
„ისე ზერელე ვინ იქნება, იხილოს ყველა,
„და არ იფიქროს, თუ საიდან აღმოცენდება,
„იმ ბნელ წიაღში რა არის, რა ნივთიერება,
„თუმც ბნელი, მაგრამ სასიცოცხლო ძალის შემცველი,
„ქაფი თუხთუხა, ცეცხლოვანი, რომელიც შემდეგ
„ციური სხივის შეხებაზე აღმოაცენებს

www.PDF.ChiaturaINFO.GE



www.PDF.ChiaturaINFO.GE

„ამ სილამაზეს, გადაუშლის ვრცელსა სინათლეს!..
„უნდა წარვსტაცოთ წიაღს ჩვენ ეს ნივთიერება,
„ქვესკნელის ცეცხლით დატვირთული და ჩასახული,
„ჩავასხათ იგი გრძელსა და მრგვალ დიდ მანქანაში,
„დავტენოთ მჭიდროდ, მოვუკიდოთ ერთ მხარეს ცეცხლი,
„რაიც აანთებს, გაშლის ფართოდ და გააჩაღებს...
„მეხის გრუხუნით გავარდება შორიდან იგი,
„დაგლეჯს ყველაფერს, რაც შეხვდება, მტრების ბანაკში
„იმდენს ვაის და ბოროტებას დაატრიალებს,
„რომ შიშის ძრწოლვით გაიფიქრებს ლაშქარი მტრისა:
„მეხთმტყორცნელისთვის წარგვეტაცოს ჩვენ, თითქოს, ღმერთის
„ერთადერთი და საშინელი მეხისსატყორცნი!
„არც არის ბევრი სამუშაო: გათენებამდე
„დიდი ხნით ადრე შევისრულებთ გულის საწადელს.
„ახლა გამხნევდით, ნულარ შიშობთ, ჭკუა და ძალა
„შევამჭიდროვოთ, თავს ნუ მისცემთ სასოწარკვეთას“.
თქვა და მაშინვე მოთენთილი ბრბო გაამხნევა,
გაუცხოველა ჩაფერფლილი იმედი ყველას.
ეს აზრი ერთხმად მოიწონეს: ყველას უკვირდა—
როგორ მოხდა, რომ თვითონვე არ მომაფიქრდაო,
ისე იოლი მოეჩვენათ უკვე ნაპოვნი,
თუმცა კი ადრე მიიჩნევდნენ შეუძლებელად.
„ვინ იცის, იქნებ თქვენს მოდგმასაც ერთხელ, როდესმე,
ფართოდ მოედვას ბოროტება და შავბედ დღეზე
თავში შეუჯდეს ვინმეს ფიქრი ეშმაკეული,
გამოიგონოს თქვენდა ჭირად, ცოდვების გამო,
ამისმაგვარი საომარი რამ იარაღი—
და მოსრნას ხალხი, სასაკლაოდ აქციოს მიწა!
„კრებიდან მყისვე გაეშურნენ სამუშაოზე,
აურაცხელი გუნდი ფიცხლავ შეუდგა საქმეს,
ზეცის ვრცეული ნიადაგი გადააბრუნეს
და დაინახეს ბუნებისა ყოვლი სიმდიდრე:
ერთად აზილეს გოგირდის და გვარჯილას ქაფი,
გაასუფთავეს, გადახარშეს მათ სიფაქიზით,
შავ-შავ მარცვლებად აქციეს და ერთად დაყარეს;
სხვებმა გათხარეს ნიადაგის ფარული კვლები,
(დედამიწასაც აქვს იმისი მსგავსი მადნები)
ამოარჩიეს რაღაც ქვები, მინერალები,
რომ ჩამოესხათ მანქანა და მრგვალი ბურთები,
რაც იმ მომსპობი გასროლისთვის გამოდგებოდა;
ზოგმაც ლერწმები გამოძებნა ასაფეთქებლად,
რომელიც ერთის მიკარებით ცეცხლს აღაგზნებდა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გათენებამდე, ბნელ ღამეში, მორჩნენ ყველაფერს,
ჩუმად, ყველასგან უხილველად და საიდუმლოდ.

„აჰა, გამოჩნდა ტურფა დილაც აღმოსავლეთით
და გაიღვიძეს გამარჯვებულ ანგელოზებმა,
დაჰკრეს ნალარა ბრძოლის ნიშნად, მთელი ლაშქარი
ოქროს ბრჭყვიალა საჭურველით ბრძოლად გავიდა.
ზოგი მთებზე დგას და იქიდან ზვერავს მიდამოს,
გაუგზავნიათ ოთხივე მხრით მათ მზვერავები,
რათა იხილონ გაქცეული მტრების ბუნაგი,
კარგად დარწმუნდნენ, სად არიან, კვლავ თუ სურთ ბრძოლა,
უკვე დაიძრნენ თუ ადგილზე დგანან უძრავად...
მალე იხილეს — გაეშალათ დროშები ფართოდ,
ნელის ნაბიჯით, თუმცა მტკიცედ, მოაბიჯებდნენ...
ფიცხლავ მობრუნდა იქ ფრთამალი სული ზოფიელ,
და გადმოსძახა მაღალის ხმით თანამებრძოლებს:
„იარაღს ხელი! ჩქარა ომში, თანამებრძოლნო!
„მტერი ახლოა, თუმც გვეგონა ჩვენ გაქცეული,
„ალბათ დაგვინდეს, რომ დღეს ბევრი არ გვადევნინონ,
„აღარ გარბიან, ფიქრი ნუ გაქვთ, მჭიდრო რაზმებით
„სქელ ლრუბელივით მოიწევენ და სახეებზე
„მათ აღბეჭდიათ სიმტკიცე და ვაგლახი რწმენა.
„მჭიდროდ მოირგეთ ეს ალმასის აბჯარი ყველამ,
„თავზე ზუჩები! ფარსაც ხელი მაგრად ჩაბღუჯეთ,
„დღეს, როგორც ვატყობ, წვრილი წვიმა კი არ წამოვა,
„არამედ ისართ ქარიშხალი, ცეცხლმოდებული!“.
„მან გააფრთხილა, და ყველანი მკაცრი წესრიგით,
მოეწყვნენ მწყობრში, გაეშურნენ მტრის დასახვედრად.
და ჰა, იხილეს, არც ისე შორს, მძიმე ნაბიჯით,
დიდი ლაშქარი მტრისა მათკენ მიაბიჯებდა.
ეშმაკეული იარაღი მტრის მებრძოლ რაზმებს
შუაში ჰქონდათ მოქცეული. ორივ ლაშქარი
შედგა უეცრად. მყის მწყობრიდან წინ გამოვიდა
თვითონ სატანა. რაზმს მიმართა ჩვენს გასაგონად:
„მეწინავენო, გაიშალეთ მარჯვნივ და მარცხნივ,
„რათა იხილონ ჩვენმა მტრებმა, როგორ გვწადიან
„ჩვენ მშვიდობა და შეთანხმება! გაშლილი მკერდით
„მზად ვართ მივიღოთ, თუკი მოსწონთ მათ ჩვენი აზრი,
„და თუკი ზურგს არ შეგვაქცევენ, თუმც ამას ვეჭვობ.
„ო, დამიმოწმე ეს, ზეცაო, ყველას სჯეროდეს,
„რომ პატიოსნად შევასრულებთ ჩვენს ამოცანას.
„მაშ, შეასრულეთ ყველამ თქვენი მოვალეობა,
„რასაც ვთავაზობთ, მოახსენეთ თქვენ იგი მოკლედ,
„ოღონდ ხმამაღლა, რომ გარკვევით გაიგოს ყველამ“.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„ასე აგვიგდო ამ გადაკრულ სიტყვებით მტერმა.
შუა გაიყო მყის ლაშქარი — მარჯვნით და მარცხნით,
და დავინახეთ უცებ რაღაც უცხო, ახალი,
სამმაგი წყება ბოძებისა, ეტლში მდებარე, —
სწორედ ბოძებად მოგვეჩვენა, მილებსაც ჰგავდა,
მუხის და ნაძვის ხეებიდან გამოჩორკნილებს;
სპილენძისა და ქვა-რკინისგან იყო ნაგები.
ისე საშინლად, ისე ფართოდ დაეღოთ ხახა,
ჩვენი ლაშქრისკენ მიმართული, რომ სავალალო
ზავს და მშვიდობას გვიქადიდა. თვითეულ შტამბზე
ჩამომჯდარიყო სერაფიმი, იქითა მხარეს,
და ხელში ეპყრა ლერწმის ღერო, ცეცხლმოდებული;
ჩვენ კი ვიდექით, ვყოყმანობდით, შეცბუნებულნი...
მაგრამ მცირე ხანს! რადგან მალე ლერწმები ესე
დაუშვეს იმათ და შეახეს შტამბების ბოლოს.
პირდაღებული მილებიდან უცებ იელვა
ცეცხლმა მგზნებარემ, იმას მოჰყვა ბნელი ბურუსი
და მთელი ზეცა ჩააბნელა, იჭექა ისე,
რომ გააყრუა ამ ზრიალით ჰაერი ირგვლივ;
გადმოანთხია შიგნეული მერე უეცრად
და ცეცხლის სეტყვად დაგვაყარა რკინის ბურთები,
მეხის ისრები გადაწნული; ვისაც კი მოხვდა,
არ გააჩერა იგი ფეხზე, მყისვე მოსცელა,
თუმცაღა ადრე სალ კლდესავით იდგა ყოველი;
დააგო სულნი ათასობით, არქანგელოზნიც...
აღჭურვილობა ხელს გვიშლიდა, რადგან უმისოდ
სულებს შეეძლოთ უფრო მარდად გასცლოდნენ დარტყმებს,
შემჭიდროებით, ანდა მარდი გადანაცვლებით.
ახლა კი მძიმე დღე დაადგათ—განადგურება!
ამაო იყო მათი მჭიდრო მწყობრების გაშლაც.
რა უნდა ექნათ? რომ პირდაპირ მიხეთქებოდნენ,
უკუაგდებდნენ კვლავ ორკეცი გამძვინვარებით
და სასაცილოდ აიგდებდა მხედრობა მტრისა,
რადგან სერაფიმთ შეენაცვლენ უკვე ახლები
და მოემზადნენ კვლავაც მეხის გასროლისათვის!
უკანდახევას თაკილობდნენ, ერცხვინებოდათ...
რა დაინახა ასეთ დღეში სატანამ მტერი,
მყისვე დაცინვით გადასძახა თანამებრძოლებს:
„ძმანო, რათ შედგნენ ეს ამაყნი მძლეველნი ჩვენნი?
„აკი მძვინვარედ მოიწევდნენ, — და ახლა, როცა
„ფართოდ გავხსენით ჩვენი მწყობრი, გავშალეთ მკერდი
„მათ მისაღებად (სხვა რა გვექნა?) ზავი ვუთხარით,
„რათ შეიცვალა ასე უცებ მათი განზრახვა?!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„რატომ გარბიან, უცნაურად რატომ როკავენ,
„თითქოს ცეკვავენ, მაგრამ რაღაც ველურად ხტიან.
„იქნებ, ზავი რომ შევთავაზეთ, ეს გაეხარდათ!
„მე ასე ვფიქრობ, ერთხელ კიდევ მოვასმენინოთ
„შეთავაზება ჩვენი იმათ და მაშინ, ალბათ,
„უფრო მალიად გვაცნობებენ თავიანთ სათქმელს“.
მაშინ, ასევე დამცინავად თქვა ბელიარმა:
„ბელადო ჩვენო, მძიმე იყო ჩვენი პირობა,
„ბევრის შემცველი და, ეტყობა, ეამათ კიდეც;
„ბევრი მათგანი აირია, დაიბნა სულმთლად,
„ვინაც მიიღებს ჩვენს გაგზავნილს სიტყვას პირდაპირ,
„თავითფეხამდე უნდა კარგად აწონ-დაწონოს,
„ვინც არ მიიღებს — მას ფეხსაც არ მოაცვლევინებს“.
„ასე მასხრობდნენ ერთმანეთში, ჩვენ დაგვცინოდნენ,
გაბღენძილიყვნენ და თავს თვლიდნენ გამარჯვებულად.
ეგონათ თვისი იარაღით ძალას ზეციურს
დაამარცხებდნენ სულ იოლად, მეხს ზენარისას
მასხრად იგდებდნენ, დასცინოდნენ ღმერთის მხედრობას,
რაკი ასეთ დიდ გასაჭირში ხედავდნენ იმას.
მაგრამ დიდხანს კი არ ვყოფილვართ ჩვენ ასეთ დღეში:
ფრთები შეგვასხა მრისხანებამ, ვპოვეთ გზა ხსნისა,
ამ ჯოჯოხეთურ ბოროტების ასაშორებლად.
მყისვე, — (შეხედეთ საოცრებას, — უფალმა უცებ
როგორი ძალა და უნარი შთაბერა სულებს!)
მყისვე დაჰყარეს საჭურველი, მთებს მიაშურეს,
(მთა და ველების ამო მრავალფეროვანება
თქვენ — მიწის მცხოვრებთ — ზეცის მსგავსად გაქვთ ბოძებული).
ელვის სისწრაფით მივარდნენ და რყევა დაუწყეს.
მოგლიჯეს მთები, მთელი მათი ავლადიდებით: —
სალი კლდეებით, ტყეებით და მდინარეებით, —
მერე ჩასჭიდეს მათ აქოჩრილ მწვერვალებს ხელი,
მაღლა ასწიეს და დაიძრნენ მტრის მხედრობისკენ.
განცვიფრებამ და შიშის ძრწოლამ მოიცვა მტერი,
როცა იხილეს საშინელი სანახაობა:
მათკენ დაძრული, საშიშარი მთის მწვერვალები.
და აჰა, წყეულ იარაღის სამწყება მწკრივებს
მთები ზემოდან გადაამხეს და ღრმად დამარხეს.
ჩამოიქროლეს, ჩააბნელეს ირგვლივ ჰაერი,
და დიდმა მთებმა მთლად გასრისეს რაზმები მტრისა,
აბჯარი მხოლოდ ხელს უწყობდა მათს სივალალეს —
დამსხვრეული და დაჭყლეტილი ტანთ ერჭობოდათ
და აუტანელ ტკივილებით სტანჯავდა ბედკრულთ.
კვნესოდნენ, დიდი სიმძიმის ქვეშ დიდხანს იბრძოდნენ,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვიდრე ამ მწარე საპყრობილეს სულ არ დაუსხლტდნენ;
ადრე ისინი მოელვარე სულები იყვნენ,
ახლა ცოდვებით ჩამუქდნენ და უხეშნი გახდნენ.
მათაც მოგვბაძეს, გადაიღეს ჩვენივე ხერხი
და მახლობელი გორაკები სულ ამოგლიჯეს.
შეიქნა ცაში გორაკების ერთურთზე ტყორცნა,
დაჰქროდნენ მთები საშინელი გამძვინვარებით,
ქვემოთ კი კვლავაც გრძელდებოდა ფიცხელი ბრძოლა.
იდგა ზრიალი, ნგრევა, გრგვინვა ჯოჯოხეთური,
ომი იმასთან შედარებით — გართობა არის.
ძლიერდებოდა საშინელი არევდარევა,
და მთელი ზეცა შეიძროდა, დაინგრეოდა,
მაგრამ უფალმა, ყოვლისშემძლემ, რომელიც იჯდა
სასუფეველში, თავის წმიდა კურთხეულ ტახტზე,
განსაჯა კარგად ყველაფერი, აწონდაწონა,
კარგად განსჭვრიტა წინდაწინვე ეს დიდი ნგრევა,
მიუშვა კიდეც მის ნებაზე, რადგან ფიქრობდა,
რომ დიდ განზრახვას იგი ამით შეისრულებდა,
განადიდებდა მირონცხებულ თავის მემკვიდრეს,
შურს იძიებდა იმის მტრებზე და ღაღადჰყოფდა,
რომ უფლებები, ზეციური, ძეს გადაეცა;
მან თავის ტახტის მოზიარეს ასე მიმართა:
„ჩემი დიდებით შუქმოსილო, ძევ საყვარელო,
„შენს ხატებაში ღვთაებრივი საქმენი ჩემნი, —
„ადრე ყველასთვის უხილავი, —ხილული გახდა.
„შენი მარჯვენით მისრულდება ყველა სურვილი,
„შენ ცის მეორე და დიადო ყოვლისშემძლეო!
„უკვე ორი დღე გაილია, რაც მიქაელი
„და მის მხედრობა გაემართა მტრის ასალაგმად.
„ბრძოლა გაჩაღდა იქ, ფიცხელი, რადგანაც ერთურთს
„ძლიერი მტრები შეეჭიდნენ, აბჯარასხმულნი.
„არ ჩავრეულვარ მათს ჭიდილში, რადგან შენც უწყი,
„ისინი ტოლნი გავაჩინე, ერთძალოვანნი,
„და მხოლოდ ცოდვა თუ შეიქმს მათ არათანასწორთ,
„თუმც ჯერჯერობით არ იგრძნობა ეს განსხვავება,
„რადგან დროებით გადავუდე სასჯელი იმათ.
„ამიტომ, იქნებ არც მოეღოს ბოლო მათს ბრძოლას...
„ომი გაჩაღდა მთელის ძალით, გამძვინვარებით,
„და გაცოფებამ აიწყვიტა აღვირ-ლაგამი,
„ხომ ხედავ, მთებიც იარაღად გამოიყენეს,
„შეირყა ზეცა და მოელის განადგურება.
„ორმა დღემ განვლო — მესამე დღე შენ მოგაკუთვნე;
„აქამდე თუკი მოვითმინე — მხოლოდ შენ გამო,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„მსურდა, დიდება დიდი ომის დამთავრებისა
„მხოლოდდამხოლოდ შენ, ერთადერთს, მოგნიჭებოდა,
„რადგან შენს გარდა, არც ვის ძალუძს ბოლო მოუღოს;
„მთელი მადლი და ძლიერება განუზომელი
„შენ ჩემგანა გაქვს, დე გაიგოს ყველამ ზეცაში
„და ჯოჯოხეთშიც, რომ შენ ძალით ბადალი არ გყავს;
„საზარი ნგრევაც მე იმგვარად წარვმართე ახლა,
„რომ ყველამ ნახოს — ერთადერთი მემკვიდრე შენ ხარ,
„ყველაზე მეტად ღირსეული, მირონცხებული;
„ახლა კი წადი, უძლეველო მამის ძალითა,
„ჩემი საბრძოლო ეტლით გასწი, რომლის ბორბლები
„ცას აზანზარებს... წა, აისხი ჩემი აბჯარი,
„ჩემი მეხი და მშვილდისრებიც თან იქონიე,
„ჩემი მახვილი შემოირტყი შენს ძლიერ წელზე,
„გამოუდექი, დაირეკე ბნელეთის შვილნი
„და ცის ბჭეთაგან გადაჰყარე ღრმა უფსკრულებში,
„იქ მიხვდებიან, როგორ უნდა უარის ყოფა
„ღმერთსა და ზეცის მირონცხებულ მეფეს — მესიას“.
„ბრძანა უფალმა, და ძეს თვისას ნათლი მოჰფინა.
მან შეიწოვა სიდიადე, ენით უთქმელი,
მამის დიდება მყის სახეზე გამოეხატა,
და ღვთის პასუხად ძემ უფლისამ ღაღადჰყო ასე:
„ოი, მამაო, მბრძანებელო მთელი ზეცისა,
„მაღალო, წმიდავ, პირველო და საუკეთესოვ,
„მუდამჟამს ცდილობ განადიდო ძე ერთადერთი,
„მეც მუდამ ვცდილობ განდიდებდე მთელს ქვეყანაზე!
„სწორედ ეს არის ჩემი მადლი, ჩემი დიდება
„და მთელი ჩემი სიხარული, რომ შენ ინებებ
„მხოლოდღა ჩემით აღისრულო სურვილი ყველა,
„რის ასრულება მეც მგვრის მუდამ ტკბილ ნეტარებას.
„ვღებულობ შენგან შენს ბოძებულს კვერთხსა და ძალას,
„და სიხარულით დაგიბრუნებ, როდესაც ბოლოს
„შენ ყველა არსში, ყველაფერში გამოვლინდები,
„მეც სამუდამოდ დასახული ვიქნები შენში,
„ხოლო ჩემში კი ყველა შენი მოყვასი არსი.
„ვინც შენ გძულს, მეც მძულს, და სასჯელსაც მე შევასრულებ
„ისეთგვარადვე, ვით ვარიგებ წყალობას შენსას.
„ახლაც მყისავე შენი ძალით აღვიჭურვები,
„ამბოხ სულთაგან ვიხსნი ზეცას, ჩავრეკავ დაბლა,
„მათთვის წინასწარ გამზადებულ საპყრობილეში,
„მათ არ მოვაკლებ არც მატლს, არც ბნელს, არცა ბორკილებს,
„რადგან გასტეხეს მორჩილება და გადაგიდგნენ,
„შენ — უფალს, ვისიც მორჩილება ნეტარებაა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„წმიდანნი შენნი იმ უწმიდურთ გაეცლებიან
„წრედ მოგერტყმიან წმიდა მთაზე და წრფელის გულით
„ალილუიას იმღერებენ შენს სადიდებლად,
„ხოლო იმათში მე ვიქნები უპირველესი“.
„თქვა და წამოდგა უფლის მარჯვნით მდებარ ტახტიდან.
მესამე წმიდა განთიადი აღმოხდა მაშინ.
გაიგრიალა ზენაარის საბრძოლო ეტლმა,
წმიდა ნათელით მოფენილმა, მისი ბორბლები
არ მოძრაობდნენ, მიდიოდა შინაგან ძალით,
ოთხი წმიდანი ქერუბინი თან მიჰყვებოდა,
და თვითეული აშუქებდა ოთხ-ოთხი სახით.
ტანი — ვარსკვლავით, ფრთები — თვლებით ჰქონდათ ნაჭედი,
და ეტლის ბორბლებს — სულ ბივრილის თვლები ებურა;
მიჰქროდა სწრაფად და აფრქვევდა ცეცხლის ნაპერწკლებს.
თავს გადადგმოდათ ბროლის თაღი, ხოლო თვით ეტლში
იდგა ძვირფასი საფირონის ტახტი ელვარე,
ქარვით ნაფერი, ცისარტყელას ფერით შემკული.
ძე ზენარისა, ციურ აბჯრით აღჭურვილიყო,
მკერდს კი ურიმი უმშვენებდა, ცაში ნაძერწი.
ხელმარჯვნით ეჯდა გამარჯვება, არწივის ფრთებით,
მხარზე ეკიდა მშვილდი ერთი და თან კაპარჭი,
სამმაგი მეხის ისრებითა გამოტენილი.
ედინებოდა გარეშემო კვამლი ბოლქვებად,
ალი მგზნებარედ ლივლივებდა და ნაპერწკლები
გულისწამღებად ტკრციალებდა. მიქროდა იგი
და წმიდანები ათასობით თან მიჰყვებოდნენ.
„აჰა, გამოჩნდა, და შორიდან გამოანათა,
ოცი ათასი ეტლი მარჯვნით და მარცხნით ახლდა.
ჯერ თავისებმა ჰკიდეს თვალი და გაიხარეს
მოულოდნელი სიხარულით, როცა იხილეს
ღრუბელთა ზედა დიადი და ამაღლებული,
დიდი მესია, შუქმფინარე, მოჰყავდათ სულებს.
მყის მიქაელმა თვის ლაშქარი მას ჩააბარა,
გაერთიანდა მის ფრთების ქვეშ მთელი მხედრობა.
ღვთიურმა ძალამ გზა გაჰკაფა იმის წინარე;
ბრძანა-და მთები აღიმართნენ კვლავ თვის ადგილზე
ზეცამ მიიღო ძველი სახე, ძველი ელფერი,
ქორფა ვარდებმა გაიღიმეს მთებს და ველებზე.
„ბედკრულმა მტრებმაც დაინახეს, მაგრამ გაჯიქდნენ,
ძალის მოკრებას კვლავ ცდილობდნენ ბილწი ბრძოლისთვის,
განწირულება თუ აძლევდა იმედს — უგუნურთ!
ან ვით ცხოვრობდნენ ცაში ასე უკუღმართები?
მაგრამ რამ უნდა მოარჯულოს თავგასულები,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რა ძალამ უნდა თვინიერ ჰყოს, დაიმორჩილოს?
პირიქით, უფრო გამძვინვარდნენ, უფრო გაკერპდნენ
შურმა მოიცვათ, რა იხილეს დიდება ძისა,
და მოინდომეს ძალით იმას გატოლებოდნენ,
ემზადებოდნენ საშინელი შეჭიდებისთვის;
იმედი ჰქონდათ, რომ ან ძალით, ან ცბიერებით
დასცემდნენ ღმერთსაც, მესიასაც, ანთუ არადა
ყველას შთანთქავდა ერთიანი განადგურება.
დაჰგმეს, უარჰყვეს გაცლაცა და უკანდახევაც
და საბოლოო ბრძოლისათვის მოეწყვნენ ფიცხლავ.
დიდმა ძემ ღვთისამ თავის ლაშქარს ეს განუცხადა:
„იდექით ასე, ნათლმოსილნო, აბჯარასხმულნო,
„ცის ანგელოზნო, დღეს ისვენებთ ომით მაშვრალნი.
„თქვენ ერთგულებით დაიცავით უფლება ომში,
„მედგრად იბრძოდით და უფალსაც ეამა ესა,
„რაც მან გიბრძანათ, შეუპოვრად თქვენ შეუსრულეთ.
„ამ წყეული ბრბოს მოსპობა კი სხვას ევალება;
„შურს თვით იძიებს — ან ის, ვისაც უბრძანებს ღმერთი,
„ლაშქართ სიმრავლე არ გადაწყვეტს დღეს ბრძოლის ბედსა,
„იდექით მხოლოდ და უყურეთ, ღვთის გულისწყრომას
„ვით გადავანთხევ ამ უღვთოებს, ამ ურჯულოებს.
„ზიზღს თქვენდა მომართ კი არ გრძნობენ, მე ვეზიზღები,
„ჩემზედ არიან გაცოფებულ-შურითგზნებულნი,
„რადგან უფალმა მამამ ჩვენმა, ვისაც ეკუთვნის
„მთელი დიდება, ზეცის მთელი საბრძანებელი,
„ნებით თავისით მე ნეტარმყო და აღმამაღლა.
„დასჯაც იმათი, ამის გამო, მევე მომანდო,
„დაე ასრულდეს ნება მათი, დაე ბრძოლაში
„ნახონ, ვინ არის უდიდესი, უძლიერესი —
„მე მარტოდმარტო, თუ იმათი მთელი მხედრობა!
„რაკი ყველაფერს მარტოდმარტო ღონით ზომავენ,
„სხვა აღმატებას არც ებრძვიან, არც ეძიებენ,
„და არც არაფრად არ აგდებენ მათზე უმაღლესს—
„მეც ღონით დავცემ, სხვაგვარ ბრძოლას არც კი ვაღირსებ“.
„თქვა ეს ძე ღვთისამ და ერთბაშად ეცვალა სახე,
გახდა პირქუში, მოღუშული, ძრწოლვის მომგვრელი,
რისხვით გზნებული იმ ურჯულო მტრებისა მიმართ.
მყისვე ოთხივე ქერუბინმა გაშალა ფრთები
და დიდს სივრცეზე გადიშალა ჩრდილი საშიში.
დაიგრუხუნეს შესაზარად ეტლის ბორბლებმა,
თითქოს ხმა იყო დიდი წარღვნის, დიდი ნგრევისა,
ბილწი მტრისაკენ გაემართა ღამისებრ ქუში,
შეირყა მთელი ემპირეა, ღვთის ტახტის გარდა.
მყის გადაეშვა გამწკრივებულ მტრის შუაგულში,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ათიათასი მეხი ეპყრა მარჯვენა ხელში,
ისროდა ისრებს აქეთ-იქით ელვის სისწრაფით
და თითქოს ჭირი ყოფილიყოს — გმირავდა ყველას.
განჰკვირდა მტერი, გულოვნება წაერთო, გატყდა!
მახვილი ხელში გაუშეშდათ, ჩამოუცურდათ;
გადაუქროლა ძემ ფარებზე, მუზარადებზე,
მძლე ქერუბინებს, ტახტის მფლობელთ, აწ ქანცგაწყვეტილთ;
ახლა ინატრეს: — ნეტა მთები კვლავ გადმოგვემხოს,
რომ რისხვას მტრისას თავი სადმე შევაფაროთო.
ჰქროდა ისრები ქარიშხალის გამძვინვარებით,
იმ ოთხსახიან, ოთხ ელვარე ქერუბინთაგან,
რომელთაც ტანი დაფარული ჰქონდათ თვალებით,
და თვალებითვე შემკულ ცოცხალ ბორბლებისაგან.
ამ ელვარ თვალებს ერთადერთი სული მართავდა, —
მალი-მალ ელვას აკვესებდა ყოველი თვალი,
და ცეცხლს უშენდა წყეული მტრის ურიცხვ მხედრობას.
გამოელიათ ძალი სულმთლად, ქანცი გაუწყდათ,
დაჰკარგეს ძველი შემართება და ძლიერება,
გატყდნენ, გახევდნენ, დამჭმუნვარდნენ, პირქვე დაეცნენ.
მაგრამ ძეს ღვთისას მთელი ძალა არ უხმარია,
მალე შესწყვიტა მეხის სეტყვა, რადგან მთლიანად
მოსპობა მტრისა არც ჰქონია მას განზრახული,
მათი ზეციდან ამოძირკვა უნდოდა მხოლოდ.
წამოაყენა ფეხზე ისევ დაცემულები,
და ვით დამფრთხალი ფარა თხისა — წინ დაირეკა,
თან დაადევნა საშიშარი ისრები მეხის;
მისდია ბროლის გალავნამდე, ზეცის ზღუდემდე;
გადიხსნა უცებ გალავანი, შიგ შეიწია
და გადიშალა საშინელი, ვრცელი უფსკრული.
შედგნენ, მობრუნდნენ, რა იხილეს საშინელება,
მაგრამ აქედან უარესი შავი დღე ადგათ.
მაშინ ცას მოსწყდნენ, თავდაყირა ჩაეშვნენ ბნელში
და დაედევნათ ცეცხლოვანი რისხვა უშრეტი.
ესმა ჯოჯოხეთს ეს ზრიალი აუტანელი,
ნახა, ცა-ცაზე დამხობილი როგორ დაეშვა,
შეძრწუნდა ფრიად და მყისავე გაიქცეოდა,
მაგრამ მრისხანე ბედისწერამ მტკიცედ ჩაუშვა
ბნელეთში მყარი საძირკველი და მიამაგრა.
ცხრა დღეს მიჰქროდნენ თავდაყირა გადმოტყორცნილნი;
ქაოსი ბღავის შეშფოთებით; ათჯერაც მეტად
შეძრწუნდა იგი, როცა თავის ანარქიაში
ნახა ურიცხვი ანგელოზი, ნაცემ-ნაგვემი.
ბოლოს ქვესკნელმა დაამთქნარა, შთანთქა ყველანი,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და კვლავაც დახშა ხახა თვისი, მჭიდროდ დაკეტა;
მუდმივ სამყოფად გადაექცათ მათ ჯოჯოხეთი —
უშრეტი ცეცხლის, ვაების და წამების ბინა.
ცამ, ტვირთმოხსნილმა, შვება იგრძნო, შეიკრა ზღუდე,
ფართოდ გახსნილი ცის კედელი კვლავ შემჭიდროვდა.
მტრის ერთადერთმა დამძლეველმა, გამარჯვებულმა
დიდმა მესიამ მოაბრუნა საბრძოლო ეტლი,
და გაეშურნენ სიხარულით მის შესახვედრად
წმიდა სულები, აქამომდე მდუმარედ მდგარნი,
და მისთა დიდთა, შემმართებელ საქმეთა მჭვრეტნი.
გამოემართნენ, პალმის ჩრდილით მოჩრდილებულსა,
დიდსა მბრძანებელს, გამარჯვებულს მეუფეს დიადს
ყოველი რაზმი უგალობდა ძლევის სიმღერას,
მას — ძეს, მემკვიდრეს, მბრძანებელსა, მეფობის ღირსსა.
ვიდოდა ცაში გამარჯვების ნათლით მოსილი,
მიადგა უფლის სასახლესა და ტაძარს წმიდას,
ყოვლისშემძლების, დიდი მამის ტახტს ამაღლებულს;
მან — ზენაარმა დიდებითა მიიღო შვილი,
და გვერდს მოისვა, ის ხელმარჯვნით, იმ ნეტარ ტახტთან.

„რომ ფრთხილად იყო, წარსულ დღეთა გამოცდილებით,
მე ცის საქმეებს — მიწის საქმე მივუსადაგე,
და, შენივ თხოვნით, გადმოგეცი ამბები ცისა,
თორემ კაცთათვის იქნებოდა ეს დაფარული.
გიამბე, ცაში როგორ მოხდა განხეთქილება,
ვით ატყდა ომი, ვით დაეცნენ აღზევებულნი,
თანამგმობარნი სატანისა — ცის ანგელოზნი.
ახლა შენი შურს, შენს ცთუნებას ლამობს სატანა,
ხრიკებით ცდილობს შენც ურჩობის გზას დაგაყენოს,
რომ შენც, მასავით, წარგეტაცოს ბედნიერება
და თავის ტანჯვა, სამუდამო, გაგინაწილოს.
იმაში ჰპოვებს იგი ნუგეშს, შურს იმით იცხრობს,
რომ ყოვლისშემძლე ზენაარის გამოჯავრებით,
თვისი ვაების მოზიარე გაგხადოს შენცა.
ყურს ნუ მიუგდებ მის ცთუნებას, და შენი ცოლიც —
შენზე მერყევი, შენზე სუსტი — მას მოარიდე.
ის საშინელი მაგალითი — ურჩობის დასჯა,
რაც მე მოგითხრე, სასიკეთოდ გამოიყენე:
რა მტკიცედ იდგნენ, მაგრამ მაინც როგორ დაეცნენ!
დაიმახსოვრე, გეშინოდეს შეცოდებისა!“.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

წიგნი მეშვიდე

შინაარსი

ადამის თხოვნით რაფაელი ყვება, თუ რა პირობებში და რატომ შეიქნა ეს ქვეყანა. ღმერთმა ზეციდან გამოდევნა სატანა და მისი ანგელოზები და სურვილი გამოთქვა, ახალი ქვეყანა შეექმნა, სადაც ასევე ახალშექმნილ არსებებს დაასახლებდა. იგი ანგელოზების თანხლებით დიდი ზეიმით გაგზავნის თავის ძეს, რათა ექვსი დღის განმავლობაში დაასრულოს ქვეყნის შექმნა. ანგელოზები დიდებული საგალობლებით ასხამენ ხოტბას მის საქმეს და ზეცაში მის დაბრუნებას.

დაეშვი ციდან, ურანია, ციურო მუზავ!* —
შენს ხმას ღვთაებრივს ზეავჰყევი, გავსცდი ოლიმპოსს,
ვიფრინე მაღლა, თვით პეგასიც ვერ მომწვდებოდა.
მაგრამ ნამდვილად ურანია გქვია სახელად?
თუმცა რას ვაქნევ მე შენს სახელს, მე შენ მოგიხმობ,
რადგან ცხრა მუზის საკრებულოს შენ არ ეკუთვნი,
არც გიცხოვრია ოლიმპოსის მთაზე არასდროს,
ზეცის პირმშო ხარ, მთების, წყლების წარმოშობამდე
შენ ესაუბრე მარადიულ სიბრძნეს, დას შენსას;
ჩვენი დიადი, ყოვლისშემძლე მამის წინაშე
შენ არაერთხელ სიყვარულით გიგალობნია
და დაგიტკბია სმენა მისი ციური ჰანგით.
შენ გამიტაცე, მიწის მკვიდრი, გამათამამე,
გავკადნიერდი და ავიჭერ ზეცათა შინა,
ახლაც გამიძეხ, უხიფათოდ დამიშვი დაბლა
და ჩემს მშობლიურ სტიქიონთან კვლავ დამაბრუნე;
მეც არ შემემთხვეს მწარე ხვედრი ბელეროფონის,*
რომელიც ნაკლებ სიმაღლიდან ჩასტყორცნა რაშმა;
რაშმა, სადავემიშვებულმა, მეც არ ჩამაგდოს,
გზააბნეული, მეც მინდვრებზე არ მაწანწალოს...
ჩემი სიმღერის ნახევარი ჯერაც არ მითქვამს,
მაგრამ შემოკლდა ზღვარი ჩემი, ვჭვრეტ სფეროს დღისას,
მიწაზე ვდგავარ, არ ვნავარდობ პოლუსის ზემოთ,
მიწიურ ჰანგით გაბედულად ვგალობ მე ახლა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შიში არა მაქვს დამუნჯების და ხმის ჩახრენწის,
თუმც გამითენდა მწუხარე და მეტად შავი დღე,
შავ დღეში ვარ და შხამიანი ენით მგესლავენ.
ბნელში, ხიფათით გარმოცული, მარტოვშთენილვარ.
თუმცა არ ითქმის მარტოდყოფნა, რადგანაც ღამით
ეწვევი ხოლმე ჩემს ოცნებებს; მაშინც მოდიხარ,
როს აღმოსავლეთს დილა წითლად შეაფერადებს.
კვლავაც მწედ მეყავ, ურანია, კვლავ შთამაგონე,
თავის მსმენელი მოუძებნე ამ სიმღერასაც,
დე, ცოტა იყოს, ნუ მოუსმენს ურიცხვი ხალხი.
არ შეერიოს ბარბაროსთა ველური ჰანგი,
ჰანგი ბახუსის და მის თანამოქეიფეთა;
იმათ აწამეს თრაკიელი დიდი მგოსანი,
რომლის გალობა დიდებული მთა-ბარს ხიბლავდა.
მათმა ველურმა ღრიანცელმა სულმთლად ჩაახშო
მისი ჩანგისა და მისი ხმის საამო ჟღერა;
ვერც მუზამ შესძლო დაეფარა შვილი თავისი...
ნუ, ნუ გამწირავ, შეისმინე ვედრება ჩემი,
შენ ციური ხარ, — ის კი ფუჭი ოცნება იყო.
მარქვი, ქალღმერთო, ეს მაუწყე, რა მოხდა შემდეგ,
როს რაფაელმა, ამ გულღია არქანგელოზმა,
ადამი მტკიცედ გააფრთხილა, იმ საშინელი
სასჯელის შიშით, რაც იგემეს განდგომილებმა,
რომ ადამი და მისი მოდგმაც არ დაისაჯოს,
თუკი გასტეხენ იმ ერთ აღთქმას, აკრძალულ ხისას.
ძნელიც არ არის მოითმინონ ნაყოფი იგი,
რადგან სამოთხე სავსე არის ურიცხვი ხილით.
ძალუძთ იგემონ, რაც თვითონვე მოესურვებათ.
ადამ და ევა, გულისყურით უსმენდნენ სტუმარს,
დიდად განჰკვირდნენ, ღრმად ჩაფიქრდნენ რა მოისმინეს
ასეთი დიდი, ასე უცხო ამბები ცისა,
მიუწვდომელი, უცნაური მათი ჭკუისთვის:
სიძულვილი და ვერაგობა თვით ზეცაშიაც,
ღვთის მშვიდობასთან — საშინელი ომის ქარცეცხლი,
სასუფეველში — შემაძრწენი ალიაქოთი;
თუმც ნეტარებას იგი როგორ შეერეოდა;
მალე გასტეხეს და ბოროტი უკუაქციეს,
როგორაც ტალღა მიქცევის დროს უკანვე გარბის.
გაჰქრა ეჭვები, ჩასახული ადამის გულში,
მაგრამ მაშინვე უცოდველი სურვილი გაჩნდა —
კარგად გაეგო ყველაფერი თვისი ყოფისა:
საიდან გაჩნდა ეს ხილული ზეცა და მიწა,
რად ჩაისახა, ანუ როგორ, ანუ რა მიზნით,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

როგორი იყო თვით ედემი კაცთ გაჩენამდე.
როგორც მწყურვალი, მოიკლავს რა საშინელ წყურვილს,
კვლავ გადახედავს მოკამკამე ჭავლის დინებას,
წყაროს ჩხრიალი ხელმეორედ აღუძრავს წყურვილს, —
ისე ადამმა კვლავ მიმართა ზეციურ სტუმარს:

„დიდნი საქმენი, საოცარნი, კაცთათვის უცხო,
გაგვაგებინე ღვთაებრივო განმმარტებელო,
წარმოგზავნილო უფლის მიერ ქველ საქმეთათვის,
რათა დროულად გაგვაფრთხილო და აგვაცდინო
უბედურება ყოველგვარი, ჩვენთვის უცნობი,
რასაც თავისით კაცის ჭკუა ვერც მიწვდებოდა.
ამ განუსაზღვრელ სიკეთისთვის მადლობას გიძღვნით,
ღვთის შეგონებას ჩვენ ზეიმით ვღებულობთ ახლა,
და უზენაეს ნებას მისას მტკიცედ დავიცავთ.
რაკი ღირსგვყავი და გაგვაცან დიდნი საქმენი,
ამა მიწიერ შეცნობაზე ამაღლებულნი,
უზენაესმა სიბრძნემ რაკი ასე ინება
დაბლა ჩამოსვლა, ამ საქმეთა გაცნობა ჩვენთვის, —
ესეც გვაუწყე, ვით შეიქნა ზეცა ჩვენს ზემოთ,
დამშვენებული უთვალავი მოძრავი ცეცხლით;
სხვაც ყველაფერი, ამ სივრცეში რასაცა ვხედავთ;
ჰაერიც ესე — აყვავებულ მიწას რომ ეკვრის;
რამ შთააგონა ჩვენს შემოქმედს, ყველაზე გვიან
ქაოსისაგან წარმოექმნა ჩვენი სამყარო?
როდის შეუდგა ღვაწლს თავისას, ან როდის მორჩა?
გვაუწყე, თუკი აკრძალული არ გაქვს ამის თქმა:
რაც მეტს შევიცნობთ, უფრო მეტად ვადიდებთ უფალს...
დიდი მნათობი დღისა, თუმცა დაეშვა უკვე,
დაღამებამდე მაინც გრძელი გზა აქვს სარბენი,
შენი ძლიერი ღაღადისი მას შეაჩერებს
რომ მოგისმინოს საკუთარი შექმნის ამბავი,
ვით წარმოიქმნა განუსაზღვრელ უფსკრულისაგან
სამყარო ესე, თვით ბუნება და თვით სიცოცხლე.
და თუ ამ ამბის მოსასმენად გამოეშურნენ
მწუხრის ვარსკვლავი და მთოვარე პირგაბადრული, —
მაშინ დუმილს და მყუდროებას მოიტანს ღამე,
ძილიც მოგისმენს გულისყურით, დაგიდარაჯებს,
არ გავიკარებთ იმას ახლოს, ვიდრე ამ ამბავს
არ დაამთავრებ. — დილისთვის კი კვლავ გაგვშორდები“.

ასე შესთხოვდა ნათელმოსილ სტუმარს ადამი,
და ანგელოზმაც, უფლისდარმა, მშვიდად მიუგო:
„მე შეგისრულებ ამ თხოვნასაც, ფრთხილად გამოთქმულს,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თუმც ყოვლისშემძლის ნამოღვაწარს როგორ ჩამოთვლის,
როგორ გამოთქვამს სერაფიმი მთელი სიცხადით,
არც ადამიანს შესწევს ძალა ჩასწვდეს მის ნაღვაწს.
მაგრამ მოგითხრობ, დე გაიგე რამდენიც ძალგიძს,
რომ შემდეგ უკეთ ადიდებდე ყოვლისშემოქმედს,
და რომ ამითი შენც ეწიო ბედნიერებას, —
ამის უფლება ზეციდან მაქვს მონიჭებული:
რასაცა მკითხავ გიპასუხებ ცოდნის მიხედვით,
ზედმეტს ნუ მკითხავ, ნურც გექნება იმის იმედი,
რომ შენი ჭკუით ჩასწვდე, ახსნა, ამოიკითხო,
რაც ჩვენს უხილავ, დიდ მეუფეს ბნელით მოუცავს
და დაუფარავს ყველასათვის, თვით ზეცაშიაც;
უიმისოდაც საკმაოდ გაქვთ სასწავლ-საკვლევი.
„მაშ ყური მიგდე: მას შემდეგ, რაც ლიუციფერი, —
(ასე ეძახდნენ ცის სულთაგან ყველაზე მბრწყინავს,
ვით ეს მნათობი ვარსკვლავთ შორის გამოირჩევა),
დაეცა პირქვე ცეცხლმოდებულ ლეგიონებით,
დიდი ძე ღვთისა გამარჯვებულ წმიდანთა ლაშქრით
მყისვე გაბრუნდა ყოვლისშემძლე ზენაარსისკენ;
ცის მეუფემაც, რა იხილა ლაშქრის სიმრავლე,
თავის ტახტიდან ეს უბრძანა ძეს ერთადერთსა:
„მწარედ გაცბუნდა მოშურნე და ვერაგი მტერი,
„ეგონა, მისებრ მთელი ზეცა აჯანყდებოდა,
„მათი შეწევნით ოცნებობდა ხელში ჩაეგდო
„უზენაესი ძალა ჩვენი, ხელისუფლება;
„ისინი მეტად სასუფეველს ვერც იხილავენ.
„მაგრამ, მე ვხედავ, ცის სულთაგან უმეტესობას
„არ დაუკარგავს ერთგულება, არ განდგომილა,
„საკმაო მკვიდრი და მფლობელი კვლავაც ჰყავს ზეცას,
„ამ მაღალ ტაძარს თაყვანმცემი არ მოაკლდება.
„მაგრამ რომ მტერი ავი საქმით არ გადიდგულდეს,
„არა თქვას ზეცა დავცალეო ანგელოზთაგან,
„და არ იფიქროს, რომ ამითი დამაზარალა,
„მე გადავწყვიტე აღვიდგინო ეს დანაკლისი,
„(თუ იმ უღირსთა გაძევება დანაკლისია),
„შევქმნა მყისავე სულ ახალი, სულ სხვა სამყარო,
„და საცხოვრებლად მივუჩინო ის აურაცხელ
„ადამიანებს, შთამომავლებს ერთი კაცისას;
„იქ იყვნენ, ვიდრე გახდებიან დიდებასრულნი,
„ვიდრე დიდი ხნის მორჩილებით და მოთმინებით,
„არ გაიკვლევენ გზას თავისით მაღალ ზეცისკენ.
„მიწა იქცევა მაშინ ზეცად, ზეცა კი—მიწად,
„შეერთდებიან ერთ სამეფოდ, და უსასრულოდ
„სიხარული და მეგობრობა იმეფებს ყველგან.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„ახლა ხალვათად გაიშალეთ, ძალნო ცისანო!
„ჩემო სიტყვაო, ძეო ჩემო, ახალ ქვეყანას
„მე შენით შევქმნი. ბრძანე ერთი და მყის აღსრულდეს!
„დაე გფარავდეს სული ჩემი, — თანვე გაახლებ
„ჩემს ძლიერებას. გაეშურე, პირდაპირ გასწი,
„უბრძანე უფსკრულს — გადაიქცეს მიწად და ზეცად,
„აღარ იქნება აწ სივრცეში სიცარიელე,
„რადგან მე თვითონ ამოვავსებ უსაზღვროებას;
„ჩემს სურვილზეა ყველაფერი დამყარებული.
„მე ვერა ძალა ვერ შემზღუდავს, ვერ მაიძულებს;
„რასაც ვინებებ, ბედისწერაც ის არის სწორედ“.
„ბრძანა უფალმა ყოვლისშემძლემ და მის სურვილი
სიტყვამ იმისმა, ძემ უფლისამ სულ შეასრულა.
საქმენი ღვთისა სრულდებიან დაუყოვნებლივ,
თვით ძრაობაზე, დროის სვლაზე მეტი სისწრაფით,
მაგრამ უსიტყვოდ ვერ მიწვდება გონება კაცთა,
და ამიტომაც მე სიტყვებით მოგითხრობ ახლა.
რა მოვისმინეთ ყოვლისშემძლის დიდი სურვილი,
ზეცა აივსო ზეიმითა და სიხარულით.
ზენაარს ფიცხლავ შევღაღადეთ დიდების ჰიმნი,
რადგან მან უძღვნა ადამიანს სიკეთე სრული
და საცხოვრებლად მისცა მყუდრო თავშესაფარი.
„დიდება იმას, ვისმა რისხვამ სამართლიანმა
„ულმრთო სულები დაირეკა ჯოჯოხეთამდე
„და მთლად წარსტაცა სამართალის სასუფეველი“.
„ქება-დიდება იმის სახელს, ვისმა სიბრძნემაც
„ბოროტისაგან კვლავ კეთილის შექმნა ინება,
„მავნე და წყეულ სულების წილ, მან გააჩინა
„ახალი მოდგმა — უკეთესი იმ ულმრთოებზე
„და მით უსაზღვრო სამყაროზე, სამარადჟამოდ
„იმან სიკეთე განავრცელა, განუსაზღვრელი“.
ასე მღეროდნენ დიდების ჰიმნს ცის ანგელოზნი.
ამასობაში დიდ საქმისთვის ძე მოემზადა,
უზენაესი ძლიერებით გარემოცული
და ღვთაებრივი შარავანდით ნათელმოსილი,
განუსაზღვრელი სიყვარულის და სიბრძნის წყარო,
მამის ნათელის, სიდიადის გამომეტყველი.
მის ეტლს მოაწყდნენ ქერუბინნი აურაცხელნი,
დიდნი თავადნი, ტახტოსანნი, სულნი ფრთოსანნი;
იქვე მოზღვავდნენ ფრთაგაშლილი ეტლები ღვთისა;
იდგნენ ისინი ძველთაგანვე გამზადებულნი,
ჩამწკრივებულნი ბრინჯაოს ორ გორაკის შუა;
ახლა თავისით გამოვიდნენ უფლის წინაშე,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რადგან მათშიაც სული იყო შთასახლებული.
გადიხსნა ფართოდ ზეცის კარი მარადიული,
ტკბილი ხმით ოქროს ანჯამებმა გაიწკრიალეს,
და გზა გაუხსნეს დიდებასრულ ზეცის მეუფეს,
ახალ ქვეყნების შესაქმნელად გამგზავრებულსა.
მიადგნენ ნაპირს, ჯერ შეჩერდნენ ციურ მიწაზე
და გადახედეს უსასრულო ვეება სივრცეს,
ზღვასავით გაშლილს, ბნელს, ბობოქარს, გაშმაგებულსა...
მთისოდენ ტალღებს წიაღიდან მძვინვარე ქარი
ზეასტყორცნიდა და პირქუშად ახლიდა ზეცას.
„ჰოი ტალღანო, ბობოქარნო, დაწყნარდით, კმარა,
და შენც, უფსკრულო, დაშოშმინდი“. — ბრძანა უფალმა.
„არც დააყოვნა, — ქერუბინის გაშლილი ფრთებით,
მამის დიდებით ნათლმოსილი დაეშვა მყისვე
შავბნელ ქაოსში, ჯერ შეუქმნელ სამყაროსაკენ.
და მიჰყვა მთელი საკრებულო ბრწყინვალე სულთა,
რათა ეხილათ იმ ახალი სამყაროს შექმნა,
და განეცადათ მისი ძალის საოცრებანი.
შედგნენ ბორბლები ცეცხლოვანნი, — ძემ მოიმარჯვა
ღვთის საამქროში დანამზადი ოქროს კარკინი,
რომ მოეხაზა ახალშექმნილ ქვეყნის საზღვრები.
ერთი ისარი კარკინისა ცენტრში ჩაარჭო,
მეორეთი კი შემოხაზა ვეება სივრცე,
წრე შემოავლო იმ უსაზღვრო და პირქუშ უფსკრულს,
და ბრძანა: „აჰა, აქამომდე განვრცობილ იყავ
შენი საზღვრები ეს იქნება, ჰოი სამყაროვ“.
ამგვარად შექმნა ღმერთმა ზეცა და დედამიწა,
თუმც უფორმო და უდაბური თავდაპირველად.
შემოხვეოდა უფსკრულს ირგვლივ პირქუში ბნელი,
მაგრამ წყლებზე კი, დამშვიდებულ-დაწყნარებულზე,
გადაეშალა სულს მტრედივით თავისი ფრთები
და ჩეკდა ქვეყნად სიცოცხლეს და სიცოცხლის სითბოს.
ცხოველი ძალა ამოჰყავდა თხიერებიდან,
ხოლო სიცოცხლის ხელშემშლელი შავი და ცივი
ჯოჯოხეთური ნაწრეტები ღრმადვე შთაასხა.
შემდეგ მსგავსს — მსგავსი მოუნახა, ერთად მოაწყო,
სხვა — არამსგავსთაც მიუჩინა ადგილი ყველას;
შუალედები ამოავსო შემდეგ ჰაერით
და დედამიწა ჩამოჰკიდა სამყაროს ცენტრში.
„იყავნ ნათელი!“ — თქვა უფალმა და უფსკრულიდან
მყისვე სინათლე ამოიჭრა ეთერიული,
საგანთა შორის უწმიდესი, უპირველესი;
აღმოსავლეთით — მშობელი მხრით დაიძრა იგი

www.PDF.ChiaturaINFO.GE



www.PDF.ChiaturaINFO.GE

და მოეფინა იმ სიბნელით გარმოცულ სივრცეს;
ჯერ მზე არ იყო გაჩენილი; იგი ჯერ კიდევ
შეჰფარებოდა ღრუბლის კარავს და არ მოსჩანდა.
იხილა ღმერთმა, რომ ნათელი კეთილი იყო,
და მყის გამოჰყო ის სინათლე სიბნელისაგან.
უწოდა მაშინ ნათელსა დღე და ბნელსა — ღამე.
და იქმნა მწუხრი, და განთიად — ესე დღე ერთი.
გაჩენას დღისას ზეცისაგან და მიწისაგან,
აღმოსავლეთით მოსულს ნათელს — სიბნელის გამკვეთს,
გუნდნი ცისანი მხიარულის ყიჟინით შეხვდნენ,
და მთელს მიდამოს მოეფინა ზეიმის ხმები;
მომართეს ქნარი, ოქროსაგან გამოჭედილი,
და შეჰლაღადეს ქებათ-ქება ღმერთს და მის ნაღვაწს,
მას ადიდებდნენ პირველ მწუხრსა და პირველ დილას.
„კვლავ თქვა უფალმა: „წყლისა შორის იყავნ სამყარო,
და განმყოფელი იყოს იგი წყლისა და წყლისა“.
და შექმნა ღმერთმა ეს სამყარო ვრცელი და წმინდა,
თხიერი, დიდი, გამჭვირვალე, ჰაეროვანი,
თვალმიუწვდენი, განვრცობილი მთელ სფეროს ირგვლივ,
საიმედო და მტკიცე ზღუდე, მტკიცე კედელი,
ზემო წყლისა და ქვემორე წყლის შუა გამყოფი.
რადგან ვით მიწა ისე მთელი დიდი სამყაროც
დაწყნარებულ წყლის საფუძველზე ააგო ღმერთმა,
ხოლო ქაოსის ღრიანცელი, არევ-დარევა
მან შორს განდევნა, მოაშორა იმისი შიშით,
რომ ერთმანეთის შეხებითა და დაჯახებით
მისგან ნაგები სამყარო არ დანგრეულიყო.
უწოდა ცაი ახლადშექმნილს სამყაროს ღმერთმა, —
და იქმნა მწუხრი და განთიად. მეორე დღესაც
ცის მომღერალნი გალობით და სიმღერით შეხვდნენ.
„შემოიხაზა დედამიწა, მიეცა ფორმა,
მაგრამ ვით ნოჩრი ჩანასახი თავის საშოში,
მიწაც წყლით იყო დაფარული და არ მოსჩანდა.
ედინებოდა ზედაპირზე გაშლილი წყალი,
მაგრამ უქმად კი არ დიოდა — ის დედამიწას
ნაყოფის მომცემ, სასიამო სითბოში ხვევდა,
არბილებდა და აფუებდა — რბილი სითხეთი
ამ დიდი დედის დაბადებას უწყობდა ხელსა.
„და თქვა უფალმა: „შეკრბით წყალი ქვეშე ზეცისა,
შესაკრებელსა ერთსა და მყის გამოსჩნდინ ხმელი“.
„მყისავე მთები, ბუმბერაზნი, წამოიმართნენ,
ღრუბლები მხრებით გაარღვიეს, ზე აღიტყორცნენ
და მოტიტვლებულ მწვერვალებით ცას მიებჯინენ;

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რა სიმაღლესაც მთები მიწვდნენ, გაფუებულნი,
იმავ სიგრძეზე, იმავ ზომის უფსკრული გაჩნდა, —
ფართო, ღრმა, ვრცელი სარეცელი უხვი წყლებისა.
ლაღად გაქანდნენ მაშინ წყლები ამ უფსკრულისკენ,
ბროლის ჯებირში მხიარულად დაეშვნენ დაბლა,
დაემორჩილნენ შემოქმედის ბრძანებას დიადს.
როგორც მხედრობა საყვირისა და ბუკის ხმაზე
დაირაზმება, განლაგდება ერთი დროშის ქვეშ,
(ლაშქრის ამბები ჩემგანა გაქვს შენ მოსმენილი),
ისევე ტალღა ტალღას მიჰყვა, შეერთდა წყალი,
სწრაფი დინებით უფსკრულისკენ გზა გაიკვლია;
დამრეცზე ლაღად მიშხუოდა, ხოლო ვაკეზე
ედინებოდა იგი მდორედ და უშფოთველად.
ზღუდედ მას არც კლდე, არცა ბორცვი არ შეხვედრია,
ედინებოდა ხან მიწის ქვეშ შეუფერხებლად,
ხანაც გველივით დაკლაკნილი, გზას მიიკვლევდა;
თანდათანობით გაიკვეთა, გაავლო კვალი
და ყველგან ლამით დაფარული ლუმბრმები გაჩნდა.
ლაღად დიოდა, ვიდრე ღმერთი კვლავაც ბრძანებდა,
რომ მთელი სივრცე ქცეულიყო მყისვე ხმელეთად,
წყლებს კი სარბენად მიუჩინა მხოლოდ არხები,
გამოამწყვდია, შემოზღუდა ორ ნაპირს შუა,
და ახლაც იქვე, იმ ლუმბრებში ედინებიან.
ხმელეთს უწოდა მაშინ მიწა უფალმა ღმერთმა,
ხოლო ვრცლად გაშლილს წყლის სიუხვეს ზღვები შეარქვა.
ნახა, რომ ესეც კეთილ იყო და კვლავაც ბრძანა:
„აღმოაცენოს დედამიწამ მწვანე ბალახი,
მცენარეები ნაყოფის და თესლის მომცემი,
ხეხილი, რაიც თავის მსგავსსვე აღმოაცენებს
და თესლი მათი ღვივდებოდეს მუდამ მიწაში“:
„ჯერ სიტყვა უფალს არც კი ჰქონდა დამთავრებული,
რომ დედამიწა, — იმა დრომდე, უდაბნოს მსგავსი,
შესახედავად უსიამო, მოუკაზმავი, —
მყის შეიმოსა საამური, რბილი სიმწვანით;
ამოიწვერა მრავალგვარი მწვანე მცენარე,
უცებ იფეთქა ყვავილებმა მრავალფერადმა
და საამური სურნელება დაიფრქვა ირგვლივ.
გამოჩნდა ვაზი დაგრეხილი, გადაბარდნილი, .
ზოგანაც გოგრა ამოცოცდა, დარუმბებული;
წამოიმართა ამის შემდეგ რაზმი ლერწმისა,
მინდორში მწყობრად, ჩამწკრივებულ-განლაგებული;
დაბალი ჩირგვნი და ხუჭუჭა ბუჩქებიც გაჩნდნენ;
ბოლოს კი, ისე, ვით ცეკვის დროს, წამოიშალნენ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ხენი მაღალნი, აშოლტილნი, აოქვირებულნი,
ტოტებგაშლილნი, დახუნძლული ზოგი ნაყოფით,
ზოგიც ყვავილით მორთული და დამშვენებული...
დიდმა ტყეებმა მაშინ უცებ დაჰფარეს მთები,
ბუჩქნარ-ძეძვნარმა — მინდვრები და წყლის ნაპირები.
ამგვარად, ზეცას დაემსგავსა ეს დედამიწა,
ისე დამშვენდა — აქ ცხოვრება ღმერთსაც შეეძლო.
სიამოვნებით მოიცლიდა ამ ნეტარ ჭალებს.
თუმც ღმერთი წვიმას მაშინ ქვეყნად არ აპკურებდა,
არც კაცი ჰყავდა გაჩენილი მიწის სახნავად,
მაგრამ მიწიდან მოდიოდა ნოტიო ნისლი
და მთელს ქვეყანას იგი ნამად ეპკურებოდა,
ყოველგვარ ბუჩქსა, ყოველ ბალახს, და ყლორტებს რწყავდა,
ესხურებოდა ღვთის გაჩენილს ყოველ მცენარეს...
იხილა ღმერთმა, რომ ეგ საქმეც კეთილი იყო,
და იქმნა მწუხრი, და განთიად ეს-დღე მესამე.

„კვლავ თქვა უფალმა: „ცასა შინა იქმნენ მნათობნი
გამყოფად დღისა და ღამისა; იმავ მნათობთა
დაჰყონ დღეები, დროები და წელიწადები.
ქვეყანას ციდან მოეფინოს მათი სინათლე“.

„და იქმნა ეგრეთ. შექმნა ღმერთმა კაცთათვის მაშინ
ცის ორი დიდი და ბრწყინვალე მანათობელი:
მნათობი უფრო უდიდესი მბრძანებლად დღისა.
ხოლო პატარას დაევალა ღამით ნათება,
მათ ასე უნდა ეკაშკაშნათ, მონაცვლეობით.
შემდეგ ვარსკვლავი გააჩინა აურაცხელი,
და დასხა მყისვე ეს ვარსკვლავნი ცის სამყაროში,
რათა იქიდან მოეფინათ ნათლი ქვეყნისთვის,
ენათებინათ დღე და ღამე მონაცვლეობით,
და გამოეყოთ მათ სინათლე სიბნელისაგან.
თვალი მოავლო თავის დიდ ღვაწლს უფალმა ღმერთმა,
და იხილა, რომ ყველაფერი კეთილი იყო.
უპირველესად — ცის ამ ურიცხვ მნათობთა შორის, —
მან გამოჰკვეთა მზე — სინათლის ძლიერი სფერო,
თუმცა პირველად ბნელი იყო ეს დიდი ბურთი;
მერე კი შექმნა ღმერთმა მთვარე და ვარსკვლავები,
და ვით თესვის დროს — ცაში ისე მიმოაბნია.
შემდეგ სინათლეს, გამოხვეულს ღრუბლის კარავში,
ჩამოაცილა უდიდესი ნაწილი ღმერთმა
და მზის სფეროში გადიტანა, იქ მოათავსა.
დასვრეტილ იყო იგი სფერა — უნარი ჰქონდა
თხიერ სინათლით გავსილიყო, გაჟღენთილიყო,
დასწაფებოდა ნათელ სხივებს უფროორე ხარბად.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და ქცეულიყო ის სინათლის დიად სასახლედ.
სხვა ვარსკვლავებმაც აქა ჰპოვეს სინათლის წყარო,
ოქროს ფიალებს აქ ივსებენ, ამ სასახლეში,
ცისკრის ვარსკვლავიც რქებს მას შემდეგ აქ ივარაყებს;
დღის მბრძანებელი, მოელვარე მანათობელი,
აღმოსავლეთით აღმობრწყინდა თავდაპირველად,
და მთელი მხარე გაახვია ოქროს სხივებში,
ილხენდა, ვიდრე ცაში გრძელს გზას დაადგებოდა.
მის წინ კი, ცეკვით, განთიადი და პლეიადა,*
ღვრიდნენ გულუხვად ნათელ სხივებს და მოილხენდნენ.
ვით სარკე მზისა — მთვარე, უფრო ნაკლებ ელვარე,
იმის პირდაპირ, დასავლეთით იჯდა ზეცაში
და ნათელს მზისგან სესხულობდა; იმ ხანად იმას
არც სჭირდებოდა სხვა ნათელი, უფრო ძლიერი.
დაღამებამდე მთვარე იცდის დასავლეთ მხარეს,
ამასობაში შემოუვლის ცის დიდ ღერძს ირგვლივ
და ნათელს მოჰფენს საღამო ხანს აღმოსავლეთით;
მეფობას თვისას იგი იწყებს თავისზე მცირე,
ათასობით და ათასობით ვარსკვლავთ თანხლებით,
რომლებიც ზეცას ამკობენ და ავარაყებენ.
დამშვენებული ამ ბრწყინვალე მანათობლებით,
მათი ჩასვლითა და ამოსვლით გახარებული,
ასე დასრულდა მეოთხე დღე, მეოთხე ღამე.

„და თქვა უფალმა: „წყლებმა მყისვე ქვირითისაგან
ქვეწარმავლები გააჩინონ, ცოცხალნი არსნი;
ხოლო ქვეყანა დაიფაროს მყის ფრინველებით,
ფრთოსანნი ლაღად ნავარდობდნენ ცის სამყაროში“.

„თქვა და მაშინვე შექმნა ღმერთმა ვეშაპნი დიდნი,
ქვეწარმავალნი და ყოველი მცოცავი არსი,
ხოლო მიწაზე ფრინველები აურაცხელი.
და რა იხილა კეთილ იყო, ასე აკურთხა:

„ჰე, აღორძინდით და გამრავლდით, აღავსნეთ წყალნი,
„ზღვები და ტბები, მოჩუხჩუხე მდინარეები,
„ხოლო ფრინველნი მრავლდებოდნენ მიწასა ზედა“:

„დაუყოვნებლივ ზღვები, ტბები, მდინარეები,
ყოველი უბე და ყოველი პაწია ყურე
გაივსო თევზის აურაცხელ ქარავანებით,
დაჰქროდნენ ლაღად, სრიალებდნენ მწვანე ზვირთებში,
აელვარებდნენ მოხდენილად ქერცლსა და ფარფლებს,
შეჯგუფდებიან ერთად ზოგჯერ — კლდე გეგონებათ,
ზოგი მარტოკა, სხვები ერთად, ქარავანებად
დასრიალებენ, სძოვენ ხოლმე ზღვის ბალახებში,
ხან შეძვრებიან, წრიალებენ მარჯნებში მარდად,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ხან კი ანკობით და თამაშით ამოხტებიან
და ოქროსფერად მოხატულ ზურგს მზეს მიუშვერენ;
ზოგნი, შემძვრალნი ნიჟარებში მარგალიტისა,
ელოდებიან მოთმინებით ნესტიან საკვებს,
ან დარანებში მიმალული ჯავშნიანები
უთვალთვალებენ საკვებისთვის რაიმე ნადავლს;
ზოგან, წყნარი ზღვის ზედაპირზე ფუკინ-სელაპი
და კუზიანი დელფინები ხტიან, გორავენ,
მოუხეშავი და ზორზოხი ცხოველნი ზღვისა
დადგაფუნობენ, აღელვებენ ოკეანეებს.
ცოცხალ არსთაგან უდიდესი, უზარმაზარი
ლევიათანი გაშოტილა ზღვაში კონცხივით
და სძინავს ასე დამშვიდებით, — როს გაცურდება,
ასე იფიქრებ, დაძრულაო მთელი ხმელეთი,
ზღვას შეისრუტავს ლაყუჩებით და ხორთუმიდან
ისევე უკან გადმოანთხევს მთელ ზღვას მთლიანად.
„ამასობაში დედამიწის ყოველ კუთხეში
თბილ მღვიმეებში, ჭაობებში და ნაპირებზე
გამოიჩეკენ კვერცხებიდან ფრინველთ გუნდები,
ნაჭუჭი ფრთხილად გამოსტეხეს და გამოფრინდნენ,
პირველად ჩვილი მართვეები, შეუბუმბლავი,
მაგრამ სულ მალე შეიბუმბლენ, შეისხეს ფრთები
და მედიდურად გაიქროლეს, გაინავარდეს,
ზიზღით დახედეს დედამიწას და ზეცას მიწვდნენ.
არწივს და ყანჩას ბუდეების გასაკეთებლად
კლდე მოუნახავთ, ან კენწერო დიდი კედარის.
ზოგი დაფრინავს უზრუნველად, ცაში ნავარდობს;
სხვებს მეტი ჭკუა უხმარიათ, გუნდი შეუკრავთ
და მოწყობილნი მწკრივში ერთად, წლის განსაზღვრულ დროს
გადაუვლიან გუნდ-გუნდებად ზღვებსა და ხმელეთს,
ერთად ფრენენ და ფრენას ამით იადვილებენ;
ასე დაფრინავს ფრთხილი წერო ყოველწლიურად,
და აურაცხელ, უთვალავი ფრთების ტლაშუნით
ჰაერი იძვრის, ტოკავს მათი გადაფრენის დროს.
ნაზი ჭიკჭიკით რტოდან რტოზე დახტის ჩიტუნა,
შლის ჭრელ ფრთებსა და საღამომდე ტყეს ახალისებს;
მერე ბულბული გააგრძელებს ღამით სიმღერას
და მთელი ღამე ტკბილსა ჰანგებს იგალობს ასე.
ვერცხლის ტბებსა და ნაკადულებს ეწვევა სხვები
და წყალში იბანს ფაფუკ გულმკერდს, ბუმბლით დაფარულს.
ამაყი გედი მედიდურის ყელმოღერებით
გაშლის მანტიის მსგავს თეთრ ფრთებსა და ლაღად ცურავს,
ნიჩბების ნაცვლად მოხდენილად უსვამს ფეხებსა;

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დასტოვებს ხშირად წყლის სარეცელს, ზე აიჭრება
და მძლავრი ფრთებით ცის ტატნობზე გაინავარდებს.
ზოგი ფრინველი კი მიწაზე ცხოვრობს და გოგავს.
გამყივანი ხმით მყუდროებას არღვევს მამალი,
და ყვავილებით, ვარსკვლავებით, ცისარტყელებით
მოხატულ ბოლოს ფარშავანგი კეკლუცად არხევს.
ასე გაივსო ზღვა — თევზებით, ცა — ფრინველებით.
და იქმნა მწუხრი, და განთიად — დღეი მეხუთე.

„ქვეყნის გაჩენის უკანასკნელს — მეექვსე დღესა
შეხვდნენ მწუხრის და განთიადის ტკბილი გალობით.
და თქვა უფალმა: „დედამიწამ აწ გამოიღოს
ახალი არსნი — ოთხფეხი და ქვეწარმავალნი,
მხეცი ყოველი მიწიერი და მცოცავები“.

„დაემორჩილა დედამიწა ღმერთის ბრძანებას,
გაიხსნა საშო ნოყიერი, ნაყოფიერი
და დაიბადა უთვალავი ცოცხალი არსი,
დასრულებული, ხორცშესხმული და სრულყოფილი.
მიწიდან ისე ამოვიდნენ მხეცები ტყისა,
თითქოს თავიანთ ბუნაგიდან გამომძვრალანო, —
სხვადასხვაგვარი ჯიში მხეცთა — ულრან ტყეებში,
ბუჩქნარებსა და სოროებში რომ უდევთ ბინა;
მორთეს მაშინვე ხეთა შორის წყვილ-წყვილად რბენა,
მწვანე ველ-მინდვრებს რქოსანთ ჯოგი მოედო ფიცხლავ,
ზოგან ცალ-ცალკე, ზოგან ერთად, ჯოგებად სძოვენ.
აგერ ნახევრად ამოსულა მიწიდან ლომი,
ცდილობს ამოძვრეს, თათებს იქნევს, სხმარტალობს, იღწვის,
და უცებ, თითქოს დაგლიჯაო ხუნდები ფეხზე,
ზეამოიჭრა, შეიბერტყა ფაფარი შმაგად.
იქით კი, თითქოს თხუნელები ამოძვრნენ ხვრელით —
ზეამოვიდნენ და თან ზურგით ამოიყოლეს
მიწის ზვინები — ვეფხვმა, ჯიქმა და ლეოპარდმა.
მარდი ირემიც ამოფრინდა ქორბუდა რქებით;
ერთგან ნელ-ნელა ამოფორთხდნენ მოუხეშავნი,
ცხოველთა შორის უდიდესნი — ბეჰემოტები;
ბალახებივით ამოვიდა, ამოეუეუნდა
ფარა ცხვრებისა და მყისავე ბლავილი მორთო;
აგერ ნიანგიც ამოვიდა, მდინარის ცხენიც, —
თუმც თქმა ძნელია: რას ეკუთვნის — ზღვასა თუ ხმელეთს!
უცებ მოედო დედამიწას ყოველი ჯიშის
ხოჭო და მატლი, ყოველგვარი მცოცავი მწერი,
ფრთების მაგივრად მარაოს მსგავს აპკებს არხევენ,
მწერთ სხვადასხვაგვარ ტანსაცმელით მოსავს ზაფხული,
მოხატული აქვთ მთელი ტანი სხვადასხვაფერად,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ოქროს წინწკლებით, მეწამულად, ლურჯად და მწვანედ;
ჭია-მატლები მიათრევენ თავის გრძელ სხეულს
და ნიადაგზე კვალს ავლებენ დაგრეხილს, კლაკნილს.
ყველა ნამცეცა როდი არის თავის ბუნებით:
ზოგი სიგრძითა და სიმსხვილით გველს შეედრება,
გველის მსგავსადვე დაგრეხილნი; ზოგს ფრთებიც მოსავს.
ჯერ გამოცოცდა ჭიანჭველა, სარვაგიანი,
ბეჯითი ფრიად, თადარიგს რომ წინასწარ იჭერს
და დიდი გული რომ უფეთქავს პატარა ტანში.
მაგალითადაც გამოდგება იგი ყველასთვის —
თანასწორობით ერთმანეთში და სამართალით;
მათ მოჰყვა მალე მთელი გუნდი მუშა-ფუტკართა,
თავიანთს ზარმაცს და უქნარა ქმრებს რომ ჰკვებავენ,
და თაფლისათვის სანთლის ფიჭებს რომ აკეთებენ;
სხვებიც გუნდ-გუნდად ამოვიდნენ, აურაცხელნი,
სახელი იმათ შენ თვითონვე შეარქვი ერთხელ,
თვისებაც მათი კარგად იცი — აღარ ჩამოვთვლი.
მათ შორის გველიც შენთვის კარგად ცნობილი არის,
ყველაზე მეტად ცბიერია მინდვრის არსთაგან,
ზოგი უზომოდ დიდი არის — ურცხვი თვალები
და საშინელი ფაფარი აქვს, ბეწვებიანი, —
თუმც შენ გმორჩილებს და ვნებასაც ვერ გაგიბედავს.
„ბრწყინავდა ზეცა, კაშკაშებდა მთელის დიდებით,
და მოკაზმული დედამიწაც იღიმებოდა;
ჰაერში, წყალში და ამ ფართოდ გაშლილ ხმელეთზე
ფრინველი, თევზი, მხეცი — რბოდა, ფრენდა, ცურავდა;
მეექვსე დღე კი ჯერ არ იყო დალამებული,
მთავარი საქმე ჯერ წინ იყო — ყველაფრის ბოლო,
ქვეყნად არ იყო გაჩენილი მთავარი არსი, —
არა პირუტყვი, არა მდაბლად მცოცავ-მღოღავი,
არამედ წმიდა გონივრობით გამორჩეული,
წელში გაშლილი, გამართული მთელი სხეულით,
მშვიდი, სხვა არსთა მბრძანებელი და გამგებელი,
შემცნობი თავის საკუთარის ღირსებებისა,
დიდსულოვანი, რაც ამსგავსებს მას ცის მკვიდრებთან.
უნდა ჰქონოდა ამ არსს გრძნობა მადლიერების,
უნდა შეეცნო, ეს სიკეთე ვინ მიანიჭა,
და მთელის გულით, ხმით, თვალებით, მთელის არსებით
თაყვანი ეცა უზენაეს შემოქმედისთვის,
ვინც მთავარ არსად შექმნა იგი — ყველა არსთაგან.
ამრიგად ღმერთმა, — იგი ყველგან სუფევს მარადჟამს, —
ყოვლადძლიერმა ძეს თავისას ასე მიმართა:

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„აწ შეექმნათ კაცი ჩვენდა ხატად და ჩვენდა მსგავსად,
„მთავრობდეს იგი თევზებს ზღვისას, ფრინველებს ცისას,
„პირუტყვებსა და მხეცებს, ქვეყნად მოხეტიალეთ,
„ყველა ქვემძრომს და ქვეწარმავალს — მიწაზე მხოხავს“.
„თქვა და შენ შეგქმნა, მიწის მტვერო, ო კაცო, ადამ!
ნესტოებიდან სასიცოცხლო სუნთქვა შთაგბერა,
მან თავისივე სახის შეგქმნა—ღმერთის ხატება,
და გახდი ასე შენ ცოცხალი სული უეცრად;
შენ შეგქმნა კაცად — დედაკაცი მოგცა მეუღლედ,
და ამის შემდეგ კაცთა მოდგმა ასე აკურთხა:
„მაშ აღორძინდით და გამრავლდით, აღავსეთ მიწა,
„დაეუფლენით მას, მთავრობდეთ თევზებს ზღვებისას,
„ფრინველებს ცისა და ყოველ არსს, ქვეყნად რაც დადის“.
„სახელწოდება იმ ადგილის, სად შეგქმნათ ღმერთმა,
არ არს ცნობილი არავისთვის. ეს კი შენც უწყი,
რომ შექმნის შემდეგ მოგიყვანათ ღმერთმა ამ ბაღში,
წარმტაც ჭალაში, ამ ღვთაებრივს მცენარეებში,
რომელთა გემოც და შეხედვაც განიჭებთ ლხენას.
მოგმადლათ მათი საამური, უხვი ნაყოფი;
აქ ყველა ჯიშის ხეხილი გაქვთ, რაც ხარობს ქვეყნად,
აურაცხელი, უსასრულო, — ოღონდ ნაყოფი
ხის ცნობადისა ბოროტისა და კეთილისა
არ უნდა ჭამოთ, თუ იგემეთ — მყისვე მოკვდებით,
სიკვდილი არის სასჯელი ამ შეცოდებისთვის.
გაფრთხილდით, მადა დაიოკეთ, თორემ იცოდეთ,
თავს დაგატყდებათ ცოდვა, რასაც სიკვდილი მოსდევს!
ასე დასრულდა ქვეყნის შექმნა. ნაღვაწი თვისი
განსჭვრიტა ღმერთმა, ნახა ფრიად კეთილი იყო.
და იქმნა მწუხრი და განთიად — ეს დღეც დასრულდა.
„არც კი დაღლილა მამა ღმერთი ამდენი შრომით,
შებრუნდა მაღლა, გაემართა ცათა ცისაკენ,
თავის მაღალი ტახტისაკენ, რათა იქიდან
ამ ახალ შექმნილ ქვეყნისათვის გადმოეხედა,
რომელიც ახლა მიემატა მის სამფლობელოს;
უნდა ეხილა, თვის ტახტიდან როგორ მოსჩანდა,
რა კარგი იყო, რა ლამაზი, როგორი ტურფა,
თავის დიდს აზრს და ჩანაფიქრს თუ უპასუხებდა.
მიდის ის მაღლა, მიაცილებს ქების ყიჟინა;
და ათი ათას ქნარის ჟღერა ციური ხმებით;
ჰქუხდა ქვეყანა, ჰქუხდა ზეცა, — შენც გეხსომება,
აკი შენ თვითონ მოისმინე იგი ყიჟინა.
რეკავდა ზეცა, ბანს აძლევდნენ თანავარსკვლავნი,
პლანეტები კი განუხრელად იდგნენ, უსმენდნენ
ამ საზეიმო და დიდებულ ზეაღსვლის ყიჟინს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„გადაიხსენით, ჰეი ბჭენო საუკუნენო, —
„გახსენით, ცანო, სასიცოცხლო კარები თქვენი,
„უნდა შევიდეს შემოქმედი, დიდებასრული,
„დაბრუნებული იმ ექვსი დღის დიდი ღვაწლიდან;
„ხშირად მოგიწევთ მომავალშიც გახსნა-გაღება,
„რადგან უფალი ხშირად ღირსჰყოფს ახალშექმნილებს,
„იხილოს თავად, ნახოს მათი საცხოვრებელი,
„ანდა ფრთოსანი ცის შიკრიკნი წარგზავნოს მათთან,
„უზენაესი, უმაღლესი დავალებებით.“

„ასე გალობდა ნათლმოსილი მთელი ამალა.
ფართოდ განიხსნა მოელვარე ბჭენი ზეცისა,
შევიდა იგი, გაემართა ღვთის სახლისაკენ, —
გზა არის ფართო, გადაშლილი, ოქროთ ნაგები
და მოკირწყლული უთვალავი ვარსკვლავებითა.
შენც ხედავ ხოლმე ღამღამობით იმ ნათელ რძის გზას,
ურიცხვ ვარსკვლავით მოჭედილსა, რომელიც ზეცას
აქვს სარტყელივით შემორტყმული, შემოვლებული.
ქვეყნად კი ამ დროს ღამდებოდა მეშვიდე ღამე,
მზე ჩაესვენა და ბინდბუნდი შემოიპარა.
ღმერთის ტახტს, მაღალს, მარადიულს და შეურყეველს,
რომელიც წმიდა მთაზედა დგას შემაღლებულად,
ძე მიეახლა და მიუჯდა დიდ მამას გვერდით.
თვითონ უფალიც ძეს თან ახლდა, ქმნიდა ქვეყანას,
ოღონდ არ იყო იგი ხილულ, იჯდა თვის ტახტზე,
რადგან მარადჟამს, ყველგან სუფევს ყოვლადძლიერი.
იღწვოდა, ქმნიდა, შემოქმედი ყოვლი საგნისა,
ახლა საქმისგან განისვენა და დღე მეშვიდე
აკურთხა ღმერთმა და წმიდა ჰყო დასასვენებლად.
წმიდა დუმილი როდი ბრძანა უფალმა ამ დღეს:
ქნარი კვლავ ჟღერდა, განუწყვეტლივ, არა სცხრებოდა,
ისმოდა ტკბილი სალამურის და წინწილის ხმა,
ოქროს სიმები წკრიალებდნენ დამატკბობელად,
ამ ხმას ერთვოდა ანგელოზთა საგალობელიც,
ამოდიოდა კვამლი ოქროს საცეცხლურიდან
და მთა უფლისა დაიფარა საკმევლის ღრუბლით.
სამყაროს შექმნის ექვს დიად დღეს აქებდა გუნდი:

„საქმენი შენნი, იეღოვა, დიდნი არიან,
„ძალა — უსაზღვრო, — რა ფიქრს ძალუძს მოგწვდეს, გაგზომოს,
„რა ენას ძალუძს ჩამოთვალოს საქმენი შენნი?!
„ახლა დაბრუნდი, შენ, უფროორე განდიდებული,
„ვიდრემდე მაშინ, ახგელოზნი რომ დაამარცხე.
„მაშინ მეხთტეხით განადიდე სახელი შენი, —
„მაგრამ ახალის შექმნა უფრო დიდი ღვაწლია,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„ვიდრე შექმნილის დანგრევა და განადგურება.
„ვინ რას დაგაკლებს, მძლე მეუფევ, ვინ შეგედრება!
„განდგომილ სულთა თავხედური, ფუჭი განზრახვა
„შენ სულ ადვილად ჩაშალე და გაანადგურე.
„უწმინდურები რას ფიქრობდნენ შენს დამცირებას!
„რატომ ეგონათ თაყვანმცემლებს ჩამოგაცლიდნენ?!
„შენს დამცირებას ვინაც ლამობს, ის უნებურად
„ხელს უწყობს შენსავ განდიდება-გაძლიერებას,
„მის ბოროტებას შენ იყენებ, სიკეთედ აქცევ.
„დასამოწმებლად — ეს ახალი ქვეყანაც კმარა:
„ზეცის ბჭეთაგან შორიახლო შენ დააფუძნე
„ახალი ზეცა — გამჭვირვალე წყლის ზედაპირზე;
„იგი სიდიდით არის თითქმის განუზომელი,
„თავის უთვალავ ვარსკვლავებით, რომელთაგანაც
„თითო ვარსკვლავი, ალბათ, ცალკე სამყარო არის,
„დანიშნულება მათი მხოლოდ შენ უწყი, ერთმა.
„მათ შორის ერთი — დედამიწა ზღვებით მოცული,
„საცხოვრებლად დაუმკვიდრე შენ ადამიანს.
„სამგზის კურთხეულ არის კაცი და მოდგმა მისი,
„ღმერთმა ნეტარჰყო, თავისივე ხატებად შექმნა,
„რათა იცხოვროს და უფალი ადიდოს მარად.
,,თვისივ შექმნილი ზღვა, ჰაერი და მიწა მისცა,
,,რათა ამრავლოს მისი წმიდა თაყვანის მცემნი.
,,სამგზის ნეტარ არს, თუ შეიცნობს ამ ნეტარებას
,,და მარადჟამს თუ შეინახავს, შეინარჩუნებს".
„გალობდა გუნდი, ცაში რეკდა ალილუია;
წმიდა შაბათი გაატარეს იმათ ამგვარად.
ადამ, მე თხოვნა შეგისრულე, გაგაგებინე,
როგორ შეიქმნა ეს სამყარო, და ყველა არსი;
შენს გაჩენამდე რაც კი მოხდა, უკვე გიამბე.
შთამომავლობას შენ თვითონვე მოუთხრობ ამას;
ახლა იქნება კიდევა გსურს რისიმე ცოდნა,
მკითხე და გეტყვი, კაცის ჭკუა რასაც მიწვდება".

www.PDF.ChiaturaINFO.GE

წიგნი მეორე

შინაარსი

ადამი რაფაელს ჰკითხავს ციურ სხეულთა მოძრაობის შესახებ, მაგრამ ანგელოზი გადაჭრით არ უპასუხებს ამაზე და ურჩევს ადამს, ისეთი რამეებით დაინტერესდეს, რაც უფრო სასარგებლო იქნება მისთვის. ადამი ემორჩილება მას, და რომ უფრო დიდხანს გააჩეროს რაფაელი, მოიგონებს თავის გაჩენის ისტორიას, როგორ ჩაასახლა ღმერთმა სამოთხეში, როგორ ესაუბრა უფალს თავისი მარტოობისა და ამხანაგის საჭიროების გამო. პირველი შეხვედრა და საქორწინო კავშირი ევასთან. ანგელოზი კვლავ გააფრთხილებს ადამიანებს და წავა.

აქ დაასრულა ანგელოზმა ამბავი თვისი;
მაგრამ ადამი, მოხიბლული მისი ტკბილი ხმით,
იჯდა უძრავად, გულისყური მისთვის მიეპყრო.
ერთხანს ეგონა, კვლავ ვისმენო მისი ხმის ჟღერას,
მერე კი უცებ გამოფხიზლდა და უპასუხა:

„რით დაგიმადლო, რა მოგიზღა სამაგიერო,
შენ, ღვთაებრივო მომთხრობელო, რომელმაც ახლა
ასე გულუხვად მომიკალი ცოდნის წყურვილი;
ინებე ჩემთან გატოლება და ღირსსამყავი
მოგეთხრო ასე მეგობრულად მთელი ამბები,
რასაც უშენოდ ჩვენი ჭკუა ვერ მიწვდებოდა.
მიკვირს, რომ ვისმენ, თან მიხარის და, ვით შემფერის,
მოკრძალებულად თაყვანსა ვცემ მაღალ შემოქმედს.
კვლავ დამრჩა ზოგი საეჭვო რამ და გასარკვევი,
რომელთა ახსნა-განმარტება შენ ძალგიძს მხოლოდ.
როცა შევყურებ ჩვენს სამყაროს, ცასა და მიწას
და მათს სიდიდეს როცა კარგად ავწონ-დავწონი,
მე დედამიწა მეჩვენება წერტილად, მარცვლად,
ამ სამყაროსთან შედარებით, ამ აურაცხელ
ცის მნათობებთან შედარებით, რომლებიც, ვხედავ,
დასრიალებენ განუზომელ სივრცეში მარდად;
მათს მოძრაობას იმით ვგრძნობ, რომ ადგილს იცვლიან

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და ყოველდღიურ ძველ სამყოფელს უბრუნდებიან.
თითქოს ეს ვალი ჰქონდეთ მხოლოდ დაკისრებული,
რომ დედამიწას — ჩაბნელებულ ნამცეცა წერტილს —
შუქი მოჰფინონ განუწყვეტლივ, დღისით და ღამით,
სხვა მხრივ, ვეება ვარსკვლავები უქმად არიან.
ამას ვფიქრობ და მიკვირს ხოლმე ძალიან ხშირად,
როგორ მოხდა, რომ ზომიერი, ბრძენი ბუნება
შეუსაბამო და უცნაურ საქმეს აკეთებს: —
ჰქმნის მრავალ სახის, კეთილშობილ, დიად სხეულებს
და მხოლოდ ერთი მიზნისათვის, სხვას მე ვერ ვხედავ:
უნდა იბრუნონ, განუწყვეტლივ, როს დედამიწა,
რომელსაც, წესით, მოძრაობა უფრო შეჰფერის,
დგას ერთ ადგილას, უმოძრაოდ და იმსახურებს
თავისზე უფრო კეთილშობილ სხეულებს ცისას,
მიზანს კი აღწევს უზრუნველად, გაუნძრეველად;
ამ აურაცხელ ვარსკვლავთაგან, რომელთა სრბოლა
ისე სწრაფია, გაზომვასაც ვერ მოახერხებ,
სითბოს, სინათლეს ისე იღებს, როგორც ხარკს ნამდვილს".

თქვა და შეეტყო, რომ მოიცვეს მძიმე ფიქრებმა.
ეს რა შენიშნა მოშორებით მჯდომარე ევამ,
წყნარად წამოდგა, ღირსეულის თავის დაჭერით,
მაგრამ ისეთის სინაზითა და სიკეკლუცით,
რომ მნახველს გული დასწყდებოდა, ნეტავ დარჩესო, —
ადგა ევა და გაემართა ყვავილებისკენ,
უნდა ენახა კოკრები თუ გადაიფურჩქნენ
მისი მოვლილი ბუჩქებისა. მის დანახვაზე
ხილნარ-ყვავილი გაიშალა უფრორე ჩქარა,
ხოლო როდესაც იმან ნაზად შეახო ხელი,
გახალისდნენ და ტანის აყრა სწრაფად დაიწყეს.
განა მსჯელობა არ ეამა, მიტომ გაშორდა!
ან განა ევა მაღალ აზრებს ვერ მიწვდებოდა!
მარტოს უნდოდა მოესმინა ადამისათვის
და ინახავდა ამ მოსმენის სიამოვნებას.
ანგელოზს იგი — ქმრის მოსმენას ამჯობინებდა,
უფრო ხალისით ჰკითხავდა ქმარს და მიხვდებოდა.
კარგად იცოდა, რომ ადამი ამ საუბარში
საამო ამბებს ჩაურთავდა და მაღალ აზრებს
ცოლქმრულ ალერსით გადასცემდა, განუმარტავდა.
ეჰ, როსღა ვნახოთ ჩვენ ასეთი მეორე წყვილი,
სიყვარულით და მოკრძალებით შეერთებული?!
ვიდოდა ევა ღვთაებრივის მიხვრა-მოხვრითა,
და განა მარტო! ვით დედოფალს, მასაც ყოველ მხრით

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გულისმომგები, დიდებული გრაცია ახლდა,
ისროდა ისრებს, აღაგზნებდა სუყველას ნატვრით:
მუდამ ვხედავდე, ნეტა თვალს არ მიეფაროსო!
რაფაელი კი მიუბრუნდა მოწყალედ ადამს
და შეკითხვაზე მან უბრალოდ ეს უპასუხა:

„მე არ გაგკიცხავ შეკითხვისთვის, მძიებლობისთვის,
რადგანაც ზეცა, ღვთის წიგნია, შენს წინ გაშლილი
და გასაკვირველ ღვთის საქმეთა წაკითხვა გმართებს,—
დრო უნდა დაჰყო საათებად, დღეებად, წლებად.
ამას თუ მისწვდი, დროს დაყოფა თუ შეგიძლია,
რაღას დაეძებ—ზეცა ბრუნავს თუ დედამიწა.
სხვა ყველაფერი ჩვენმა დიდმა ხუროთმოძღვარმა
ძალიან ბრძნულად დაუფარა კაცს და ანგელოზს,
არ გაუმხილა საიდუმლო, რადგანაც იმათ,
ვისაც ღვთის საქმით აღტაცება მართებს მარტოდენ,
არ შებედონ და არ დაიწყონ ამ ღვაწლის განსჯა.
მაგრამ თუ მაინც ისურვებენ ჩაწვდნენ იდუმალს,
აჰა გადუხსნა ღმერთმა მთელი ცის განლაგება,
დაე იდავონ და იმსჯელონ; უფალს სურს ალბათ,
იცინოს იმათს ახირებულს მოსაზრებებზე,
როს მოჰყვებიან ცის გაზომვას, ვარსკვლავთ აღრიცხვას,
წარმოსახვაში ააგებენ ცის მსგავსს რაღაცას,
მერე დაშლიან, ააგებენ ახალ სისტემებს;
მოუნახავენ ზოგჯერ ცენტრსა, ხანაც უცენტროდ,
ჩხაპნიან ასე წრეს წრეებში, ციკლს და ეპიციკლს.
შენი მსჯელობა სწორედ ამას მაფიქრებინებს:
შენ, მთელი მოდგმის მამამთავარს ასე გგონია,
რომ შედარებით ნათელი და დიდი სხეული,
სინათლითა და ზომით მცირეს არ მსახურებდეს,
არც ზეცა უნდა მოძრაობდეს, თუ დედამიწა,
თვით უმოძრაო, მთელს სიკეთეს ზეცისგან იღებს.
ჯერ ამას მიხვდი, რომ სიდიდე და ელვარება,
უკეთესობას სრულებითაც არ მოასწავებს.
მიწა, ზეცასთან შედარებით, ხომ პატარაა,
არცა ელვარებს, მაგრამ იქნებ სიკეთეს იგი
მეტს შეიცავდეს, ვიდრე, თუნდაც მზე მოელვარე,
რომლის სიკეთე თავისთავად არაფერია,
თუკი სხივები ნაყოფიერ მიწას არ სტყორცნა.
მაგრამ მნათობნი მიწას მაინც არ მსახურებენ,—
შენ გმსახურებენ, დედამიწის მკვიდრო მცხოვრებო!
ზეცას რომ ხედავ, ფართოდა და ვრცლად გადაჭიმულს,
დე, მეტყველებდეს ეს უფალის დიდებულებას.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ასე ვრცელული და უსაზღვრო იმიტომ შექმნა,
რომ კაცმა არ თქვას, ჩემს საკუთარ სახლში ვცხოვრობო;
დიდ სამყაროში მას პაწაწა ყურე უბოძა,
სხვა რად სჭირდება, უკეთ უწყის ღმერთმა თვითონვე.
სწრაფი ტრიალი ამ ურიცხვი სხეულებისა,
ადასტურებენ ღმერთის ყოვლისშემძლებელობას,
ვინაც სისწრაფე სხეულებრივ ნივთიერებას
ისეთი მისცა, რაც სულიერ ძალას შეჰფერის;
ალბათ ვერ იტყვი, ნელი ვიყო: მე დილას მოვწყდი
ღვთის სასუფეველს, მაღალ ზეცას და შუადღემდე
ედემში ვიყავ ჩამოსული. ეს დიდი გზაა,
არ გამოითქმის, ვერ გაზომავ მას ვერა რიცხვით.
მე ამას მხოლოდ მისთვის ვამბობ, ძრაობა ცისა
მხოლოდ იმიტომ მივიჩნიე შესაძლებლადა,
რომ დავამტკიცო შენი ეჭვის უსაფუძვლობა.
ეს როდი ნიშნავს, რომ შენს აზრებს ვადასტურებდე,
თუმცა მიწიდან გეჩვენება შენ მართლაც ასე.
ასე იმიტომ დააშორა ღმერთმა ცა მიწას,
რომ კაცთა აზრი გზებს თავისას ვერ მიწვდომოდა,
რომ კაცი, თუკი გაბედავდა დაზვერვას ცისას,
ვერ ჩასწვდომოდა მაღალს საქმეთ, დაბნეულიყო...
აბა რას იტყვი, მზე რომ იყოს სამყაროს ცენტრი
და დანარჩენი ვარსკვლავები მიზიდვის ძალით,
უვლიდნენ ირგვლივ სხვადასხვა გზით, მრავალწრიულად?!
ხანდახან მაღლა მოძრაობენ, ზოგჯერაც დაბლა,
იმალებიან და ისევე გამოჩნდებიან,
ხან წინ მიდიან, ხანაც უკან, ხან არ იძვრიან.
ასეთს შენ ხედავ ექვს პლანეტას. იქნებ მეშვიდე
იყოს ეს შენი დედამიწა, აბა რას იტყვი?
იქნებ მოძრაობს შეუმჩნევლად, სამ სხვადასხვა გზით,
თუმც გეჩვენება თითქოს სულაც უძრავი იყოს!
რასაც მიაწერ მოძრაობას სხვა სფერებისას,
ხომ შეიძლება იყოს მხოლოდ მოჩვენებითი;
იქნებ მზე არც ქმნის დღე და ღამის მონაცვლეობას
და მხოლოდ სფერა, უხილავი, ვარსკვლავებს ზემოთ,
იწვევდეს ასეთს მოძრაობას დღის და ღამისას.
ან იქნებ მიწა მოგზაურობს აღმოსავლეთით,
და თავის სფეროს ნახევრისთვის დღეს თვითვე იჭერს,
ხოლო მზის სხივებს მოკლებული სხვა ნახევარი
ღამესა ხვდება; ერთ მხარეს-ღა აკრავს ნათელი.
ან რა იქნება, დედამიწის ნათელი ესე,
სჭრიდეს ვრცელსა და გამჭვირვალე ჰაერის ფენებს,
და ვარსკვლავივით ანათებდეს დღისით იმ მთვარეს,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ისევე როგორც მთვარე ღამით ანათებს მიწას?!
იქნებ ხმელეთი იყოს ისიც, დასახლებული!
ხომ ხედავ როგორ ღრუბლებივით აკრავს ლაქები;
ღრუბლები წვიმას წარმოქმნიან, წვიმა, თავის მხრივ,
არბილებს მიწას და ნაყოფს ზრდის საზრდო-საკვებად.
იქნებ შენიშნო სხვა მზეები და მთვარეები,
რომლებიც ერთურთს ქალურ-ვაჟურ სხივებს სტყორცნიან,
(ეს ორი სქესი მთელს სამყაროს სიცოცხლეს ჰმატებს),
იქნებ ცოცხალი არსიც იყოს იმა სფერებზე!
რაღა თქმა უნდა, საეჭვოა, რომ ბუნებაში
ასე ვეება სივრცე იყოს დაუსახლები,
უკაცრიელი, უდაბური და უსიცოცხლო,
და მნათობები მსახურობდნენ მხოლოდღა იმას,
რომ ამ სიშორეს, დასახლებულ დედამიწაზე,
გზავნოს ყოველმა თავის წილი სინათლის სხივი...
სულერთი არის — ასე იყოს, გინდა სხვაგვარად:
მზე დაადგება ცეცხლოვან გზას აღმოსავლიდან,
თუ დედამიწა წყნარად გასწევს დასავლეთიდან
და მგზავრობის დროს, თავის ღერძის ირგვლივ მბრუნავი,
შენაც წაგიყვანს, შეუმჩნევლად, ჰაერთან ერთად;
დაფარულ საქმის გამოცნობით თავს ნულარ იმტვრევ,
მიანდე უფალს, ზენაარსა, შენ ყველაფერი,
იმისი შიში გქონდეს მხოლოდ, მას მსახურებდე;
საცა ინებებს, იქ მიუჩენს ყველას სამყოფელს,
მან რაც მოგმადლა, იხარებდე იმითი მარად —
სამოთხითა და მშვენიერი ტურფა ევათი;
ცაში რა ხდება — ვერ მიწვდები, ცა მაღალია.
იყავი შენთვის ბრძნულად დაბლა, დედამიწაზე
და ის იფიქრე, რაიც მხოლოდ შენ შეგეხება,
სხვა სამყაროზე ნუ ოცნებობ, ნუ გსურს გაიგო,
რა ცხოვრობს იქა, რანაირი, რა ბუნებისა;
ესეც გეყოფა — განა მარტო დედამიწისა,
მე აგიხსენი მაღალი ცის ამბებიც ახლა".

ეჭვებისგან განწმენდილმა ადამმა უთხრა:
„ჰოი ნათელო ანგელოზო, ცის წმიდა სულო,
შენ მე მთლიანად გამიფანტე ყოველი ეჭვი,
დახლართულ გზიდან დამიხსენი, გამომიყვანე,
და შემასწავლე იოლი გზით სვლა ცხოვრებაში.
ტკბილი სიცოცხლე მძიმე ფიქრით რად ჩავიმწარო?
ღმერთმა ყოველი საზრუნავი ჩამოგვაშორა,
თუკი თვითონვე არეული, ფუჭი ფიქრებით
არ გავწვალდებით და თავს ჩვენვე არ დავიტანჯავთ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მაგრამ ოცნება და გონება, ჩვენს უნებურად,
ხეტიალობენ და ხეტიალს არ უჩანს ბოლო,
თუ არ გავფრთხილდით, არ შევიგნეთ გამოცდილებით,
რომ დიდ, და ჩვენგან დაშორებულ რთულ და ბუნდოვან,
ჩვენთვის ურგები საქმის ცოდნა — არა გვჭირდება;
ქვეყნად მთავარი და პირველი სიბრძნე ეს არის —
შევიცნოთ იგი, რაც თან ახლავს დღიურ ცხოვრებას.
მეტის წადილი — ბურუსია, ამაოება,
სიცარიელე და ბრიყვული თავგასულობა;
მაღალს მივსდევთ და რაც გვეხება მასაც ვერ ვწვდებით,
გამოუცდელი, უნიათო, უვიცნი ვრჩებით.
მაშ, მაღლა ნავარდს დავეხსნათ და დაბლა ვიფრინოთ,
ვილაპარაკოთ სასარგებლო საგნებზე მხოლოდ,
იქნებ საკითხი შესაფერი აღგვეძრას მაშინ,
რისი გაგებაც არ იქნება ჩემთვის ურგები,
მჯერა, ღირსსა მყოფ, მიპასუხებ ჩვეულ წყალობით.
შენ მომიყევი, ჩემს შექმნამდე რაც კი მომხდარა,
ახლა მისმინე, მსურს მოგითხრო ჩემი ამბავიც,
ალბათ არა გაქვს გაგონილი. დღე ჯერ დიდია,
ხომ ხედავ, როგორ ეშმაკურად ვცდილობ დაგტოვო,
გეპატიჟები, საუბარით მსურს შეგიქციო,
იმედს არ ვკარგავ, რომ რაიმეს კვლავაც მიამბობ.
შენთან რომ ვზივარ, მეჩვენება, ზეცაში ვიყო,
შენთან ბაასი გაცილებით უფრო ტკბილია,
ვიდრემდე მძიმე შრომის შემდეგ, ტკბილ განცხრომის დროს
პალმის ნაყოფით წყურვილის და შიმშილის მოკვლა;
რადგან ნაყოფით დანაყრდები, გულს მოიყიჭებ,
შენთან ბაასი, ღვთაებრივი სიტყვები შენი
ისე ტკბილი და საამოა, რომ ველარ ვძღები“.

ციურ სიმშვიდით უპასუხა მას რაფაელმა:
„კაცთ წინაპარო, შენი ბაგეც ტკბილსასმენია,
არც შენ გაკლია საამური მჭევრმეტყველება,
ღმერთმა მოგმადლა შენ გულუხვად ყოველი ნიჭი,
შინაგანიც და გარეგანიც, თვის სახე მოგცა.
ულბნობ თუ სდუმხარ — არ გაკლია ეშხი, ლაზათი,
მიხვრა-მოხვრითაც და სიტყვითაც მიმზიდველი ხარ.
ზეცაში შენზე, მიწიერზე, ისევე ვზრუნავთ,
როგორც ჩვენივე ანგელოზზე, უფლის მსახურზე,
თვალყურს ვადევნებთ აღტაცებით კაცთა გზას ღვთიურს,
რადგანაც ვხედავთ, რომ უფალი პატივისცემით
და სიყვარულით, თანაბარით, გეპყრობათ თქვენაც.
სთქვი და მოგისმენ; იმ დღეს სწორედ ციდან წარმგზავნეს,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შორი გზა მქონდა ბნელი, ძნელი და დახლართული,—
ჯოჯოხეთისკენ წარგვაგზავნეს ანგელოზთ გუნდი,
რათა გაგვეგო, ხომ არავინ შემოაპარეს
სასუფეველში — მტერი ანუ ჯაშუში ვინმე,
რათა ზენაარს, განრისხებულს ამ თავხედობით,
ახლის შექმნაში არ ჩაერთო განადგურება.
თუ ღმერთის ნება არ იქნება, თავხედი მტერი
როგორ გაბედავს ამხედრებას! მაგრამ ჩვენ მაინც
გვაგზავნის ხოლმე, დავალებებს გვაძლევს უფალი,
რათა მორჩილად შევუსრულოთ მაღალი ნება
და შევეჩვიოთ მის ბრძანების სწრაფ შესრულებას.
დახშული დაგვხვდა ჯოჯოხეთის პირქუში კარი,
მჭიდროდ დახშული და ურდულით გამაგრებული;
მაგრამ შორიდან შემოგვესმა აურზაური,
არ ჰგავდა იგი სიმღერის და ცეკვის ჟრიამულს,
კვნესა ისმოდა, წამების და ჩივილის კვნესა
და გაცოფების საშინელი შეძახილები.
გახარებულნი გამოვბრუნდით სინათლისაკენ,
ეს იყო მწუხრი შაბათისა... მაგრამ დაიწყე,
მეც ისეთივე ინტერესით მოგისმენ ახლა,
ვით შენ მისმენდი, გავიხარებ შენი სიტყვებით".
ასე უბნობდა ანგელოზი, ღვთის დარი სული,
და ჩვენმა დიდმა წინაპარმაც ასე დაიწყო:

„მოგითხროს კაცმა, ვით დაიწყო სიცოცხლე თვისი,
ძნელი იქნება, ან ვინ იცის, თუ როგორ გაჩნდა?
მაგრამ მაქეზებს შენთან დიდხანს ყოფნის სურვილი...
„უეცრად თითქოს ღრმა ძილიდან გამომეღვიძა,
ვხედავ ყვავილით ამოქარგულ მდელოზე ვწევარ,
დანამულია სურნელოვან სინესტით მდელო,
მაგრამ მზის სხივმა მსწრაფლ გააშრო და აორთქლა...
გაკვირვებული თვალი უცებ ზეცას მივაპყარ
და ერთხანს ასე შევჰყურებდი ვრცლად გაშლილ ტატნობს,
მერე კი, თითქოს რაღაც ძალა მეწევა იქით,
ზეწამოვიჭერ და პირდაპირ დავდექი ფეხზე.
ჩემს ახლო-მახლო, ირგვლივ ვხედავ გორაკებს, ველებს,
დაბურულ ტყეებს და მზის სხივით დაფერილ მინდვრებს,
წმინდა, ანკარა, მოჩუხჩუხე ნაკადულებსაც,
ვხედავ ცხოველებს — ხტიან, რბიან, ფრენენ ჰაერში,
ტოტებზე სხედან ჩიტუნები და ჟღურტულებენ,
ყველას უხარის და ყველანი იღიმებიან.
მეც უეცარი სიხარულით ამევსო გული.
მერე დავუწყე შემოწმება ჩემივე სხეულს,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გავსინჯე კარგად მთელი ტანი, ყველა სახსარი,
ფეხი გადავდგი, გავირბინე — ვიგრძენი ძალა.
მაგრამ ვინ ვიყავ, სიდან მოველ, ან სად ვიყავი, —
ეს არ ვუწყოდი. ლაპარაკი ვცადე და მყისვე
ავლაპარაკდი, ენა ხელად დამემორჩილა,
სულ ყველაფერის სახელები შემეძლო მეთქვა.
ვთქვი: „ჰოი მზეო, მოელვარე მანათობელო,
შენც დედამიწავ, გახვეულო სინათლის ჩქერში,
ქორფა მინდვრებო, გორაკებო, წყლებო, ტყეებო
და მშვენიერო არსებანო, რომ ცოცხლობთ, ხტიხართ,
მაუწყეთ ერთი, ეს მითხარით, თუ დაინახეთ,
მე როგორ გავჩნდი, ან საიდან, აქ როგორ მოვხვდი?
თავისთავად ხომ, ცხადი არის, ვერ გავჩნდებოდი,
შემქმნიდა დიდი შემოქმედი, ღვთიური ძალა.
მაშ მარქვით, როგორ გამოვიცნო მე შემოქმედი,
როგორ ვადიდო, ვინც სიცოცხლის ძალა მომმადლა,
და მაგრძნობინა, რომ ვიქნები უნეტარესი“.

„ვამბობდი, თანაც ვშორდებოდი ზანტად იმ ადგილს,
სადაც პირველად შევისუნთქე ჰაერი წმინდა,
სადაც პირველად ვკიდე თვალი ნეტარ სინათლეს;
ვეხეტებოდი, მაგრამ საით — მეც არ ვიცოდი, —
რაკი პასუხი ვერ მივიღე, დაღონებული
დავჯექი ჩრდილში, ყვავილებით მორთულ მწვანეზე;
მაშინ მომიცვა მე პირველად საამო ძილმა,
გონება ნელა დამიმძიმდა, გამიბურუსდა,
მეგონა, თითქოს კვლავ ძველ ყოფას ვუბრუნდებოდი,
ვიძირებოდი ტკბილ ბურუსში, ნელ-ნელ ვქრებოდი...
მაგრამ უეცრად მომევლინა ძილში სიზმარი,
და დამარწმუნა, რომ ვცოცხლობდი, კვლავ ვარსებობდი.
თითქოსდა ვიღაც, ღვთის ხატება, გამომეცხადა
და მითხრა: „ადამ შენი სახლი შენ გელოდება;
„აბა, წამოდექ, შენ პირველო ადამიანო,
„მრავალრიცხოვან კაცთა მოდგმის პირველო მამავ!
„მომიწოდებდი, და ჰა მოველ, რათა წარგიძღვე
„ნეტარ ბაღნარში, შენს ბედნიერ საბრძანებელში“.
თქვა ეს და ხელი მომაშველა, წამომაყენა,
გადამატარა ვრცელი წყლები და ველ-მინდვრები, —
თითქოსდა ვფრენდი, მიწას ფეხსაც არ ვაკარებდი, —
ჩვენ მივადექით ტყით დაბურულს ერთ მაღალ მთასა;
მწვერვალზე იყო გადაშლილი წრიული ვაკე,
გარშემორტყმული აშოლტილი მცენარეებით,
დამშვენებული თალარებით და ბილიკებით;
რაც მე ვიხილე სულ პირველად დედამიწაზე,
ეგი ამასთან შედარებით არარა იყო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„მშვენიერ ნაყოფს დაეხუნძლა მცენარეები
და ისე თვალის მაცთუნებლად ეკიდნენ რტოზე,
რომ მყის მოწყვეტა მომესურვა, ნერწყვი მომადგა.
გამომეღვიძა, — და ცხადშიაც იგივე ვნახე,
თითქოს სიზმარი გაცოცხლდაო, მყის ამიხდაო,—
ის-იყო, უნდა შევდგომოდი კვლავაც ხეტიალს,
მაგრამ უეცრად ხეთა შორის თვალი მოვჰკარი,
ჩემს მეგზურს, ვინც აქ მომიყვანა — თვითონ ღვთაებას;
გული მოიცვა შიშნარევმა აღფრთოვანებამ
და მორჩილებით ჩავუვარდი ფეხებში უფალს.
წამომაყენა ღმერთმა ზეზე და ნაზად მითხრა:
„ვისაც ეძიებ — ის ვარ სწორედ. რასაც ჭვრეტ ახლა
„ზემოთ თუ ქვემოთ, ირგვლივ, ყველგან, — ეს მე შევქმენი;
„მე მოგანიჭე ეს სამოთხე — შენად ჩასთვალე,
„დაამუშავე, მოუარე, ხეხილი ჭამე.
„ნაყოფი ყოვლის მცენარისა, რასაც აქ ხედავ,
„ჭამე რამდენიც მოგესურვოს — არ მოგაკლდება,
„მაგრამ ნაყოფი ერთის ხისა, რომლისაც შეჭმა
„შენ ცოდნას მოგცემს ბოროტისას და კეთილისას,
„რაიც მე შენი ერთგულების და მორჩილების
„წინდად და ნიშნად მაქვს აქ ბაღში, სიცოცხლის ხესთან,
„არ უნდა ჭამო, — მე გაფრთხილებ, არ დაივიწყო!
„ერიდე იმ ხეს, მოერიდე იმა სიმწარეს,
„რასაც მოგივლენს შენ ცოდნის ხის ნაყოფის ჭამა,
„რადგან იცოდე, ჩემს ბრძანებას დაარღვევ ამით
„და რა წამს შესჭამ, სიკვდილითა მოკვდები მყისვე;
„დაჰკარგავ ამ სრულს ნეტარებას, განიდევნები
„მწუხარებისა და წუხილის სამფლობელოში,
„იმავე დღიდან შეიქნები მოკვდავი არსი“.
მკაცრად წარმოთქვა ზენაარმა მრისხანე მცნება,—
ახლაც კი ყურში მირეკავს და შიშის ზარსა მგვრის,—
მაგრამ სახეზე მოეფინა მალე ნათელი
და კვლავ განაგრძო გულმოწყალედ, ალერსიანად:
„არა მარტო ეს ტურფა ბაღი, შენ და შენს მოდგმას
„მე მოგანიჭეთ დედამიწა სულერთიანად,
„დაეუფლენით მასაცა, და რაც მასზედ ცხოვრობს,—
„წყალში, ჰაერში და მიწაზე — თევზს, მხეცს და ფრინველს,
„ნიშნად ამისა მე ახლავე შენ დაგანახვებ
„ყოველი ჯიშის ფრინველსა და მხეცსაც ყოველგვარს;
„აქ მოგგვრი, რათა ყველას მისცე სახელი თვისი,
„რათა შენდამი მორჩილება გაჩვენონ იმათ.
„თევზნიც, ცხადია, იქნებიან მორჩილნი შენნი,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„მაგრამ ვერ მოვლენ შენს წინაშე, რადგან არ ძალუძთ,
„წყლის სამყოფელი შეიცვალონ თხელი ჰაერით“.

„დაიწყეს მხეცთა და ფრინველთა წყვილ-წყვილად მოსვლა;
მხეცნი თავს ხრიდნენ და ალერსით შემომცქეროდნენ,
ხოლო ფრინველნი მორჩილებით ფრთებს ძირს უშვებდნენ.
რომ ჩაივლიდნენ, მე ვარქმევდი თავიანთს სახელს,
და ვგებულობდი სათითაოდ ყველას ბუნებას:
ღმერთმა ერთბაშად მომანიჭა ამის უნარი.
მაგრამ მათ შორის ის ვერ ვნახე, ვინც თითქოს მსურდა,
და მაშინ ხილვას ზეციურსა მე ეს შევკადრე:
„ო, რა გიწოდო, შენ ყველაზე მაღალო არსო,
ადამიანზე მაღლა დგახარ, ყველაზე მაღლა;
მთელი სამყაროს შემოქმედო, ასე გულუხვად
კაცთათვის ყოვლის სიკეთისა მომნიჭებელო,
ველარ მივმხდარვარ, როგორ უნდა გათაყვანებდე!
მაგრამ არ ვიცი, სიკეთე ვის გავუზიარო!
მარტოობაში ვინა ჰპოებს ბედნიერებას?“
„შევბედე ასე კადნიერად; ნათელი ხილვა
ღიმილმა უფრო გაანათა და მიპასუხა:
„შენ რას ეძახი მარტოობას? განა ეს მიწა
„სავსე არ არის არსებებით, სხვადასხვაგვარით?
„შენს ბრძანებაზე ყველა მოვა და თამაშს მორთავს.
„განა არ იცი მათი ენა და თვისებები?!
„მათაც იციან, გაგართობენ ისინი მუდამ,
„იმათ ბრძანებლობ, ვრცელი არის სამეფო შენი“.
„თქვა ეს სამყაროს მბრძანებელმა და თან შეეტყო,
ასევე ჰქონდა ჩემი ბედი გადაწყვეტილი;
მაშინ შევსთხოვე ლაპარაკის ნება მოეცა,
და მორჩილებით ვუპასუხე, შევემუდარე:
„ნუ განრისხდები ჩემს სიტყვებზე, ციურო ძალო,
გულმოწყალებით მომისმინე, ჩემო შემქმნელო.
აკი შენ თვითონ დამადგინე შენად შემცვლელად
და არსნი ესე შენ თვითონვე დამიმორჩილე!
აბა რა ძმობა, რა ერთობა, და რა სიამე
ექნებათ არსთა — უფლებებით უთანასწოროთ;
უნდა საერთო იყოს ესა, ყოველმა არსმა,
უნდა მიიღოს იმდენივე, რამდენსაც მისცემს.
ხოლო იქ, სადაც თანასწორნი არა ვართ ჩვენა,
სადაცა ერთი ძლიერია, მეორე — სუსტი,
ვერ მოხერხდება შეთანხმება, შეხმატკბილება,
ჩქარა ერთმანეთს სრულებითაც ვერ აიტანენ.
თანასწორობით მე ვგულისხმობ გონებით ერთგვართ,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ხოლო პირუტყვი კაცს ვეროდეს გაუტოლდება;
შეხმატკბილება ერთმანეთთან მხეცებსაც ძალუძთ:
აკი შენ მარჯვედ დააწყვილე ძუ ლომი ხვადთან.
მაგრამ ჩიტს მხეცთან, ან მაიმუნს ხართან რა უნდა!
ხოლო მით უფრო, კაცს მხეცებთან რა აქვს საერთო!“
„ამაზე ღმერთმა მიპასუხა იმავ სიმშვიდით:
„ბედნიერებას, უნეტარესს, ეტყობა, ჰპოებ
„შენივე მსგავსთან შეხვედრით და ურთიერთობით,
„მარტოობაში კი სიამეს შენ ვერ ნახულობ.
„მაშ ჩემზე, ნეტავ რაღას ფიქრობ, ამ ჩემს ყოფაზე,
„რას იტყვი, ვპოვებ მე საკმაო ბედნიერებას?
„მე ხომ მარტო ვარ, ერთადერთი, მუდმივობაში,
„არავინ ვიცი ჩემი მსგავსი, ტოლი — მით უფრო.
„ვისთან მოვნახო მე საერთო, ვის ვებაასო,
„თუ არ ქმნილებებს, ჩემივ შექმნილთ, ჩემზე უმდაბლესთ,
„რომლებიც ჩემგან დაბლა დგანან — უსაზღვროდ დაბლა,
„ხოლო ის მხეცნი შენთან უფრო ახლოს არიან“.
„მაშინ მივუგე მე მორჩილად: „უზენაესო,
ადამიანის ფიქრებს აბა სად ძალუძთ მისწვდნენ
მარადისობის გზების სიღრმეს და ან სიმაღლეს,
შენ ხარ სრულქმნილი, სრულყოფილი — არ რა გაკლია,
კაცი კი მხოლოდ მიისწრაფის სრულყოფისაკენ,
და იმიტომაც ეძებს იგი თავის მსგავსსავე,
რათა მიიღოს მისგან შველა, ანდა ნუგეში.
შენ რად გეჭირდება გამრავლება — ისეც უსაზღვროს,
უთვალავ ნივთში გამოვლენილს,—მაინც ერთადერთს;
ადამიანმა გამრავლებით უნდა ნათელჰყოს,
რომ სრულყოფილი ვერ იქნება მარტოობაში,
და თვისივ მსგავსთა გამრავლებით, მსგავსთა გაჩენით—
ნაკლი თავისი შეიმციროს, — ეს კი მოითხოვს
ერთურთ სიყვარულს და გულითად მეგობრობასა.
შენ — მარტოდმყოფი, გარმოცული იდუმალებით,
აღარ ეძიებ სხვასთან კავშირს, ურთიერთობას,
რადგან უკეთეს ერთურთკავშირს შენშივე ჰპოვებ.
მაგრამ თუ მაინც მოგესურვა, თვითონვე ძალგიძს
შენივე არსი გაალმერთო, შეუკავშირდე
და აღამაღლო — სადამდისაც შენვე ინებებ.
მე კი ქვემძრომთა ამაღლება სად შემიძლია,
ან რა ნუგეში უნდა ვპოვო მათთან კავშირით!“
გავბედე, ვუთხარ, ვისარგებლე მისი ნებართვით,
მან კი მომიგო ღვთიური ხმით, გულმოწყალებით:
„მე გცდიდი, ადამ, და ძლიერაც მესიამოვნა,
„რადგან გონებით გასცდენიხარ მხეცთა შეცნობას,—

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„რომელთაც მარჯვედ მოუძებნე შენ სახელები,—
„და შენივ თავი შეგიცვნია; კარგად გამოსთქვი
„თავისუფალი სულის განცდა, რაც მე მოგმადლე,
„ხოლო მხეცთა და პირუტყვთათვის არ მიმიცია.
„შენ დაჰგმე მათთან მეგობრობა და მართალიც ხარ;
„ამიერიდან ამგვარადვე უნდა იმსჯელო.
„ვიდრე მეტყოდი, მეც ვუწყოდი, რომ კაცისათვის
„არ იყო კარგი მარტოობა და შეგირჩიე
„მეგობრად არსი, როგორსაც ჯერ არ შეხვედრიხარ;
„ეს მხეცები კი მოგივლინე გამოსაცდელად,
„მსურდა მენახა — ტოლს, შესაფერს თუ აირჩევდი.
„ახალი არსი, დამიჯერე, მოგეწონება—
„შენივე მსგავსი, შემწე შენი, შენი ხატება,
„სწორედ ისეთი, როგორიც შენ გულით გეწადა“.

„მორჩა ლაპარაკს,—ანდა იქნებ მე არ მესმოდა;
ჩემი ბუნება, მიწიერი, ღვთის ძალამ სძლია;
დიდხანს გავუძელ, მთელი ძალა ისე დავჭიმე
ამ ამაღლებულ საუბარში, რომ თითქოს უცებ
დავბრმავდი კიდეც, დავიბნიდე, სულმთლად მოვდუნდი,
დავეგდე ძირსა, თითქოს შვებას ძილში ვპოვებდი,
და ბუნებამაც მომაშველა მაშინვე ძილი.
ღმერთმა თვალები დამიხუჭა, მაგრამ გამიხსნა
ოცნების კარი და შინაგან ხილვით აღმჭურვა;
თუმცა მეძინა, მაინც ვჭვრეტდი, დაბნედილივით,
როგორ ვიწექი მე მიწაზე. იქავე ახლოს
იდგა ხატება ნათლმოსილი; ის დაიხარა,
მარცხენა გვერდი გადამიხსნა და ამოიღო
იქიდან ნეკნი. ითქრიალა სიცოცხლის სისხლმა
და თან გამოჰყვა თბილი სული. ნაჭრილობევი
თუმც დიდი იყო — შემიხორცა, მყის განმიკურნა.
მერე აიღო ჩემი ნეკნი, ჩამოქნა ხელით,
და შექმნა არსი კაცის მსგავსი, თუმც სხვა სქესისა;
ისეთი ტურფა, მომხიბლავი, — რომ ყველაფერი,
რაც იქამომდე მე მიმაჩნდა ქვეყნის მშვენებად,
ამ სიტურფესთან შედარებით არარა იყო.
გული ამევსო შვებითა და სიამტკბილობით,
რაიც იმდროამდე არ მეგრძნო და არ განმეცადა;
მთელი ბუნება სიყვარულის ლხენამ მოიცვა.
მერე გამშორდა, და წყვდიადმა დამფარა ისევ;
გამოვიღვიძე, რათა მყისვე დამეწყო ძებნა,
თუ ვერ ვნახავდი — სამუდამოდ გამომეტირა,
და უარმეყო ყოველგვარი სიამოვნება.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მაგრამ უეცრად, უკვე იმედგადაწყვეტილმა,
თვალი მოვჰკარი იქვე ახლოს. ისეთი იყო,
სწორედ ისეთი, როგორიც მე სიზმარში ვნახე,
ზეცას და მიწას სულ ყველაფრით შეემკოთ იგი,
რის მინიჭებაც კი შეეძლოთ, რათა ყველასთვის
სასიყვარულო და საამო არსად ექციათ.
ჩვენი ციური შემოქმედი მას მოუძღოდა,
თუმც უხილავად, მხოლოდღა ხმით უკვლევდა გზასა.
წმიდა ცოლქმრობის წესრიგი მან უკვე იცოდა.
ყოველი მისი მოძრაობა წარმტაცი იყო,
ნათელ თვალებში ზეცის მადლი გამოუკრთოდა,
და მიხვრა-მოხვრაც — ღირსეული და სანუკვარი.
მე თავი ველარ შევიკავე, ლხენით შევძახე:
„ო, შემოქმედო, გულუხვო და შემწყალებელო,
ჩვენთვის ყოველი მშვენიერის მომნიჭებელო,
ახლა ყველაზე მშვენიერი და მომხიბლავი,
გამოიმეტე და მიბოძე, — არც რა მაკლია!
თითქოს ვხედავდე ჩემს წინაშე საკუთარ თავსა,
ჩემივ ძვალია-ძვალთაგანი, ხორც-ხორცთაგანი;
მას ცოლი ჰქვია, — გამოჰყავი შენ იგი ქმარსა;
მიტომაც ქმარმა დაუტევოს დედ-მამა თვისი
და შეეთვისოს ცოლსა თვისსა; ამიერიდან
გაერთიანდნენ — ერთხორც, ერთგულ, და ერთსულ იქცნენ«!
„მისმენდა, — და თუმც ღვთისგან იყო წარმოგზავნილი, —
ქალწულებრივმა მოკრძალებამ, კდემა-სიმორცხვემ,
პატიოსნებამ, საკუთარი ღირსების ძალამ,
არ მისცეს ნება მოსულიყო მაბეზარივით
და მყისვე ჩემი გამხდარიყო, ჩემს უთხოვნელად.
გაბრუნდა უკან და უფრორე სანუკვარ გახდა.
თვითონ ბუნებამ შთააგონა მას გაბრუნება,
ისე კი ფიქრით უცოდველი და წმიდა იყო.
გამოვედევნე და მომენდო ის ღირსეულად;
განთიადივით აწითლებულ-შეფაკლებული,
ის შევიყვანე, საქორწინო თალარში მაშინ.
ზეცამ და მთელმა ბედნიერმა ვარსკვლავთ კრებულმა,
გადმომალვარეს ნეტარების სიამე მყისვე;
დედამიწამაც გაიხარა მოლოცვის ნიშნად.
ჩიტები ლხენით ჟღურტულებდნენ; ნაზი ნიავი
და ანცი ქარი ჰქროდნენ ტყეში შრიალ-ჩურჩულით,
ფანტავდნენ ვარდის ფურცლებსა და ტყის სურნელებას.
ოლხენდა ყველა, ვიდრე ბოლოს ღამის ფრინველი
არ დაიწყებდა შეულლების ჰიმნის გალობას
და მთაზე შემდგარ მწუხრის ვარსკვლავს არ უბრძანებდა,
რომ საქორწინო ჩირაღდანი ენათებინა...

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„მე მოგიყევი მთელს ჩემს ყოფას, თავგადასავალს—
თუ ამ მიწიურს ნეტარებას როგორ ვეწიე;
უნდა გამოვტყდე, თუმცა მხიბლავს სხვაც ყველაფერი,
მაგრამ ასეთის გატაცებით როდი მიზიდავს:
ვგულისხმობ ჭამის სიტკბოებას, ხილვის სიამეს,
ყვავილთა, ანუ მცენარეთა სურნელებასა,
ფრინველთ გალობის ნეტარებას, სიარულის ნიჭს...
ეს სულ სხვა არის — მხოლოდ მას ვჭვრეტ აღფრთოვანებით,
მხოლოდღა მისი შეხება მგვრის მე აღტაცებას.
პირველად მასთან განვიცადე ვნების სიამე,
რაღაც უცხო და უცნაური აღფრთოვანება.
არ მაღელვებდა სხვა სიამე, მაღლა ვიდექი
და მხოლოდ მისმა სილამაზემ მძლია, გამტეხა.
იქნებ ბუნება დაიღალა, ვერ შემქმნა მტკიცე
და შეუვალი, — რომ მშვენებას გავმკლავებოდი,
ანდა გვერდიდან იქნებ მეტი ამომაცალა!
ამას კი ვხედავ, რომ ბუნებას გადამეტებულ
გულმოდგინებით შეუმკია ის გარეგნულად,
ხოლო შინაგან სრულყოფაზე ნაკლებ უზრუნავს.
მე კარგად მესმის, რომ გონებით, შინაგან ნიჭით
ბუნებამ შექმნა იგი ჩემზე უფრო მდაბალი,
ხოლო მშვენებით, გარეგანით — დგას ჩემზე მაღლა.
ჩვენს შემოქმედსაც აგრერიგად როდი ჰგავს იგი,
არც ჩემებრ ძალუძს მბრძანებლობა სხვა ქმნილებებზე.
და მაინც მუდამ, როცა მასთან ახლოს მივდივარ,
ისე სრულქმნილი მეჩვენება და სრულყოფილი,
ისე მშვენივრად შემცნობელი თავის თავისა,
რომ ყველაფერი, რასაც ამბობს, რასაც აკეთებს,
მგონია ბრძნული, გონივრული, საუკეთესო.
მაღალი ცოდნა, მასთან რომ ვარ, კნინდება, ქრება;
სიბრძნე, იმასთან საუბარში, ირევა ხოლმე
და მეჩვენება სიგიჟედა და სისულელედ.
ხელისუფლება და გონება მას მსახურებენ,
თითქოს ის უნდა შექმნილიყო თავდაპირველად,
მაგრამ ბოლოს რომ გაჩნდა ქვეყნად, — შემთხვევით მოხდა.
დიდსულოვნებით, სათნოებით არის აღვსილი,
რანიც თითქოსდა ჰყავდეს მას მცველ ანგელოზებად,
მის მიმართ შიშს და მოკრძალებას იწვევენ ხოლმე?!«
შუბლშეჭმუხვნილმა ანგელოზმა ასე მიუგო:
„ნუ ჰგმობ ბუნებას — თვისი საქმე მან გააკეთა,
შენც შენი ჰქმენი — საყოყმანოდ ნუ გახდი სიბრძნეს:
არ მიგატოვებს, შენ თვითონვე თუ არ დასტოვებ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და როცა ძლიერ გეჭირვება, მაშინ არ დასთმობ;
სულ უმნიშვნელოს მეტისმეტად ნუ აზვიადებ.
რასა სცემ თაყვანს, ასე ძლიერ რა გაფრთოვანებს?
მხოლოდ სიტურფე გარეგანი? მართლაც ტურფაა,
ღირსია შენის სიყვარულის, ტრფობა-ალერსის,
პატივისცემის, მაგრამ არა მორჩილებისა.
ჯერ შეადარე მას თავი და მერე განსაჯე.
ხშირად ყველაზე სასარგებლო კაცისთვის არის
თვისივე თავის ღირსეული პატივისცემა,
დაფუძნებული სწორ განსჯასა და სიმართლეზე.
რაც უფრო მეტად დაანახვებ გონების ძალას,
მით უფრო მეტად ის მიგიჩნევს თვისად წინამძღვრად,
და გარეგნობას დაუმონებს გონებას შენსას.
იგი მშვენებით შემკულია შენს გასახარად
და აღჭურვილი ჭეშმარიტი პატიოსნებით,—
ძალგიძს გიყვარდეს, პატივს სცემდე მეუღლეს შენსას,
რომელიც შენი სიბრძნის კლებას მყისვე მიხვდება,
მაგრამ თუკი შენ ამ ხორციელს ურთიერთკავშირს,
რასაც მოჰყვება გამრავლება კაცთა მოდგმისა,
ყველაზე უფრო სიამედ და სიტკბოებად სთვლი,
ესეც გახსოვდეს, რომ მხეცებსაც, სხვა პირუტყვებსაც
იგივ უნარი ყველასა აქვს მინიჭებული.
არც იქნებოდა ეს საერთო და საზიარო,
მასში რომ იყოს რამე წმიდა, ამაღლებული,
ღირსი იმისა — კაცის სული დაიმორჩილოს.
რასაც კი ნახავ ცოლში მაღალს, ადამიანურს,
ან მიმზიდველსა და გონივრულს — ის შეიყვარე!
შენ სიყვარულში ჰპოე შვება — არა ვნებაში,
რადგან ჭეშმარიტს სიყვარულსა ვნება არ ახლავს;
ფიქრებს სწმენდს ხოლმე სიყვარული, გულს აფართოებს,
საღ გონებაში არის იგი დაფუძნებული,
და თუკი ვნების წუმპეში შენ არ ჩაიფლობი,
მაშინ შეიძლებ, როგორც კიბეს, აჰყვე მას მაღლა
და ეზიარო უნეტარეს ციურ სიყვარულს.
მიტომაც იყო, რომ მხეცებში ვერ ჰპოვე ტოლი“.
მაშინ ადამმა უპასუხა ცოტა დარცხვენით:
„არცა მშვენება გარეგნული, არც სხვა რაიმე,
რაც გამრავლებას იწვევს ხოლმე ყველა არსისთვის,
(მე კი პატივს ვცემ ქორწინების წმიდა სარეცელს),
ისე არ მხიბლავს, როგორც მისი სათნო მოქცევა,
მისი სიტყვიდან თუ საქმიდან გამომდინარე,
ყოველდღიური ათასობით სიქველე მისი,
ჩაწნული ნამდვილ სიყვარულსა და ტკბილ ნდობაში,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რაც ჩვენ სულითა და გონებით ერთ არსად გვაქცევს.
შეხმატკბილებულ ცოლ-ქმრის ხილვა უფრო ტკბილია,
ვიდრე მოსმენა შეწყობილი ტკბილი ხმებისა.
მაგრამ მე იმას არ ვმორჩილებ. მე გადაგიხსენ
ჩემი გრძნობები შინაგანი, და ნუ იფიქრებ,
რომ ყველა გრძნობას, მრავალნაირს, თითქოს ვმონებდე,
მე მათ ვაფასებ თავისუფლად და რასაც მათგან
საუკეთესოდ დავიგულებ — იმას გავჰყვები.
სიყვარულისთვის ნუ გამკიცხავ — აკი თვით ამბობ,
რომ სიყვარულით ზეცაშიაც აღსვლა ძალგიძსო,
რომ სიყვარული არის ზეცის გზაც და მეგზურიც!
ახლა, თუკი მაქვს ამის ნება, ერთს რასმე გკითხავ?
ნუთუ სიყვარულს ცის სულები არ განიცდიან?
თუ განიცდიან, მაინც როგორ გამოხატავენ?
მხოლოდ შეხედვით? თუ სხივების ერთურთ არევით?"
მას ანგელოზმა, ვარდისფერად შეფაკლებულმა,
(ეს სიყვარულის ნიშანია) — ასე მიუგო:
„რისი ცოდნაც გაქვს, ის გეყოფა, — ჩვენ ნეტარი ვართ,
ნეტარებას კი ვინ მისწვდება უსიყვარულოდ!
რა სიწმიდესაც ხორციელი სიამითა გრძნობ,
(შენ კი წმიდად ხარ გაჩენილი), იმავ სიწმიდეს,
ოღონდ უფროორე ამაღლებულს, განვიცდით ჩვენცა;
ჩვენ ხელს არ გვიშლის დაბრკოლება სხეულებრივი,
წმიდა კავშირი სულთა შორის უფრო მტკიცეა,
ერთურთ მოხვევნით შევირწყმებით ჩვენ სულმთლიანად,
ჩვენებრ, ჰაერის ფენებიც კი ვერ შეერთდება.
მაგრამ არა მაქვს მეტი მოცლა. მზე ჩამავალი
უახლოვდება ჰესპერიდის მწვანე კუნძულებს —
ეს ჩემი წასვლის ნიშანია. იყავ მედგარი,
იბედნიერე და გიყვარდეს; მაგრამ გახსოვდეს,
უპირველესად ის გიყვარდეს, ვის სიყვარულიც
ნიშნავს მარადჟამს მორჩილებას. გულში ჩაიჭდე
მისი ბრძანება უდიდესი, მუდამ ფრთხილობდე —
ვნებამ გონება არ დაიპყროს და უნებურად
არა ჰქმნა საქმე, რასაც ნებით არ ჩაიდენდი.
გაფრთხილდი, რადგან ნეტარება თუ მწუხარება,
შენი და შენი შვილებისა — შენს ხელთვე არის.
შენი სიმტკიცით გავიხარებთ სულნი ცისანი;
შენი ნებაა — გამაგრდები თუ დაეცემი,
სრულყოფილი ხარ, სხვისი შველა არა გჭირდება, —
ბილწი ცთუნება განდგომისა განდევნე შენგან".

თქვა და წამოდგა. მყის ადამი გამოჰყვა გარეთ
მთავარანგელოზს მან კურთხევით ასე მიმართა:

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„უკვე მიდიხარ, ცის შიკრიკო, წმიდა სტუმარო,
წარმოგზავნილო უზენაეს ხელისუფლისგან,
რომლის უფლებას და სიქველეს მე თაყვანსა ვცემ.
შენს ალერსიან მოქცევას და გულმოწყალებას
მუდამ მადლობით მოვიგონებ, თაყვანისცემით.
კვლავაც ასევე უმეგობრე ადამიანებს
და ღირსა ჰყავი შენი ხშირი დაბლა ჩამოსვლით“.
ასე განშორდნენ: ანგელოზი ცისკენ გაფრინდა,
ხოლო ადამი ფანჩატურში შებრუნდა ისევ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

წიგნი მეცხრე

შინაარსი

ვერაგული ზრახვებით აღგზნებული სატანა მთელს დედამიწას შემოივლის, ღამით სამოთხეში დაბრუნდება ბურუსის სახით და მძინარე გველის სხეულში შეძვრება. მზის ამოსვლისას ადამი და ევა სამუშაოდ მიეშურებიან. ევა შესთავაზებს ქმარს, საქმე გავინაწილოთ და სხვადასხვა ადგილებში ვიმუშაოთო. ადამი არ ეთანხმება, ერთმანეთისაგან დაშორება სახიფათოაო, ეუბნება. მას შიში იპყრობს — მტერი, რომლის გამოც ისინი გააფრთხილეს, ევას მარტოდმყოფს არ შეეყაროს და არ აცთუნოსო. ევა იწყენს, ადამს ჩემს სიმტკიცეში ეჭვი რად შეეპარაო, და საკუთარი ძალის გამოსაცდელად ცალკე წასვლას დაიჟინებს. ბოლოს და ბოლოს, იგი დაიყოლიებს ადამს. გველი მარტოდმყოფს წააწყდება ევას. გაიძვერულად მიუახლოვდება; ჯერ შეჰყურებს, მერე გამოელაპარაკება და პირფერულ ქებას შეასხამს, ყველაზე სრულყოფილ ქმნილებად დასახავს. მოლაპარაკე გველს რომ იხილავს ევა, გაუკვირდება და ჰკითხავს, როგორ შეიძინა მან ადამიანური მეტყველების უნარი და გონება, რაც აქამდე არ გააჩნდა. გველი უპასუხებს, ერთი ხის ნაყოფი ვჭამე სამოთხეში, რომელმაც გონებაც მომმადლა და მეტყველების უნარიც მომანიჭა, თუმცა ადრე არც ერთი და არც მეორე არა მქონიაო. ევა სთხოვს გველს, იმ ხესთან მიმიყვანეო. აღმოჩნდება, რომ ეს არის ცოდნის ხე, რომლის ნაყოფის ჭამა ღმერთისაგან აკრძალული აქვთ. გათამამებული გველი ათასნაირ ხრიკებსა და ცბიერებას მიმართავს და საბოლოოდ აცთუნებს ევას, შეაჭმევს აკრძალულ ნაყოფს. ხილით ნასიამოვნები ევა ერთხანს ყოყმანობს, ვუთხრა ეს ადამს, თუ დავუფაროო. ბოლოს მიუტანს მას ნაყოფს და ეტყვის, ვინ ურჩია მისი გემო გაესინჯა. ადამი ჯერ კი შეშფოთდება, მაგრამ რა დაინახავს ევა დაიღუპაო, ცოლის სიყვარულით, გადაწყვეტს, თვითონაც მასთან ერთად დაიღუპოს; თავს ინუგეშებს, არცთუ ისე დიდი ცოდვა იქნებაო, და თვითონაც იგემებს იმ ხილს. აღწერილია, როგორ იმოქმედა ნაყოფმა ორივეზე. ცდილობენ თავიანთი სიტიტვლე დაფარონ; მერე დავას დაიწყებენ, ერთმანეთს ჰიცხავენ.

მორჩა, დასრულდა, ამის მეტად ველარ მოგითხროთ,
როგორ ეწვივნენ კაცს უფალი და ანგელოზი;
შინაურულად, მეგობრულად, ვით ტოლი ტოლთან,
როგორ ისხდნენ და სოფლურს ტაბლას შეექცეოდნენ,
ისმენდნენ კაცის საუბარს და შეკამათებას...
მორჩა, მწუხარე ჰანგზე უნდა მოვმართო ქნარი!
რა საშინელი უნდობლობა, აღთქმის გატეხა,
ღვთისგან განდგომა და ურჩობა გაბედა კაცმა!
პირი იბრუნა მაშინ ზეცამ, უცხო შეიქნა,
გაწყრა, განრისხდა, მსჯავრი დასდო სამართლიანი,
გადააქცია დედამიწა ვაების ქვეყნად,
დაუშვა ცოდვა, და აჩრდილი მისი—სიკვდილი,
და გაჭირვება — ეს სიკვდილის წინამორბედი...

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნაღვლიანსა და მძიმე საქმეს მოვკიდე ხელი,
მაგრამ ეს უფრო მაღალია, უფრო გმირული,
ვიდრემდე რისხვა აქილევსის, რომელმაც სამჯერ
შემოურბინა ტროას კედელს, როცა მტერს სდევდა;
ან განრისხება ტურნუსისა, ნეპტუნის წყრომა,
და იუნონას მრისხანება, როდესაც იმან,
ააწრიალა ბერძნები და ციოერას ვაჟი*.
ნეტავ შევიძლო, ლექსს ჩავაწნა, სიტყვით გადმოვცე
რასაც მუდამდამ შთამაგონებს მფარველი მუზა,
ღირსსა მყოფს ხოლმე თვის სტუმრობით, დაბლა ეშვება
და, მთვლემარს, ყურში ჩამჩურჩულებს შეუთხზავ ლექსებს.
ადრეც მეწადა, რომ გმირული სიმღერა მეთქვა,
დიდხანს ვარჩევდი სათქმელს, მაგრამ გვიან დავიწყე.
როდი მიზიდავს მე ბუნებით ომის ამბები,
თუმც დღემდე მხოლოდ ამას თვლიდნენ გმირულ სიმღერად;
დიდოსტატობად ის მიაჩნდათ, რომ აეწერათ
მომქანცველად და მოსაწყენად ველი ბრძოლისა,
სადაც ზღაპრული რაინდები ჟლეტენ ერთმანეთს;
ხოლო სულიერს გამძლეობას, მრავლმოთმინებას,
ანდა გმირულსა მარტვილობას არვინ უმღერდა.
ასწერდნენ ხოლმე თამაშობა-ასპარეზობას,
შუბსა და ოროლს, მრავალფერად მოხატულს დარაკს,
ან უცნაურად ამოკვეთილს ემბლემას ფარზე,
ასალ-ბალნურსა და მოკაზმულ, დარახტულ რაშებს;
მამაც რაინდებს, უტევანზე შერკინებულებს,
დიდ დარბაზებში გაშლილ სუფრას და წვეულებას,
მოახლეებსა, მსახურებსა და კარისკაცებს...
ხელოვნებისთვის მეტად კნინს და უბადრუკ საგნებს,
რანიც გმირულ სულს — არც ხალხს, არც ლექსს არ ანიჭებენ.
არა მწამს მსგავსი ხელოვნება, გული არ მიმდის;
მე უფრო დიდი და მართალი საქმე მიზიდავს,
რაიც თვითონვე ამამაღლებს, თუკი სიბერემ,
უამინდობამ და სიცივემ მე არ მიმტყუნა
და გასაფრენად გაშლილი ფრთა არ მომაკვეცა;
მიმტყუნებს კიდეც, მარტო მე რომ ვმღეროდე ამას,
მუზა ყოველღამ თვითვე რომ არ შთამაგონებდეს...

მზე ჩაესვენა, მალე მიჰყვა მას ჰესპერუსიც,—
დღისა და ღამის ეს ხანმოკლე შუამავალი,
რომლის ვალია ქვეყნად მწუხრი თან მოიტანოს,—
დაეშვა ღამის საბურველი კიდით-კიდემდე.
თავდაღწეული გაბრიელის გაგულისებას
და სამოთხიდან გამალებით გაბრუნებული,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სატანა ახლა კვლავ უშიშრად მიეშურება,
რათა მზაკვრული, ცბიერული განზრახვით თვისით
გაანადგუროს და აღგავოს ადამიანი.
ვიდოდა ღამით და მობრუნდა შუაღამისას,
შემოიარა დედამიწა კიდით კიდემდე,
დღეს გაურბოდა, რაკი ერთხელ მზის მბრძანებელმა
არქანგელოზმა არიელმა შენიშნა იგი
და გააფრთხილა ცის გუშაგი ანგელოზები.
მაშინ შეცბუნდა, გაიძურწა, შეშფოთებული,
და შვიდი ღამე სიბნელეში ეხეტებოდა;
სამგზის შემოვლო ბუნიობის რკალი სივრცეში;
ოთხჯერ გადასჭრა კოლური და ღამეს ოთხჯერვე
პოლიუსიდან მიჰყვებოდა პოლიუსამდე.
მერვე ღამეს კი კვლავ მობრუნდა და საიდუმლოდ,
მცველ ქერუბინთა საგუშაგოს სწორედ პირდაპირ,
მან გამოძებნა საიმედო ადგილი ერთი.
ახლა იმ ადგილს ველარ ნახავთ, — არა ჟამთასვლამ,
არამედ ცოდვამ გააქრო და გააცამტვერა,—
იქვე სამოთხის შესასვლელთან ტიგროსის წყალი
ღრმად ეშვებოდა მიწაში და ერთი შტო მისი
სიცოცხლის ხესთან შადრევანად ამოშხუოდა.
ჩაჰყვა მდინარეს, ჩაიყვინთა და წყალთან ერთად
ისიც ამოძვრა, გაეხვია წამოშლილ ნისლში
და დასამალად მარჯვე ადგილს დაუწყო ძებნა.
კარგად დაზვერა ზღვა და ხმელი, მიადგა პონტოსს,
მერე გაბრუნდა მოოტისკენ, მისწვდა ობის წყალს,
და ქვე-ქვე დაჰყვა იქით, სამხრეთ პოლიუსამდე,
შემდეგ ორონტის დასავლეთით დარიეს ზღვამდე,
შემოიარა განგისა და ინდუსის წყლები.
მოვლო მთლად მიწა, თვალს ავლებდა გაფაციცებით,
ეკვირდებოდა გულისყურით ყოველ არსებას,
არჩევდა, უფრო გამოსადეგს თვის მზაკვრობისთვის,
და რაკი ნახა, გველი სხვებზე ცბიერი იყო,
დიდის ფიქრის და ორჭოფობა-ყოყმანის შემდეგ
მან საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ სწორედ იგი
ზედგამოჭრილი იქნებოდა ამგვარ საქმისთვის,
ცბიერებისთვის ეს ჭურჭელი ჯობდა სხვას ყველას,
შიგ შეძვრებოდა და შემდეგ თვით გამჭრიახ თვალსაც
შავბნელს განზრახვას სულ ადვილად დაუმალავდა:
ცბიერ გველისგან არავინ არ იუცხოებდა
საზრიანობა-მოხერხებას, რადგან ყველაფერს
მისივე ჩვეულ სიმარჯვედ და სიბრძნედ ჩასთვლიდნენ;
სხვა ცხოველი კი ეჭვს აღძრავდა, მიუხვდებოდნენ,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რომ ეშმაკისგან იქნებოდა შთაგონებული,
რაკი ნახავდნენ უჩვეულოდ გონებით მაღალს.
ამგვარად, ასე გადაწყვიტა, მაგრამ ერთბაშად
დაგუბებულმა გულში ბოღმამ და მწუხარებამ
იფეთქა უცებ, ამოხეთქა. მწარედ გოდებდა:

„ო, დედამიწავ, ზეცას ჰგავხარ, უკეთესიც ხარ,
უფროორე ღირსი — იყო ღმერთთა სასუფეველი,
მეორე ფიქრით შექმნილი ხარ, დასრულებული,—
განა, უარესს, კარგის შემდეგ, შექმნიდა ღმერთი?!
ცავ, მიწიურო, შენს გარშემო ჰქრის ცა მრავალი,
და შუქს შენა გფენს, ევალებათ შენი ნათება,
ჩანს, შენ ყოფილხარ ერთადერთი სამყაროს ცენტრი,
და წმიდა სხივებს შენთვის ღვრიან ცის მნათობები.
ვით ღმერთი ცაში ცენტრი არის და ყველას სწვდება,
აქ შენ ხარ ცენტრი და ყველასგან შენ იღებ ნათელს.
თავიანთ ძალას უშენოდ ვერ გამოაჩენენ
მათი სიკეთე მხოლოდ შენით გამოვლინდება
ხეში, ბალახში, ყველა სახის ცოცხალსა არსში,
რომელთა შორის ჭკუით, გრძნობით, გონივრულობით,
ყველაზე უფრო მაღალია ადამიანი.
მეც რა სიამით გარეშემო შემოგივლიდი,
თუკი ვპოვებდი სიხარულს და რაიმე შვებას
მთა-ველების და ტყე-მინდვრების მონაცვლეობით;
აგერ ხმელეთი და უეცრად ზღვაც გამოჩნდება,
ტყიან ნაპირით შემოზღუდულ-შემოფარგლული,
სალი კლდეებით, მღვიმეებით და ქვაბულებით...
მაგრამ მე ჩემთვის თავშესაფარს ვერსად ვერ ვპოვებ
და რამდენადაც მეტსა ვხედავ ირგვლივ სიამეს,
იმდენად უფრო ვეწამები და ვიტანჯები,
მე სიძულვილის მწარე ალყით გარემოცული.
ყოველი კარგი ჩემთვის მხოლოდ შხამად იქცევა,
ცაში მით უფრო, უარესი დღე მელოდება.
თავშესაფარი აქ, თუნდ ცაში ისე რად მინდა,
თუ ზეცის დიდი მბრძანებელი არ დავიმონე;
არც ვიმედოვნებ შემიმცირდეს უბედურება,
მე იმას ვცდილობ სხვაც ჩემს დღეში ჩავაგდო ახლა,
თუნდაც ამითი ჩემი ხვედრი გაუარესდეს,—
მძვინვარე ფიქრი შვებას ჰპოებს მხოლოდ ნგრევაში,
ვისაც მიეძღვნა ეს სამყარო, იმის მოსპობით,
განადგურდება, მოისპობა სუყველაფერი,
რადგან ვაება-ნეტარება მასა სდევს თანა.
მაშ მოვსპობ მას და დედამიწაც განადგურდება.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მაშინ ქვესკნელის ძალთა შორის მხოლოდ მე ერთი
დავიმკვიდრებდი სრულს დიდებას, რომ ყველაფერი,
რაც ყოვლისშემძლედ წოდებულს ღმერთს გაუჩენია
ექვს დღე-ღამეში, — ხოლო ადრეც, აბა ვინ იცის,
კიდევ რამდენ ხანს ეწვალა და თავი იმტვრია,—
მხოლოდ ერთ დღეში დავანგრიო, გავაცამტვერო!..
ალბათ იმ ღამეს წამოიწყო ამ ქვეყნის შექმნა,
როდესაც თითქმის ნახევარი ცის ანგელოზთა
გამოვიხსენი სამარცხვინო მონობისაგან
და გავამეჩხრე რიცხვი ღმერთის თაყვანისმცემთა.
ახლა კი შური რომ იძიოს, და რომ შეავსოს
ქვეშევრდომების რიცხვი, ესდენ შემცირებული,
ანდა, იქნება, მხოლოდ ჩვენი გამოჯავრებით,
გადუწყვეტია მიწისაგან შექმნას არსება
და ჩვენს მაგივრად მიამადლოს ციური ნიჭი,
ჩვენივე ნიჭი, წაგლეჯილი, წარტაცებული!
არსი, ასეთი მდაბიური, ვით აღამაღლა!
იქნება ძალა დაეშრიტა შემოქმედების
და ძველებურად აღარ ძალუძს ანგელოზთ შექმნა,
(თუკი მართლა მან შექმნა ძველად ცის ანგელოზნი.)
თქვა და ჰქმნა კიდეც — გააჩინა ადამიანი,
და მისთვის შექმნა დიდებული სამყარო ესე,
საცხოვრებელად მიუჩინა მას დედამიწა,
გამოაცხადა მბრძანებლად და, ვაჰ, დამცირება—
ზეცის ფრთოსანი ანგელოზნი, მოელვარენი,
მის სამსახურში განაწესა, მცველ-გუშაგებად.
მეც ახლა მათი სიფხიზლითა დაშინებული,
გამოვხვეულვარ შუაღამის ნისლში ამგვარად,
მივიძურწები ამ წყვდიადში ხელის ცეცებით,
და მძინარე გველს ვეძებ ყოველს ბუჩქსა თუ ბარდში,
რომ დავიმალო მის დაკლაკნილ სხეულში სულმთლად
და ჩემი ბნელი განზრახული სხვებს დავუფარო.
„ჰოი, დაცემა საზარელი! ვინც აქომამდე
ღმერთებს ებრძოდა უმაღლესი ტახტისთვის ცაში,
აწ იძულებით უნდა შეძვრეს გველის სხეულში
და გაითქვიფოს იმის საზარ, ბინძურ ლოკოკინაში;
პირუტყვად უნდა გადაიქცეს იგი არსება,
ვინც ისწრაფოდა ამაღლებას და გაღმერთებას!
შურისძიება და თან პატივმოყვარეობა
განა არა ღირს დამცირებად?! მაღლა ვინცა ფრენს
უნდა დაეშვას ისე დაბლა, რა სიმაღლითაც
იგი ზეცაში ნავარდობდა; ადრე თუ გვიან
იმას მოელის მდაბლდაშვების საშიშროება.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

www.PDF.ChiaturaINFO.GE

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შურისძიება, ასე ტკბილი რომ ჩანს პირველად,
ვიცი რომ ბოლოს დამატყდება მე თვითონ მწარედ.
დაე, დამატყდეს, სულერთია, არ მენაღვლება.
რაკი მიზანში უმაღლესი ვერ ამოვიღე,
მას მაინც მოხვდეს, ვინაც მისებრ შურით აღმაგზნებს,
მას—ზეცის ახალს სიყვარულსა და გამორჩეულს,
ვინც შექმნა ღმერთმა თიხისგან, ჩვენს დასამცირებლად,
ჩვენდა საწყენად, ბოროტებით, გამოჯავრებით.
ბოროტების წილ—ბოროტება კარგი მიზღვაა“.

თქვა ეს და მყისვე, შავბნელ ნისლად გადაქცეული,
დაეშვა დაბლა, მოეფინა სველს თუ მშრალს ბუჩქებს,
დაუწყო ძებნა ცბიერსა გველს იმ შუაღამით;
და ნახა კიდეც სულ მალიად, მიძინებული,
მრავალწრედ ხვეულ-დაკლაკნილი და დაგრეხილი.
თავი, მზაკვრობით გავსებული, შუაში ედო;
ის უვნებელი იყო მაშინ და როდი იწვა
საშიშ მღვიმეში; უშფოთველად ეძინა ველზე,
და არც სხვებისთვის არ ყოფილა შიშისმომგვრელი.
ჩაუძვრა პირში მას ეშმაკი და გული მისი,
მისი გრძნობები ცხოველური, მისი გონება
აღჭურვა მყისვე ამაღლებულ გონიერებით.
ძილი კი სულაც არ დაუფრთხო. ცისკარს უცდიდა.
ინათლა კიდეც,—და როდესაც წმიდა სინათლემ
ედემში შუქი დააფრქვია ცვრიან ყვავილებს,
რომლებიც ცაში აგზავნიდნენ დილის საკმეველს;
როს ყოვლი არსი, დედამიწის საკურთხევლიდან
უხმო დიდებას მიუძღვნიდა დიად შემოქმედს
და მის ნესტოებს საამურის სუნთქვით ავსებდა,—
ადამიანის წინაპრებმაც გამოიღვიძეს
და დიდების ხმა, შემოქმედის თაყვანსაცემად,
მყის შეუერთეს მთელი ქვეყნის უხმო დიდებას.
სტკბებოდნენ დილის მომხიბლავი მშვენიერებით
და სურნელოვან ჰაერს ხარბად შეისუნთქავდნენ.
დაიწყეს ბჭობა, მოძალებულ სამუშაოსთვის
თავის გართმევას იმ დღეს როგორ მოახერხებდნენ;
საქმეს გულუხვად სთავაზობდა მათ ვრცელი ბაღი.
ევამ პირველმა გაიღო ხმა და ქმარს მიმართა:

„ხომ ამდენს ვიღწვით, ადამ, ახლა საამო შრომით,
ვუვლით ბაღს, ბალახს, ყვავილებსა და მცენარეებს,
მაგრამ ვიდრემდე მშველელი არ მოგვევლინება,
ეს შრომა ჩვენთვის მოიმატებს უფრო და უფრო,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დღისით გავსხეპავთ, გადავბელავთ, ბიჯგს შევუყენებთ,
ღამით კი, თითქოს დაგვცინისო, კვლავ გაშლის ტოტებს,
გადიბარდება, უფრო მეტად გაველურდება.
ან შენ სთქვი, რა ვქნათ, ან მისმინე, მე როგორ ვფიქრობ:
გავიყოთ შრომა; იმუშავე, სადაც შენ გსურდეს,
ან სადაც უფრო საჭიროა. თალარის ირგვლივ
მიმოასწორე, დაახვიე სირვაშლას ლერწი,
ან გაბარდნილი სურო ხეებს შემოახვიე.
მე შუადღემდე ვიმუშავებ იქით ჭალაში,
სადაცა ტვია და ვარდები გადაბარდულან.
ერთად რომ ვშრომობთ ჩვენ მთელი დღის განმავლობაში,—
ვულიმით ერთურთს, შევციცინებთ ერთმანეთს თვალში,
ხან ამბავს რასმე დავიწყებთ და ბაასს გავაბამთ...
ეს კი ხელს გვიშლის დღის შრომაში, საქმეს ვერ ვასწრებთ
და თუმცა ადრე გამოვდივართ ჩვენ სამუშაოდ,
იმდენს ვერ ვშრომობთ, რომ საჭმელი დავიმსახუროთ“.

ადამი ევას შეესიტყვა ალერსიანად:
„შენ, ერთადერთო მეგობარო, ცოცხალ არსთაგან
ყველაზე უფრო საყვარელო და სანუკვარო,
შენი ფიქრი და მოსაზრება გონივრულია,
თუ როგორა სჯობს შევასრულოთ ღვთის დავალება;
არც შეიძლება არ მოგიძღვნა ამიტომ ქება,
რადგან ქალისთვის არ-რა არის იმაზე კარგი,
ვიდრე ოჯახურ თადარიგის მარჯვედ დაჭერა
და ქმრისთვის მხარში ამოდგომა. მაგრამ უფალმა
ასე სასტიკად როდი ბრძანა მიწყივ ვიშრომოთ,
როდი აკრძალა დასვენება დანაყრებისთვის,
ან საუბრისთვის (მსჯელობაც ხომ გონებას კვებავს!),
ან გაღიმება და ურთიერთ ალერსით ჭვრეტა;
ღიმილი მუდამ გონებიდან მომდინარეობს,
უცხოა იგი მხეცთათვის და სიყვარულს კვებავს,
სიყვარული კი მთავარია კაცთ სიცოცხლეში.
არა მომქანცველ შრომისათვის შეგვქმნა უფალმა,
არამედ მხოლოდ გონივრული სიამისათვის.
ეჭვი არ არის, ამ ბილიკებს და ამ თალარებს
იოლად გავწმენდთ და გავსხეპავთ საერთო შრომით,
ისე, რომ ხელი სიარულში არ შეგვიშალოს,
მაგრამ თუ გული მოგიყიჭდა გრძელი საუბრით,
მეც დაგთანხმდები, რომ მცირე ხნით გავშორდეთ ერთურთს.
განმარტოება — ზოგჯერ ერთად ყოფნასაც კი ჯობს,
მცირე ხნით გაცლას სანატრელი შეხვედრა მოსდევს.
მაგრამ ვაითუ განსაცდელი შეგხვდეს უჩემოდ,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ხომ იცი, როგორ გაგვაფრთხილეს: ვერაგი მტერი,
თვით მოკლებული ნეტარებას, გაწამებული,
შურით გზნებული ახლა ჩვენი სიამის ხილვით,
გაიძვერული და მზაკვრული თავდასხმით ცდილობს
შეგვყაროს სნება-ვაებასა და შეგვარცხვინოს.
ეჭვი არა მაქვს, ახლოს არის ჩასაფრებული
და გვითვალთვალებს ნატვრითა და ხარბი იმედით,
რათა გვიხილოს ერთურთისგან დაშორებული,
რადგან იმედი არ აქვს — ერთად მყოფნი გვაცთუნოს,
იცის, რომ მყისვე ჩვენ ერთმანეთს მივეშველებით.
ჯერ იმას ცდილობს, ერთგულება ჩვენ უფლის მიმართ
დაგვარღვევინოს და ღვთის გზიდან გადაგვაყენოს,
ან ჩაგვამწაროს სიყვარული წმიდა, ცოლქმრული,
რადგან ყველაზე მეტად იმას ესა შურს სწორედ.
არ ულალატო შენს ერთგულსა თანამეცხედრეს,
ვინაც სიცოცხლე მოგანიჭა და ვინც გმფარველობს.
ცოლი — ვაების და შერცხვენის შიშით მუდამჟამს,
უნდა დგეს ქმართან, მოელოდეს იმისგან შველას;
ან იხსნის ქმარი, ან განსაცდელს გაინაწილებს“.

ამაზე ევამ — ღვთაებრივის დიდებულებით,
მსგავსად იმისა, როცა მიჯნურს წყენა შეხვდება,
ტკბილი და მშვიდი საყვედურით ეს უპასუხა:
„ძევ ცის და მიწის, მბრძანებელო დედამიწისა!
ჩვენს მოსპობას რომ ცდილობს მტერი — შენგანვე ვიცი,
და ანგელოზის ნათქვამსაც კი მოვჰკარი ყური
იმ ჩამობურულ საჩრდილობელს მოფარებულმა.
მაგრამ თუ ეჭვი აღგეძროდა ჩემს სიმტკიცეში,
რომ ვერაგი მტრის ცთუნებას მე ვერ გავუძლებდი,
და ერთგულებას დავარღვევდი ღვთის და შენს მიმართ,—
ამის მოსმენას, დამერწმუნე არ მოველოდი.
მტრის თავხედური ძალადობის შენ არ გაქვს შიში,
რადგან ვერ მოგვკლავს და ტკივილსაც ვერ მოგვაყენებს;
შენ მოტყუების გეშინია ცბიერ მტერთაგან,
და თუ ასეა, იმითა ხარ შეშფოთებული,
რომ ჩემი მტკიცე სიყვარული და ერთგულება
მან ცბიერებით არ გატეხოს! ასეთმა ფიქრმა
აბა შენს გულში როგორ ჰპოვა ნავსაყუდელი;
ადამ, შენს ძვირფას არსებაზე, ეს რა იფიქრე?!“

მაშინ ადამმა დაუყვავა, ალერსით უთხრა:
„უკვდავო ევა, უფლისა და კაცის ასულო!
შენთან რა უნდა ან ცთუნებას და ან განკიცხვას,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

როცა გითხარი, თვალთაგან ნუ მომშორდები-თქო,
განა ამითი უნდობლობა გამოგიცხადე!
მე მსურს, რომ მტერმა მოტყუება ვერც შემოგბედოს,
რადგან ცთუნების მხოლოდ ცდითაც, თუმც კი ამაოდ,
მაცთუნებელი ჩრდილს აყენებს პატიოსნებას,
რაკი ჰგონია, ცთუნებას ვერ გაუმაგრდები
და რაკი ლამობს ერთგულების ასე შესყიდვას.
რაღა თქმა უნდა, ზიზღითა და გაგულისებით
დაჰგმობდი იმის ამაოსა და ფუჭ ცთუნებას,
და რაღად მკიცხავ, თუკი ვცდილობ, რომ აგაშორო
შენ — მარტოკამყოფს ვერაგ მტერთან შეხვედრა თუნდაც;
ერთად რომ გვნახავს, — თუმც კი მეტად გულოვანია, —
ვერ შემოგვბედავს. მაგრამ კიდეც რომ გათავხედდეს,
პირველად უნდა მე დამესხას. მის ცბიერებას
ასე ნუ იგდებ — თქმა არ უნდა, მარჯვე იქნება,
რაკი შეიძლო ანგელოზთა გადაბირებაც.
სხვის დახმარებას ნუ უარჰყოფ, ნუ სთვლი ზედმეტად;
შენი თვალები მე მუდამჟამ ძალას მმატებენ,
თითქოსდა სიბრძნეც მემატება, შენ რომ მიყურებ,
თითქოს უფროორე ფრთხილი ვხდები, ძალგულოვანი,
თუკი ოდესმე დამჭირდება ღონის გამოცდა;
იმის შიშით, რომ არ მაჯობონ, არ შევრცხვე შენთან,
ძალას მოვიკრებ, ფრთას შევასხამ გამბედაობას.
ჩემთან როცა ხარ, განა შენ კი ასე არ მოგდის?!
რატომ არ გინდა, მოწმე გყავდეს შენი სიმტკიცის?!“

თქვა ეს ადამმა, ცოლის დიდად მოსიყვარულემ;
ევას კი მაინც ის ეგონა, არ მენდობაო,
არა სჯერაო ჩემი მტკიცე ერთგულებისა,
და მომხიბლავის დაჟინებით მიუგო ადამს:
„ნუთუ ეს არის ჩვენი ხვედრი, ჩვენი ცხოვრება,
მუდამ მტრის ვიწრო ალყით ვიყოთ გარემოცული,
დაუხმარებლად მტრის დაცემა ვერ მოვახერხოთ
და მუდამ მისი შიში გვქონდეს, არ-რა გვავნოსო,
ეს არის განა ჭეშმარიტი ბედნიერება?!
ეგეც არ იყოს — ვნება ცოდვას არ მოასწავებს;
მტერი მხოლოდღა შეურაცხგვყოფს, რაკი ჰგონია,
რომ ამ ცთუნებით ერთგულება გასტეხოს ჩვენი.
დაე, ეგონოს — შერცხვენით კი ჩვენ რას შეგვარცხვენს,
თვითვე დარჩება შერცხვენილი, გაწბილებული.
მაშ მისი რადღა გვეშინოდეს, რად გავურბოდეთ?
თუკი განზრახვას და იმედებს ჩვენ გავუცუდებთ,
ამით ორმაგად დავიმკვიდრებთ პატიოსნებას,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვპოვებთ სულიერ მყუდროებას, ზეცის კურთხევას,
და საკუთარი თავის რწმენას მით განვიმტკიცებთ.
თუკი განსაცდელს და გამოცდას ველარ გავუძლებთ,
დაუხმარებლად თუ არ შეგვრჩა სიმტკიცე ჩვენი,
ღირს კი ასეთი სიყვარული და ერთგულება?!
ნუ დაეჭვდები ღვთის ბოძებულ' ნეტარებაში,
ბრძენ შემოქმედის ნაღვაწს ნუ სთვლი არასრულქმნილად,—
განა ასეთი ნეტარება — ნეტარებაა?!
ან ასეთ ედემს, რა ედემი უნდა ვუწოდოთ?!"

მაშინ ადამმა ცოლს შესძახა გაგულისებით:
„ო, დედაკაცო, რაც კი ღმერთის ნებით შექმნილა,
სუყველაფერი ძვირფასია, საუკეთესო!
შემოქმედის ხელს ნაკლოვანი, არასრულქმნილი
ჯერ არაფერი ქვეყანაზე არ შეუქმნია,
მით უფრო ჩვენზე ითქმის ესა, ადამიანზე:
ეს სანეტარო ყოფა ჩვენი დაცული არის
და გარეგანი ვერ-რა ძალა ვერ შეგვაშფოთებს.
საშიშროება და ხიფათი ჩვენშივე ბუდობს,
მას სადგური აქვს ჩვენს საკუთარ ძლიერებაში,
და ჩვენვე თუ არ მოვისურვებთ — ვერას გვავნებენ.
ღმერთმა გვიბოძა ნებისყოფის თავისუფლება,
და ყველაფრისაც, რაც მორჩილებს გონებას ჩვენსას.
გონიერება უნდა იყოს სამართლიანი
და ამასთანვე მას სიფრთხილე მუდამ თან სდევდეს,
რომ არ აცთუნოს ის სიკეთემ, მოჩვენებითმა,
და სიმართლის წილ—სიყალბე არ მიაღებინოს,
არ შეაპაროს არაფერი, ღვთის აკრძალული.
ამრიგად, არა უნდობლობა — მე ნაზი გრძნობა
და სიყვარული აღმძრავს ხოლმე, რომ გაგაფრთხილო,
და შენც მასვე გთხოვ — შენც ხშირ-ხშირად გამაფრთხილებდე.
მტკიცე ვართ, მაგრამ შეიძლება გზას მაინც ავცდეთ,
ვინ იცის, იქნებ შეეყაროს გონებას სადმე
კეთილშობილი რამ საგანი, მტრის მოსყიდული,
და წინასწარვე თუ არ იქნა გაფრთხილებული,
თუ ისე ფხიზლად არ მოიქცა, ვით ევალება,
ხომ შეიძლება, თვით გონებაც შეცდეს, მოტყუვდეს!
ნუღარ ეძიებ, მაშ, ცთუნებას — ჯობს განვერიდოთ,
ჯობს ჩემთან იყო, ცთუნება კი თვითვე მოგვძებნის.
მაგრამ სიმტკიცის თუ გწადიან შენ გამოჩენა,
პირველად შენი მორჩილება გამოაჩინე.
თუკი არ ნახეს, იმ ცთუნებას ვით გაუმაგრდი,
ვიღამ ირწმუნოს სიმტკიცე და სიმაგრე შენი?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მაგრამ თუ ფიქრობ, რომ ცთუნება, თვისით მოსული,
გაუფრთხილებელს მოგვისწრებს და მოუმზადებელს,
წადი, რადგანაც უგულოდ და უხალისოდ
კიდეც რომ დარჩე, აქედან შორს იქნები მაინც.
წადი, გფარავდეს საკუთარი უმანკოება,
დაეყრდენ შენივ სათნოებას; გამაგრდი, ღმერთმა
შეგქმნა სრულქმნილი და ახლა კი შენ შენი ქმენი“.

ასე იუბნა წინაპარმა ადამიანთა,
ევა კი მაინც ჯიუტობდა. ბოლოს მიუგო:
„მაშ რაკი გახდი შენც თანახმა, თუმც კი მაფრთხილებ,
და მით უმეტეს ამ გონივრულ სიტყვების შემდეგ,
რომ ეს ცთუნება, ულოდნელად, თვისით მოსული
ალბათ მოგვისწრებს ჩვენ ნაკლებად მომზადებულებს,
უფრო ხალისით გავწევ ახლა; და მაინც ვფიქრობ,
რომ აგრერიგად ამაყი და ზვიადი მტერი
თავს არ დაესხმის პირველადვე ჩემებრ უღონოს,
რადგანაც ჩემგან გაწბილება მეტად შეარცხვენს“.

ესა თქვა, ნაზად მოიშორა მეუღლის ხელი,
და ტყის ნიმფების სიმსუბუქით — თითქოს ნამდვილი
დრიადი ანუ ორეადი ის ყოფილიყოს,
დელიას* მსგავსად შეერია კეკლუცად ბუჩქებს;
იყო კიდევაც ის დელია, და მიხვრა-მოხვრით
უფრო წარმტაციც, ღვთაებისებრ ეჭირა თავი,
თუმც არ ჰქონია არც კაპარჭი, არცა ისრები,
ხელთ ეპყრა ბაღის იარაღი მეტად უბრალო
და ულაზათო, არა ცეცხლში გამოჭედილი,
ალბათ ზეციდან მოუტანეს ანგელოზებმა.
წარმტაც პალესსა და პომონას მოგაგონებდათ,
ანუ ცერერას ბავშვობაში, როს ზევსისაგან
ჯერ არ ჰყოლია ჩასახული მას პროსერპინი*.
ქმარი მგზნებარედ გაჰყურებდა, სიამით ჭვრეტდა,
და სურდა ერთხანს კიდევ მასთან დარჩენილიყო,
იმეორებდა თვის მუდარას, ისევ მალიად
დამიბრუნდიო, და აღუთქვა ცოლმაც მრავალგზის,
რომ შუადღისას ფანჩატურში დაბრუნდებოდა,
მოამზადებდა სამხრისათვის ყოველგვარ საჭმელს,
და ნაშუადღევს ისევ ერთად დაისვენებდნენ.
ეჰ, ვაგლახ, ევა, უბედურო, მოტყუებულო,
ამაოდ ფიქრობ დაბრუნებას! სულ სხვა რამ გელის.
ამიერიდან სამოთხეში ვეღარ იგემებ
ვეღარც უშფოთველ მოსვენებას, ვეღარც ტკბილ ტაბლას;

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შენ სურნელოვან ყვავილებში ჩასაფრებული
ჯოჯოხეთური ღვარძლი გელის, რომ გზა მოგიჭრას,
წარგტაცოს რწმენა, ნეტარება, უმანკოება,
და უკან ისე გაგაბრუნოს, გაწბილებული!

განთიადისას, ავი ზრახვით დაეშვა მტერი,
მიიღო სახე გველისა და ძებნა დაუწყო
მსხვერპლად დასახულს, ქვეყნად მცხოვრებ ორ ადამიანს,
რომელთაც მთელი მოდგმა კაცთა უნდა შეექმნათ.
ეძებდა ყველგან, ველებზედაც, ფანჩატურებშიც,
მომხიბლავსა და სურნელოვან ჭალა-ბაღებში,
სადაც დაერგოთ მათ ხეები სხვადასხვაგვარი,
ხეხილთა ჩრდილით გადმობურულ ნაკადულებთან,
ეძებდა ასე გულმოდგინედ იგი ორივეს,
თუმცა ნატრობდა, ნეტა ევა მარტო შემხვდესო;
ოღონდ, იმედი მარტო ხილვის სულაც არ ჰქონდა,
რადგან ერთმანეთს იშვიათად თუ სცილდებოდნენ.

მაგრამ აუხდა ნატვრა იმას, ვარდის ბუჩქებში
ტკბილსურნელებით გარმოცული ევა შენიშნა,
თვით უტურფესი და უმწეოდ შთენილი ვარდი,
თავის დასაყრდენს აგრერიგად დაშორებული,
მოახლოებულ ქარიშხალთან უმწეოდ მდგომი,
წითელ ვარდებში სანახევროდ ჩამალულიყო;
ლურჯად, ყირმიზად, ოქროსფერად ელვარე ვარდებს,
რომელთაც თავი ჩაექინდრათ და ირხეოდნენ,
ხელს შეავლებდა იგი ფრთხილად, ზეწამოწევდა
და ტვიის ლერწით მიაკრავდა, მზრუნველი ხელით.

გასწია მტერმა, ნელა-ნელა უახლოვდება,
გასცდა აშოლტილ კედრებს, პალმებს, ნაძვების ჭალას,
ხან გამოჩნდება ღირსეულის გულადობითა,
ხან იმალება, ხან მდინარის ნაპირს მიჰყვება,
ევას ხელითვე დარგულ ვარდთა და ხეთა შორის.
მომხიბლაობით იმ ადგილს ვერ შეედრებოდა
თვით ზღაპარშიაც შემკობილი ვერცერთი ბაღი—
ვერცა წალკოტი ადონისის, ზეაღმდგარისა,
ვერცა ქებული და განთქმული ჭალა ალკინის,
რომელსაც მოხუც ლაერტესის ვაჟი ესტუმრა,
თუნდაც ის ბაღი, ჭეშმარიტი, არა ზღაპრული,
სად ბრძენი მეფე, თვის ეგვიპტელ მშვენიერ ცოლთან
სასიყვარულო ტკბილგანცხრომას მიეცემოდა.*
ამ ტურფა ბაღმა ბილწი მტერიც აღაფრთოვანა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თუმც უფრო მეტად ის მოხიბლა ადამიანმა.
ასეა ხოლმე, დიდ ქალაქში ვინც დიდხანს ცხოვრობს
და ხუთავს მყრალი ჰაერი და ხშირი სახლები,
გამოიჭრება ერთ მშვენიერ ზაფხულის დილას,
რათა საამურ ბუნებაში ამოისუნთქოს,—
მოხიბლავს სოფლის მყუდროება, ფიცრული სახლი,
ბალახის სუნი, სურნელება გაშლილი თივის,
ძროხა, რძის სუნი, სოფლის ეშხი, სოფლის ხმაური...
და თუ შემთხვევით, ნიმფის მსგავსად, მსუბუქ ნაბიჯით
ტურფა ასულმა ჩაუარა,—სუყველაფერი
მას კიდევ უფრო მომხიბლავი მოეჩვენება;
ქალი, მით უფრო, მიანიჭებს ტკბილნეტარებას.
ასე სიამით შესცქეროდა ამ წალკოტს გველი,
მარტოდ გამოსულ ტურფა ევას მყუდრო სავანეს;
ანგელოზს ჰგავდა ის — ციური მშვენიერებით.
მაგრამ უფროორე ნაზი იყო, უფრო ქალური,
თავის უმანკო სიკეკლუცით, ჰაეროვნებით,
მიხვრა-მოხვრით და პირისახის ნაზი იერით;
თვით ბოროტებაც წამს რიდმა და შიშმა მოიცვა,
მყისვე წარსტაცა მძვინვარება ავი განზრახვის
და ბოროტს — წამით ბოროტება გამოეცალა,
წაერთვა გრძნობა სიძულვილის, მტრობის, შურისა,
ვერაგობის და შურისგების, — კეთილი გახდა.
მაგრამ მას აკი ჯოჯოხეთის ცეცხლი სწვავს მუდამ,
მაღალ ზეცაში მოხვდეს თუნდა! ახლაც მალიად
გაუქრა თვისი აღტაცება და კვლავ წამებამ
მოიცვა იგი უფრო მეტის გამძვინვარებით,
რადგან ხედავს, რომ ეს სიამე მას არ ეკუთვნის.
კვლავ მძვინვარება-სიძულვილით აღეგზნო მტერი
და ამგვარს ბოროტს და გესლიანს ფიქრებს მიეცა:

„ჰოი, ფიქრებო, სად მიგყევართ? რა ტკბილი ძალით
შემცვალეთ ასე, რომ მავიწყებთ აქ მოსვლის მიზანს?
კვლავ სიძულვილი აღმაგზნებდეს და არა ტრფობა!
არა იმედი სამოთხისა — ჯოჯოხეთის წილ!
არა იმედი ამქვეყნიურ სიამოვნების!
სიამოვნება ჩვენ ნგრევაში უნდა ვიგემოთ,
და შეგვრჩეს უნდა მხოლოდ ნგრევის მხიარულება!
სხვა სიხარული ჩემთვის უკვე დაკარგულია.
მაშ ნუ გავუშვებ ამ შემთხვევას, მე რომ მიღიმის!
მარტო დედაკაცს დავამარცხებ უფრო იოლად,
ქმარი, რომელიც ირგვლივ არ ჩანს, უფრო მაშინებს;
აღჭურვილია ის მაღალი გონიერებით,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სიძლიერითა, მამაცობით, გმირული სულით,
თუმც კი თიხისგან შექმნილია, — ის უხიფათო
მტერი არ არის; არც იჭრება, ვით მე ვიჭრები:
როგორ დამცა და დამამდაბლა მე ჯოჯოხეთმა!
ტანჯვით დავსუსტდი, ის აღარ ვარ, რაც ცაში ვიყავ.
მაგრამ ეს ქალი რა ტურფაა, რა ღვთაებრივი,
ღირსი თვით ღმერთთა სიყვარულის; არც საშიშია,
მხოლოდ ტრფობით და სილამაზით თუ აღძრავს შიშსა;
მეც ასე ჯიქურ სიძულვილით არ მივადგები,
ტრფობით შევნიღბავ ამ სიძულვილს და ისე მივალ;
სჯობს ვერაგულად მივეპარო და ისე მოვსპო!"

თქვა კაცთა მტერმა, გახვეულმა გველის სხეულში,
და ევასაკენ გაემართა, არა დაკლაკვნით,
არა მიწაზე ქვეგანრთხმული, ვით აქამომდე,—
არა, ის კუდზე აიმართა და მთელი ტანი
რკალად დაკეცა, ფენა-ფენად დააწყო ერთურთს,
თავი მოვარდნილ ტალღასავით ზეწამომართა
და თვალებიდან დააკვესა ცეცხლი მგზნებარე;
მოლზე დახვეულ სხეულიდან ამოშვერილი,
მწვანე კისერი, ოქროსფერად მოვარაყული,
თვალისმომჭრელად ელვარებდა; ლამაზი იყო,
შესახედავად საამური; არც ერთი გველი,
მას შემდეგ მისებრ მომხიბლავი არა ყოფილა,
არც ის გველები, რომლებადაც ილირიაში
იქცნენ კადმუს და ჰერმიონი, არცა ღმერთები
ეპიდავრისა, არც ის გველი, რადაც გადიქცა
კაპიტოლელი, ამონელი იუპიტერი,
როდესაც იგი ნებივრობდა ოლიმპიასთან
და როცა შექმნეს სციპიონი,* რომის დიდება.
გველი პირველად დაიკლაკნა, გვერდზე გაცურდა,
იმ კაცის მსგავსად, რომელსაც სურს სადმე შევიდეს,
მაგრამ ვერ ბედავს, ერიდება მოცდენა სხვისი;
ასე ხომალდსაც, კონცხთან, ანდა წყლის შესართავთან,
როცა ნიავი ხშირად იცვლის მიმართულებას,
მარჯვე ლოცმანი გაატარებს ფრთხილად, გვერდულად,
ქარის მიხედვით ხან ჩამოხსნის, ხან გაშლის აფრას;
გველიც დაკლაკვნით, მანჭვა-გრეხით, თამაშ-თამაშით,
მიცურავს, რათა ყურადღება მიიპყროს ქალის.

საქმეში გართულ ევას ესმის ფოთოლთ შრიალი,
მაგრამ არ აქცევს ყურადღებას — მიჩვეულია
მინდორში მხეცთა თამაშობას და ყველა მხეციც
უფრო მორჩილი და გამგონე იყო ევასი,
ვიდრე ცირცეოსს* მორჩილებდა კოლტი თავისი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მერე უეცრად მოიკრიფა გამბედაობა,
წარსდგა ქალის წინ უნებართვოდ, და აღტაცებით
დაუწყო ცქერა, — ხან თავს დახრის, კუდს აქიცინებს,
და ლოკავს მიწას, სადაც ევას ფეხი დაუდგამს.
ბოლოს და ბოლოს, მისმა ასე უხმოდ წრიალმა
მიიპყრო ქალის ყურადღება — ევამ შეხედა.
და სიხარულმა, რომ მიიპყრო მზერა ევასი,
გველი აღჭურვა ლაპარაკის უნარით ხელად,
მან წამოიწყო ვერაგული ცთუნება თვისი:

„ნუ გაიკვირვებ, ქალბატონო, — თუ გაკვირვების
შეგწევს უნარი, თვითონ დიდო საკვირველებავ;
ნურცა აღჭურავ ზიზღით ცისებრ უძირო თვალებს,
ნუ გამოხატავ უამობას, ნუ განრისხდები,
რომ ასე თავზე წამომდგარი არ ვეპუები
შენს შუბლს მრისხანეს, შიშის მომგვრელს, და ხარბად გიმზერ.
თვით მშვენიერი შემოქმედის ტურფა ხატებავ,
ყოველი არსი შენ გიმზერს და შენ შემოგხარის,
შენი ციური მშვენების წინ მთელი სამყარო
აღფრთოვანებით ქედს დაბლა ხრის და თაყვანსა გცემს;
მაგრამ მითხარი, ამ უდაბურს გარემოცვაში,
პირუტყვებს შორის ვინ გიცქიროს, ან ერთ კაცს გარდა,
ვინ დააფასოს, თუნდ ნახევრად, შენი სიტურფე?!
ერთი კაცი კი აბა რაა, რა ბედენაა,
როცა ღირსი ხარ თვით ღმერთქალი ღმერთებთან იყო,
და გმსახურებდეს ანგელოზთა ურიცხვი დასი“.

ასე დაიწყო, მლიქვნელურად, მაცთუნებელმა,
და ამ სიტყვებმა ევას გულში გზა გაიკვლიეს,
თუმცა ხმამ მეტად გააკვირვა; ბოლოს, პასუხად,
გაოცებულმა დიდად ევამ ესღა წარმოთქვა:
„ნეტა რას ნიშნავს? კაცის ენით მომმართავს გველი,
მსჯელობს კიდევაც და აზროვნებს კაცისებურად;
გონება რომ აქვთ, ამაში კი დავეჭვებულვარ—
რადგან პირუტყვთა თვალებში და მოქმედებაში,
მე შემინიშნავს ძლიერ ხშირად გონიერება.
მაგრამ მხეცი თუ ხმას გამცემდა — რას ვიფიქრებდი,
როცა თავიდან, შექმნისა და გაჩენის დღიდან
ღმერთმა ეს ნიჭი, მეტყველების, მათ არ მიჰმადლა,
და პირუტყვები უენოდ და მუნჯებად შექმნა.
„ყველა მხეცზე რომ ცბიერი ხარ, ეს ვიცი, გველო,
მაგრამ ლაპარაკს თუ შესძლებდი, ეს არ მეგონა.
მაშ ესეც მითხარ, სასწაული გააორკეცე,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მუნჯს საიდან გაქვს მეტყველების ასეთი ნიჭი,
ან ჩემთან ასე მეგობრულად რისთვის მოხვედი?
სთქვი, მოსმენად ღირს საოცარი ამბავი შენი".

მას უპასუხა გაიძვერა მაცთუნებელმა:
„ამ ტურფა ქვეყნის მბრძანებელო, ბრწყინვალე ევა,
არ არის ძნელი გიპასუხო შენს ბრძანებაზე,
ვალდებულიც ვარ ყველაფერში დაგემორჩილო.
უწინ მეც იმავ პირუტყვთა და ცხოველთა მსგავსად,
ფეხით გათელილ ბალახეულს რომ სძოვენ მინდვრად,
ვიყავ ჩემივე საკვებივით ტლანქი, მდაბიო,
ვარჩევდი მხოლოდ საჭმელსა და ცხოველთა სქესსა.
უფრო მაღალი გრძნობები კი არა მქონია...
ერთ დღეს, როდესაც მინდორ-ველად ვხეტიალობდი,
თვალი მოვჰკარი შორიდანვე ტურფა მცენარეს,
წითლად და ყვითლად მოელვარე ხილით დახუნძლულს,
რომლის ტოტები დაეზნიქა სანუკვარ ნაყოფს.
მივუახლოვდი, რომ ახლოდან კარგად მენახა;
ამო სურნელმა ნაყოფისამ სულიერთლად დამატკბო,
მადა აღმიძრა და გრძნობებსაც უფრო ეამა,
ვიდრე უტკბესი დიდი კამის სუნი საამო,
ანუ ცხვრისა და თხის ჯიქნების ტკბილი სურნელი,
როს საღამო ჟამს ედინებათ რძე წვეთ-წვეთობით,
ხოლო მახლობლად მოკუნტრუშე ბატკნებს და თიკნებს,
ანცობით გართულთ, ჯერ იმისთვის არ მოუცლიათ.
მძლავრმა სურვილმა ამიტანა, მყისვე მეგემნა
ნაყოფი ესე სანუკვარი, და ეს განზრახვა
არ გადამედო. ძალოვანი მრჩევლები ჩვენი—
შიმშილ-წყურვილი, აგზნებულნი ტკბილსურნელებით,
მაქეზებდნენ და ფრთას ასხამდნენ განზრახვას ჩემსას.
შემოვეხვიე ხავსიან ხეს, შევყევი მაღლა,
რადგან მიწიდან მე იმ ტოტებს ვერ მივწვდებოდი,
ხელს მხოლოდ შენა, ან ადამი თუ მიუწვდენდით;
მხეცებიც ირგვლივ წრიალებდნენ, ნერწყვსა ყლაპავდნენ,
შურით შესცქერდნენ, მაგრამ ნაყოფს ვერა სწვდებოდნენ.
როცა ხეს წვერზე მოვექეცი და ეს ნაყოფი,
მაცთუნებელი, ასე უხვად ვიხილე იქვე,
დავუწყე გლეჯა, არ დავზოგე, ხარბად ვიგემე,
რადგან მანამდე ამდაგვარი სიამოვნება
არცა საჭმელით, არც სასმელით არ განმეცადა.
როცა გავძეხი, უცნაური ცვლილება ვიგრძენ:
თითქოს გონება გამინათლდა, გამიძლიერდა,
და მასთან ერთად მეტყველების ნიჭიც მომეცა,
თუმცა ხატება გარეგნული კვლავ ძველი შემრჩა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შემდგომ ამისა მე ვაზროვნებ მაღალ საგნებზე;
თუნდა ზეცაში, თუნდ მიწაზე, თუნდა ჰაერში
ყოვლისშემცველი გონებით ვჭვრეტ ყველაფერს ხილულს,
ყველა მოვლენას, ყველა საგანს, კარგს და მშვენიერს.
მაგრამ ყველაფერს, მშვენიერს და სიტურფით შემკულს,
ციური ეშხით გაბრწყინებულს, განსხივოსნებულს,
მე შენში ვხედავ ერთად შერწყმულს, ერთად თავმოყრილს.
შენი ბადალი მე არავინ არ მეგულება!
მიტომაც ახლა აქ მოვსულვარ, რათა გიცქირო,
ხოტბა შეგასხა, თაყვანი გცე და გაღიარო
ყველა ქმნილების მბრძანებელად, საერთო დედად“.

გველის ლაქუცზე კიდევ უფრო გაკვირვებულმა
ევამ მალევე უპასუხა, გაუფრთხილებლად:
„სანუკვარ ნაყოფს, უცნაურს და სასწაულმოქმედს,
რომლისაც ძალა სულ პირველად შენ გამოსცადე,
გველო, იმდაგვარს აღტაცებულს ხოტბას მიუძღვნი,
რომ ეჭვს აღმიძრავ! მაშ ესეც სთქვი, სად არის ის ხე?
აქვე ახლოა, თუ შორს არის? მარქვი, მაუწყე.
ღმერთმა იმდენი ხე შეგვიქმნა, და სამოთხეში
იმგვარ სიუხვით მიმოფანტა, რომ ბევრ იმათგანს
ხეირიანად ჩვენ ვერც კი ვცნობთ; ზოგის ნაყოფი
გაჩენის დღიდან ისევ დარჩა ხელუხლებელი,
არცა ფუჭდება, ელოდება კაცთ მომრავლებას—
ადვილად მოხსნის ტვირთს ბუნებას მრავალი ხელი“.

მაშინ ცბიერმა მხიარულად დასძინა ასე:
„გზა არც გრძელია, მბრძანებელო, და არცა ძნელი:
ამ ტვიის ბუჩქებს რომ გასცდები, მდინარის პირას,
აყვავებულ და სურნელოვან მირას ხეებთან
დგას ის მცენარეც. ჩემს გაყოლას თუ მოისურვებ,
მე გაგიძღვები და იმ ხესთან ახლავ მიგიყვან“.

„მაშ წინ გამიძეხ!“ უთხრა ევამ. ცბიერი გველი
ჯერ დაიკლაკნა, მერე ისევ წამოიმართა,
და გასრიალდა — ბოროტება არ დააყოვნა.
გველს, სიხარულით და იმედით აღფრთოვანებულს,
ქეჩო უბრწყინავს, უელვარებს, როგორც ღამ-ღამე,
ჭაობის პირას შედედებულ, ნესტიან ორთქლში,
ქარის ქროლვაზე გაიელვებს შუქი — ტატანი,—
(იქ ავსულები ბუდობენო, იტყვიან ხოლმე,)—
და მაცთუნებელ სიკაშკაშით, ღამეულ მგზავრებს,
გზიდან აცთუნებს, მიიტყუებს ლაფში, ჭაობში,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჩასძირავს ისე, რომ მშველელი არვინ იქნება.
ასე ელავდა საზარელი გველიც იმჟამად,
მიჰყავდა ევა, ჩვენი დედა, გულდანდობილი,
აკრძალულ ხისკენ მიუძღოდა გაიძვერობით.
მაგრამ როდესაც თვალი მოჰკრა ევამ მცენარეს,
ჩვენი ვაის და მწუხარების პირვანდელ წყაროს,
შედგა მყისვე და ცბიერ მეგზურს ასე მიმართა:

„ამაოდ დავშვრით! თუმცა ხეზე ხილს ბევრსა ვხედავ,
ჩემთვის ეს, გველო, უსარგებლო, უნაყოფოა,
და სასწაულის ძალაც მისი, კვლავ შენვე სცადე;
საკვირველია, თუკი ამგვარ სასწაულს ახდენს!..
მაგრამ ჩვენ ამ ხილს ვერ ვიგემებთ, ვერც შევეხებით;
უფალმა ღმერთმა აგვიკრძალა და ეს ბრძანება
დაგვიკანონა ჩვენ ერთადერთ ნებად თავისად.
სხვამხრივ ჩვენვე ვართ ჩვენი თავის ხელისუფალნი,
გონება ჩვენი წარმოადგენს ჩვენივე კანონს“.

მაცთუნებელმა უპასუხა გაიძვერულად:
„ნუთუ ასეა? ნუთუ მართლა? მაშინ გამოდის,
ღმერთს აუკრძალავს ყველა ხილი თქვენთვის ამ ბაღში,
თუმცა სამყაროს მბრძანებელად გამოგაცხადათ!“
ევამ, ჯერ ისევ უცოდველმა, ასე მიუგო:
„ნება გვაქვს ვჭამოთ ყველა ხილი ამ გაშლილ ბაღში;
მხოლოდ ამ ერთზე, ამ ტურფა ხის სანუკვარ ხილზე,
უფალმა ბრძანა: არ ჭამოთო მისი ნაყოფი,
არც შეეხოთო არასოდეს, რათა არ მოკვდეთ“.

ევას პასუხის დამთავრება არ დააცალა,
მაცთუნებელმა კაცთა მიმართ მოჩვენებითი
ყურადღება და სიყვარული გამოამჟღავნა:
თითქოს ეწყინა — კაცი რატომ შეურაცხყვესო,
გაწყრა, მოიცვა მრისხახებამ, მაგრამ მაშინვე,
თითქოსდა სცადა ღირსეულად დაჭერა თავის,
ჯერ დაიგრიხა, მერე ისევ წამოიმართა
და დიდის ამბით მოემზადა სალაპარაკოდ;
ვით ათინაში, ანდა რომში, თავისუფალში,
სადაც ჰყვაოდა ძველთაგანვე მჭევრმეტყველება,
გამოვიდოდა ორატორი, სახელგანთქმული,
რათა ხალხისთვის მიემართა დიდ საქმეებზე,
ჯერ შედგებოდა, მოიკრებდა ძალ-ღონეს კარგად,
და გზას ვიდრემდე გაუხსნიდა სიტყვის ნიაღვარს
მსმენელთა გულის მოსაგებად და დასაპყრობად,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გამოხატავდა მღელვარებას უხმო ძრაობით,
მერე კი უცებ, შესავლით რომ არ დააყოვნოს
ჭეშმარიტების აღსადგენად სწრაფვა თავისი,
შეუდგებოდა მგზნებარებით პირდაპირ საქმეს,—
მაცთუნებელიც, იმგვარადვე, იდგა, ღელავდა,
ბოლოს მგზნებარედ წამოიწყო, ზეაღმართულმა:

„ო წმიდა ხეო, თავად ბრძენო, წყაროვ სიბრძნისა,
ცოდნის დედაო! ახლა მართლაც ვგრძნობ თვალსაჩინოდ
შენს დიად ძალას ჩემს სხეულში, ჩემს არსებაში!
კარგად ვანსხვავებ არა მარტო საგანთა მიზეზს,
არამედ ვხედავ უზენაეს ძალების გზებსაც,
თუმცა ისინი მიაჩნიათ უმაღლეს სიბრძნედ.
მთელი სამყაროს დედოფალო, ნუ დაიჯერებ
იმ მკაცრ მუქარას სიკვდილისას: თქვენ არ მოკვდებით!
რამ უნდა მოგკლათ? ამ ნაყოფმა? თქვენ ეს ნაყოფი,
სიცოცხლეს მოგცემთ, რათა ცოდნით შეიარაღდეთ!
მაშ თვითონ იმან, ასე მკაცრად ვინც დაგემუქრათ?
აბა შემხედე, მე ვიგემე ამ ხის ნაყოფი,
და მაინც ვცოცხლობ, სრულყოფილიც შევიქენ უფრო,
მხოლოდ იმიტომ, რომ ავმაღლდი, არ მოვერიდე
ავცილებოდი ბედისწერით დადებულ საზღვრებს.
რაც პირუტყვისთვის გახდა ღია და მისაწვდომი,
როგორ იქნება, რომ კაცისთვის დაიხშოს იგი!
როგორ იქნება გაგირისხდეთ უფალი ღმერთი
ამ უმნიშვნელო ცოდვისათვის?! პირიქით, იგი
ქებას შეგასხამთ გაბედული მოქმედებისთვის,
რომ არ შეგაკრთოთ თქვენ სიკვდილის საშინელებამ,
არ შეეპუეთ,—რა გინდ მძიმე იყოს სიკვდილი,—
და კეთილისა და ბოროტის ცოდნის შეძენით
სამარადისოდ დაიმკვიდრეთ ბედნიერება!
კეთილის ცოდნა, რა თქმა უნდა, სასურველია;
და ბოროტებაც, თუკი არის ქვეყნად ნამდვილად,—
რატომ არ უნდა შეისწავლოთ, რომ ცხოვრებაში
უფრო ადვილად დააღწიოთ თავი იმ ბოროტს?!
არა, არ დაგსჯით, არ ჩაიდენს უსამართლობას;
თუ ჩაიდინა,—რა ღმერთია ასეთი ღმერთი,
მისი არც უნდა გეშინოდეთ, არც მორჩილებდეთ.
სიკვდილის შიშმა გაგიქარწყლოთ უნდა ღვთის შიში!
რად აგიკრძალათ ეს ნაყოფი? მხოლოდ იმიტომ,
რომ გიყოლიოთ უვიცებად, მდაბიოებად
და მორჩილებით, რიდით, თრთოლვით მას თაყვანს სცემდეთ?!
მან კარგად უწყის—რა დღესაც ამ ნაყოფს იგემებთ,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თვალები,—რანიც მიგაჩნიათ ყოვლისმხილველად,
მაგრამ ნამდვილად საგნებს ირგვლივ ბუნდოვნად ჭვრეტენ,—
აგეხილებათ, მყის გახდებით ღმერთების დარნი
და ღმერთთა მსგავსად, თქვენც შეიცნობთ ბოროტს და კეთილს.
მე შინაგანად, მთელის არსით კაცი შევიქენ,
და რაკი გველი გარდაიქმნა ადამიანად,
ადამიანი, თქმაც არ უნდა, ღმერთად იქცევა.
ალბათ ეს არის ის სიკვდილი, რაც თქვენ გაძრწუნებთ:
ადამიანი მოკვდეს უნდა და ღმერთად იქცეს!
სიკვდილი, რაც თქვენ დაგიმკვიდრებთ ბედნიერებას,
სასურველია, თუნდაც იმით გემუქრებოდნენ!
ბოლოს და ბოლოს, თვით ღმერთებიც რანი არიან,
რომ ადამიანს არ შეეძლოს ღმერთად გახდომა,
თუკი ღმერთების საკვებითვე ისაზრდოებენ?!
ღმერთები გაჩნდნენ სულ პირველნი, და ჩვენი რწმენით—
რომ ყველაფერი იმათგანვე მომდინარეობს—
ახლა ისინი სარგებლობენ. მაგრამ მე ვეჭვობ:
აი ეს ტურფა დედამიწა, გამთბარი მზითა,
არის შემქმნელი ყველაფრისა—არა ღმერთები.
თუ მათგან მოდის ყველაფერი, ვინ მოათავსა
ამ ხეში ცოდნა ბოროტისა და კეთილისა,
რომლის ნაყოფი მყისვე სიბრძნეს ანიჭებს ყველას?!
ან ღმერთს რადა სწყინს შეიძინოს კაცმა ეს სიბრძნე?
აბა რას ავნებს თქვენი ცოდნა? თუ ყველაფერი
მომდინარეობს მართლაც მისგან, რად არ განებებთ
მისივე შექმნილ მცენარისგან იგემოთ ხილი?
იქნება შურდეს! მაგრამ შური ციურ შემოქმედს
შეეფერის განა?! აი ეს, და სხვაც, სხვაც მრავალი
ამტკიცებს იმას, რომ გჭირდებათ თქვენ ეს ნაყოფი!
შეახე ხელი, მაშ, ღმერთქალო, უშიშრად ჭამე!“

მან დაასრულა ვერაგული სიტყვა თავისი,
რამაც ადვილად გაიკაფა გზა ქალის გულში.
მისჩერებოდა დაჟინებით ევა იმ ნაყოფს,
სახილველადაც საამურსა და მაცთუნებელს;
ყურში კი ისევ იმ ბოროტის რჩევა ესმოდა,
და ეს სიტყვები მას მიაჩნდა ჭეშმარიტებად;
ამასობაში მოაწია ნაშუადღევმაც,
ევას მოშივდა და ნაყოფის ამოო სურნელმა,
მადა მით უფრო გაუღვიძა, გაუძლიერა;
თვალები ნდომით გაუბრწყინდა, რათა ხილისთვის
ხელი შეეხო, მოეწყვიტა და შეეჭამა.
მაგრამ ჯერ თავი შეიკავა, ფიქრებს მიეცა:

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„ნეტარო ხეო, აკრძალულო კაცთა მოდგმისთვის,
მაგრამ ისე კი ღირსეულო, სათაყვანებო,
დიდი ყოფილა ძალა შენი, ცხოველმყოფელი,
რადგან მიჰმადლე უტყვსა ნიჭი მჭევრმეტყველების
და შეასწავლე, როგორ გიძღვნას ქება მაღალი.
თვით ღმერთიც, ვინაც აგვიკრძალა შენი ნაყოფი,
ჩვენთან არ მალავს ქებას შენსას, მუდამ გიწოდებს
ხეს ცნობადისას, ბოროტისა და კეთილისა.
გვიკრძალავს, მაგრამ ამ აკრძალვით უფრო მაღლდები,
რადგან შენ ძალგიძს შეგვასწავლო კეთილის ფასი,
რომელსაც ჩვენ ვართ მოკლებული დასაბამითვე:
არ შეიძლება შეუცნობლად კეთილი გქონდეს;
კიდეც რომ გქონდეს ეს სიკეთე და არ იცოდე,
რომ შენ გაქვს იგი, სულერთია, თუნდ არ გქონოდეს!
პირდაპირ რომ ვთქვათ, ჩვენ უფალი ცოდნას გვიკრძალავს,
კეთილს გვიკრძალავს, გვიკრძალავს რომ შევიქნეთ ბრძენნი!
მორჩა, აწ ველარ შეგვაჩერებს ჩვენ ეს აკრძალვა.
თუკი სიკვდილი ბორკილებით შეგვბორკავს ბოლოს,
რაღა ფასი აქვს გონებრივსა თავისუფლებას?!
რა წამს იგემებთ თქვენ ამ ნაყოფს, მყის მოკვდებითო!
მაშინ ეს გველი რად არ მოკვდა? მან ხომ იგემა,
და ისევ ცოცხლობს, ლაპარაკობს, ცოდნას ეწია,
მსჯელობს კიდევაც; თუმც გონება სულ არ გააჩნდა!
ნუთუ სიკვდილი მარტოდმარტო ჩვენ დაგვიწესეს?!
ჩვენ გვეკრძალება ცოდნის ხილი, მხეცებს კი—არა?!
ჩანს რომ ასეა... მაგრამ მიკვირს, აი ეს გველი,
რომელმაც ხილი, სულ პირველმა იგემა მარტო
და მით ეწია მოულოდნელ ბედნიერებას,
შურით, სიხარბით კი არ არის გაბრუებული,
პირიქით, მოდის მეგობრულად, არამზაკვრულად!
რატომღა უნდა მეშინოდეს? მართალი რომ ვთქვათ,
მე ხომ არ ვიცი არც კეთილი, არცა ბოროტი,
როგორღა მივხვდე, უფრო მეტად რის მეშინოდეს—
ღმერთის, სიკვდილის, კანონის თუ დანაშაულის?!
მაგრამ ეს ხილი ღვთაებრივი, თვალისმომჭრელი
მადისაღმძვრელი, დიდი სიბრძნის მომნიჭებელი,
ბოლოს მოუღებს ორჭოფობას, მყისვე გაგვკურნავს.
მაშ რა მაკავებს, რატომ არ ვწყვეტ, რად არ ვიგემებ,
რომ სხეულიცა და გონებაც გავიძღო მითი?!“

ესა თქვა, ხელი გააქანა დაუფიქრებლად,
მისწვდა, მოწყვიტა და შეჭამა იმ წყეულ საათს;
მყის დედამიწამ საშინელი ჭრილობა იგრძნო,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ამოიკვნესა წიაღიდან ბუნებამ მწარედ
და ყველა მისმა ქმნილებამაც შესძახა ვაი,
იმის ნიშნად, რომ დაიღუპა სუყველაფერი.
ცბიერი გველი მაშინათვე ბუჩქებში შეძვრა,
არც ძნელი იყო ეს იმისთვის, რადგანაც ევა
ისე დაატკბო, დააბრუა იმ ხილის გემომ,
რომ ვეღარაფერს ვერ ამჩნევდა, გაოგნებული;
ასე საამო ხილი, თითქოს, ჯერ არ ეგემნა,—
იქნება მართლაც ასე იყო, ანდა იქნება
მაღალი ცოდნის მომლოდინეს ეჩვენა ასე,
ოცნებაში ხომ ღვთაებასაც უტოლდებოდა!
თავს ვეღარ იჭერს, ხარბად ყლაპავს და არც კი იცის,
რომ ხილთან ერთად შეექცევა იგი სიკვდილსაც.
ბოლოს გამოძღა; თითქოს ღვინით შეზარხოშდაო,
გამხიარულდა, გახალისდა და სიხარული,
თავისი თავით კმაყოფილმა, ასე გამოთქვა:

„ოი, მცენარევ, სრულყოფილო, უძლიერესო,
მთელ სამოთხეში ყველა ხეზე უფრო ძვირფასო,
კურთხეულ ძალით ჩვენთვის სიბრძნის მომნიჭებელო,
იდექ აქამდე უსახელოდ, შეუმჩნეველად,
ტურფა ნაყოფით დახუნძლული ფუჭად, ამაოდ,
თითქოს ეს ხილი სულ უმიზნოდ იყო შექმნილი!..
ამიერიდან ქებას გიმღერ ყოველცისმარე,
ჩემი პირველი საზრუნავი შენ შეიქნები,
შეგიმსუბუქებ ტვირთს მუდამ დღე—დახუნძლულ ტოტებს,
რომელთაც ყველას გულუხვობით სთავაზობ ხოლმე,
მოვაცლი ნაყოფს, დავნაყრდები; თანდათანობით
შევიწოვ სიბრძნეს, მოვმწიფდები და ღმერთთა მსგავსად,
მეც ყველაფერი სრულყოფილად მეცოდინება.
დაე, შეშურდეთ ღმერთებს ჩემი: იმათ არ ძალუძთ
მომმადლონ ნიჭი, რასაც ახლა შენგან მივიღებ;
და რომ ეს ნიჭი იმათგანვე მომდინარებდეს,
მაშინ ამ ხესაც ამ ადგილას არ გააჩენდნენ,
დავალებული ვარ შენგანაც, საუკეთესო
მოძღვარო ჩემო, შენგანა მაქვს გამოცდილება,
რადგან შენთვის რომ გაბედულად არ მომებაძნა,
სამარადისოდ დავრჩებოდი ისევ უვიცი.
შენ გამიხსენი ცოდნის კარი, შენ შემასწავლე
სიბრძნეს, დაფარულს, როგორ უნდა ვზიარებოდი,
იქნება ჩემი მოქმედებაც დაფარულ დარჩეს!
ზეცა მაღლაა, შორს და მაღლა! არა მგონია,
ჩვენი ყოველი მოქმედება იხილონ ციდან;

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დიდ კანონმდებელს გაუჩნდება სხვა საზრუნავი
და მუდამ მკაცრი ყურადღებით ვერ გვითვალთვალებს,
ვერც ის, ვერც სხვები, მოჩენილნი ჩვენს გუშაგებად.
მაგრამ ჩემს ადამს როგორ უნდა გამოვეცხადო?
შევატყობინო, რა ცვლილება მე განვიცადე
და ჩემი სრული ნეტარებაც გავუზიარო,
თუ მხოლოდ ჩემთვის დავიტოვო ეს ცოდნის ძალა,
ქალურ ბუნებას რაც აკლია, მით შევიმატო,
რათა დღეიდან უფრო ძლიერ ვუყვარდე ადამს,
გავხდე მისივე თანატოლი, მისი ბადალი,
ხოლო ზოგჯერ კი, ზოგ რამეში გავუსწრო კიდეც?
ეს სასურველიც უნდა იყოს, რადგან დაბლა მდგომს,
როგორ იქნება, ჰქონდეს სრული თავისუფლება?!.
მაგრამ ვაითუ, ყველაფერი იხილა ღმერთმა
და ახლა მელის მე სიკვდილი, უცილობელი?
გავქრე, ამ ქვეყნად აღარ ვიყო, აღარ ვიცოცხლო,
ქმარმაც თავისთვის სულ სხვა ევა გამოარჩიოს,
შეუღლდეს მასთან, იხაროს და ისიამტკბილოს!..
მე კი მოვისპო!.. სიკვდილია ამაზე ფიქრიც!
არა, გადაწყდა—სამუდამოდ, ჭირიც და ლხინიც
ჩემმა ადამმა ჩემთან უნდა გაიზიაროს!
ისე ძვირფასი არის ჩემთვის, რომ მასთან ერთად,
მზად ვარ ყოველგვარ სიკვდილს მედგრად ვუსწორო თვალი,
უიმისოდ კი თვით სიცოცხლეც მე ჩამმწარდება!"
თქვა და მობრუნდა, ხეს მოშორდა... მაგრამ მანამდე
მდაბლად, მუხლმოყრით თაყვანი სცა იმ დიად ძალას,
რამაც ხეს მისცა სანუკვარი წვენი სიბრძნისა,
ღმერთთა სასმელის—ნექტარისგან გადმოღებული.

ცოლს მოუთმენლად ელის ადამ. დაუკრეფია
სურნელოვანი ყვავილები, რათა მეუღლეს
სოფლურ შრომისთვის დაუმშვენოს მან ნაწნავები,
ვით მკის დედოფალს ყვავილებით ამკობენ ხოლმე.
წინასწარ ფიქრობს და განიცდის იმ დიდ სიხარულს,
რასაც მოელის განშორების შემდეგ შეხვედრით,
თუმცაღა ავი წინაგრძნობა მაინც აწვალებს,
გრძნობს, როგორ უცემს მკერდში გული არათანაბრად.
ვერ მოისვენა, გაემართა შესაგებებლად,
იმ ბილიკს გაჰყვა, რითაც დილით ევა წავიდა;
გზა ცოდნის ხისკენ ჰქონდა სწორედ, და იქვე შეხვდა
თავის მეუღლეს, იმავ ხისგან გამობრუნებულს.
ხელში შტო ეპყრა, დახუნძლული ნუგბარი ხილით,
რასაც გინგლები არც გასცლოდა, ახლად მოწყვეტილს

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ირგვლივ სურნელი დაეფრქვია ამბროზიისა
და ფოთლებიდან თითქოს მორცხვად იღიმებოდა.
ეშურებოდა ევა ქმრისკენ, სახეზე ცხადად
გამოხატოდა პატიების თხოვნა-მუდარა,
და ასეთ ლაქუცს მოჰყვა თავის გასამართლებლად:

„ჩემი ასეთი დაყოვნება არ გაგიკვირდა?
სულ თვალში მაკლდი, ჩემო ადამ, მეჩვენებოდა,
თითქოს დიდმა დრომ ჩაიარა, რაც შენ დაგშორდი:
პირველად ვიგრძენ კაეშანი სიყვარულისა,
და ხელმეორედ ნულარასდროს გამომეცადოს;
არა, არასდროს არ ვაპირებ ის გამოვცადო,
რისთვისაც ასე გამოუცდელს, მიწევდა გული,
და რის შედეგად განშორების სიმწარე ვიგრძენ.
მე დამაყოვნა საოცრებამ, საკვირველებამ:
ეს ხე, რომლითაც გვაშინებდნენ, გვეუბნებოდნენ
მისი ნაყოფი არ იგემოთ, ბოროტს შეგყრითო,
ოდნავადაც კი არ ყოფილა თურმე საშიში,
და არც მოგვივლენს ბოროტებას იმ ხილის ჭამა;
პირიქით, მყისვე თვალს აუხელს, ღმერთებად აქცევს,
ვინც კი გაბედავს და იგემებს. ეს უკვე სინჯეს!
ჭკვიანმა გველმა, ვისაც ალბათ არ აუკრძალეს,
ან ღვთის ბრძანებას იქნებ არც კი დაემორჩილა,
თურმე იგემა გაბედულად იმ ხის ნაყოფი,
მაგრამ არ მოჰკლა, როგორც ამას გვემუქრებოდნენ;
პირიქით, მყისვე მეტყველების ნიჭი მიეცა,
მიეცა გრძნობა და გონება ადამიანის...
მან შთამაგონა, გამესინჯა მეც იგი ხილი.
შართლაც, თვალებზე აქამდე რომ ბურუსი მეკრა,
ახლა მომშორდა, დამეწმინდა, სულით ავმაღლდი,
გული გამაგრდა, გაფართოვდა; თანდათანობით
ვგრძნობ, რომ ღვთაებას ვუტოლდები, ვუახლოვდები..
ეს უმთავრესად შენთვის მსურდა, შენთვის ვიღწოდი,
თორემ უშენოდ უარს ვყოფდი, არ ვისურვებდი;
ბედნიერებას მხოლოდ მაშინ ვიწამებ, ადამ,
თუკი მას შენაც ჩემთან ერთად გაიზიარებ,
უშენოდ იგი მომწყინდება და შემძაგდება.
მაშ, შენც იგემე, ერთნაირი რომ გვერგოს ხვედრი,
რომ ერთი გვქონდეს სიხარულიც და სიყვარულიც;
თუ არ იგემებ, ერთურთისთვის უცხო გავხდებით,
და მეც, თუმც ძალმიძს შენი ხათრით დავთმო ღვთაება,
ვერ მოვახერხებ, გვიანლაა, ბედი არ იზამს“.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ყვებოდა ევა, თითქოს ლაღად და მხიარულად,
მაგრამ სახეზე წამოენთო და წამოჭარხლდა...
როცა გაიგო ევას ცოდვა, საბედისწერო,
ადამი გაშრა, გადაფითრდა, დარეტიანდა,
ძარღვებში ცივმა ჟრუანტელმა მას დაუარა,
ყველა სახსარი მოუდუნდა, ულონო მკლავი
დაბლა დაუშვა და გვირგვინი, ევასთვის წნული,
ძირს დაუვარდა — დაიფანტა მჭკნარი ვარდები...
გაფითრებული იდგა დიდხანს, ხმაც ვერ გაეღო,
და თავისთავთან ოცნებაში ასე მსჯელობდა:

„ჰოი, ქმნილებავ, უტურფესო, უფალმა ღმერთმა
უკანასკნელად შეგქმნა, მაგრამ შენს არსებაში
მან ჩააქსოვა ყველაფერი საუკეთესო,
ყველაზე წმიდა, ღვთაებრივი, ნაზი, უტკბესი,
ყველაზე კარგი, რაც თვალსა და გონებას ხიბლავს!
რად დაიღუპე თავი შენი ასე ერთბაშად?
კდემა, სიწმიდე, აბა როგორ შემოიცვითე,
და, საბოლოოდ, სასიკვდილოდ რად განემზადე?!
ღვთის ნებას როგორ გადახვედი, როგორ შესცოდე,
როგორ გაბედე, შეგებღალა წმიდა ნაყოფი?!
ალბათ გაცთუნა ცბიერებამ წყეული მტრისა,
და შენთან ერთად მეც დამღუპა სამარადჟამოდ,
რადგანაც ასე გადავწყვიტე, მეც შენთან მოვკვდე;
უშენოდ თავი რაღად მინდა! რაღამ მაცოცხლოს?!
რამ დამავიწყოს საამური შენი ხმის ჟღერა,
ან ჩვენი ნაზი სიყვარული? როგორღა დავრჩე
და ამ ტყეებში მარტოდმარტო ვიხეტიალო?!
მაღალმა ღმერთმა თუნდა შექმნას ჩემთვის სხვა ევა,
თუნდა გვერდიდან გამომიღოს მეორე ნეკნი,
შენი დაკარგვის მწუხარებას ვერ გამოვიგლოვ.
ო, არა, არა! ჩვენ ბუნებამ შეგვყარა ერთად,
შენა ხარ ხორცი ხორცთაგანი, განუყოფელი,
ძვალი ხარ ჩემი ძვალთაგანი, და ჩემი ბედი,
ჭირშიც და ლხინშიც შენს ბედ-იღბალს უკავშირდება“.

ასე ფიქრობდა ადამი, და იმ კაცის მსგავსად,
რომელიც მძიმე ტანჯვისაგან გამოფხიზლდება,
რა დარწმუნდება, რომ ვერაფრით უშველის საქმეს,
დამშვიდდება და თავის ვალალ ბედს მიენდობა,
ისე ადამმაც დამშვიდებით ეს უთხრა ევას:

„როგორ გაბედე, უშიშარო ევა, ეგ საქმე?!
მარტოდენ თვალის შევლებაც კი იმ ხილისათვის,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მარტოდენ ნდომა იმ უწმიდეს ხის ნაყოფისა,
განადგურებას გვიქადიდა. ხელის შეხება
მით უფრო გვქონდა აკრძალული ღვთისგან სასტიკად...
მაგრამ რას არგებს წამხდარ საქმეს მერე წუწუნი!
რაც უკვე მოხდა, იმას ველარ გამოასწორებს
ვერც ბედისწერა და ვერც ღმერთი, შემძლე ყოვლისა.
ვინ იცის, იქნებ სასიკვდილოდ არც დაისაჯო!
იქნებ არ იყოს ცოდვა შენი ისეთი მძიმე,
რადგან გველისგან შებღალულმა წმიდა ნაყოფმა,
ალბათ დაჰკარგა ის სიწმიდე, ვიდრე შენ ჭამდი.
მაგრამ გველიც რომ არ მომკვდარა! იგი კვლავ ცოცხლობს...
ცოცხლობსო, ამბობ, ამაღლდაო, ჩვენ დაგვემსგავსა!
რახან ასეა, ჩვენც ვიგემოთ იგი ნაყოფი,
და ჩვენც ავმაღლდეთ შესაფერად: თუ ღმერთად არა,
ნახევარღმერთად გადავიქცეთ, ანგელოზებად!..
რა დამაჯერებს, რომ შემქმნელმა ყოვლისამ, ღმერთმა,
ამ ჩვენმა ბრძენმა შემოქმედმა გაგვანადგუროს,
და თუმც სასტიკად გვემუქრება, ერთბაშად მოგვსპოს
თვისი რჩეული ქმნილებანი, რომელთაც იმან
სხვა ქმნილებებზე მბრძანებლობა თვით მიანიჭა!
ჩვენი დაცემით, ყველაფერიც, ჩვენთვის შექმნილი,
განადგურდება და ღვთის ღვაწლიც გაცამტვერდება.
როგორ იქნება გააცუდოს თვისივე ღვაწლი,
ჯერ შექმნას, მერე დაანგრიოს, ამაოდ დაშვრეს!
არა, ასეთი მოქმედება ღმერთს არ შეჰფერის.
ძალა თუმც შესწევს, რომ ხელახლა შექმნას ყოველი,
ჩვენს მოკვდინებას მაინც როგორ მოიწადინებს,
მტერს აბა როგორ გაახარებს, ვით ათქმევინებს:
„მერყეევიაო ღვთის რჩეულთა ბედნიერება!
ვინ იქნებაო, რომ დიდი ხნით მას აამებდეს?
ჯერ ხომ მე მომსპო, მერე—მოდგმა ადამიანთა,
ახლა კი, ნეტავ, ვისი ჯერი უნდა დადგესო?“
ასეთი ზიზღის საბაბს აბა მტერს როგორ მისცემს?!
ჩვენ ხომ ორივეს,—შენცა და მეც,—ერთი ბედი გვაქვს,
მზად ვარ სასჯელიც შენთან ერთად გავინაწილო:
თუ სიკვდილია შენი ხვედრი, იგივ სიკვდილი
სიცოცხლესავით სანატრელი გახდება ჩემთვის.
ვგრძნობ, რომ ბუნებამ განუყრელად შეგვაკავშირა,
არსებას ჩემსას შენში ვხედავ, რაც შენ მოგელის,
იგივე არის ჩემი ხვედრიც, ჩვენ ვერ-რა გაგვყრის,
ერთი ხორცი ვართ, ერთი სული; შენ რომ მოგაკლდე,
ეს იგივეა, თუნდ საკუთარ თავს მოვკლებოდე“.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უთხრა ადამმა, და მეუღლემ ასე მიუგო:
„აი ნიშანი დიდებული სიყვარულისა,
ამაღლებული მაგალითი ერთგულებისა!
მსურს მეც მოგბაძო, მაგრამ არ ვარ შენებრ სრულქმნილი,
და ისე, ადამ, აბა როგორ გაგიტოლდები?
საამაყოდ მაქვს, რომ შენი ვარ მხოლოდ ფერცხალი;
შენი სიტყვები — ერთი ვართო — გულს მოეფონა,
მართლაც ერთი გვაქვს ჩვენ ორივეს გულიც და სულიც,
დღევანდელი დღე ამას უკეთ დაგვიდასტურებს.
ეს დღე გვაჩვენებს, რომ სიკვდილის არა გვაქვს შიში,
სიკვდილზეც უფრო საშიში რამ ჩვენ ვეღარ გაგვყრის;
გსურს, რომ ახლავე ჩემი ცოდვა გაიზიარო—
ეს თუა ცოდვა, სანუკვარი ხილი იგემო,
ხილი, რომელმაც ბედნიერი შემთხვევა მომცა
შენი ჩემდამი სიყვარული გამომეცადა,
რადგან მის ძალას აქამომდე ჩვენ არ ვიცნობდით...
მე რომ ვფიქრობდე, ჩემს ცდას მყისვე მოჰყვება-მეთქი
სიკვდილი, რითაც თავიდანვე გვემუქრებოდნენ,
მაშინ ამ სიკვდილს მარტოდმარტო შევეგებვოდი,
არ ვეცდებოდი, მერწმუნე, შენს გადაბირებას,
არ დაგირღვევდი მშვიდობასა და მყუდროებას,
მით უფრო ახლა, საბოლოოდ როცა ვიხილე
შენი უბადლო სიყვარული და ერთგულება.
მაგრამ სულ არ ვგრძნობ მე სიკვდილის მოახლოებას,
პირიქით, თითქოს მომემატა სიცოცხლის ძალა,
თვალი ამეხსნა, ახალ შვებას, ახალ იმედს ვგრძნობ,
ისეთ სანუკვარ და ღვთაებრივ გემოს განვიცდი,
რომ ძველად რაც კი მიგემნია ტკბილი, ნუგბარი,
აწ მქისადა და უგემურად მე მეჩვენება;
სჯობს უყოყმანოდ მიენდო ჩემს გამოცდილებას,
გასინჯო ხილი და ქარს მისცე სიკვდილის შიში“.

ესა თქვა, ადამს მოეხვია და თვალებიდან
გადმოაფრქვია სიხარულის ნაზი ცრემლები;
გული მას შვებით ევსებოდა, რადგანაც გრძნობდა
ქმრის განუზომელ სიყვარულსა: ევას გულისთვის
არ შეუშინდა არცა სიკვდილს, არც ზეცის რისხვას.
ქმარს გასამრჯელოდ, (ამ სულელურ დამორჩილებას
სწორედ ამგვარი გასამრჯელო შეეფერება),—
ევამ იმავე მაცთუნებელ ხის ტოტებიდან
ჩამოუკრიფა მშვენიერი ნაყოფი უხვად;
ადამიც სინდისუქენჯნელად ხილს დაეხარბა,
თუმცა იცოდა, რომ აკრძალულ ნაყოფსა ჭამდა;

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ის არ ყოფილა არავისგან მოტყუებული,
მოაჯადოვა დედაკაცის ლაციცმა მხოლოდ...

ტკივილებისგან კვლავ შეინძრა მიწის წიაღი,
ბუნებამ ისევ გამწარებით ამოიკვნესა,
ჭექა-ქუხილი გამძვინვარდა, ცა ჩამობნელდა
და სიმწრის ცრემლით დაიტირა პირველი ცოდვა,
პირველი ცოდვა — საშინელი სიკვდილის წყარო.
ჭამით გართული ადამი კი ვერ-რას ხედავდა,
არ მოერიდა ევაც ცოდვის განმეორებას,
ჭამდა, მეუღლეს დანაშაულს უადვილებდა...
და თითქოს მაჭრით დამთვრალიყვნენ — გაბრუვდნენ უცებ,
ნეტარებაში გალაღებით დაიწყეს ცურვა,
წარმოიდგინეს, რომ ღვთაებრივ არსებად იქცნენ,
შეესხათ ფრთები, ზიზღით მოსწყდნენ უბადრუკ მიწას...
მაგრამ სხვაგვარად იმოქმედა მაცდურმა ხილმა—
მყის ხორციელმა აღტყინებამ მათ დაუარა,
ადამმა ევას ვნებიანად მიაპყრო თვალი,
ევამც ასევე აღტყინებით ქმარს გადახედა,
ავხორცი ვნება დაეუფლა იმათ სხეულებს;
მაშინ მიმართა ასე ანცად ადამმა ევას:

„ახლა კი ვხედავ, რა ფაქიზი გემო გქონია,
რაიც, იმავ დროს, მოასწავებს შენს განთქმულ სიბრძნეს;
ქების ღირსი ხარ, ჩინებულად გამიმასპინძლდი.
მართლაც რომ ბევრი დაგვიკარგავს, რაკი აქამდე,
ერთხელაც არის, არ ვიგემეთ ნუგბარი ხილი,
მისი ნამდვილი სიტკბოება არ გაგვისინჯავს;
თუ ყველაფერი აკრძალული ასე ტკბილია,
ერთი რას კმარა — ნეტა ათი ხე აეკრძალოთ...
ახლა კი მოდი, ჩინებული სადილის შემდეგ
თავიც ასევე ჩინებულად ჩვენ შევიქციოთ,
რადგან იმ დღიდან, რაც გიხილე, ცოლად შეგირთე,
ასე ლამაზი არასოდეს მომჩვენებიხარ,
შენით დატკბობის ჟინსაც ასე არ აღუგზნივარ.
ამ ნაყოფს უნდა ვუმადლოდეთ: ასეთი ტურფა,
ასე კეკლუცი არ ყოფილხარ ჯერ არასოდეს“.

ტკბილი სიტყვებით, ანცი მზერით, ხელის თამაშით
ცოლს სატრფიალო გულისწადილს მიახვედრებდა,
ევაც მიუხვდა და თვალები ვნებით აენთო.
ქმარი ხელში სწვდა, გაიტაცა ჩრდილში, სკამისკენ,
რასაც ებურა სახურავად ხეთა სიმწვანე,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გაიტაცა და ცოლიც მიჰყვა, არ გაუძალდა;
ლოგინად ეგოთ ასფოდელი, იასამფერი,
ნაზი სუმბული—დედამიწის ფაფუკი კალთა...
აქ დაეწაფნენ სიყვარულის საამო ნექტარს,
იჯერეს გული სატრფიალო ხვევნა-ალერსით,
ცოდვა თავისი, ერთობლივი, მტკიცედ დაბეჭდეს
და სიყვარულის თავშექცევით მთლად მოთენთილებს,
გულმოყიჭებულთ, ბოლოს ძილმა მოსტაცა თვალი.
მაგრამ მალევე ძალა იმა მაცთური ხილის,
რამაც მოხიბლა, დაუბნიდა გონება ცოლ-ქმარს
და შინაგანი არსი მათი ცთუნებას მისცა,
სულმთლად აორთქლდა და მტანჯველი, გულისწამღები,
მძიმე, მქენჯნელი სინდისისა—ძილიც გაშორდათ.
გამოიღვიძეს, თითქოს სულაც არ დაესვენოთ,
შეხედეს ერთურთს და მაშინვე ორივე მიხვდა—
თვალნი ახსნოდათ, გონება კი ჩაბნელებოდათ.
უმანკოება, რაიც მარჯვე საბურველივით
ავის ცოდნისგან იფარავდა, გაშორებოდათ;
არ შერჩენოდათ აღარც რწმენა საკუთარ თავის,
აღარც სამართლის წმიდა გრძნობა, თანდაყოლილი,
არც ძველებური ღირსება და პატიოსნება;
გაშიშვლებული და ცოდვილი სირცხვილი შერჩათ,
და მხოლოდ იგი აფარებდა თავის საბურველს—
არა, ის უფრო აშიშვლებდა, დაფარვის ნაცვლად.
ახლა ისინი ძალგულოვანს, ჰერკულესის დარს,
დანის მემკვიდრეს—გულად სამსონს დამსგავსებოდნენ,
რომელსაც ერთხელ ფილისტინელ მეფის ასულის
დალილას გარყვნილ სარეცელში გამოეღვიძა
და მაშინ მიხვდა, რომ ძალ-ღონე მას წართმეოდა*.
ისხდნენ სიკეთეგამოცლილნი, მთლად უმწეონი,
სირცხვილით სახეალეწილებს ხმაც წართმეოდათ;
დიდხანს სხდნენ ასე მუნჯებივით, ბოლოს ადამმა,—
ევაზე ნაკლებ თუმც არ იყო იგი შემცბარი,—
მძიმე სიჩუმე დაარღვია და დაღვრემით თქვა:

„მაინც რა კრული ჟამი იყო ის ჟამი, ევა,
როს გაიძვერა ქვეწარმავალს ათხოვე ყური,
ვისაც კაცური მეტყველება სხვამ შეასწავლა?!
გულს ჩაგვისახა განდიდების ტკბილი იმედი,
სინამდვილეში კი დაცემა ჩვენ განვიმზადეთ.
მართლაც აგვიხსნა მან თვალები: მშვენივრად ვარჩევთ
კეთილს და ბოროტს, მაგრამ კეთილს ჩვენთვის დაკარგულს
და იმის ნაცვლად მოპოვებულს მხოლოდღა ბოროტს!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ცუდი ყოფილა, სავალალო, ცოდნის ნაყოფი,
თუ მხოლოდ ამის გაგებას და ცოდნას გვიქადდა,
თუ ასე ტიტვლად დაგვტოვებდა, პატივს აგვხდიდა,
უმანკოებას, ერთგულებას, პატიოსნებას
და სისპეტაკეს წარგვტაცებდა; თუ შებღალავდა,
წაგვიბილწავდა თანდაყოლილ ყველა სიკეთეს
და სახეებზე დაგვამჩნევდა ასე აშკარად
ბილწ ავხორცობის სამარცხვინო ნაჭდევს, ნაკვალევს.
თვალი როგორღა გავუსწორო ღმერთს, ანგელოზებს,
ვისაც აქამდე სიხარულით შევციცინებდი?!
ამიერიდან ვერ გავუძლებთ მათ ელვარებას,
თავბრუს დაგვახვევს მიწის შვილებს ცის არსთა ხილვა,
მათი კაშკაში ამოგვიშრეტს სინათლის წყაროს.
ნეტა შემეძლოს განვმარტოვდე დაბურულ ტყეში,
სადაც თვალუწვდენ მცენარეთა კენწეროები
ჩრდილს, ღამესავით ჩაბნელებულს, ფართოდ გაშლიან,
მზის და ვარსკვლავთა სიკაშკაშეს თვით შეიწოვენ
და მათ სინათლეს დაბლა აღარ ჩამოუშვებენ;
ჰოი, ფიჭვებო, კედარებო, თქვენი ტოტებით
კარგად დამფარეთ, რომ დღეიდან აღარასოდეს
აღარ ვიხილო ღვთაებრივი სინათლის წყარო!..
მაგრამ წავიდეთ, რას ვზოზინებთ, სჯობს მოვიფიქროთ
ჩვენი სასირცხო ადგილები რით დავიფაროთ.
იქნებ წავაწყდეთ ფართოდ გაშლილს მცენარის ფოთლებს,
ერთმანეთს მჭიდროდ გადავაწნათ და ასეთგვარად
წელზე შევირტყათ, რომ ახალი სტუმარი ჩვენი,
რასაც სირცხვილი ეწოდება, იქ აღარ იჯდეს
და განუწყვეტლივ არ გვავსებდეს საყვედურებით“.

ასეთი რჩევა თქვა ადამმა და ორივენი
დაბურულ ტყისკენ გაემართნენ; იქ მალე ნახეს
ლეღვის ხე ერთი, არა იგი, რისი ნაყოფიც
განთქმული არის ქვეყანაზე; იმ ხეს ამჟამად
ხშირად შეხვდებით ინდოეთში — დეკანს, მალაბარს,
ფართოდ გაშლილი, გაბარდული დიდი ტოტებით
ისინი მიწას ეხებიან, ფესვებს იდგამენ
და ვით ასულნი, იზრდებიან დედა ხის ირგვლივ.
ამ მცენარეთა ხეივანი შორს გაჭიმულა,
მაღლა ფოთლების თაღი არის გადმოფენილი
და ხეივანში ექო მარად დაეხეტება.
აქ ინდო მწყემსი, სიცხისაგან შეწუხებული,
ხშირად ეძიებს საჩრდილობელს საამოდ გრილსა,
თვითონც შევა და საგანგებოდ, სქელ რტო-ფოთლების

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვთქვათ, მიუშვი და შეეყარა რაიმე სნებას,
შენვე გაგკიცხავს — რად დამითმე, რად გამიშვიო“...

ასე თათხავდნენ ერთმანეთსა, და არც ერთ მათგანს
არ სურდა თავი გაეკიცხა. მათ ბალღურ დავას
ბოლო არ ჰქონდა, გადიოდა დრო ასე ფუჭად.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

წიგნი მეათე

შინაარსი

ადამიანის დანაშაულს რომ გაიგებენ. მცველი ანგელოზები სამოთხიდან ცაში დაბრუნდებიან, რათა თავი იმართლონ, ფხიზლად ვგუშაგობდითო. ისინი გამართლებულნი არიან, რადგან ღმერთი განაცხადებს, რომ სატანასათვის გზის გადაღობვა მათ არ შეეძლოთ. დამნაშავეთა დასასჯელად ღმერთი თავის ძეს წარგზავნის; ძე ღვთისა დაეშვება და ადამიანებს განაჩენს გამოუცხადებს; მერე შეებრალება ისინი, შემოსავს და ისევ ცაში დაბრუნდება. ცოდვა და სიკვდილი, რომლებიც აქამდე ჯოჯოხეთის კარებთან ისხდნენ, სიხარულით გაიგებენ ახალ ქვეყანაში სატანის გამარჯვებისა და კაცის ჩადენილ ცოდვის ამბავს. ისინი გადაწყვეტენ, მიატოვონ ჯოჯოხეთი და თავიანთ მბრძანებელ სატანას გაჰყვნენ ადამიანის საცხოვრებელ ადგილას; რომ უფრო გააადვილონ მიმოსვლა ჯოჯოხეთსა და იმ ახლადშექმნილ ქვეყანას შორის, ისინი სატანის ნაკვალევზე, ფართო გზას გაიყვანენ, ანუ ხიდს გასდებენ ქაოსზე. დედამიწისკენ გამგზავრების წინ ისინი შეხვდებიან გამარჯვებით გაამაყებულ სატანას, რომელიც ჯოჯოხეთში ბრუნდება; ერთმანეთს ულოცავენ გამარჯვებას. სატანა პანდემონიუმში ბრუნდება და ერთად შეკრებილ ანგელოზთ ამაყად მოუთხრობს თავისი გამარჯვების ამბავს, მაგრამ ტაშის ნაცვლად დარბაზში გაისმის შეკრებილთა საერთო ხისინი: სამოთხეში წარმოთქმული მსჯავრის თანახმად, ისინი, სატანასთან ერთად, უცებ გველებად იქცნენ. შემდეგ მოეჩვენებათ, თითქოს იქვე, მათ თვალწინ, აკრძალული ხე აღიმართა; მყისვე დახარბებით მივარდებიან ნაყოფს, მაგრამ მხოლოდ მტვერსა და მწვანე ნაცარს ღეჭავენ. ცოდვისა და სიკვდილის მოქმედება; ღმერთი იწინასწარმეტყველებს, რომ ძე ღვთისა საბოლოო გამარჯვებას მიაღწევს მათზე და კვლავ აღორძინდება ქვეყანა. მაგრამ ამჯერად იგი ანგელოზებს უბრძანებს სხვადასხვაგვარი ცვლილებები მოახდინონ ზეცასა და სტიქიებში. რაც დრო გადის, ადამი უფრო და უფრო განიცდის თავის დაცემას, მწარედ მოსთქვამს და ევას თანაგრძნობას უარსა ჰყოფს; მაგრამ ცოლი არ ეშვება და საბოლოოდ დაამშვიდებს ქმარს; მერე, შთამომავლობას რომ მაინც ააცილოს განკიცხვა, იგი ადამს ურჩევს ჩვენივე თავი გავინადგუროთო. ადამი არ მოიწონებს ცოლის რჩევას, უკეთეს იმედებს მიენდობა და ევას მოაგონებს, რა აღთქმა დადეს უკანასკნელად, და რომ ცესლი მისი შურს იძიებს გველზე; დაარწმუნებს ევას, რომ მონაწიეებითა და ლოცვით ისინი მიაღწევენ განაწყენებულ ღმერთთან შერიგებას.

ამასობაში ზეცაშიაც ცნობილი გახდა
ვერაგ სატანას საზარელი შურისძიება:
ისიც — თუ ევა ვით აცთუნა გველადქცეულმა
და ისიც — ევამ ქმარი როგორ გადაიბირა,
როგორ აჭამა ის ნაყოფი საბედისწერო.
აბა, თვალს ღვთისას, ყოვლისმხედველს, ვინ დაემალოს,
ვინ მოატყუოს გული ღვთისა, ყოვლისშემცნობი!
ყველა საქმეში ბრძენია და სამართლიანი;
არ დაუშლია სატანასთვის კაცის ცთუნება,
რადგან, აღჭურვილს ნებისყოფით და ძლიერებით,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თვითვე შეეძლო ადამიანს გამომჟღავნება
და უკუგდება ყოველგვარი ვერაგობისა,
თუნდ ყოფილიყო იგი მტრისა, თუნდ ცრუ მეგობრის.
აკი იცოდნენ, ვალდებულიც იყო კაცთ მოდგმა,
რომ ხსომებოდა ზენაარის მაღალი ნება —
აღთქმა დიადი, არ ეჭამათ იგი ნაყოფი,
თუნდა ცთუნება ყოფილიყო მეტად ძლიერი.
გასტეხეს აღთქმა და მიიღეს ღირსი სასჯელი.
(უნდა სცოდნოდათ ეს თავიდან), ცოდვებისათვის
დაიმსახურეს დაცემა და განადგურება!
სამოთხის მცველი ანგელოზნი, დედამიწიდან,
ადამიანის მწარე ბედით დაღონებულნი,
უხმოდ გაფრინდნენ, გამალებით, ცის ბჭეებისკენ;
ადამიანის მძიმე ცოდვა როცა გაიგეს,
გაჰკვირდნენ დიდად — გაიძვერა, ვერაგმა მტერმა
ვით მოახერხა უხილავად შემოპარვაო.
საზარი ცნობა მალე მისწვდა ცის კარიბჭეებს
და დააღონა სასუფევლის მკვიდრი ყოველი;
სახეზე ყველას მძიმე სევდა გადაეფინა,
მაგრამ ციური ნეტარება მათ ვერ წარსტაცა.
გუნდნი დას-დასად შეიკრიბნენ, რათა გაეგოთ
ადამიანის ცთუნების და ცოდვის ამბავი.
მერე სასწრაფოდ გაემართნენ ზენაარისკენ,
რომ მის წინაშე ახლა თავი ემართლებინათ;
მართლაც ადვილად მიაღწიეს მათ გამართლებას:
ღრუბლების ჯანღში გახვეულმა უზენაესმა,
მამამ ციურმა განაცხადა მეხის გრგვინვაში:

„ნუ დაღონდებით, ეს ამბავი ნუ შეგაშფოთებთ,
თქვენ, ანგელოზნო, სამოთხიდან დაბრუნებულნო,
რომელთაც ჩემი დავალება ვერ შეასრულეთ.
როგორც არ უნდა ცდილიყავით მტრის შეჩერებას,
თქვენ ამას მაინც ვერ შესძლებდით, ვერ მიაღწევდით.
რაც მოხდა, აკი წინასწარვე განვჭვრიტე მაშინ,
როდესაც მტერმა, საზარელმა, ბნელი უფსკრული
გადმოლახა და სამოთხისკენ გამოეშურა.
აკი გითხარით — გულის წადილს მიაღწევს-მეთქი,
დაეშურება შეასრულოს ზრახვა თავისი
და კაცთა მოდგმაც, ცთუნებული მისგან მზაკვრულად,
მყისვე ირწმუნებს შემოქმედზე შეთითხნილ ჭორებს,
რისთვისაც შემდეგ სუყველაფერს დაჰკარგავს-მეთქი!
მისი დაცემა როდი იყო ჩემი სურვილი,
არც მიხმარია მე გავლენა იმის ნებაზე,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რადგან ჩემგანვე ჰქონდა ნიჭი მიმადლებული,
ძალა შესწევდა მაცთუნებელს წინაღდგომოდა...
მაინც დაეცა! ამის შემდეგ რა დამრჩენია,
უნდა სიკვდილის მსჯავრი დავდო ცოდვებისათვის.
განადგურებას ის ელოდა დაუყოვნებლივ
და რაკი მსჯავრი დავაყოვნე, გული მოიცა.
ჩემი მუქარა ეჩვენება ლიტონ სიტყვებად.
თვითონვე ნახავს, მანამ ეს დღე დაღამდებოდეს,
რომ დაყოვნება გაუქმებას სულაც არ ნიშნავს.
ჩემი სიუხვე და სიკეთე მან შეიზიზღა,
ამ სასჯელს კია, სამართლიანს, ვერ გაექცევა.
მაგრამ ვინ უნდა გავაგზავნო მის დასასჯელად?
ვინ, თუ შენ არა, ძეო ჩემო, ჩემო მემკვიდრე?
სამსჯავრო ცისა, დედამიწის, ჯოჯოხეთისა
მე შენთვისა მაქვს მონდობილი; შენ რომ გაგგზავნი,
ყველა მიხვდება ჩემს განზრახვას: მართლმსაჯულებას
გულმოწყალებაც შევუერთო, შევუკავშირო.
ადამიანის ქომაგი და მეგობარი ხარ,
შენვე ისურვე, მისი ცოდვა გამოგესყიდა,
გამხდარიყავი ერთადერთი მხსნელი, ქომაგი,
და კაცად ქცეულს, კაცის საქმე თვით განგესაჯა“.

ბრძანა ეს მამა-ზეციერმა, მისი ნათელი
მემკვიდრეს მისას, ძეს ერთადერთს, გადაეფინა,
და ღვთაებრივის სიკაშკაშით გააცისკროვნა.
ღვთიურის კდემამოსილებით მიუგო მამას:
„შენი საქმეა, მამავ ჩემო, ბრძანება მხოლოდ,
მე მოვალე ვარ ზეცასაც და დედამიწასაც
უზენაესი შენი ნება მოვფინო ყველას,
შენი მარადი სიდიადე ჩემში ვლინდება.
მე დავეშვები იმ ცოდვილთა მსჯავრდასადებად.
თვითონვე უწყი, რომ იმათი ცოდვებისათვის
მძიმე სასჯელი საბოლოოდ მე დამაწვება,
აკი შენ თვითონ საზეიმოდ მოგეც ეს აღთქმა
და არცა ვნანობ, რადგან ვიცი ამ თავგანწირვით,
შევუმსუბუქებ ადამიანს მძიმე განსაცდელს;
მართლმსაჯულებას შევარბილებ გულმოწყალებით,
მათ ვანუგეშებ და შენს რისხვას უვნებელს გავხდი.
მე მარტო წავალ, თან არავის არ გავიყოლებ,
მსჯავრს დაესწრება მხოლოდ ორი, ცოდვილი წყვილი,
მესამეს რაღა დასჯა უნდა — განკიცხულია,
კანონებისგან განდგომილი, გაძევებული,
და ერთხელ კიდევ მხილებული ამ გაქცევითა;
მეტი მხილება-გამჟღავნება გველს არც სჭირდება“.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ესა ბრძანა და მამის ნათლით გაცისკროვნებულ,
იმ ღვთაებრივის ტახტიდან ის წამოიმართა.
დიდებულებმა, თავადებმა, ხელისუფლებმა
ის გააცილეს მოწიწებით, თაყვანისცემით,
ცის კირიბჭემდე, საიდანაც თვითონ ედემის
თვალუწვდენელი და წარმტაცი ხედი იშლება.
დაეშვა მყისვე იგი დაბლა და გაეშურა;
დრო ხომ წუთების უსწრაფესი ფრთებით დაფრინავს,
მაგრამ ის მაინც ვერ გაზომავს ღმერთთა სისწრაფეს!
მზე დიდებული დასავლეთით გადახრილიყო,
გაჰლვიძებოდა გრილსა ნიავს და საამურად
მზით გახურებულს დედამიწას უალერსებდა,
როდესაც დიდი მსჯავრმდებელი და თან ქომაგი,
რომელსაც რისხვა ნიავივით გაჰგრილებოდა,
მიუახლოვდა დედამიწას, კაცთ დასასჯელად.
შებინდებისას მწუხრის სიომ ადამიანებს,
რომლებიც იმ დროს ბუჩქნარებში დაყიალობდნენ,
ზენაარის ხმა მიუტანა; რა გაიგონეს,
მყისვე ორივე — ცოლიც, ქმარიც ბუჩქს მოეფარა.
მაინც მოძებნა დიდმა ღმერთმა და ადამს უთხრა:

„ადამ, სადა ხარ? სიხარულით მხვდებოდი მუდამ,
თვალს შემავლებდი შორიდანვე, მეგებებოდი!
ახლა სად გაქრი? მარტოდმარტო დავდივარ, მწყრალი,
მაგრამ იქ, სადაც უძებნელად გნახავდი წინათ,
სადაც მხურვალე თაყვანცემას ვიღებდი შენგან,
ვერ მიპოვნიხარ. ამიხსენი რა მოგივიდა!
იქნებ მომაკლდა ელვარება და ვეღარ მამჩნევ?!
თუ შენ თვითონვე შეიცვალე და მემალები?!
ანდა, იქნება, გაკავებდეს სხვა რამ მიზეზი!
მარქვი, მაუწყე ყველაფერი, გამომეცხადე!“

პირველად ადამ გამოვიდა. მას მოჰყვა ევაც,
მაგრამ ქმარს იგი ყოყმანით და ზლაზნვით მოსდევდა,
თუმცა ცთუნებას უყოყმანოდ აჰყვა პირველი;
სახეშეშლილებს თვალებშიაც მთლად გაჰქრობოდათ
ღვთის სიყვარულიც, ერთმანეთის პატივისცემაც
და მათი მზერა ასხივებდა მხოლოდ და მხოლოდ
არეულობას, ცბიერებას, უჯიათობას,
ცოდვას, ღვარძლს, წყენას, სირცხვილსა და განწირულებას;
ენის ბორძიკით, ღმერთს ადამმა მოკლედ მიუგო:
„შენი ხმა მესმა სამოთხეში და დავიმალე,
რადგან შიშველ ვარ, ზენაარო, და შემეშინდა“.

www.PDF.ChiaturaINFO.GE



www.PDF.ChiaturaINFO.GE

მაშინ მსაჯულმა, გულმოწყალემ, მას მშვიდად უთხრა:
„ხშირად გსმენია შენ ჩემი ხმა, და შიში რაა,
პირიქით, მუდამ გიხაროდა ჩემი მოსმენა.
ახლა რა მოხდა, რამ დაგაფრთხო, რამ შეგაშინა?
ანდა იმას ვინ მიგახვედრა, რომ შიშველი ხარ?
აკრძალული ხის ნაყოფი ხომ არ გიჭამია?“
ასე მიუგო მას ადამმა, დამწუხრებულმა:
„ვაი ამ შავს დღეს — ჰოი ზეცავ, როგორ მძიმეა
ჩემი მაღალი მსჯავრმდებელის წინაშე დგომა;
ან მთელი ცოდვა მე თვითონვე უნდა ვიკისრო,
ან დავაბრალო ყველაფერი ჩემსა მეუღლეს,
ჩემი ცხოვრების მოზიარეს, ფერცხალსა ჩემსას!
მაგრამ ერთგული მეგობარი როგორ გავწირო,
ჩემი ჩივილით როგორ მოვსპო?! დავიფარავდი,
მაგრამ ეს მკაცრი სინამდვილე მე მაიძულებს,
რომ ყველაფერი გავამჟღავნო. თუნდ მე ვიკისრო
მთელი სასჯელი, მთელი ცოდვა, აუტანელი,
ხომ სულერთია, შენ ხომ მაინც გამოამჟღავნებ,
რის დაფარვასაც მონდომებით მე შევეცდები!
ჩემი მეუღლე, მოვლენილი შენგანვე შემწედ,
ყველაზე უფრო ძვირფასი, რაც შენ მომანიჭე,
ისე კარგია, ღვთაებრივის კდემით მოსილი,
რომ მისგან ბოროტს მე არაფრით არ მოველოდი,
ყოველ მის საქმეს ამართლებდა მისივ მშვენება...
მან მომაწოდა ის ნაყოფი და მეც ვიგემე“.

სახებამ ღვთისამ ასე უთხრა პასუხად ადამს:
„ნუთუ ეს ქალი დაისახე დიდებულ ღმერთად?
ღმერთს აღარ უსმენ — ქალს უსიტყვოდ ემორჩილები!
ხომ არ გეგონა, შენს წინამძღვრად შექმნილი იგი?
იქნებ მოთავედ, ან შენს ტოლად წარმოიდგინე!
მაშ როგორ დასთმე ღირსება და ძალაუფლება,
ვაჟკაცის ნება ქალს რარიგად დაუმორჩილე?
იგი მე შენგან და შენთვისვე შევქმენი მხოლოდ,
და, რა თქმა უნდა, მასზე მაღლა შენ უნდა იდგე,
შენა ხარ უფრო ღირსეული და სრულყოფილი.
მართალი არის, ის შევამკე სრული მშვენებით,
რათა აღეძრა შენში ტრფობა და სიყვარული,
არა მონური მორჩილება! იმას მივმადლე
ისეთი ნიჭი, რაც წინამძღოლს მოითხოვს მუდამ,
ბრძანებლობა და უფროსობა მას არ შეეფერის,
ეს შენ შეგფერის, შენი იყო ხელისუფლება,
რომ საკუთარი თავის ფასი არ დაგვიწყნოდა“.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ეს თქვა და ევას მიუბრუნდა უფალი ღმერთი:
„ახლა შენ მარქვი, დედაკაცო, რაი ჰყავ ესე?“
სინანულისგან, სირცხვილისგან დამწუხრებულმან,
ევამ ცოდვები აღიარა, მაგრამ მსჯავრმდებელს
ბევრი ყბედობა ვერ შეჰბედა და ასე უთხრა:
„გველმან მაცთუნა, აკრძალული ხილი მაჭამა“.
რა მოისმინა ეს უფალმა, დაუყოვნებლივ
პირველი მსჯავრი იმ წყეულ გველს გამოუტანა,
თუმცალა უტყვი და უთქმელი ცხოველი იყო,
ვერ ამხილებდა ნამდვილს მტერსა, რომელმაც იგი
ავი ზრახვების იარაღად გამოიყენა
და ჩირქი მოსცხო, მთლად შებღალა მისი არსება.
სამართლიანად შეაჩვენა უფალმა ღმერთმა,
რადგან ბუნებით გველი უკვე ბილწი შეიქნა...
ზედმეტის ცოდნა ადამიანს აღარ უნდოდა,
(რადგან ნამდვილი დამნაშავე მან არ იცოდა
და მეტის ცოდნა ცოდვებსაც ვერ შეურბილებდა),
მაგრამ ნამდვილად ზენაარმა პირველი მსჯავრი,
მთელი ცოდვების პირველ წყაროს — სატანას დასდო,
თუმც ამჯობინა ყოფილიყო ეს დაფარული.

ასე დასწყევლა ღმერთმა გველი: „რამეთუ ეს ჰყავ,
ქვეყნის ყოველთა მხეცთაგანა და პირუტყვთაგან
იყავ წყეული, სამუდამოდ შეჩვენებული,
მკერდსა ზედა და მუცელზედა ხვიდოდე მუდამ,
შენის ცხოვრების ყოველსა დღეს მიწასა სჭამდე,
მტეროობა დავდვა შორის შენსა და შორის ქალის,
და შორის თესლის შენისა და დედაკაცისა;
იგი უმზირდეს თავსა შენსა, შენ კი მის ბრჭალსა“.
ბრძანა უფალმა, წინდაწინვე განჭვრიტა ასე,
და საბოლოოდ ყველა მისი სიტყვა გამართლდა,
როცა იესომ, მარიამის შვილმა, იხილა
ელვის სისწრაფით ცის ბჭეთაგან ჩამოტყორცნილი,
დიდი თავადი ჰაერისა — ბილწი სატანა...
თვითონ კი აღსდგა საფლავიდან, სულმთლად დაიპყრო
შავი ძალები ქვესკნელის და ჯოჯოხეთისა,
გამარჯვებულმა ტყვეები წინ გამოირეკა,
და შეჰყვა ჰაერს, მოელვარეს, გაცისკროვნებულს,
რაიც სატანას დიდხანს ჰქონდა მიტაცებული;
ხოლო მას შემდეგ გზა გაეხსნათ ადამიანებს,
რომ ფეხით სთელონ უფლის ნებით სატანას თავი.
საბედისწერო ესე მსჯავრი დასდო სატანას
და შემდეგ ევას მიუბრუნდა უფალი ღმერთი:

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„გამრავლებითა განამრავლო სულთქმანი შენნი,
მწუხარებით შვა შვილნი შენნი, ქმარს მორჩილებდე,
ის იყოს შენი მბრძანებელი, ხელისუფალი“.
საბოლოოდ კი ადამს დასდო ასეთი მსჯავრი:
„რაკი ისმინე ხმა ცოლისა, იგემე ხილი,
რომლისა გამცნე არა ჭამა და მაინც სჭამე,
დამიწყევლია მიწა შენთა საქმეთა გამო,
მწუხარებითა სჭამდე მიწყივ, შენს ცხოვრებაში,
აღმოგიცენებს მიწა ეკალს და თავცეცხლასა,
და სჭამდე ბალახს ველისასა, ოფლით მონაგარს;
ოფლით პირისა შენისათა სჭამდე პურს შენსა,
ვიდრემდე, ბოლოს, ისევ მიწად მიიქცეოდე,
რადგან, იცოდე, მიწითგანვე მოღებულ იქმენ;
თვითონ მიწა ხარ და მიწადვე უნდა მიიქცე“.

ასეთი მსჯავრი ადამიანს გამოუტანა
მსაჯულმა დიდმა და თან მხსნელმა, ცით მოვლენილმა;
ბრძანა სიკვდილი, სიკვდილის დრო კი გაუგრძელა.
მერე შიშველნი, მის წინაშე უმწეოდ მდგომნი,
უფალმა ღმერთმა შეიბრალა, არ შეეზიზღა
და ვით მსახური, მათ შემოსვას შეუდგა მყისვე,—
ისევე როგორც ქრისტე ღმერთმა დიდი ხნის შემდეგ
მოწაფეთათვის ფეხის ბანა არ დაიზარა.
როგორც შეჰფერის დიდად მზრუნველს ოჯახის მამას,
ცხოველთა ტყავით მან შემოსა ცოლ-ქმარი მაშინ,
(არავინ იცის — გაატყავეს მოკლული მხეცნი,
თუ გველებივით კანი თვითვე გამოიცვალეს.)
ასე შემოსა მტერნი თვისი თავით ფეხამდე,
და განა მარტო გარეგანის შესამოსელით—
არ დაავიწყდა შინაგანი სიშიშვლეც მათი,
რაიც მით უფრო, რა თქმა უნდა, სასირცხო იყო,—
ჩამოაფარა საბურველი მან სიმართლისა
და დაიფარა ზენაარის მახვილ თვალთაგან.
მერე სასწრაფოდ ზეამაღლდა, ძვალებურადვე
თავის ადგილი დაიჭირა სასუფეველში,
და თუმცა ღმერთი ყოველივეს შემცნობელია,
ადამიანის საქმეები მაინც მოუთხრო,
ისიც კი სთხოვა, მოწყალება მოეღო მასზე.

ვიდრე მიწაზე მოხდებოდა ეს მძიმე ცოდვა
და კაცთა მიმართ ვიდრე ღმერთი ბრძანებდა მსჯავრსა,
უფსკრულის კართან, რაც სატანამ ღია დასტოვა
და საიდანაც მოგრგვინავდა მძვინვარე ცეცხლი,
ისხდნენ მდუმარედ — აქეთ ცოდვა, იქით სიკვდილი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სიჩუმე ცოდვამ დაარღვია და სიკვდილს უთხრა:
„ო, შვილო ჩემო, რას ვუსხედვართ ასე უსაქმოდ,
და ერთმანეთის ყურებაში ვატარებთ დროსა,
მაშინ როდესაც ჩვენი მამა, დიდი სატანა
ბრძოლით იმკვიდრებს სასუფეველს ჩვენთვის ზეცაში,
ჩვენთვის — მისივე საყვარელი შვილებისათვის?!
ფიქრი არ არის, მიაღწევდა ის გამარჯვებას,
რადგან მარცხი რომ განეცადა, მაშინ აქამდეც
ქვესკნელის მტრები ჯოჯოხეთში გადმოისროდნენ:
ჯოჯოხეთს გარდა, სასჯელსა და შურისგებისთვის,
მთელს სამყაროში ვერსად ნახავ უკეთეს ადგილს.
თითქოსდა ძალა მომემატა, ფრთები მეზრდება,
ვრცელი უფსკრულის გამგებლობა დამრჩება ალბათ.
ვერ გამიგია, რამ აღმაგზნო ასე ძლიერად—
თანდაყოლილმა დიდმა ძალამ, თუ თანაგრძნობამ;
მაგრამ ამას ვგრძნობ, რომ თვალუწვდენ, დიდ სივრცეებში
უნდა ფარულის მეგობრულის ძალით შეერთდეს
და შეკავშირდეს ყველაფერი მონათესავე.
შენ, ჩრდილო ჩემო, განუყრელო, თან გამომყვები:
სიკვდილს და ცოდვას ვერა ძალა ვერ დააშორებს!
ამ ფართოდ გაშლილ, საშიშარის უფსკრულის გავლა
ცით დაბრუნებულს ჩვენს მამას რომ არ გაუძნელდეს,
ჩვენ მოვაგვაროთ ერთი საქმე, საერთოდ ძნელი,
მაგრამ ადვილად დასაძლევი შენთვის და ჩემთვის:
ამ საშინელი უფსკრულიდან გზა გავიყვანოთ,
დავაკავშიროთ ჯოჯოხეთი ახალ ქვეყანას,
სადაც სატანა გამარჯვებას ზეიმობს ახლა,
დე, ეს ჩვენი გზა ძეგლი იყოს სამარადისო,
რაც იმათ შორის მისვლა-მოსვლას გააადვილებს,
ან, იქნებ, სულაც გადასახლდეს იქ ჯოჯოხეთი.
გზას კი, გჯეროდეს, არ ავცდები, კარგად გავიკვლევ,
ისე მიზიდავს იმ ქვეყნისკენ ალღო და გზნება“.
ცოდვას მიუგო ჩრდილმა მისმა, სიკვდილმა, ასე:
„გასწი, საითაც მოგიწოდებს შენ ბედისწერა
და ეს ძლიერი მისწრაფება საითაც გიხმობს.
ფეხდაფეხ მოგდევ, ფიქრი ნუ გაქვს, გზას არ ავცდები,
რადგან უკვე მცემს ხოცვა-ჟლეტის საამო სუნი
და ყნოსვითა ვგრძნობ — უთვალავი ნადავლი მელის;
მე სუნთქვა მესმის სიკვდილისა და იგი მამცნობს,
რომ ყოვლი არსი, იქ მცხოვრები, სიკვდილს მოუცავს.
გასწი, გჯეროდეს, შენთანა ვარ, ზურგს გაგიმაგრებ“.

ეს თქვა და ხარბად შეიყნოსა სიკვდილის სუნი—

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნიშანი მიწის სავალალო ცვლილებებისა;
სწორედ ასევე ყვავ-ყორანნი წინა დღეს გრძნობენ,
თუნდა ბრძოლის ველს დიდად იყვნენ დაშორებულნი,
დიდი სისხლისღვრა მეორე დღეს სად უნდა მოხდეს,
და იდუმალი ყნოსვით იქით ეშურებიან,
თითქოს ადრევე ხედავენო მებრძოლთა გვამებს,—
ეს საშინელი მოჩვენებაც ბერავდა ნესტოს,
ყნოსავდა ჰაერს, დამძიმებულს სიკვდილის სუნით...
ჰა, გასცდნენ კიდეც ორივენი ქვესკნელის კარებს,
ვრცელი ქაოსის სამეფოში გაინავარდეს,
სადაც მხოლოდღა წყვდიადი და ნესტი მეფობდა,—
თავგამოდებით (ღონე ჰქონდათ გოლიათური)
წინ მიიწევდნენ, აღზევებულ ტალღებს ებრძოდნენ,
ხელით ხვეტავდნენ, იმ დიდ ზღვაში რაც შეხვდებოდათ—
რბილსა თუ მაგარს, თავს უყრიდნენ, აგუნდავებდნენ
და ჯოჯოხეთის კარებისკენ მიჰქონდათ ყველა;
შემდეგ სიკვდილმა მოიმარჯვა თვისი თოფუზი,
შეაკავშირა, შეაწება ერთმანეთს ყველა,
რაც იმ უსაზღვრო სივრცეებში ხელით მოხვეტეს,
საგულდაგულოდ გააჩერა და გაამაგრა,
ისევე, როგორც მოცურავე მიწა დელოსის
ნეპტუნმა, ბოლოს, შეაჩერა და უძრავი ჰყო*.
მერე მიაპყრო ამ დიდ გროვას გორგონის მზერა,
და გააქვავა... გადაასხეს კუპრი ზემოდან,
აღმართეს თაღი უმაღლესი, ვეებერთელა
და გასდეს ხიდი, ჯოჯოხეთის კარისებრ ფართო,
რაიც ქვესკნელთან დედამიწას აკავშირებდა,
საზარელ სიკვდილს მსხვერპლთან მისვლას უადვილებდა;
თვალუწვდენელი, უხიფათო, მოხერხებული,
სწორი და ფართო გზა გაიხსნა ჯოჯოხეთისკენ.
სწორედ ასევე, (თუ დიდ საქმეს ჩვენ შევადარებთ
უფრო მცირეს და უმნიშვნელოს), ოდესღაც ქსერქსი
თავისუფალი საბერძნეთის დასაპყრობელად
ქებულ მემნონის სასახლიდან გამოემართა,
მივიდა ზღვასთან, ჰელესპონტი ხიდად აქცია,
ვრცელი აზია ევროპასთან დააკავშირა,
და აბორგებულს ტალღებს ზღვისას უწყალოდ სცემა.
ამათაც — ც ო დ ვ ა მ და ს ი კ ვ დ ი ლ მ ა ააგეს ხიდი
გასაოცარი, არნახული; ვეება მთები
მბორგავ უფსკრულზე გადაადგეს, ჩამწკრივებულად,
შენებ-შენებით სატანას კვალს მიჰყვნენ პირდაპირ
და საბოლოოდ იმ მომხიბლავ ადგილს მიადგნენ,
სადაც ქაოსის გულისწამღებ საშინელებას

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სატანამ თავი დააღწია და უხიფათოდ
ფრთები დაუშვა ახალშექმნილ მრგვალ ქვეყანაზე.
აქ ადამატის ჯაჭვებით და დიდი ლურსმნებით
იმათ ეს ხიდი დაამაგრეს მტკიცედ, ურყევად...
მეტისმეტადაც ურყევად და საგულდაგულოდ!..
რომ ბევრი აღარ გავაგრძელოთ, მიადგნენ ადგილს,
სად ცის სამეფო ემიჯნება ჩვენს დედამიწას;
მარცხნივ მოსჩანდა ჯოჯოხეთი, შორს, უფსკრულს იქით.
აქ იყრებოდა სამივე გზა სამივ ქვეყნისა,
და სამოთხისკენ წასასვლელად მათ აირჩიეს
გზა დედამიწის... სწორედ ამ დროს, თვალი შეავლეს
ანგელოზივით მოელვარე მბრწყინავ სატანას,
ვინც ღრიანკალს და კენტავრს შორის დასრიალებდა,
(მზე კი იმ ხანად უკვე გასცდა ვარსკვლავს ვერძისას)
შეცვლილი იყო ხომ სატანა, მაგრამ შვილებმა,
მაშინვე იცნეს, ნახვისთანავე, ძვირფასი მამა...

როგორც კი ევა მოატყუა, სატანამ მყისვე
იცვალა სახე, მიიმალა ბუჩქებში იგი,
რათა შორიდან ეთვალთვალა და დაენახა,
რა მოჰყვებოდა მის საშინელ გაიძვერობას.
და.მართლაც მალე თვისი ქმარიც აცთუნა ევამ,
თუმც არ იცოდა, ამ ცთუნებას რა მოჰყვებოდა;
მერე სატანამ ისიც ნახა, თუ ვით გატიტვლდნენ,
ვით დაირცხვინეს და ტანსაცმელს დაუწყეს ძებნა,
რათა როგორმე დაეფარათ სიტიტვლე თვისი.
და როცა ღვთის ძეს, ძირს დაშვებულს, შეავლო თვალი,
რომელსაც უნდა ცოდვილთათვის მსჯავრი დაედო,
შეძრწუნდა, შეცბა და გაიქცა... კარგად იცოდა,
რომ აგრერიგად ღვთის რისხვას ვერ გაექცეოდა,
მაგრამ გაექცა იგი პირველ გაგულისებას.
როცა მინელდა ჯს პირველი საშიშროება,
დაბრუნდა ღამით სამოთხეში და მოისმინა
უმწეო წყვილის საუბარი, სევდისმომგვრელი...
მაშინ გაიგო მსჯავრი მასზედ გამოტანილი,
და ისიც, რომ მსჯავრს უფრო გვიან შეასრულებდნენ.
ახლა, ამ ამბით გალაღებულ-გახარებული,
ის ჯოჯოხეთში ბრუნდებოდა... ქაოსის საზღვრად
იმ დიდებული ხიდის თავში მოულოდნელად
თვალი შეავლო თავის ძვირფას შვილებს სატანამ,
და ამ შეხვედრით სიხარული იგრძნო უზომო,
რაც ხიდის ნახვამ კიდევ უფრო გაუძლიერა.
დიდხანს იდგა და აღტაცებით ხიდს შესცქეროდა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვიდრემდე, ბოლოს, მშვენიერი ასული მისი
ცოდვა სიჩუმეს დაარღვევდა და დაიწყებდა:

„მამავ, შენია ყველაფერი, შენი ნადავლი,
შენ კი შესცქერი, თითქოს სულაც შენი არ იყოს!
შენა ხარ ამის შემოქმედი, ხუროთმოძღვარი.
დიდი ხანია გული მიგრძნობს, — გული, რომელიც
შენს გულთან ერთად ფეთქავს თითქოს შეთანხმებულად, —
რომ იქ, მიწაზე, გამარჯვებას ეწიე დიადს;
აწ თვალებშიაც გატყობ ამას. როდი შევმცდარვარ!
სამყაროები გვაშორებდა ახლა ერთმანეთს,
მაგრამ მე მაინც მიგრძნო გულმა — შენს შესახვედრად
შენს შვილთან ერთად უნდა ჩქარა წამოვსულიყავ,
რადგანაც ბედი სამივესი განუყრელია.
ვერ დაგვაკავა ზღუდეებმა ჯოჯოხეთისა,
არც ამ ბნელს უფსკრულს არ შეეძლო ჩვენი დაჭერა,
შენს დიდებულ კვალს გამოვჰყევით, გამოვეშურეთ.
შენ დიდებული საქმე ჰქმენი: ქვესკნელის ტყვეებს,
სამარადჟამოდ ჯოჯოხეთში გამოკეტილებს,
თავისუფლება მოგვანიჭე; ძალა მოგვეცი,
რომ ვრცელს უფსკრულზე ეს ვეება ხიდი გაგვედო.
ახლა შენია, შენ გეკუთვნის მთელი სამყარო;
ის, რისი შექმნაც საკუთარი ხელით ვერ შესძელ,
ახლა გმირობა-მამაცობით შენ მოიპოვე;
დიადი სიბრძნით დაგვიბრუნე სუყველაფერი,
რაც ჩვენ ზეცაში წარგვტაცეს და გამოგვაცალეს,
იმაზე მეტიც მოგვანიჭე, რაც ძველად გვქონდა,
და ამით მართლაც დიდებულად იძიე შური;
არ დაგაცალეს გამგებლობა მაშინ ზეცაში,
სამაგიეროდ, აქ იქნები მეფე დიადი.
ვინც შენ გაჯობა, დე მეფობდეს სასუფეველში,
ამ ახალშექმნილ სამყაროდან კი გაგვეცალოს,
რომელიც თვითვე დასწყევლა და გამოიმეტა;
აწ მასთან ერთად ინაწილებ ხელისუფლებას —
ჩვენს საზღვრებს იქით, ზეცა სწორად გადაჭიმული
და ყველაფერი, რაც იქ არის, მისია მხოლოდ;
შენ კი გეკუთვნის ეს სამყარო, მრგვალი და ვრცელი,
სადაც მეფობა დაიმკვიდრე ამიერიდან
და მის ტახტისთვის კიდევ უფრო საშიში გახდი“.
მაშინ წყვდიადის მბრძანებელმა ეს უპასუხა:

„ტურფა ასულო, და შენც ძეო და შვილიშვილო,
თქვენ დაამტკიცეთ, რომ სატანას მემკვიდრენი ხართ,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

(ამ სახელით კი მე ვამაყობ, რადგან ის ნიშნავს
ზეცის ყოვლისმძლე მეუფის მტერს და ავისმსურველს),
ცის ბჭესთან ახლოს თქვენ ისეთი ხიდი ააგეთ,
ისე გმირული საქმე ჰქმენით, რომ სამუდამოდ
მეც, მთლად ქვესკნელიც, თქვენგანა ვართ დავალებული;
ამ დიდი საქმით ჩემი ღვაწლი დააგვირგვინეთ,
თქვენ შეაერთეთ ჯოჯოხეთი ამ ქვეყანასთან
და ერთ დიდ, ძლიერ სახელმწიფოდ გადააქციეთ.
მიტომაც ახლა, თქვენს გაყვანილ გზას დავადგები,
გავეშურები ბნელეთისკენ და ჩვენს მოძმეებს
ჩვენს წარმატებას, ჩვენს გმირობას, შევატყობინებ,
მათთან ერთადვე ვიზეიმებ ამ გამარჯვებას.
თქვენ შეერიეთ ამ უთვალავ სამყაროს ცისას,
რომლებიც ახლა უყოყმანოდ თქვენვე გეკუთვნით;
იარეთ მარჯვნივ, მიადექით სამოთხის კარებს
და იქ დამკვიდრდით, იქ იმეფეთ ტკბილ ნეტარებით,
დაიმორჩილეთ ჰაერიცა და დედამიწაც,
განსაკუთრებით სცადეთ კაცის დამორჩილება,
ვინაც იმ ქვეყნის ერთადერთი მბრძანებელია,
ჯერ დაიმონეთ და.მერე კი მოსპეთ, მოჰკალით;
ჩემს შემცვლელებად გგზავნით თქვენ ორს დედამიწაზე,
გაძლევთ უფლებას განუსაზღვრელს, განიჭებთ ძალას
შეუდარებელს, დაუძლეველს — ჩემივე ძალას.
თქვენს შეერთებულ ძალაზეა დამყარებული
ჩემი მეფობა ახალშექმნილ დედამიწაზე,
რომელიც ცოდვის მეოხებით სიკვდილს ვუბოძე.
თუ თქვენი ძალით დასძლევთ ყველას, მაშინ ჯოჯოხეთს
საშიშროება არ მოელის არავითარი.
გასწით, იყავით ძლიერნი და შეუდრეკელნი“.

უთხრა სატანამ და წარგზავნა დედამიწისკენ.
ისინიც სწრაფად შეერიენ ხშირ ვარსკვლავებში,
მიდიოდნენ და შხამს აფრქვევდნენ ირგვლივ, საშინელს,
ცაში ვარსკვლავებს აბნელებდა იმათი სუნთქვა,
პლანეტებს მძაფრად აჯახებდა ერთიმეორეს,
მათს ელვარებას ერთიანად სპობდა, აქრობდა.
სატანა გაჰყვა იმ ახალ გზას ჯოჯოხეთისკენ;
ხიდის სიმძიმით გაპობილი, გამწარებული,
ქაოსი ტალღებს ახეთქებდა ორივე მხრიდან,
უტევდა მძაფრად, აღელვებით, მაგრამ ამაოდ—
ხიდის ზღუდენი დასცინოდნენ მის გულისწყრომას.
განვლო კარები ქვესკნელისა და ჯოჯოხეთში
დაუბრკოლებლად შესდგა ფეხი მთავარმა მტერმა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მაგრამ იქ დახვდა სიჩუმე და სიცარიელე,
მცველებმა თურმე მიატოვეს თვის საგუშაგო,
მაღლა ზეცაში გაფრინდნენ და გაინავარდეს;
დანარჩენები წასულიყვნენ ღრმად ჯოჯოხეთში,
პანდემონიუმს შემორტყმოდნენ, რაც საამაყო
დედაქალაქად ითვლებოდა ლიუციფრისა,
(სატანას ასე უწოდებდნენ, რადგანაც ისიც
ამ ვარსკვლავივით ნათელი და ელვარე იყო*).
ლეგიონები ირგვლივ ერტყა მცველად სასახლეს,
ხოლო მთავარი ბელადები შიგ შესულიყვნენ
და, შეშფოთებულთ, გაემართათ ბჭობა იმაზე,
ჩვენს დიდ მბრძანებელს რა შეემთხვა, რად დაყოვნდაო;
გამგზავრების წინ, მელოდეთო, ასე უბრძანა,
ისინიც ისხდნენ, ასრულებდნენ ბრძანებას მისას.—
როგორც თათარი, რუსისაგან დაფეთებული,
თოვლით დაფარულ ველზე გარბის, ასტრახანს ახლოს;
როგორც სოფები, ბაქტრიელნი, ალადულადან
ოსმალურ მთვარის რქებისაგან თავდასაცავად,
ეშურებიან თავრიზსა და კაზბინისაკენ
და მთელს უდაბნოს უპატრონოდ სტოვებენ ხოლმე,—
სწორედ ასევე, ანგელოზებს, ცითგან დევნილებს,
მთლად დაეცალათ ჯოჯოხეთის ბნელი ველები,
და შეკრებილნი სახელოვან დედაქალაქში,
უცხო ქვეყნების მაძიებელ ბელადს ელოდნენ.
ის კი ყველასთვის შეუმჩნევლად, როგორც უბრალო,
ჩვეულებრივი ანგელოზი, მიუახლოვდა
გუშაგთა მწკრივებს, ფეხი შესდგა პლუტონის სახლში,
მეფურ ღირსებით თავის მაღალ ტახტთან მივიდა,
რასაც მდიდრული გავალაკი ჩამოჰბუროდა,
დაჯდა და ერთხანს სხვებსა სჭვრეტდა, თვით უხილავი.
ბოლოს, ერთბაშად, ვით ღრუბლიდან მანათობელი,
ცის ვარსკვლავივით აელვარდა სატანას თავი,
ვარსკვლავზეც მეტად ანათებდა ყალბი დიდებით,
რაიც მას ისევ შერჩენოდა დაცემის შემდეგ.
მთელი მხედრობა, სტიგიისა, გაოგნებული
ამ უეცარი ელვარებით, მიშტერებია
ტახტს ბელადისას და მას სჭვრეტენ, ვისაც ასეთის
მოუთმენლობით მოელოდნენ ამდენი ხანი.
ყველამ შესძახა აღტაცებით. დიდნი თავადნი
ზეწამოიჭრნენ და მილოცვის შეძახილებით,
გახარებულნი თავიანთ დიდ ბელადს მისცვივდნენ,
რომელმაც ხელი ზეასწია, სიჩუმის ნიშნად,
და ამ სიტყვებით დაატყვევა სმენა იმათი:

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„უფლებასრულნო, ტახტოსანნო, ხელისუფალნო,
დიდნო თავადნო და მეფენო, აწ ამ სახელებს
მე თქვენ გიწოდებთ არა მხოლოდ უფლების ძალით,
აწ მართლაცა ხართ მქონებელი ყველა სიკეთის;
დაბრუნებული ისე დიდი გამარჯვებებით,
როგორსაც ჩვენი იმედიც კი ვერ მისწვდებოდა,
მე თქვენ გიცხადებთ, რომ ზეიმით წაგიყვანთ ყველას,
ამ დაწყევლილი, შემაზრზენი ჯურღმულებიდან,
სადაცა მხოლოდ ვაება და სნება სადგურობს
და რაც ჩვენს მტარვალს საპყრობილედ გადუქცევია.
დამკვიდრდით, როგორც მბრძანებელნი, იმ ქვეყანაზე,
რაც მე გმირობა-თავგანწირვით თქვენთვის დავიპყრე,
და რაც ცოტათი ჩამორჩება ცის სასუფეველს.
მოკლედ არ ითქმის, რა გადამხდა, რა განვიცადე,
რა გაჭირვებით გადავლახე ვრცელი უფსკრული,
სადაც ბობოქრობს საშინელი არევდარევა,
და სადაც ახლა სიკვდილის და ცოდვის წყალობით,
გაყვანილია გზატკეცილი ფართო და მტკიცე,
რათა სვლა მასზე, საზეიმო, გაგიადვილდეთ.
მაგრამ ჩემი გზა ძნელი იყო და გაუვალი,
მე ჩავიძირე ქაოსის და ღამის წიაღში,
რომლებიც მთელის გააფთრებით წინააღმიდგნენ,
მედგრად ცდილობდნენ საიდუმლოს თვისის დაფარვას,
გამძვინვარებით შებღალოდნენ ბედს, უზენაესს...
ბოლოს მივაგნე, როგორც იქნა, ახალ ქვეყანას,
რაზედაც ცაში ხმები დადის დიდი ხანია.
სრულყოფილი და საკვირველი ყოფილა მართლაც!
იმ სამოთხეში აწ ბინადრობს ადამიანი.
ჩვენი განდევნით, ის ეწია ბედნიერებას.
ვაცთუნე იგი. ცბიერებით გადმოვიბირე,
მოვახერხე, რომ თვის შემოქმედს გადასდგომოდა.
იმასაც გეტყვით, უფრო ძლიერ რომ გაგაკვირვოთ—
ვაშლით ვაცთუნე! სასაცილო არ არის განა,
რომ ზენაარმა ეს იწყინა და გულმოსულმა
სამოთხეც, თვისი საყვარელი ადამიანიც
მსხვერპლად, საჯიჯგნად ცოდვასა და სიკვდილს მიუგდო,
და ამით ისევ ჩვენ გვარგუნა; ამ გამარჯვებას
სულ უშრომელად, უშიშრად, თავგაუწირავად
და უზრუნველად მივაღწიეთ. აწ ვიპარპაშოთ,
ვიმეფოთ მტკიცედ, გავბატონდეთ ადამიანზე,
ვინც თვითვე უნდა ყოფილიყო ყველას ბატონი.
მსჯავრი მეც დამდო, უფრო სწორი თუ გინდათ გითხრათ,
გველს დასდო მსჯავრი, გველს, ამ პირუტყვს, რომლის სხეულშიც

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ადამიანის საცთუნებლად მე გავეხვიე.
ადამიანსა და ჩემს შორის მან მტრობა ბრძანა,
უნდა ვუმზირდე ბრჭალსა მისა, იმან კი თესლით
მე თავი უნდა გამისრისოს—როდის, არ ვიცი.
განა ამ ფასად მთელი ქვეყნის შეძენა არ ღირს?
მეტი ტკივილიც რომ მივიღო, არა ღირს განა?!
მე თქვენ მოგითხრეთ ყველაფერი, ახლა კი, ღმერთნო,
გავსწიოთ ზევით და ვეწიოთ სრულ ნეტარებას".

თქვა და შეჩერდა, მოელოდა მქუხარე ტაშსა
და მოწონების შეძახილებს. მაგრამ უეცრად
მის სმენას მისწვდა, ყოველის მხრით, ბილწი სისინი—
როგორც ნიშანი ზიზღისა და შეჩვენებისა.
განჭკვირდა, მაგრამ გონს მოსვლაც კი ველარ მოასწრო,
რადგან ცვლილებამ საკუთარმა უფრო შეაკრთო:
სახე ერთბაშად დაუწვრილდა, ჩამოუგრძელდა,
ხელები მჭიდროდ მიეწება ორივე გვერდსა,
ფეხებიც რაღაც უცნაურად გადაეხლართა,
დაეგრიხა და გადაეწნა ერთიმეორეს,
უცებ მოსწყდა და გაიშხლართა სატანა პირქვე,
მუცელზე მხოხავ უზარმაზარ გველად გადიქცა.
სცადა ადგომა—გაბრძოლება, მაგრამ ამაოდ:
უზენაესმა ძალამ იგი დაიმორჩილა,
იმად აქცია, ვის სხეულშიც შთასახლებულმა
ადამიანი აცთუნა და გადაიბირა;
სიტყვის თქმა სცადა, მაგრამ ენამ, ჩანგლად ქცეულმა,
მხოლოდ სისინი ამოუშვა და შეუერთა
სხვა ასეთსავე ჩანგლად ქცეულ ენათა სისინს:
საერთო ხვედრი შეხვდა ყველას—გველებად იქცნენ
იმ თავხედური აჯანყების მონაწილენი.
დიდი დარბაზი გააყრუა ბილწმა სისინმა,
იკლაკნებოდნენ, საცოდავად იგრიხებოდნენ,
კუდებით, თავით მიაგავდნენ ასპიტებს, ჰიდრსა,
ღრიანკალებსა და ამფისბენს, შემაძრწუნებელს.
უფრო სქლად იწვნენ, ერთმანეთში გადახლართულნი,
ვიდრე გველები, ამოსულნი გორგონის სისხლზე,
ამდენი გველი ოფიუსსაც* არ მოსწრებია.
სატანა იყო იმათ შორის ყველაზე დიდი,—
ურჩხულსა ჰგავდა, თვით პიფონზეც დიდი მოსჩანდა,
რომელიც ერთხელ მზისგან იშვა, პიფიის ველზე,—
კვლავ შერჩენოდა ძლიერება მას სხვებზე მეტი.
მას მიჰყვა ყველა, გაშლილ ველზე გამოსრიალდნენ,
სადაც ზეციდან დამხობილი მცველ ანგელოზნი,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მტკიცე მწკრივებში საზეიმოდ განლაგებულნი,
გმირი ბელადის გამოჩენას ელოდებოდნენ;
მაგრამ უეცრად მათ იხილეს სულ სხვა სურათი—
ვეებერთელა მახინჯი და ბილწი გველები!
შეძრწუნდნენ, მაგრამ განიმსჭვალენ თანაგრძნობითაც,
რადგან ერთბაშად საკუთარი ცვლილებაც იგრძნეს:
ხელები დაბლა ჩაუცურდათ, შუბი, ფარები
ძირს დაუცვივდათ, და თვითონაც დაცვივდნენ დაბლა,
თითქოს სხვებისგან გადაედოთ მიწაზე ხოხვა;
საერთო ჰქონდათ საშინელი დანაშაული,
და, ცოდვების წილ, მათ სასჯელიც გაიზიარეს.
ბილწმა სისინმა გააყრუა იქაურობა,
მქუხარე ტაში მოამზადეს სატანასათვის,
მაგრამ სისინად გადაექცათ ზეიმის ტაში,
დღესასწაული შეეცვალათ იმათ სირცხვილად,
და ეს სირცხვილი საკუთარი ენით გამოთქვეს.
მათი სასჯელის კიდევ უფრო დასამძიმებლად,
ნებით იმისა, ვინც განაგებს ყველაფერს ცაში,
იქვე მახლობლად უცებ ჭალა წამოიზარდა,
ხეები მყისვე დაიხუნძლა ნუგბარი ხილით,
მსგავსად იმისა, რაც ცბიერმა მაცთუნებელმა
ედემში ევას საცთუნებლად ამოარჩია.
ხარბად მიაპყრეს თვალი ამ დიდ საკვირველებას,
ერთი ხის ნაცვლად, მათ მრავალი ხე დაინახეს,
რათა სირცხვილი და წამება მრავლად ეგემნათ.
თვითონვე გრძნობდნენ, რომ ეს იყო მწარე ცთუნება,
მაგრამ შიმშილით, საშინელით, მწველი წყურვილით,
იმგვარად იყვნენ გაწამებულ-გაცოფებულნი,
რომ თავი ველარ შეიკავეს, მისცვივდნენ ხეებს
და გროვა-გროვად შეესიენ კლაკვნით და გრეხით.
ხარბადა გლეჯდნენ შესახედად მომხიბლავ ნაყოფს,
იმ ხილის მსგავსსა, რაც ხარობდა კუპრის ტბის ახლოს,
სადაც სოდომი აგზნებულმა ცეცხლმა იმსხვერპლა*.
განა მარტოდენ შეხებითა, იმ ხის ნაყოფი
გემოთიც ისე აცთუნებდა; როცა ეგონათ,
ეს არის შიმშილს დაგვიცხრობსო, ხილის მაგივრად,
მათ მწარე ფერფლს და მწარე ნაცარს დაუწყეს ღეჭვა.
მაშინვე ზიზღით და წკლატუნით გადმოაფურთხეს;
მაგრამ შიმშილით და წყურვილით შეწუხებულნი,
პირს კვლავ იმ მწარე ნაცარითვე გამოივსებენ,
და კვლავაც სახე შესაზარად დაელმიჭებათ...
ასე მოტყუვდნენ და გაწბილდნენ ისინი ბევრჯერ,
ერთჯერ კი არა, კაცის მსგავსად, ვის მოტყუებაც,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვისი ცთუნებაც, ერთადერთი, მათ იზეიმეს.
დიდხანს სტანჯავდათ შიმშილი და ბილწი სისინი,
ვიდრე უფალმა არ ინება და ძველებურად
ყველას თავისი გარეგნობა არ დაუბრუნა.
ყოველწლიურად, გადმოცემით, განსაზღვრულ დღეებს,
ისინი კვლავაც განიცდიან ამ დამცირებას,
და ისჯებიან ზვიადობა-სიხარულისთვის,
რაც ერთხელ კაცთა ცთუნებისთვის მათ განიცადეს.
სხვა გადმოცემით, ზოგიერთმა იმათთაგანმა
შესძლო ცთუნება წარმართების — ღმერთად გაუხდა;
ასეთი იყო, მაგალითად, გველი ოფიონ,*
რომელიც თავის ცოლთან ერთად, ყველაზე ადრე,
მაღალ ოლიმპოსს განაგებდა; ოფიონის ცოლს
ერქვა ევრინომ, და, იქნება, ევასაც ჰგავდა.
ბოლოს და ბოლოს, სატურნმა და ცოლმა იმისმა,
ჯერ კიდევ ადრე, თვით ზევსის დაბადებამდე,
გამოაძევეს ოფიონი ოლიმპის მთიდან.

ამასობაში, ჯოჯოხეთის წყვილი მიადგა
სამოთხის კარებს. მეტისმეტად ადრე მიადგნენ!
იქ ხომ ადრევე გამოსცადეს ძალა ც ო დ ვ ი ს ა,
ახლა თვითონვე გამოცხადდა, დედამიწაზე
სამარადჟამოდ კაცთა შორის დასამკვიდრებლად,
ს ი კ ვ დ ი ლ ი ც ო დ ვ ა ს მოჰყვებოდა იქვე, ფეხდაფეხ,
მაგრამ თვის ფერმკრთალ ცხენზე ჯერაც არ შემჯდარიყო.
და ამ სიტყვებით მიუბრუნდა ც ო დ ვ ა ს ი კ ვ დ ი ლ ს ა:
„მეორე შვილო სატანისა, ყოვლისდამპყრობო,
მძლეო სიკვდილო, ამ ჩვენს ახალ საბრძანებელზე,
სადაც წვალებით მოვალწიეთ, რას იტყვი, ნეტა?
ხომ ბევრითა სჯობს ქვესკნელის ბნელ კარებთან ჯდომას,
სადაცა ჩვენი არც შიში აქვთ, არც კი გვიცნობენ,
და შენ ნახევრად დამშეულსა, სული ძლივს გიდგას!“
მაშინ ურჩხულმა, ცოდვის ძემან, სწრაფად მიუგო:
„შიმშილისაგან იმგვარად ვარ გაბეზრებული,
ჩემთვის ერთია — ცა, სამოთხე და ჯოჯოხეთი:
იქ მირჩევნია, სადაც ნადავლს მეტს მოვიპოვებ.
აქ თუმც საკვები უხვად მოსჩანს, მე მაინც ვშიშობ,
ამ გაშლილ სტომაქს, ამ ფაშვს იგი ვერ ამოყორავს“
სისხლისალმრევმა დედამ ს ი კ ვ დ ი ლ ს ეს უპასუხა:
„სჭამე ყვავილი, მცენარე და ხეთა ნაყოფი,
მერე ცხოველებს, თევზებსა და ჩიტებსაც მოსდექ;
არა მგონია, არ გამოდგეს დასანაყრებლად,
ნუ დაიშურებ, რასაც კი დ რ ო მოსცელავს შენთვის,
განურჩეველად აიღე და ჩახეთქე ყველა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მე კი მანამდე ჩავსახლდები ადამიანში,
მთელს იმის მოდგმას დავერევი და მოვუწამლავ
ფიქრს, სიტყვებს, მზერას, მოქმედებას... შენ მოგიმზადებ
უკანასკნელსა და უტკბესსა, სანუკვარ ნადავლს".
ასე იუბნეს და დაადგნენ სხვადასხვა გზასა
მტკიცე განზრახვით—მიეტანათ განადგურება,
ანუ სიკვდილი ყველასათვის, ვინც შეხვდებოდათ,
მოსპობა სულმთლად—გარდუვალი, ადრე თუ გვიან.

მაღალ ტახტიდან დაჰყურებდა მათ ზენაარი,
გარემოცული ზეცის წმიდა ანგელოზებით.
ბოლოს კი თავის ნათელ სულებს ასე მიმართა:
„ერთი შეხედეთ, ჯოჯოხეთის იმ ორსა ქოფაკს,
გაცოფებულებს, უნდათ მოსპონ, გაანადგურონ
ჩემგან შექმნილი მშვენიერი, ტურფა ქვეყანა,
რომელიც მუდამ დარჩებოდა ასე სრულქმნილი,
ადამიანის სისულელეს რომ არ გაეხსნა
გზა, მისადგომი გაცოფებულ მნგრეველებისთვის,
რომლებიც ახლა ბრიყვს და სულელს მე მიწოდებენ!
ქვესკნელის თავადს და მის მოძმეთ ბრიყვი ვგონივარ,
რადგანაც შესვლა სამოთხეში გავუადვილე,
ასე ჰგონიათ, საზიზღარსა მტრებს ვაქეზებდე,
და დამცინიან, თითქოს ჩემი განრისხების დროს,
გზნებამორეულს, ეს ქვეყანა მათთვის დამეთმოს
სათარეშოდა და ყოველგვარ უწესობისთვის.
არ კი იციან, რომ ქვესკნელის ბინძურ ქოფაკებს
მე ჩემის ნებით მოვუწოდე, წამოსულიყვნენ
და სამოთხეში შესულიყვნენ, ადამიანთან,
ყოველგვარ ჭუჭყის, უწმინდობის ასალოკავად,
რითაც ცოდვებმა, საშინელმა, კაცთა მოდგმისამ,
სულმთლად წაბილწა ყველაფერი, რაც წმიდა იყო.
ბოლოს, როდესაც გაძღებიან ბილწი საკვებით,
თვითვე მოწამლავთ ესე შხამი, და, ძეო ჩემო,
შენი მძლე ხელის ერთი დარტყმით, სამივეს იმათ,
ცოდვას და სიკვდილს და სამარეს გაუმაძღარსა,
ჩაჰყრი ქაოსის უფსკრულებში. ქვესკნელის ხახა
ჩაყლაპავს მათ და სამუდამოდ დაიკეტება.
კვლავ განახლდება ცა და მიწა, განიწმინდება,
სიწმიდეს მათსა არ შებღალავს არც ერთი ლაქა.
მანამ კი ჩემგან დაწყევლილი იყოს ორივე!"
ბრძანა უფალმა, და ვით ზღვების გამოძახილი,
ყოველის მხრიდან იქ გაისმა „ალილუია".
გალობდნენ გუნდნი უთვალავნი: „ნეტარ არიან

www.PDF.ChiaturaINFO.GE

საქმენი შენნი! მსჯავრი შენი—სამართლიანი!
ვინ მოახერხებს, რომ დაჩრდილოს დიდება შენი?!"
მერე უმღერეს ძ ე ს—კაცთ მოდგმის მომავალ დამხსნელს,
რომელიც ცითგან ჩამოვა და საუკუნეთა
განმავლობაში შექმნის ახალს ცასა და მიწას.
ასე გალობდნენ. შემოქმედი თვის ანგელოზებს
აძლევდა ახალ დავალებებს – ამიერიდან
მზეს როგორ უნდა ემოძრავნა, რომ ქვეყანაზე
სიცხე-სიცივე ყოფილიყო აუტანელი,
ჩრდილოეთიდან შემოსულსა მიხრწნილსა ზამთარს
რომ შეეცვალა სამხრეთული ხვატი ზაფხული;
ფერმკრთალ მთვარესაც ახალი გზა შემოუხაზა,
თავის გზა მისცა იმ დანარჩენ ხუთ პლანეტასაც;
და ვარსკვლავებსაც დაუნიშნა თავის დრო ყველას,
რომ ყოფილიყვნენ ნიაღვრების მაუწყებელნი,
ან მზესთან ერთად ჩასულებსა თუ ამოსულებს
ქვეყნისთვის ემცნოთ მომავალი ქარიშხალები;
ქარებსაც, ყველას, მიუჩინა კუთხე თავისი,
რათა გრიგალში გაეხვიათ, აემღელვარნათ
ჰაერი, ზღვები, ნაპირები, მთელი ხმელეთი;
ქუხილს უბრძანა, რომ ჰაერის ბნელ დარბაზებში
შემაძრწუნებლად ეთარეშნა, ჭექით და გრგვინვით.
ამბობენ, თითქოს უფლის ნებით, ამ ანგელოზებს,
მზის მთავარ ღერძთან შედარებით, მიწის პოლუსნი
ოცი გრადუსით შეედრიკოთ, იქნებ მეტითაც;
დიდის წვალებით დასძრეს თურმე სფერა მიწისა.
ზოგი ამტკიცებს, მზეც, ბრძანებით ზენაარისა,
ბუნიობის რკალს გადასცდა და იმავ მანძილით
გადაიხარა ტავრისკენო, რათა ყოველი
სარტყელისათვის მოეტანა ცვლილება წლისა.
ასე რომ არა, დედამიწას სამარადჟამოდ
ამწვანებული, ყვავილებით დამშვენებული
და მომღიმარე გაზაფხული გაახარებდა.
დღე ღამის ტოლი იქნებოდა ყველა კუთხეში,
გარდა იმ ორი პოლუსისა, სადაც, სანაცვლოდ,
მარადიული იქნებოდა სინათლე დღისა;
მზეც, დაბლა მდგომი, იმ სიშორის სამაგიეროდ,
განუწყვეტელად იმათ ირგვლივ იტრიალებდა,
ჰორიზონტიდან მიაწვდიდა ალმაცერ სხივებს;
ალმოსავლეთი, დასავლეთი იმათთვის მაშინ
წარმოსახვაშიც სრულებით არ იარსებებდა,
და ესტოტილის ყინვა-თოვლიც, მარადიული,
გაძევებული იქნებოდა დედამიწიდან.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

აკრძალულ ხილის შეჭმისთანვე, იმავ სისწრაფით,
რითაც თიესტი გაეცალა საშინელ მეჯლისს,*
მზე ამოვარდა თავის გზიდან. თუ ასე არა,
დასახლებული დედამიწა, თუნდ უცოდველიც,
ამაზე უფრო ვით შესძლებდა გადაეტანა
მსუსხავი ყინვა, ანუ სიცხე სულისშემხუთი?!
და რა ცვლილებაც მოხდა მაშინ მაღლა ზეცაში,
ის განიცადა, თუმცა ნელა, ზღვამ და ხმელეთმა;
ნისლი, ბურუსი წარმოიშვა, სნებისშემყრელი,
ვარსკვლავებიდან ძირს დაეშვა ყოველი სენი,
გავრცელდა ჭირი, ცხელმა ორთქლმა დაჰფარა მიწა.
ნორუმბეგიდან, სამოედის ნაპირებიდან
წამოუქროლეს ჩრდილოეთის ცივმა ქარებმა,
არგესტმა, ბორემ, თრასკესმა და კეკიაისმა,*
სპილენძით ნაჭედ ჯურღმულებმაც ველარ გაუძლეს,
შეიარაღდნენ სეტყვით, ყინვით, თოვლით, ნამქერით,
ძირფესვიანად ამოგლიჯეს დიდი ტყეები,
გაშლილი ზღვები გაცოფებით აამღელვარეს;
მათ შეეჩეხენ სამხრეთიდან მძვინვარე ქარნი,
სერალიონის მწვერვალიდან გადმოხეთქილნი,
ნოტო და აფერ, რომლებიც წინ მოირეკავდნენ
ჭექა-ქუხილით დამძიმებულ საავდრო ღრუბლებს;
არანაკლების მძვინვარებით გამოეშურნენ,—
რომ გადაეჭრათ გააფთრებით მჭროლავნი ქარნი,—
დასავლეთიდან ზეფიროსი, გაშმაგებული,
ხოლო დასავლეთ-სამხრეთიდან ევრონიტოსი.

პირველად ასე უსიცოცხლო საგნებისაგან
დაიწყო შფოთი, მძვინვარება. ცოდვის ასულმა
უთანხმოებამ პირუტყვებში დასთესა მტრობა
და მათ აგემა სულ პირველად მწარე სიკვდილი.
მხეცი მეორე მხეცთან იწყებს ომს, თავგანწირულს,
თევზი თევზს ებრძვის დაუნდობლად, ფრინველი—ფრინველს,
ყველამ ერთბაშად მიატოვა ბალახის ძოვა,
და გაცოფებით ერთმანეთის სანსვლა დაიწყეს.
დაჰკარგეს ძველი მოწიწება კაცთ მოდგმის მიმართ,
და ახლა მალვით გაურბიან, ან გახედავენ
თვალის ბრიალით, როცა ახლოს ჩაუვლით კაცი.

ქვეყნად გავრცობილს სივაგლახე-უბედურებას,
რაიც დღითი დღე მატულობდა და ვრცელდებოდა,
ხედავდა ხოლმე თვით ადამიც, ბუმცა ცდილობდა
შეჰფარებოდა ჩამობურულ ტყეების წყვდიადს
და მისცემოდა გამოუთქმელ სულიერ სევდას;
მაგრამ ის, რასაც გულში გრძნობდა, უფრო სტანჯავდა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და განქარვებას მოზღვავებულ მწუხარებისას,
იგი ცდილობდა ნაღვლიანი მოთქმა-წუწუნით.
„ო, დაკარგულო ნეტარებავ! ნუთუ ეს არის
იმ ახალ შექმნილ, დიდებასრულ ქვეყნისა ბოლო,
რომლის დიდება მე ვიყავი, აღმატებული,
აწ კი დავეცი, მოვაკლდი ძველს ბედნიერებას
და დაწყევლილი შევიქენი ზენაარისგან.
ღვთის ხილვა იყო ჩემთვის დიდი ბედნიერება,
აწ თვალიც ველარ შემივლია მისი სახისთვის.
მაგრამ რა მეთქმის, ნეტავი ეს ტანჯვა მეკმაროს!
ახია ჩემზე—რაც ვიტვირთე, ის უნდა ვზიდო!
მაგრამ ვაი რომ, ეს არ კმარა: რასაც ვჭამთ, დავლევთ,
რასაც გავაჩენთ, ის მრავალგზის დაწყევლილია.
ო, ის ტკბილი ხმა, ის სიტყვები, ამოდ სასმენი,
„აღორძინდით და განმრავლდითო“, ერთხელ რომ მესმა,
ახლა სიკვდილისმაუწყებელ ხმად მეყურება.
აბა რა უნდა გავამრავლო, თუ არა წყევა
და შეჩვენება დატეხილი ჩემივე თავზე!
შთამომავლობა მომავალში გამოსცდის ტანჯვას,
ჩემი ცოდვების გამო მასზედ წყევლად დატეხილს,
და ჩემს ბედკრულ თავს გაიხსენებს წყევლით და კრულვით,
„ღმერთმა დასწყევლოს უწმინდური წინაპარიო!
ნუთუ ჩვენ უნდა გიმადლოდეთ ამ ტანჯვას, ადამ?!“
წყევლა იქნება მართლაც მათი მადლიერება;
ჩემს წყევას გარდა, წყევაც მთელი შთამომავლობის
შეერთდებიან, მთელის ძალით, მთელის სიმძიმით,
დამატყდებიან მე ერთს, როგორც ვაების წყაროს.
ოი, სამოთხის სწრაფგამქრალო ბედნიერებავ,
მარადიული მწუხარების ფასად ნაყიდო!
„განა როდესმე მითხოვნია შენთვის, უფალო,
რომ თიხისაგან შემქმენ-მეთქი ადამიანად?!
როდის შეგთხოვე, ბურუსიდან გამომიყვანე
და ამ მშვენიერ, ტურფა ბაღში დამამკვიდრეო?!
რაკი თვითონვე ჩემს შექმნაში არ მიდევს წილი,
ის იქნებოდა უფრო სწორი, სამართლიანი,
რომ მიწის შვილი იმავ მიწად გექცია ისევ.
რაც მიმიღია, მზად ვარ დავთმო სუყველაფერი;
მეტად მძიმეა ის პირობა, რაც ჩემთვის დადე
მონიჭებული ნეტარების დასამკვიდრებლად;
ეს ნეტარება თავიდან ხომ არც მითხოვნია,
და სასჯელადაც მის დაკარგვას რად არ მაკმარებ?
ეს უსასრულო მწუხარება რას დამიმატე?!
შენი სამართლის მე ველარა გამიგია რა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თუმც წამხდარ საქმეს რაღას არგებს გვიან წუწუნი!
მაშინვე უნდა უარმეყო, მაშინ დამეგმო,
როცა პირველად ეს პირობა შემომთავაზე.
შენ ის მიიღე მაშინ, ადამ! დატკბობა გსურდა
იმ ნეტარებით! პირობაზე რაღას წუწუნებ —
ღმერთმა შემქმნა და ამის ნება არა მთხოვაო!
მაშ რაღას იტყვი, გაგიწიოს შვილმა ურჩობა,
შემოგედავოს, არ გისმინოს და მერე გითხრას:
„რად გამაჩინე? როდის გთხოვე ჩემი შექმნაო?!«
მისცემდი ამგვარ ზიზღის ნებას? მიუტევებდი
ასე თავხედურ სიტყვებსა და თავისმართლებას?
მართლაც და, განა შენი ნებით გააჩენ შვილებს!
საჭიროება ბუნებისა მოითხოვს ამას.
შენ კი უფალმა გაგაჩინა თავისი ნებით,
რათა ერთგულად ემსახურო, შენ მას ეკუთვნი!
რაც მოგანიჭა — ეს წყალობა იყო უფლისა,
სამართლიანი დასჯაც შენი, მისი ნებაა!

„დე ასე იყოს, თანახმა ვარ, ვემორჩილები,
მსჯავრი იმისი მართლაც არის სამართლიანი,
მე ხომ მიწა ვარ და მიწადვე უნდა მივიქცე.
ჰოი, ნეტავი ჩქარა დადგეს მოსპობის წუთი!
რაღას აყოვნებს მისი ხელი, რად არ ასრულებს
განაჩენს, რასაც იმავ დღესვე უნდა მოვესპე?
რატომღა ვცოცხლობ, რას დამცინის სიკვდილი ასე,
დაუსრულებელ ტანჯვის დღეებს რატომ მიგრძელებს?
რა სიხარულით შევხვდებოდი იმ მოსჯილს სიკვდილს,
გადვიქცეოდი ისევ ისე უგრძნობელ მიწად,
სიამოვნებით დავწვებოდი დედის კალთაში,
რათა მეპოვნა მოსვენება და მ'შვიდი ძილი;
ყურებსაც მაშინ შემაძრწენი ხმა ზენარისა,
ვ.თ საშინელი მეხის გრგვინვა, არ დამიხშობდა;
არ დამტანჯავდა მოლოდინი უარესისა,
აღარც ჩენთვის და აღარც ჩემთა ნაშიერთათვის!
მაგრამ არ მაძლევს მოსვენებას მე ერთი ფიქრი:
მაშინ რაღა ვქნა, თუ არ მოვკვდი სრული სიკვდილით!
თუ წმიდა სუნთქვა სიცოცხლისა—სული კაცისა,
რაიც შთამბერა ზენაარმა, სხეულთან ერთად
არ დაინგრა და საბოლოოდ არ განადგურდა!
მაშინ საფლავში, ან საშინელ სხვა რამ ადგილას
უნდა ვიწვე და ვიგრძელებდე სიცოცხლეს მკვდარი.
საშინელია, შემაზრზენი, ასე თუ მოხდა!
თუმცაღა რატომ? შესცოდა ხომ ცოცხალმა სულმა,
და ბოკვდეს უნდა სწორედ იგი, ვინც ცოცხლობს, სცოდავს!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სხეულს სიცოცხლე ხომ არა აქვს და ვერც შესცოდავს,
მაშ გამოდის, რომ უნდა მოვკვდე სრული სიკვდილით.
დე დაამშვიდოს ეჭვი ჩემი ასეთმა ფიქრმა,
კაცის გონება ამაზე შორს ვეღარსად წავა.
რაკი ყველაფრის შემოქმედი უსასრულოა,
ნუთუ რისხვასაც მისას ბოლო არ უნდა ჰქონდეს?!
თუნდ ასეც იყოს, სულ ერთია, ადამიანი
მარადიული აღარ არის—ის მოკვდავია:
ვით გაგრძელდება რისხვა კაცზე დაუსრულებლად,
როცა სიკვდილი დაასრულებს სიცოცხლეს მისას?!
იქნება ღმერთმა უკვდავება მისცა თვით სიკვდილს!
მაგრამ ასეთი მოქმედება, შეუსაბამო,
ღმერთსაც არ ძალუძს; თუნდ შეეძლოს, ეს დაამტკიცებს
მის განუსაზღვრელ უღონობას, და არა ძალას.
ნუთუ იმისთვის, რომ მოიკლას ჟინი თავისი,
და რომ დასაჯოს უსათუოდ ადამიანი,
უფალი მოკვდავს მიანიჭებს უკვდავებასა!
ანდა სიკვდილმა, ერთი დაკვრით, ვით ახლა ვფიქრობ,
იქნება გრძნობა არ წარმტაცოს და დღეის დღიდან
უბედურება მომივლინოს უსრულებელი!
„ოი, ვაგლახ მე, კვლავ ეს ფიქრი მაძრწუნებს ბედკრულს,
და როგორც მეხი, დამატყდება უმწეო თავზე!
მეც და სიკვდილიც მარადი ვართ, განუყოფელი!
და ეს სასჯელიც ჩემი ხვედრი როდია ბარტო—
მთლად ჩემი მოდგმაც, ჩემთან ერთად, დასწყევლა ღმერთმა.
შვილნო, გიტოვებთ შესანიშნავ მემკვიდრეობას!
ო, რომ შემეძლოს ერთიანად გაფლანგვა მისი
ისე, რომ თქვენთვის აღარ დარჩეს აღარაფერი!
თქვენ დამლოცავდით, წყევლის ნაცვლად, ამ გაფლანგვისთვის.
ან ეს რასა ჰგავს—ერთი კაცის ცოდვებისათვის,
რად დაიჩაგროს უცოდველი კაცობრიობა?!
იქნება კია უცოდველი? მე რასაც შევქმნი,
თავის გონებით, სურვილებით, ჩემივე მსგავსად,
აღმოჩნდებიან უმსგავსნი და გაფუჭებულნი!
აბა როგორღა იქნებიან მართალნი ღმერთთან?!
თუმც ამაოა მთელი ჩემი ბჭობა-მსჯელობა,
მე მაინც უნდა ვაღიარო მისი სიმართლე—
რომ ერთადერთი, პირველი და უკანასკნელი,
წყარო ყოველგვარ ბოროტება-გახრწნილებისა,
ძირი ყოველგვარ ცოდვებისა მე ვარ, მხოლოდ მე,
ნეტავი რისხვაც მხოლოდ მე ერთს დამატყდებოდეს!
რა სულელური ნატვრა არის! შენ ერთს სად ძალგიძს,
რომ ხიდო ტვირთი, უფრო მძიმე მთელს სამყაროზე!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თუმცა კი ამ ტვირთს ინაწილებს ცოდვილი ქალიც.
არა, არც ნატვრა, არც ეჭვები არ გიმართლებენ,
დაიმსხვრა შენი იმედები, თვითონვე ხედავ,
შენზე ბედკრული არც ყოფილა და არც იქნება,
ეხოლოდ სატანას უტოლდები დანაშაულში,
და აკი გერგო შენ სასჯელიც მისივე მსგავსი!
ჰოი, სინდისო, შიშისა და საშინელების
რა უძირო და უნაპირო უფსკრულს ჩამაგდე!
ვეღარ ვპოულობ გზას იქიდან გამოსაგნებად,
ღრმად ჩაძირული, კიდევ უფრო ღრმად ვიძირები".

ასე ხმამაღლა წუწუნებდა საკუთარ თავთან
მაშინ ადამი, წყნარი ღამის მყუდროებაში;
მაგრამ ეს ღამე იმ ღამეებს სულაც არ ჰგავდა,
როცა კაცთ მოდგმის დაცემამდე, შვების მომცემი
გრილი ნიავი უბერავდა საამურადა...
ჰაერი შავსა და ნესტიან ორთქლს დაეტვირთა,
და ცოდვილ სინდისს გარეშემო სუყველაფერი
ორკეცად უფრო შემაძრწენი ეჩვენებოდა;
გაშხლართულიყო ცივს მიწაზე და გამწარებით
თავის გაჩენის დღეს სწყევლიდა. ჰკიცხავდა სიკვდილს,
რომელმაც ასე დააყოვნა და არ მოვიდა
შეცოდების დღეს, ვით ღმერთისგან იყო დათქმული.
„რაღას აყოვნებს, რათ არ მოდის სიკვდილი ჩემზედ,
რათ არ მომიღებს ბოლოს, სამგზის ნანატრი დარტყმით?
ნუთუ სიმართლე გასტეხს მტკიცედ მოცემულ სიტყვას?
მართლმსაჯულება ღვთაებრივი რატომ არ ჩქარობს,
თუკია მართლაც ის მსაჯული სამართლიანი?!
მაგრამ სიკვდილი აღარ მოდის ჩემს დაძახილზე,
მართლმსაჯულება ყურს არ უგდებს მუდარას, ბღავილს,
და ზანტ ნაბიჯებს ოდნავადაც კი არ აჩქარებს;
ტყენო, წყაროხო, ნაკადულნო, ველნო, ჭალანო,
უწინ სხვა ექოს მიბრუნებდით ჩემს დაძახილზე,
სულ სხვა სიმღერას, ჩემგან ნათქვამს, იმეორებდით!"

დაღონებული ევა ცალკე ჩამომჯდარიყო
და ქნრის წამებას შესცქეროდა შორიდან იგი;
მერე წამოდგა, ადამს ნელა მიუახლოვდა,
ნაზი სიტყვებით შეეცადა მის დამშვიდებას,
მაგრამ ადამმა შეუბღვირა და მოიშორა:
„გველო, თვალთაგან დამეკარგე! გველის სახელი
ზედგამოჭრილი არის შენთვის, რადგან სწორედ მას—
შენებრ ვერაგსა და საძულველს დაუკავშირდი!
არცა გაკლია არაფერი, გარდა იმისა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მიიღო ფორმა ასპიტის, და მისივე ფერი,
რომ შინაგანი ცბიერება, რასაც ამჟამად
შენი ციური მშვენებით და სიტურფით ფარავ,
ჯოჯოხეთური სიყალბე და გაიძვერობა,
ხილული გახდეს ყველასათვის დედამიწაზე
და შენს მახეში აღარავინ გაებას მეტად.
მხოლოდ შენ გამო გამოვაკლდი ბედნიერებას,
თუ არა შენი სიამაყე, თუ არა შენი
თავგასული და ფუჭი პატივმოყვარეობა,
რითაც უარჰყავ ჩემგან დაცვა და გაფრთხილება,
მე მექნებოდა ნეტარება სამარადჟამო!
ჩემს უნდობლობას მაშინ ზიზღით ტუჩს უბზუებდი,
გწვავდა სურვილი შესამჩნევი ყოფილიყავი,
თუნდ თვით დაწყევლილ ეშმაკისთვის; ასე გეგონა
შენი სიტურფით მას დასძლევდი, დაამარცხებდი;
მაგრამ როდესაც გაიძვერა გველს შეეყარე,
გაგასულელა და გაცთუნა, შენ — მე მაცთუნე;
გენდე, გვერდიდან მოგიშორე; მეგონე ბრძენი,
მტკიცე და მყარი, გონიერი, შეუპოვარი,
მედგრად დამძლევი ყოველგვარი შემოტევისა...
რას ვიფიქრებდი, რომ ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ
მოჩვენებითი სათნოება, არა ნამდვილი!
შენა ყოფილხარ ნეკნი ჩემი, სხვა არაფერი,
მოხრილი ნეკნი მარტოოდენ, ამოღებული
ჩემი მარცხენა გვერდიდანა. ოი, ნეტავი,
თუკი ზედმეტი ნეკნი მქონდა, ღმერთს ამოეღო
და გადაეგდო იგი სულაც!.. უფალმა ღმერთმა,
ამ ჩვენმა ბრძენმა შემოქმედმა, მაღალი ზეცა
თუ დაასახლა ერთი სქესის ანგელოზებით,
რადღა დასჭირდა, გაეჩინა დედამიწაზე
ბუნების ესე მშვენიერი მანკიერება?!
ისევე როგორც ცაში დასხა ანგელოზები,
აქ რად არ შექმნა მარტოოდენ მამაკაცები,
ისე რომ ერთი დედაკაციც არ გაეჩინა?!
ადამიანთა მომავალი გამრავლებისთვის
სხვა ხერხი რად არ გამოძებნა? მაშინ თავიდან
ავიშორებდით ამ საშინელ უბედურებას
და სხვასაც მრავალს, მომავალში რასაც მოველით:
დედაკაცების ცბიერებით მრავლად ატეხილს,
და გამოწვეულს მასთან მჭიდრო დაკავშირებით,
არეულობას, მღელვარებას მთელს ქვეყანაზე;
ან ვერ შეხვდება ქვეყნად კაცი თავის შესაფერს—
მწარე შეცდომა, ბედისწერა ულირსს გადაჰყრის;

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ან ვისაც გულით მოისურვებს, ვერ შეეყრება,
რადგან ნახავს, რომ სიჯიუტე დედაკაცისა
სხვას ამოირჩევს, უფრო ულირსს, უფრო უარესს,
ვთქვათ, დედაკაცსაც შეუყვარდა, მაინც ერთია —
მაშინ მშობლები ჩაუშლიან ამ ნეტარებას;
ან კაცი თავის უნეტარეს ბედნიერებას
მაშინ შეხვდება, როცა უკვე გვიანლა არის,
როს ქორწინების ბორკილებით მიჯაჭვულია
თავლაფის დამსხმელ და საძულველ, ღვარძლიან ქალთან!
ეს ადამიანს განუსაზღვრელ ვაის აგემებს,
და ტკბილს ოჯახურ მყუდროებას მთლიანად მოშლის“.
თქვა და შებრუნდა. მაგრამ ევა არ გაეცალა,
თმა გაიწეწა, ლაპალუპით ცრემლმომდინარემ,
ფერხთ ჩაუვარდა, მოეხვია და მოჰყვა ზლუქუნს,
შებრალებას და პატიებას სთხოვდა ტირილით:

„ნუ მიმატოვებ ასე, ადამ! ზეცას ვიმოწმებ,
რა გულითადი სიყვარულით, პატივისცემით
ვარ გამსჭვალული მე შენს მიმართ. ეს უნებურად
შეურაცხგყავი, უბედური შემთხვევის გამო
გაცთუნე ასე! გეევედრები, გემუდარები,
მუხლებზე მაგრად გხვევ ხელებსა და ისე შეგთხოვ,
მას ნუ მომაკლებ, რითაც ვცოცხლობ, რითაც ვსულდგმულობ:
შენს ალერსიან შემოხედვას, შენს შემწეობას,
შენს კეთილ რჩევას ამ საშინელ გაჭირვების დროს,
რადგანაც ძალა და სიცოცხლე შენით მაქვს მხოლოდ.
უშენოდ რა ვქნა, რა წყალს მივცე ბედკრული თავი?
არც დაგვრჩენია ჩვენ დიდიხნის სიცოცხლე ალბათ,
და ეს მოკლე დრო გავატაროთ მყუდროებაში.
ჩვენ ხომ ერთი გვაქვს ეს წყენა და უბედურება,
მოდი შევერთდეთ სიძულვილშიც ჩვენი მტრის მიმართ,
ვისზეც ჩვენს მსჯავრში ასე მკაცრად არის ნათქვამი;
ცბიერი გველის წინააღმდეგ გავერთიანდეთ.
ნუ შემიძულებ თავზე დამტყდარ ვაების გამო,
მე უმისოდაც უმწეო და დაღუპული ვარ,
შენზედაც მეტად უბედური და საცოდავი!
ჩვენ ცოდვილი ვართ, ორივენი. შენ ღმერთს შესცოდე,
მე კი ცოდვა მაქვს შენთანაც და ღმერთის წინაშეც.
გავეშურები, სადაც მსჯავრი გამოაცხადეს,
ცას გავაბეზრებ ყვირილით და ხვეწნა-მუდარით,
რომ მოგაშოროს სასჯელი და მე დამატეხოს,
მხოლოდ მე — შენი მწუხარების ერთადერთ წყაროს,
მხოლოდ მე — მიზეზს ზენაარის მრისხანებისა“.
წასკდა ქვითინი და გაჩუმდა. ამ სინანულმა,
ასე მდაბალმა დამცირებამ, იმის შეგრძნებამ, —

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რომ მას მიუძღვის ქმრის წინაშე დანაშაული,
და, ქვეგანრთხმული, განძრევასაც ალარ აპირებს,
თუ არ მიიღებს პატიებას და მიტევებას,—
ადამს აღუძრა სიბრალული, გული მოულბო:
ბოლოს და ბოლოს, ცოტა ხნის წინ ის იყო მისი
სიცოცხლეცა და ერთადერთი ტკბილი ნუგეშიც.
ახლა კი აგერ დატანჯული მის ფერხთით გდია
და ისეთივე მშვენიერი მორჩილად შესთხოვს—
პატიებასაც, რჩევასაც და დახმარებასაც,
მას შესთხოვს, თვისი მოქმედებით ვინც შეურაცხყო...
თითქოს მოხსნესო იარაღი, ადამს ერთბაშად
მოეხსნა გულზე მძიმე რისხვა, დასწვდა მეუღლეს,
წამოაყენა და მიმართა მშვიდი სიტყვებით:

„ძველებურადვე, შენ იქცევი გაუფრთხილებლად,
თვითვე არ იცი რა გწადიან, რასა თხოულობ!
მთელი სასჯელი გსურს იკისრო! ისა სჯობიან,
ჯერ მოახერხო საკუთარი სასჯელის ზიდვა!
არა მგონია, ღმერთის რისხვას გაუძლო მარტომ,
რომლის სიმძიმე ჯერ მთლიანად არ განგიცდია,
შენ ჩემი წყენის ატანაც კი გაგჭირვებია!
თუ ლოცვას ძალუძს, შეგვიცვალოს მაღალი მსჯავრი,
გავეშურები შენზე უმალ და შევლაღადებ
უფრო ხმამაღლა—მე მარგუნოს მთელი სასჯელი,
შენ მოგიტევოს ეს სისუსტე და მერყეობა,
რადგან შენ, ჩემზე მონდობილი, მე მიგატოვე.
„მაგრამ წამოდექ! ნულარ ვაიცხავთ ერთმანეთს ასე,
საკმარისია ის გაკიცხვა, რაც ორთავ შეგვხვდა;
ჯობს შევეცადოთ და ერთურთის სიყვარულითა
სიმძიმე ჩვენი ვაებისა შევიმსუბუქოთ,
გავიზიაროთ ერთმანეთის ტანჯვა-წამება.
სიკვდილი, რასაც იმავე დღეს ჩვენ მოველოდით,
მე როგორც ვატყობ, ასე უცებ არ გვესტუმრება,
ის მძიმედ მოდის, ზანტად მცოცავ ბოროტის მსგავსად,
რათა ტანჯვა და მწუხარება გაგვიხანგრძლივოს
და ჩვენს მოდგმასაც (უბედური შთამომავლობა!)
ჩვენივე ბედი, სავალალო, გაუზიაროს!“

ევა დამშვიდდა და პასუხად ეს უთხრა ქმარსა:
„თვითვე დავრწმუნდი, ჩემი მწარე გამოცდილებით,
რა მცირე წონა უნდა ჰქონდეთ ჩემს სიტყვებს შენთვის;
ჩემმა შეცდომამ მოგვივლინა უბედურება!
და მაინც, ადამ, ჩემისთანა არარაობას,
შენ მაპატიე, კვლავაც გვერდში გსურს დამიყენო,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იმედს მისახავ, კვლავ ვეღირსო მე შენს სიყვარულს—
სიყვარულს, რაიც, მოვკვდები თუ ცოცხლად დავრჩები,
ჩემს გულს ერთადერთ ნუგეშად და იმედად რჩება;
ვერ დაგიმალავ, აწეწილი ჩემი გონება,
როგორ იმედის მომცემ ფიქრებს მოუცავს ახლა,
რაც განგვიქარვებს უკიდურეს უბედურებას;
რასაც მე ვფიქრობ, ისიც მეტად სავალალოა,
მაგრამ ადვილად ასატანი, და ჩვენს ტანჯვაზე,
დაუსრულებელ წამებაზე უფრო მსუბუქი.
ყველაზე უფრო ჩვენ გვაწამებს შიში იმისი,
რომ საშინელი ბედი ელის შთამომავლობას;
წამებისათვის უნდა გაჩნდნენ ქვეყნად ისინი,
რათა სიკვდილმა საბოლოოდ გააცამტვეროს;
მძიმეა—სხვისი მწუხარების მიზეზი გახდე,
შექმნა ამ წყეულ ქვეყანაზე შენივე მოდგმა,
რომელიც ტანჯვით გაატარებს მთელს წუთისოფელს
და საბოლოოდ ბილწ ურჩხულის კერძი გახდება.
შენს ხელთ არ არის?! ბედკრულ მოდგმას ნულარ გააჩენ,
უშვილო ხარ და გადაეგე ასე უშვილოდ!
ვეღარ მიიღებს ნანატრ ნადავლს ბილწი სიკვდილი,
ჩვენ მოგვგვარდება, გადაგვსანსლავს ორივეს ხარბად:
რა გზა ექნება, უნდა ჩვენით დაკმაყოფილდეს.
მაგრამ თუ ძნელად მიგაჩნია—სულ ერთად ვიყოთ,
ვიმუსაიფოთ, ვუალერსოთ ერთმანეთს ნაზად,
თვალებში ერთურთს სიყვარულით შევციცინებდეთ...
თუ ფიქრობ-მეთქი, ამის შემდეგ გაგიძნელდება
ცოლქმრული ტკბილი მოხვევისგან თავშეკავება,
დათმობა ტრფობის სანეტარო, წმიდა წესების,
გაუნელებელ ჟინისაგან მუდმივი ტანჯვა,
როდესაც ხედავ, მეც ასეთი სურვილი მტანჯავს,—
(არანაკლები სატანჯველი და განსაცდელი,
ყველა იმაზე, რისი შიშიც ასე გვაღელვებს),—
მაშინ თვითონვე შევიმოკლოთ სიცოცხლის დღენი,
თავსაც ვუშველოთ, ჩვენი მოდგმაც შიშისგან ვიხსნათ,
ვძებნოთ სიკვდილი, მაგრამ თუ კი ვერ მივაგენით,
ჩვენი ხელითვე შევასრულოთ საქმე იმისი.
რათ უნდა ვიდგეთ, შიშისაგან რათ ვიკანკალოთ,
ბოლო ხომ მაინც სიკვდილია; და სიკვდილისკენ
ბევრი გზა მიდის. უმოკლესი ამოვარჩიოთ,
განადგურებით ვანადგუროთ განადგურება“.

შედგა... თუ სიტყვა გაუწყვიტა განწირულებამ.
იმდენს ფიქრობდა ის სიკვდილზე, რომ მთელი სახე

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სიკვდილისფერად გაუყვითლდა, გაუფერმკრთალდა.
მაგრამ ადამზე ცოლის რჩევამ ვერ იმოქმედა,
რადგანაც უფრო იმედიან ფიქრებს მოეცვა,
და მართლაც ევას მან ასეთი პასუხი მისცა:
„სიცოცხლისა და ამქვეყნიურ სიამის ზიზღი,
რასაც განიცდი ახლა, ევა, თითქოს ამტკიცებს,
რომ ამ ქვეყნიურ ცხოვრებაზე შენ მაღლა დგეხარ;
მაგრამ ის რჩევა—ჩვენვე მოვსპოთ ჩვენივე თავი,
ამ მოსაზრებას აბათილებს და უარსა ჰყოფს,
რადგან სიამე კი არა გძულს სინამდვილეში,
არამედ სწუხარ, გენანება იმის დაკარგვა,
რაც შენთვის ასე საამო და სანუკვარია.
თუ სასჯელისგან დასახსნელად შენ მიგაჩნია
გამოსავალი ერთადერთი მხოლოდ სიკვდილი,
ესეც გახსოვდეს, რომ ბრძენია უფალი ღმერთი
და სასჯელს ისეთს არ მოგვცემდა განრისხებული,
რისი ადვილად მოშორებაც ჩვენ შეგვძლებოდა.
მე იმას ვშიშობ, რომ სიკვდილი, რომელსაც ჩვენვე
მოვიახლოვებთ საგანგებოდ, რათა შევიძლოთ
უფლისა მსჯავრის აცილება, მაინც ვერ გვიხსნის,
ხოლო ზენაარს განვარისხებთ ამ ჯიუტობით
და ჩვენს სხეულში ჩაასახლებს ის ცოცხალ სიკვდილს.
სჯობს ვძებნოთ უფრო უხიფათო გამოსავალი;
ასე მგონია, ვხედავ კიდეც ამ გამოსავალს,
როცა უფლის მსჯავრს გულისყურით ავწონ-დავწონი—
გველს თავი უნდა გავუსრისოთ შენი თესლითვე!
მცირე ნუგეში იქნებოდა, რომ ზენაარი
არ გულისხმობდეს ჩვენს მთავარ მტერს—წყეულ სატანას,
ვინც ვერაგულად ჩაძვრა მაშინ გველის სხეულში,
რათა ჩვენ უფრო ეშმაკურად ვეცთუნებინეთ.
მისი გასრესა—ეს იქნება შურისძიება,
რასაც ჩვენ ველარ მოვახერხებთ, თუ გავნადგურდით,
თუ ჩვენვე მოვსპეთ ჩვენი დიდი შთამომავლობა.
მაშინ ხომ მტერიც თავის სასჯელს დაუძვრებოდა,
ჩვენ კი, სანაცვლოდ, ორმაგ სასჯელს თავს დავიტეხდით!..
არა, ჩვენივე მოსპობაზე ნულარ ვიფიქრებთ,
ნურც შევეცდებით, რომ უშვილოდ ჩვენ გადავეგოთ,
რადგანაც ამით მოვაკლდებით ყოველგვარ იმედს,
გავიძლიერებთ ზვიადობას და ბოროტებას,
სულმოკლეობას და სიძულვილს თვითონ ღმერთისა
და ღმერთის მიერ ჩვენზე დადგმულ ულელის მიმართ;
ხომ გახსოვს, ევა, როგორ რბილად და მოთმინებით
გვისმენდა ღმერთი, და შემდეგ კი, განურისხებლად,
რა გულმოწყალე და მსუბუქი სასჯელი დაგვდო!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დაუყოვნებლივ მოველოდით განადგურებას,
ასე გვეგონა, იმავე დღეს მოგვკლავდა ღმერთი.
მაგრამ ხომ ხედავ! მოგისაჯა, რომ მწუხარებით,
სულთქმითა შენით ატარო და შვა შვილნი შენნი.
მაგრამ ამ სულთქმას სიხარული მოჰყვება უმალ,
როცა საკუთარ საშოს ნაყოფს იხილავ, ევა.
ჩემი დასჯა კი მან ინება არა პირდაპირ—
მიწა დასწყევლა, და მეც პური ჩვენი არსობის,
უნდა ოფლისღვრით მოვიპოვო, მუდმივი შრომით.
მერე რა მოხდა? ეს არა სჯობს უსაქმურობას?!
ჩემივე შრომა-გარჯილობამ უნდა მარჩინოს.
მკაცრმა სიცივემ ან სიცხემ რომ არ შეგვაწუხოს,
მან თავიდანვე იზრუნა და თვითვე შეგვმოსა;
ხომ ულირსნი ვართ, მაგრამ მაინც მან შეგვიწყალა.
თუკი ვილოცებთ, თუ ვადიდებთ და ვათაყვანებთ,
მაშინ მით უფრო, გახსნის ყურებს ჩვენს მოსასმენად,
მაშინ მით უფრო შეგვიწყალებს გული იმისი;
გვასწავლის, როგორ შევეგუოთ წლის სასტიკ დროებს—
ვით მოვერიდოთ თოვლს და წვიმას, სეტყვას და ყინვას!
ცამ მოახვია იმ მთას უკვე თალხი ღრუბლები,
წამოუბერა სველმა ქარმა და ხეთა რტოებს
კოხტად ხვეული კულულები სულ დაუშალა;
ეს იმის ნიშნად, რომ მოვძებნოთ თბილი და მყუდრო
თავშესაფარი, და გავითბოთ სხეული ჩვენი.
ვიდრემდე დიდი დღის მნათობი ჩაესვენება
და ჩვენ სანაცვლოდ დაგვიტოვებს ცივს და ბნელ ღამეს,
იქნებ როგორმე მოვაგროვოთ სხივები მისი,
ანდა, იქნება, ორი საგნის სწრაფი ხახუნით
მოვახერხოთ და წავუკიდოთ ცეცხლი ჰაერსაც;
მე ამასწინათ დავინახე, ორმა ღრუბელმა,
რომელნიც ქარმა მიახალა უცებ ერთმანეთს,
წარმოშვა ელვა, ძირს დაეშვა, ალი ავარდა
და კუპრიანი ნაძვის ტოტი ააბრდღვიალა.
მაშინ შორიდან ვიგრძენ უცებ საამო სითბო,
და ვფიქრობ ცეცხლი მზის სანაცვლოდ გამოგვადგება.
თუკი ზენაარს მუხლმოდრეკით შევსთხოვთ წყალობას,
თუკი ვილოცებთ გამუდმებით, მაშინ უფალი
თვითვე გვასწავლის ჩვენ ამ ცეცხლის გამოყენებას,
ძნელასატანი ტკივილების შემსუბუქებას
და გადატანას სხვადასხვაგვარ სნეულებისა,
რაც შეგვეყრება საშინელი შეცოდებისთვის.
ნუ შეგვაშფოთებს წუთისოფლის უკუღმართობა,
რადგანაც შემწედ თვითონ ღმერთი მოგვევლინება,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვიდრე არ გავვლეთ ამ სიცოცხლეს და საბოლოოდ
განსასვენებლად მიწადვე არ გადავიქცევით.
ახლა ის გვიჯობს, გავემართოთ იმ ადგილისკენ,
სადაც უფალმა მსჯავრი დაგვდო, განვერთხოთ მიწას,
მოვინანიოთ მორჩილებით ცოდვები ჩვენი,
შევემუდაროთ პატიებას და მოტევებას,
ცრემლებით მოვრწყათ დედამიწა და თვით ჰაერიც,
ნიშნად გულწრფელი წუხილის და მორჩილებისა,
მტკივან გულიდან აღმომხდარი ოხვრით გავჟღინთოთ.
ფიქრი არ არის, მოულბება ზენაარს გული,
შევებრალებით და წყალობით შეგვიცვლის რისხვას.
აკი მაშინაც, როცა რისხვით გზნებული იყო
და სახეც მისი მრისხანებას აფრქვევდა ირგვლივ,
მან თანაგრძნობა და წყალობა გვაჩვენა მაინც!"

ინანიებდა ცოდვებს ასე კაცთ წინაპარი
და ევაც გულში მისცემოდა მდუმარ სინანულს.
ერთმანეთს ხელი გადახვიეს და მოწიწებით
მიადგნენ ადგილს, სადაც ღმერთმა მათ მსჯავრი დასდო.
დაემხვნენ პირქვე, მორჩილებით და გულმხურვალედ
ღაღადჰყვეს ლოცვა-სინანული უფლისა მიმართ,
ცრემლებით მორწყეს დედამიწა და თვით ჰაერიც,
ნიშნად გულწრფელი წუხილის და მორჩილებისა,
მტკივან გულიდან აღმომხდარი ოხვრით გაჟღინთეს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

www.PDF.ChiaturaINFO.GE

წიგნი მეთერთმეტე

შინაარსი

ძე ღვთისა თავის მამას გადასცემს ჩვენი წინაპრების ლოცვა-მონანიებას და მათთვის შუამდგომლობს. ღმერთი მიიღებს მათ ლოცვას, მაგრამ განაცხადებს, რომ ისინი მეტად აღარ იცხოვრებენ სამოთხეში. იგი მიქელს წარგზავნის ანგელოზების გუნდთან ერთად, რათა სამოთხიდან გაიძევოს ადამიანები, ხოლო ვიდრე გაიძევებდეს, ადამს მომავალი გადაუშალოს. აღწერილია მიქელის დაშვება სამოთხეში. ადამი ევას მიუთითებს ზოგიერთ ბოროტეულ ნიშანზე. იგი დაინახავს მოახლოებულ მიქელს და შესაგებებლად გასწევს. ანგელოზი შეატყობინებს, რომ მათ სამოთხე უნდა დასტოვონ. ევა მოსთქვამს. ადამი ემუდარება; მაგრამ ბოლოს დამორჩილდება. ანგელოზი მას მაღალ მთაზე აიყვანს და შორიდან მოაჩვენებს ყველაფერს, რაც წარღვნამდე უნდა მოხდეს.

ასე მდაბალის მორჩილებით, მონანიებით
ისინი დიდხანს ლოცულობდნენ. ცით მოვლენილმა
ღვთის მოწყალებამ იმათ გულებს, ქვად გადაქცეულთ,
მოხსნა სიმძიმე და შემოსა ახალი ხორცით.
გამოუთქმელი მწუხარების ოხვრა და კვნესა,
ლოცვის უწმიდეს სულისაგან შთაგონებული,
იმაზე უფრო ჩქარა მისწვდა ცის კარიბჭეებს,
ვიდრემდე სწრაფი და მაღალი მჭევრმეტყველება;
რადგან არც მთხოვნელთ და არც თხოვნას არა ჰქონია
უფრო ნაკლები მნიშვნელობა იმ მუდარაზე,
რაც ძველისძველად (თუმც ამ ამბის დიდი ხნის შემდეგ)
საკურთხევლიდან თემიდისა ცათ აღავლინეს
დევკალიონმა და უმანკო ცოლმა იმისმა,
რათა საშინელ წარღვნის შემდეგ მთლად მოსპობილი,
კვლავ აღედგინათ კაცთა მოდგმა დედამიწაზე.*
ლოცვა იმათი მიფრინავდა პირდაპირ ცისკენ,
არც გზას სცდებოდა, ვერაფერიც ვერ აბრკოლებდა,
და შურიანი ქარის ქროლვაც ველარ ფანტავდა.
არ აბრკოლებდა ხორციელი შესამოსელი,
შეუფერხებლად შეაღწია ზეცის ბჭეებში,
და როგორც კვამლი საკმევლისა, შემოეხვია
დიდი ქომაგის საკურთხეველს, შემდეგ კი მისწვდა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტახტს ზენარისას, და ღვთის ძემან, გახარებულმან,
ის ამ სიტყვებით წარუდგინა თავის დიდ მამას:

„შეხედე, როგორ გაფურჩქვნილა ქვეყნად ნაყოფი
იმ წყალობისა, რაც შენ, მამავ, კაცს მიუძღვენი!
ეს ლოცვა-ოხვრა ავურიე წმიდა საკმეველს
და ოქროს ყუთით მოგიტანე, შენმა მოძღვარმა;
ესე ნაყოფი იმ თესლისა, რაც შენ დათესე
ადამიანის დატანჯულს და მტკივნეულ გულში,
ყველა იმაზე უფრო მეტად საამურია,
რასაც შეჰქმნიდა კაცის ხელი, ანდა სამოთხის
ყვავლა მცენარე შემოგძღვნიდა დაცემის დღემდე.
მის გულმხურვალე სავედრებელს მიაპყარ ყური,
და მოისმინე მისი მუნჯი, უსიტყვო ოხვრა;
რაკი არ ძალუძს, რომ სიტყვებით გამოთქვას ლოცვა,
ნება მომეცი, მე გადმოგცე მისი სათქმელი,
მე, მის ცოდვების გამომსყიდველს და მოსარჩლესა.
ჩემს თავზე ვიღებ კაცის საქმეს — კეთილს თუ ბოროტს,
კეთილს სრულსა ვყოფ, ბოროტისთვის მზადა ვარ მოვკვდე.
მიმიღე, და თან კაცთა მოდგმის მშვიდობისათვის,
ლოცვა-მუდარა შეივედრე კაცთ წინაპრისა.
დე ბოშვიდობაში გაატაროს შთენილი დღენი, —
თუმც კი მწარე და ნაღვლიანი, — ვიდრე მოკვდება,
(შერბილებას გთხოვ სასჯელისას მხოლოდ და მხოლოდ),
ვიდრე უკეთეს სიცოცხლისთვის არ აღამაღლებ,
საცა ჩემს მიერ გამოხსნილი ადამიანი,
ტკბილს ნეტარებას მიეცემა სამარადჟამოდ,
იქნება ჩემთან ერთიანი, ვით მე შენთან ვარ“.

გადაეყარა ღმერთს სახეზე ჯანღი ღრუბელთა
და ძეს მიმართა, დამშვიდებით, განურისხებლად:
„ძვირფასო შვილო, რასაც შენ მთხოვ კაცთა მოდგმისთვის,
მე სუყველაფერს შეგისრულებ, არ გეტყვი უარს,
აკი ეს იყო თავიდანვე ჩემი სურვილიც.
სამოთხეში კი ვერ იცხოვრებს ამიერიდან,
ამას უკრძალავს ჩემს მიერვე დაწესებული
დიდი კანონი ბუნებისა; გამოდევნიან
წმიდა, უკვდავი და უმწიკვლო ბუნების ძალნი,
რომლებიც უხეშ და უწმიდურ საგნებთან კავშირს
ვერ მოითმენენ, ასეთია მათი ბუნება,
მოიშორებენ, როგორც სნეულებას, ბიწიერებას.
მძიმე ცოდვებით შებღალულმა ადამიანმა
აწ შებღალული ჰაერითვე უნდა ისუნთქოს,
უნდა კვებავდეს, თავად გახრწნილს, გახრწნილი საზრდო,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რათა თანდათან შეეგუოს განადგურებას,
რაც მთელს ქვეყანას მოედება ცოდვების გამო,
და სიწმიდის წილ გაავრცელებს უწმიდურობას.
შევქმენ კაცი და მივუძღვენი მას ორი რამე:
ბედნიერება სამუდამო და უკვდავება.
რაკი პირველი მან დაჰკარგა, მეორე ძღვენი
სამარადჟამო წამებად რომ არ გადაექცეს,
მე შევიბრალე და სიკვდილი მას მოვუვლინე,
რადგან სიკვდილი საბოლოო ხსნა არის მისთვის;
გალევს სიცოცხლეს, მრავალ მწარე ტანჯვას გამოსცდის
ქველი საქმით და ერთგულებით განიწმინდება,
რათა მეორე მან სიცოცხლე დაიმსახუროს,
მერე ერთბაშად გაიღვიძებს სიმართლით თვისით
და დაიმკვიდრებს განახლებულს ცასა და მიწას.
მაგრამ მოუხმე ზეცის ფართო სივრცეებიდან
ყველაზე უფრო ნეტარსა და უწმიდეს სულებს,
არ დავუფარავ, რა მსჯავრსა ვდებ ადამიანებს,
ისევე როგორც ცოდვიანი ანგელოზების
სასტიკი დასჯა მე იმათთვის არ დამიმალავს;
ისეც მტკიცენი, კიდევ უფრო განმტკიცდებიან".

აქ დაამთავრა. ძემ მაღალი ნიშანი მისცა
საგუშაგოზე მდგომ ანგელოზს, შუქმომფინარეს.
მანაც ჩაჰბერა მყისვე საყვირს, (ვინ იცის იქნებ,
დიდი ხნის შემდეგ, როცა ღმერთი დაბლა დაეშვა,
ეს საზეიმო საყვირის ხმა ჰქუხდა ქორებზე,
და ის საერთო სამსჯავროს დღეც ამ ხმამ გვაუწყოს),
ჩაჰბერა საყვირს და სამეფო ვრცელი ზეცისა
ანგელოზურმა ტკბილმა ხმებმა გაავსეს მაშინ,
სინათლის შვილნი, უზენაეს მოწოდებაზე,
მყისვე დაიძრნენ ამარანტის თალარებიდან,
წყაროებიდან, რუებიდან, შადრევნებიდან,
სიცოცხლის წყლიდან, სადაც ისხდნენ ისინი მშვიდად
და მეგობრული მუსაიფით იქცევდნენ თავსა...
დაიძრნენ მყისვე, გაეშურენ ზენაარისკენ
და ყველამ სწრაფად დაიჭირა ადგილი თვისი.
ყოვლისშემძლემ კი ამაღლებულ ტახტიდან მაშინ
ასე გამოთქვა უმაღლესი ნება-სურვილი:

„ადამიანი, შვილნო ჩემნო, ჩვენ დაგვემსგავსა,
რადგან აკრძალულ ხის ნაყოფი იგემა იმან
და მყის სიკეთე-ბოროტება შეიცნო, ჩვენებრ.
დე იტრაბახოს: გამოაკლდა იგი სიკეთეს
და სიკეთის წილ, ბოროტებას დაეპატრონა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უფრო ნეტარი იქნებოდა, დასჯერებოდა
იმ დიდ სიკეთეს, რაც მას ჰქონდა მინიჭებული,
ხოლო ბოროტი სრულებითაც აღარ შეეცნო.
ახლა ვიშვიშებს, ინანიებს, მემუდარება,
რადგან მე თვითონ შთავაგონე მონანიება;
კარგადაც ვიცნობ გულს იმისას—მარტოდშთენილი,
ვიცი როგორი ფუჭი არის და ცვალებადი!
თავხედი ხელით რომ არ მისწვდეს სიცოცხლის ხესაც,
რომ არ იგემოს, უკვდავებას არ ეზიაროს,
(ან არ იფიქროს, რომ უკვდავი გახდება მართლაც)
გადავწყვიტე, რომ გავაძევო ჩემი ბაღიდან,
დე ჩიჩქნოს მიწა, საიდანაც თვითონვე გაჩნდა,
რადგან ეს უფრო შესაფერი იქნება მისთვის.
„მიქელ, შენ უნდა შეასრულო ჩემი ბრძანება:
ქერუბინთაგან შეარჩიე საგულდაგულოდ
უფრო ფიცხელი და მგზნებარე მებრძოლი გუნდი,
რათა ეშმაკმა ვერ გაბედოს კაცისთვის შველა,
ან თავისუფალ ადგილების დასაკუთრება,
და არ ასტეხოს ხელახალი არევდარევა.
წა, გაეშურე და საჩქაროდ უფლის ბაღიდან
ცოდვილი წყვილი გამოდევნე შეუბრალებლად
(წმიდა მიწიდან აღიგავონ უწმიდურები).
აუწყე მათაც და მთელს იმათ შთამომავალთაც—
საძარადჟამოდ გაძევება სამოთხიდანა.
მაგრამ სასტიკი ბრძანება რომ ელდად არ ეცეთ,
სევდისაღმძვრელი განაჩენი მათ რბილად უთხარ,
ნუ შეაშფოთებ, რადგან ვხედავ ცხარე ცრემლებით
უბედურები დანაშაულს ინანიებენ;
თუ კი ბოშვიდად და ბოთმინებით დაგემორჩილონ,
შენც შეიბრალე, უნუგეშოდ ნუღარ გაუშვებ.
აუწყებ ადამს, ბომავალ'ში რა ელოდება,
ყველაფერს ეტყვი, რასაც ახლა მე გაგიმარტავ;
ამცნე, რომ კავ'ბირს კაცთ მოდგმასთან კვლავ განვაახლებ,
მე ქალის თესლის დახმარებით. დამწუხრებულნი
ცოტათი მაინც დაამშვიდე გაძევებამდე.
მერე ადგები და სამოთხის აღმოსავლეთით,
სადაც ყველაზე ადვილია ედემში შესვლა,
მცველ-გუშაგებად დააყენებ შენს ქერუბინებს,
რათა აქნიონ განუწყვეტლივ მახვილი თვისი,
დააფრთხონ ყველა, ვინც გაბედავს მიახლოებას,
სიცოცხლის ხისკენ გადაკეტონ ყველა ბილიკი,
მტრის სათარეშოდ ნუ აქცევენ წმიდა სამოთხეს,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნუ მიუშვებენ ჩემს ხეებთან იმ ბოროტ სულებს,
რომ ხელმეორედ არ აცთუნონ ადამიანი“.

მან დაამთავრა და ძლიერი არქანგელოზიც,
მარადფხიზელ და მოელვარე სულებთან ერთად,
შორი და სწრაფი მგზავრობისთვის მყის მოემზადა.
ამ სულებს ჰქონდათ, სათითაოდ, ოთხ-ოთხი სახე,
თითქოს ორმაგი იანუსი არისო ყველა;
თითო სახეზე თვალი ებათ აურაცხელი,
იმაზე მეტი, გაცილებით, ვიდრემდე არგუსს;
ვერც არკადიის სალამური, ვერც მწყემსის სტვირი,
და ვერც ჰერმესის ჯადო კვერთხი, ძილისმომგვრელი,
ამ ქერუბინებს თვლემასაც ვერ შეაპარებდა.
ამასობაში, გაიღვიძა ლევკოთეამაც*
და დედამიწას მოაპკურა ცვარი, საამო.
ადამს და ევას (უპირველეს ჩვენს დედამთავარს)
ლოცვა-მუდარით გული უკვე ეჯერებიათ,
და სულში გრძნობდნენ ახალ ძალას, ზეცით მოვლენილს,
სასოწარკვეთის ნაცვლად ახლა გულს დაესახათ
შვება, იმედი, მაგრამ მაინც შიშში ნარევი.
და კვლავაც ევას ქმარმა მისმა ასე მიმართა:

„ევა, ეს ჩვენთვის სულ ადვილად დასაჯერია,
რომ ყოველგვარი სიხარული, რასაც განვიცდით,
ყველა სიკეთე სულ ზეციდან მომდინარეობს;
ხოლო რომ ჩვენგანც ადიოდეს მაღლა ზეცისკენ
ისეთი რამე, რასაც ძალუძს ნეტარი ღმერთის
ერთგვარად მაინც მოხიბლვა და გულის მოლბობა,
ასე მგონია, ძნელი არის დასაჯერებლად.
მაგრამ გულწრფელი ჩვენი ლოცვა, ადამიანის
სულ უსუსტესი ამოოხვრაც, მაღლა მიიწევს
და თვითონ ღმერთის უნეტარეს ტახტსაც კი წვდება!
მხურვალე ლოცვით როს ვცდილობდი, მუხლმოდრეკილი,
ჩვენზე გულგამწყრალ ზენაართან შერიგებასა,
როს მორჩილებით გადვუშალე ტანჯული გული,
ასე მეჩვენა, თითქოს თვითონ ღმერთი ვიხილე,
რომელიც წრფელის თანაგრძნობით ყურს მომიპყრობდა.
მაშინ აღმეძრა სანუკვარი იმედი გულში,
მომეჩვენა, რომ შეისმინეს გოდება ჩემი;
კვლავ დამიბრუნდა სულიერი სიმშვიდე ძველი,
გონებაშიაც აღსდგა ღმერთის დანაპირები,
რომ შენი თესლი თავს გაუსრესს ჩვენს ვერაგ მტერსა.
ელდანაცემი, მე ამ სიტყვებს მაშინ ვერ ჩავსწვდი,
ახლაღა ვიგრძენ, იმედგბით გულმოცემულმა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რომ ის სიმწარე სიკვდილისა შორს გაგვეცალა,
და ჩვენ ვიცოცხლებთ! მაშ, მხურვალედ მოგესალმები,
ადამიანის ღირსეულო პირველო დედავ,
შენზე მართლაც რომ ალალია ესე სახელი,
რადგან სიცოცხლეს კაცთა მოდგმა შენგან მიიღებს,
და ყველა არსი ცოცხლობს მხოლოდ კაცთა მოდგმისთვის“

ევა მწუხარე მორჩილებით ქმარს შეესიტყვა:
„მე რა ღირსი ვარ ამ სახელის, მე—მცთუნებელი,
რომელიც შემწედ მოგცა ღმერთმა, მაგრამ ნამდვილად
გადაგექეცი ბედკრულ მახედ. ჩემზე ახია
მწარე გაკიცხვა, შეჩვენება და უნდობლობა!
განუსაზღვრელი მოწყალება მარგუნა ღმერთმა,
როცა სიკვდილის პირველ მიზეზს მთელს ქვეყანაზე,
ახლა სიცოცხლის წყაროდ მსახავს! შენც შემიწყალე
და სულსხვაგვარი სახელის ღირსს, ასე მომმართავ!
მაგრამ მინდორში სამუშაო მიგველის ახლა,
თუმც მთელი ღამე ასე თეთრად ჩვენ გავათენეთ;
ხომ ხედავ, დილა არად აგდებს ჩვენს დაღლილობას,
აგერ, ღიმილით ის დაადგა ვარდისფერ სავალს;
წავიდეთ ბარემ, მსურს მთელი დღე შენს გვერდით ვიყო,
აღარ მოგშორდე და ბინდ-ბუნდის ჩამოწოლამდე,
თუნდაც რომ შეგვხვდეს დიდი ჯაფა, შენთან ვიშრომო.
მანამ ამ ტურფა ბაღში ვცხოვრობთ, რა უნდა იყოს
ისეთი მძიმე სამუშაო, რომ შეგვაწუხოს?!
დავეცით, მაგრამ, თუკი აქვე ვიცხოვრებთ ერთად,
მთელს ჩვენს სიცოცხლეს გავატარებთ ნეტარებაში“.

ასე უბნობდა, მოდრეკილი, მორჩილი ევა,
ასე ნატრობდა, მაგრამ ბედმა სულ სხვა ინება.
უპირველესად ბუნებაში სახე იცვალა
ცის ფრინველებმა, ცხოველებმა და თვით ჰაერმა,
დილის სიწითლე შეიცვალა ერთბაშად ბნელით,
მაღლიდან უცებ ჩამოეშვა ზევსის ფრინველი*
და ორ ღაბუა, აჭრელებულ ჩიტს დაედევნა;
იქით, პირველი მონადირე, მძვინვარე მხეცი,
რომლის სამეფო ტყეებშია ფართოდ გაშლილი,
მთიდან დაეშვა გაცოფებით და გამოუდგა
მთელი ტყის თვალს და სილამაზეს ორ ტურფა ირემს;
აღმოსავლეთის კარებისკენ მიისწრაფოდნენ.
ადამმა თვალი გააყოლა ამ ნადირობას
და შეშფოთებით თავის ევას ასე მიმართა:

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„ევა, სულ მალე ჩვენ სხვაგვარი ცვლილებაც გველის
და ზეცა გვამცნობს ამ ცვლილებას მუნჯი ნიშნებით,
რომ ზედმეტად არ გავიხაროთ იმის იმედით,
თითქოს სასჯელი სრულებითაც მოეხსნათ ჩვენთვის,
რაკი სიკვდილი რამდენიმე დღით გადაგვიდეს.
კიდევ რამდენხანს გაგრძელდება ჩვენი სიცოცხლე,
ან რა მოგველის საბოლოოდ, ეს ვინ განსჭვრიტოს?!
ესლა ვიცით, რომ მიწა ვართ და მიწად ვიქცევით.
მაშ ეს ორგზისი გაფრთხილება რა უნდა იყოს,
ასე ნავარდი ჰაერში და დედამიწაზე,
ერთდაიმავ დროს, ერთდაიმავ მიმართულებით?!
მაშ ასე რატომ ჩამობნელდა აღმოსავლეთით?
ჯერ შუადღეც კი არ მოსულა! დილის სინათლე
რატომღა ფეერავს დასავლეთით გაწოლილ ღრუბელს,
რაც ლურჯი ციდან ნება-ნება ეშვება დაბლა,
თითქოს და რაღაც მოჰქონდესო ჩვენთვის ზეციდან“.

ის არც შემცდარა: ამარტისფრად განათებული,
მყისვე დაეშვა იმ ღრუბელით ციური დასი
და სამოთხეში, ერთ გორაკზე ბანაკი დასცა.
სანახაობა იყო მართლაც უბრწყინვალესი,
მაგრამ ეჭვი და შიში ადამს თვალს უბნელებდა.
ამათზე უფრო მოელვარე არც კი ყოფილან
ის ანგელოზნი, იაკობს რომ შემოხვდნენ ერთხელ
მაჰანაიმში, და იხილა იქ იაკობმა
მისი ბრწყინვალე ქომაგების და დამცველების
კარვები—მინდვრად მოელვარედ მიმოფანტული;
არც ის ლაშქარი, ცეცხლოვანი, რომელიც ერთხელ
ალმოდებულ მთას გადმოადგა დოთანთან ახლოს
და შეუტია გაოფეებით სირიის მეფეს,
ვინაც, ვით მკვლელმა, ერთი კაცის ხელთჩასაგდებად,
მოულოდნელად, ვერაგულად ასტეხა ომი.
ციური რაზმის მეთაურმა თვისი ლაშქარი
იქვე დატოვა და უბრძანა დაცვა ბაღისა,
თვითონ კი მარტო გაეშურა ადამისაკენ.
დიდებულ სტუმრის მობრძანება კაცთა წინაპარს
შეუმჩნეველი როდი დარჩა. ევას მიმართა:

„დიდი ამბების მოლოდინში მზად იყავ, ევა,
ვინ იცის, იქნებ ჩვენი ბედიც ახლა გადაწყდეს,
ან დაგვიდგინონ კანონები, ახალ-ახალი!
აგერ, ელვარე ღრუბელიდან, რომელიც იმ მთას
შემოეხვია საბურველად, მე კარგად ვხედავ,
ერთი არსება, ზეციური, სხვებს გამოეყო;

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ეტყობა, ზეცის ტახტოსანი იქნება ვინმე,
რადგან მართლაც რომ ღირსეულად უჭირავს თავი,
მიხვრა-მოხვრითაც არ ჩამოგავს უბრალო მხედარს.
სულაც არ არის დაბღვერილი და შიშს არცა ვგრძნობ,
თუმცა არც ისე გულღია ჩანს, ვით რაფაელი,
რომ შორიდანვე მივენდო და გულს მომეფონოს;
დიდებულია მეტისმეტად, სერიოზული,
და ნაწყენი რომ არ დამირჩეს, ჩემი ვალია
პატივისცემით მივეგებო. შენ გამეცალე".

ამასობაში მოახლოვდა არქანგელოზიც,
მაგრამ არ ჰგავდა იგი უკვე ბინადარს ცისას,
კაცთან მოსული, თვითონაც კაცს დამსგავსებოდა,
და ტანსაცმელიც გადაეცვა ადამიანის.
იმის ბრწყინვალე აბჯარსა და აღჭურვილობას
კარგად შვენოდა მეწამული წამოსასხამი,
თვითონ სარასა და მელიბის ქსოვილის მჯობი,
რომელსაც ძველად მეფენი და დიდი გმირები
მშვიდობიანი ცხოვრების დროს წამოისხამდნენ;
ამ ქსოვილს წითლად თვით ირისი ღებავდა ხოლმე.
ზარადაწეულ მოელვარე მუზარადიდან,
რაც ვარსკვლავებით იყო სულმთლად დამშვენებული,
მოჩანდა სახე მოწიფული ანგელოზისა,
სახე, რომელიც მოწმობდა მის დავაჟკაცებას.
გვერდზე მას ერტყა მოელვარე, ვით ზოდიაკო,
შიში და ზარი სატანასი—მრისხანე ხმალი,
ხელთ შუბი ეპყრა. მიესალმა ადამი მდაბლად.
მან ხელმწიფურად,—თავი დაბლა არც კი დახარა,—
ასე აუწყა კაცთ წინაპარს მოსვლის მიზეზი.

„ზეცის ბრძანებას შესავალი არა სჭირდება,
ამჟამად შენთვის, ადამ, იმის გაგებაც კმარა,
რომ ცაში უკვე მოისმინეს შენი ვედრება,
და გადაგიდეს მკაცრი მსჯავრი—სიკვდილით დასჯა,
რაც მყისვე უნდა მოჰყოლოდა შენს დანაშაულს;
შეგიწყალეს და მრავალი დღის სიცოცხლე გიძღვნეს,
რომ შეცოდება მოთმინებით მოინანიო
და ერთი ცოდვა, ერთი მძიმე დანაშაული
მრავალგვარ კეთილ საქმეებით გამოისყიდო.
მერე ვინ იცის, იქნებ ღმერთსაც მოულბეს გული
და ხარბ სიკვდილის კლანჭებისგან სულაც დაგიხსნას!
მე წარმომგზავნა ზეციდან შენს გასაძევებლად;
მიწით გაჩენილს, გევალება მიწისვე ჩიჩქნა;
ეს ნიადაგი სასარგებლო იქნება შენთვის".

www.PDF.ChiaturaINFO.GE

არა უთქვამს-რა ამის მეტი მთავარანგელოზს,
გაჩუმდა, რადგან ადამს ჩასწყდა ერთბაშად გული,
მწუხარებისგან გაიყინა და დაიბნიდა;
ევამ, თუმც იყო უხილავი იმათ თვალთაგან,
სუყველაფერი მოისმინა, მოჰყვა გოდებას,
და უნებურად გასცა თვისი თავშესაფარი:

„ო, უეცარი, სიკვდილზედაც მძვინვარე ელდა!
ნეტარო მხარევ, მშობლიურო მიწავ და წყალო,
ღვთის საკადრისო ჭალებო და საჩრდილობელნო,
ნუთუ, სამოთხევ, სამუდამოდ უნდა დაგტოვო?!
ვიმედოვნებდი, თუმც კი ვიყავ გულდათუთქული,
რომ დამშვიდებით გავლევდი ამ სიცოცხლის დღეებს,
და სიკვდილის დღეს ორივენი აქ შევხვდებოდით!
ჰოი ყვავილნო, სხვაგან აბა რას გაიხარებთ?!
დილის პირველი საზრუნავი იყავით ჩემი
და საღამოთიც თქვენ გივლიდით უკანასკნელად;
თავს გევლებოდით, როგორაც კი გაშლიდით კოკორს,
ყველას შეგარქვით სახელები! ამიერიდან
მზისკენ ვინ უნდა მიგაბრუნოთ? ვინლა გადაგრგავთ?
ან ამროზიის წყაროებით აბა ვინ მოგრწყავთ?
შენც, საქორწინო ფანჩატურო, ჩემგან შემკულო
სურნელოვან და უტურფესის ყვავილებითა,
როგორღა დაგთმო, სად წავიდე, სად ვიწანწალო,
სამოთხის შემდეგ, როგორ გავძლო იმ უდაბნოში?!
ან სხვა ჰაერით, უწმინდურით, როგორ ვისუნთქოთ,
სამოთხის უკვდავ ნაყოფებზე მიჩვეულებმა?!“

არქანგელოზმა მას ალერსით შეაწყვეტინა:

„ნუ ჰგოდებ, ევა, მოთმინებით გადაიტანე
იმაზე დარდი, რაც დაჰკარგე სამართლიანად;
ნუ შეგივარდა გული მასზე, რაც არ გეკუთვნის.
მარტო არ წახვალ, შენი ქმარიც თან წამოგყვება,
უკან გაჰყევი და სადაც მან დაისადგუროს,
შენს სამუდამო სამშობლოდაც ის დაიგულე“.

მოულოდნელი ელდის შემდეგ ისევ დამშვიდდა,
მოსულიერდა, მოიკრიბა მთელი ძალღონე
და მორჩილებით ასე უთხრა მიქელს ადამმა:

„ციურო არსო, შენც ერთ-ერთი ხარ ტახტოსანი,
ან უმაღლესი, სხვა ზეციურ ტახტოსნებს შორის,
რადგან ნამდვილი მეფეთ-მეფის გაქვს გარეგნობა.
ო როგორ მშვიდად გადმოგვეცი დანაბარები,
რაც, სხვისგან თქმული, გულს საშინლად დაგვისერავდა,
ხოლო ბრძანების შესრულება სულმთლად მოგვსპობდა!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ამდენი ვაი, მწუხარება, სასოწარკვეთა,
რასაც გვიქადის მოტანილი შენგან ბრძანება,
ვით გადიტანოს უსუსურმა ჩვენმა ბუნებამ?!
უნდა დავტოვოთ ეს ნეტარი სასუფეველი,
მყუდრო და თვალის გასახარი ადგილი ესე;
სადაც არ უნდა მოვხვდეთ სხვაგან, ხომ სულერთია,
მოგვეჩვენება პურადძვირ და უდაბურ ქვეყნად,
ისევე უცხოდ, რა უცხონიც ჩვენა ვართ მისთვის.
მე რომ შემეძლოს განუწყვეტელ ლოცვა-მუდარით,
შევაცვლევინო ყოვლისშემძლეს ბრძანება თვისი,
მაშინ გოდებას არ შევწყვეტდი ერთი წუთითაც,
თავს ვიდრემდისინ ბღავილით არ მოვაბეზრებდი.
მაგრამ მის მტკიცე ბრძანებაზე არა სჭრის ლოცვა,
ისევე როგორც გრიგალს სუნთქვით ვერ შეაკავებ,—
ის შენს სუნთქვასაც დაგიბრუნებს მაშინვე უკან
და ამომსუნთქველს უფრო მეტის ძალით მოახრჩობს.
ამიტომ მიჯობს მის დიდ ნებას დავემორჩილო.
მე ის მაწუხებს, რომ, აქედან გაძევებული,
ველარ ვიხილავ ვერაოდეს მის ნათელ სახეს.
მის სანეტარო შემოხედვას ვერ ველირსები.
ღვთის სადიდებლად მოვივლიდი აქ იმ ადგილებს,
სადაც ღირსსამყო მე უფალმა თავის ხილვისა,
ვეტყოდი შვილებს: „ამ გორაკზე გამომეცხადა;
იმ ხის ძირშიაც იდგა ერთხელ; ხოლო ხმა მისი
მე შემომესმა იმ კურთხეულ ნაძვების ტყიდან;
აქ, ამ წყაროსთან ვიდექით და ვლაპარაკობდით“...
მწვანე ბუსნოთი ავუგებდი მე საკურთხევლებს,
გამოსახატად ჩემი დიდი მადლიერების;
ნაკადულებში შევარჩევდი ელვარე ქვებსა
და საუკუნო სახსოვრობის ძეგლს ავუგებდი;
შევაგროვებდი სურნელოვან გომფისს, ყვავილებს,
ხილს მრავალნაირს... მივართმევდი საკურთხეველზე...
იქ კი, იმ დაბალ ქვეყანაზე სადღა ვიხილო
მისი ნათელი შემოხედვა და კვალი მისი?
განრისხებული რა ვიხილე, მას გავექეცი,
მაგრამ მიმიხმო, გამიგრძელა სიცოცხლის დღენი
და ჩემი მოდგმის გაგრძელებაც აღმითქვა ღმერთმა.
ნეტა შემეძლოს თვალი მოვკრა მისი დიდების
თუნდაც უმცირეს, სულ შორეულ გამოსხივებას,
შორიდან მაინც თაყვანი ვსცე მის ფეხის ნადგამს!“

მას გულმოწყალედ შეხედა და უთხრა მიქელმა:
„ადამ, შენც იცი, მარტო ამ კლდეს როდი ფლობს იგი,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მთელი ზეცა და მთელი მიწა სულმთლად მისია,
ის ყველგან სუფევს—ხმელეთზედაც, ჰაერშიც, ზღვებშიც;
რაც კი არსებობს სამყაროში, მისგან შექმნილა,
მისივე ძალა ასულდგმულებს და მისი სითბო.
მიწა გიბოძა, რომ დასახლდე, გამოიყენო,
ნუ შეიზიზღებ ამ საჩუქარს; ნურც იმას ფიქრობ,
თითქოსდა ღმერთი ედემისა და ამ სამოთხის
ვიწრო საზღვრებით იყოს მხოლოდ შემოზღუდული.
შენი მთავარი სამყოფელი იქნებ ეს იყო,
აქედან მიწას შენი მოდგმა მოედებოდა,
და ქვეყნის ყოველ კუნძულიდან დაიძრებოდნენ,
რათა თაყვანი ეცათ შენთვის—წინაპარისთვის.
მაგრამ მოაკლდი ამ დიდ პატივს, დაბლა დაეცი,
რომ შენთა შვილთა სამყოფელი გაიზიარო.
„ნუ გეფიქრება, მინდვრებსა და გაშლილ ველებზეც
ისევე სუფევს ზენაარი, ვით სამოთხეში.
ყველგან დაგხვდება მისი ყოფნის ნიშანი, ადამ;
მისივ წყალობით, სიყვარულით გარემოცული,
შენ ყველაფერში დაინახავ მის ნათელ სახეს,
ყველგან იხილავ მისი ფეხის ღვთაებრივ კვალსა.
გაძევების წინ რწმენა უფრო რომ განგიმტკიცო,
მე წარმომგზავნეს, რათა თვალწინ გადაგიშალო,
თუ მომავალში რა მოგელით შენ და შენს მოდგმას.
მაშ მოემზადე ბოროტის და კეთილის ხილვად,
ნახე, ცის მადლი როგორ ებრძვის ცოდვებს კაცისას.
არსს უნდა ჩასწვდე ჭეშმარიტი მოთმინებისას,
ისწავლო ლხენა—შიშს და სევდას ვით შეუხამო,
რომ მიეჩვიო და ერთგვარად გადაიტანო
კეთილდღეობაც და ვაგლახი უბედურებაც.
მაშინ კი მართლაც უშფოთველად გალევ სიცოცხლეს,
სიკვდილის დღესთან შესახვედრად მოემზადები.
ახლა ავიდეთ ჩვენ ამ მთაზე, ევამ იძინოს,
(მე დავუხუჭე მას თვალები) ვიდრე ამ მთიდან
თვალწინ გადაშლილს შენს მომავალს დაინახავდე,
იძინოს მშვიდად, როგორც ერთხელ შენვე გეძინა,
როდესაც ღმერთი ანიჭებდა სიცოცხლეს ევას“.
მას უპასუხა მადლიერმა ადამმა ასე:
„წინ წამიძეხი, ღვთაებრივო მეგზურო ჩემო,
მე შენ სუყველგან გამოგყვები, სადაც წამიყვან,
და რაც არ უნდა საშინელი დასჯა მაგემოს,
ზეცის მარჯვენას, სულ ერთია, ვემორჩილები.
უბედურებას ვეგებები გულგადახსნილი,
აღვიჭურვები მძიმე ტანჯვის გადასატანად,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და დინჯი შრომით მოვიპოვებ სულის სიმშვიდეს,
თუკი საერთოდ მომანიჭებს სიმშვიდეს შრომა“.

ღმერთის ხილვანის საჭვრეტავად შეუდგნენ ალმართს.
იმ მთის მწვერვალი უმაღლესი იყო ედემში,
იქიდან, როგორც ხელისგულზე, ისე მოსჩანდა
კიდით კიდემდე დედამიწის ნახევარსფერა.
იმაზე მაღლა აზიდული ის მთაც არ იყო,
რომელზეც შემდეგ მცთუნებელმა, სულ სხვა განზრახვით,
უდაბნოიდან წაიყვანა მეორე ადამ,
რომ ქვეყნიური სამეფონი ეჩვენებინა,
მთელის თავისის დიდებითა და ბრწყინვალებით.
ნახა ადამმა ქალაქები—ძველი, ახალი,
იმპერიები ძლიერებით სახელგანთქმული;
კამბალუიდან დაწყებული, სადაც ოდესღაც
კათეთის განთქმულს მბრძანებელს და ხანს ედგა ტახტი...
მდინარე ოქსის ნაპირიდან მოკიდებული,
სადაც თემურის სამეფო და საბრძანებელი
დიდი ქალაქი სამარყანდი იყო გაშლილი,—
ჩინელ მეფეთა ქალაქამდე—თვით პეკინამდე...
დიდი მოგოლის ქალაქები—აგრა, ლაჰორი,
და ქვეით უფრო, ხერსონესი, ოქროს ქალაქი,
იქით სპარსელი მეფეების საბრძანებელი
ეკბათა, ანუ ისპაჰანი და იმის იქით
მოსკოვი, სადაც ტახტი უდგას რუსეთის მეფეს;
თვით ბიზანტიაც, იმ სულთანის საბრძანებელი,
რომელიც თვითონ თურქესტანში დაბადებულა;
ნახა ნეგუსის იმპერიაც, თვით ერკოკომდე
და უფრო მცირე მეფეების საბრძანებლებიც—
მონბაზა, მელინდ, კვილოა და სოფალა, რასაც
ზოგიერთები ოფირადაც კი მიიჩნევდნენ;
კონგოსაც მისწვდა მისი თვალი, და უფრო იქით,
სულ განაპირა სამხრეთისკენ—ანგოლაც ნახა;
ნიგერის წყალი და ატლასის განთქმული მთები,
საბრძანებელი ალმანზორის, ფეცი და სუზი,
იქით მოროკო, ალჟირიცა და ტერმიზიაც;
მთელი ევროპა, ის ადგილიც, სადაც შემდეგში
ქვეყნებს მბრძანებლად რომი უნდა მოვლინებოდათ...
ვინ იცის, იქნებ, წარმოსახვით, მან თვალი ჰკიდა
მდიდარ მექსიკას, საბრძანებელს მონტეზუმისას,
კუსკოს და პერუს, მდიდარ ქალაქს ატაბალიპის,
ჯერ გაუძარცვავ გვიანასაც, რომლის დიდ ქალაქს
გერიონის ძეთ ელდორადო შეარქვეს ერთხელ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შემდეგ კი, უფრო ამაღლებული საგანთ საჭვრეტად,
მიქელმა ადამს მოაცილა თვალიდან გარსი,
რაც მცთუნებელმა ხილმა იმას ჩამოაფარა,
თითქოს თვალთხედვის კიდევ უფრო დასაწმენდავად.
მერე კი ნერვი მხედველობის გაუსუფთავა
კორდისკბილათი და ტეგანით, რადგანაც ადამს
კიდევ ბევრი რამ საგულისხმო უნდა ეხილა;
სიცოცხლის წყაროს სამი წვეთი ჩაასხა თვალში...
ისე ღრმად ჩასწვდა ეს წამალი შინაგან ხედვას,
რომ ადამს უცებ დაეხუჭა ორივე თვალი,
მთლად დაიბნიდა და დავარდა. მაგრამ მიქელმა,
წამოაყენა მალე ფეხზე და ასე უთხრა:

„ადამ, თვალები გაახილე და ჯერ ის ნახე,
პირველი ცოდვა რას უქადის ზოგს შენს მემკვიდრეს,
ვინც აკრძალულ ხილს ხელითაც კი არ შეხებია,
არც გველისაგან არ ყოფილა შთაგონებული,
არც შენი ცოდვა არასოდეს ჩაუდენია;
მაგრამ ის შენი ცოდვა მათაც გადაედება,
კიდევ უარეს დანაშაულს ჩაადენინებს“.
ადამმა თვალი გაახილა, ნახა მინდორი,
რომლის ერთ მხარეს სულ ახლახან აეღოთ ყანა,
და ნაწვერალში ჩანდა კიდეც ხელეურები;
მეორე მხარე დაეფარა ცხვარსა და ბაკებს;
ხოლო შუაში, სულ უბრალო ბელტებისაგან,
საზღვრის ბოძივით, აღემართათ სამსხვერპლო ერთი.
ჯერ მიეახლა ამ სამსხვერპლოს ყანის მომკელი,—
მაშვრალი, ოფლით გაწუწული,—და მიიტანა
თავის პირველი ნაშრომი და ნაამაგარი,
რაც მოხვედროდა უცებ ხელში—მწვანე ღეროცა
და ქარვისფერად მოელვარე ხელეურებიც.
მწყემს თავის ჯოგში მოწიწებით ამოერჩია
საუკეთესო, საგანგებო პირველშობილნი
და სამსხვერპლოსთან ის მივიდა უფრო მორჩილად;
შესწირა მსხვერპლად, შიგნეული გამოაცალა,
სურნელოვანი ბალახები გადააფინა,
შემდეგ დააწყო წვრილ შეშაზე ზვარაკი თვისი
და აღასრულა ყველა წესი სავალდებულო.
ზეციდან უცებ გადმოეშვა მოწყალე ცეცხლი,
მწყემსის ზვარაკი ერთიანად გაანადგურა,
და ნიშნად წმიდა, ღვთაებრივი მადლიერების,
კვამლი, ბოლქვებად დახვეული, ცისკენ წავიდა.
მომკელის მსხვერპლს კი ცეცხლი სულაც არ გაეკარა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რადგან არ იყო შეწირული ის წრფელი გულით.
მაშინ მომკელი გაგულისდა, წალაპარაკდნენ,
ჩასცა ქვა მკერდში, მოუსწრაფა სიცოცხლე მწყემსსა;
დაეცა მწყემსი, გადაეკრა სახეს მკვდრისფერი,
ამოიგმინა და ხრიალით აღმომსკდარს სისხლსა
სულიც თავისი მან ერთბაშად ამოაყოლა.
ამის ხილვაზე, გული ჩასწყდა წინაპარს ჩვენსას
და მოუთმენლად შეჰღაღადა მთავარ ანგელოზს:
„მოძღვარო, ხედავ, საშინელი უბედურება
თავზე დაატყდა სწორედ იმ წყნარ და მორჩილ მწყემსსა,
რომელმაც წმიდა გულწრფელობით შესწირა მსხვერპლი!
ნუთუ ასეთი ჯილდო ელის ერთგულ ღვთისმოსავს?“
და მიქაელმაც, არანაკლებ აღელვებულმა,
ადამს მიუგო: „ისინი ხომ ძმები არიან,
ადამ, შენივე ნაშიერნი, მემკვიდრეები;
და იმ უწესომ, საშინელი შურით გზნებულმა,
(რომ ძმის ზვარაკი მოწყალებით მიიღო ზეცამ,)
ხომ დაინახე, კაცი მოჰკლა ალალმართალი!
მაგრამ სისხლიან ცოდვისათვის მას მიეზღება,
ერთგულებისთვის არც მეორე დაჰკარგავს ჯილდოს,
თუმცა მკვდარს ხედავ, ამოგანგლულს მტვერსა და სისხლში“.
ჩვენმა პირველმა წინაპარმა ასე მიმართა:
„შემზარავია მოქმედებაც და ის მიზეზიც,
რამაც მომკელი ამ საშინელ ცოდვისთვის აღძრა.
მაგრამ ნუთუ მე თვით სიკვდილი ვიხილე ახლა?
მეც ამგვარადვე მიწერია მიწად მიქცევა?
ო საშინელო, შემაზრზენო სანახაობავ!
ო სიმახინჯევ! შეხედვაც რომ ამგვარად მზარავს,
რა საშინელი უნდა იყოს განცდა ამისი!“
ასე მიუგო მიქაელმა: „დიახ, შენ ნახე,
თავდაპირველად რა სიკვდილით მოკვდება კაცი.
მაგრამ იმ პირქუშ ჯურღმულისკენ ადამიანი
სხვადასხვაგვარად, სხვადასხვა გზით გაემგზავრება.
რაღა თქმა უნდა, ყოველი გზა სავალალოა,
თუმცაღა შიგნით როდი არის ისე პირქუში,
როგორც გარედან, შესასვლელში. თვითონვე ნახე,
ზოგი მოკვდება საშინელი ძალადობითა,
ზოგს ცეცხლი მოსპობს, ზოგს შიმშილი და ზოგსაც წარღვნა,
მაგრამ ყველაზე მეტს იმსხვერპლებს გაუმაძღრობა —
მოუთმენლობა საჭმელისა და სასმელისა,
ეს ქვეყანაზე გაავრცელებს სენს, მრავალნაირს;
ახლა გაჩვენებ ამ მახინჯთა უბადრუკ ბრბოებს,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რათა დარწმუნდე, რა საშინელ უბედურებას
მოუტანს ქვეყნად ადამიანს ევას ურჩობა“.

ადამის თვალწინ გადიშალა ადგილი მქისე,
ბნელი, პირქუში, ტანჯვისა და ვაების სახლი,
ის სასნეულოს ჰგავდა თითქოს ერთი შეხედვით,
სადაც ეყარა სნეულები აურაცხელი,
სხვადასხვა სენით საცოდავად ეწამებოდნენ,
ზოგს საშინელი ტკივილი და კრუნჩხვა სტანჯავდა,
ზოგს ასტყდომოდა სასიკვდილო გულის ქოშინი,
ზოგსაც ხურვება, ყოველგვარი ციებ-ცხელება,
ბნედა, ანთება, კუჭის წყლული, ჭირი, უჩუხი,
სიგიჟე, ცოფი, უძლურება, შავი ნაღველი,
მთვარეულობა, გამოფიტვა, ხუთვა, წყალმანკი...
იკლაკნებოდნენ საცოდავად, მწარედ გმინავდნენ.
სასოწარკვეთა, საშინელი განწირულება,
ხან ერთ ავადმყოფს მოიცავდა, ხანაც მეორეს,
ხოლო სიკვდილი ზეიმ-ზარით არხევდა შუბსა,
მაგრამ დარტყმას კი აყოვნებდა, თუმცა სნეულნი
უმხურვალესი ღაღადისით მას მოითხოვდნენ,
როგორც უდიდეს იმედსა და ერთადერთ ხსნასა.
კაცს მართლაც უნდა ჰქონებოდა სალი კლდის გული,
ეს დაენახა და ცრემლები არ წასკდომოდა.
თუმცა ადამი არ ყოფილა ქალის ნაშობი,
ვერ შეიკავა თავი მაინც და აქვითინდა.
რაც კი რამ იყო მასში მართლაც საუკეთესო,
მყისვე მოიცვა თანაგრძნობამ; ტიროდა ერთხანს,
ვიდრე ფიქრებმა, ვაჟკაცურმა, არ დაამშვიდეს.
და თუმცა სიტყვებს პოულობდა ის გაჭირვებით,
მაინც აღმოხდა უნებურად ძველი ჩივილი:

„ო უბადრუკო, უბედურო მოდგმავ კაცისა!
როგორ დაეცი! რა ვაება ბოგელის კიდევ!
ან რაღად გვინდა ეგ სიცოცხლე, თუკი წაგვგლეჯენ?
რას გაჩნდი ქვეყნად? რათ გინდოდა ასეთი ბედი?
თუკი გვცოდნოდა, თავიდანვე, რას ვღებულობდით,
ასეთ სიცოცხლეს მაშინ სულაც არ მივიღებდით,
ანდა მალევე მოვითხოვდით ისევ წართმევას,
რომ მარადიულ სიმყუდროვეს დავბრუნებოდით.
ნუთუ ხატება ღვთაებისა — ადამიანი, —
თუმც კი მიუძღვის მეტად მძიმე დანაშაული, —
ასეთ შემზარავ ტანჯვისათვის უნდა გასწიროს?!
თუ ნაწილობრივ მაინც, შეგვრჩა სახე ღმერთისა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იმავე დიდი შემოქმედის პატივით მაინც,
რათ არ იხსნიან კაცს ასეთი სიმახინჯისგან“.
„მსგავსებამ ღვთისამ,—უპასუხა არქანგელოზმა,—
დაუყოვნებლივ მიატოვა, როცა ისინი
მონად გაუხდნენ თავაწყვეტილ გაუმაძღრობას,
მას დაემსგავსნენ, ვისიც გახდნენ მორჩილი ყმანი—
მანკიერებას პირუტყვულსა, ცოდვების წყაროს,
რამაც პირველად ევას ცოდვა ჩაადენინა;
მიტომაც ასე საზარელი სასჯელი ერგოთ.
ეს სახეს ღვთისას სრულებითაც არ შეურაცხყოფს,
თვითონ იმათვე შეურაცხყოფს; ან თუ კი შერჩათ
მსგავსება ღვთისა რამდენადმე,—თვითონვე წარყვნეს,
რადგან ბუნების კანონები, საღი და წმიდა,
იმათ საზიზღარ სნეულებად გადააქციეს;
რაკი ღვთის სახეს საკადრისი პატივი არ სცეს,
რაც თავს დაატყდათ, ყველაფერი ახია მათზე“.
„ვგრძნობ მართალია,—თქვა ადამმა,—და ვმორჩილდები.
მაგრამ, ნეტავი, ამ საშინელ სატანჯველს გარდა,
აღარ არსებობს სხვა რამე გზა სიკვდილისაკენ,
რომ, გაჩენილნი მტვრისაგანა, მტვერს შევერიოთ!“
„არსებობს,—უთხრა მიქაელმა,—წესს თუ დაიცავ,
და თუ სიხარბეს არაფერში არ გამოიჩენ;
ჭამა-სმაშიაც უნდა გქონდეს ზომიერება,
დანაყრდი მხოლოდ, მსუნაგობას მუდამ ერიდე;
მაშინ მრავალი წლის სიცოცხლე გექნება, ადამ;
იცოცხლებ, ვიდრე, ხილის მსგავსად, არ დამწიფდები
და დედის კალთას დამშვიდებით არ მიენდობი.
მაშინ არავინ აღარ მოგგლეჯს ძალდატანებით,
შენ—წინასწარვე შემზადებულს—სიკვდილი მოგწყვეტს.
ამას სიბერე ეწოდება. მშვიდობიანად
გალევ შენივე ჭაბუკობა-ახალგაზრდობას,
გიმტყუნებს ძალა, სილამაზე, დაუძლურდები,
თმაში ჭაღარა გაგერევა, ყოველი გრძნობა
დაგიჩლუნგდება, მთლად დაჰკარგავ სიამის გემოს,
გამოაკლდები მხნეობასაც სიჭაბუკისას,
ყმაწვილურ ლხენის და იმედის ნაცვლად შენს სისხლში
ცივი და მშრალი კაენშანი დაისადგურებს,
დაჰკარგავ ხალისს არსებობის, და საბოლოოდ
თვითონ ბალზამიც სიცოცხლისა გამოგიშრება“,
მას ჩვენმა დიდმა წინაპარმა ასე მიმართა:
„მაშ სიკვდილს აღარ გავექცევი ამიერიდან,
არც შევეცდები მე სიცოცხლის გახანგრძლივებას,
ერთსა ვცდი მხოლოდ—მძიმე ტვირთი, რისი ტარებაც

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დანიშნულ დღემდე მიწერია, რაც შეიძლება
უფრო მსუბუქად ჩამოვიხსნა, და მოთმინებით
ველოდო ჩემივ საბოლოო განადგურებას“.
მას უპასუხა მიქაელმა: „სიცოცხლეს შენსას
ნურც შეიყვარებ აგრერიგად, ნურც შეიძულებ,—
უნდა იცოცხლო ალალმართლად, მანამდე ცოცხლობ,
მანამდე ზეცა არ ინებებს შენს მოკვდინებას.
ახლა სხვა სურათს დაგანახვებ და მოემზადე“.

გაიხედა და დაინახა დიდი მინდორი,
რაზეც კარვები გაეშალათ სხვადასხვა ფერის;
ზოგ კარვის ახლოს გალაღებით ძოვდა ნახირი;
ხოლო ზოგიერთ კარავიდან გამოდიოდა
ამოდ სასმენი ჰანგი ჩანგის და ორღანისა,
მოჩანდა კიდეც, ვინ არხევდა თითებით სიმებს,
ხელი მსუბუქად დაფრინავდა ზევით და ქვეით
და გამოსცემდა საზეიმო ჰანგების ბგერებს.
მეორე მხარეს ერთი კაცი იდგა ქურასთან
და მუშაობდა—რკინისა და სპილენძის ზოდებს
ერთად ადნობდა (ეს მადანი მაშინ აღმოჩნდა,
როცა ხანძარმა ტყე გადაწვა მთაზე ან ბარში
და გაატიტვლა თვით ძარღვები დედამიწისა,
ხოლო იქიდან ნიაღვარმა მდნარი ფოლადის
სადმე ხახაში ქვაბულისა გადმოანთხია;
ანდა წიაღის დინებებმა მიწის გულიდან
ზე ამორეცხეს ეს ზოდები); შემდეგ მჭედელმა
სითხედ ქცეული ეს მადანი სწრაფად ჩაასხა
საგულდაგულოდ მომზადებულ რაღაც ყალიბში,
და დაამზადა მან პირველი ხელსაწყოები,
ხოლო შემდეგში სხვა საგნებიც, რაც კი, საერთოდ,
მდნარ ფოლადისგან დამზადდება და გაკეთდება.
შემდეგ მეზობელ შემაღლებულ გორაკებიდან
დაბლა დაეშვა, მინდვრისაკენ, სხვა ჯურის ხალხი.
ალალმართალი ხალხი ჩანდა, ერთი 'მეხედვით,
მათი მუდმივი საზრუნავი მხოლოდ ის იყო,
თაყვანი ეცათ, საკადრისი, შემოქმედისთვის,
იცოდნენ მისი დიდი ღვაწლი, დაუფარავი,
ცდილობდნენ კიდეც, გულმოდგინედ, კაცთა მოდგმისთვის
თავისუფლების და მშვიდობის შენარჩუნებას.
მცირე მანძილი გაიარეს და კარვებიდან
მდიდრულად მორთულ-მოკაზმული ტურფა ქალების
ერთი კრებული გამოვიდა. ჩანგის ტკბილ ჟღერას
მათ სატრფიალო სიმღერები შეუწყვეს ახლა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და ცეკვით შეხვდნენ გორაკიდან დაბლა დაშვებულთ.
მამაკაცებმაც, თუმცა იყვნენ დარბაისელნი,
თვალი ვეღარც კი მოაცილეს ამ ტურფა ქალებს,
დიდხანს უცქერდნენ, მერე ბადე სიყვარულისა
შემოეხვია იმათ მჭიდროდ, და თავთავისთვის,
ვისაც რომელი მოეწონა, ამოირჩიეს.
მალე გააბეს სატრფიალო ტკბილი ჭიკჭიკი,
ვიდრემდე ცაზე მიჯნურების მახარობელი
მწუხრის ვარსკვლავი საზეიმოდ არ ამობრწყინდა.
მაშინ კი ვნებით გზნებულებმა სწრაფად აანთეს
მათ საქორწინო ჩირაღდნები და ჰიმენეას
მოუხმეს გზნებით. ეს პირველი მოხმობა იყო
ქორწილის წესის საზეიმოდ შესასრულებლად.
მათ ლხინს კარვებმაც ხმა შეუწყვეს ტკბილი მუსიკით.
ამ ბედნიერმა შეხვედრამ და ამ სიყვარულმა,
ამ სიჭაბუკემ, რასაც ფუჭად არ ჩაუვლია,
სიმღერამ, ტურფა ყვავილებმა, ამო მუსიკამ,
შვებით აუვსეს ადამს გული და გაუღვიძეს
მიდრეკილება, ბუნებრივი, სიხარულისკენ.
ასე გამოთქვა მან თავისი აღფრთოვანება:
„ო კურთხეულო ანგელოზო, თვალის ამხსნელო!
უკეთესი ჩანს, გაცილებით, სურათი ესე,
ეს უფრო მაძლევს მშვიდობიან ცხოვრების იმედს,
ვიდრე ის ორი, ამას წინათ რომ დამანახვე.
იქ მძულვარება, სიკვდილი და წამება ვნახე,
აქ კი ბუნებამ შეისრულა ყველა წადილი.
მაგრამ მიქელი შეესიტყვა: „საუკეთესოს
იმის მიხედვით ვერ გაზომავ, რა გსიამოვნებს,
თუმცა ბუნებას თითქოს ეგეც ეხმატკბილება.
უფრო მაღალი, უფრო წმიდა მიზნებისათვის
ხარ გაჩენილი, მიტომაც გაქვს მსგავსება ღვთისა.
ის კარვები კი, შენ რომ ასე მოგწონებია,
ბოროტების და უწესობის საყუდელია,
მასში ძმის მკვლელის მთელი მოდგმა დაისადგურებს.
თითქოს ბეჯითად იღწვიანო ხელოვნებისთვის,
რაიც სამკაულს წარმოადგენს კაცთ ცხოვრებისა;
ხომ იშვიათი უნარი აქვთ გამოგონების,
მაგრამ დიადი შემოქმედი დავიწყებიათ,
რომლისაც სულმა მათ ყოველი ნიჭი მიჰმადლა,
და ახლა უკვე აღარ სცნობენ აღარცერთ ნიჭსა.
ამათი მოდგმა მშვენიერი იქნება მართლაც,
რადგან, ხომ ნახე, იმ უტურფეს ქალთა კრებული,
ღვთაებას ჰგვანდნენ—ლაღნი, ნაზნი, ალერსიანნი,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მაგრამ არა აქვთ სათნოება, რაიც შეადგენს
ქალის დიდებას და ოჯახურ პატიოსნებას.
აღზრდილან მხოლოდ ვნებიერი სიტკბოებისთვის,
მხოლოდ იმისთვის, რომ მღეროდნენ, ცეკვავდნენ მუდამ,
მოირთვებოდნენ, ტიტინებდნენ, თვალს აცეცებდნენ.
ხოლო ისინი, დარბაისელ კაცებს რომ გვანან,
პირველად მართლაც იქნებიან ღვთისმოსავები,
და იმიტომაც შვილნი ღვთისა აქვთ შერქმეული;
მაგრამ თანდათან სათნოებას მოაკლდებიან,
დასთმობენ სახელს, შერცხვებიან, დამცირდებიან,
იმ უღვთო ტურფა დედაკაცთა ღიმილს და ლაციცს
დაუფიქრებლად შესწირავენ ყველა სიკეთეს;
ხომ ნახე, როგორ დასცურავდნენ ნეტარებაში,
ჩქარა მოუწევთ იმ ბედკრულებს უფსკრულში ყვინთვა;
ზღვა სიხარულით რომ გავსილა მათი გულები,
მალე ასევე ზღვა ცრემლები უნდა დაღვაროონ“.

კაცთა წინაპრის სიხარული მოკლე აღმოჩნდა,
და მან შესძახა აღშფოთებით: „ოი, სირცხვილო,
ო სივაგლახევ! ასე წმიდად თუკი ცხოვრობდნენ,
რაღას დაადგნენ უკულმართ გზას, შუა სავალზე
რა დაემართათ, რას დასუსტდნენ და დაუძლურდნენ?!
მაგრამ ვხედავ რომ კაცთ ვაებას ერთი წყაროო აქვს—
დედაკაციდან წარმოდგება სუყველაფერი!“
„კაცთა ქალური სისუსტეა ყველაფრის წყაროო,—
უთხრა პასუხად ანგელოზმა,—მამაკაცს ძალუძს
შეინარჩუნოს უმაღლესი ადგილი თვისი,
რასაც ანიჭებს მას სიბრძნე და ციური მადლი.
მაგრამ სხვა სურათს დაგანახვებ და მოემზადე“.
ადამის თვალწინ გადიშალა უსაზღვრო სივრცე—
აგერ სოფლები, და სოფლური საქმიანობა,
იქ ხალხმრავალი ქალაქები, დიდი კოშკებით,
აბჯარასხმული მხედრობა და ლაშქართსიმრავლე,
მრისხანე სახე მხედრებისა—ომის მუქარა...
გოლიათებმა მამაცური იცოდნენ ბრძოლა.
ზოგს ხელში ეპყრა მახვილი და ათამაშებდა,
ზოგიერთები აგელვებდნენ გაქაფულ მერნებს.
იქ მხედრები თუ ქვეითები, ცალკე თუ მწყობრში,
უქმად არ იდგნენ, საბრძოლველად ემზადებოდნენ.
აგერ ერთმა ბრბომ ჩამორეკა მთიდან ნახირი,
სულ დარჩეული ძროხები და ზორბა ხარები,
რომლებიც მდიდრულ საძოვრებზე მოუტაცნიათ;
ხოლო მინდორზე შეიმატეს სახელდახელოდ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

აბლავლებული ბატკნები და ხუჭუჭა ცხვრები;
ძლივსძლივობით-ღა გადაურჩნენ მწყემსები სიკვდილს
და ახლა შველას მოითხოვდნენ, გამწარებულნი.
მართლაც გაჩაღდა სისხლისმღვრელი ბრძოლა მინდორში,
მხედრები ერთურთს მიეხეთქნენ გამძვინვარებით,
მინდორი, სადაც ცოტა ხნის წინ ნახირი სძოვდა,
აბჯარ-გვამებით მიმოფანტულ უდაბნოდ იქცა;
იქით სხვა ლაშქარს შემოურტყამს ქალაქზე ალყა,
ემზადებიან გამალებით შეტევისათვის,
ხოლო ალყაში მოქცეულნი, გალავნებიდან,
თავდასაცავად გამწარებით სტყორცნიან ზუფანს,
ქვებსაც ისვრიან, გოგირდის ცეცხლს გადმოანთხევენ...
აქეთ და იქით—ითესება სიკვდილი ყველგან.
სხვა ადგილებში მაცნეები დათარეშობდნენ
და ხალხს კრებაზე მოუხმობდნენ ქალაქის ბჭესთან.
მოგროვდნენ კიდეც ღირსეული ჭაღაროსნები,
მხედართა შორის აირივნენ! გაჩაღდა ბჭობა.
მაგრამ სულ მალე აბობოქრდნენ, წალაპარაკდნენ,
შეიქნა დავა, ვიდრე ბოლოს წამოდგებოდა
ასე შუახნის მამაკაცი, ბრგე და ლამაზი;
მოჰყვა მსჯელობას სიკეთეზე, ბოროტებაზე,
სამართალზე და სიმართლეზე, სათნოებაზე,
რელიგიაზე, მშვიდობაზე, ღვთის სამსჯავროზე...
აუყაყანდნენ ჭაბუკებიც და მოხუცებიც,
და ის-ის იყო, სურდათ მასზე ხელის აღმართვა,
რომ უცებ ციდან გადმოეშვა ღრუბლის ნაფლეთი,
ჩამოეფარა და ბრბოსაგან შორს გააპარა.
ძალმომრეობა იყო ყველგან გამეფებული,
ჩაგვრა-წამება მარტოოდენ, ხმლის სამართალი,
აღარსად ჩანდა უხიფათო თავშესაფარი.
დამწუხრებული, ღაპა-ღუპით ცრემლმომდინარე,
ასე მიმართავს თავის მეგზურს კაცთ წინაპარი:
„ნეტა, ესენი ვინ არიან? ხალხს არა ჰგვანან,
ალბათ სიკვდილის მთესველები თუ იქნებიან!
ასე უგულოდ როგორ ჰკლავენ ადამიანებს?
ათიათასჯერ ამძიმებენ ძმის მკვლელის ცოდვას:
განა ესენი თავისივე ძმებს არ ხოცავენ!
ადამიანი ადამიანს უსპობს სიცოცხლეს!
ანდა ვინ იყო ის წმიდა და ალალი კაცი,
ვისაც თავისი სიმართლისთვის მოჰკლავდნენ კიდეც,
ზეცისგან დიდი მფარველობა რომ არ მიეღო“.
„აი ნაყოფი,—უპასუხა მას ანგელოზმა,—
შენ რომ იხილე, იმ ავბედით ქორწინებისა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

როს სათნოება შეეყრება მანკიერებას;
და უგუნური შეუღლება იძლევა ნაყოფს
ყოვლად საოცარს—სულითაცა და სხეულითაც.
სწორედ ასევე გაჩნდნენ იგი გოლიათებიც,
რომელთა საქმეც განთქმულია დედამიწაზე,
რადგანაც იმ დროს მხოლოდ ძალას სცემენ თაყვანსა,
მას შეარქმევენ მამაცობას, სათნო გმირობას,—
ომში დაძლევა, მთელი ხალხის დამორჩილება,
ნადავლით სახლში დაბრუნება და კაცთა ჟლეტა—
აი უმაღლეს სათნოებად რას მიიჩნევენ!
კაცობრიობის მხსნელად ასეთ ხალხს დასახავენ,
ადამიანთა დიდ მეგობრებს მათ შეარქმევენ,
თვით ღვთაებად და ღვთის ძეებად აღიარებენ,
თუმც კი ნამდვილად მნგრეველები უნდა შეარქვახ,
ხალხთა ერთიან ამომგდები და შავი ჭირი!
ასეთი გზებით მოიხვეჭენ ქვეყნად დიდებას
ხოლო ჭეშმარიტ დიდების ღირსს კი მიჩქმალავენ.
და ასეთ გარყვნილ ქვეყანაზე ის ერთი კაცი,
შენი მეშვიდე მემკვიდრე და შთამომავალი,
როგორც იხილე, შეეცდება სიმართლის დაცვას,
იგი იქნება ერთადერთი და ამიტომაც,
შეიძულებენ, გაჰკიცხავენ, მივარდებიან,
ვით გაბედეო ამ საშინელ სიმართლის დაცვა,
მაგრამ უფალი დაეშვება წმიდა სულებით,
დასჯის მათ ყველას და დაიცავს სამართლის ქომაგს,
გაახვევს სწრაფად სურნელოვან ღრუბელში იმას,
და როგორც ნახე, ფრთოსან მერნებს ააყვანინებს;
იქნება ზეცის სანეტარო სასუფეველში,
იხილავს უფალს, ვერც სიკვდილი შეჰბედავს იმას...
ახლა გაჩვენებ, სათნოებას რა ელის ჯილდოდ,
და რა სასჯელი ელოდება მანკიერებას.
იქით მიაპყარ შენი მზერა და დაინახავ“.

ადამმა იქით გაიხედა და დაინახა,
რომ ყველაფერი შეცვლილიყო. საზარი ომის
სპილენძის ხახა დამცხრალიყო, აღარ ღმუოდა.
ყველა ილხენდა, ქეიფობდნენ, მხიარულობდნენ,
ლაღად ცეკვავდნენ, ატარებდნენ დროს უზრუნველად;
ვინ გარყვნილებას მისცემოდა, ვინ ქორწინობდა,
იმის მიხედვით, თუ ვინ როგორ მოახელთებდა,
ზოგ-ზოგ ოჯახის მოღალატეს მიჯნური ჰყავდა,
ზოგიერთი კი ძალადობით ქალს იტაცებდა!
ქეიფი მალე გადაიქცა ხელჩართულ ჩხუბად...

www.PDF.ChiaturaINFO.GE



www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბოლოს კი ერთი ღირსეული კაცი მოვიდა
და მათი ბილწი საქციელი დიდად გაჰკიცხა,
დაჰგმო იმათი ცხოვრების გზა და ხასიათი.
მიაკითხავდა ის ხშირ-ხშირად ბრბოს, თავაშვებულს,
და ვით დილეგში გამომწყვდეულ ბოროტმოქმედებს,
რომელთაც მკაცრი განაჩენი მოელით მალე,
მოუწოდებდა გარდაქმნას და მონანიებას.
მაგრამ ამაოდ. რაკი ნახა, არ მოუსმინეს,
შეწყვიტა თვისი ქადაგება, მოხსნა კარვები
და თავაშვებულ მოქეიფეთ შორს გაეცალა.

ავიდა მთაზე, აშოლტილი ხეები მოჭრა,
და უზარმაზარ კიდობანის შეკვრა დაიწყო.
მკლავით გაზომა მისი სიგრძე, სიმაღლე, განი,
კუპრით შელესა და ერთ გვერდზე კარი გამოჭრა.
მერე შეზიდა ყოველგვარი ხორაგი უხვად—
ადამიანის საკვებიც და პირუტყვებისაც.
ბოლოს კი,—მართლაც საოცარი სასწაულია!
შვიდ-შვიდი წყვილი ყველა ჯურის მხეცი, ფრინველი,
სულ უმცირესი ხოჭოებიც შევიდნენ შიგნით
და წესიერად დაიჭირეს თავის ადგილი,
თითქოს წინასწარ ყოფილიყვნენ დარიგებულნი.
მერე თვითონვე ღირსეული კაცი შევიდა
და შეიყვანა სამი ვაჟი, ცოლი და რძლები,
რის შემდეგ ღმერთმა მჭიდროდ დახშა კიდობნის კარი.

ამასობაში, ამოიჭრა სამხრეთის ქარი
და შავი ფრთებით წამოჰყარა ღრუბლის ქულები,
გადააფარა ცას ქვემოდან ვრცლადა და ფართოდ;
მწვერვალებიდან მიემატა მას სქელი ნისლი,
ნოტიო ორთქლი გაეშურა დედამიწიდან...
კუპრივით შავ ჭერს დაემსგავსა ცა, დატვირთული,
თითქოს ცა ფეხად წამოვიდა, დაუშვა წვიმა
და მალე მთელი დედამიწა წყალმა დაჰფარა.
კიდობანი კი ატივტივდა წყლის ზედაპირზე,
ეხეთქებოდა აქეთ-იქით და მახვილ ჭვინტით
მედგრად აპობდა, მიარღვევდა ცათაწვდილ ტალღებს.
სხვა ყოველგვარი სახლი ქვეყნად წარღვნამ წალეკა
და მასთან ერთად წყალმა შთანთქა მთელი სიმდიდრე;
ზღვამ ზღვა დაჰფარა, ყველგან წყალი ჩანდა უსაზღვრო,
სასახლეები, ფუფუნება სადაც მეფობდა,
ზღვის ურჩხულების თავშესაფრად გადიქცა ახლა,
და იმ ზღაპრულად გამრავლებულ კაცთა მოდგმიდან,
ისღა გადარჩა, კიდობანის ფსკერზე ვინც იყო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ო, რა ნაღველი გაწვა გულზე შენ იმ დროს, ადამ,
როცა აღსასრულს შესცქეროდი შენივე მოდგმის,
მეტად სევდიან აღსასრულს და განადგურებას!
მეორე წარღვნამ—ნაღველის და ცრემლების წარღვნამ,
შენც ჩაგიძირა და დაგაღრჩო, კაცთ წინაპარო,
შენც იღრჩობოდი იმ შენივე შვილების მსგავსად,
ვიდრე ალერსით ანგელოზი აგაყენებდა.
დადექი ფეხზე, მაგრამ რაღა განუგეშებდა!
რამ ანუგეშოს დაღუპული შვილების მამა!
ძალა ძლივს გეყო, მიგემართა ანგელოზისთვის:

„ო, შავბედითო და ვაგლახო წინასწარხედვავ!
ეს მომავალი, ნეტავ, სულაც არ დამენახა;
მე მეყოფოდა სივაგლახე, ჩემივე წილი,
რის გადატანაც მიწერია ყოველდღიურად!
ახლა ერთბაშად დავინახე უბედურება,
რაც მომავალში დაატყდება ადამიანებს
ნაწილ-ნაწილად, საუკუნეთ განმავლობაში...
მე კი ერთბაშად თავს დამატყდა! წინასწარ ჭვრეტამ,
ვადაზე ადრე, ჩემს თვალწინ შვა ეს სივაგლახე,
და იმის ფიქრი, რაც მოხდება დიდი ხნის შემდეგ,
ადრიანადვე მე მაწამებს და სულს მიწეწავს!
ო ნურა კაცი ნუ ეცდება ადრე გაიგოს,
თუ რას უმზადებს მომავალი მას და მის შვილებს;
უნდა იცოდეს, რომ მოელის უბედურება,
რასაც ვერაფრით წინათჭვრეტა ვერ ააცილებს,
ხოლო წუხილი იმ მომავალ სივაგლახეზე,
არანაკლებად მტანჯავი და მწამებელია,
ვიდრე ატანა არსებული უბედურების.
თუმც ჩემი ზრუნვა ამაოა—ვისლა სჭირდება!
იმ ერთი მუჭა გადარჩენილ ადამიანებს
ზღვების უძირო უფსკრულებში შიმშილი გაწყვეტს!
ვიმედოვნებდი, რომ ომების შეწყვეტით ქვეყნად,
თანდათანობით ყველაფერი გასწორდებოდა
და კაცთა მოდგმა ეწეოდა ბედნიერებას.
მაგრამ შევმცდარვარ, ახლა ვხედავ, რომ ეს მშვიდობაც
ისეთგვარად რყვნის, ვით ომი სპობს ადამიანებს.
ეს რისთვის არის? ამიხსენი, წმიდა მეგზურო.
მითხარ, ეს არის აღსასრული კაცთა მოდგმისა?

მიქელმა ასე უპასუხა: „ვინც ახლა ნახე,
თავმიცემული განცხრომასა და ფუფუნებას,
ერთხელ ისინი იყვნენ სწორედ დიდი გმირები
და მამაცური საქმეებით განირჩეოდნენ;
მაგრამ შორს იდგნენ ჭეშმარიტი სათნოებისგან,
ჯერ ღვრიან სისხლსა, აოხრებენ ქვეყნიერებას,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იპყრობენ ხალხებს, მოიხვეჭენ ქვეყნიურ სახელს,
განდიდდებიან, მდიდრულ ნადავლს მოიპოვებენ,
ხოლო შემდეგ კი თავს მისცემენ სიამოვნებას,
დაეუფლებათ სიზარმაცე, დამძიმდებიან,
ჩაიფლობიან ვნებასა და გარყვნილებაში;
თანდათანობით სიამაყე-თავგასულობა
ტკბილ მეგობრობას გადააქცევს მძვინვარე მტრობად.
დამარცხებულნიც და ომის დროს მონებადქმნილნიც,
რა დაჰკარგავენ ამ ბრძოლაში თავისუფლებას,
სათნოებასა და ღვთის შიშსაც მოიშორებენ,
და რაკი ომში ვერ ეღირსნენ უფლისგან შველას,
უწმაწურ ლანძღვას მოჰყვებიან, გაუცივდებათ
მოჩვენებითი სათნოების ცრუ მგზნებარება,
იმაზე ფიქრსღა დაიწყებენ, რაც შეიძლება,
რამდენადაც კი დამპყრობელნი მისცემენ ნებას,
ცხოვრების დღენი უზრუნველად მათ გაატარონ;
მიწაც ჯერ კიდევ სუყველაფერს უხვად წარმოქმნის,
რომ გამოსცადოს თავდაჭერა ადამიანთა.
ასე თანდათან გაიხრწნება, გადაგვარდება
ადამიანთა მთელი მოდგმა. დაივიწყებენ
სიმართლეს, რწმენას, ერთგულებას, ზომიერებას.

„იმ წყვდიად დროში მხოლოდ ერთი, სინათლის შვილი
შეინარჩუნებს სათნოებას. არც კი შეხედავს
მრავალ მაგალითს სიბილწისას, ცუდ ჩვეულებებს...
წინ აღუდგება ის, პირიქით, მანკიერებას,
არ შეუდრკება არცა რისხვას, არც ძალადობას,
ამხილებს ყველას და აჩვენებს სიმართლის გზასა,
ხალხს მოუწოდებს სიმშვიდისა და წესრიგისკენ,
აუწყებს ღმერთის განრისხებას. მას გალანძღავენ
და განდევნიან. მაგრამ ღმერთი შენიშნავს მაშინ,
რომ ქვეყნად ესღა დარჩენილა, ალალი კაცი.
ღვთისავე ნებით ეს ალალი ადამიანი
შეჰკრავს კიდობანს,—შენ იხილე ეს კიდობანი,—
რათა თავი და საკუთარი ოჯახი თვისი
გადაარჩინოს იმ საერთო უბედურებას,
რისთვისაც მთელი დედამიწა განწირულია.
როგორც კი შევლენ კიდობანში და პირუტყვებსაც,
საგულდაგულოდ ამორჩეულთ, შიგ შერეკავენ,
რათა სიცოცხლე მომავალი გადაარჩინონ,
პირს მოიხსნიან ჩანჩქერები მთელი ზეცისა,
წამოვა წვიმა და იწვიმებს დღისით და ღამით;
მიწის წიაღში დაფარული მრავალი წყაროც
გახსნის ზღუდეებს, აზვირთდება ტალღები ზღვისა,
ყოველგვარ საზღვარს ზეასცდება ოკეანენი,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვიდრე უმაღლეს მთის მწვერვალებს დედამიწისას
არ გადაფარავს სულმთლიანად. მაშინ ტალღები
მოგლეჯენ ამ მთას—თქვენს სამოთხეს, დასძრავენ მყისვე
და ბალახსა და ხეებისგან სულმთლად განძარცულს,
შეაცურებენ ფართოდ გაშლილ ოკეანეში;
იქ დამაგრდება, ვით კუნძული, მარილიანი,
მოტიტვლებული, უდაბური, უკაცრიელი,
სელაპების და თოლიების თავშესაფარი.
ამით გვასწავლის დიდი ღმერთი, რომ არცერთ ადგილს,
ალალი ხალხით თუ არ არის დასახლებული,
არა სიწმიდე, თავისთავად არ გააჩნია.
ახლა კი ვნახოთ, რა მოხდება. აბა შეხედე.“

ადამი ხედავს მოფარფატე კიდობანს წყალში,
წყალს დაუკლია, ჩრდილოეთის მძვინვარე ქარსაც
ციდან ღრუბლები ნაწილობრივ გადაუფანტავს
და თანაც გლუვი ზედაპირი იმ წარღვნის წყლისა,
მშრალი ბერვისგან დაუკენწლავს, დაუჩხვლეტია.
ამ ფართოდ გაშლილს სარკეს წყლისას მზე გადმოჰყურებს,
აჭერს მცხუნვარედ, და ვით ძალზე მოწყურებული,
გაფაციცებით ეწაფება საამურ ტალღებს;
წყალიც კლებულობს, იპარება ვით მიქცევის დროს,
ღრმა უფსკრულებში ეძებს ბინას, და უფსკრულებიც
ჯებირებს მტკიცედ ამაგრებენ, კეტავენ რაბეებს,
ისე, ვით ზეცამ ჩაიკეტა სარკმლები თვისი.

აღარ დაცურავს კიდობანი, გაჩერებულა,
თითქოს მწვერვალთან გაირიყა, ხმელეთზე დაჯდა;
თანდათანობით მთის წვერებიც გამოჩნდებიან;
შმაგ ნაკადულებს მათგან მიაქვთ შხუილით წყალი
და უკან-უკან გაბრუნებულ ზღვას უმატებენ.
უცებ ყორანი გამოფრინდა კიდობანიდან,
მას მტრედი მოჰყვა—საიმედო შიკრიკი უფრო,
პირველ მტრედს მალე დაედევნა მეორე მტრედიც,
რათა ენახათ ქვეყანაზე რამე სიმწვანე,
რამე ხმელეთი, მშრალი—ფეხის მოსაკიდებლად.
მტრედმა ნისკარტით ზეთის ხილის რტო მოიტანა,
როგორც ნიშანი სიმშვიდის და მყუდროებისა.
მალე ხმელეთიც ხილულ გახდა და კიდობნიდან
მართალმა კაცმა გამოუშვა თავის მგზავრები.
მაშინვე ცისკენ მან აღაპყრო ორივე ხელი,
ზეაიხედა, უდიდესი მადლობის ნიშნად,
და თავის ზემოთ თვალი ჰკიდა დანამულ ღრუბელს,
ხოლო ღრუბლიდან ცისარტყელა დაშვებულიყო
და სამი ფერით დაეფრქვია წმიდა სინათლე,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რაიც სიმშვიდეს ღმერთისაგან იუწყებოდა
და მაცნე იყო იმ ახალი, დიდი აღთქმისა.
მწუხარე გული გაუნათლდა ერთბაშად ადამს,
და ეს უსაზღვრო სიხარული ასე გამოთქვა:

„ოი მოძღვარო, ზეციურო, რომელსაც ძალგიძს
ასე თვალნათლივ დამიხატო მომავლის დღენი;
ბოლო სურათმა გამაცოცხლა, ახლა კი მჯერა,
რომ კაცთა მოდგმა, ისე როგორც სხვა ქმნილებანი,
კვლავაც იცოცხლებს, მისი თესლი არ მოისპობა.
ახლა არ ვნაღვლობ, რომ უკუღმართ შვილების გამო,
ჩვენს დედამიწას უწერია განადგურება;
მე ახლა უფრო ის მახარებს, რომ გაჩნდა კაცი,
ასე ყოველმხრივ სრულყოფილი და გულმართალი,
რომ ღმერთსაც ძველი განრისხება გადაავიწყდა,
და იმ კაცისგან იგი შექმნის ახალ ქვეყანას.
მაგრამ მაუწყე, ეს ფერადი ხაზები ცაში,
ვით დალარული შუბლი ღვთისა, რას მოასწავებს?
იქნება იყოს ის ჯებირი, ყვავილოვანი,
რათა დაუდგეს მტკიცე ზღუდედ წყლით სავსე ღრუბლებს
და დედამიწა ახლად აღარ წაალეკინოს?!“

არქანგელოზმა უპასუხა: „კარგად მიმხვდარხარ;
თავისი რისხვის შერბილება ინება ღმერთმა,
თუმც ცოტა ხნის წინ სინანულმა მოიცვა იგი,
რომ ქვეყანაზე გააჩინა ადამიანი.
როცა იხილა მან მიწაზე ვრცლად მოდებული
ძალმომრეობა, გახრწნილება, გზისგან აცდენა,
დიდად დამწუხრდა; სულმთლად მოსპო ცოდვილნი სულნი,
მაგრამ რა ნახა ერთადერთი მართალი კაცი,
მოულბა გული, აღარ მოსპო კაცობრიობა
და აღთქმა დასდო, რომ ქვეყანას ამიერიდან
აღარასოდეს არ წალეკავს ახალი წარღვნა,
არც ზღვები აღარ გადმოლახავს თავიანთ ზღუდეს,
და წვიმაც—კაცსა თუ პირუტყვებს—აღარ დაალრჩობს.
ამიერიდან, როს მიწისკენ გაგზავნის ღრუბლებს,
იმავ ღრუბლებში ცისარტყელას ჩასვამს მაშინვე,
ნიშნად იმისა, რომ გვახსოვდეს აღთქმა დიადი.
დღეს ღამე მოსდევს; მკა მოჰყვება უმალვე თესვას;
მცხუნვარე ზაფხულს სუსხიანი ზამთარი შეცვლის...
და ასე მუდამ, თავის რიგით ივლის ყოველი,
ვიდრეამდე ცეცხლი მთლად გასწმენდდეს ქვეყნიერებას.
კვლავ შეიქმნება ახალი ცა და დედამიწა,
სადაც სიმართლე საბოლოოდ დაისადგურებს“.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

წიგნი მეთოთხმეტე

შინაარსი

ანგელოზი მიქელი ადამს მოუთხრობს, რა მოხდება წარღვნის შემდეგ; ახსენებს აბრაამს და განუმარტავს, თუ ვინ იქნება თესლი ქალისა, რომელიც მათ დაცემის დროს აღუთქვეს; მოუთხრობს ჩხსნელის ხორცშესხმისა, სიკვდილისა, აღდგომისა და ამაღლების ამბავს; უამბობს, თუ რა მდგომარეობაში იქნება ეკლესია მის მეორედ მოსვლამდე. ამ დაპირებებით უაღრესად კმაყოფილი და დამშვიდებული ადამი, მიქელთან ერთად, მთიდან დაეშვება, გააღვიძებს ევას, რომელსაც მთელი ამ ხნის განმავლობაში ეძინა. მაგრამ ტკბილ, სულიერად დამამშვიდებელსა და მორჩილების აღმძვრელ სიზმრებს ნახულობდა. მიქელი მათ ხელს მოჰკიდებს და საძოთხიდან გამოიყვანს. მათ უკან ელვარებს ცეცხლის მახვილი. ქერუბინები სამოთხის გუშაგებად განლაგდებიან.

იმ კაცის მსგავსად, რომელიც გრძელს გზას დასდგომია,
და თუნდ სასწრაფო საქმეზედაც ეშურებოდეს,
შუადღით მაინც ჩამოჯდება დასასვენებლად,—
არქანგელოზიც ძველ და ახალ ქვეყნის მიჯნაზე
მცირე ხნით შედგა, იქნებ თქვასო ადამმა რაძე,
მერე კი ტკბილად გააგრძელა თვისი სათქმელი:

„შენ ნახე ქვეყნის დასაწყისი და დასასრული;
ისიც იხილე, როგორ აღსდგა ადამიანი,
თითქოსდა იგი აღმოცენდა ახალ ფუძიდან.
და ბევრი რამე ისევ დაგრჩა შენ სანახავი,
მაგრამ მოკვდავი მხედველობა, ვატყობ, სუსტდება,
რადგან ღვთაებრივ სურათების დიდი ხნით ჭვრეტა
ადამიანურ გრძნობებს ასე ღლის და ასუსტებს.
მიტომაც მინდა, ყველაფერი, რაც შემდეგ მოხდა,
ახლა მოგითხრო. მომისმინე მაშ გულისყურით.

„პირველ ხანებში ეს მეორე ნაკადი კაცთა,—
ვიდრე იქნება მათი რიცხვი ასეთი მცირე
და ვიდრე წარსულ განაჩენის მთელი სიმკაცრე
მათ გონებაში ცოცხალია და ღვთის შიშს აღძრავს,—
მართალ და სათნო ცხოვრების გზას გაჰყვება მტკიცედ,
სწრაფ გამრავლებას იწყებს მყისვე; ბეჯითი შრომით
დედამიწიდან ყოველ ნაყოფს მიიღებს უხვად—
ღვინოს, ზეთს, ხორბალს, ნახირიდან ძალიან ხშირად

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მსხვერპლად შესწირავს ხან თხას, ბატკანს და ხანაც მოზვერს,
წმიდა მეჯლისზე ღვინოც ბევრი დაიხარჯება,
და ასე ლხენით, მხიარულად, შეუბღალავად,
მყუდროებაში წავა მათი სიცოცხლის დღენი;
კარგა დიდ ხანსაც იცხოვრებენ ასე მშვიდობით,
გვარის საერთო მეთაურის მორჩილებაში,
ვიდრემდე ბოლოს არ აღსდგება ერთი მათგანი,
კაცი ზვიადი, გულგავსილი პატივმოყვრობით,
რომელიც აღარ დასჯერდება თანასწორობას,
ძმურს და მეგობრულს მშვიდობიანს თავიანთ ყოფას,
მოიწადინებს მოძმეებზე გაბატონებას,
ქვეყნად თანხმობას და ბუნებრივ კანონებს მოსპობს;
დაიწყებს საშიშ ნადირობას (არა მხეცებზე,
კაცთა მოდგმაზე ინადირებს), მზაკვრულ ხრიკებით,
ომით და ცეცხლით მოინდომებს მათ დამონებას,
ვინც არ ისურვებს ამ მტარვალის დამორჩილებას.
მძლე მონადირეს შეარქმევენ ღმერთის წინაშე
და ამით ზეცას დასცინებენ, თითქოსდა იგი
ღვთის ტოლი იყოს, ან მეორე ზენაარს შემდეგ.
აჯანყებიდან წარმოსდგება მისი სახელი,
თუმცა ჯანყისთვის ის დაიწყებს სხვების გაკიცხვას*.

„გაიყოლიებს ბრბოს ხალხისას, მისივე მსგავსად
პატივმოყვარეთ და მოსურნეთ ბატონობისა,
გეზს აიღებენ ედემიდან დასავლეთისკენ,
მიადგებიან გაშლილ მინდორს—ქვესკნელის ხახას,
სადაც მიწიდან შავი კუპრი ამოთუხთუხებს.
ამ კუპრითა და აგურებით შეუდგებიან
დიდი ქალაქის აშენებას, რომლის გოდოლმა
თვით ზეცას უნდა მიაღწიოს, რათა სახელი
უკვდავგახადონ სამუდამოდ, როცა ისინი
გასაძარცვავად უცხო ქვეყნებს მოედებიან.
ხოლო რა სახელს დასტოვებენ—კეთილს თუ ბოროტს,
ამას ისინი სრულებითაც არ დაგიდევენ.
„მაგრამ უფალი ხშირად ღირსჰყოფს ადამიანებს
ეწვიოს ხოლმე უხილავად, ჩასწვდეს მათ საქმეს,
მოინახულოს კაცთა ეზო-საცხოვრებელი...
ახლაც ჩამოვა, რათა ნახოს ქალაქი მათი,
ვიდრე ამ გოდოლს ცის კოშკები არ დაუჩრდილავს;
და სასაცილოდ რომ აიღოს ამ კაცთა საქმე,
ენას აურევს, დაუხლართავს უცნაურ სიტყვებს,
დააწყებინებს უცხო ზმუკუნს, რასაც საერთო
აღარაფერი არ ექნება დედა-ენასთან.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დაუყოვნებლივ, ერთმანეთში ეს მშენებლები
ყურისწამღებ და ჯოჯოხეთურ ყაყანს ასტეხენ,
ხმის ჩახრენწამდე უყვირიან ერთიმეორეს,
მაგრამ სიტყვები ერთმანეთის მაინც არ ესმით,
და ყოველ მათგანს, რისხვით გზნებულს, ისა ჰგონია,
რომ მოსაუბრე სასაცილოდ და მასხრად იგდებს.
როდესაც ციდან ამ ფაცა-ფუცს დაინახავენ,
როცა მისწვდებათ საშინელი აურზაური,
ზეცის მკვიდრები გულიანად იხარხარებენ.
იმ გოდოლს ასე სასაცილოდ მიატოვებენ
და მათ საქმესაც დაერქმევა არეევ-დარეევა“*.

ადამმა მამის გულისწყრომით წამოიძახა:
„უმგვანო შვილო, მიტაცება ძალაუფლების
და ძმებზე მაღლა აღზევება ვით განიზრახე?!
განუსაზღვრელი ბატონობა ღმერთმა მოგვმადლა
მხოლოდ თევზებსა, ცხოველებსა და ფრინველებზე;
ჩვენ ისღა გვმართებს, ეს წყალობა შევინარჩუნოთ;
როდი ინება კაცზე კაცის გაბატონება!
ამის უფლება დაიტოვა მხოლოდ თავისთვის!
ადამიანებს თანაბარი უფლება მისცა,
ერთმანეთისგან უნდა იყვნენ თავისუფალნი.
ეს თავგასული, ზვიადური ზრახვებით თვისით,
მოძმეებზედაც ბატონობას აღარ ჯერდება—
სურს ღმერთს აუტეხ თავის გოდლით და გაამასხროს.
ო, უბადრუკო, საცოდავო ადამიანო!
ნეტა ვიცოდე, საზრდოობას რითი აპირებ,
ან რითი ფიქრობ გამოკვებო შენი ლაშქარი?!
უჭმელობითაც რომ არ მოკვდე, სასუფეველში
თვითონ ჰაერიც იმნაირი თხელი დაგხვდებათ,
რომ ერთიანად გამოშრებით, გაიგუდებით!“

„სამართლიანად ჰკიცხავ შვილსა,—უთხრა მიქელმა,—
მან მყუდროება დაურღვია ადამიანებს,
გამოაცალა გონივრული თავისუფლება.
თუმცა იცოდე, იმის შემდეგ, რაც შენ შესცოდე,
კაცთა დაჰკარგეს ჭეშმარიტი თავისუფლება;
საღი გონების განუყრელი ძმა არის იგი,
განცალკევებით არსებობა არ შეუძლია;
როცა გონება ადამიანს დაუბნელდება,
ანდა დაჰკარგავს ეს გონება ხელისუფლებას,
მყის აწყვეტილი სურვილები, ვნებათღელვანი
აიშლეებიან, წარსტაცებენ გონებას ძალას
და თავისუფალ ადამიანს ყმად გაიხდიან.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რაკი თვითონვე ულირს ძალებს აძლევენ ნებას,
რომ თავისუფალ გონებაზე იმეფონ ლაღად,
ღმერთი მიაგებს სამართლიან სამაგიეროს
და გარედანაც მათ მიუჩენს მძვინვარ მბრძანებელთ,
ვინაც ასევე ულირსადა და უსამართლოდ
თავისუფლებას, გარეგანსაც, მათ წარსტაცებენ.
სხვა გზა არ არის, ტირანია იქნება ქვეყნად,
თუმცა ამითი გამართლება არა აქვს ტირანს.
ხანგამოშვებით ზოგი ხალხი სათნოებიდან,
(რასაც გონება წარმოადგენს) გადუხვევს ხოლმე
და ისე დაბლა დაეშვება, რომ ახიც არის,
სამართლიანიც კი იქნება, ასეთმა ხალხმა,
თავისუფლების, შინაგანის, დაკარგვის შემდეგ,
დასთმოს, დაკარგოს გარეგანი თავისუფლებაც.
ამის ბრწყინვალე მაგალითად გამოგვადგება
ულირსი შვილი კიდობანის ამშენებლისა*,
რომელიც მამის შერცხვენისთვის მიიღებს წყევლას
უსასტიკესსა—„იქნებიო მონათა მონა!“
და მის მოდგმასაც დაატყდება თავზე ეს წყევლა.
„პირველის მსგავსად, ეს ახალი ქვეყანაც, ადამ,
თანდათანობით ბოროტისკენ გადახრას იწყებს,
ბოლოს დაჰქანცავს ღმერთს იმ ხალხის უკანონობა,
სულ მიატოვებს, აღარ ღირსჰყოფს მონახულებით,
წმიდა თვალებსაც მოარიდებს თავიანთივე
უწმიდურსა და სამარცხვინო გზაზე მიუშვებს;
ყველა ხალხთაგან, ერთს აარჩევს უფალი ქვეყნად,
ხალხს, შთამომავალს ღმერთის ერთგულ მამაკაცისგან,
რომელიც ევფრატს აქეთ ცხოვრობს, გამოღმა მხარეს,
და თავიდანვე აღზრდილია წარმართთა შორის.
არც დაიჯერებ ხალხის ასე გასულელებას!
ჯერ კიდევ წარღვნას გადარჩენილ მართალი კაცის
სიცოცხლეშივე ჭეშმარიტ ღმერთს გადუდგებიან
და ეს ბრიყვები იწამებენ, სამაგიეროდ,
თვისივე ხელით გამოჩორკნილს ხისა თუ ქვის ღმერთს!
მაღალი ღმერთი, ყოვლისშემძლე, მოევლინება
და გამოიყვანს ამ ერთგულ კაცს მამის სახლიდან,
ჩამოაშორებს ყალბ ღმერთებსა და ნათესავებს,
აჩვენებს ადგილს, სადაც უნდა მივიდეს იგი,
წარმოქმნის მისგან ძლიერსა და დიდებულს ხალხსა,
ისე გულუხვად გადააფრქვევს კურთხევას თვისას,
რომ მისი თესლი სხვა ხალხებსაც კურთხეულსა ჰყოფს.
„ჯერ არც კი იცის, რა ქვეყანას უნდა წავიდეს,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მაგრამ ღვთის რწმენა იმგვარად აქვს ძვალში გამჯდარი,
დამორჩილდება უყოყმანოთ და მყისვე გასწევს.
„მე ვხედავ ადამ, შენ კი ამას ვერ დაინახავ,
რა მტკიცე რწმენით მიატოვებს იგი თვის ღმერთებს,
მშობლიურ მიწას, ქალდეველთა დიდ ქალაქს ურსა,
გაივლის ფონს და გეზს აიღებს ჰარანისაკენ;
მას მისდევს ჯოგი სულ სხვადასხვა ცხოველებისა—
ნახირი, ფარა, მსახურები, აურაცხელი...
არაფრისმქონე მაწანწალას როდი ჰგავს იგი,
მთელი დოვლათი სასოებით მიანდო ღმერთსა
და ღმერთმაც იმას მოუწოდა უცნობ ქვეყნისკენ.
ჰა, მიაღწია ქანაანსაც. თვალნათლივ ვხედავ,
როგორ გაშალა მან კარვები სიხემის ახლოს,
ვხედავ, მეზობლად ვრცლად გაფენილს მორეის ველსაც.
აქ ის მიიღებს შეპირებულს სამკვიდრო ადგილს,
რაც ჰამათიდან ფართოდ არის გადაჭიმული
თვითონ სამხრეთის უდაბნომდე, (ამ მიდამოებს
სახელწოდებებს შეარქმევენ, ჯერ კი არა აქვთ),
ჰერმონის მთიდან დასავლეთის უდიდეს ზღვამდე;
ჰა, ჰერმონის მთაც, იმის იქით დიდი ზღვა მოსჩანს,
იქით იყურე, საითკენაც მე მიგითითებ:
ნაპირზე ხედავ კარმელის მთას, ხოლო იქითკენ
ალმოსავლეთის ჭეშმარიტი ზღუდე და ზღვარი
დიდი მდინარე იორდანე ორ ტოტად მოდის.
ამ კაცის შვილნი სენირამდე დასახლდებიან,
აი, ხომ ხედავ, გრძლად გაჭიმულ მთაგრეხილამდე!
ეს დაიხსომე, რომ ხალხები მთელი ქვეყნისა
ამ კაცის თესლით იქნებიან კურთხეულები.
სწორედ ამ თესლში არის, ადამ, ნაგულისხმევი
ის შენი მხსნელიც, რომელიც გველს გაუსრესს თავსა.
ამას ახლავე გაგიმარტავ უფრო გარკვევით.

„ეს კურთხეული პატრიარქი, რომელსაც შემდეგ
ერთგულ აბრაამს დაარქმევენ, დასტოვებს შვილსა,
შვილიც, თავის მხრივ, შვილს გააჩენს, ხოლო ორივე
სიბრძნით, დიდებით, ერთგულებით მას ემსგავსება.
და შვილიშვილი, თავის თორმეტ ვაჟის თანხლებით,
ქანაანიდან იმ ქვეყნისკენ გაემართება,
რასაც ეგვიპტეს შეარქმევენ დიდი ხნის შემდეგ,
და რასაც წყალი ნილოსისა ჰყოფს ორ ნაწილად.
ხედავ მდინარეს? შვიდი ტოტით შეერთვის ზღვასა.
ეს კაცი მივა ეგვიპტეში შიმშილობის ჟამს,
თავის უმცროსი ვაჟიშვილის მიპატიჟებით,
რომელსაც ქველი საქმეები ზეაღამაღლებს,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფარაონს შემდეგ გადააქცევს მეორე კაცად.
აქ მოკვდება და აქ დატოვებს თავის მოდგმასაც,
რომელიც შემდეგ ისე იწყებს ზრდა-გამრავლებას,
რომ დააეჭვებს, შეაშფოთებს მერმინდელ მეფეს;
მეფე გადაწყვეტს იმათ სწრაფ ზრდას ზღვარი დაუდოს,
არად ჩააგდებს მასპინძლობის წესსა და ადათს,
და მეტისმეტად გამრავლებულ უცხოელ სტუმრებს
მონებად აქცევს, ხოლო იმათ თოთო ყმაწვილებს
დაერევა და ერთიანად გააჟუჟინებს.
ბოლოს უფალი ამოირჩევს მთელს ხალხში ორ ძმას,
(სახელად მოსე და აარონ ერქმევათ იმათ)
თავის რჩეულ ხალხს მონობიდან დაახსნევინებს
და აურაცხელ დოვლათით და დიდებით აღვსილთ
მიაყვანინებს ძველთაგანვე აღთქმულ მიწაზე.

„ჯერ უარზეა უკანონო მტარვალი მეფე,
არც მათ ღმერთსა ცნობს, არც ინებებს იმათ გაშვებას,
არც კი მიიღებს რიგიანად მათ მოციქულებს,
მაგრამ მრისხანე ნიშნები და მკაცრი სასჯელი
აიძულებენ, დამორჩილდეს ღვთის ნება-სურვილს:
მდინარეებში წყალი სისხლად გადაიქცევა,
თუმცაღა სისხლი არ იქნება არსად დაღვრილი;
მის სასახლესა და ქვეყანას კიდით კიდემდე
მოედებიან, გაავსებენ გომბეშოები,
მყვარი, ტილები, და ბუზები, ზიზღის მომგვრელი;
ნახირს ქეცი და მუნი გასწყვეტს მთელს ქვეყანაზე;
სხეული მასაც და მის ხალხსაც დაეფარებათ
გულისამრევი წყლულებითა და მუწუკებით;
მეხი და სეტყვა, ცეცხლის სეტყვა, ყოვლისმომსპობი
გადმოეშვება დაუნდობლად ეგვიპტის ციდან,
გააჩანაგებს სუყველაფერს, საცა მოხვდება;
მაგრამ აქა-იქ თუკი ბაინც გადარჩა რამე,
ხორბალი, ხილი, ან უბრალო ბალახეული,
ჩამოეშვება კალიების შავი ღრუბელი
და მთლად გადასძოვს, აღარაფერს დასტოვებს მწვანეს;
მის ქვეყანაზე გამეფდება უცებ წყვდიადი
და სინათლის შუქს ვერ იხილავს ვერავინ სამ დღეს;
საბოლოოდ კი, ერთის დარტყმით, შუალამისას,
მოისპობიან პირმშოები მთელს ეგვიპტეში;
დაბოლოს, მოსტეხს ათი წყლული მდინარის ურჩხულს
და აიძულებს—წასვლის ნება უბოძოს მოსულთ.
ბევრჯერ მოლბება ურჩი გული ამ ურჩხულისა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მაგრამ როგორც კი გადაივლის საშიშროება,
ყინულის მსგავსად, კვლავ ქვასავით იქცევა იგი;
გაცოფებული, თავგანწირვით დადევნება
მათ, ვისაც მისცა ცოტა ხნის წინ წასვლის ნებართვა;
მაგრამ ზღვა შთანთქავს იმასაც და მის მხედრობასაც,
ხოლო მოსულნი განაგრძობენ გზას დამშვიდებით,
თითქოს ხმელეთზე მიდიანო—ზღვას გადასჭრიან;
დამორჩილდება ზღვა მოსეს კვერთხს, გადაიხსნება,
ბროლის კედლებით შეაკავებს მოწოლილ წყალსა,
და ასე ორად გაპობილი დარჩება მანამ,
ვიდრე დევნილნი გაივლიდნენ ზღვის გამშრალ ფსკერზე
და სანაპიროს მიაღწევდნენ გულდამშვიდებით.

„სასწაულმოქმედ ძალას მისცემს თვის წმიდანს ღმერთი;
მფარველად ამ ხალხს ცის ანგელოზს მოუვლენს იგი
და წარუძღვება ხან ღრუბლად და ხან ცეცხლის სვეტად
(ღამით იქნება ცეცხლის სვეტი, დღისით—ღრუბელი).
ასე გაუკვლევს სავალ გზასა და უკან გასდევს,
მრისხანე მეფის და დევნილთა შუა ჩადგება.
მეფე მთელ ღამეს გასდევს იმ ხალხს, არ მოისვენებს,
მაგრამ დილამდე დაიფარავს წყვდიადი დევნილთ,
დილით კი ღმერთი ცეცხლის სვეტს და ღრუბელს გაჰხედავს,
თვალს მიაშტერებს და ეგვიპტის მეფის მხედრობას
თავგზას აუბნევს, დაულეწავს საომარ ეტლებს.
ღვთისავე ნებით, მოსე კვლავაც განირთხავს კვერთხსა,
და ზღვა ძლიერი მყის დაჰყვება იმის ბრძანებას,
ტალღებს წამოშლის და ჩასძირავს მეფის მხედრობას;
რჩეული ხალხი ქანაანის გზას დაადგება,
ველურ უდაბნოს შემოივლის, მოერიდება
პირდაპირი გზით სამშობლოსკენ მოგზაურობას,
რათა ომებში გამოუწრთობ-გაძოუცდელნი,
ადგილობრივმა მცხოვრებლებმა არ დააფეთონ,
მრისხანე ბრძოლებს არ არჩიონ მონური ყოფა,
და კვლავ უკანვე, ეგვიპტისკენ, აღარ დაბრუნდნენ;
რადგან ერთგვარად ტკბილი არის სული ყველასთვის—
მდაბიო იყოს, თუნდ დიდებით ალმატებული:
მშვიდობა ყველას ურჩევნია მრისხანე ომსა,
თუკი ეს ომი თავს ძალათი არ მოახვიეს.

„უდაბნოებში ასე დიდი ხნით დაყოვნება,
სხვა მხრივც იქნება ხელსაყრელი იმ ხალხისათვის:
იქ შეადგენენ თავიანთთვის ხელისუფლებას,
თორმეტ ტომიდან აირჩევენ საერთო სენატს,
რომ დაწესებულ კანონებით მართონ ქვეყანა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„მაღალი ღმერთი სინას მთიდან (რომლის მწვერვალიც,
ჭალაროსანი, ცახცახსა და თრთოლვას დაიწყებს)
ჭექა-ქუხილის და საყვირთა მჭექარე ხმებში,
გამოაცხადებს მათ კანონებს. ზოგი კანონი
სამოქალაქო წესსა და რიგს ითვალისწინებს,
ზოგიც—სამსხვერპლოდ შეწირვას და სარწმუნოებას.
ამცნობს ქვეყანას, სხვადასხვაგვარ ნიშნის ჩვენებით,
თუ ვინ იქნება იგი თესლი, გველის გამსრესი,
ანდა გამოხსნა კაცთ მოდგმისა როგორ მოხდება.
მაგრამ ხმა ღვთისა მოკვდავების სმენას აძრწუნებს!
მიტომაც მოსეს შესთხოვს ყველა, ღმერთის ბრძანება
გაგვიმარტეო,—და მაშინვე შიშიც გაქრება.
ამაზე მოსეც დათანხმდება, რადგანაც ხედავს,
რომ უშუალოდ ვერ ჩასწვდება ხალხი ღვთის ნათქვამს.
ამიერიდან, ქვეყანაზე მოსე გახდება
მაუწყებელი კაცთა დიდი მხსნელის მოსვლისა,
და ყველა დროში, ყველგან, წინასწარმეტყველები
დიდი მესიის მობრძანებას ამცნობენ ხალხსა.
„როდესაც ხალხში დამკვიდრდება წეს-კანონები,
ღმერთს გაახარებს მორჩილება ადამიანთა,
და ღირსსაცა ჰყოფს იმათ შორის დასცეს კარავი;
ერთი წმიდანი მოკვდავების შორის იცხოვრებს.
უფლისვე ნებით, კედრისაგან ააშენებენ
დიდ საკურთხეველს, და ოქროთი მას შეამკობენ;
საკურთხეველში შეიტანენ სჯულის კიდობანს;
ოქროს ხუფი აქვს ამ კიდობანს და იქით-აქეთ,
ორი ფრთოსანი და ნათელი ქერუბინი დგას,
შუაში უდგათ ოქროს ტახტი მოწყალებისა
და ზეციური ცეცხლის მსგავსად, ვით ზოდიაკზე,
აქაც ანთია, მოელვარედ, შვიდი ლამპარი.
ამ კარავს თავზე გადმოჰყურებს ღრუბელი,
ღამით კი ცეცხლის მკრთალი სვეტი, იმ დღეებს გარდა,
როდესაც ხალხი განაახლებს მოგზაურობას.
ბოლოს ისინი, ანგელოზის წინამძღოლობით,
მიადგებიან იმ ქვეყანას, რომელიც ღმერთმა
აბრაამსა და მემკვიდრეებს მისას აღუთქვა.
„გრძელი გამოვა, რომ მოგითხრო, შემდეგ რა მოხდა,
რამდენი ბრძოლა გადიხადეს, ანუ რამდენი
ხელმწიფე დასცეს და დაიპყრეს სახელმწიფონი,
ანდა მზე ცაზე ვით გაჩერდა მთელი ერთი დღე,
და საღამომაც მოსვლა თვისი ვით დააყოვნა,
ვით მოუსმინა მორჩილებით კაცის ბრძანებას,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რომელმაც უთხრა: „გიბეონში გაჩერდი, მზეო,
და შენც, მთვარეო, არ დასტოვო აიალონი,
ვიდრე ისრაელ მიაღწევდეს თავის განზრახვას“.
ხოლო ისრაელ ისააკის შვილი იქნება,
შთამომავალი აბრაამის. და მთელი ხალხიც,
მთელი ის მოდგმაც, ქანაანს რომ დაიპყრობს შემდეგ,
სახელს მიიღებს ამ კაცისაგან, ისრაელისგან“.

უცებ ადამმა შეაჩერა: „ცით მოვლენილო,
ჩემი წყვდიადის გამფანტველო, შენ ამიხსენი,
ფარდა ახადე ბევრ სათნო და კეთილ საქმეებს;
განსაკუთრებით გულს მიხარებს მე ყველაფერი,
აბრაამსა და იმის მოდგმას რაც შეეხება!
ახლა კი მართლაც ჭეშმარიტად ამეხსნა თვალი;
თუკი აქამდე მაფიქრებდა ჩემივე ბედი
და კაცთა მოდგმის მომავალიც სულს მიშფოთებდა,
ახლა ერთბაშად გავიხარე, გულს მომეფონა;
წინასწარ ვხედავ მე იმის დღეს, ვის წყალობითაც
ყველა ხალხები გახდებიან კურთხეულები.
არა ღირსა ვარ მე ასეთის გულმოწყალების,
მე, ვინც ვეძებდი აკრძალულ გზით აკრძალულ ცოდნას.
მაგრამ ერთი რამ მაინც მრჩება გაუგებარი:
რატომ უწესებს ამდენ კანონს ღმერთი იმ ხალხებს,
რომელთა შორის ქვეყნად თვითვე უნდა იცხოვროს?
კანონთ სიმრავლე მოასწავებს ცოდვის სიმრავლეს,
და ცოდვილებთან როგორ უნდა იცხოვროს ღმერთმა?!“

მას მიქაელმა უპასუხა: „ნურც დაეჭვდები,
რომ იმათ შორის გამეფდება ბოროტი ცოდვა,
რადგან შენივე იქნებიან მემკვიდრეები;
და კანონებსაც სწორედ მიტომ დაუწესებენ,
რომ გამომჟღავნდეს მათი მანკი, თანდაყოლილი,
რომ ცოდვა აღძრან კანონებთან შესაბრძოლებლად;
მაგრამ როდესაც საბოლოოდ დარწმუნდებიან
რომ გაამჟღავნებს, კი არ მოსპობს კანონი ცოდვას,
რომ კაცს არ იხსნის თხებისა და ხარების სისხლი
და შეცოდებებს მცირედღა თუ გამოისყიდის,
მაშინ თვითონვე მიხვდებიან, რომ კაცთა ხსნისთვის
უნდა გაიღონ უფრო მეტად ძვირფასი სისხლი,
ალალმართალი, წმიდა სისხლი—ცოდვილებისთვის,
რომ ამ სიმართლით ერთგულება გამოჩნდეს მათი
და გამართლებაც მოიპოვონ ღმერთის წინაშე,
სინდისის ქენჯნა დაიმშვიდონ, რადგან კანონი
ვერ დაუმშვიდებს იმათ სინდისს. კაცსაც არ ძალუძს,
რაც ზნეობრივად ევალება, ის შეასრულოს,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ხოლო თუკი არ შეასრულებს—ვეღარც იცოცხლებს.
და მაშ კანონი სრულყოფილი სულაც არ არის,
მხოლოდ იმიტომ აწესებენ, რომ თავის დროზე
ის ახალმა და უკეთესმა აღთქმამ შესცვალოს,
ბურუსისაგან გადახვიდეთ ჭეშმარიტ გზაზე,
ხორციელის წილ—სულიერი ყოფა მიიღოთ,
მრისხანების წილ—კურთხეული გულმოწყალება,
მონური შიშის სანაცვლოდ—ძის მორჩილება,
ნაცვლად სასტიკი კანონისა—მაღალი რწმენა.
ამრიგად, მოსე,—თუმც ღმერთს უყვარს გამორჩეულად,—
რაკი უბრალო მსახურია კანონებისა,
ვერ მოახერხებს ქანაანში ხალხის მიყვანას;
მათ წაუძღვება და მიიყვანს თვით იოშუა,
ვისაც იესოს შეარქმევენ წარმართნი შემდეგ.
მას წილად ხვდება ღვაწლიცა და სახელიც მისი,
ვინც კაცთა მოდგმის საშინელ მტერს—გველს დაამარცხებს
და უდაბნოში მარტოდმარტო ხეტიალს შემდეგ,
განსაცდელისაგან გამოიხსნის ადამიანებს,
სამოთხის მარად მყუდროებას კვლავ დაუბრუნებს.

„ამასობაში ქანაანში დასახლდებიან
ძალიან დიდხანს იცხოვრებენ ნეტარებაში,
მაგრამ ცოდვები როს დაურღვევს მათ მყუდროებას,
განრისხებული ღმერთი კვლავაც მიუსევს მტრებსა;
შემდეგ კი როცა დაინახავს უფალი ღმერთი,
თავიანთ ცოდვებს რა მხურვალედ ინანიებენ,
დაიხსნის ხოლმე მსაჯულთა და მეფეთ წყალობით...
რიგით მეორე ამ მეფეთგან, სიქველისათვის
და შეუპოვარ სიძლიერე-შემართებისთვის,
აღთქმას მიიღებს ღმერთისაგან, რომ მისი ტახტი
მის მემკვიდრეებს სამუდამოდ გადაეცემათ.
ამას წინასწარმეტყველებიც იღაღადებენ,
რომ მეფე დავითს (ეს იქნება მისი სახელი)
გამოუჩხდება საბოლოოდ შთამომავალი—
თესლი ქალისა, როგორც შენ ეს წინასწარ გითხრეს,
ხოლო აბრაამს წინასწარვე განუცხადებენ,
რომ ყველა ხალხი კურთხეული გახდება მისით.
იგი იქნება მეფეთ მეფე, უკანასკნელი,
და მის მეფობას არც ექნება არასდროს ბოლო.

„მაგრამ მანამდე ტახტზე ავა მრავალი მეფე.
ძე დავითისა, სიმდიდრით და სიბრძნით ქებული,
სქელი ღრუბლების ჯანღმოხვეულ ღმერთის კიდობანს,
რაც იმა დროიდან ყველას მოძრავ კარვებში ედგა,
აწ მოათავსებს ბრწყინვალეებით განთქმულ ტაძარში.
მას მოჰყვებიან მეფეები—კარგნიც, ცუდებიც,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მაგრამ ცუდი კი უფრო მეტი იქნება რიცხვით;
ბილწი კერპების თაყვანცემით და სხვა ცოდვებით,
რასაც აგრეთვე მთელი ხალხიც გაიზიარებს,
უფალს იმგვარად აღაგზნებენ, ააღელვებენ,
რომ მიატოვებს იმათ ქალაქს; ტაძარს, ქვეყანას,
წმიდა კიდობანს და ყოველგვარ წმიდა ნივთებსაც
იმ ქალაქს მისცემს საჯიჯგნადა და სათარეშოდ,
რომლის კედლებიც, ზვიადურად ზეაღმართული,
ღმერთმა დასწყევლა, მოუვლინა არევდარევა,
და იმიტომაც ბაბილონი შეარქვეს შემდეგ.
სამოცდაათ წელს ტყვეობაში ამყოფებს ღმერთი,
მერე კი ისევ გამოიხსნის, რა გაიხსენებს
დავითისათვის საზეიმოდ მიცემულ აღთქმას,
სამარადჟამოს და შეუცვლელს, ვით ზეცის დღეებს.
შემდეგ, თვით ღმერთის შთაგონებით, ამ ტყვედქმნილ ხალხსა
ადგილობრივი მეფეები ნებას დართავენ
ბაბილონიდან სამშობლოში დაბრუნდნენ ისევ;
უპირველესად აღადგენენ ისინი ღვთის სახლს
და ერთხანს ტკბილად იცხოვრებენ, თუმც ღარიბულად;
მაგრამ როგორც კი განძღებიან, გამდიდრდებიან,
და შესამჩნევად დაიწყებენ გამრავლებასაც,
მყისვე თავს იჩენს იმათ შორის უთანხმოება.
ჯერ კინკლაობას დაიწყებენ ღვთისმსახურები,
საკურთხეველის მსახურები, ვინკ სხვებზე მეტად
უნდა ცდილობდნენ დაამყარონ ქვეყნად მშვიდობა.
იმათი შეულლით თვით ტაძარიც წაიბილწება;
მერე დავითის მემკვიდრესაც კვერთხს წაართმევენ,
მაგრამ მალევე დაჰკარგავენ სამეფო კვერთხსა,
და ვერაგულად გადასცემენ ვილაც უცხოელს,
რათა ჭეშმარიტ მირონცხებულ მეფეს—მესიას,
როცა ღვთის ნებით იგი ქვეყნად დაიბადება,
არც ტახტი დახვდეს, არც უფლება გამეფებისა.
მაგრამ მესიას გაჩენის დროს, ერთი ვარსკვლავი,
იმა დრომდისინ უხილავი, ამოვა ცაზე,
როგორც ნიშანი მირონცხებულ მეფის მოსვლისა;
და აჰა მოგვნიც გამოსწევენ აღმოსავლეთით,
მოიკითხავენ, რა ადგილას იშვა მესია,
რათა მიუძღვნან მას გუნდრუკი, ოქრო და მური!
ბოლოს კი ერთი დიდებული ცის ანგელოზი
გამოუცხადებს ღამის მწყემსებს, სად იშვა იგი,
და ის მწყემსებიც მხიარულად გასწევენ იქით,
გაიგონებენ ანგელოზთა გუნდის გალობას:

www.PDF.ChiaturaINFO.GE

წმიდა ქალწული—თურმე დედა ყოფილა მისი,
მამა კი—ძალა ყოვლისშემძლე ზენაარისა,
ის მართლაც ავა სამემკვიდრო დიდებულ ტახტზე,
მისი სამეფო განეკრცობა მთელს ვრცელს მიწაზე,
ხოლო დიდების შუქი მისი ცასაც მისწვდება".
აქ კი დადუმდა ანგელოზი, რადგან შენიშნა,
რომ ადამს გული გავსებოდა ზღვა სიხარულით
და თუ სიტყვებში არ მისცემდა მას გამოსავალს,
ცრემლების ღვარი წასკდებოდა, ვით წუხილის დროს:

„ო სიხარულის მთხრობელო და მაუწყებელო,
უნეტარესი იმედების მომნიჭებელო,
ახლაღა ჩავწვდი თვალსაჩინოდ, რის გაგებასაც
ჩემი ფიქრებით მე ამაოდ ვცდილობდი დღემდე,
ახლაღა მივხვდი—ჩვენს იმედსა და სასოებას
თესლი ქალისა რათ შეარქვა მაღალმა ღმერთმა.
დიდება შენდა, ღირსეულო ქალწულო დედავ!
მაღალი ზეცის სიყვარულით ხარ გარმოცული,
და მაინც ჩემი წელიდან შენ წარმოიქმნები,
ხოლო საშოთი ზენაარის ძე უნდა შობო;
ღმერთს და კაცს შორის დაამყარებ ამითი კავშირს.
ელოდეს გველი გასრესას და განადგურებას!
მაგრამ მაუწყე, სად ან როდის უნდა იბრძოლონ,
ან გამარჯვებულს—ქუსლს ასპიტი ვით დაუგესლავს?"
ასე მიუგო მიქაელმა: „მათ შეჭიდებას,
შენ ჩვეულებრივ ორთაბრძოლად ნუ წარმოიდგენ,
ნურც ფიქრობ, თითქოს თავში, ქუსლში დასჭრიან ერთურთს
განა იმისთვის შეკავშირდნენ ღმერთი და კაცი,
რომ მეტის ძალით დაამარცხონ ვერაგი მტერი!
ანკი სატანას რას დააკლებ ასეთი დარტყმით,
თუკი ზეციდან ჩამოტყორცნილს და მწარედ გვემულს,
კვლავ შერჩა ძალა, სასიკვდილოდ შენ დაეჭერი!
და შენი მხსნელიც, შენს მოდგმას რომ მოევლინება,
მტრის მოკვლით კი არ განგიკურნავს მაგ ნაჭრილობევს,
იგი სატანას ბილწ საქმესა და ბოროტებას
შენს არსებაში და შენს თესლში გაანადგურებს.
ამას მიაღწევს ღვთის ნებითა და მორჩილებით,
რაიც შენ, ადამ, თავის დროზე არ შეასრულე;
ეს აღთქმა მისცა მან ზენაარს—მძიმე სიკვდილით
გამოისყიდოს კაცთა მოდგმის მძიმე ცოდვები;
მხოლოდ ასეთ მსხვერპლს შეიწყნარებს სამსჯავრო ცისა.
ის შეასრულებს ყველა კანონს, ღვთის დაწესებულს,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უკიდურესი მორჩილებით და სიყვარულით,
თუმცა კი მარტო სიყვარულიც საკმარისია.
შენს სასჯელს იგი თვით მიიღებს და გადაიტანს;
კაცთა სხეულში დამკვიდრებით, წილად შეხვდება
დამცირებული ცხოვრება და მწარე სიკვდილი;
იგი სიცოცხლეს მისცემს იმათ, ვინც კი ირწმუნებს
მძიმე ცოდვების გამოსყიდვას და გამოხსნასა;
მისი ცხოვრება—მიწიური ტანჯვა იქნება,
შეიძულებენ, გაჰკიცხავენ, შეურაცხყოფენ,
შეიპყრობენ და სიკვდილის მსჯავრს გამოუტანენ,
თვისივე ხალხი ჯვარზე აცვამს მხოლოდ იმისთვის,
რომ ის სიცოცხლეს დაამკვიდრებს მთელს ქვეყანაზე.
მაგრამ თვის ჯვარზე იგი აცვამს კაცთ მოდგმის მტრებსაც—
კანონებს, რითაც შენ დაგსჯიან, და კაცთა ცოდვებს,
და ვეღარაფერს ვეღარ ავნებს ეს მტრები იმათ,
ვინც კი ირწმუნებს, გულმხურვალედ, დიად გამოხსნას
ასე მოკვდება, რათა ისევ მალევე აღსდგეს,
ვერ იპარპაშებს დიდხანს მასზე ბილწი სიკვდილი.
ვიდრე მესამე განთიადი აღმობრწყინდება,
ცისკრის ვარსკვლავი საფლავიდან აღმდგარს იხილავს
მას—ცისკარივით ნათელსა და შუქმოფინარეს.
შენს დასახსნელად გაღებული იქნება მსხვერპლი,
იგი დაიხსნის სიკვდილისგან კაცთა ნათესავს,
იმათ დაიხსნის, ვინც იქნება გამოხსნის ღირსი,
ვინც არ უარჰყოფს მონიჭებულს მისგან სიცოცხლეს,
რწმენით და საქმით ამ სიკეთეს ვინც უპასუხებს.
ღვთიური ღვაწლი სასჯელს შენსას გააცამტვერებს,
მოსპობს სიკვდილით, რასაც შენვე უნდა მოეკალ
და, ცოდვიანი, სამუდამოდ მოესპე ასე;
ეს ღვაწლი გასრესს საბოლოოდ სატანას თავსაც,
მიუმსხვრ-მოუმსხვრევს, დაულეწავს მთავარ საჭურველს,
მთავარ საბრძოლო იარაღებს—ცოდვას და სიკვდილს,
რომელთ ნესტარი მტრის თავს უფრო ღრმადაც განგმირავს,
ვიდრე სიკვდილი, დროებითი, დაუგესლავდეს
ქუსლს გამარჯვებულს, ანდა იმათ, რომელთაც შემდეგ
დიდი ქომაგი გამოიხსნის და რომელთათვის
ძილს ემგვანება ეს სიკვდილი; ტკბილი ზმანებით
ისინი მუდმივ სიცოცხლეში გადეშვებიან.
„აღდგომის შემდეგ არ დარჩება ის ქვეყნად დიდხანს.
რამდენიმეჯერ წარუდგება თვის მოწაფეებს,
რომლებიც იმას სიცოცხლეში თან დაჰყვებოდნენ,
და დაავალებს—ხალხს ასწავლონ იგი მოძღვრება,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რაიც თვითონვე შეისწავლეს მესიისაგან;
ხოლო ვინც შემდეგ ამ მოძღვრებას ეზიარება,
მდინარე წყალით მონათლავენ, ნიშნად იმისა,
რომ განიწმინდა ყოველგვარი ცოდვებისაგან
და ვიდრე იგი დაიწყებდეს ახალ ცხოვრებას,
მომზადებული შეხვდეს სიკვდილს, რომლითაც თვითოხ
ადამიანთა დიდი მხსნელი მესია მოკვდა.
შემდეგ ისინი ამ მოძღვრებას გაავრცელებენ
მთელს ქვეყანაზე, ყველა კუთხის ხალხს გააცნობენ;
არა მარტოდენ აბრაამის ღვიძლ მემკვიდრეებს,
არამედ ყველას, მისი რწმენის ვინც კი იქნება,
უქადაგებენ კაცთა მოდგმის ხსნას, გადარჩენას,
იმისი თესლით კურთხეული გახდება ყველა.

„ამრიგად, იგი დაამარცხებს შენს მტრებს, თავის მტრებს.
და ამაღლდება ცათა ცაზე, გამარჯვებული;
ჰაერში იგი გველს დაიჭერს, ჰაერის თავადს,
ბორკილს დაადებს, მოატარებს ცის სამეფოებს,
და მიატოვებს შერცხვენილსა და გაწბილებულს,
თვით კი, დიდებით შუქმოსილი, ამაღლებული,
კვლავაც ხელმარჯვნით მოუჯდება მეუფეს ცისას;
ხოლო როდესაც მომწიფდება ამ ქვეყნის ნგრევა,
ის მაღლა ციდან დაეშვება, დიდებასრული,
რათა მაღალი მსჯავრი დასდოს მკვდრებსაც, ცოცხლებსაც;
არაერთგულებს საუკუნო სიკვდილს მიუსჯის,
ხოლო ერთგულებს მიანიჭებს დიდებულ ჯილდოს,
მიიღებს დიდის წეტარებით ცაში ან ქვეყნად,
რადგანაც მაშინ ყველგან—ამ ვრცელს დედამიწაზე
დაუმკვიდრდება ადამიანს ტურფა სამოთხე,
ათასჯერ მეტად ამ ედემზე უნეტარესი“.
ასე უბნობდა მიქაელი, ხოლო როდესაც
იგი მიადგა ჩვენი ქვეყნის უდიდეს ხანას,
მცირე ხნით შედგა. გაკვირვებით, აღფრთოვანებით
გულგავსებულმა წინაპარმა ასე შესძახა:

„ჰოი სიკეთევ, უსასრულო, განუსაზღვრელო,
ამდენი კარგის წარმომქმნელო ბოროტისაგან,
თვით ბოროტების სათნოებად გადამქცეველო!
ეს იმაზედაც უფრო მეტად საკვირველია,
ვიდრე წარმოქმნა სინათლისა წყვდიადისაგან,
როცა სამყაროს ქმნიდა ღმერთი თავდაპირველად!
აღარც კი ვიცი — კვლავ ვნანობდე ჩემს მძიმე ცოდვებს,
თუ მიხაროდეს, რომ ვეწევი მით ნეტარებას,
რომ ღმერთს დიდება და თაყვანი მეტი შეხვდება,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ადამიანიც მეტ სიკეთეს მიიღებს ღვთისგან,
და რომ წყალობა გაიმარჯვებს მრისხანებაზე?!
მაგრამ მაუწყე: როცა მხსნელი ცათ ამაღლდება,
სიმართლის მტრების, ორგულების ბრბოში გარეულს
მცირერიცხოვან მის ერთგულ ხალხს რა ეშველება?
იმის რჩეულ ხალხს ვინღა უნდა წარუძღვეს შემდეგ?
ვინღა დაიცავს? ანდა მტრები, გაბოროტებით,
მხსნელზე მეტ დევნას, მის მიმდევრებს არ დაუწყებენ?"

„რაღა თქმა უნდა, დაუწყებენ, — თქვა ანგელოზმა,
მაგრამ ის ციდან ჩამოუშვებს მანუგეშებელს,
რომელიც მყისვე შთაასახლებს მათ არსებაში
სულს ზენარისას, აღუბეჭდავს გულებში რწმენას,
რათა მუდამჟამს მიჰყვებოდნენ სიმართლის გზასა.
ის სულიერი საჭურველით აღჭურავს ყველას,
რომ გაუმკლავდნენ შემოტევებს ვერაგი მტრისას.
ცეცხლის ისრები სატანასი მყისვე ჩააქრონ.
ამის შემდეგ კი, რაც არ უნდა მოიმოქმედონ,
როგორც არ უნდა დაემუქრონ, ვერ შეაკრთობენ,
თვით სიკვდილიც კი ოდნავადაც ვერ შეაშინებს;
სულის სიღრმეში იპოვნიან ისინი ნუგეშს,
ტანჯვა-წამებას ვაჟკაცურად დაუხვდებიან,
სიმხნით, სიმტკიცით მდევნელებსაც გააკვირვებენ.
ჯერ მოციქულებს შთაუსახლებს თავის სულს ღმერთი,
დაგზავნის ქვეყნად, რომ გააცნონ ხალხს სახარება,
საკვირველს უნარს მიანიჭებს — ილაპარაკონ
ყველა ენაზე და მათივე უფალის მსგავსად
სასწაულები მოახდინონ, გასაოცარი.
მართლაცდა, ყველგან, ყველა ერში, მთელს ქვეყანაზე,
გადიბირებენ მრავლად ხალხსა, რომლებიც შემდეგ
აღფრთოვანებით ირწმუნებენ ამბებს ზეცისას.
გაივლის ხანი, ნებას ღვთისას შეასრულებენ,
შემოივლიან გულმოდგინედ მთელს დედამიწას,
იმ დიდ მოძღვრებას და მთელს ამბებს, რაც მაშინ მოხდა,
დასწერენ ყველას, დატოვებენ და მოკვდებიან.
მერე ქვეყანას მათ მაგივრად მოედებიან
მძვინვარე მგლები, ავი მგლები, მოძღვართა სახით,
რომლებიც ზეცის საიდუმლოს, წმიდათა-წმიდას,
თავიანთ ბინძურ ზრახვებისთვის მოიმარჯვებენ,
ბილწი ცრურწმენით შებღალავენ ჭეშმარიტებას,
რაიც მხოლოდღა წმიდა წიგნში დარჩება შემდეგ,
და ძის სიბრძნესაც მხოლოდ წმიდა სული ჩასწვდება.
„შეეცდებიან მოიხვეჭონ დიდი სახელი,
სხვადასხვაგვარი ტიტულები, თანამდებობა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გამოიყენონ ქვეყნიური ძალაუფლება
და თავი ისე მოაჩვენონ, თითქოსდა მართლაც
მათ სულიერი შთაგონება ამოქმედებდეთ.
მიითვისებენ ვერაგულად სულს ღვთაებისას,
რაც აღუთქვეს და მიუბოძეს მხოლოდ ერთგულებს;
ამ სიყალბით კი, სულიერი კანონ-წესები,
რალა თქმა უნდა, მიწიური ძალის გავლენით,
ადამიანთა სინიდისსაც დაამძიმებენ,
თუმც ამ კანონებს წმიდა წიგნში ვერავინ ნახავს,
არც კაცთა გულზე აღუბეჭდავს ის სულიწმიდას.
მაშ რას იღწვიან, რას ცდილობენ, თუ არა იმას,
წყალობის სულზე გაბატონდნენ ძალმომრეობით,
დათრგუნონ მისი განუყრელი თავისუფლება?!
რასა ცდილობენ, თუ არ ნგრევას ცოცხალ ტაძართა,
რაც წმიდა რწმენით აღმართულა კაცთა გულებში,
მათივე რწმენით, საკუთარით, არა უცხოთი?!
აბა ვინ იტყვის, ვინ გაბედავს იმის მტკიცებას,
თითქოს რწმენით და სინიდისით უცოდველ იყოს?!
მაგრამ ასეთი თავგასული ბევრი იქნება;
საშინელ დევნას დაუწყებენ ისინი ყველას,
ვინც წმიდა სულსა და სიმართლეს მტკიცედ დაიცავს.
დანარჩენები, — ეს იქნება უმრავლესობა, —
მხოლოდ გარეგნულს წესს და ადათს დასჯერდებიან,
და თავსაც ისე დაიჭერენ, თითქოს ეგ კმარა!
ცილისწამების მწველ ისრებით მთლად დაცხრილული
ჭეშმარიტება იძულებით განიდევნება,
დაივიწყებენ ნამდვილ რწმენას, თანდათანობით,
მთელი ქვეყანა გაუხდება სიკეთეს მტრად
და ბოროტისკენ გადახრილი კაცობრიობა,
საკუთარივე ცოდვების ქვეშ დაიწყებს გმინვას,
ვიდრემდე ბოლოს — გულალალთა შვებისმომცემი,
ხოლო ბოროტი ხალხისათვის შურისძიმგები
დღე მოვიდოდეს; ვიდრე ბოლოს ღვთისგან აღთქმული
თესლი ქალისა, — ბუნდოვნად რომ წარმოგედგინა,
მაგრამ ამჟამად უკვე გესმის, ვინც არის იგი, —
მოგევლინება, როგორც მხსნელი, როგორც უფალი.
ავლავაც ღრუბლებით დაეშვება ის ქვეყანაზე,
მამის დიდებით შუქმოსილი, რათა აღგავოს
თვითონ სატანაც და ქვეყანაც, მისგან გახრწნილი,
მძვინვარ ალს მისცეს ყველაფერი, ცეცხლით გასწმინდოს,
და კვლავ წარმოქმნას ახალი ცა და დედამიწა...
საუკუნეებს არ ექნებათ მას შემდეგ ბოლო,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სამარადისოდ დაფუძნდება ჭეშმარიტება,
ურთიერთშორის სიყვარული და მყუდროება,
რასაც მოჰყვება უსასრულო ბედნიერება.“

დადუმდა იგი, და ადამმა უკანასკნელად
ასე მიმართა: „კურთხეულო წინასწარმჭვრეტო,
ამ წუთისოფლის წარმავლობა და ჟამთა სრბოლა
შენ რა სისწრაფით გაზომე და აწონ-დაწონე!
იმ საზღვრებს მიღმა უფსკრულია, მარადისობა,
და მის დასასრულს ვერ მისწვდება ვერავის თვალი.
შენგნით ყველაფერს გაცნობილი, მოსვენებული,
სულის სიმშვიდით გავშორდები აქაურობას;
ყველაფერს ჩავწვდი, რასაც განსჭვრეტს ჩემი გონება,
მეტის წადილი იქნებოდა უგუნურება!
ახლალა მივხვდი და შევიგნე, რომ ქვეყანაზე
უპირველესი სიკეთეა ღვთის მორჩილება,
მისი შიში და სიყვარული; ჩვენთვის ისა სჯობს,
სულ მასთან ვიყოთ, არ მოვშორდეთ თვალთაჰედვიდან,
მის ღვაწლსა ვჭვრეტდეთ და მივენდოთ იმის წყალობას;
იგი სიკეთით ბოროტებას მარადჟამს თრგუნავს,
მცირისგან — დიდს ქმნის მამაღმერთი; ერთი შეხედვით,
თითქოსდა სუსტი იარაღით ის აცამტვერებს
ამაქვეყნიურ ძლიერებას, სიმშვიდით თვისით
ქვეყნიურ სიბრძნეს ამარცხებს და დაიმორჩილებს,
ახლა მესმის, რომ თავდადება სიმართლისათვის
საწინდარია უდიდესი გამარჯვებისა,
ხოლო სიკვდილი მორწმუნისთვის — სიცოცხლის კარი.
ეს საკუთარი თავდადებით მან შემასწავლა,
ვინაც დღეიდან მე კურთხეულ მხსნელად შევიცან“.
და ანგელოზმაც უპასუხა უკანასკნელად:
„ამის გაგებით, შენ ცხოვრების სიბრძნესაც ჩასწვდი;
მეტს ვერ გაიგებ — ნურც გექნება ამის იმედი,
თუნდაც იცოდე სახელები ყველა ვარსკვლავთა,
ძალნი ცისანი, საიდუმლო უფსკრულებისა,
მთელი ნაღვაწი ბუნებისა, ღვთის დიდი ღვაწლი —
ცაში, მიწაზე, ჰაერში თუ უძირო ზღვებში...
თუნდ დედამიწის საუნჯენი შენ გეკუთვნოდეს,
და შენი იყოს ქვეყნიური ხელისუფლებაც.
შენ ისღა გმართებს, რომ ამ ცოდნას თან მოაყოლო
შესაფერისი საქმეებიც, მრავლმოთმინება,
რწმენა, სიკეთე, სათნოება და სიყვარული,
რასაც შემდეგში შეარქმევენ გულმოწყალებას;

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იგი იქნება სუყველაფრის სული და გული,
მაშინ სამოთხის დატოვებაც არ დაგაღონებს —
სულში გექნება სხვა სამოთხე, უფრო ნეტარი.
„ახლა კი ჭვრეტის მწვერვალიდან დაბლა დავეშვათ,
რადგანაც დადგა უკვე ჟამი აქედან გაცლის;
ხომ ხედავ გუშაგთ, იმ გორაკზე რომ განვალაგე,
დაძვრას ელიან, ხოლო მათ წინ ცეცხლის ხმლის ქროლვა
ნიშანი არის სამოთხიდან შენი განდევნის.
აქ დაყოვნება ამის მეტად არ შეიძლება;
წადი და ევა გააღვიძე, იმისი სულიც
დავაშოშმინე საამური ძილით და სიზმრით,
ღვთის მორჩილება, სამუდამო, მას შთავაგონე
დრო შეურჩიე და ევასაც გააგებინე
სუყველაფერი, რაც იხილე, ან მოისმინე.
განსაკუთრებით შეეცადე რწმენით აღჭურვო,
უთხარ, რომ მისით—ქალის თესლით—მოგევლინებათ
კაცობრიობის დიდი მხსნელი, დიდი ქომაგი.
დღეგრძელ იყავით ერთგულებით, სიამტკბილობით;
დაე წარსულის გახსენების მწუხარე სევდა,
თქვენ დაგიამოთ მომავალზე ნეტარმა ფიქრმა“.

მან დაამთავრა, და დაეშვნენ იმ მწვერვალიდან
ადამი მყისვე გაეშურა თალარისაკენ
სადაც მძინარე თვისი ცოლი ეგულებოდა,
მაგრამ მას ევა იქ დაუხვდა გაღვიძებული,
სევდის ღრუბელი გადაჰყროდა. ადამს მიმართა:
„ვიცი სად იყავ და საიდან მოდიხარ ახლა,
რადგან უფალი ძილშიც ხშირად გვეწვევა ხოლმე;
ახლაც, სევდისგან გულშეკუმშულს და დამწუხრებულს,
ბოლოს და ბოლოს, ძლივძლივობით როს ჩამეძინა,
მან სანატრელი მომავალი სიზმრით მაუწყა.
წამო, წავიდეთ, წუთითაც კი არ დაგაყოვნებ,
შენთან წამოსვლა იმას ნიშნავს, თუნდ აქ ვრჩებოდე,
ხოლო უშენოთ აქ დარჩენა, ეს იგივეა
თუნდა სამოთხე დამეკარგოს სამარადჟამოდ.
მთელს ცისქვეშეთში მე შენს გარდა არავინა მყავს,
ყველაფერი ხარ ჩემთვის, ადამ, შენ სამოთხიდან
ჩემთა უნებურ ცოდვათ გამო გაძევებულო.
მაგრამ ნუგეში მე აქედან მაინც მიმყვება:
თუმც ყველაფერი დაიღუპა ჩემი მიზეზით,
ასე ულირსი მაინც ღირსმყო უფალმა ღმერთმა —
რომ რაც დავკარგეთ, ჩემი თესლით კვლავ აღვიდგინოთ“.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ესა თქვა ევამ, ჩვენმა დედამ; ხოლო ადამი
ლხენით უსმენდა, მაგრამ მაინც არ უპასუხა,
რადგანაც მთავარ ანგელოზი მიუახლოვდა
და იქვე დადგა, შორიახლო; იქით მთიდანაც
უკვე დაეშვნენ ნათლმოსილი ქერუბინები,
მეტეორივით მოცურავდნენ მიწის ზემოდან,
ვით მდინარიდან აორთქლილი საღამოს ნისლი
შინდაბრუნებულ მაშვრალ მუშას კვალდაკვალ მისდევს.
ხოლო ზეციდან დაშვებული მახვილი ღვთისა,
ელვისსისწრაფით ტრიალებდა, და კომეტისებრ
გამძვინვარებით ცეცხლს აფრქვევდა აქეთ და იქით,
აუტანელი სიმცხუნვარით და მწველი ორთქლით
ისე აშრობდა და ხუთავდა საამო ჰავას,
თითქოს ლიბანის ხვატიაო, სულის შემხუთი.
მაგრამ მთავარმა ანგელოზმა არ დააყოვნა,
ხელი ჩასჭიდა ფეხათრევით მიმავალ ცოლქმარს,
მსწრაფლ გააქანა აღმოსავლეთ კარებისაკენ,
ჩამოიყვანა კლდიდან ველზე და თვითონ გაჰქრა.
ცოლქმარმა უკან მიიხედა და დაინახა
აღმოსავლეთი ნახევარი იმ სამოთხისა,
სადაც ისინი ცოტა ხნის წინ ტკბილად ცხოვრობდნენ,
მძვინვარე ალში ტორტმანებდა, ხოლო კარები
საშიშარ გუშაგთ ცეცხლის ხმლებით გადაეღობათ.
თვალთაგან ცრემლი მოსწყდათ, მაგრამ მყისვე შეიშრეს.
გადაშლილიყო მათ წინაშე მთელი ქვეყანა,
და თავშესაფარს, სადაც სურდათ, ამოირჩევდნენ,
თვითონ განგება მიუძღოდა იმათ მეგზურად.
ხელი ჩასჭიდეს ერთმანეთსა და ედემისკენ
ზლაზვნით, ყიალით გზას დაადგნენ უთვისტომონი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლაბრუნებული საოთხე



www.PDF.ChiaturaINFO.GE

www.PDF.ChiaturaINFO.GE

წიგნი პირველი

შინაარსი

მიმართვა სულიწმიდისადმი. პოემა იწყება იოანეს მონათვლით მდინარე იორდანეში. იესო იქ მიდის და მირონს იცხებს. სულიწმიდის დაშვება და ციდან ვალობის ხმა იმის დამადასტურებელია, რომ ეს ნამდვილად ძ ე ღ ვ თ ი ს ა არის. სატანა ამ დროს იქაა და ყველაფერს ამას უყურებს მერე უცებ გამობრუნდება და ჰაერის სამეფოში გაფრინდება; ჯოჯოხეთის ძალებს შეჰკრებს და შეშფოთებით გააცნობს მათ, რომ იესო ქ ა ლ ი ს თ ე ს ლ ი ა, რომელმაც მთელი ჯოჯოხეთის ანგელოზები უნდა გაანადგუროს; მას აუცილებლად მიაჩნია, თავიდან აიცილონ ეს საშიშროება, სცადონ გაძვერობითა და ცბიერებით წინააღუდგნენ და დაამარცხონ იგი, ვინც მათ ასეთ საშიშროებას უქადის. ამ საქმეს თვითონვე იკისრებს და გაემგზავრება კიდეც განზრახვის შესასრულებლად. ამასობაში ღმერთი წმიდა ანგელოზების კრებულს განუცხადებს, რომ თავისი ძე მან სატანას შეახვედრა გამოსაცდელად, მაგრამ თვითონვე იწინასწარმეტყველებს, რომ მაცთუნებელს დაამარცხებს ძე ღვთისა. ანგელოზები გამარჯვების ჰიმნსა მღერიან. სულიწმიდის შთაგონებით იესო უდაბნოში მიემგზავრება, იგი მძიმე ფიქრებშია გართული, თუ როგორ შეასრულოს თავისი უდიდესი მოვალეობა, როგორ იხსნას ადამიანთა მოდგმა. იესო იგონებს, თუ როგორი ღვთაებრივი და კაცთმოყვარული გრძნობით იყო გამსჭვალული ბავშვობიდანვე; როგორ უამბო დედამ, მარიამმა, თუ რა პირობებში დაიბადა, და რომ იგი თვითონვე იყო ძ ე ღ ვ თ ი ს ა. იესო ორმოც დღეს მარხულობს უდაბნოში, მის დანახვაზე მხეცები თვინიერდებიან. სატანა მას მოხუცი გლეხის სახით გამოეცხადება და საუბარს გაუბამს; უკვირს, ამ საშინელ უდაბნოში მარტოკა როგორ მოხვდიო. მერე ეტყვის, გცნობ, რომ სწორედ ი ს ა ხარ, ვინც იორდანის მდინარესთან იოანემ ღვთის ძედ გამოაცხადაო. სატანა კვლავ განაგრძობს, თუ რა ძნელია ცხოვრება უდაბნოში და იესოს მიმართავს, თუ მართლა ძე ღვთისა ხარ, აბა ერთი მაჩვენე შენი ღვთიური ძალა და ეს ქვები პურად აქციეო. იესო განკიცხავს მას და ამავე დროს ეუბნება, ვიცი, ვინცა ხარო. სატანა აღარ ცდილობს თავის დაფარვას, მაგრამ თავის საქციელს მარჯვედ ამართლებს. ჩვენი კურთხეული უფალი გაჰკიცხავს და დაურღვევს ყველა მოსაზრებას, რითაც იგი თავის გამართლებას ცდილობდა. სატანა მაინც ცდილობს თავის გამართლებას. მერე გაკვირვებას გამოთქვამს სათნოებაზე იესოს შეხედულებების გამო; სთხოვს, ნება დამრთე სხვა დროსაც გამოგესაუბროო. იესო უპასუხებს, ამის ნებართვა ზემოთ უნდა მიიღოო. სატანა გაუჩინარდება. წიგნი მთავრდება უდაბნოში ჩამოწოლილი ღამის მოკლე აღწერით

მე, ვინც აქამდე სანეტარო ედემს ვუმღერდი
დაკარგულს შემდეგ ერთი კაცის ურჩობის გამო,
ახლა ვუგალობ მოპოებას კვლავ სამოთხისას,
რაიც სხვა კაცის მორჩილებამ ჩვენ დაგვიბრუნა.
მაცთუნებელი შეაჩვენეს და გააწბილეს,
მისი ხრიკები უვნებელ ქმნეს, გააცამტვერეს
და უდაბნოში კვლავ ედემი გადაიშალა.
წმიდაო სულო, განდეგილი, სხივმომფინარი
შენ მიიყვანე უდაბნოში, სადაც გმირულად

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მან დაამარცხა ჯოჯოხეთის ვერაგი სული,
ახლა შენი მაქვს მე იმედი, შენგან მოველი
შთაგონებასა და ზეციურს ალმაფრენასა,
მიეცი ძალა ჩემს სიმღერას მაღლა იფრინოს,
ჩასწვდეს, განჭვრიტოს გმირული და სათნო საქმენი,
ჩასწვდეს ბუნების ბნელით მოცულ იდუმალებას
და რაც აქამდე, საუკუნეთ განმავლობაში,
წყვდიადით იყო დაფარული ყველა არსისთვის,
შემაძლებინე, რომ ბურუსის ფარდა ავხადო.
ნებით უფლისა, იოანემ ხალხს შთააგონა
მონანიება ღაღადეყოთ გულმხურვალებით,
და ეს ღაღადი გაიშალა უფრო მქუხარედ,
ვიდრე საყვირის შესაზარი ახმიანება.
მყისვე ყოველი კუთხისაგან დედამიწისა
მისკენ აჩქარდნენ მოსანათლად, მირონსაცხებად.
მოეშურება თვით უცნობი ნაზარეთიდან,
რომლის სახელი იმა დღემდე არვინ იცოდა,
კაცის სახება, იოსების ძედ ვინც მიაჩნდათ.
მაგრამ ნათლიამ მყისვე იცნო ნაზარეველი
და აღიარა უფლად თვისად დაუყოვნებლივ.
ზეცამ დასტური მისცა მაშინ ამ დიად საქმეს:
როგორც კი ღმერთმა მირონცხება კანონიერჰყო,
განიხვნა ცანი, სული წმიდა, მტრედის სახებად
დაეშვა მაღლით და გაისმა მთელს სამყაროში
ყოვლადძლიერი ჩვენი მამის ტბილი ღაღადი,
რომ სული წმიდა საყვარელი ძე იყო მისი.
მთავარმა მტერმა, კვლავ ამ ქვეყნად მოხეტიალემ,
ამ წმიდა ღაღადს მოჰკრა ყური და სახტად დარჩა,
რეტი დაესხა და გაოგნდა დამეხილივით;
შეჰყურებს ღმერთკაცს გაოცებით, შურით გზნებული,
და გამალებით მიისწრაფის თვის სამეფოსკენ,
რათა იქ სხვებთან იბაასოს, მოითათბიროს
და მძლე სულების რჩევას გაჰყვეს განრისხებული
მტერი, ღრუბლებში გახვეული, ასე ყიოდა:

„ჰოი, თქვენ ზეცის უძველესნო ძალნო ძლიერნო,
მე უფრო მეტად სიამეს მფენს ცის მოგონება,
ვიდრე პირქუში ქვესკნელისა, სადაც იმდენ ხანს
ვიტანჯებოდით შესაზარად, გამოუთქმელად;
ხოლო ჰაერის სივრცეები ჩვენ დავიპყარით.
უკვე მრავალმა საუკუნემ განვლო მას შემდეგ,
რაც ადამი და ევა, ჩემგან მოტყუებული,
გამოაძევეს იმ სამოთხის კარიბჭეთაგან,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რომელიც მერე გახდა ჩვენი სასუფეველი.
მაგრამ ახლაც კი შიშითა და ძრწოლვით მოველი,
როდის გამისრესს თავს მემკვიდრე სუსტი ევასი.
ნუთუ ეს მართლაც უნდა მოხდეს, ნუთუ ხელახლა
უნდა დავკარგოთ ძლიერება-თავისუფლება,
რაც დავიბრუნეთ დიდი ბრძოლით და მამაცობით?!
მეტად ცუდი და ავი საქმის მაცნე შევიქენ,
თესლი ქალისა, ცაში ძველად რომ ღაღადებდნენ,
ვისთანაც უნდა წარსდგეს ყველა იმ განკითხვის დღეს,
არათუ მხოლოდ დაიბადა ქალის საშოსგან,
არამედ უკვე მოწიფული ვაჟკაცი გახდა,
სიბრძნით, სიქველით, სათნოებით გამორჩეული.
ის ემზადება დიდ საგმირო საქმეებისთვის
და უნებლიეთ შიშის ძრწოლვაც მიძლიერდება.
მისი მოვლენა ბრძანა დიდმა მაუწყებელმა,
რომლის წინაშეც მოსანათლად, მირონსაცხებად
მიედინება კაცთა მოდგმა უწყვეტ ნაკადად,
რომ ცოდვებისგან განიბანონ, განთავისუფლდნენ
და განწმენდილნი თვით მესიას წინაშე წარსდგნენ.
სხვა ხალხთან ერთად, იმასაც სცხეს წმიდა მირონი,
არა ცოდვების განსაბანად, მოსაშორებლად,—
რადგან ცოდვები, თქმაც არ უნდა, მას არ ექნება,—
არამედ მისთვის, რომ ბრბოს ეჭვი აღარ აღეძრას
იმის ზეციურ და უწმიდეს წარმოშობაზე.
თვითონ ვიხილე, ზეცის ბროლის კარიბჭეთაგან
როგორ დაეშვა უწმიდესი და ტურფა მტრედი,
როგორ გაისმა ხმა უფლისა მაუწყებელი:
„ეს არს ძე ჩემი სანუკვარი და საყვარელი,
და ჩემს ქველ საქმეთ ქვეყანაზე იგი წარმართავს“.
ასე რომ, თუმცა ის მოკვდავის გაჩენილია,
სინამდვილეში, ღვთაებრივი ძე არის ღვთისა;
მისი მამაა დიდი ღმერთი, ყოვლისშემძლები,
ხოლო შვილისთვის ღმერთი აბა რას დაიშურებს!
ახლა ჩვენ სწორედ თვით ძე ღვთისა უნდა გავიცნოთ.
შესახედავად ჩვეულებრივ ადამიანს ჰგავს,
მაგრამ ის მამის შუქით არის გაბრწყინებული.
დრო აღარ ითმენს, ვერ მოვყვებით მჭეკრმეტყველებას,
რადგან იმისგან ჩვენ ბოგველის საშიშროება;
ძალით ვერაფერს ვერ დავაკლებთ, თქვენც კარგად უწყით,
და საჭიროა შევებრძოლოთ გაიძვერულად.
ვიდრე ის ქვეყნად მოასწრებდეს ძეფად გახდომას,
ვიდრე უდიდეს მბრძანებლობას მოიპოვებდეს,
ჩვენ გავახვიოთ ის დახლართულ ბადეში უნდა.
თუ გახსოვთ ერთხელ, განწირხულნი რომ ვბჭობდით ერთად,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ადამიანის დასალუპად ვინ გაგვეგზავნა,
ვერვინ გაბედა დასდგომოდა იმ საშიშ გზასა
და მხოლოდ ერთმა მე გავბედე გმირობა ესე,
წარმატებითაც დავასრულე, რაც ყველას გვწადდა;
ახლაც მე მინდა გავემართო ამ განსაცდელში,
და იმედიც მაქვს, მოვიპოვო კვლავ გამარჯვება!"

მან დაასრულა და ამ ცნობამ, დამაფიქრველმა,
სულმთლად არია, შეაძრწუნა, რეტი დაასხა
და გააოგნა ჯოჯოხეთის ბოროტი ძალნი.
მაგრამ არ ჰქონდათ დრო წუხილის და დაფიქრების,
სწრაფად შეთანხმდნენ, რომ მიენდოთ ეს დავალებაც
სახელოვანი ბელადისთვის, რომელმაც ერთხელ
ისინი იხსნა ჯოჯოხეთის ჯურღმულებიდან
და სათარეშოდ უთვალავი ქვეყნები უძღვნა,
სადაც შეიქნენ ჯოჯოხეთის ბნელი ძალები,
არა თუ მხოლოდ მბრძანებლები და მეფეები,
არამედ ზოგი ღვთაებადაც კი აღიარეს.

საზარი გველის ცბიერებით გულმოცემული
სატანა წმიდა მდინარისკენ მიეშურება,
იმედი აქვს, რომ იქ იხილავს ახლა ძეს ღვთისას
და ყოველგვარი მზაკვრობითა და ცბიერებით
მის ცთუნებასაც მოახერხებს, ბადეში გახვევს.
მაგრამ იმისი ვერაგული მისწრაფებანი
ღვთის განჩინებას დააჩქარებს მხოლოდ და მხოლოდ;
გარემოცულმა სხივოსანი ანგელოზებით,
ღმერთმა ღიმილით ასე უთხრა მაშინ გაბრიელს:

„გაბრიელ, ახლა შენცა და სხვა ანგელოზებიც,
რომლებიც ქვეყნად კაცთა საქმეს უთვალთვალებდით,
იხილავთ, როგორ აღვასრულებ ჩემს დაპირებას,
გახსოვს, შიკრიკად რომ გაგგზავნე წმიდა ქალწულთან,
და დაგაბარე, რომ ვაჟიშვილს ის გააჩენდა,
და იგი ვაჟი იქნებოდა თვითონ ძე ღვთისა,
რომელსაც შემდეგ მთელი ხალხი თაყვანსა სცემდა;
როცა იმ ქალწულს შენ თვალებში ეჭვი შენიშნე,
ასე უთხარი, რომ სიმართლის დადასტურებად
შთამოვიდოდა სული წმიდა იმ ქალწულზედა.
ძე იმ ქალწულის მოწიფული შეიქნა უკვე,
და ახლა მინდა საცთუნებლად მივცე სატანას;
თავისი წმიდა დაბადება დე გაამართლოს,
დაე, ცთუნება სცადოს მისი მტერმა ზეცისამ,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რომელიც თავის არაწმიდა ბოროტ სულებთან
ძლიერ იკვეხნის წინანდელი გამარჯვებითა.
არ იქნა, მაინც ვერ ისწავლა მან მორჩილება,
თუმცალა ერთხელ შეარცხვინა იობმა იგი.
ამიერიდან თვით ნახავს, რომ ქალის თესლიდან
მე შევქმნი ძლიერ ადამიანს, რომელიც იმას
თავზე დაატეხს თვის მზაკვრობა-გაიძვერობას,
რაც რამ ძალა აქვს, გამოულევს, დააუძლურებს
და დააბრუნებს ხელმეორედ ბნელ ჯოჯოხეთში,
ხოლო კაცთ მოდგმას დაუბრუნებს იმ ნეტარებას,
რაიც ცთუნებით კაცთ წინაპარს დააკარგვინა.
უდაბნოში მსურს მე პირველად მისი გამოცდა,
დე, გადამწყვეტი შეტაკება იქ გაიმართოს,
ვიდრე ძეს ღვთისას წარვგზავნიდე ჯოჯოხეთისკენ,
რათა იქ მოსპოს ჯერ ცოცხალი და მერე სიკვდილი.
ეს ორი დიდი გაიძვერა, გა[illegible]ტეხავი
და ულმობელი მტერი ღვთის და ადამიანის.
დაე, იხილონ ანგელოზთა წმიდა დასებმა
სრულყოფილება, სიდიადე წმიდა არსისა,
ვინც კაცთა მოდგმის დასახსნელად ამოვირჩიე".

ღაღადჰყო ასე მეუფემან დაუსაბამონ,
ზეცა, აქამდე გარინდული, დადუმებული
მყისვე აივსო ღვთაებრივი საგალობლებით,
ჩანგის ტკბილი ხმა სულთა ჟღერას შეერთებოდა:

„ქება-დიდება, გამარჯვება დიდებულ მხსნელსა!
იდიდოს მარად მისმა საქმემ, მისმა სახელმა!
ომში ჩაებმის და ბნელ ძალებს ჯოჯოხეთისა
თვისი სიბრძნით და მამაცობით გაანადგურებს.
მის წმიდა მამას გული არც კი ეთანაღრება,
რომ ძე იმისი არ გაებას მტრის ცთუნებაში.
განქრით, განქარდით, ჯოჯოხეთის გაიძვერობავ,
განიფანტენით, სატანურო ბოროტებანო".
ასე გვრგვინავდა ცაში დიდი ქებათა-ქება.
ძე ღვთის კი ამ დროს მისულიყო ბეთაბარაში,
სად იოანე განაგრძობდა ხალხის მონათვლას.
იგი მოეცვა მეტად მძიმე და მაღალ ფიქრებს—
რა გზით, რაგვარად შესდგომოდა ამ წმიდა საქმეს,
ადამიანთა მთელი მოდგმის ხსნა-გადარჩენას.
(მეუფის ნებით უკვე დადგა დრო გამოხსნისა.)
ერთხელ ამნაირ ამაღლებულ ფიქრით მოცული
ის მიდიოდა შარა-გზაზე სულ მარტოდმარტო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თანდათანობით ფიქრთა დენას შეუწყო ფეხიც
და შეუმჩნევლად უდაბნოში აღმოჩნდა იგი.
აქაც, ციცაბო კლდეებსა და ხეთა ჩრდილებში
იგი მიეცა წმიდა ფიქრებს კვლავინდებურად:
„რა უთვალავი ფიქრი, აზრი აღმეძვრის ხოლმე,
როს ყურს მივუგდებ შინაგან ხმას, შინაგან განცდას,
და მასაც, რაიც განუწყვეტლივ მესმის გარედან!
ბავშვს—არ მიყვარდა მე ბალღური თამაშობანი,
ჭკუა-გონება ისწრაფოდა მარად ცოდნისკენ,
რათა მესწავლა და მერე ხალხს გამოვდგომოდი;
თითქოს იმიტომ გავჩნდი ქვეყნად, რომ აღმედგინა
ჭეშმარიტება, სამართალი და ნეტარება;
ასე ვფიქრობდი, მუდამ ასე მეჩვენებოდა.
ღრმად შევისწავლე ღვთის კანონი, ღვთის სამართალი,
მთელი სიტკბო და სიხარული ეს იყო ჩემთვის,
და მართლაც ისე გავიწაფე, ისე ა ძაღლდი,
რომ ჯერ თორმეტი წლის არც ვიყავ, მახსოვს, უქმე დღეს
ტაძარში შეველ, რომ მესმინა მოძღვარისათვის;
ყველას უკვირდა ჩემი ცოდნა, ყველა მე მჭვრეტდა,
მაგრამ მგზნებარე ჩემი სული მაღლა იწევდა,
გული ფეთქავდა მედგრად, გმირულ სულისკვეთებით,
ხალხის გამოხსნა მსურდა მაშინ რომის უღლიდან,
ძალმომრეობის გაძევება მთელი ქვეყნიდან,
და ხალხთა შორის მარადიულ ძმობის აღდგენა.
მაგრამ თავიდან ვფიქრობდი და მეჩვენებოდა,
რომ შეგონებით, ტკბილი სიტყვით და დარწმუნებით,
და არა შიშით, მივაღწევდი სასურველ შედეგს,
ეს ღვთაებრივიც იქნებოდა და შესაფერიც
ადამიანის ბუნებისა. ასე ვფიქრობდი:
„არც კი იციან, რას სჩადიან, ეს ბოროტებაც
მათი არსიდან, მათი ნებით, კი არ გამოდის,
არამედ სხვების ცთუნებულნი არიან-მეთქი;
მხოლოდ ურჯუკის დასჯა მსურდა მე საგანგებოდ.
ზოგჯერ ხმამაღლაც გამოვთქვამდი ხოლმე ჩემს ფიქრებს,
და დედაჩემიც, შეუმჩნევლად, თანდათანობით
ჩაწვდა აზრს მისას, გაიხარა. ერთხელ კი მითხრა:
„შენი ფიქრები მაღალი და წმიდაა, შვილო,
იფიქრე ასე, გქონდეს მუდამ მაღალი სწრაფვა!
დე საქმე შენი უბრალო და ღვთიური იყოს
როგორსაც მამა მოგიწოდებს, დაუსაბამო!
ის ყოვლისმძლეა, ზენაარი, მეფე მეფეთა,
ცისა და მიწის, ანგელოზთა თუ მოკვდავ კაცთა
მეუფე დიდი. მბრძანებელი და გამგებელი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შიკრიკმა ცისამ მე მაუწყა, რომ ღვთის განგებით,
დრო დადგებოდა და ქალწულს—შენ ჩამესახოდი,
შეიქნებოდი მბრძანებელი მარადიული.
იმ წმიდა ღამეს, როდესაც შენ იბადებოდი,
ბეთლემის მინდვრებს მოეფინა ანგელოზების
ამოდ სასმენი გალობანი, რომელიც მწყემსებს,
მოუწოდებდნენ—ძე უფლისა იბადებაო,
მიასწავლიდნენ, სად შეეძლოთ მესიის ნახვა.
დაიძრნენ მწყემსნი, წამოვიდნენ შენს საძებნელად,
მოადგნენ ბაგას, სადაც მაშინ შენ დაიბადე,
რადგანაც სახლში არ ყოფილა ადგილი ჩვენთვის.
ცაზე შენიშნა მაშინ ყველამ ერთი ვარსკვლავი,
რომელიც ადრე არ ენახათ, არ შეენიშნათ;
დაიძრნენ მოგვნი აღმოსავლით, ვარსკვლავის შუქზე,
რათა თაყვანი ეცათ შენთვის, მოკრძალებულად
და მოერთმიათ ძღვნად გუნდრუკი, მური და ოქრო.
გამოჰყვნენ ასე ვარსკვლავისგან განათებულ გზას,
თან ამტკიცებდნენ, პირველადო ვხედავთ ამ ვარსკვლავს,
და ამითვე ვგრძნობთ, მეფე იშვა ისრაელისა.
ბრძენმა სიმონმა, გულთმისანმა ანამ—შენ გნახეს
ტაძარში მაშინ და საქვეყნოდ გამოაცხადეს,
რომ დედამიწას მოევლინა დიდი მესია.“

„რა მოვისმინე ეს სიტყვები დედაჩემისა,
კვლავ გადვიკითხე ღვთის კანონი, წინასწარ თქმანი,
სულ გადავქექე, მესიაზე რაც დაწერილა.
მაშინ აშკარა გახდა ჩემთვის, რომ მე ვიყავი
სწორედ ის, ვისზეც ადრეც უთქვამთ წინასწარმთქმელებს,
რომ მიწერია განსაცდელი მძიმე, მტანჯველი;
და ვიდრე აღთქმულ მეუფებას ველირსებოდე,
ვიდრე შევძლებდე კაცთა მოდგმის ხსნა-გადარჩენას,
რომლისაც ცოდვა მე უნდა ვზღო, მე ვიდო თავზე,
სიკვდილიც უნდა გამოვცადო შესაზარელი.
და მაინც შიში არ მიგვრძნია, მშვიდად ველოდი
იმ დღეს, როდესაც ვიხილავდი მირონისმცხებელს,
რომელსაც უნდა განეწმინდა გზა მესიისთვის.
მყისვე შემიცნო იოანემ და ხალხსაც ამცნო
დაუფარავად, რომ მე ვიყავ იმათი მხსნელი.
ველარც ბედავდა მოენათლა უზენაესი
და ძლივძლივობით მოვახერხე დაყოლიება.
როდესაც წყლიდან გამოვედი, განიხვნა ცანი
და ჩამოვიდა სულიწმიდა, შემომეგება.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სასუფეველში გაისმოდა ღაღადი ღვთისა,
რომელიც თვის ძეს, ერთადერთსა, მე მიწოდებდა.
ვგრძნობ, დადგა ის დრო, როცა მალვა აღარ შემფერის,
და ხალხს პირდაპირ უნდა ვუთხრა, ნამდვილად ვინც ვარ.
ახლა კი რაღაც უხილავი, უცნობი ძალა
აქეთ მეწევა, უდაბნოში, არ ვიცი რატომ!
იქნებ არც იყოს ამის ცოდნა ჩემთვის საჭირო,
როცა დრო მოვა, ღმერთი თვითონ გამიგნებს გზასა“.
ასე უბნობდა ჩვენი მხსნელი—ცისკრის ვარსკვლავი,
რომელიც ჩვენთვის ამოვიდა მაშინ პირველად.
მიმოიხედა და იხილა უდაბნო ვრცელი,
შიშისმომგვრელი კლდეები და ხეთა ჩრდილები,
ჯერ ძე-ხორციელს იქ არავის დაედგა ფეხი.
გული წინ, სულ წინ მიუწევდა და მარტოობა,
ახლა ერჩივნა გამორჩეულ კრებულში ყოფნას.
ასე გავიდა ორმოცი დღე. ფიქრში გართული,
კვლავ მიიწევდა და არავის არ შეუძლია
გვაუწყოს, ღამეს სად ათევდა—მუხის ტოტებქვეშ,
თუ გაშლილ მთაზე, ან კლდეების გამოქვაბულში.
არც უჭამია არაფერი იმ ორმოც დღესა
და არც შიმშილი განუცდია. მხოლოდ ბოლო დღეს
იგრძნო შიმშილი საშინელი. მძვინვარე მხეცნი
მის დანახვაზე თვინიერნი ხდებოდნენ მყისვე,
და არც ძილის დროს, არცა დღისით არას ავნებდნენ.
ასპიტი, გველი ცეცხლოვანი—მას გაურბოდა,
ლომი და ვეფხვი შორიდან თუ შემოხედავდნენ.
მაგრამ ეს რაა, ბერიკაცი მოდის იმისკენ,
სოფლის მეურნე, თითქოს ეძებს ცხვარს, გზააბნეულს,
თან კი გზადაგზა ფიჩხს აგროვებს, რომ ცივ ზამთარში
ცეცხლი დაინთოს და საქმიდან დაბრუნებული,
მძვინვარ ქარისგან გათოშილი, გათბეს ცოტათი.
შეხვდა იესოს ბერიკაცი, ახედ-დახედა
და მიაგება ეს სიტყვები, ცნობისმოყვარემ:

„ერთი მიბრძანე, უდაბნოში რამ გადმოგაგდო,
სადაცა შიშით ვერ ჭაჭანებს ადამიანი
და მხოლოდ ხროვად გზად გამოვლას თუ გაბედავენ.
თუ დაბრუნება უწერია აქედან კაცსა,
კვლავ ვერ გაბედავს გამოჩენას აქ ვერასოდეს;
მაგრამ მე შენ გცნობ, თუ არ ვცდები, სწორედ ისა ხარ,
ვისაც ზეგარქვა იოანე ნათლისმცემელმა
ძე ღვთისა—მხსნელი დაღუპული ადამიანის.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ეს ყველაფერი გამიგია. გლეხაჭუა ვარ,
მაგრამ დროდადრო ქალაქშიაც შემხვდება ჩასვლა“.

მაშინ ძე ღვთისამ იმ ბერიკაცს ასე მიუგო:
„ვინც მომიყვანა ამ უდაბნოს, ის აქედანაც
გამიკვლევს გზასა, სხვა მეგზური არა მჭირდება“.

„ალბათ სასწაულს თუ იქმს რასმე,—თქვა ბერიკაცმა,—
თორემ არ ვიცი, გზას აქედან როგორ გაიგნებ.
ჩვენ აქ ქერქებით და ფესვებით ვსაზრდოობთ ხოლმე,
წყალი მუდამჟამს გვენატრება, აქლემის დარად,
გაჩენილი ვართ შიმშილისთვის, მათხოვრობისთვის,
მაგრამ თუ მართლა ძე ღვთისა ხარ, უბრძანე ამ ქვებს—
მყისავე პურად გადაიქცნენ, მაშინ იცოდე,
შენც გადარჩები და ჩვენც ყოფას შეგვიმსუბუქებ,
მოგვმადლი საზრდოს, რაცაც ვგემობთ ჩვენ იშვიათად“.

იგი დადუმდა და ძე ღვთისამ ეს უპასუხა:
„ნუთუ უბრალო პურს ანიჭებ ამოდენ ძალას?
განა ღვთისავე კანონებში ის არ სწერია,—
(ვიცი ის არ ხარ, ვინაც ჩანხარ შენ გარეგნობით),—
რომ არა მხოლოდ პურით უნდა ცოცხლობდეს კაცი,
არამედ სიტყვით, რაც მოწყდება ბაგეს უფლისას!
და განა აქვე ჩვენს წინაპრებს მაღალი ღმერთი,
უფალი ჩვენი ციურ მანით არა ჰკვებავდა?!
განა არ იცი, რომ ორმოცი დღე-ღამე სრული
მოსემ დიდ მთაზე გაატარა, უჭმელ-უსმელმა?
ხოლო ილია უდაბნოში, ჩემივე მსგავსად,
უჭმელ-უსმელი დადიოდა, ესრეთ, დღეს ორმოცს!
ხომ იცი, ვინც ვარ, სწორედ ისე, როგორც მეცა გცნობ,
რატომღა ცდილობ და ცოდვილობ ჩემს ცთუნებასა?“

მაშინ ცის მტერმა დაანება თავი ამ ლაქუცს:
„დიახ, ისა ვარ, უბედური სული ზეცისა,
რომელმაც ერთხელ ავამხედრე მილიონები,
მოვაკლდი ზეცას და იმავე სულებთან ერთად
მე ჯოჯოხეთი მომიჩინეს სამარადჟამოდ.
მაგრამ იქ ჩემი გაჩერება ვერავინ შესძლო:
ძალიან ხშირად თავს დავაღწევ იმ ბნელ ჯურღმულებს
და დავნავარდობ სივრცეებში კვლავინდებურად.
ზოგჯერ ცაშიაც ხსნილი არის ჩემთვის კარები.
როცა იობი მომცა ღმერთმა გამოსაცდელად,
მეც წარვდეგ მაშინ, და ღვთის ნებას მეც ვასრულებდი,
ამაყი მეფეც, სწორედ მაშინ ვაცთუნე იქვე.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მოვაკლდი ღმერთის სიყვარულსა და მზრუნველობას,
არც ელვარება შემრჩა ძველი; მაგრამ აქამდე
კვლავინდებურად ძლიერად მაქვს მე შინაგანი
მისწრაფებანი კეთილისკენ, სილამაზისკენ!
როგორ შემეძლო, არ მენახე შენ—ძე უფლისა,
შენი ღვთიური საქმეები არ დამენახა,
არ მომესმინა შენი ბრძნული შეგონებანი!
ხალხს მივაჩნივარ მე სასტიკ მტრად ადამიანთა,
მაგრამ არ მესმის, კაცთა მოდგმა რად უნდა მძულდეს!
არ განმიცდია მე იმათგან ძალმომრეობა,
და ნეტარებაც იმათ გამო არ დამიკარგავს;
პირიქით, კაცთა დახმარებით კვლავ მოვიპოვე
ჩემი ახალი სამფლობელო—სამეფოები
და ამ ქვეყანას მეც ვბრძანებლობ, იმათთან ერთად,
ხოლო ჟამდაჟამ მედიდურად მათზევე ვმეფობ.
ძალიან ხშირად შემწეობაც გამიწევია—
სიზმრებით, ხილვით, მოჩვენებით, და სხვა გზებითაც
მე რჩევას ვაძლევ, მათს ცხოვრებას ამგვარად ვმართავ.
„ამბობენ, თითქოს სიხარბით და შურით გზნებული,
ვცდილობდე, სხვებიც ჩემებრ ვტანჯო, ვაუბედურო!
პირველად მართლაც ასე იყო, მაგრამ როდესაც
კარგად ვიგემე ჯოჯოხეთის ტანჯვა-წამება,
მივხვდი, რომ ტანჯვის სხვებისათვის გაზიარება
მე არავითარ შვებასა და ლხენას არ მაძლევს.
ადამიანის ჩათრევაც იმ უბედობაში
მეტად სუსტი და უბადრუკი ნუგეში არის!
ადამიანს ხომ უწერია კვლავ აღდგინება,
მე კი ღვთისაგან განწირული ვარ სამუდამოდ“.

მხსნელმა პირქუშად უპასუხა მაშინ სატანას:
„ახია შენზე ყოველგვარი უბედურება,
თავიდან ცრუ ხარ და ბოლომდე ასე დარჩები.
ახლა ტრაბახობ, თავისუფლად დავნავარდობო,
და ზეცაშიაც გაგეხსნება ზოგჯერ კარები!
ეს მართალია, მაგრამ ცაში შენ მიდიოდი,
ვით ტყვე უმწეო, უბადრუკი და უბედური!
იქ, სადაც ერთხელ ელვარებდი თვალისმომჭრელად,
ახლა მიდიხარ, როგორც მონა და განწირული,
შეზიზღებული, განკიცხული ცაში ყველასგან;
შემოგყურებენ—და არავის არ ებრალები.
ხედავ, გრძნობ—ადრე შენი იყო ეს ნეტარება,
ახლა კი, ღვთისგან განწირული, შორით შესცქერი
და ცის დაკარგვას უფრო მწარედ განიცდი ახლა;

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ამიტომ შენთვის ცა—იგივე ჯოჯოხეთია.
ზეცის მეუფის მონა იყავ, ახლაც მონა ხარ,
რასაც ეძახი მორჩილებას—შიშია მხოლოდ.
გაბოროტებით შეებრძოლე შენ მაშინ იობს,
მან დაგამარცხა სიბრძნითა და მრავლმოთმინებით.
შემდეგ არჩიე ემსახურო მატყუარობას,
სიცრუე გახდა საზრდო შენი, შენი სიცოცხლე,
თუმც თავი მოგაქვს მოციქულად ჭეშმარიტების.
იკვეხნი, თითქოს შენი წინასწარმეტყველებით
ხალხს შთააგონებ საოცრებას, საკვირველებას,
მაგრამ თუ იცი, რომ ხალხს შენი სულაც არ სჯერა?!
ან გულთმისნური პასუხები რას წარმოადგენს?
ბურუსით მოცულ ფუჭ სიტყვების არევ-დარევას,
რომელსაც ძალუძს დაბნელება მხოლოდ გონების!
შენი ტაძრიდან არასოდეს არ გამოსულა
ადამიანი მხიარული, იმედიანი,
დაჯერებული—ცხოვრებაში როგორ მოიქცეს!
პირიქით, მყისვე ეხვეოდა ცთუნების ხლართში
და ბომონიდან გამოსული იღუპებოდა.
მალე მიხვდება ხალხი მთელს შენს გაიძვერობას,
ბნელი გადეკვრის, ჩამუქდება შენი დიდება,
წარმართთა შორის მოტყუებით მოპოებული;
დადუმდებიან სამუდამოდ ორაკულები,
არ დაგიკლავენ მსხვერპლს დელფოსში, არც სხვაგან სადმე;
არავინ გკითხავს აღარაფერს და თუნდაც გკითხონ,
მაინც ვერაფერს უპასუხებ, დამუნჯებული.
ღმერთმა დაუშვა წმიდა სიტყვა, ცოცხალი სიტყვა,
რაც კაცთა გულში ახლა მტკიცედ დაისადგურებს
და ხალხს შინაგან ცოდნასა და ალღოს მიჰმადლებს“.

ასე ამბობდა ჩვენი მხსნელი. ცბიერმა მტერმა,
თუმცა იწოდა შურითა და გაბოროტებით,
მაინც დამალა რისხვა თვისი და დამშვიდებით
მოკრძალებულად ძეს უფლისას შეეპასუხა:

„შეუბრალებლად და სასტიკად მკიცხავ შენ ახლა,
თითქოს განზრახვა მქონდა ბოროტმოქმედებისა,
სინამდვილეში მაიძულა ეს ბედკრულობამ!
აბა სად ნახავ ისეთს ბედკრულს და ბედუკულმართს,
რომ ზოგჯერ მაინც არ გაექცეს ჭეშმარიტებას,
არ იორგულოს, არ იყალბოს და არ იცრუოს,
გაიძვერობით წმიდა ფიცი არ დაარღვიოს?!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მაგრამ შენ ჩემი ზეციური მბრძანებელი ხარ,
შენგან დატუქსვა-შეჩვენება არ მეწყინება,
და ასეთ სასჯელს გადავიტან უფრო ადვილად.
ქეშმარიტების გზა ძნელია, მძიმე სავალი,
მაგრამ შენს ბაგეს ისე ტკბილად მოსწყდა ეს სიტყვა,
ისე საამოდ დაატყვევა მან ჩემი სმენა,
თითქოსდა, მწყემსის სალამურის ხმა მომესმინოს.
ნება მომეცი, ამ ადგილას მოვიდე ხოლმე,
ნება მომეცი, გესაუბრო ამ დიდ საგანზე,
თუმცა ვიცი, რომ მის სიმაღლეს მე ვერ მივწვდები!“

აუღელვებლად უპასუხა მას ჩვენმა მხსნელმა:
„აქ მოსვლის ნებას არც მოგცემ და არც აგიკრძალავ,
თუმც კარგად ვიცი მთელი შენი ავი ზრახვანი.
ის გააკეთე, რის უფლებაც მეუფემ მოგცა,
მეტს, რაც არ უნდა შეეცადო, ვერას გახდები“.

ესღა თქვა მხოლოდ და დადუმდა. ვერაგმა მტერმა
ბილწმა სატანამ მორჩილებით დახარა თავი
და უცბად გაქრა, როგორც ორთქლი, გაუჩინარდა.
ჩამოწვა ღამე, ბნელი ფრთები ძირს ჩამოუშვა
და უკუნეთში გაახვია მთელი უდაბნო.
ფრინველნი ცისა მიიყუჟნენ მყუდროდ ბუდეში,
ხოლო მინდვრებში სათარეშოდ გამოიშალნენ
ბუნაგებიდან, ტყეებიდან მძვინვარე მხეცნი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

წიგნი მეოთხე

შინაარსი

მოწაფეები შეწუხებული არიან, რომ იესო ამდენი ხანია წავიდა და აღარ სჩანს. ამის შესახებ მსჯელობენ ერთმანეთში. მარიამსაც დედის მოუსვენრობა მოიცავს; იგი ბევრ ისეთ რამეს იგონებს, რაიც მისი ძის დაბადებასა და ბავშვობას შეეხება. სატანა კვლავ შეჰკრებს ჯოჯოხეთის საბჭოს, მოუთხრობს თავისი მარცხის ამბავს, რაც იმაში გამოიხატება, რომ ჩვენი კურთხეული უფლის ცთუნება ვერ მოახერხა; ჯოჯოხეთის ანგელოზებს სთხოვს რჩევასა და დახმარებას. ბელიარი მოსაზრებას გამოთქვამს, იესო ქალებით ვაცთუნოთო. სატანა ჰკიცხავს ბელიარს მისი გარყვნილი ფიქრების გამო და ჰგმობს მის წინადადებას, რასაც არავითარი წარმატება არ შეიძლება მოჰყვეს. სატანა ცთუნების სხვა ხერხებს მიმართავს; უპირველეს ყოვლისა, უნდა, რომ ჩვენი მხსნელის შიმშილით ისარგებლოს; რჩეული სულების გუნდს გაიყოლებს და განზრახვის შესასრულებლად გასწევს. იესო უდაბნოში შიმშილობს. დაღამდება. აღწერილია, თუ როგორ ატარებს ღამეს ჩვენი მხსნელი. თენდება. სატანა კვლავ გამოეცხადება იესოს და გაკვირვებას გამოთქვამს, თუ როგორ ყველასაგან მიტოვებულია იგი უდაბნოში, როდესაც სხვები მშვენივრად იკვებებიან; იქვე სუფრას გაუშლის და ცდილობს აცთუნოს დიდებული საჭმელ-სასმელით. ჩვენი მხსნელი უარყოფს, და სუფრაც გაჰქრება. რაკი მადის გაღიზიანებით ვერაფერს გახდა, სატანა ახლა ცდილობს აცთუნოს იესო სიმდიდრით, რომლითაც მას ძალაუფლების მოპოება შეუძლია. იესო სიმდიდრესაც უარყოფს, მოჰყავს მრავალი მაგალითი იმისა, თუ რა დიდ საქმეებს აკეთებდნენ ისინი, ვინც სათნო სიღატაკეში ატარებდნენ სიცოცხლეს; ამავე დროს იმასაც აღნიშნავს, თუ რა საშიშროება ახლავს თან სიმდიდრეს, როგორ განუყრელ თანამგზავრებს წარმოადგენენ დიდებისა და ძალაუფლებისათვის — მარადიული ზრუნვა და ტანჯვა.

ამასობაში, ყველა, ვისაც სცხელს იქ ნათელი
და თვითონ წმიდა იოანე ნათლისმცემელიც,
იქავე დარჩნენ, ძველებურად, იორდანესთან,
ნახეს იესო, წოდებული ცაში მესიად!
იქ იყო სიმონ და ანდრია, სხვებიც მრავალნი,
ვისი სახელი წმიდა წიგნში არ იხსენება.
უცებ წავიდა უწმიდესი დამხსნელი ჩვენი,
და მასთან ერთად სიხარულიც გაშორდა ყველას.
დაეჭვდნენ დიდად, და კარგა ხანს ასე ეჭვობდნენ,
ეჭვი იმათი დღე-დღეობით ძლიერდებოდა;
ხან იფიქრებდნენ, იქნებ ღმერთი მოგვეჩვენაო,
ეძებდნენ ყველგან ბეთაბარის მიდამოებში,
იქვე მახლობელ ქალაქებში — ენონში, სალემს,
მაიერში და სხვაგანც ყველგან, მთელს იმ მხარეში,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ძებნეს და ძებნეს გულმოდგინედ, მაგრამ ამაოდ.
ბოლოს კი ისევ იორდანის სანაპიროზე
მეთევზეები დაღვრემილნი, დაღონებულნი,
დაბრუნდნენ უკან და ნაღვლიან ფიქრებს მიეცნენ:

„ვაგლახ, იმედით მაღლა-მაღლა ჩვენ დავფრინავდით,
და უცებ როგორ გამოვაკლდით ყოველგვარ იმედს,
როგორ დავეცით განწირულნი, უიმედონი!
არა, უთუოდ საკუთარი თვალით ვიხილეთ,
ბოლოს და ბოლოს მესია რომ გამოგვეცხადა,
ვისაც ამდენხანს მოელოდნენ ჩვენი მამანი.
ჩვენივე ყურით მოვისმინეთ მისი სიტყვები,
მისი მოძღვრება ღვთაებრივი და ჭეშმარიტი,
გველირსა,—ასე ვამბობდით ჩვენ,—ჰოი, გველირსა,
გამოგვიხსნის და დაგვიბრუნებს სასუფეველსა.
„ვაგლახ, ხანმოკლე არ აღმოჩნდა ეს სიხარული!
ვაგლახ, შიშად და მწუხარებად ის შეგვეცვალა.
მაინც სად გაქრა ჩვენი მხსნელი, რად მიგვატოვა?
კვლავ წარმოგზავნე ჩვენდა, ღმერთო, მესია შენი!
უკვე დრო დადგა; გადმოხედე მიწიერ მეფეთ,
ისრაელის ხალხს, შენს რჩეულ ხალხს ვით აწამებენ!
სულმთლად აიშვეს, გათავხედდნენ, გაკადნიერდნენ,
მთლად დაივიწყეს შენი შიში და მოკრძალება,
აღსდექ, აჩვენე შენი ძალა, შენი უფლება,
ათავისუფლე შენი ხალხი მათი უღლისგან.
აქამდე ხშირად ასრულებდა ყოველგვარ აღთქმას,
წარმოგვიგზავნა თვისი დიდი მირონცხებული,
გამოგვეცხადა თავისუფლად, ყველას წინაშე
და საუბარი გაგვიმართა შინაურულად,
გავინაწილეთ მასთან ტაბლა, საცხოვრებელი!
„მაგრამ ველოდოთ, თავს ნუ მივცემთ განწირულებას,
მივენდოთ უფალს და იმის ტკბილ გულმოწყალებას,
ის დაგვიბრუნებს ჩვენ მესიას, დიდად სასურველს;
დაგვიბრუნდება სიხარული და შვებას ვიგრძნობთ“.

ასე უბნობდნენ, ოცნებობდნენ, იმედოვნებდნენ,
რომ იხილავდნენ კვლავაც იმას, რომელიც ადრე
ისე ნახეს, რომ ოდნავადაც არ უძებნიათ.
დედამ იმისმა, მარიამმა, როცა იხილა—
ყველა დაბრუნდა ნათლობიდან, შვილი კი არა,
და ვერავინაც ვერ აუწყა მისი ამბავი,
სულის სიღრმეში შიში იგრძნო, გაურკვეველი,
თუმცა არასოდეს ადრე შიში არ განეცადა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ალელდა ძლიერ, სულიერად აფორიაქდა,
ამოიოხრა და ფიქრები ასე წარმართა:

„ო, რაღად მინდა ეს პატივი, რომ ვიყო დედა
ადამიანთა დიდი მხსნელის და თვითონ ღვთისა!
არქანგელოზი მაშინ ასე მომესალამა;
„სალამი შენდა, ქალთა შორის კურთხეულოო“.
როდი ვეწამე სხვა ქალებზე ნაკლებად მაშინ,
როცა ძე ვშობე იმ საშინელ, სუსხიან ზამთარს,
და რაკი სხვაგან ვერა ვპოვე თავშესაფარი,
ისევ იმ ბაგას შევაფარე ვაგლახი თავი.
მერე ხომ იქაც ვერ დავდექით, ავიყარენით,
და ეგვიპტეში გავიხიზნეთ, დაფეთებულნი,
როს მძვინვარებდა აქ გულქვა და ურჯული მეფე,
ვინაც გაჟლიტა მთელს ბეთლემში ახალშობილნი,
რომ ყოფილიყო უფრო მეტად დამშვიდებული,
დარწმუნებული, რომ ნამდვილად მოჰკლა ძე ჩემი.
დაბრუნებულნი ეგვიპტიდან, დიდხანს ვცხოვრობდით
აქ ნაზარეთში. მისი ქცევა, მისი ცხოვრება
წყნარი და მშვიდი, მეფეებში ეჭვს არ აღძრავდა.
ახლა კი, როცა გაიზარდა და დავაჟკაცდა,
მეუბნებიან, იოანე ნათლისმცემელმა
ის აღიარა ღვთაებადო, და თვითონ ღმერთმაც
გამოაცხადა, საზეიმოდ, ის ძედ თავისად,
თავის საყვარელ მირონცხებულ ერთადერთ შვილად.
თავიდან ვგრძნობდი, რომ მელოდა დიდი ცვლილება;
დიდებისაკენ?... არა, არა, მწუხარებისკენ!
აკი სიმონმა ერთხელ მიწინასწარმეტყველა,
მისგანო ბევრი დაეცემა ჩვენს რჩეულ ხალხში,
ასევე ბევრი ამაღლების ბედსაც ეწევა,
ხოლო შენ გულსო გაგიგმირავს ბასრი მახვილი.
აი რას ნიშნავს განდიდება და ამაღლება,
მისთვის განვდიდდი, რომ წამება ვიგემო კვალად!
მაგრამ წუწუნი და ჩივილი არ შემიძლია.
მაინც სად გაქრა, სად წავიდა, სად დამეკარგა?
იქნებ იმიტომ განმარტოვდა, რომ თავისუფლად
მიეცეს უფრო ამაღლებულს და წმიდა ფიქრებს!
თორმეტი წელი ჯერე არც კი შესრულებოდა,
როცა დავკარგე ის პირველად, და კვლავ ვიპოვე;
მაშინ ვიგრძენი, მაშინ მივხვდი მის სიტყვებიდან,
რომ იგი მარად წმიდა მამის სურვილს ასრულებს,
და იმის შემდეგ მოთმინებით შევცქერ მომავალს“.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ასე მორჩილი მოთმინებით და სასოებით
წმიდა მარიამ ღვთისმშობელი, დედა უფლისა
უცდიდა რწმენით, გულდადებით ნათელ მომავალს.
შვილი კი ამ დროს მისცემოდა მაღალ ოცნებებს,
ღვთაებრივს ფიქრებს, აძაღლებულს საქმეს ქვეყნისას
და უდაბნოში მარხულობდა ის მოთმინებით.
ფიქრობდა, საქმე ღვთაებრივი, წმიდათა-წმიდა,
მისთვის ღმერთისგან მინდობილი, ვით წარემართა...
ამასობაში ბილწი მტერი, რომელიც ქრისტეს
გაესაუბრა დაბრუნების ძესახებ ადრე,
სწრაფად გაფრინდა, შეჰყვა მარდად ჰაერის ფენებს
და ჯოჯოხეთის შესაზარელ ძალებს მიადგა.
არც სიხარული დასტყობია, არც დაიკვნესა,
ისე დაიწყო, დაღვრეძილმა, სათქმელი თვისი:

„დიდნო თავადნო, დიდებულნო ძალნო ცისანო,
ცის ძე გერქვათ და ჯოჯოხეთის მფლობელნი გახდით,
უფრო სწორედ კი—ძბრძანებელნი სტიქიებისა—
ბიწისა, წყლისა, ჰაერის და ბწველი ცეცხლისა.
ჩვენ აქ ‘ბეგვეძლო გვემბრძანებელნა დაუბრკოლებლად,
მაგრამ სასტიკი მტერი ომით, დაუნდობელით,
ამხედრდა ჩვენზე და გამწყრალი, განრისხებული,
კვლავ ჯოჯოხეთში გამოკეტვით ჩვენ გვემუქრება.
თქვენ დამავალეთ, იგი მტეოი აღმოძეჩინა
და ძალა ჩვენი ერთხელ კიდევ გამომეცადა,
მეცთუნებინა, ვით ვაცთუნე ადამიანი.
მაგრამ იმისი დამარცხება ძნელი ყოფილა,
ცთუნების ბადეს არ ‘ოხვდება, როგორც ადამი,
რომელიც დასცა მერყეობამ თვისი ცოლისამ.
ახლა ეს კაცი (თუმც ვინ იცის, იქნებ ღმერთია,
მიუხედავად იმისა, რომ ის ქალმა ‘ბობა),
ეს კაცი ადამს სუყველაფრით აღემატება,
თვით ზეცისგან აქვს ყველა ნიჭი მოძადლებული,
აღჭურვილია სათხოებით და ეზადება
დიდთა და მაღალ საქმეთათვის, სწორედ ამიტომ
არ შეიძლება დაბშვიდება, გულის დადება
და გარდუვალი გაბარჯვების იმედის ქონა.
სწორედ ეს მინდა გაგიცხადოთ და გაგაფრთხილოთ—
თქვენგან მოვითხოვ დახმარებას საქმით ან რჩევით,
რადგან მე, ვისაც თითქოს ტოლი არ მყავდა არსად,
ახლა, ვინ იცის, დამარცხება მელოდეს იენებ“.

ასე ამბობდა ძველი გველი, რომელსაც გულში
შიში და ეჭვი ‘ბეჰპარვოდა, დაღრეჯილიყო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ანგელოზები დაეშურნენ პასუხისათვის,
რომ ფიცხლავ ყველა წავიდოდა დასახმარებლად.
წამოდგა უცებ ბელიარი, ბოროტი სული,
დაცემულთაგან საზიზღარი ყველაზე მეტად,
ასმოდიაზე ავხორცი და გარყვნილი, ბილწი:
„მას თვალწინ ქალი დაუყენე, პირმშვენიერი,
უტურფესი და უნაზესი კაცთ ნაშიერი.
ასეთ ტურფა ქალს, საცა წახვალ, ყველგან შეხვდები;
ისინი გულებს სიყვარულით აჯადოებენ
და ჯადოსნური მეტყველებით, კეკლუცი ქცევით,
თვითონ მრისხანე ჯოხილეასაც კი მოსტეხავენ;
მათ შეუძლიათ ბჭმუნვარ სახეს ღიმი მოჰფინონ,
გულს, მიუკარებს, სიტკბოება განაცდევინონ,
გადააქციონ რკინასავით ვაჟკაცი მოხად;
მოხიბლონ უცებ, აღიტაცონ და მიიზიდონ,
ვით მტკიცე რკინას მიიტაცებს თვისკენ მაგნიტი.
განა უბრძოესი სოლომოხიც, განთქმული მეფე,
ქალის მშვენებამ და სიტურფემ არ დააბრმავა?!“

იმას სასწრაფოდ უპასუხა სატანამ ასე:
„ბელიარ, თვითონ ძველთაგანვე ავხორცი იყავ,
ქალის გულისთვის გიჟდებოდი, ცნობას ჰკარგავდი
და იმიტომაც ფიქრობ ახლა, რომ სხვაც ვერავინ
მის სილამაზეს ვერ გაუძლებს, ვერ აღუდგება!
თუნდაც სოლომონს რომ ახსენებ, ის ბრძენი მეფე
ფუფუნებასა და პატივში ცხოვრობდა მუდამ
და იმიტომაც გახდა ადვილსაცთუნებელი.
მაგრამ ამჟამად ვისიც გვინდა ჩვენ გაცურება,
სოლომონზედაც ბრძენი არის და თუნდაც ნახო
ქალი ისეთი, სილამაზით ღვთაებას ჰგავდეს,
თუნდაც ღირსაჰყოს იგი ქალი, თვალი შეავლოს,—
მყის გაუქრება, მოშორდება ვნება დედაკაცს,
რადგანაც ეშხი იმორჩილებს მხოლოდღა სუსტებს,
უბადრუკებსა და მერყეევებს,—ძლიერებისთვის
ის სათამაშო ტიკინადღა თუ გამოდგება.
მის საცთუნებლად ეს ხერხი არ გამოგვადგება,
უფრო მაღალი, ღირსეული რამ უნდა ვცადოთ,
ისეთი რამე, მტკივნეულად რაც შეეხება
ღირსებას, პატივს, დიდებასა და ხალხში სახელს,—
ძალიან ბევრი გამოცდილი, მარჯვე ვაჟკაცი
ამ პიტალო კლდეს სასიკვდილოდ შეხეთქებია;

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ანდა იქნება სადღეისოდ გამოვიყენოთ
ადამიანთა მიწიერი სისუსტე ერთი;
იგი შიმშილობს და საკვებიც არ იშოვება
იმ უდაბნოში, სადაც ახლა მარტოკა დაძრწის.
მეც არ გავუშვებ ამ შემთხვევას, ბედს კიდევა ვცდი."

თქვა ეს სატანამ და გაისმა ყოველის მხრიდან
მოწონების და გამხნევების შეძახილები.
თან გაიყოლა მან რჩეული დასი სულების
და სათითაოდ დარიგება მისცა სუყველას,
თუ როგორა სჯობს მოქცევა და თავისდაჭერა.
გავერანებულ უდაბნოსკენ მიეშურება,
სადაც იესომ იმარხულა დღეი ორმოცი,
და ულრან ტყეში, მარტოდმარტო მოხეტიალეს,
შიმშილის გრძნობა მხოლოდ ახლა აღეძრა მწვავედ.
ასე ამბობდა ის თავისთვის, დაღონებული:
„სად უნდა იყოს ნეტა ბოლო? ორმოცი დღეა
ასე ვშიმშილობ და უჭმელი დავეხეტები,
მაგრამ აქამდე არ მიგრძვნია, რაა შიმშილი,
მიტომაც ამას ვერ მივითვლი დამსახურებად,
ამ მარხულობას ვერ მივიჩნევ მძიმე გამოცდად.
ახლა პირველად შემაწუხა მწარე შიმშილმა,
მაგრამ შიმშილით წამებისა არ მეშინია,
არც მსურს ვიფიქრო საზრდოზე და უჭმელობაზე,
რადგან მთელი ეს ორმოცი დღე მე მასაზრდოებს
ფიქრები წმიდა და ზეცამდე ამაღლებული,
რაც ძალას მმატებს და უფრორე აღმაფრთოვანებს
ის შევასრულო, წმიდა მამა რასაც მიბრძანებს!"

ჩამოწვა ღამე და ძე ღვთისა, მძიმედ დაღლილი,
დასასვენებლად ულრან ტყეში, ერთ ხის ქვეშ მიწვა.
ძილში ესიზმრა სანუკვარი საჭმელ-სასმელი,
როგორც საერთოდ ხდება ხოლმე, როცა კაცს შია.
ესიზმრა, თითქოს ყვავ-ყორნები რქის ნისკარტებით
საზრდოს აწვდიდნენ გამალებით წმიდა ილიას,
ვისთანაც იგი ახლა ტაბლას ინაწილებდა.
ასე გავიდა მთელი ღამე. ხოლო ცისკრისას,
როს ტოროლები, გათენების მაუწყებლები,
ბუდეებიდან დაფეთებით აიშლებიან,
აიჭრებიან მაღლა ცაში და მხიარულად
შემოსძახებენ განთიადის ტკბილ საგალობელს,
ადამიანთა დიდმა მხსნელმაც გამოიღვიძა
და ზეწამოდგა მაშინათვე ჩიტის სიმარდით.
მხოლოდღა მაშინ იგრძნო მწვავედ, რომ ყველაფერი,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რაც მან იხილა—მოჩვენება, სიზმარი იყო,
ხოლო შიმშილი აწვალებდა ისევ და ისევ.
მაშინ წავიდა და ერთ გორაკს მოექცა თავზე,
იქნება სადმე უბადრუკ ქოხს მოვჰკრაო თვალი,
ან ცხვრების ფარეხს, ანუ ფარას, საძოვრად გაშლილს.
მაგრამ არც ქოხი, არც ფარეხი, არც ფარა ჩანდა,
შორს დაინახა მხოლოდ ჭალა, თვალისმომჭრელი,
სადაც ჩიტები გალალებით დანავარდობდნენ,
და ჩვენი მხსნელიც გაემართა იმ ჭალისაკენ.
შემოეყარა კაცი ვინმე, მდიდრულ ჩაცმული,
რომელმაც უფალს ასე უთხრა მჭევრმეტყველურად:

„ჰა, დაგიბრუნდი, რომ ერთგულად მოგემსახურო;
ახლა მით უფრო მეტად მიკვირს, რომ ძე უფლისა,
დაეხეტება მარტოდმარტო ამდენი ხანი
და ისიც ვიცი, რომ აწუხებს მწარე შიმშილი.
როგორც ამბობენ, გადმოცემით, ამ უდაბნოში,
ადრეც ყოფილან. გამოიქცა თურმე აგარი
და ანგელოზთა მიანიჭეს სიმშვიდე სრული;
ამ უდაბნოში შიმშილით მთლად ამოწყდებოდნენ
ისრაელთ ძენი, მაგრამ ღმერთმა ალარ გასწირა,
გადმოაფრქვია გულუხვობით მანა, ციური.
აქვე ილია მოაბრუნეს ორჯერ საზრდოთი
და მხოლოდ ერთი—შენ, ძე ღვთისა, ორმოცი დღეა,
მარტო დადიხარ და მშველელიც არავინ არის.“

მაშინ იესომ უპასუხა სატანას ასე:
„ამითი ვითომ რისი თქმა გსურს? ნუ დაივიწყებ:
მათ სჭირდებოდათ დახმარება, მე—არ მჭირდება“.
„მაშ რადა გშია?—შეესიტყვა მაშინ სატანა,—
მართალი მითხარ, საჭმელი რომ დაგიდგან წინა,
ხელს არ შეახებ, არ გასინჯავ, არ დანაყრდები?“
„საქმე ის არის, ვინ მომაწვდის მე საჭმელ-სასმელს!“
მას შეესიტყვა გაიძვერა მაცთუნებელი:
„მაინც არ მესმის, ვის უპირებ უარის თქმასა,
როცა ყოველი არსი ქვეყნად შენი მონაა
და შენ გეკუთვნის ყველაფერი, თვალით ხილული!
ალარას ვამბობ ცხოველებზე, რომელთაც მუდამ
მსხვერპლად სწირავენ ბომონებში ალმართულ კერპებს.
მხოლოდ ყმაწვილმა დანიელმა ალარ ინება,
რომ გაესინჯა სამსხვერპლოში ამგვარი საზრდო;
ალარც მტრის მიერ მოწოდებულ საჭმელ-სასმელზე

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გეტყვი რაიმეს, თუმცა დიდი გაჭირვების დროს,
ვინ უნდა იყოს, არ წასძლიოს სულმა, არ ჭამოს?!
მაგრამ იცოდე, აირია მთელი ბუნება,
ყველგან შეძრწუნდა ყველაფერი, როცა გაიგეს,
რომ შენ მარხულობ და განიცდი მწარე შიმშილსა.
შეხედე, როგორ ყველაფერი შენკენ ისწრაფვის,
რათა თაყვანი, ღმერთის დარი, შენცა გცეს—მის ძეს,—
ოღონდ ინებე—მდიდრულ ტაბლას გაშლიან მყისვე".

ეს კი მართლაც რომ აღარ იყო უკვე სიზმარი.
მიმოიხედა ქრისტე-ღმერთმა და სახტად დარჩა.
იქვე, მახლობლად ხეთა ჩრდილში, თვალისმომჭრელად
მეფური სუფრა გაეშალათ, ხორაგით სავსე;
მადისალმძვრელი საჭმელები, მრავალნაირი,
ზვინად ელაგა იმ სუფრაზე: ნადირის ხორცი,
თევზი შემწვარი, მოხარშული, ნაირნაირი,
ირგვლივ სანუკვარ ამბროზიას სურნელს აფრქვევდა...
ის ვაშლი, რითაც სამოთხეში აცთუნეს ევა,
გეჩვენებოდათ უღირს რადმე, არარაობად!
იმავ სუფრასთან გაეშალათ მეორე სუფრაც,
რაიც აფრქვევდა ღვინოების საამურ სურნელს;
ჩამწკრივებულნი, იმ სუფრასთან იდგნენ ჭაბუკნი,
გამოწყობილნი დიდებულად, ტანახოვანნი
განიმედსა და ჰილასზედაც უფრო ტურფანი;
იქავე იყვნენ ნიმფები და ფერია ქალნი,
ტურფა დიანას სანაქებო მოახლეები,
რომლებიც ახლა აქეთ-იქით დაცქრიალებდნენ
და ციმციმებდნენ სამსახურად გამზადებულნი.
ჰაერს ატკბობდა საამური მუსიკის ჰანგი,
ნიავი ნაზად დაჰქროდა და მსუბუქი ფრთებით
მიჰქონდ-მოჰქონდა სანუკვარი ყვავილთ სურნელი...
გულისმომტაცი იყო მართლაც იქ ყველაფერი
და ვერაგულად კვლავ განაგრძო მაცთუნებელმა:

„რაღას ყოყმანობ, ძეო ღვთისა, რაღას აყოვნებ,
რად არ გასინჯავ, არ იგემებ ამ ნუგბარ საჭმელს?
ამათი ჭამა ღვთის კანონსაც არ აუკრძალავს.
ეს ხომ არ არის აკრძალული ხილი ცოდნისა,
რომელიც მყისვე ბოროტების ცოდნას შთანერგავს;
პირიქით, ამით საჭიროა გაჯანსაღება,
რომ უფრო კარგად დაამარცხო მტერი—შიმშილი;
ეს მოგანიჭებს სიტკბოებას, ძალას შეგმატებს,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ეს ფერიებიც, წყლებისა და ჰაერის სულნი,
მოვიდნენ, რათა თაყვანი გცენ შენ საკადრისი
და გაღიარონ თავის ღმერთად, თავის მბრძანებლად.
რაღას ყოყმანობ, ძეო ღვთისა, დაჯექი, ჭამე!"

მაგრამ იესომ უპასუხა აუღელვებლად:
„აკი თვით ამბობ, ყველაფერი შენ გეკუთვნისო,
მაშ, რათ მივიღო ეს საჭმელი საჩუქარივით.
შენ ფიქრი ნუ გაქვს, რომ მინდოდეს, მეც შემწევს ძალა,
ასევე სწრაფად უდაბნოში გავშალო სუფრა,
გამოვიწვიო ანგელოზნი და მარდი ფრთებით,
ზეცის ნათელით საამურად მოელვარენი,
მოვიმსახურო. შენს სამსახურს რაღას მთავაზობ?
ნუ შეგაწუხებს აგრერიგად ჩემი შიმშილი.
სუფრა, მდიდრულად გადაშლილი, მე მეზიზღება,
რადგან შენს თვალში ვხედავ მხოლოდ გაიძვერობას".

სატანამ წყენით უპასუხა ჩვენს წმიდა დამხსნელს:
„თვითონვე ხედავ, ძალა შემწევს, მეც მოგიძღვნიდე,
და რაკი ამის შეძლება მაქვს, ამ უდაბნოში
მინდა მოგიძღვნა გულწრფელადა და სათნოებით;
შენ გაგიჭირდა—და მეც მოველ დასახმარებლად,
რატომ არ გინდა, საჩუქარი მიიღო ჩემი?
ყოველი ჩემი საქციელი ეჭვს რათ აღგიძრავს?!
მაშ ასე იყოს, ეს ნუგბარი საჭმელ-სასმელი
იმათ მოხმარდეს, ვისაც უჭირს კაცთაგან მეტად,
ვინც უფრო კარგად დამიფასებს გამასპინძლებას".

თქვა და მყისავე გაქრა სუფრა, ისმოდა მხოლოდ
ქარის შრიალი, ჰარპიების ფრთების ტკაცუნი;
დარჩა მხოლოდღა გაიძვერა მაცთუნებელი
და თვისი სიტყვა, არამზადამ, ასე განაგრძო:
„შიმშილმა, რაიც ყველას მოსდრეკს, ყველას ამარცხებს,
შენ ვერ მოგხარა, წარბიც კი ვერ შეგარხევინა;
რაც ადამიანს აცთუნებს და მთლიანად გასტეხს,
შენ სულ უბრალო სურვილიც არ აღგიძრა იმან.
მართლაც ერთგული დარჩი უფლის დიდი განზრახვის.
მაგრამ მითხარი, ამ განზრახვას რით შეასრულებ?!
როდესაც გინდა შეასრულო დიდნი საქმენი,
ძალაც ასევე უნდა გქონდეს განუზომელი;
შენ კი არც გიცნობს ჯერ ქვეყანა ხეირიანად.
ხარ ღატაკი და შესაბრალი, არაფრისმქონე,
უმეგობრო და უთვისტომო, მდაბიო ვინმე,
შიმშილობ მწარედ, უდაბნოში დაეხეტები!..

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„ველარ მივმხვდარვარ, როგორ გინდა მისწვდე დიდებას,
ნეტა რაზე გაქვს იმედები დაფუძნებული!
როგორღა ფიქრობ, გადიბირო უგნური ხალხი,
ის იმას გასდევს, ვისაც ძალუძს გამასპინძლება!
მეგობარს, პატივს, გამარჯვებას და ტახტს ელვარეს,
მხოლოდ და მხოლოდ უფლებით თუ გაიჩენს კაცი.
თუნდ ანტიპატრი, როგორ გახდა ტახტის მფლობელი,
ის და მისი ძე, როგორ გახდნენ დიდი მეფენი?
ოქროს წყალობით! და შენც თუ გსურს შენთვის დიდება,
ჯერ შეეცადე გამდიდრებას, ოქრო იშოვნე;
ამას ადვილად მოახერხებ, მევე გიშველი—
ბედნიერებაც და სიმდიდრეც—ხელთა მაქვს ყველა.
ვისაც მე ვწყალობ, მას დოვლათი თავზე გადასდის,
სიბრძნეს, გმირობას, სათნოებას არვინ აფასებს
და სული ხდებათ ჯოჯოხეთურ გაჭირვებაში“.

იესომ ახლაც მოთმინებით მას უპასუხა:
„რატომ ივიწყებ, რომ ეს სამი სიკეთე არის
წყარო ყოველგვარ ნეტარება—ბედნიერების!
თუ ეს არა გაქვს—უძლურია შენი სიმდიდრეც.
ფულით, სიმდიდრით ძლიერებას ვერვინ შეიძენს,
თუნდ შეიძინოს, დიდხანს ველარ შეინარჩუნებს.
ამას ამტკიცებს მაგალითი მრავალ მეფეთა—
რომელთაც, როცა მიაღწიეს სრულ აყვავებას,
გამოეცალათ საძირკველი და განადგურდნენ;
ხოლო ღატაკთა მიაღწიეს მართალ დიდებას,
რადგანაც იყვნენ სათნოებით ამაღლებულნი.
რატომ გგონია, ვერ ვეწევი ბედნიერებას
და მაღალ მიზნებს, ნებას ღვთისას, ვერ შევასრულებ.
ტყუილად ცდილობ, აამაღლო სიმდიდრე ფუჭი,
ის სათაყვანოდ დაუსახავს მხოლოდ რეგვენებს,
ხოლო ბრძენთათვის, ტვირთი არის, მახე საშიში,
სიმდიდრე მხოლოდ სათნოებას გავლენას აცლის;
შენ აქ ახსენე მეფობა და მბრძანებლობაცა,
ესეც ოქროზე არა ნაკლებ მე მეზიზღება;
მეფის გვირგვინი, გარეგნულად სხივმომფინარე,
სინამდვილეში ძეძვისა და ჯაგისა არის;
და დიადემას, მონარქისას, ძალიან ხშირად
თანა სდევს შიში, შეშფოთება, განწირულება;
პირველი მეფე, ჭეშმარიტი, უმამაცესი,
ის არის მხოლოდ, ვისაც ძალუძს თმენით, სიდინჯით,
საკუთარივე ვნებათღელვა, სურვილი მართოს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ამის მიღწევა ძალუძს ყველა ღირსეულ კაცსა.
თუ ვერ მიაღწევს, სულერთია, არ შეეძლება
ხალხს უწინამძღვროს, თვითნება ბრბოს უხელმძღვანელოს.
როცა გულშიაც ვნებათღელვა ვერ დაუთრგუნავს.
„მეფის ღირსებას და ამაო ძალმომრეობას,
განა არა სჯობს, რომ ხალხს ბნელში წმიდა მოძღვრებით
გზა გაუნათო, აზიარო ჭეშმარიტებას?!
ვინც ამას შესძლებს, ვინც თავის სულს დაიმორჩილებს,
ის ჭეშმარიტი გმირია და დიდების ღირსი.
არა მჭირდება მე სიმდიდრე, იგი ფუჭია,—
უსარგებლოა თავისთავად და მეფის კვერთხის
მოსაპოებლად რადღა ვძებნო, როდესაც ხშირად
ისა სჯობია, აიცილო თვითონ მეფობაც.“

www.PDF.ChiaturaINFO.GE

www.PDF.ChiaturaINFO.GE

წიგნი მესამე

შინაარსი

სატანა ცდილობს იესოს გაუღვიძოს დიდების წყურვილი, მრავალ მაგალითს უამბობს ადრეული პერიოდის დიდი ადამიანების გმირობისა და, საერთოდ, დიდთა საქმეთა შესახებ. ჩვენი უფალი პასუხად მიუთითებს ამქვეყნიური დიდების ამაოებაზე და მას უპირისპირებს სარწმუნოების ძალი ნოთმინებისა და სიბრძნის ჭეშმარიტ დიდებას. მაშინ სატანა დიდების სიყვარულს ამართლებს თვითონ ღმერთის მაგალითით, რომელიც თავისი ქმნილებებისაგან ქება-დიდებას მოითხოვს. იესო ასაბუთებს ასეთი დასკვნის სიყალბეს, ამბობს, რომ სიკეთე ჭეშმარიტი ნიადაგია დიდებისათვის, და ამიტომაც იგი დიდ შემოქმედ შეეფერება კიდეც, ხოლო ცოდვილ ადამიანს ნება არა აქვს დიდებაზე ეძიოს. მაშინ სატანა იესოს მოაგონებს თავის უფლებას დავითის ტახტზე, ეუბნება რომ იუდეველთა სამეფო ახლა რომის პროვინციას წარმოადგენს და დიდი მოხერხება დაგჭირდება, უკანვე დაიბრუნოო. აქეზებს, დრო აღარ დაკარგოს და დაუყოვნებლივ შეუდგეს მეფობას. იესო უპასუხებს— ამასაც, ისევე როგორც სხვას ყველაფერს, თავისი დრო აქვსო; მერე მოაგონებს სატანას მის ძველ ტანჯვას და ჰკითხავს, რათა ხარ დაინტერესებული მისი დიდებით, ვისაც ამაღლება შენს დაცემას მოასწავებსო. სატანა შეესიტყვება, ეტყვის რომ მისი განწირულება მას იმედის ნასახსაც არ უტოვებს, მაგრამ შიშსაც უქარწყლებს; გარდა ამისა, — ამბობს იგი, — ვიცი რომ ჩემი სასჯელი ისეთივე დარჩება, ამიტომ სულაც არა ვარ დაინტერესებული ხელი შევუშალო იმის გამეფებას, რომელმაც იქნებ ჩემს სასარგებლოდ შუამდგომლობა გასწიოსო. სატანა კვლავ ცდილობს აცთუნოს იესო, რომლის განდიდებისადმი გულგრილ დამოკიდებულებას იგი ამას მიაწერს, თითქოს ძე ღვთისა ჯერ კარგად არ იცნობდეს ქვეყანას და ქვეყნიურ დიდებას, ამიტომ მაღალ მთაზე აიყვანს მას და იქიდან აზიის მთავარ სამეფოებს დაანახებს. განსაკუთრებით მიაქცევს მის ყურადღებას პართიელების საომარ მზადებაზე სკვითების წინააღმდეგ. ეუბნება, ეს განგებ დაგანახვე, რათა თვითონვე მიხვდე, როგორ აუცილებელია სამხედრო ხელოვნება ხელისუფლების შესანარჩუნებლად, ხოლო უფრო ადრე ხელისუფლების მოსაპოვებლადო; არწმუნებს, იუდეველთა სახელმწიფო ვერ გაუმკლავდება ისეთ ძლევამოსილ მეზობლებს, როგორიც არიან რომაელები და პართიელები, ხოლო ამიტომ აუცილებელია ერთ-ერთ მათგანთან კავშირი დაამყაროს; ამავე დროს იგი ურჩევს პართიელებთან კავშირს: რადგან მაშინ შენს ძლიერებას ვერაფერს დაკლებს რომი და კეისარი, პირიქით, საშუალება მოგეცემა შენი დიდება შორს განავრცო, და, რაც ყველაზე მთავარია, იუდეველთა ტახტი ნამდვილ დავითის ტახტად აქციო, გამოიხსნა ისრაელთა ათი ტომი, რომლებიც ჯერ კიდევ მონობაში არიანო. იესო მოკლედ შენიშნავს სამხედრო ძლიერების ამაოებასა და ქვეყნიური იარაღების უსუსურობაზე: როცა ტახტზე ასვლის დრო დამიდგება,—ეტყვის იგი,—მაშინ არ დავაყოვნებ; მერე შენიშნავს სატანას დაუცხრომელ მისწრაფებას ისრაელების გასათავისუფლებლად, რომელთა მარადიული მტერი თვითონვე იყო; განაცხადებს, ისინი მონებად იქცნენ მხოლოდ იმის გამო, რომ კერპებსა სცემენ თაყვანსო. ბოლოს კი დასძენს, ვინ იცის, იქნებ ღმერთმა საბოლოოდ შეიწყნაროს ისინი, და თავისუფლება და სამშობლო მიწა-წყალი დაუბრუნოსო.

ეს თქვა ძე ღვთისამ შთაგონებით, ხოლო სატანა
ისე დაიბნა, კრინტის დაძვრაც ვერ მოახერხა,
აღარ იცოდა, რა ეთქვა და რა ეპასუხნა;
მთლად განადგურდა, თვითვე გრძნობდა თავის დასკვნების,
თავის მსჯელობის სიყალბეს და უსუსურობას.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბოლოს გველური ცბიერება კვლავ მოიკრიბა
და დაყვავებით უპასუხა ჩვენს წმიდა მხსნელსა:

„ვხედავ, რომ იცი, სასარგებლო რაც კი რამ არის,
ყოველგვარ კითხვას შეგიძლია პასუხი გასცე,
და შეისრულო ჩინებულად გულის წადილი.
სიტყვები შენი საქმეს კარგად ეფარდებიან,
და რასაც ამბობ, ამბობ გულით, წმიდა გრძნობებით.
თვით შენი სული სრულყოფილი ხატება არის
სიბრძნის, სიქველის, სათნოების, ჭეშმარიტების.
მაგრამ ეს მიკვირს, რას უმალავ შენს ღვთიურ ნიჭსა,
განმარტოებით რატომ ცხოვრობ, ან უდაბნოში
ასე ეული, უთვისტომო რად ეხეტები?!
ხალხს და ქვეყანას სასწაულებს რად არ აჩვენებ,
ან შენს ხოტბასა და დიდებას რატომ აკლდები,
დიდებას—ქვეყნად უბადლოს და ერთადერთ ჯილდოს,
რაიც აქეზებს უმაღლესი მისწრაფებისკენ
უდიდესსა და უსპეტაკეს ჭკუას აღაგზნებს,
და იმ უმაღლეს გონებასაც მოიცავს სულმთლად,
რაც სხვა ყველაფერს, ამქვეყნიურს სიამტკბილობას
ზიზღით დასცქერის, და სიმდიდრეს, განძეულობას,—
სხვები მონად რომ უხდებიან,—ის არად აგდებს?!
დიდი ხანია, რაც მომწიფდი და დავაჟკაცდი;
მაკედონელმა ფილიპეს ძემ, შენზე უმცროსმა,
მთელი აზია დაამარცხა და მედიდურად
წამოიჭიმა თვით კიროსის სამეფო ტახტზე;
თუნდ სციპიონიც, ახალგაზრდა იყო სრულიად,
როცა კართაგენს საამაყო კარები შეხსნა;
პომპეოსმა კი პონტოს მეფე დაიმორჩილა
და ზეიმზარით შეგრილდა რომის ქუჩებში.
თუმცა არც ხანი არ აბრკოლებს სვლას დიდებისკენ,
პირიქით, ზოგჯერ ათკეცადაც გააძლიერებს.
იულიუსი, ვისი საქმე ახლაც კი უკვირთ,
რაც უფრო ხანი, წლოვანება ემატებოდა,
მით უფრო გზნებით ისწრაფოდა დიდებისაკენ.
იგი ტიროდა უსარგებლოდ დაკარგულ წლებზე.
შენ კი ჯერ დრო გაქვს, განდიდება ჯერ ისევ ძალგიძს“.

მას კაცთა მხსნელი დამშვიდებით შეეპასუხა:
„ამაოდ შერეები, ვერაფრით ვერ დამიყოლიებ,
მბრძანებლობისთვის არ დავიწყებ სიმდიდრის ძებნას
და არ ვეცდები მბრძანებლობას განდიდებისთვის.
ან კი რა არის ეს დიდება, რის მაქნისია?
იფეთქებს, როგორც ნაპერწკალი, და მყის ჩაქრება!
ან ტაში რაა, რაა ხალხის ხოტბა მაღალი?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თვით ხალხი რაა? შერეული ჯოგია მხოლოდ,
რომელიც ზოგჯერ ისეთ რამეს აიყვანს ცამდე,
რაიც, უბრალოდ, მოწონების ღირსიც არ არის;
აქებს და ხშირად არც კი იცის, ვის უძღვნის ქებას
უხარია და არც კი იცის, რა აღფრთოვანებს;
ერთი იტყვის, და იმეორებს სხვა გამწარებით.
აბა რად უნდა გამეხარდეს მათგან შექება,
რად მინდა გავხდე საჭორაო, სალაპარაკო,
მათგან გაკიცხვა უფრო მეტად სასიამოვნო;
სწორედ ის არის ბედნიერი, ვინც ეს შეიგნო.
მათ შორის ბრძენი, გონიერი მეტად ცოტაა,
ცოტა—დიდებას ვერასოდეს ვერ დაგიმტკიცებს.
„მაგრამ დიდება, ჭეშმარიტი, ის არის სწორედ,
როცა უფალი გადახედავს ზეციდან მიწას,
შენიშნავს კაცსა სამართლიანს და ალალმართალს,
ქებას მიუძღვნის გულწრფელსა და დამსახურებულს,
და ანგელოზნიც ჭეშმარიტად გაიხარებენ.
სწორედ ეს მოხდა, როცა ღმერთმა აქო იობი,
და რომ ეს ქება მოეფინა სასუფევლისთვის,
შენ გკითხა,—შენდა სამარცხვინოდ ეს ალბათ გახსოვს,
შენ გკითხა: „ჩემი მონა იობ იხილე განა?“
ზეცაში იმას ადიდებენ, თაყვანსა სცემენ,
ხოლო მიწაზე არც იცნობდნენ ხეირიანად;
სადაც დიდება ყალბი არის, არაგულწრფელი,
მას ადიდებენ, ვინც არ არის ღირსი ქებისა.
ის დიდად ცდება, ვინცა ფიქრობს—ხალხის დაპყრობით,
ქვეყნების ნგრევა-აოხრებით, ხოცვით და ჟლეტით,
ომის მოგებით, ქალაქების ალყით აღებით,
საქმეს აკეთებს სადიდებელს და ამაღლებულს.
რასა სჩადიან ეს ქებული ვაჟბატონები?
ძარცვავენ, გლეჯენ, ყელსა სჭრიან, ცეცხლში ახვევენ,
მშვიდობიან ხალხს იმონებენ, ახლოსაც, შორსაც,
მათ ატყვევებენ, ვინც ღირსია თავისუფლების,
იმათზე მეტად, ვიდრე თვით ეს გამარჯვებულნი,
რომელთაც უკან აღარ რჩებათ აღარაფერი,
განადგურების, ჟლეტისა და მოსპობის გარდა.
თავხედდებიან, სიამაყის საზღვარს ვერ გრძნობენ
და მოითხოვენ განდიდებას უფლისა დარად,
თავსა სახავენ სათნოების გამომხატველად,
კაცობრიობის დამხსნელად და გადამრჩენელად;
მოითხოვენ, რომ სათაყვანო კერპი აუგონ,
სადაც ქურუმნი სასოებით მსხვერპლს შესწირავენ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ერთი თავს იქებს და ზვიადობს ზევსის შვილობით,
იქით მეორე მედიდურობს, მარსის ძე ვარო,
მანამ სიკვდილი—ეს ნამდვილი დამმარცხებელი,
არ მივა მათთან. მაგრამ მასაც გაუჭირდება,
მანკიერებით, ბოროტებით, მედიდურებით
სახეშეცვლილი მსხვერპლის ცნობა; აი ეს არის,
ჯილდო იმათთვის შესაფერი და ღირსეული.

„მაგრამ თუ მართლაც სიკეთეა ესე დიდება,
მისი მიღწევა შეიძლება სულ სხვანაირად;
არა ომებით, ძალადობით, მედიდურობით,
არამედ სიბრძნით, მოთმინებით, თავდაჭერითა
და ჭეშმარიტი მამაცობით, მშვიდობიანით.
ახლაც იმავე სადიდებელს დაგისახელებ:
ვინ არ ახსენებს სასოებით იობის თმენას?
თუნდაც სოკრატი, (ეს მეორე იობი ქვეყნად
რომელმაც თავის მოძღვრებისთვის სული დალია,
რათა დაეცვა, აღედგინა ჭეშმარიტება,)
განა დიდებით დამპყრობელებს არ უტოლდება?..
ვინც მამაცობას სახელისთვის, ქებისთვის სჩადის,
მამაცობისთვის ჯილდოს ღირსი არ არის იგი.
რათ ვსდიო სახელს და დიდებას, რასაცა კაცნი
პატივმოყვარე, მედიდურნი ეძებენ მხოლოდ,
თუმცა არა აქვთ შესაფერი დამსახურება!
მე სახელს ვეძებ არა ჩემთვის, არამედ მ ი ს თ ვ ი ს,
ვინც წარმოძგზავნა ქვეყნად დიდი საქმეებისთვის“.

მაცთუნებელმა უპასუხა ფარული ბოღმით:

„ასეთი ზიზღით რად ახსენებ აბა დიდებას?
ამით დიდ მამას, ზეციურსა, სულაც არ გავხარ;
დიდებისათვის შექმნა იმან მთელი სამყარო,
რასაც ის მართავს მედიდურად, ყველას მბრძანებლობს;
ქება-დიდება აღარ ეყო ანგელოზთაგან
და ახლა ხოტბას კაცთაგანაც მოითხოვს იგი,
ყველა კაცისგან—სულერთია, ვინც უნდა იყოს,
გონიერი თუ უგუნური, სულელი ვინმე.
მსხვერპლის მიტანას და წმიდა ძღვენს—ის ქებას არჩევს;
ქება-დიდებას ის მოითხოვს ყველა ხალხისგან—
ებრაელთაგან, ბერძენთაგან, ბარბაროსთაგან,
ჩვენგან—მტრებისგანც კი მოითხოვს ქება-დიდებას“.

მას კაცთამხსნელი გაცხარებით შეეპასუხა:

„მერე რა მოხდა?! ღირსიც არის ქება-დიდების,
რადგანაც მისმა სიტყვამ შექმნა სუყველაფერი,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თუმც წმიდა საქმე დიდებისთვის არ დაუწყია.
იმას უნდოდა ყველას მიმართ გამოეჩინა,
გულმოწყალება და სიკეთე დაუცხრომელი.
მაშ რაღა უნდა მოეთხოვა სამაგიეროდ,
თუ არ დიდება, თუ არ ქება მადლიერთაგან?!
მაშ სიკეთის წილ—კიცხვა უნდა მიიღოს ჯილდოდ?!
მეტად ბილწი და უბადრუკი ჯილდო იქნება,
ამდენი ქველი და კეთილი საქმეებისთვის!
ადამიანი რისთვის უნდა ელოდოს ქებას?
რა გააჩნია ქებისა და დიდების ღირსი,
სინამდვილეში, ის შერცხვენის ღირსია მხოლოდ!
ის ვერაგულად გადაუდგა ღმერთს და ღვთის კანონს
და ამის გამო გამოაკლდა ცის ნეტარებას.
მაგრამ წყალობა მეუფისა უსასრულოა,
თავის საკუთარ დიდებაზე არც კი ოცნებობს,
იგი ისწრაფვის აღამაღლოს მხოლოდ ისინი,
ვინც დიდ შემოქმედს ხოტბასა და ქებას მიუძღვნის"

ასე უბნობდა ძე უფლისა. ხოლო სატანა
იდგა დარცხვენით, ხმის გაღებაც ვერ გაებედნა...
მაგრამ სწრაფადვე გონს მოვიდა და ცბიერებით
წმიდათა-წმიდა ჩვენს გამომხსნელს შეეპასუხა:
„სთქვი, რაცა გსურდეს! როგორც გინდა, ისე იმსჯელე!
მაგრამ იცოდე, გაჩენილი ხარ მეფობისთვის,
დავითის ტახტის უნდა გახდე დიდი მემკვიდრე,
ეს ასეც არის დაწერილი და ყველამ იცის.
მაგრამ მბრძანებლის ხელში არის შენი უფლება;
ძალა-უფლების დაბრუნებას როგორ აპირებ
უდაბნოებში ხეტიალით? განმარტოებით?
არა, სჯობს მალე დაიბრუნო წინაპართ ტახტი
და გახდე მეფე მბრძანებელი, შიშისმომგვრელი".

მას უპასუხა კაცთა მოდგმის გადამრჩენელმა:
„როცა დრო მოვა, შესრულდება მაშინ ყოველი,
სწორედ ისევე, როგორც არის ეს დაწერილი.
იქნებ თვით ღმერთმა სწორედ ასე მე დამიწერა,
ვიყო მორჩილი, მოვითმინო შეურაცხყოფა,
წყენა და ზიზღი, ძალადობა, ძალმომრეობა,
რათა საერთო მორჩილებას მან შემაჩვიოს;
ვისაც არ უჭირს გადატანა ტანჯვა-წამების,
იგი ყოველგვარ საქმეშიაც კარგი იქნება.
ყველაზე კარგი მბრძანებელი ის არის მხოლოდ,
ვინც თავიდანვე მორჩილებას არის ჩვეული,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რაში მჭირდება შენი ზრუნვა ან შენი რჩევა?!
ნეტა რას ცდილობ, რომ მაცთუნო ამ შეკითხვებით?
იქნებ არ იცი, რომ დრო მოვა—შენი დალუპვით
მე განვდიდდები, ავმაღლდები თვითონ ზეცამდე".

სატანას მყისვე დაუარა ძრწოლვამ, კანკალმა,
მაგრამ ჩვენს დამხსნელს მაინც ასე შეეპასუხა:
„დე რაც მომივა, მომივიდეს, რადგან არა მაქვს
ღვთისგან იმედი შეწყალების და სიკეთისა,
და სად იმედი აღარ არის—იქ არც შიშია.
დამქანცველია ეს ლოდინი, გულისწამღები,
უბედურება სჯობს კიდევაც გაურკვევლობას.
გინდა იმეფე, გინდა არა, ეს სულერთია,
რადგანაც ვიცი, რომ შენ გამო მე დავისჯები.
მაგრამ იმედის შუქს მისახავს მე შენი სახე,
ვიცი ჩადგები შენ ჩემსა და უფლისა შორის,
რომლისაც რისხვა ჯოჯოხეთზე უფრო მაშინებს;
შენ ჩემს ძფარველად კედელივით აღიმართები!
ანდა იმ ღრუბელს ემსგავსები, რაც ცხელ ზაფხულში,
ჩრდილს მოგვანიჭებს და დაგვიცავს მწველი მზისაგან.
ფეხს ნუღარ ითრევ, ნუ აყოვნებ იმ ტახტთან მისვლას,
სითგანაც უნდა მთლად სამყარო აბედნიერო,
და სხვაზე მეტად შენ ხარ სწორედ ამ ტახტის ღირსი.
იქნებ იმიტომ აყოვნებდე იმ ტახტთან მისვლას,
რომ ღრმა ფიქრებმა, ოცნებებმა, მისწრაფებებმა
მოგიცვეს სულმთლად, შენს მომავალ საქმეზე ფიქრობ!
არც ძიკვირს, რადგან, მართალია, შენ შემკული ხარ
გამორჩეული სიკეთითა და სათნოებით,
სული ძაღალი, სპეტაკი და წმიდათ-წმიდა გაქვს,
როგორიც არცერთს ადამიანს არ ღირსებია,
მაგრამ ცხოვრება გაატარე განმარტოებით,
და იშვიათად, მხოლოდ ერთჯერ მთელს წელიწადში,
ისიც მცირე ხნით მოხვდებოდი დედაქალაქში.
ხეირიანად, ჯერ ქვეყანა არც კი გინახავს,
არც შეიძლება, რომ იცოდე, რაა დიდება,
ვერ წარმოიდგენ, როგორია სასახლეები,
რა ფუფუნებით მორთული და რა დიდებული!
ხოლო თუ კაცსა არ ამაგრებს გამოცდილება,—
ეს ჩინებული და ბრწყინვალე მოძღვარი კაცთა,—
რაგინდა ბრძენი, გონიერი არ იყოს იგი,
მაინც იქნება მოუქნელი, მოუხეშავი,
იმ მწყემსის მსგავსად, ვინაც ვირებს დაეძებს მინდვრად,
მაგრამ უეცრად სამეფო ტახტს ჩაიგდებს ხელში.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მინდა მოგითხრო, გაგიმარტო, ვინა ხარ თვითონ,
საკუთარ თვალით დაგანახვო ქვეყნის დიდება,
მაშინ თვითონვე გაიგებ თუ როგორ იბრძოლო!“

ისეთი ძალა ჰქონდა იმას მინიჭებული,
რომ მყისვე ღვთის ძე აიყვანა ერთ მაღალ მთაზე.
მთიდან მოჩანდა ვრცელი ველი, მწვანით მოსილი,
აქეთ და იქით—დაკლაკნილი ორი მდინარე,
რანიც სათავეს სწორედ იმ მთის ძირში იღებდნენ
და უხვსა ტალღებს ზღვისკენ ლაღად მიაგორებდნენ;
ველზე ჯეჯილი ბიბინებდა, ვაზი ჰყვაოდა,
მინდვრებზე ჯოგი მწვანე ბალახს სძოვდა ხარბადა,
ბორცვები ცხვრების ჭრელი ფარით დაფარულიყო,
შორს კი მოჩანდა სასახლეთა დიდი კოშკები,—
ეს იყო დიდი მონარქების საბრძანებელი.
ისე ვრცლად იყო იგი ველი გადაჭიმული,
რომ ალაგ-ალაგ უნაყოფო უდაბნოც ჩანდა.
აი ამ მთაზე აიყვანა სატანამ მ ხ ს ნ ე ლ ი
და ვერაგულად წამოიწყო სიტყვა თავისი:

„ნახე, რა სწრაფად ამოვედით, ამოვიქროლეთ!
ვერ დაგვაბრკოლა ვერცა მთებმა, ვერცა ტყეებმა,
ველარც მინდვრებმა, ვერც კლდეებმა, ვერავითარმა.
იქით ხომ ხედავ, ასურეთი გადაჭიმულა,
აქეთ არაქსი და კასპიის ზღვა, ვრცლად გაშლილი,
აღმოსავლეთით—ინდოეთი, იქით—ევფრატი,
ხოლო სამხრეთით—სპარსეთის ზღვა და არაბეთი
იქით კი არის ნინევია, რომელიც ერთხელ
დიდმა ნინუსმა აღაშენა გულმოდგინებით—
დედაქალაქი, მედიდური, სალმანასარის,
რომლის დიდებას ტყვედაქმნილნი ისრაელები
ახლაც კი ისევ მდუმარედ და მწარედ მოთქვამენ!
ჰა ბაბილონიც, საოცარი საკვირველება;
იგი ამჟამად ის არ არის, რაც ძველად იყო,
კვლავ გარდაქმნა და აღაშენა სწორედ მან, ვინაც
მთლად დაიმონა ისრაელნი, დავითის სახლიც,
და ერთიანად აოხრა ერუსალიმი;
იქვე შენ ხედავ პერსეპოლსა, იქით კი—ბაქთრას,
ჰა, სელუკია, ნიზიბისი და არტაქსატი,
იქ ქთესიფონიც, ტერედონი...* ეს ქალაქები
დამონებული ჰყავთ ამჟამად პართიელებსა;
ამ რამდენიმე საუკუნის წინათ ისინი
არზაზეევსმა—პართიელთა დიდმა სარდალმა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და პართიელთა სახელმწიფოს ფუძემდებელმა,
ომით წარსტაცა, წააგლიჯა თავის ძველ მფლობელთ.
მართლაც რომ დროზე ამოვსულვართ, ძალგიძს იხილო
პართიელთ მთელი ძლიერება, სამხედრო ნიჭი,
მათი ხელმწიფე ქთესიფონში აგროვებს ლაშქარს,
რათა მიუხტეს, ააოხროს სკვითთა ქვეყანა,
მოსრნას, მიწასთან გაასწოროს მთლად სოგდიანი
აგერ, შეხედე, აბა როგორ ეშურებიან,
კარგად შეხედე, დააკვირდი,—თუმც კი შორსაა,—
საომრად როგორ აღჭურვილან, ცეცხლში ნაწრთობი
რკინის შუბები ერთნაირად შიშის ზარსა სცემს
მტერს, თუნდა მომხდურს, თუნდ დაცვაზე გამაგრებულსა
ხომ აკვირდები, ცხენებზედა ამხედრებულან,
რადგან ცხენებით გალაშქრებულთ ვერვინ აჯობებს.
შეხედე, როგორ დარაზმულან, თვალისმომჭრელად"!

შესცქერს იესო ამ უთვალავ, დარაზმულ ლაშქარს,
ამხედრებულებს ცხენებზედა, აბჯარში ჩასხმულთ;
ველარ უჭერენ თავებს ცხენებს მოლაშქრეები.
ნახა, თუ როგორ შეუერთდა მათ სხვა ლაშქრებიც
არაქოსიდან, აღმოსავლეთ კანდაორიდან,
მარგიანიდან, მიდიიდან, იბერიიდან;
ნახა, თუ როგორ შეეჭიდნენ ისინი ერთურთს,
აბჯართ სიხშირემ ბრძოლის ველი სულ დააბნელა,
ბრძოლის ყიჟინამ გააყრუა იქაურობა;
იქით მოჩანდა მკრთალად მუშა ლეგიონები;
ნიჩბით, წერაქვით, ნაჯახებით ისინი მარჯვედ,
თხრიდენ სანგრებს და ტყის ნაპირად ზვინავდნენ მიწებს,
ზოგან მდინარეს აგუბებდნენ, ზოგან ხიდს დებდნენ;
იქნევდნენ მახვილს და ისრებით ცას აბნელებდნენ!..
ამის ხილვაზე გათავხედდა უფროორე მტერი
და მხსნელ მაცხოვარს, ცბიერებით ასე მიმართა:

„რომ არ გეგონოს, თითქოს მსურდეს შენი ცთუნება,
თითქოს ვცდილობდე შენს დაღუპვას, განადგურებას,
ამოგიყვანე ამ გორაკზე, რათა იხილო,
თუ როგორ ვცდილობ დაგეხმარო გამარჯვებაში.
ახლა მისმინე—რასაც გეტყვი, კარგად განსაჯე:
თუმც ბედის წიგნში გიწერია შენ გამეფება,
ეს იცოდე, რომ დიდსა დავითს თუ არ წაბაძე,
თუ არ ეცადე მთელი შენი გულმოდგინებით,
ვერ ელირსები საუკუნოდ იმ აღთქმულ ტახტსა.
მაგრამ ვთქვათ, შესძელ და ის ტახტი ხელში ჩაიგდე,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

როგორღა ფიქრობ, რომ იმეფო მშვიდობიანად,
როცა ერთი მხრივ პართიელნი გესაზღვრებიან,
მეორე მხრიდან გავიწროებს ქებული რომი!
ერთ-ერთ მათგანთან უნდა შეჰკრა მტკიცე კავშირი,
პირადად, გირჩევ შეთანხმებას პართიელებთან,
რადგან ისინი თქვენთვის მეტად საშიშარია:
იმათ ყურიც კი არ ათხოვეს რომაელთ რისხვას
და ტყვედ წაასხეს ანტიგონი და ჰირკანუსი.
მსურს გაგიწიო დახმარება,—თუ მოისურვებ
კავშირი შეჰკარ პართელებთან მშვიდობიანი,
მაგრამ თუ არ გსურს შეთანხმება, როგორც გენებოს,
დაგაპყრობინებ მათს სამეფოს მე სულ ადვილად.
მხოლოდ იმათი დახმარებით შენ შეგეძლება
დაიპყრო ტახტი, რაც გეკუთვნის მემკვიდრეობით,
და ისრაელთა ათი ტომი, დამონებული,
ტყვეობისაგან გამოიხსნა, ათავისუფლო!
ათივე ვაჟი იაკობის დღესაც ტყვე არის,
და ორი ვაჟი იოსების კვლავაც მონაა,
ისევე როგორც, მონა იყო იმათი მამა.
მიიღე, რასაც მე გულუხვად ახლა გთავაზობ,
და მხოლოდ მაშინ მოგეცემა შესაძლებლობა,
რომ მონობიდან გამოიხსნა შენი მოძმენი,
წამოიჭიმო მედიდურად დავითის ტახტზე
და გადასჭიმო სამეფოის შენის საზღვრები
თვით ევფრატსა და ეგვიპტემდე, ისე რომ შიში
აღარ გექნება არც კეისრის, აღარც რომისა“.

მას უპასუხა დამშვიდებით ჩვენმა დამხსნელმა:
„შენ აქ მაჩვენე მრავალგვარი მაგალითები
ამქვეყნიური ამაო და ფუჭი დიდების,
ცეცხლში ნაწრთობი, გაჭედილი იარაღები,
აღჭურვილობა საომარი, სხვადასხვაგვარი,
რომელთ გაჭედვა-გამოწრთობას ბევრი დრო უნდა,
ხოლო მოსპობით, მოისპობა დაუყოვნებლივ.
მირჩევ, რომ შევკრა ზოგიერთთან ძმური კავშირი,
ზოგს გადავუდგე და საშინლად გავანადგურო,—
ამას, ყველაფერს, ქვეყნად დიდი მნიშვნელობა აქვს,
ჩემთვის კი მაინც ფუჭი არის და უმნიშვნელო.
მეუბნები, რომ შევეცადო ტახტის დაპყრობას,
მე გიპასუხებ, არ დამდგარა ჯერ დრო ამისი.
(რაც უფრო გვიან, დაყოვნებით დადგება ეს დრო
მით უკეთესი თვით შენთვისვე! ასე რად ჩქარობ?)
მაგრამ როგორც კი დამიდგება მე დრო ამისი,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ის არ იფიქრო, სუსტი დავრჩე და უმოქმედო,
ან შენი რჩევა-დახმარება დამჭირდეს მაშინ;
ეს საომარი საჭურველი, შენ რომ მთავაზობ,
არის მხოლოდღა დაბრკოლება, ზედმეტი ტვირთი,
და მოასწავებს შენს სისუსტეს, შენს უმწეობას.
მირჩევ, რომ ვიხსნა მონობიდან ისრაელები,
რომელთაც ახლა უწოდებ ჩემს თანამოძმეებს.
ნეტა ვიცოდე, რამ აღგიძრა ეს მისწრაფება
იმავ დავითის ტახტისადმი, ანუ, საერთოდ,
ისრაელების მოდგმისადმი?! მაშინ სად გქონდა
დაუცხრომელი მისწრაფება, როდესაც ერთხელ
ისე საზარლად მთელი ხალხი შენ შეაცდინე
და ათასობით უმანკო და უბიწო სული
გაანადგურე შავი ჭირით ისე საშინლად?
მაშინ ისრაელთ უპირებდი განადგურებას,
ახლა მოსულხარ, რომ მეც მომსპო სწორედ იმგვარად
რაც შეეხება იმა ტომებს, მონებად ქცეულთ,
რომლებიც ახლა ბორკილებში იტანჯებიან,
თვით დაიტეხეს თავს საზარი უბედურება—
ღმერთს გადაუდგნენ, დაისახეს კერპებად თვისად
ბილწი ბაალი და ასევე ბილწი ასტაროთ!
აბა რად უნდა გამიხარდეს მათი გამოხსნა?!
რათა ბორკილებდამსხვრეულნი, დაუყოვნებლივ,
გაბრუებულნი იმ კერპების ფერხთით განერთხონ?!
არა, ისა სჯობს, ემსახუროს თვისივე მტრებსა.
ვინაც ერთხაირ თაყვანსა სცემს ღმერთსა და კერპებს"

ასე მიუგო ისრაელთა ნამდვილმა მეფემ,
და გაუცუდა გაიძვერას ბოროტი ზრახვა,
შეარცხვინა და გააწბილა. მუდამ ასეა,
როცა სიყალბე ებრძვის ხოლმე ჭეშმარიტებას.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

წიგნი მეოთხე

შინაარსი

სატანა განაგრძობს ჩვენი მხსნელის ცთუნებას და ახლა მთელი თავისი დიდებულებითა და ბრწყინვალეებით აღზევებულ რომს დაანახვებს, რათა დიდმა მხსნელმა პართიელების სახელმწიფოს — რომის იმპერია ამჯობინოს; ტიბერელების განდევნა შენთვის სულ ადვილი საქმეაო, ეუბნება; დაუბრუნე რომაელებს თავისუფლება და შენ თვითონვე გაბატონდი, ხოლო ამითი განა მარტო რომის იმპერიის — მთელი ქვეყნების ბატონ-პატრონი გახდები, დავითის ტახტიც შენი იქნებაო. პასუხად ქრისტე-ღმერთი ამქვეყნიურ ძლიერებისა და დიდებისადმი ზიზღს გამოხატავს. მოაგონებს რომაელთა ფუფუნებასა, ავტიგმოყვარეობასა და გარყვნილებას; მათ არც დაუმსახურებიათ თავისუფლება, რაც თავიანთივე მანკიერების გამო დაკარგესო. მოკლედ აუხსნის თავისი მომავალი სამეფოს სიდიადეს. რომ კიდევ უფრო ძვირფასი გამოჩნდეს შეთავაზებული საჩუქრები, გამწარებული სატანა განაცხადებს: ამათ მხოლოდ იმ პირობით მოგცემ, ჩემს ფერხთით თუ დაეცემი და თაყვანსა მცემო. ქრისტე-ღმერთი საშინელი გულისწყრომით უარჰყოფს ამ წინადადებას, ჰაცხავს მტერს, „სამარადჟამოდ წყეულ“ სატანას უწოდებს. გაწბილებული სატანა თავის მართლებას ცდილობს, მერე კი ახალ ცთუნებას მოიგონებს: გონებრივ დაკმაყოფილებას შესთავაზებს სიბრძნითა და ცოდნით, დაანახვებს უძველესი მეცნიერებით განთქმულ ქალაქს ათინას, მის სკოლებს, მეცნიერთა და მათ მოწაფეთა სხვადასხვა შესაკრებელ ადგილებს. მერე ალმატებულს ქებას მიუძღვნის ბერძენ მუსიკოსებს, პოეტებს, ორატორებსა და სხვადასხვა დარგის ფილოსოფოსებს. იესო მაუთითებს დაუმსახურებლად შექებული წარმართული ფილოსოფიის ამაოებასა და არასრულყოფილობაზე, ბერძენთა მუსიკას, მჭევრმეტყველებასა და ფილოსოფიას — შთაგონებული ებრაული მწერლობა მირჩევნიაო, ეტყვის. მარცხით გამწარებული სატანა უგუნურებისათვის ჰაცხავს იესოს — ჩემს შემოთავაზებულ საჩუქრებს ხელს რათა ჰკრავო; დასცინის მის მომავალ სამეფოს, გააფრთხილებს ჩვენს მხსნელს — დიდი ტანჯვისა და წამების გადატანა გიწერიაო, უდაბნოში დააბრუნებს და იქ დატოვებს. დაღამდება. სატანა საშინელ ქარიშხალს განოიწვევს; ცდილობს შემაძრწუნებელი სიზმრებითა და მოჩვენებებით შეაშინოს იესო. მაგრამ ამაოდ, არაფერმა გასჭრა. ღამის საშინელებებს — წყნარი, ნათელი და დიდებული დილა სცვლის ისევ გამოეცხადება სატანა ჩვენს კურთხეულ ღმერთს, მოაგონებს ღამის ქარიშხალს, რომელიც საგანგებოდ მისთვის ამოვარდა, და ერთხელ კიდევ შეურაცხყოფს თავისი წინასწარმეტყველებით — საშინელი ტანჯვა-წამება მოგელისო. ქრისტე-ღმერთი კვლავ ჰაცხავს მტერს. სრულ განწირულებამდე მისული სატანა იძულებულია აღიაროს, რომ იგი დაბადებიდანვე უთვალთვალებდა იესოს და ცდილობდა გაეგო — ნამდვილად ის იყო მესია, თუ არა; მდინარე იორდანთან მომხდარმა ამბებმა კიდევ უფრო განუმტკიცა რწმენა, რომ სწორედ ის იყო მესია. ამის შემდეგ მეტის გაფაციცებით დაუწყო თვალყურის დევნება; იმედი ჰქონდა, რაიმე წარმატებას მიაღწევდა და ამით დაამტკიცებდა, რომ იგი სულაც არ ყოფილა მისი „საბედისწერო მტერი“ — ღვთაებრივი მხსნელი. მაგრამ გამოტყდა, რომ აქამდე მან სრული მარცხი განიცადა. მიუხედავად ამისა გადაწყვეტს ერთხელ კიდევ სცადოს ბედი. ჩვენს მხსნელს იერუსალიმის ტაძრის გუმბათზე აიყვანს და ეტყვის: თუ მართლა ღვთაება ხარ, ახლა დაამტკიცე — ან მახდვე დამაგრდი, ან არა და ისე ჩახტი, რომ არ დაშავდეო. იესო ჰაცხავს მაცთუნებელს; ამავე დროს, იმ საშიშარ ადგილზე დგომით, დაამტკიცებს, რომ იგი ნამდვილი ღვთაებაა. შეძრწუნებული და გაკვირვებული სატანა მყისვე დავარდება და თანამგმობარებს დაუბრუნდება, რათა თავისი მარცხის ამბავი შეატყობინოს. ამასობაში, ანგელოზები ძე ღვთისას მშვენიერ ველზე გაიყვანენ, ციური საჭმელების ტაბლას მოუმზადებენ და საზეიმო საგალობელით მის გამარჯვებას უმღერიან

ახალი მარცხით არეული, გაწბილებული
იდგა მტერი და არ იცოდა, რა ეპასუხნა,
გამჟღავნდ მისი ცბიერება, გაიძვერობა,
და თვით იმედმაც მერამდენედ უმტყუნა უკვე!
ენადამტკბარი, ლაქუცა და შთამგონებელი,
რომელმაც ერთხელ ევას გული მოინადირა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფუჭი გამოდგა, უსუსური. ევა—ევაა,
ახლა კი იგი დაამარცხეს, სულმა წასძლია
და თავგასულმა თვისი ძალა ვერ შეუწონა
მის ძლიერებას, ვისაც უნდა შესჭიდებოდა;
იმ კაცის მსგავსად, ცბიერებით რომელსაც თავი
შეუდარებლად მიაჩნია, მაგრამ შემთხვევით
იქ დამარცხდება, სადაც სულაც არ ელის მარცხსა,
იხტიბარს მაინც აღარ იტეხს, თავს ინუგეშებს
და კვლავაც ცდილობს ის აცთუნოს, რომელიც მუდამ
აგემებს მწარე დამარცხებას, ამცირებს, არცხვენს;
მსგავსად იმისა, როს რთველის დროს გუნდები მწერთა
დაწნეხილ ყურძენს საწნახელში მიესევიან,
და თუნდაც ბევრჯერ გამორეკენ, არ ისვენებენ,
ბზუილ-ჟუვილით იმ დამტკბარ წვენს უბრუნდებიან;
მსგავსად იმისა, როს ტალღები, აზვირთებულნი,
ეხეთქებიან სალსა კლდეებს, თავგამეტებით,
და თუმცა ქვებზე იმსხვრევიან, ისევ და ისევ
განახლებული იერიშით ზედ აწყდებიან,
მაგრამ ამაოდ—იქცევიან ქაფად, ბუშტებად;
სატანაც ასე, მარცხი მარცხზე იგემა თუმცა,
ენაც წაერთო სამარცხვინოდ, მაგრამ არ გატყდა,
და თუმც დაჰკარგა გამარჯვების იმედი სრულად,
თავის ფუჭ ზრახვებს გაჰყვა მაინც. ჩვენი დამხსნელი
ახლა ამავ მთის დასავლეთით გადაიყვანა
და დაანახა ვიწრო ზოლად ზღვებში შეჭრილი
ველი, რომელსაც ჩრდილოეთით ზღუდედ ეფარა
მთაგრეხილების მთელი მწკრივი. მაღალი მთები
კაცთ სამყოფელს და დედამიწის ყოველგვარ ნაყოფს
იცავდა ხოლმე სუსხიანი ქარიშხლისაგან.
იმ ველს სერავდა წყლებით უხვი მდინარე ერთი,
ხოლო მდინარის აქეთ-იქით, ორსავ ნაპირზე,
მდიდრულ ტაძრებით და კოშკებით ამაღლებული,
გაშენებული დიდებულად შვიდ მომცრო ბორცვზე,
იდგა ამაყად იმპერიის დედაქალაქი,
დამშვენებული დიდებული სასახლეებით,
აბანოებით, თეატრებით, წყალსადენებით,
ქანდაკებებით, ტალანებით, ჭალა-ბაღებით.
ტროფეებით და საზეიმო დიდი თაღებით.
საკვირველია, იმ სიშორეს ვით ჰკიდეს თვალი.
რა უცნაური ოპტიკური საშუალებით!
მაცთუნებელმა დაარღვია მძიმე დუმილი:
„ქალაქი, რასაც შენ აქედან უყურებ ახლა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ქვეყნიერების დედოფალი, დიდი რომია,
რომლის დიდება შორს გაჭრილა კიდით-კიდემდე,
და რაც სხვა ხალხთა ძარცვა-გლეჯით გამდიდრებულა;
იქით, ზვიადად ცაში თავი რომ შეუმართავს,
კაპიტოლია, აღმართული ტარპეის კლდეზე,
და მას ვერავინ აგრერიგად ვერ მიუდგება;
აგერ ფართოდ რომ გადაშლილა, ცაში აწვდილი.
ის სასახლეა კეისართა, მთა პალატინზე,
შორიდანაც ჩანს დიდებული მისი კოშკები,
მოოქროვილი ქონგურები და ტერასები,
ნაჩუქურთმევი გამოჩენილ ხუროთმოძღვართა
მას ესაზღვრება მშვენიერი შენობა ბევრი,
რანიც, ხომ ხედავ, თვით ღმერთების სამყოფელს ჰგვანან.
მე საჰაერო ტელესკოპი ისე მოვმართე,
რომ შეგიძლია ყოვლის მხრით კარგად განსჭვრიტო,
გარეთაც ნახო, დაკვირვებით და შიგნიდანაც.
აბა შეხედე იმ სვეტებსა და იმ სახურავს,
სახელგანთქმული ოსტატების ნამუშევარსა,
რა კარგად შვენის ჩუქურთმები, ამოკვეთილი,
კედარსა, ოქროს, სპილოს ძვალსა, მარმარილოში.
ახლა კი მზერა კარებისკენ გადაიტანე;
ხომ ხედავ, ხალხი ედინება უწყვეტ ნაკადად,
ზოგი შიგ შედის, ზოგიერთი უკან ბრუნდება,
ჰა პრეტორები, იქით კიდევ პროკონსულები
ომით დაპყრობილ ქვეყნებისკენ ეშურებიან.
ლიქტორებს ხელში როგორ მარჯვედ უპყრიათ კვერთხი,
როგორ მრისხანედ მოწყობილან ლეგიონები!
იქით ელჩები შორეული ქვეყნებისაგან;
ქვეყნიერება სულ მთლიანად რომს უხრის ქედსა,
მის ძლევამოსილ იმპერატორს მორჩილებს ყველა!
რომის სიმდიდრე, სიდიადე და ძლიერება,
მისი წესები, ხელოვნება, ყოფა-ცხოვრება,
სამხედრო საქმე... შეგიძლია სამართლიანად
პართიელებზე უმაღლესად დასახო შენა.
სხვა ქვეყნები კი, ამ ორს გარდა, ნახვადაც არ ღირს,
ბარბაროსობის საზღვარს არც კი გაცილებულან
და ამიტომაც იმათ ახლა არ დაგახახვებ.
ამ ორი დიდი სახელმწიფოს ჩვენებით ახლა
მე შენ გაჩვენე დედაძიწის მთელი დიდება.
„ახლა აი რა — იმპერატორს ბემკვიდრე არ ჰყავს,
დაბერდა თვითონ, გარყვნილებას მიეცა სულმთლად
და გაემგზავრა კაპრიაში დროს სატაოებლად,
რათა იმ მყუდრო, მოფარებულ და მშვიდ კუნძულზე,
მიეცეს აღვირახსნილობას დაუფარვად;

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ქვეყნის მართვა კი ულირს ვინმეს გადააბარა,
ვინც არც ხალხს უყვარს და, რაც უფრო საკვირველია.
იმპერატორსაც აღარა აქვს ნდობა იმისი.
შენ ყველა ნიჭი, რაც სჭირდება ქვეყნის მბრძანებელს,
მომადლებული გაქვს ღვთისაგან და თუ გადაწყვეტ,
ძალგიძს დაამხო, გააძევო დიდი მტარვალი,
და შენი ხალხი გამოიხსნა მონობისაგან.
მეც ამ საქმეში შენთანა ვარ, დაგეხმარები,
ჩემს ძლიერებას შენ გადმოგცემ, გაგიზიარებ
და შეიქნები მბრძანებელი მთელი ქვეყნისა.
ნულარ ყოყმანობ, გადაწყვიტე, გაბედე ბარემ,
თორემ რაც შენზე უთქვამს ადრე წინასწარმეტყველს—
უნდა მემკვიდრე შეიქნესო დავითის ტახტის,—
არ ასრულდება; ანუ დიდხანს ვერ იმბრძანებლებ“.

მას უპასუხა ძემან ღვთისამ აუღელვებლად:
„ეს ფუფუნება, ბრწყინვალება, დიდებულება,
არც სულსა და გულს, არცა თვალებს არ ჰგვრის სიამეს.
და რაც არ უნდა დამანახო, ხომ მშიერი ვარ,
იცოდე მაინც გულს ოდნავად არ ამიტოკებს.
შენ მე მაჩვენე შორეული ქვეყნის ელჩები,
მაგრამ მითხარი, რაში ხედავ მაინც დიდებას,
აბა რა არის აქ ბრწყინვალე და სანაქებო,
იმათ ლაყბობას, მონურ ლაქუცს, ყალბ მეტყველებას,
დროის ფუჭად და უნაყოფოდ დაკარგვას ვარქმევ.
მირჩევ დავამხო, გავაძევო იმპერატორი!
რა იქნება, რომ თვით დემონიც მას მივაყოლო,
ვინაც აქცია ის ულმობელ, გულქვა მტარვალად?!
დაე მტარვალი დაისაჯოს მისივ სინდისით,
რაც წარმოადგენს მარადიულ მწამებელს მისას.
განა მისთვის ვარ მალალ ციდან წარმოგზავნილი,
რომ მონობისგან გამოვიხსნა ჩაგრული ხალხი,
რომელიც ერთ დროს ქედმაღლურად თვით მბრძანებლობდა
და შემდეგ მონად გადაიქცა სამართლიანად?!
განა დიადი, სულით მტკიცე, გულით მართალი
მხნე ბეობარი მათ გამოხსნას მოიწადინებს?!
ანდა გამოხსნა, გარეგანი თავისუფლება
დაიხსნის იმათ შინაგანი მონობისაგან?
მაშ დაიხსომე: როცა ავალ დავითის ტახტზე,
იგი იქნება არა ტახტი ოქროთ ნაჭედი,
ის უნდა იყოს ხე—მიწაზე ჩრდილის მომფენი,
ან ქვა, რომელიც სულმთლად აღგვის ქვეყნის მტარვალებს.
მეფობა ჩემი უნდა იყოს დაუსაბამო,
ხოლო რა ძალით, რა უფლებით უნდა ვიმეფო,
ამის გაგება არც შეგფერის, არც მე გაგიმხელ“.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მას შეესიტყვა უტიფარი მაცთუნებელი:
„ვხედავ, რომ არ გსურს დააფასო მთელი დიდება,
მთელი დოვლათი, რასაც ასე გულით გთავაზობ
უარი მითხარ ყველაფერზე: უნდა ვიფიქრო,
რომ მეტისმეტად გულაზიზი ხარ არჩევანზე,
ან გსურს ჯიუტად ყველაფერი უგულებელჰყო.
მაგრამ იცოდე: რასაც ახლა ასე გთავაზობ,
დიდად ვაფასებ, არ გეგონოს, მუქთად გაძლევდე!
ეს მიწიერი სამეფონი, რაც დაგანახვე,
მე მმორჩილებენ, გაჩუქებაც მე ძალმიძს მათი,
იგი უბრალო საჩუქარი ნუ გეგონება,
შენგან კი მხოლოდ ერთ პირობას მოვითხოვ ახლა:
უნდა დაემხო ჩემს წინაშე და თაყვანი მცე,
როგორც ერთადერთს, უზენაეს მბრძანებელს შენსას,
სამაგიეროდ, სუყველაფერს მიიღებ ჩემგან“.

ამ ბილწ სიტყვებზე ჩვენმა მხსნელმა ზიზღით მიუგო:
„შენი სიტყვები აქამდეც არ მსიამოვნებდა,
შენი რჩევა ხომ მითუმეტეს უცხოა ჩემთვის,
მაგრამ მას შემდეგ, რაც ეს ბილწი პირობა მითხარ,
ხმაც, სიტყვაც შენი გახდა ჩემთვის გულისამრევი.
მაგრამ მოვითმენ, ვიდრე ძალა კიდევ გაქვს ჩემზე.
ხომ ასე თქმულა — „თაყვანს სცემდე უფალსა შენსა
და მას მხოლოსა მსახურებდე მორჩილებითა“.
შენ კი მოსულხარ და ძეს ღვთისას უბედავ უთხრა:
შენს ბილწ ზრახვებსა და სურვილებს დაემორჩილოს,
ქვეგანერთხოს და თაყვანი გცეს, ვით დიდ მბრძანებელს.
შენ, ვინც ღვთისაგან დაწყევლილმა, შეჩვენებულმა,
კიდევ გაბედე ვერაგულად ევას ცთუნება,
და უფრო მეტად ამით გახდი შეჩვენებული,
რომ ახლა ბედავ ჩემთან მოსვლას და ჩემს ცთუნებას
მაგრამ დრო მოვა და შენც მწარედ მოინანიებ.
როგორ, შენა ხარ მბრძანებელი ამ ქვეყნებისა?
იქნება მხოლოდ მოძალადე, წამგლეჯი იყო?!
მაშ უფლებებზე მეტად კრინტიც კი აღარ დასძრა!
თუ მართლა ღმერთმა მოგანიჭა აქ მბრძანებლობა,
როგორღა ბედავ, რომ ამ წმიდა, საღვთო საჩუქარს
ასე უბრალოდ, გულცივად და უღვთოდ სხვას აძლევ?!
მაგრამ ღვთის შიში, ღვთის კანონი, პატივისცემა
ისე დაჰკარგე, რომ ძე ღვთისა გინდა აცთუნო,
და სამარცხვინო, შენსავით ბილწ პირობასა სთხოვ—
მსგავსად უფლისა, თაყვანს გცემდეს და გმორჩილებდეს!
განვედ, გამშორდი, დაწყევლილო, ბილწო სატანა!“

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შეშინებულმა მტერმა ასე მიუგო მხსნელსა:
„ძეო უფლისა, ამ ჩემს სიტყვებს კი ნუ ჩამითვლი
შეურაცხყოფად, რადგან ჩვენაც, ანგელოზებსაც,
ადამიანთაც—გვეძახიან შვილებს უფლისას.
რათა გამეგო მათზე მაღლა დგახარ თუ არა,
მე გადავწყვიტე შენც მოგთხოვო ის მორჩილება,
რასაც იჩენენ ჩემდა მიმართ სხვები ყველანი;
ადამიანი და აგრეთვე ქვესკნელის ძალნი
მე მაცხადებენ ძლევამოსილ თვის მბრძანებლადა,
მაგრამ შენ, გატყობ, მათზე უფრო მე მემსგავსები,
შენი არსებით უფრო ახლო დგახარ ჩემთანა,
მიტომაც იყო, რომ ცთუნებამ შენზე ვერ გასჭრა
და იმის ნაცვლად რომ სასტიკად შენ შემერცხვინე,
უფრო ამაღლდი, გადიადდი, ბრწყინვალე გახდი
და გამიცუდე, ჩამიშალე ჩემი ზრახვანი.
მაშ ამქვეყნიურ მეფობაზე ნულარც იფიქრებ,
ნუ მიგიზიდავს მათი ფუჭი, ბილწი დიდება,
ამიერიდან მეც აღარ ვცდი, რომ შეგაცდინო
და მიწიერი განდიდება გასურვებინო.
ახლა კი ვატყობ, რომ ღირსი ხარ შენ ჭეშმარიტად,
მეცნიერების უწმიდესი გვირგვინი გედგას,
შეგეძლოს განსჯა უმაღლესი საკითხებისა.
მიტომაც გირჩევ, ახლა აქეთ მომართო მზერა
და გადახედო ეგეოსის სანაპიროზე
თვალისმომჭრელი სილამაზით გადაშლილ ქალაქს,
სადაც ჰაერი სუფთა არის და ნიადაგი—
ნაყოფიერი, უხვ ნაყოფით დამშვენებული.
ათინა ჰქვია იმ ქალაქსა. ის წარმოადგენს
ტურფა ელადის გამორჩეულ თვალმარგალიტსა.
იგი დედაა, სამშობლოა, წარმომქმნელია
მეცნიერების, ხელოვნების, მჭევრმეტყველების.
აი შენობა სახელგანთქმულ აკადემიის,
იქით კი ჭალა, რასაც ატკბობს ბულბულთ გალობა
და სადაც ერთ დროს თვით პლატონი ტკბებოდა ხოლმე.
იქვე მოისმენ ამაო ჰანგებს ტკბილი მუსიკის,
უდიდესი ბრძის—ჰოძეროსის ტკბილსა სტრიქონებს,
ბრძენი სოკრატის ბრძნულ მოძღვრებას, გასაკვირველსა.
სიბრძნეს, სიქველეს და უმაღლეს მეცნიერებას
შენ იქ შეიწოვ და მას შემდეგ მართლაც გახდები
ქვეყნიერების ჭეშმარიტი ბატონ-პატრონი“.
მას უპასუხა ჩვენმა დიდმა ბრძენმა დამხსნელმა:
„თუნდაც არ ჩავწვდე იმ მოძღვრებას, მეცნიერებას,
ამითი მაინც არაფერი არ დამაკლდება,
რადგან მე მადგას ზეციური სინათლის შუქი,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და ეს მოძღვრება არა მყარი, მოჩვენებითი
მე არაფერსაც არ შემმატებს, არცა მჭირდება;
აკი გამოტყდა თვით პირველი ფილოსოფოსი,
თქვა: მე ის ვიცი, რომ არ ვიცი არაფერიო;
მეორე მოჰყვა იგავების და ზღაპრების თხზვას,
ხოლო მესამემ ყველაფერი, რაც ეჭვს არ იწვევს,
გამოაცხადა საეჭვოდ და საალალბედოდ“.

გაწბილებულმა აგრერიგად, საზარმა მტერმა
წარბი შეიკრა და ჩვენს დამხსნელს ასე მიმართა:
„როგორც ეტყობა, შენ არ გხიბლავს არცა სიმდიდრე,
არცა დიდება, არც სახელი, არც მბრძანებლობა
და იმას არჩევ, სინანულმა მოგიცვას მალე,
რადგან საშველად გამოწვდილი ხელი უარჰყავ.
დავითის ტახტზე ახვიდოდი, მოწიფებული,
შენი დიდება მთელს მიწაზე განევრცობოდა;
ახლა ელოდე მიწყივ ბრძოლას, ტანჯვას, წამებას,
საყოველთაო ზიზღს ხალხისას და შეჩვენებას,
რასაც მოჰყვება საზარელი მოსპობა შენი.
თითქოს მეფობა იწინასწარმეტყველეს შენთვის,
მაგრამ არ მესმის, ეს რარიგი მეფობა არის“.

ეს თქვა სატანამ, ჩვენი მხსნელი კვლავ გადიყვანა
იმ უდაბნოში და თვითონ კი თითქოსდა გაჰქრა.
ირგვლივ ჩამოწვა, ღამე ბნელი, შიშისმომგვრელი,
დამხსნელი ჩვენი, შიმშილისგან გაწამებული,
ერთ გადმობურულს, ცამდე აწვდილს ხეს შეეხიზნა,
რათა წვიმისგან დაეფარა წვალებით თავი.
მაგრამ ძილშიაც არ დაეხსნა მაცთუნებელი.
უცებ მძვინვარე ქარიშხალმა წამოუქროლა,
დასჭექა მეხმა, დაიკლაკნა ელვა ზეცაში,
წყალი და ცეცხლი შეხმატკბილდნენ, რომ ერთი ძალით
სასტიკი ნგრევა მოევლინათ დედამიწისთვის.
მღვიმეებიდან გამოიჭრნენ ოთხივ მხრივ ქარნი
და უდაბნოში დატრიალდნენ შემაძრწუნებლად.
შენ კი იდექი, ძეო ღვთისავ, გაწამებულო,
და მოთმინებით გადაგქონდა მძიმე გამოცდა;
მტკიცედ, გმირულად გაუმაგრდი იმ ბილწ ცთუნებას!
გავიდა ღამე, და ვით მგზავრი მოხეტიალე,
მოვიდა დილა ნაცრისფერი წამოსასხამით,
რომ ბნელი ღამის სანაცვლოდ მას ეგუშაგნა;
განდევნა მყისვე ბილწნი ძალნი ქვესკნელისანნი,
დააშოშმინა ატეხილი ქარიშხალები,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და მზის სხივებით დედამიწა ააელვარა;
ჩიტნი, ფრთოსანნი, მიესალმნენ დილას გალობით.
მტერთა მთავარი იქვე იყო ჩასაფრებული,
ის გამოვიდა და შესცინა თითქოს განთიადს,
მერე კი ჯიქურ ჩვენს დამხსნელთან მიიჭრა იგი,
რადგან დარწმუნდა, რომ ლაქუცით და ტკბილი სიტყვით,
მოტყუილებით ვეღარაფერს ვერ გახდებოდა.
გაცუდებული, სამუდამოდ გაწბილებული,
ახლა მას ცდილობს, მთელი რისხვა გადმოანთხიოს
და მრისხანებით შეაშფოთოს ჩვენი დამხსნელი.
ერთ მომცრო ბორცვზე, რასაც ერტყა ტყე ოთხივ მხარეს,
ის შეეყარა ძეს უფლისას და მის წინ წარსდგა,
როგორც ნამდვილი მგმობარი და მტერი ღმერთისა:
„ძეო ღვთისაო, იმ საშინელ ღამისა შემდეგ,
ამ მზიან დილას ეგებები რა სიხარულით!
შორით მესმოდა საშინელი ჭექა-ქუხილი,
მეჩვენა, თითქოს, მიწა ზეცას შეერთებოდეს!
ეს ქარიშხალი ნიშანია უბედურების,
იმან შენს თავზე გადიარა, და ეს იცოდე,
უბედურებაც შენ მოგელის მხოლოდ და მხოლოდ.
ეს ქარიშხალი კიდევ ერთი გაფრთხილებაა!„

ჩვენი დამხსნელი არც შეჩერდა, გზა კვლავ განაგრძო
და ბილწ სატანას უპასუხა აუღელვებლად:
„ეს ქარიშხალი და მთელი ეს საშინელება
ისე ვერ მავნებს, ვით არ ძალუძს ვნების მოტანა
ერთ წვეთს წვიმის წყალს. ამიტომაც სასაცილოა
მთელი ეს შენი ოინები და ვერაგობა.
განა არ ვიცი, ეს ღვთისგან არ მომდინარეობს,
შენა ხარ მისი წარმომშობი, პირველი წყარო.
ტყუილად წვალობ, ვერ მაცთუნებ, უნდა იცოდე,
რომ ამ სიტყვებით თავს მაბეზრებ მხოლოდ და მხოლოდ“

განრისხებულმა მტერმა მაშინ ასე მიუგო:
„მაშ მომისმინე, დავითის ძევ, ქალწულის შვილო,
მე ვაღიარებ, რომ ცთუნებას მტკიცედ დაუდექ
და სალ კლდესავით გაუმაგრდი ჩემსა ტკბილ სიტყვებს.
მაგრამ მე მაინც მიმაჩნიხარ ადამიანად,
და სიბრძნეც მხოლოდ კაცისა გაქვს, არა უმეტეს.
არა მგონია, სხვა მოკვდავებს აღემატოდე,
მაგრამ მაინც მსურს ერთხელ კიდევ შენი გამოცდა
და ახლა მინდა სულ სხვაგვარად გელაპარაკო“.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თქვა სატანამ და მხსნელთან ერთად ცაში აფრინდა,
თავს გადაევლო უფსკრულებს და ვრცლად გაშლილ ველებს,
გადაატარა მწვერვალები და მიაღწია
იერუსალიმს, ცათაწვდენილ ტაძარს მიადგა;
ტაძრის ერთ მაღალ დიდ გუმბათზე მან ჩვენი მხსნელი
გაიყვანა და ასე უთხრა ზიზღით, დაცინვით:
„თუ ძალა შეგწევს, აქ გამაგრდი. აქ გაჩერებას
მართლაც სჭირდება მოქნილობა, დიდი სიმარჯვე,
აქ არის სახლი შენი დიდი, წმიდა მამისა,
და თუკი მართლაც ძე ღვთისა ხარ, გაბედე ერთი,
რის გეშინია, მამაცურად დაეშვი დაბლა
და დაამტკიცე, რომ დიდი გაქვს შთამომავლობა!
აკი წერია წმიდა წიგნში, რომ ზენაარი
არქანგელოზებს დაავალებს, მიგიღონ წმიდად,
თუკი ოდესმე ქვაზე ფეხი არ წამოგიკრავს“.

მას შეესიტყვა მაცხოვარი ჩვენი იესო:
„იქვე წერია: „არ განსცადო უფალი შენი“.
თქვა და წამოდგა, სატანა კი იქვე დაეცა,
გაწამებული, განწირული, გაცუდებული.
იგი ქვესკნელის ანგელოზებს ველარ მოუთხრობს,
ველარ ახარებს ამბებს თავის გამარჯვებისას!
ასე დაეცა საბოლოოდ ბილწი სატანა,
ხოლო დასები ანგელოზთა დაბლა დაეშვნენ,
შეისვეს ფრთებზე ჩვენი მხსნელი, გადაატარეს
აყვავებული მდელოები, ტყე და ველები
და ერთ ადგილას დასვეს იგი მწვანე ბუსნოზე—
იესოს თვალწინ გაიშალა ბრწყინვალე სუფრა,
ირგვლივ დაიფრქვა სურნელება ამბროზიისა
და ვიდრე მხსხელი საქმელს ტკბილად შეექცეოდა,
მას უგალობდნენ დიდების ჰიმნს ანგელოზები:
„დიდება შენდა, ძეო ღვთისა, გამარჯვებულო,
რომელმაც მწარედ დაამარცხე საზარი მტერი;
დადგა დრო, როცა საჭიროა შეუდგე საქმეს,
უნდა დაიხსნა წამებისგან ადამიანი“.
როცა დანაყრდა ჩვენი მხსნელი ციური საჭმლით,
ანგელოზებმა დააყენეს მაშინვე გზაზე,
და ისიც წყნარად, ყველასაგან შეუმჩნეველი
სახლში წავიდა, დაუბრუნდა დედას თავისას.

დ ა ს ა ს რ უ ლ ი

www.PDF.ChiaturaINFO.GE